

114
1966/3



მედიკალიზაცია

1966



გნათობი



საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 42-ე

№ 1

იანვარი, 1966 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

10231
~~10235~~

შ ი ნ ა კ რ ს ი

ორგზის ორდენოსანი ჩვენი რესპუბლიკა	3
ირაკლი აბაშიძე — * * * ლექსი	5
ნოდარ დუმბაძე — შვიანი დამე. რომანი.	6
რევაზ მარგიაანი — ახალი ლექსების წიგნიდან	55
ოთარ კუპრაძე — ლურჯი ივების ზღაპარი. მოთხრობა.	58
ნიკოლოზ ჩაჩავა — ლექსები	124
გენო კალანდია — ლექსები	127

კამბიკა და ლიტერატურისმცოდნეობა

გიორგი ხუბაშვილი — აღამიანები და მიწა	128
ფარნაოზ კოტეტიშვილი — ქართული რომანის ხათავეებთან	142

800 შოთა რუსთაველი 800

ვახტანგ აბაშვიძე — შოთა რუსთაველის იურიდიული შეხედულებები	156
---	-----

ჩხინი მაცნიკაბი

ნოდარ ლომოური — ქართული ისტორიისა და ფილოლოგიის დაცხრომელი ამადარი	164
--	-----

კაბლიაკაცია

ა. მ. მურავიოვი — წემი დღიური	171
---	-----

წიგნების მიმოხილვა

გიორგი ციციშვილი — კრიტიკოსის პირველი წიგნი	195
გ. წიკლაური — ივანე თარბას ახალი ლექსები	188
ციხანა აბულაძე — თურქული ქრესტომათია	191

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხლოვნება“



რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

პ/მგ. მდივანი: ვ. წულუკიძე

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
ე. მაღრაძე, ბ. შტენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი,
ს. შანშიაშვილი, გ. ჯიბლაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 63. ტელეფონი 7-13-42; 7-11-68.

ბელმოწერილია დასაბეჭდად 20/1 66 წ. ქალაქის ზომა 70×108. ანაწილის ზომა
7¹/₄×12¹/₂ ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16.
უა 05825 ტირაჟი 6500. შეკვეთა № 4157

საჭ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина, 14.

ორგზის ორდენოსანი ჩვენი რესპუბლიკა

ჩვენმა რესპუბლიკამ მიიღო დიდებული სახალწლო საჩუქარი — სახალხო მეურნეობის და კულტურის დარგში მოაოვებული წარმატებებისათვის საბჭოთა საქართველოს დროშა მეორედ დამშვენდა ორდენით, რომელზედაც აღბეჭდილია უკვდავი ლენინის გამოსახულება. საბჭოთა ხალხისათვის, საბჭოთა ადამიანისათვის არ არსებობს ამაზე უფრო სანატრელი, ამაზე უფრო საამაყო ჯილდო.

დიდი ლენინის ორდენის მინიჭებით გამოწვეული სიხარული ქართველმა ხალხმა განიცადა ჯერ კიდევ ამ ოცდაათი წლის წინათ, როცა შეჯამდა და შეფასდა მისი პირველი წარმატებანი სოციალისტური ეკონომიკის განვითარების საქმეში. ლენინის პირველი ორდენის მინიჭება გახდა ფიზიკური და სულიერი ენერჯის მობილიზაციის სტიმული შემდგომი წინსვლისთვის, ახალ და ახალ გამარჯვებათა მოაოვებისათვის სახალხო მეურნეობის და კულტურის ყველა დარგში. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა სასახელოდ გაამართლეს ის დაპირებანი, რომლებიც კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას მისცეს თავიანთი შრომისა და ღვაწლის უმაღლესი დაფასების გამო.

დიდებული და სასიქადულო გზა განვლო საბჭოთა საქართველომ მას შემდეგ — ამ სამი ათეული წლის მანძილზე. იგი არ შეუშინდა არავითარ სიძნელეს, არავითარ დაბრკოლებას და ლენინის დიადი პარტიის შეთაურობით განაგრძო გულმოდგინე და შეუბოვარი ბრძოლა ახალ-ახალ სიმაღლეთა დასაპყრობად. და დღეს საქართველოს მშრომელნი იმქიან ნაყოფს თავისი დამუცხრომელი გარჯისას. ჩვენს წინ გადაშლილია ახალი ქარხნების და ფაბრიკების, ელსადგურებისა და შახტების, სარწყავი არხებისა და გზატკეცილების, ციტრუსებისა და ბილის ბაღების, ვენახის ზერებისა და ხოდაბუნების წარმტაცი პანორამა. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა გამარჯე მარჯვენამ აღმართა ხრამპესი და ჩითახეპესი, უამრავი სასოფლო-სარაიონო ჰესები. ამქამად აგებს ენგურის უნიკალურ ჰესს; ააგო რუსთავის მეტალურგიული გიგანტი და დიდი ქიშიის საწარმოები, ქუთაისის საავტომობილო, თბილისის ელმაგალმშენებელი, სასოფლო-სამეურნეო იარაღების, ჩარხმშენებელი ქარხნები. ქართველი ხალხი ამ საშვილიშვილო ისტორიულ საქმეს ვერ გააკეთებდა, რომ მას მხარში არ აშოდგომოდნენ მოძმე რესპუბლიკები.

ამრიგად, საბჭოთა საქართველოს დღევანდელი გამარჯეება — ეს არის ხალხთა ლენინური მეგობრობის ტრიუმფი.

ქართული სოციალისტური ინდუსტრიის მაღალ დონეზე და მისი პროდუქციის მაღალ ხარისხზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ჩვენი ქარხნების ნაწარმი იგზავნება საზღვარგარეთის ორმოცზე მეტ ქვეყანაში. ასევე სახელი გაითქვა ჩვენი რესპუბლიკის ნაირფეროვანმა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციამ. ქართული ჩაით მარაგდება ჩვენი დიდი სამშობლო, ქართული ხილი და ქართული ციტრუსი ამშვენებს საბჭოთა ოჯახის სუფრას არა მარტო საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, არამედ მოძმე რესპუბლიკებშიც. შინ და გოეთ დღიდან დღე იზრდება მთხოვნილება საერთაშორისო ჯილდოთი არა ერთგზის აღნიშნულ ქართულ ღვინოზე.

მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის ყველაზე ძვირფასი მონაბოვარი მაინც ახალი ადამიანები — მუშათა, ტექნიკოსთა, ინჟინერთა, აგრონომთა და სხვა სპეციალობის მაღალკვალიფიციური კადრები არიან. მათ შექმნეს ჩვენი ინდუსტრია

და გაზარდეს ქართული მიწის ბარაქა. ის ფაქტი, რომ ქართველი ინჟინერი თუ აგრონომი მუშაობდა და მუშაობს, ვინ ინდოეთის მეტალურგიულ ქარხნის მშენებლობაზე, ვინ ასუანის არხის კაშხალზე, ვინ კიდევ სახალხო ქარხნისა და ვიეტნამის პლანტაციებში, მოწმობს იმას, თუ რა შალალი კვალიფიკაციით აღჭურვა სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკამ ქართველი ადამიანი.

საბჭოთა საქართველო ლენინის მეორე ორდენით დაჯილდოებულია კულტურის დარგში მოპოვებული მიღწევებისთვისაც. მართლაც, ერთი თვალის გადავლებაც კი საკმარისია, რომ დავინახოთ, თუ რა შალალ საფეხურზე ავიდა ქართული მეცნიერება, ქართული მწერლობა და ხელოვნება. ზუსტ მეცნიერებათა ქართველ წარმომადგენლებს—ფიზიკოსებსა და მათემატიკოსებს თავისი წვლილი შეაქვთ კოსმოსის დაპყრობაში. მედიცინის, ქიმიის, ბიოლოგიის და ფიზიოლოგიის გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწეებმა უშაღლესი ჯილდოები — ლენინური პრემიის ლაურეატობა და სოციალისტური შრომის გმირობა დაიმსახურეს. ახალი წარმატებანი მოიპოვა ქართულმა საბჭოთა მწერლობამ — მის ორ წარმომადგენელს გასულ წელს მიეკუთვნა უშაღლესი რესპუბლიკური ჯილდო. რუსთაველის სახელობის პრემია ქართულ მხატვრულ ნაწარმოებებს დღეს თავის მშობლიურ ენაზე კითხულობენ ჩვენი მოძმე რესპუბლიკების მკვიდრნი, ხოლო საუკეთესოს მათ შორის ეცნობიან უცხოელი მკითხველებიც. ქართველ მწერალთა ხმა გაისმის ლიტერატორთა საერთაშორისო კონგრესებსა და სიმპოზიუმებზე. ქართულმა საბჭოთა თეატრმა, რომელიც განაგრძობდა კოტე მარჯანიშვილის სახელოვან ტრადიციებს, თავისი ახალი დადგმებით განმტკიცა ქართული სასცენო ხელოვნების შალალი რეპუტაცია, როგორც ჩვენი, ისე საკავშირო მაყურებლის თვალში.

საყოველთაოდ ცნობილია ქართული ქორეოგრაფიის, ვოკალურ-ინსტრუმენტული მუსიკის პოპულარობა შინ და გარეთ. ქართული სიმღერები და სიმფონიები უღერენ ევროპისა და ამერიკის ბევრი ქალაქის დარბაზებში. უცხოელები ალტაცებით ზედებიან საკავშირო და საერთაშორისო პრემიების ლაურეატ ქართველი ქალების — პიანისტების, მევიოლინეების გასტროლებს. ქართველ მხატვართა ტილოები ამშვენებს საკავშირო გამოფენებს. ქართულმა კინემატოგრაფიამ არა ერთი და ორი შესანიშნავი მხატვრული ფილმით გაამდიდრა საბჭოთა კინოხელოვნება. ახლახან გამოშვებული ფილმი „ჯარისკაცის მამა“, რომელმაც მრავალი საერთაშორისო ფესტივალის პრიზები დაიმსახურა, წარდგენილია ლენინურ პრემიაზე. გოლიათური ნაბიჯით მიიწევეს წინ ქართული საბჭოთა სპორტი. ქართველი მოჭიდავენი, ფეხბურთის, კალათბურთის, ჩოგბურთის და ხელბურთის ქართველი ოსტატები არა ერთჯერადს ყოფილან საბჭოთა კავშირის და ევროპის ჩემპიონები. არა ერთი ქართველი ახალგაზრდის შუბლს ამკობს მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი.

ცნობამ საბჭოთა საქართველო ლენინის მეორე ორდენით დაჯილდოების შესახებ აამალა და გააძლიერა ქართველი ხალხის საზეიმო განწყობილება, რომელიც მკაფიოდ გამოიხატა ამ დიდი აქტისადმი მიძღვნილი მიტინგის მიმართებაში სკკპ ცკ-ის და საკავშირო მთავრობისადმი. მიტინგი საქართველოს მშრომელთა სახელით პირობას აძლევს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს და საკავშირო მთავრობას, რომ ქართველი ხალხი არ დაიმურებს ძალღონეს და ენერჯის ჩვენი დიდი საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი აყვავებისათვის, მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლის — კომუნისმის გამარჯვებისათვის.

ეჭვს გარეშეა, რომ საბჭოთა საქართველო პირნათლად გაამართლებს ამ დაპირებასაც. ამის საწინდარია მის მიერ შრომითა და ბრძოლით მოპოვებული ორი ორდენი დიდი ლენინისა.

ირაკლი აბაშიძე

•
•

ციკლიდან „შიახლოვება“.

„შშვენიერება ნათელია ციდან მოსული“
ნ. ბარათაშვილი

ვინ რას დამძრახავს,
დღეც არ გასულა,
მე არ მესუნთქოს
მიწის სურნელით:
მე ვიყავ ქვეყნით სავსე, კაცურად,
ხან უამურიტ, ხან სასურველიტ.

ის ხან მანთებდა
სხივით ნათელიტ,
ხან ჩემს სულს წეწდა
აფთრის კბილებით;
ქვეყნის სატკივრით მე ვარ ჯანმრთელი,
მე უნდა მოვკვდე ამ სატკივრებით.

ვინ რას დამყვედრის,
დღეც არ გასულა,
მე არ მეცოცხლოს
ქვეყნის ხმაურით;
მე გულში მედო მთელ საგანძურად
ხმა მიწიური, ხმა აქაური;

მაგრამ მსურს მოვკვდე,
როგორც მთის კაცი,
და სამარის წინ ვთქვა გატეხილად:
რომ ჩემთვის
ზოგჯერ გახსნილ ცისკარში
მე მსურდა ღმერთიც, ღმერთიც მეხილა.

1965. X.



ნორა ლეჟაძე

მზინი ლამე

რომანი

დაბადების დღე

ასმეშიდღე აუდიტორიაში ქრისტეს ტირილი იდგა. პოლიტეკონომიას თვითონ პატივცემული პროფესორი კასიანე გოგიჩაიშვილი იბარებდა. ეს ამბავი მოულოდნელი არ იყო ჩვენთვის და არცერთ ჩვენთაგანს ამის დარდი არ ჰქონია, მაგრამ როდესაც აუდიტორიიდან ლოყებდაბოკილი ლუბა ნოდია გამოვიდა და გვითხრა, ყველაფერი ეყურებაო, გაეშრით. ვინ იფიქრებდა, რომ ამ სათნოებით საგვს, ყრუ კაცს, რომლისთვისაც გამოცდაზე მერკანტელიზმის ნაცვლად იონჯის ფესვთა სისტემა რომ მოგეყოლა, მაინც ზუთიანს წერდა, სწორედ წელს, საგაზაფხულო სესიებზე, დაუბრუნდებოდა სმენა. ამ ამბის შემდეგ პირადად ჩემთვის გამოცდა დამთავრებული იყო, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ წამძლია და ლუბას მივვარდი, რომელიც გადამწიფებული ნესვივით გაყვითლებულიყო და მატრიკულში ჩაწერილ ორიანს დაშტერებოდა.

— რაო, გოგო? — ვკითხვ ლუბას და სახელო მოვქაჩე.

— რა ვუყო ახლა ამას? — თქვა ლუბამ და უაზრო თვალები მომაშტერა.

— კი მაგრამ, არ იცოდა მაგ ოჯახ-დანგრეულმა, მატრიკულში ორი რომ არ იწერება? — ჰკითხა გურამმა.

— ვუთხარი და ასე მიპასუხა, აბა, რა ვიცი, გოგონი, ჩემს სიცოცხლეში პირველად ვწერ ორიანსო, რა ვქნა არა მე? — ისევ იკითხა ლუბამ და

თვალები ცრემლით ავესო.

— მაინც რა შეგხვდა? — ჰკითხა გურამმა.

— პირველი, საქონლის წრებრუნვა. მეორე, ფულის ინფლაცია, მესამე, აღარ მახსოვს...

— ვერაფერი ვერ უპასუხე?

— დავიწყე!

— რა?

— როგორც შარშან, ამ ზაფხულს სოფელში ვიყავი, ბებიას ვებმარებოდი ბოსტნის დამუშავებაში-მეთქი, ბებიამეში ძალიან კეთილი ქალია-მეთქი... პოდა, ბებიამეში დავიწერს ნიშანსო, ასე მითხრა. — დაამთავრა ლუბამ და მატრიკულზე დაეშო.

აუდიტორიის კარი გაიღო და ჩვენი ჯგუფის მამასახლისმა სია წაიკითხა:

— ბარამიძე, ჭიჭინაძე, შემოდით!

— ბ-ს მერე ჰ-ა, დეგენერატო? — ჰკითხა გურამმა.

ერთი ქვევიდან, ერთი ზევიდანო! — განმარტა ეფრემმა და გადმოცვენილო თვალებით აუდიტორიისკენ მიგვიითთა, ვითომდა ჩემი რა ბრალია, პროფესორმა ასე თქვაო. მე არ ვიცი, რა ქვია ისეთ ავადმყოფობას, როდესაც გული ყელში ამოვარდება, ენა მუცელში ჩავარდება, შებლზე ცივი ოფლი დაგასხამს. მუხლები მოგეკვეთება, ხელები ავიკანკალდება და თვალები დაგიბნელდება, მაგრამ როდესაც გადავხედე გურამს, რომელიც ვებებრთელა ცხვირსახოციით შებლსა და ხელებს იმშრალეზდა და

გამხმარ ტუნებს ილოკავდა, მივხვდი, რომ ეს ავადმყოფობა გადამდები იყო.

აუდიტორიაში ფეხაკრფით შევედით. პროფესორი მწვანე მადღადაფარებულ მაგიდას უჯდა და იღიმებოდა. მას თქროსვარაყიანი, სქელშუშოიანი სათვალე ეკეთა, რომლის ორთავე ყურში შეკვებებული ბოლოები ჩვენს დამლუპველ ორ პატარა მემბრანას უერთდებოდა.

— დაბრძანდით! — მიგვიპატიყა მან. ჩვენ ადგილიდან არ დავძრულვართ.

— თქვენ ყურს ხომ არ გაკლიათ!.. მობრძანდით და დაბრძანდით! — ისევ მიგვიწვირა პროფესორმა. მაგიდას მოვუსხედით, რომელზეც სასიკვდილო განაჩენივით ეყარა ბელისგულის სიფართე, თეთრი, ჭერ თითქმის უხმარი საგამოცდო ბილეთები.

— აილეთ ბილეთები და შოიფიქრეთ! — გეთხოვა პროფესორმა.

მე ავიღე ბილეთი და ვიღრე გადმოვპარუნებდი, უკვე ვიცოდი, რომ ეს იყო ის ბილეთი, რომელზე ფიქრიც სიკვდილამდე არ მომზებრდებოდა. გურამმაც აიღო ბილეთი, დახედა და შავნაბადაზე შესაწირავად აყვანილი მოხვერივით მომამპყრო სევდიანი თვალები.

— თქვენი სახელი და გვარი? — მკითხა პროფესორმა.

— ბარამიძე თეიმურაზი! — ვუპასუხე პირველ კითხვაზე. პროფესორმა პასუხი უბის წიგნაკში ჩაიწერა.

— თქვენი? — მიუბრუნდა ახლა გურამს.

— შიჭინაძე გურამ. — ასევე ყოჩაღად უპასუხა გურამმა. პროფესორმა ისიც ჩაიწერა. მე და გურამი, როგორც ეს გამოცდაზეა მიღებული, ერთმანეთისაგან მოშორებით დავჯექით. მე საოცარი გულგრილობით დავიწყე ბილეთის კითხვა. პირველი კითხვა იყო — მიწის რენტა.

— ხომ არ დაიწყებთ? — მკითხა უცებ პროფესორმა.

— რატომაც არა! — ვუპასუხე მე, გურამმა გაკვირვებისაგან პირი დაალო.

— აბა დაიწყეთ! — გაუხარდა პროფესორს.

— მიწის რენტა. მიწა კაპიტალიზმის ტურ ქვეყნებში იყიდება. საერთოდ, იქ ყველაფერი იყიდება, სინდისიც კი, სინდისი, რა თქმა უნდა, იაფად, რენტა არის მიწის გადასახადი. კაპიტალიზმის ტურ ქვეყნებში გადასახადები ძალიან მაღალია, გლეხები გმინავენ სამხედრო გადასახადების გამო, რადგან კაპიტალიზმები იარაღს აუღარუნებენ. შეიარაღებას დიდი ხარჯი უნდა... დიდ ხარჯს — ბევრი ფული, ბევრ ფულს შოვნა უნდა, საიდან? გვეკითხება მოვლენათა ლოგიკა, რა თქმა უნდა, გადასახადებისგან.

— რა გქვიათ თქვენ, ახალგაზრდა? — შემაწყვეტინა პროფესორმა.

— თემო, ბატონო!

— ჩემს ლექციებს თუ ესწრებოდით?

— როგორ გეკადრებათ, პატივცემულო! — მეწყინა მე.

— რატომაც არ მახსოვხართ, თქვენ კი, საერთოდ, არ გიცნობთ! — მიუბრუნდა იგი გურამს.

— ჩვენ გიცნობთ შესანიშნავად, პატივცემულო ლექტორო, თქვენ კასიანე გოგიჩაიშვილი ბრძანდებით, ყველასთვის საყვარელი პროფესორი... თქვენ ჩვენი სიამაყე ხართ, თქვენს ლექციას ვინ გააცდენს, თქვენს ლექციებს კი არ ვიწერთ; ვყლაპავთ! — ჩავარდა ექსტაზში გურამი.

— აბა, ერთი მომიყევით, რას ყლაპავთ? — შეაჩერა პროფესორმა. გურამი ჭერ გაქვავდა, მერე წყლიდან ამოსული ძაღლივით თავი გაიბერტყა და მე შემხედა. მე ენაზე ვიკბინე, რომ არ გამოცინებოდა, — ახლა პროფესორს შეხედა გურამმა.

— აბა, — შეახსენა პროფესორმა.

— ბარამიძის გამოკითხვა დაამთავრეთ, პატივცემულო? — დაინაბა ხმა გურამმა და სათნოვებით სავსე ღიმილი მანუქა.

— ბარამიძე მეორე კითხვას მოიფიქრებს! — უპასუხა პროფესორმა. გურამ-

მა კიდევ ერთხელ დახედა ბილეთს, მერე თვალეები ამოატრიალა და სადღაც, შუბლსზემოთ, შიგ ტენისში დაიწყო რაღაცის კითხვა. მერე ეტყობა, ვერაფერი ამოიკითხა და ნორმალურ მდგომარეობას დაუბრუნდა.

— შეიძლება, ბატონო, ბილეთი გამოვცვალო? — ჰკითხა უცებ პროფესორს.

— შეიძლება! — უპასუხა პროფესორმა და ამოიოხრა. გურამის აკანკალებული ხელი ბილეთებზე დაცურდა, მერე უცებ ერთერთს დააცივდა და ასე დარჩა დიდხანს.

— ჰიჰინაძე, თქვენს გარდა კიდევ მყავს გამოსაცდელი ხალხი! — შეასხენა პროფესორმა. ხელი მეჭანიკურად ამოძრავდა, მას თან აყვა ბილეთი და გურამის თვალებთან გაშეშდა. გურამი ტუნჩებს აცმაცუნებდა, ეტყობოდა, საკითხებს იმეორებდა.

— აბა, რას იტყვი? — სთქვა პროფესორმა და თითები ნერვიულად დააკაუნა მაგიდაზე.

— რამდენი ბილეთის გამოცდის უფლება მაქვს, პატივცემულო? — შეეკითხა გურამი გაბზარული ხმით.

— მომეცი თქვენი მატრიკული! — გაუშვირა ხელი პროფესორმა. გურამი მოტყდა.

— არ დამლუპოთ, ბატონო, სტიპენდია დამეკარგება!

— თქვენი — სტიპენდია კი არა, ოცი წლის უნახავი მეგობარი დაგვარგე, მაგრამ საფლავში არ ჩავეყოფარ!

— მაგი ისედაც დაკარგული გყოლიათ. რა მოუვიდა უბედურს? — აუჩუყდა გული გურამს.

— ჰიჰინაძე, მომეცი თქვენი მატრიკული, — გაუშვირა თხოვნა პროფესორმა.

მიშველეო, გადმომხედა გურამმა.

— პატივცემულო პროფესორო, დიდი უსამართლობა იქნება ახლა თქვენ რომ მაგას ორი დაუწეროთ, მთელი დამე ერთად ვსწავლობდით! — შევაწიე სიტყვა გურამს.

— ყმაწვილო, მთელი დამე კი არა, ხუთი წელი ვსწავლობდით ჩემებერთა-თან ერთად ოქსფორდის უნივერსიტეტში, მერე ის კაცი ინგლისის პრემიერ-მინისტრი გახდა, მე კი თქვენისთანა ილიოტებს ვასწავლი თბილისში, გასაგებია? — მკითხა პროფესორმა. ყველაფერი მზესავით ნათელი იყო, მაგრამ გურამს არ უნდოდა უკან დახევა.

— პატივცემულო პროფესორო, წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ მილიონერი, — დაიწყო მან. — ხართ მილიონერი და გაქვთ რამდენიმე მილიონი სამიანი, მოვიდა თქვენთან მათხოვარი და გეუბნებათ — პატივცემულო მილიონერო, გაიღეთ მოწყალეობა, მომეცი ერთი სამიანი თუ შეიძლება, — ახლა წარმოიდგინეთ, რომ ის მათხოვარი მე ვარ და გთხოვთ... — მე ველარ გავუძელი მილიონერისა და ღვთის გლახის ამ დილოგს და პირზე ხელაფარებული გამოვევარი გარეთ. დერეფანში არავინ არ შემომგებებია და არ უკითხავს რა მიიღეო.

მხოლოდ გულიყო გამომყვა დერეფნის ბოლომდე, ისიც უხმოდ, მერე, რომ აღარ მოვხედე, თანდათან ჩამოშრჩა. კიბეს ჩავეყვი. ბოლო საფეხურზე რომ ჩავედი, ვიგრძენი მიყურებდა. ზევით ავიხედე, გულიყო კიბის თავზე იდგა, ხელები ნიკაპის ქვეშ ამოედო, იდაყვებით მოაჯირს დაყრდნობოდა, თან თვალს არ მაცილებდა.

— რას მიყურებ? — ვკითხე. გულიყო გაიშარათა, უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია და გაბრუნდა. მე უნივერსიტეტის ბაღში გამოვედი დ სკამზე დავჯექი. ჩემს წინ ჩაცუქული გოგონა ნიშნით მიწას თხრიდა და ფეხებზე აყრიდა მასზე პატარა ბიჭუნას, რომელიც მორჩილად იდგა ახალდარგული ნერგივით და ილიმებოდა. გოგონა ხშირ ხშირად ამოხედავდა ხოლმე, აბა, თუ გაიზარდაო, და მერე ისევ და ისევ თხრიდა და აყრიდა ფეხებზე მიწას. ბიჭი კი იდგა გაუნძრევლად, მორჩილად, და, ალბათ, ისიც გაზრდის მოლოდინში ილიმებოდა და ილიმებოდა.

ბაღში მაისის მწვანე და თბილი დარი იდგა.

სწორედ ამ მაისის ამ თბილ დღეს ჩემი ორიანის წყალობით სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი 275 მანეთითა და 40 კაპიკით შემცირდა. სტიპენდია, ფულის იმ განსაკვიფრებელ კატეგორიას ეკუთვნის, რომელიც ციდან ჩამოვარდნილს გაეს. მე, როგორც პატროსან კაცს, მუდამ მივიჩნეოდა სამი რამ — რატომ მაძლევდნენ სტიპენდიას, რატომ მიქვითავდნენ საშემოსავლოს ამ ღვთის ნაჩუქარი ფულიდან და რაში მახდევინებდნენ სწავლის ფულს. მიუხედავად ამისა, მე არ მეგულებოდა ქვეყანაზე სტუდენტი, რომელსაც ჩემზე უფრო სჭირდებოდა სტიპენდია, ან ჩემზე უფრო სცოდნოდა მისი ფასი. ჰოდა, ახლა მე, უსტიპენდიო, ვიჯექი უნივერსიტეტის ბაღში და ვუცქერდი პატარა, ბაფთიან გოგონას, რომელსაც ბიჭუნას რგვა დაემთავრებინა და მის მორწყვაზე გადასულიყო.

დარგულმა ბიჭმა შემომხედა და გამიცინა.

— რა გქვია, ბიჭი? — ვკითხე მე.

— მაგას ლაშა ქვია, მე ია — მიპასუხა გოგონამ ორთავეს მაგივრად.

— მერე, წყალს რომ ასხამ ფეხებზე, არ გეშინია რომ გაცივდეს?

— უნდა გაიზარდოს!

— ეგრე კი არ იზრდებიან. აი მე, თქვენხელა რომ ვიყავი, ბევრს გვამდი, და ხომ ხედავთ, როგორ გავიზარდე. — გავიხსენე ჩემი ბავშვობა. გოგონამ ეჭვით ამათვალიერ-ჩამათვალიერა.

— რას ჭამდით? — მკითხა უცებ მან.

— კარაქიან პურს, რძეს, ფაფას, ნამცხვარს... — დავიწყე თვლა ნეკიდან; ცერზე რომ მივედი, ნერწყვი გადავვლამე და გავჩერდი.

— ახლა? — მკითხა გოგონამ.

— რა, ახლა? — ვკითხე მე.

— ახლა რას ჭამთ?

— ახლა კიდევ არა მიშავს და აწი რას შევჭამ, ეს აღარ ვიცი! — გავუცინე გოგონას.

— რატომ? — მკითხა გოგონამ.

— რატომ და სტიპენდია დაჯვარგე!

— რა?

— სტიპენდია!

— სად დაჯარგეთ?

— რა სად დაჯარგე?

— აი, რომ თქვით, რა დაჯარგეთ? — ლმერთო, რამდენი შეკითხვები იცინა ბავშვებმა.

— არაფერი არ დამიკარგავს, ვისუბრე.

— თქვი რა, ძია, რა დაჯარგე?

— პერპეტუუმ-მობილე.

— რაა?

— პერ-პე-ტუ-უმ-მო-ბი-ლე! — დაფუძარცვლე მე, თან მიხაროდა, რომ ამ სიტყვას ველარ გაიმეორებდა და თავს დამანებებდა, მაგრამ მოხდა სასწაული.

— პერპენდულტობილე? — მკითხა უცებ ბიჭმა.

— აუჰ, როგორ გაზრდილხარ, გეყოფა, აწი, ამოდი მაგ ტალახიდან! — ავუგდე სიტყვა ბანზე ლაშას.

— არ ამოხვიდე, თორემ გახმები! — გააფრთხილა იამ. ბიჭი არ განძრეულა.

— ძია, შენ ღონიერი ხარ? — მკითხა ლაშამ.

— ისე, არაუშავს!

— აბა, ხელი მოლუნე! — მე მოვლუნე ხელი და კუნთი დავებრე. ბიჭი საჩვენებელი თითით დააწვა ჩემს კუნთს, მოწონების ნიშნად დაასლოქინა და მკითხა:

— მთაზე ღონიერი ხარ?

— აბა რა!

— დათვზე?

— კი! — ავიბზუე ტუჩი.

— ძია სტალინს მოერევი? — მკითხა ბავშვმა უცებ და პასუხის მოლოდინში გაინაბა.

მე აქეთ-იქით გავიხედე. გოგონაც სმენად იყო ქვეული და ელოდა რას ვიტყვოდი, მე ხმას არ ვიღებდი.

— ძია სტალინს მოერევი? — მკითხა ახლა გოგონამ.

— იმას რა მოერევა, ბიძია! — ვთქვი მე და ავდექი. ბავშვებმა შევბით ამოისუნთქეს.

— გეყოფა, უკვე დიდი ხარ! — ვუთხარი მე ლაშას, მხრებზე ხელი მოვკიდე. ავწიე ოდნავ და მიწიდან ამოვთხარე. ბიჭმა ფეხები შეათამაშა, მერე ერთმანეთზე მიაბაჯუნა და მიწა ჩამოიბერტყა.

— ნახვამდის, სახლში რომ მიხვალ, ძილისწინ კარაქიანი პური ჰამე და დილას სულ დიდი, დიდი ადგები. — ვაკოცე და მიწაზე დავესვი.

— მიღიხარ, ძია? — მკითხა გულდაწყვეტილმა ლაშამ.

— მივდივარ, აბა შენი კუნთი მაჩვენე? — ლაშამ წვრილი მკლავი მოღუნა, კისრის ძარღვები დაქიმა, სუნთქვა შეიკრა და მომაშტერდა.

მე თითი დავაპირე კუნთზე.

— აუჰ, შენ ვინ ყოფილხარ, კაცო! — გამოიკვირა მე, ლაშა გაიბადრა და იას გადახედა.

— ხვალ უფრო ღონიერი ვიქნები, კარაქიან პურს შეგვამ! — დამაიმედა ლაშამ.

— აბა, შენ იცი, თუ ძმა ხარ, არ დამაღალატო!. — ვთხოვე მე და ბალიდან გამჩვედი.

* * *

ჩემი ოთახი, ვარაზის ხევის მარჯვნივ რომ. სახლი დგას, იმის მეოთხე სართულის შუაგულშია. აღმოსავლეთით და დასავლეთით კეთილი მეზობლები მესაზღვრებიან, ჩრდილოეთიდან ვარაზის ხევის ამოსავსებად მოთრეული ნაგავი, სამხრეთიდან კი, სამხარეულოზე გავლით უნივერსიტეტი. ოთახის ფართობი 26 კვადრატული მეტრია, მაგრამ საბინაო სამმართველოში გატარებულია როგორც 20, ბინის ქირის შეღავათიან ფასებში ვადახდის კეთილშობილური მიზნით. ოთახის ავეჯი ორი საწოლით, ერთი საწერი მაგიდით, სამი სკამითა და ერთი კარადით განისაზღვრება. კარადში სმინახევიანი თეფში და 4 ჭკა აწყვიდა თავისი კოვზებითა და ჩანგლებით. რაც შეეხება ტანსაცმელს, მისი საკიდი

მე თვითონ ვარ, რაც გამაჩნია ხელე მაკვია, ამიტომ ოთახიდან გამოსვლის დროს გასაღებს პირველნაგვე შემსვედრ მეზობელს ვუტოვებ, ან კარს, საერთოდ ღიად ვტოვებ.

კიბეზე უხალისოდ ავდიოდი. დერეფნის კარი ღია დამხვდა, ოთახის კარი შევალე და ადგილზე გავქვავდი. ტანში ერთნატივლად დამიარა, მუხლები მომეკვითა. ჩემი ოთახი სავსე იყო მეზობლებით. ისინი გარს შემოხვეოდნენ საწოლს, რომელზეც შუახნის, ჰალარა, საოცრად დაღლილი, თეთრი სახის, გამხდარი ქალი იჯდა. იგი ოდნავ, ოდნავ იღიმებოდა და სუსტი ხმით ყვებოდა რალაცას. ჩემთვის ყურადღება არავის მოუქცევია. ჰალარა ქალმა მშვიდად შემხედა, ცოტა ხანს მიყურა. მერე ისევ განაგრძო ამბავი. მეზობლები სინანულით თავებს იქნევდნენ აქეთ-იქით. ჰალარა ქალმა უცებ საუბარი შეწყვიტა და ისევ დამაქცერდა, ახლა უფრო ხანგრძლივად და დაეინებით, მერე თვალეში მეზობლებისკენ გაექცა, მეზობლები კარებისკენ შემოტრიალდნენ. ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მე შესმოდა მხოლოდ ჩემი გულისცემა, ვილაცის სკამის სულისწამლები ჰრიალი, მეტი არაფერი. ჰალარა ქალი თვალს არ მაცლებდა, მერე მან შეშინებული თვალეშით შეხედა ჩემს კარის მეზობელს ელიკოს. ელიკომ თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად, მაშინ ჰალარა ქალი ადგა, მას ხელები და ტუჩები უკანაკლებდა, იგი საოცრად გავდა იმ ქალს, რომელმაც ამ ოთახში 12 წლის წინ, ღამის ოთხ საათზე გამაღვიძა, პირველი გადაშასა და შეკრძნე მაკოცა. მერე იგი წაიყვანა ორმა მამაკაცმა, რომელთაგან ერთი შეშინებული ჩანდა, მეორე კი იღიმებოდა და პირი ვერცხლის კბილებით ჰქონდა გამოტენილი. ეს იყო ჩემი დედა. ახლა მე და მას სულ სამი ნაბიჯი გვაცილებდა. იგი მოდიოდა ჩემსკენ ნელი, ძალიან ნელი ნაბიჯით, უკვე შესმოდა მისი სუნთქვა, მინდოდა შეგბრუნებულიყავი და გავქცეულიყავი, მაგრამ არ შემეძლო, მე უბრა-

ლოდ დავხუჭე თვალები და ველოდი რა მოხდებოდა. მერე მე ვიგრძენი მისი თავი ჩემს მხარზე და გავიგონე ჩემი ჩურჩული:

— გამარჯობა, შვილო...

გამარჯობა, შვილო, და ასე განუწყვეტლივ, დიდხანს, ძალიან დიდხანს, გამარჯობა, შვილო... მე მივხვდი, რომ იგი ელოდა პასუხს, — გამარჯობა, დედა, — მაგრამ მე ვერ შევეძელი.

— გამარჯობათ, ქალბატონო!.. — ვთქვი და ტირილი დავიწყე.

. . .

სამზარეულოში ვზივარ და უნივერსიტეტის წინ ჩარიგებულ ქაღალბს ვუცქერ. ერთი, ორი, სამი, ოთხი... მუზობლები დაწვნიენ ალბათ, ელიკო აღარ შემოდის და აღარ მეუბნება — შედი, ბიჭო, ოთახში, ქვა ხომ არ ხარ, ცოდვია ის ქალი... ხუთი, ექვსი... ალბათ ისიც დაწვა, არაფერი არ მკითხა, რომელ კურსზე ვარ, რომელ ფაკულტეტზე ვსწავლობ, როგორ ვარ... შეიდი, შეიდი ქადარია, ალბათ წლის ჩაგდებით რგავდნენ, თორემ მეშველედ ქადარი ყველაზე დიდი რატომ უნდა იყოს... ახლა შევალ ოთახში და ვეტყვი — დაიძინე, დედა? ეს რა კითხვაა?.. ვკითხავ, როგორ ხარ, დედა, ან არ გეწყინოთ, ქალბატონო... არა, ამის თქმა არ შეიძლება... ეს, ალბათ, ბოლო ტრამვია, ჩივილის და დილის ოთხ საათამდე აღარ ამოივლის. ამ ვატმანს ვიცნობ, წინა ბაქნიდან მიშვებს ხოლმე, თან იკრძება — ჯიგარო, დეპუტატი კი ხარ, მაგრამ ბილეთის აღება არ დავაგვიწყდეს. წავიდა... ძინ, ძინ, ძინ... ეს საათი ჩემი მხრიდან ღამის პირველ საათს უჩვენებს, იქითა მხრიდან, ალბათ, თენდება; ახლა შევალ და რამეს ვეტყვი. რას? არ ვიცი... იქნებ თვითონ მითხრას რამე...

ფრთხილად შევალე ოთახის კარი. დედის ხელები ამოედო თავქვეშ და კერს უცქეროდა. ჩემ საწოლთან მივედი და დავწვი. ვიწვი, ალბათ, ერთი საათი,

იქნებ, ორი, იქნებ ერთი წუთი ან მთელი 12 წელიწადი. გავიხსენე დედა, რომ დლიდან დღემდე, დავხუჭე თვალები და თვალწინ დადგა ყველაფერი, ისე ცხადლივ, როგორც ის შეიდი ქადარი, მაგრამ არსად არ იყო დედა, ვიყავი ან მარტო, ან სხვასთან, ვიყავი ყველგან და ყველასთან, და არსად არ იყო დედა. ახლა, მე და ის ვიყავით ერთ ოთახში, ეს არ იყო სიზმარი, ეს იყო ცხადი, როგორც შეიდი ქადარი უნივერსიტეტის წინ. ახლა ჩვენ ვიწვიით ოთახის სხვადასხვა კუთხეში ერთნაირად უბედურები, რადგან ეს ბედნიერი დღე დადგა.

ღმერთო, ნუთუ არაფერს არ მეტყვის, იქნებ მე უნდა ვუთხრა რამე?

— თემური! — გავიგონე ძალიან ჩემი ხმა.

— თემური, თემო!.. — ხმა ვერ ამოვიღე, გული ყელში მომეხჩინა.

დედა ადგა, მას კოჭებამდე თეთრი პერანგი ეცვა და მოჩვენებასავით უანლოვდებოდა ჩემს საწოლს, იგი მოვრდა და ჩემს წინ მუხლებზე დაეშვა, თვალები დავხუჭე. მისი ათრთოლებული ხელები საფეთქლებზე შემეხო;

— თემური, ჩემო პატარა ბიჭო, თემო, თემიკო. გამეცი ხმა, შვილო! — მე მინდოდა მოვმკვდარიყავი, დავყრუებულყავი, მეიკვლა, დამეძახა მუზობლებისათვის, რომ ეშველათ ჩემთვის.

— თემური, რამხელა ხარ, ბიჭო, რამ გავზარდა, დედა, ვინ გავზარდა, ჩემო ბიჭო, ჩემო თემიკო, შენ იცი, რომ ხვალ ოცი წლის ხდები?.. რატომ, რატომ მერე? რატომ რვა წლის არა ხარ ისევ, ჩემო პატარა ბიჭო, რატომ რვა წლის არა ხარ, რატომ, რატომ არა ხარ... — იგი დამემხო მკერდზე და ატირდა. მე ლოგინიდან წამოვდექი, წამოვყენე ფეხზე, მარბზე ხელი მოვხვიე, თავის საწოლთან მივიყვანე და დავსვი.

— რატომ, რატომ... — იმეორებდა იგი.

— დაწყნარდით, თუ შეიძლება, ძალიან გთხოვთ! — როგორც იქნა ამო-

ვიღე ხმა. დედამ სახეზე აიფარა ხელუ-
ბი და ცოტათი დაწყნარდა. მე ჩემს
საწოლთან მივედი, მერე უკან მოვიხე-
დე. დედა ისევ ისე იჯდა. ტანზე ჩაე-
ცვი და ოთახიდან ფეხაკრეფით გამო-
ვედი.

* * *

ვარაზის ხევიტ დავეშვი. მდინარე ვე-
რის მარჯვნივ მიმავალ ბილიკს ავეყვი
და ფასკუნჯებიან ხიდთან ამოვედი. ქუ-
ჩაში ადამიანის ჭაჭანება არ იყო. მარ-
ტო თერთმეტსართულიანი სახლის ბო-
ლო სართულის მარჯვენა ფანჯარაში
ენთო სინათლე და, რომ შევხედე, ისიც
მონუსხულივით ჩაქრა. საიდაც ჩელუ-
სკინელების ხიდის გაღმა მილიციელმა
გაბმულად დაუსტვინა, თითქოს ქვეყა-
ნას ამცნო: ახლა კი ოფიციალურად და-
ლამდაო, მერე ერთხელაც დაუსტვინა
უფრო გაბმულად, აჟ-ო და, ქვეით
იყავითო და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.
ვერა ხმაურობდა სასიამოვნოდ, ისე
სასიამოვნოდ, რომ თუ არა მისი ხმაუ-
რი, ალბათ ასეთი საეცე სიჩუმე არ იქ-
ნებოდა. მოედანი გადავჭერი და თერთ-
მეტსართულიანი სახლის გასტრონომ-
თან მივედი. გასტრონომის დიდი კარე-
ბის წინ, პირდაპირ ქვის კიბეზე, ცხვრის
ქურქში გახვეული ღამის დარაჯი იჯ-
და, კალთაზე ცალსულიანი ცენტრალი
ედო გარდიგარდმო, და კასრში გაღვი-
ვებულ ნაკვერჩხლებს ხელისგულებს
აფიცებდა. მივუახლოვდი. მან ცალი
თვალით ამომხედა ისე, რომ თავი არ
აუწვევია და საქმე განაგრძო.

— გცივა, ბიძაჩემო? — ვკითხე მე.

— მსცელა! — მიპასუხა მოკლედ და
კასრში გარუჯული ჯოხი აფრია.

— შეიძლება ცოტა გავთბე?

— არ შეიძლება!

— რატომ?

— არ ვიცი, არ შეიძლება და მორ-
ჩა! — მომიჭრა მოხუცმა. მე მის წინ
გავიარ-გამოვიარე, მერე გავჩერდი და
ისევ ვკითხე:

— ესე იგი შენ ამბობ, რომ არ შეი-
ძლება?

— მე კი არ ვამბობ, უსტავი ამბობს!
— მიპასუხა მან და ~~დასრულდა~~ ~~აწვეა~~
იკადრა.

— წესდება, არა? — გავუსწორე მე.

— რა გინდა, შვილო, შარი ხომ არა
ხარ, გაიარე, მე სამსახურში ვარ. შენ
ღვინოს ინელეზ, სხვა ადგილი ვერ ნა-
ხე?

— არაფერს არ ვინელეზ. კაცო, უბ-
რალოდ დაველაპარაკე.

— ჰოდა, გაიარე ახლა!

მე გავიარ-გამოვიარე, მერე ისევ
გავჩერდი. დარაჯმა უბეში ხელი ჩაიყო
და კისერზე უშველებელი ბაწრით დაზ-
მული სასტვენი ამოიღო.

— სამამდე ვითვლი, არ გაივლი, ვუს-
ტვენ. — გამაფრთხილა მან, სასტვენი
პირთან მიიტანა და ლოყები დაბერა.

— მოიცა, კაცო, რა მოგივიდა, ქურ-
დი ხომ არ ვარ? — გავაჩერე დარაჯი.

— ერთი!.. — დაიწყო მან.

— არ გრცხვენია, რამ შეგაშინა? —
ვუთხარი მე და ჯიბეები ამოვიტრიალე.

— ნახე, არაფერი არ მაქვს, ისე, ვილა-
ცას მინდოდა დაველაპარაკებოდი და
შენთან მოვედი. თუ გინდა წავალ! —
ვუთხარი მე და ისეთი გამომეტყველე-
ბა მივიღე, თითქოს ძალიან მეწყინა და
წასასვლელად ვემზადებოდი. — ნახ-
ვამდის! — პლაშჩის დიდი გავიხსენი
და ისევ შევიკარი.

— წადი, შვილო, თუ მიდიხარ, ვაა,
ეს ვინ ყოფილა?!.. — გააგრძელა და-
მის დარაჯმა.

— აა, გეშინია? — ნიშნისმოგებით
გავაგრძელე მეც.

— რისი უნდა მეშინოდეს, თოფი აქა
მაქვს, სასტვენი აქა მაქვს! — ეწყინა
მოხუცს.

— თოფი, თორემ რელსი არ გავხრი-
ტოს ერთბაშად! — დავუწუნე შეიარა-
ღება.

— წადი, ორმოც ნაბიჯზე დადექი და
მერე ვნახოთ! — დამენიძღვა მოხუ-
ცი.

მე შევტრიალდი, ორმოცი ფეხის ნა-
ბიჯი გადავთვალე და შუა მოედანზე
აღმოვჩნდი. მერე პირით მოხუცისკენ



შემოვტრიალდი, გული გავიღეღე, ტყვედნავარდნილი პარტიზანივით ფეხები გავჩაჩხე და სასიკვდილოდ მოვემზადე. მე მოხუცის თვალებს ვერ ვხედავდი, მაგრამ აშკარად ვგრძნობდი, რომ გიყი ვეგონე!

— მიდი, შე დედალო! — წამოვიხროლე უკანასკნელი ლოზუნგი.

მოხუცი დინჯად წამოდგა, გზის პირს მოადგა. საკეტი ააჩხაქუნა, თოფი მხარზე მიიბჯინა, ზედ ლოყა მიასვენა და, როგორც შევატყე, შიგ შებლში დამიმიზნა.

— ეეე, გაგიყდი! — ვიბღავლე მე და მოხუცისკენ ზიგზაგებით გამოვქანდი. გულამოვარდნილი მივევარდი, მოხუცს თოფი ჩამოვდო და ლულაზე ორთავე ხელით დაყრდნობილი ისე გულიანად ხითხითებდა, რომ ბრაზი მომივიდა.

— შენ, ჩემო ძმაო, გიყი ყოფილხარ! — ვუთხარი. მოხუცი ხითხითს არ ათავებდა. მე ხელი ჩავიჭინე, მივედი და კართან დავვქექი. ბოლოს, სიცილით გული რომ იჭერა, თვითონაც მოვიდა და ჩემს გვერდით დაჯდა.

— რა გაცილებს, კაცო?
— შეგეშინდა, მაიმუნო? — მითხრა მან და ისევ ჩაბჯირდა.

— თუთუნი ხომ არ გაქვს? — ვკითხე მე და თვალი ავარიდე.

მოხუცმა დიდხანს მიყურა, ქისა ამოიღო ქურქის ჯიბიდან, მომაწოდა და ფეხზე ადგა. მე თამბაქო გავახვიე და ქისა უკან გავუწოდე. მან ქისა ჩამომართვა და თვითონაც გაახვია. თან თვალს არ მაშორებდა. როდესაც გავაბოლდე, დაჯდა.

— ეგრე ვეტყვა თავიდან, თუთუნი გინდოდა. — თქვა მან.

მე ერთი ნაფაზი დავარტყი და თუთუნი კასრში ჩავაგდე. გაკვირვებულმა მოხუცმა თუთუნს თვალი გააყოლა, მერე თავი გაიქნია და ამოიხარა:

— შენს თავზე რალაც კარგი ამბავი არ არის!

მე არაფერი არ ვუპასუხე.

— არ ეწევი?

— კი! — ვუპასუხე მე.

— რად გადააგდე?
— არ ვიცი.
— ცუდი იყო?
— არა, კარგი. — მოხუცი ისევ დედუშდა.

— დღეს რა დღეა? — მკითხა უცებ.

— ორშაბათი!

— ორშაბათი თარსი დღეა, შაბათი.

— თქვა მან.

— შაბათი რატომ?

— შაბათს, ელიას უბანში... კოლას იცნობ, შაშუბეშას?

— არა.

— ჩემსავით ყარაუღია.

— ჰოო...

— ჰოდა, შაბათს ელიას უბანში... ახლა რომელი საათია?

— ოთხი იქნება.

— ორ საათზე, შენსავით ორი ჯეელი მისულა კოლასთან, ისიც ჩემსავით ყარაუღია, ოღონდ იმას პატარა მალაზია აბარია, ჩემი — გასტრონომია. ჰოდა, მისულან და შენსავით თუთუნი უთხოვიათ. კოლას აუღია და ჩემსავით, აი, როგორც მე შენ, ისე მიუცია. იმათ აუღიათ და ეს თუთუნი კოლასთვის შიგ თვალეებში შეუყრიათ. სანამ კოლა თვალეებს იწმინდავდა, პირიც აუკრავთ, თოფიც წაუერთმევიათ, ოღონდ იმისი გეკო იყო, ჩემი ცენტრალია, მერე უთქვამთ — ხმა არ ამოიღო, თორემ მოგკლავთო. კოლას გულში უფიქრია — ხმას როგორ ამოვიღებ, პირი აკრული მაქვსო, და გაჩუმებულა.

— მერე?

— მერე რა? მალაზია გაუტეხიათ. კოლასთვის ერთი ორი უთაქებიათ, — შე ვირიშვილო, თუ მალაზია ცარიელია, რა ჩვენს ფეხებს ყარაულობო. — კოლას გულში უფიქრია, — მალაზია რომ სასვე იყოს, მე ვინ მანდობდაო, და ისევ გაჩუმებულა.

— არაფერი არ წაუღიათ? — ვკითხე მე.

— სასწორი წაიღეს და 10 გირი, ასი გრამიდან სამ კილომდე. დირექტორის ოთახში დიდი კედლის სარკე რომ ეკიდა, ისიც თან წაუღიათ.

— მერე?

— ახლა, ვიდრე იმათ იპოვიან, წალე-ბული საქონლის საფასურს კოლა იზღის.

— მილიცია რას ამბობს?

— მილიცია არ ვიცი, კოლა კი ამბობს, ერთხელაც რომ მოვიდნენ, ვიცნობო! — დაამთავრა ამბავი მოხუცმა და ნდობის ნიშნად ქისა ისევ მომაწოდა.

— მოწიე! — მითხრა მან. მე ქისა ჩამოვართვი და თუთუნე გავახვიე, თვითონაც გაახვია. ერთად გავაბოლეთ.

— რა გქვია? — მკითხა დუმბაძის შემდეგ.

— თემო! — ეუბასუხე მე.

— რა გვარი ხარ?

— ბარამიძე.

— მე ართავაზა მქვიან, სომეხი ვარ!

— ჰოო?

— ჰო, სომეხი ვარ... შენ რა, სახლი არა გაქვს? — მკითხა ართავაზამ. ცოტა ხნის შემდეგ კეფა მოიფხანა და ისევ ცალი თვალით გამომხედა.

— მაქვს.

— კაცს რომ სახლი აქვს და შიგ არ შეესვლება, ესე იგი, არა აქვს! — თქვა თავისთვის ართავაზამ.

— შენ დედა გყავს? — ვკითხე ახლა მე.

— ეგლა მაკლია! — გაიღიმა ართავაზამ.

— დედა ხანია არა გყავს?

— დიდი.

— რამდენი წლის იყო?

— მე 61 წლის ვიყავი მაშინ. დედა ჩემი არ ვიცი.

— ცოლი გყავს?

— არა!

— შვილი?

— შვილი რომ მყავდეს, აქ ვიმუშავებდი?! — ეწყინა ართავაზას. მე გავჩუმდი.

— შენ? — მკითხა დუმბაძის შემდეგ ართავაზამ.

— რა მე?

— შენ გყავს დედა?

— დედაჩემი გუშინ ჩამოვიდა.

— მერე შენ ქუჩაში დადიხარ?

— დედაჩემი გადასახლებდნენ ჩამოვიდა.

— საიდან?

— ციხიდან გამოვიდა!

— როგორ ციხიდან?

— აი, ისე, გაუღეს კარი და გამოვიდა!

— მერე, შე ბემურაზო, დედაშენი ციხიდან გამოვიდა და შენ აქ ჩემთან ზიხარ? — ართავაზა ფეხზე ადგა, მერე ისევ დაჯდა. მოედანზე პირველმა მორიგე ტრამვაიმ ჩაიარა ბორბლების კრიალითა და ხრიგინით. მე ცას ავხედე. ღამე გაფერმკრთალებულიყო, საღლაც სვანეთის უბანთან, კახეთისაკენ მიმავალმა თუ იქიდან მომავალმა ორთქლმავალმა გაბმულად იკივლა. დილა ნარიყალას მხრიდან შემოდის და თბილისში.

— ადექი! — თქვა ართავაზამ. მე არ ავდექი.

— ადექი, ჩემი სამუშაო მორჩა, უკვე თენდება! — მე ავდექი და მოედნი-საკენ წავედი.

— სად მიდიხარ, ბიჭო? — მკითხა ართავაზამ.

— არ ვიცი! — ავიჩიჩე მე მხრები.

— მოიცა, მეც იქით მოვდივარ! — თქვა ართავაზამ. თოფი მხარზე გადაიკიდა და წამოვიდა. მოედანი გადავკე-რით, ლენინის ქუჩის აღმართს შევეყე-ვით, ართავაზა გვერდით მომყვებოდა, სიარული ცოტა უჭირდა, ამიტომ ნაბიჯს ვუყელი. დილის სიგრილემ შემა-ყრეოლა. საწვიმრის საყელო ავიწიე და ჯიბეებში ხელეზი ღრმად ჩაყავი. მი-ლიციას რომ გავუსწორდით, ართავაზა შეჩერდა, მილიციის წინ ახალგაზრდა მილიციელი მოტოციკლეტს ქოქავდა, ცალ ფეხს ზუსტად ისე იქნევდა, ძალ-ლებმა რომ იციან ჩხუბის წინ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა, მოტოციკლეტი ერთს დააცემინებდა და ისევ დუმდებო-და. მილიციელმა, ჩვენ რომ დაგვინახა, ფეხი გააჩერა.

— ჰა, ართავაზ, დღეს რაღაც ადრე მიგიტოვებია პოსტი, აი! — გამოსძახა ართავაზას ილღის ქვეშედან.

— იმ შიმშილისგან გულწასულ ორ ვირთხას რომ ამდენ ხანს ვდარაჯობდი, ისიც მეტია. — უპასუხა ართავაზამ.

— შენ აქ დამიკადე, ახლავე გამოვალ! — მითხრა მე და მილიციაში შევიდა.

— არ იქოქება ეს შობელაძალი! — მითხრა მილიციელმა და მოტოციკლეტს ძრავაში მიაფურთხა.

— დაგორე დაღმართზე და დაიქოქება! — ვუთხარი მე.

— ზევით ვარ წასასვლელი! — გაიმართლა თავი მილიციელმა.

— შე კაცო, ჯერ ქვევით წადი და მერე მოუხვიე ზევით! — ვასწავლე მე.

მილიციელმა მადლიერად გამიღიმა და მოტოციკლეთი დააგორა. ართავაზა მილიციიდან გამოვიდა, თოფი თან აღარ ჰქონდა. ეტყობა სამორიგეოში დატოვა.

— ვინ არი? — ვკითხე მე და თავით მილიციელზე ვანიშნე.

— სულელია, ყოველ დღით ეგრე ქოქავს. წამოდი! — მითხრა და მხარზე ხელი დამარტყა. წავედით. მთელი გზა სიტყვა არ უთქვამს. სასადილო „გემოსთან“ გაჩერდა. მეც გაეჩერდი.

— ჩავიდეთ! — მითხრა ართავაზამ. მე მხრები ავიწურე და თვალები დაეხუჭე.

— ჩავიდეთ! — გაიმეორა მან და ჩავიდა. ჩავეყვი. სულ ბოლო მაგიდასთან მივიდა, ქურჭი გაიხადა, სკამზე გადავიდა და დაჯდა. მე არ გამიხდია, ისე დაეჯექი. სარდაფში ნივრის, ნახარში ხორცისა და თამბაქოს კვამლის სასიამოვნო სუნი ტრიალებდა. მაგიდები ჯერ კანტიკუნტად იყო დაკავებული, მაგრამ ხალხი განუწყვეტლოვ ჩამოდიოდა სარდაფში. ოფიციალტი მოვიდა და ჩვენს წინ გულგრილად დადგა.

— ორი ზაში, ორი არაყი, ერთი ლიმონათი! — თქვა ართავაზამ. ოფიციალტმა ჩაიწერა.

— ზაში ჩლიქიანი იყოს! — თქვა ართავაზამ.

— ძროხას ოთხი ჩლიქი აქვს! — თქვა ოფიციალტმა.

— რვა! — გაუსწორა ართავაზამ. —

ახლა წადი და მოიტანე. — ორ წუთში მე და ართავაზა ზაში ნივრისგანაფეხბდით.

სარდაფი თანდათან ივსებოდა სახედაბივენივთული, დასიებული, თვალედასისხლიანებული, ცხვირდაწითლებული, მთელი ღამის უძილო და ნაქეიფარი ხალხით.

— ერთი ზაში, ორი არაყი!

— კიდევ ორი ას-ასი!

— ერთიც მშრალი!

— ზაშია თუ პადოში, ოფიციალტ!

— საჩივრის წიგნი და დირექტორის გადიდებული სურათი!

— ეგ ჯიგარი პრაჩკას წაუღე!

— აფიციალტ, ვივოდკა არა გაქვს?

— ვირიშვილო, ამ ძელეებით კამათელი გამოვთალო თუ კოჭი ვითამაშო, ხორცი მიიტა!

ისმოდა აქეთ-იქიდან, ოფიციალტები გულგრილი ღიმილით დააფრიალებდნენ ზაშის ჯამებს, მერე საანგარიშოებს ანხაკუნებდნენ, დროს იხელთებდნენ თუ არა, სუფრაზე მიტოვებულ ნაარყალ ჭიქებს პირში იმზობდნენ, ბინძურ სახელოებს იყნოსავდნენ და თვალებს ნაბავდნენ. საკუთარ ოფლში გახვითქული სარდაფი ოხრავდა, კენსოდა, ხარხარებდა, ყვიროდა, ბლაოდა, ბარბაცებდა და კვამლში გახვეული დაღლილი კაცივით მძიმედ სუნთქავდა!

— შეგვეწიოს! — თქვა ძია ართავაზამ და ჭიქა მომიჩახუნა.

— შეგვეწიოს! — ვთქვი მე და გადავკარით.

— შეიძლება? — გვეითხა მალაღმა, გაფითრებულმა ინტელიგენტმა, ჩვენს მაგიდან მოადგა და მესამე სკამის ზურგს ორთავე ხელით დაეყრდნო.

— არ შეიძლება! — უთხრა ართავაზამ.

— ვა? — გაუკვირდა გამხდარს. — რატომ არ შეიძლება?

— მე ტიფი მაქვს, ამას ჭლექი! — მიუთითა ჩემზე ართავაზამ. გამხდარმა ეჭვით გადაგვხედა და მოგვიკლდა.

— ოფიციალტ! — დაიძახა ართავაზამ. ოფიციალტი მოვიდა.

— უგ სკამი წაიღე და ორი ას-ასიკ მოიტანე! — უთხრა ართავაზამ.

ოფიციალტმა სკამი წაიღო და ერთი ბოთლი არაყი მოიტანა.

— რაც დაგრჩებათ უკან წავიღებ! — თქვა მან და გვერდზე გადგა. ართავაზამ დაასხა.

— ეს, ჩემო...

— თემო! — გავახსენე მე.

— ეს, ჩემო თემო, მე და შენს გაცნობას გაუმარჯოს... — ისევ მომიჯახუნა ძია ართავაზამ.

— გაუმარჯოს! — ვთქვი მე და გადავკარი, მერე ვიკრძენი, როგორ ჩაიარა არაყმა ყელი, ჩაიღვარა სხეულში, შეუერთდა სისხლს, მერე დაიარა ყველა ფოსო, ყველა უჭრედი, ყველა ძარღვი, დამბრუნდა უკან, შემიხურა სახე და დამიბუჯა საფეთქლები. დაღლილი ჭუთუთოები თავისით დამეხურა. დარბაზი სიბნელეში ჩაწვა, მერე თანდათან გაოღვა სიბნელე და წინ ვარდისფერი ნისლი დაიღვარა ათასი თეთრი, თეთრი, მოციმციმე ვარსკვლავით. თვალები გავახილე. ნისლი გაიფანტა. ნელ-ნელა ამოცურდა ნისლიდან ჭერ უფორმო სახე, მერე სწორი, ლამაზი, ოდნავ ნაცვავილარი ცხვირი, შავი წარბები, გაუმარჯავი წვერი და მერე საოცრად მშვიდი, წყლიანი და დაღლილი, თაფლისფერი თვალები, დიდრონი, თაფლისფერი, სიბერით ოდნავ მოჭუტული და მშვიდი თვალები. მე მიცქეროდა ეს კითხვად გადაქცეული თვალები დიდხანს, დაუხამხამებლად. ისინი რალაცის თქმას ელოდნენ ჩემგან, მივხვდი, რომ ისინი არაფერს იტყოდნენ, ვიდრე მე არ ვიტყოდი და მაინც არაფერი ვთქვი. მაშინ ძია ართავაზამ ისევ დაასხა.

— ეს, ჩემო თემო, გაუმარჯოს კაცს, რომელიც ღამით დადის და კაცს დაეძებს, ეს გაუმარჯოს კაცს, რომელიც ღამით ზის და კაცს ელოდება. მერე გაუმარჯოს კაცს, რომელსაც ღამით არ სძინავს, ზოგს იმიტომ, რომ არ ეძინება, ზოგს იმიტომ, რომ ეძინება, მაგრამ არ უნდა დაიძინოს. ისე კი, ორთავე დღეს ელოდება. ჰოდა, გაუმარჯოს ღამეს,

რომელიც თენდება... — ძია ართავაზამ ისევ დალია, არ მომიჯახუნა, ერთი კოვზი ხაში დააყოლა და ისევ მომიჯახუნდა. მე ისევ არაფერი არ ვთქვი და დავლიე. მაშინ ძია ართავაზამ ისევ დაასხა. მე მივხვდი, რომ იგი აღარ დალევა, ვიდრე ჩემს სათქმელს არ ვეტყოდი და ჰიჭავილე.

— შენ, ძია ართავაზ, გათენებას ელოდები. მე ახლა მთვრალი ვარ. შენ რამდენი წლისა ხარ, ძია ართავაზ?

ართავაზა სდუმდა.

— შენ გეკითხები, რამდენი წლისა ხარ? — არ მოვეუწვი მე.

— ორასის!

— აი, ზომ ზედავ, ორასი წლისა ხარ... მე ოცი წლისა ვარ, დღეს ჩემი დაბადების დღეა! აი, შენ ორასი წლის ხარ და გათენებას ელოდები, მე კი... რას მიკუთრებ. მე გათენების მეშინია, იცო შენ? არ იცი. მე გათენების მეშინია, სახლში მისვლია მეშინია. აბა, თუ იცი რატომ? არ იცი?..

— რატომ, ბიჭო, რატომ?! — მკითხა ართავაზამ და ისედაც წყლიანი თვალები სულ აევსო ცრემლით.

— რატომ და სახლში ახლა ერთი ქალი მელიოდება, იგი ზის საწოლზე, თეთრ პერანგში, აი, ამხელა თეთრ პერანგში, კოჭებამდე პერანგში ზის და მელიოდება, უცხო ქალი, სულ უცხო, უცხო, უცხო, იცი შენ რა არის უცხო? ის ქალი დედაჩემია, თორმეტი წელი არ მინახავს... ახლა მელიოდება, რომ დედა დავუძახო, მე კი ვერ ვუძახი, გაიგე?.. იმიტომ, რომ მრცხვენია... კი არ მრცხვენია, მეშინია... კი არ მეშინია, გადავეჩვიე... გაიგე? — ძია ართავაზამ თავი დამიქნია. — ჰოდა, ასე... — დავამთავრე მე სიტყვა და დავლიე. ართავაზამ დიდხანს მიკურა, მერე ჰიჭავილო.

— ეს იმ დედას გაუმარჯოს, თემო, თორმეტი წელი რომ შვილი არ უნახავს, თორმეტი წელი იჭდა, ელოდა და ჯიჯარი არ გაუხმა, მაინც თავისი ლეკვი მონახა და შვილი დაუძახა. იმ დედას გაუმარჯოს, ღამე რომ არ სძინავს, იმი-

ტომკი არა, რომ არ უნდა დაიძინოს, იმი-
ტომ, რომ არ ეძინება და გათენებას
ელოდება. იმ ღამეს გაუმარჯოს, ჩემო
თემური, რომელიც თენდება!.. — არ-
თავაზამ არაყი გადაჰკრა. მე ბოთლი
აგიღე, ართავაზამ ჩემს ჭიქას ხელის-
გული დააფარა.

— აღარ გინდა! — თქვა მან. მე ბოთ-
ლი დავდგი.

— ოფიციანტი! — დაუძახა.

ოფიციანტი მოვიდა.

— ანგარიში!

— ცხრა თუმანი! — ისე თქვა, არც
გაწითლებულა. ართავაზამ 100 მანეთი
მისცა და წამოდგა.

— სალოლ! — გაიღიმა ოფიციანტმა.

— შეგარგოს! — თავი დაუქნია არ-
თავაზამ და ჭურჭის ჩაცვა დაიწყო.

დარბაზი დაცლილიყო, დამლაგებე-
ლი ქალები სუფრებს ალაგებდნენ. მეც
წამოვდექი. ძალზე მთვრალი ვიყავი და
რომ არ წავეტეულოყავი, ძია ართავაზას
ხელი მოვკიდე. მან კიბეზე ფრთხი-
ლად ამიყვანა და ჭადარზე მიმაყუდა.

— შეგიძლია წასვლა? — მკითხა.

— ჰო!

— მაშ წადი, ნელა იარე!

— ძია ართავაზ, შენ არ წამოხვალ?

— სად, ბიჭო?

— ჩემთან!

— შენთან? ჰო, ოღონდ დღეს არა,
სხვა დროს.

— ახლა!

— ახლა კუკიაზე მივდივარ!

— კუკიაზე რა გინდა?

— დედაჩემის საფლავი უნდა ვნა-
ხო. — თქვა ართავაზამ...

— მეც წამოვალ...

— შენ სახლში წადი, მე კუკიაზე წა-
ვალ...

— ძია ართავაზ!

— რაო?

— მოდი, ვაკოცო! — ართავაზა მო-
ვიდა. ტუჩები ხელისგულით მოიწმინ-
და. შუბოზი მაკოცა. ვიდრე მეც ვაკო-
ცებდი, შებრუნდა და წავიდა. იგი მი-
დიოდა ოღონდ წილში მოხარული, რბე-
ვით, ფეხებს მძიმედ მიათრევდა, აღ-

ბათ ისიც მთვრალი იყო, გადასასვლელ-
ზე გადავიდა. აფთიაქთან რომ მივედი,
უკან მოიხედა, მე ისევ მქვედრდებოდა
ვეუცქეროდი. ართავაზამ ხელი ჩაიქნია,
შებრუნდა და ვერის დაღმართს დაჰყვა.
ჭადარს ხელი გაეუშვი და ფილაქანა გაე-
ყვევი არაყმა გამოქნია, ჯერ კედელს მი-
ვეხეთქე, მერე ისევ ხეს. შეეჩერდი.
სირცხვილია. აბა, სწორად თუ გავივ-
ლი, სწორად, სულ სწორად, აი იმ ხემ-
დღე. ჩქარი ნაბიჯით სკობს წასვლა. აბა,
წავედი. მივედი. ახლა იმ ხემდღე. ხალ-
ხი ქუჩაში მეჩხრად მოძრაობდა, ჯერ
ისევ აღრე იყო.

— უკაცრავად, რომელი საათია? —
გავაჩერე მოქალაქე.

— შეიდი! — მიპასუხა მან ისე, რომ
საათზე არ დაუხედავს. სულ არ მწყე-
ნია, ალბათ, ზეპირად იცოდა, ან მომა-
ტყუა, თავიდან მომიცილა. შეიძლება
საათი არც ჰქონდა, მერე რა, მეც ასე
ვაკეთებ ხოლმე, როდესაც მთვრალი
მაჩერებს.

— უკაცრავად, პაპიროსი ხომ არ
გექნებათ? — გავაჩერე მეორე მოქალა-
ქე. მან უკმაყოფილოდ ამოიოხრა და
ნაჩქარევად გამომიწოდა პაპიროსის კო-
ლოფი. ამას ასანთიც ექნება, მაგრამ
ისე ჩქარობს, ან არ მომიცილებს, ან გა-
ლანძღავს, შეიძლება გამლახოს კიდევ.
არაუშავს, სხვას გავაჩერებ.

— გმადლობთ, ჩემო ბატონო! — თა-
ვი დავუჯარი.

— არაფრის, ბატონო, არაფრის! —
მომახალა მან და სასწრაფოდ გამშორ-
და.

მელიქიშვილის ქუჩაზე გავიდი. გამ-
ყიდველები უკვე მალაზიის კარებს აღე-
ბდნენ.

— უკაცრავად, ასანთი ხომ არ გექნე-
ბათ... — მივედი ერთ-ერთთან, რომე-
ლიც კარებს ლუქს აძრობდა. მან უხ-
მოდ ამოიღო ჯიბიდან ბრტყელი ასანთი
და გამომიწოდა. მე მოვეუყიდე პაპი-
როსს და უკან გავუწოდე.

— შენთან იყოს, მე მეორეც მაქვს,
მითხრა მან და მალაზიის კარი გაუღო.

10.345



— გმადლობთ! — ვუთხარი მე და წავედი.

ეს ჩემი სახლის სადარბაზოა, ერთი საფეხური, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, ნეტავ რამდენი საფეხურია?.. ჩემს სიციცხლეში არ დამითვლია.. თუმცა, როგორ არ დამითვლია, ბავშვობაში მეტს რას ვაკეთებდი... მაგრამ არ მახსოვს, უკან ებრუნდები და ხელახლა ვითვლი. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, თერთმეტი საფეხურია. მე მეოთხე სართულზე ვცხოვრობ, ესე იგი რვაჯერ თერთმეტი... რამდენია რვაჯერ თერთმეტი.. რვაჯერ თერთმეტი ბევ-

რია... მთელი სიციცხლე უნდა იარო, მთელი სიციცხლე, ბოლომდე უნდა მიხვიდე... რვაჯერ თერთმეტი, ანუ ექვსი რონის ღილაკს ხელი დავაჭირე და ვიდრე დარეკავდა, კარი გაიღო. კარებში იდგა დედა, ჩემი დედა, ჭალარა და ლამაზი, ისეთი ლამაზი, როგორც თორმეტი წლის წინ, როდესაც იგი მსოფლიოში ყველა დედაზე ლამაზი იყო.

— გამარჯობა, დედა! — ვთქვი მე. დედა იდგა კარებში. იგი არ ტიროდა. იგი ილიმებოდა, თვალებიდან მდუღარე ცრემლები ჩამოსდიოდა და აცხცახცხულ ნიკაბთან ეკვრებოდა.

— გამარჯობა, დედა! — გავიმეორე მე.

გულიკო

ლოტკინის გორაზე ჯერ ისევ გაზაფხულია, თბილისში კი გავანია ზაფხულია. თბილისი იწვეს, დნება, ასფალტს ოსშივარი ასდის, თაკარა მზე დადის თუნუქის სახურავებზე, ინდებდა ყველა სახლის ფანჯარაში, შერე, დალოცვილი, დაეკიდება ქალაქს ზედ თავზე და ისე დიდხანს დასცქერის, გეგონებათ წასვლას არ აპირებსო. მტკვარი იღვევა, იღვევა, და ბოლოს ისე პატარავდება, რომ იმ დღეს ვიღაც თავზედი ფეხით ვადიოდა მუხრანის ხიდთან. ზაფხულია ახლა თბილისში და სახლში არ დაიდგომება. ჰოდა, ვიდრე მზე სახურავებზე ბორჩილს დაიწყებდა, მე ავდექი. დედა უკვე სამზარეულოში იყო და ჩაიდანს ადუღებდა. რომ დამინახა, გაშხადებულ ჭიქაში ფერი ჩაასხა.

— წადი, გაუღე, შვილო! — შითხრა მან.

მე კარი გავაღე. გურამს ოთახისკენ არც გაუხედიე, პირდაპირ სამზარეულოში შემოვივდი.

— გამარჯობათ, დეიდა ანიკო! — თქვა მან და თავის ჭიქას მიუჭდა.

— გავიმარჯოს, შვილო!

— გაიგე, თემო, ჩერჩილი იარაღს აქლარუნებს! — თქვა მან და წარბები შეიკრა.

— კარგი, თუ ძმა ხარ! — გავიკვირე მე.

— ჩემი თუ არ გჯერა, რადიოს კითხე. — გაიღმა მან ირონიულად.

— რაო, რადიომ? — ვკითხე ახლა მე.

— რადიომ თქვა, ჩერჩილი იარაღს აქლარუნებსო!

— შერე?

— შერე არაფერი, შევარცხვინე ის კაცი, იარაღს რომ ამოიღებს და არ იხმარს! — ისე თქვა, თითქოს პროფესიონალი მაუზერისტი ყოფილიყო.

— ვის უქლარუნებს, შვილო, იარაღს, რა თქვა რადიომ? — ვკითხა დედამ.

— ჩვენ გვიქლარუნებს, დეიდა ანიკო, ჩვენ! — დაწვა ბოლო სიტყვას გურამი.

— ომი გინდა ბიჭო? აღარ მოგბეზრდა ნავთის და პურის რიგში დგომა? — ვკითხე მე და ჩაი მოვსვი.

— ომი კი არა, ქვეყანა დაინგრეს შინდა! — თქვა მან და თითოთ ქვესკნელი გახვირტა.

— რატომ?

— იმიტომ, ამხანაგო ბარამიძე, რომ აღარ შემიძლია ამდენი ნერვიულობა, გამოცდაზე შტერავით ჯდომა, დაკარგული სტიპენდიის შეცხადება, მუხლების კანკალი, ყელის ბღღენა, ამომხდა სული

სამიანის ნატერაში, სტატისტიკის ჩამბარებელი მე. მაინც არ ვაო და ბარემ დაიწყოს, თუ დასაწყებია, ჩერჩილს მაინც დავაბრალებ. არ მაცალა ჩამბარება-მეთქი, არადა, მარტო მამაჩემის ანგლოზამ მომკლა.

— რაო, რა მინდაო?

— შენ რას გერჩი, შვილო, ჩემი დღეული ხარ, დებილები სკოლაში უნდა შემეყვანე, ოქროს მედალოსანი იქნებოდით.

— ვითომ? — შემეპარა ეჭვი.

— შენ ხუმრობ და რა ადვილი სწავლა ყოფილა თურმე. მაგალითად, მიმდინარეობს გამოცდა, კედელზე გაკრულია სურათები: ვაშლი, მსხალო, ატამი; გამოდიხარ, გამოცდელი გეკითხება:

— აბა, ბარამიძე, კარგად დააკვირდი, ნუ აჩქარდები, დაფიქრდი და ისე მიპასუხე, რა არის ეს? — და ხელს ადებს ვაშლს. შენ აკვირდები ვაშლს და პასუხობ:

— ვაშლი, პატივცემულო მასწავლებლო!

— ყოჩაღ, ყოჩაღ! ხუთი, ბარამიძე! — გეუბნება კმაყოფილი პედაგოგი და გიწერს ხუთს. თუ ვაშლზე იტყვი მსხალიო, მაშინ თოხს გიწერს, თუ იტყვი ატამიო — სამს.

— კომპოტი რომ თქვა?

— რას ამბობ, კომპოტზე ასპირანტურაში აწყობენ.

— ორს რაზე წერენ? — გამეცინა მე.

— ორს წერენ იმ შემთხვევაში, თუ ვაშლზე იტყვი ტრამეიაო!

— აბა, კი იქნებოდი, შვილო, ოქროს მედალოსანი. — დაამშვიდა დედამ. საზთავეს სიცილი აგეიტყდა.

ჩაის სმას მოვრჩით. მე კონსპექტები ავიღე.

— ნალე დაბრუნდებო? — გკითხა დედამ.

— დღეს გავათენებთ! — უპასუხა გურამმა.

კიბეზე ჩავიბინეთ, ხუთ ნომერ ტრამეაში ჩავსხედით, დასურულ ბაზრამდე, რა თქმა უნდა, უბილეთოდ ვიმგზავრეთ, იქიდან ათ ნომერში გადავკექით,

იმაშიც, რა თქმა უნდა, უბილეთოდ ვიმგზავრეთ. ნაძალადეთან ჩამოვედით და ლოტკინის გორას ფეხში შევკვდივით, ლოტკინის გორას, სადაც ჯერ ისევ გაზაფხული იყო, სადაც იდგა პატარა სახლი პატარა ეზოთი, დეზებიანი მამლით, ავი ძაღლით, პატარა ჩეროთი და სადაც კარგი, ძალიან კარგი გულიყო ცხოვრობდა.

გულიყო ჩემი თანაკურსელია და, როდესაც თბილისი დულს, მე და გურამი მასთან ვმეცადინებოთ. გარდა იმისა, რომ გულიყოს ეზოში გრილა, და მე და გურამს გვიხარია მასთან მეცადინება, გულიყოს კომკავშირის კომიტეტის მიერ დავალებული აქვს თვალყური ადევნოს ორებისა და სამების სწორ ბალანსირებას ჩვენს მატრიკულებში. ამ ბოლო დროს საქმე გართულდა, რადგან ორების კუთრი წონა შეკვეთრად გაიზარდა ჩემსა და გურამის შემოსავალში. მეცნიერების მწვერვალებისკენ მიმავალი ფართო შარავნა რომ არ არსებობს და რომ ამ მწვერვალებისკენ ვიწრო ბილიკებს მივყავართ, ეს მე და გურამმა პირველსავე კურსიდან ვიცოდით და ამიტომ გულმოდგინედ ვუსმენდით გულიყოს, რომელიც ისე მხატვრულად გვიკითხავდა ჯავშნოსან პოტიომკინზე ბორშიში აღმოჩენილი მატლის გამო დაწყებულ აჯანყებას, რომ პირადად მე რამდენიმეჯერ ნერწყვიცი გადავყლაპე.

გულიყო კონსპექტს კითხულობს, თან დროდადრო ამოგვხედავს, გვაოწმებს, ყურს თუ მიგდებენო. გურამი ზის მრგვალ მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი, ნიკაბი ცალ მუშტზე ჩამოუსვენებია და თვალები მიუნაბავს. კარგად ვერ გავიგებ — თვლემს თუ ყურს უგადავს გულიყოს. მე აღუჩის ტანზე ვარ მიყრდნობილი ზურგით და თვალს არ ვაცილებ მის ლამაზ, პატარა თავს, რომელსაც ამომავალი მზე ნათელივით ადგას და მხრებზე დაყრილ ოქროსფერ თმას ცეცხლივით გვიღებდა.

— გულიყო! — ვამბობ მე, რატომ, თვითონაც არ ვიცი.

— რა? — მეკითხება გულიცო თაყ-
აულებლად.

— არაფერი.

— მაინც?

— გადაჯექი, თორემ თმაზე ცეცხლი
მოგეკიდება. — ვიკრიჭები მე.

— სულ არ არის სასაცილო! — ამბ-
ობს გულიცო და კითხვას განაგრძობს.
გურამმა, ზარმაც კატასავით, ცალი
თვალი აახილა, მერე ჯიბიდან პაპირო-
სი ამოიღო და ხელის ჩაქნევით მანიშნა,
ასანთი ხომ არ გაქვსო. მე გულიცოს თა-
ვზე ვანიშნე. გურამი ზანტად ადგა, პა-
პიროსი გულიცოს ცეცხლივით თმაში
ჩარგო და ზარბაღ მოქაჩა.

— არ ეკიდება. — თქვა მან და მხრე-
ბი აიჩეჩა.

— მორჩით ახლა ლაზღანდარობას! —
გაბრაზდა გულიცო და თმაზე ხელი გა-
დაისვა. — თუ არ გინდათ, ნუ გინდათ,
მე ეს კონსპექტი სამჯერ მაქვს წაი-
თხული.

— გულიცოს შემოვევლე, ჩემს კეთ-
ილ, ჩემს კარგ, ლამაზ და ნიჭიერ გუ-
ლიცოს, გვეყოფა ახლა სწავლა, განა-
თლება. წავიდეთ სადმე, გავიაროთ! —
გამოიგლიჯა ყელი გურამმა.

— შენც ასე ფიქრობ? — მკითხა
გულიცომ.

— დიდი ხანია და ვერ გიმხელ სიყვა-
რულივით! — თავი დაეხარე მე.

გულიცოს გაელიმა და წიგნი დაეცა.

— დედა! — გასძახა მან ოთახში მო-
ფუსფუსე დეიდა თამარს.

— რაო, შვილო! — გამოხედა დედა-
მისმა.

— დედა, ბიჭები მიდიან, მე გავაცი-
ლებ. თუ დამაგვიანდა, არ შეგეშინდეს.

— წადი, შვილო, მაგრამ ამსისქე კო-
ნსპექტი ასე მალე ისწავლეთ? — გაუკვი-
რდა დეიდა თამარს.

— მკითხეთ რაც გინდათ! — უთხრა
ნაწყენმა გურამმა და საპასუხოდ მო-
ემზადა.

— მე რა გკითხო, შვილო, არც ჩამი-
ხედავს შიგ. — თქვა დეიდა თამარმა.

— არ ვარგა, არ ვარგა, ქალიშვილო,
ასე შორს ვერ წახვალთ, ჩახხედეთ, წა-
იკითხეთ და შემოდგომაზე მობრძან-

დით! — დაარიგა ჰკუა გურამმა და ქი-
შკრისაკენ წავიდა.

— წავედით, დედა! — თქვა გული-
ცომ და ხელი მომკიდა.

— წადი, შვილო, ძალიან ნუ დაიგვი-
ანებთ!

* * *

ფუნქციონირიდან ღამის თბილისი
ვარსკვლავებით მოჭედულ ცას გავეს,
და ისე გავეს, რომ გეგონებოდა ზეცა და-
ბლა ჩამოვიდა, გულაღმა ამოტრიალდა
და თქვენ ზევიდან დასცქერით. ყველა
ნაცნობი ვარსკვლავი და თანავარსკვლა-
ვედი აქ არის, თქვენს ქვემოთ, დიდი
და პატარა დათვის თანავარსკვლავედე-
ბი, სასწორო-სამართალი, მარეხი, ირმის
ნახტომივით დაღვრილი მსუბუქი ნისლი.
შორს, უამრავი მოწყვეტილი ვარსკვლა-
ვებივით გაელვებულნი და ჩამქრალი მან-
ქანის ფარები. ფუნქციონირი კოსმოს-
ში მოცურავე დედამიწას გავეს, რადგან
დაბლაც ზეცაა, მაღლაც ზეცა და ყვე-
ლგან, ყოველი მხრიდან ზეცაა: უსა-
ზღვრო, უნაპირო, დაუსაბამო ვარსკე-
ლავებით მოჭედული ზეცა და კიდევ
მეტე, თქვენ თვითონა ხართ დედამიწა,
პატარა დედამიწა, ცოცხალი, მსუნთქავი,
ფიქრიანი, მეოცნებე, დაკარგული და
გზადანეული თქვენი ბადალი, ყველა
თქვენი ტკივილისა და სიხარულის ბა-
დალი, ცოცხალი მიწის მაძიებელი, ამ
ვარსკვლავების უსაშველო ორომტრი-
ალში.

* * *

მე არ ვიცი რაზე ფიქრობს გულიცო.
იგი დაყრდნობილია მოაჯირზე და თბი-
ლისის გასცქერის. ჩემთვის სულერთია
რაზე ფიქრობს გურამი, მაგრამ არ არის
სულერთი — რაზე ფიქრობს გულიცო.
მე მინდა გულიცო იმაზე ფიქრობდეს,
რაზეც მე, ზუსტად იმაზე თუ არა,
მსგავს რამეზე მაინც. რამდენჯერ მინა-
ტრია, ღმერთო, აი ახლა ვკითხავ და
ნეტავ იმაზე ფიქრობდეს, რაზედაც მე.
ათასჯერ ვკითხე და გულიცო არასდროს
არ ფიქრობს იმაზე, რაზედაც მე. ახლა
მე ვფიქრობ: გურამი რომ რამის მოიმი-
ზეზებდეს და წასვლას დააპირებდეს,
გულიცო სთხოვს არ წახვიდეთ. გურამი



მინც წავა. მაშინ გულიყოც დააპირებს წასვლას, მაგრამ მე ვთხოვ და გულიცო დარჩება. მერე მე გულიცოს ვეტყვი ყველაფერს, ვეტყვი, რომ მე იგი მიყვარს უკვე ორი წელია, რომ სულ მასზე ვფიქრობ, რომ მას შეიძლება არ ვუყვარდე, მაგრამ ეს ჩემთვის არაფერს არ ნიშნავს, მაგრამ... გულიცოს არ შეიძლება არ ვუყვარდე, რადგან ვატყობა, რომ ძალიან ვუყვარვარ. მე ვფიქრობ...

— წავედი მე! — თქვა უცებ გურამმა და ამოიბზრა. — ხვალ დილით ადრე ვარ ასადგომი, ნავთია მოსატანი.

— ცოტაც მოიცადე და ერთად წავიდეთ! — ვუთხარი მე.

— არ შემიძლია! — თქვა გურამმა.

— თუ არ შეგიძლია, წადი, მე და თემური დავრჩებით, არა, თემო? — მკითხა გულიცომ.

— აბა რა, ახლა თბილისში ჩასვლა იქნება, სული ამოძვრება კაცს.

— ჰოდა, წაველ. კარგად იყავით!

— კარგად!

— დილას გამოიარე!

— ჰო!

გურამი წავიდა.

მე ახლა გულიცოს ვუცქერ, გულიცო კი თბილისს. მე ახლა მხოლოდ გულიცოზე ვფიქრობ, გულიცო კი ნეტავ რაზე? ღმერთო, აი ახლა ვკითხავ და ნეტავ ამისრულდებოდეს, და ახლაც თუ სხვა რამეზე ფიქრობს, ჩემს სიცოცხლეში აღარ ვკითხავ.

— თემო!

— რა, გულიცო?

— თემო, რაზე ფიქრობ? — მკითხა გულიცომ და თვალეზში ჩამხედა.

მე მოულოდნელობისაგან პირი დავაღე. გულიცო თვალს არ მაცილებდა.

— არაფერზე, გულიცო, აბა, რაზე უნდა ვიფიქრო! — ძლივს ამოვდერდე, გულიცომ ოღნავ გაიღიმა და თვალი ამარიდა.

— შენ რაზე ფიქრობ, გულიცო?

— მე რაზე ვფიქრობ? შენზე ვფიქრობ. — თქვა გულიცომ და ისევ გაიღიმა.

— ახლა, ამ წუთში?

— ახლა, ამ წუთში!

— კიდეც რაზე ფიქრობ, გულიცო? — ვთქვი მე და ხმაში ხრინწი შემეპარა.

— კიდეც ჩემზე, თემო!

— კიდეც?

— მეტი არაფერზე. როდესაც შენზე ვფიქრობ, მაშინ ჩემზეც ვფიქრობ, მეტზე ვერაფერზე. ალბათ კჳეა არ მყოფნის კიდეც რამეზე რომ ვიფიქრო.

— სხვა დროსაც თუ ფიქრობ ჩემზე?

— კი.

— ხშირად?

— ხშირად.

— ძალიან?

— არა! — გულიცო ახლა თავჩადუნული იდგა მოაჯირთან და თავის თხელ და გამჟვირვალე თითებს დასცქეროდა. მე რალაცის შემეშინდა და აღარაფერი ვკითხე, მაგრამ გულიცომ თვითონ თქვა:

— ხანდახან ვფიქრობ, თემო, ხანდახან და დიდხანს.

ახლოს მივიწიე გულიცოსთან. ჩემი მკლავი მის მკლავს შეეხო. ვიგრძენი, როგორ შეუტოკდა მკლავი გულიცოს, მაგრამ არ ვაწეულა.

— გულიცო! — გულიცომ შემომხედა პირდაპირ თვალეზში. ვერ გავუძელი და თვალი ავარიდე.

— გულიცო, რას ფიქრობ ჩემზე? — ვკითხე ხმის კანკალით და პასუხის მოლოდინში თვალეზი დავხუტე.

— რასაც შენ ჩემზე! — თქვა გულიცომ ჩუქად. გული ყელში მომებჯინა და სუნთქვა შემეკრა. ხელი გადავხვიე და გულიცომ ჩემი ხელი მხარსა და ლოყას შორის მოიმწყვდია, ზედ თავი დაასვენა და თვალეზი მოხუტა.

— გულიცო, იცი მე რას ვფიქრობ შენზე? ახლა ყველაფერს ვეტყვი... — გულიცოს თვალეზი არ ვაუხელია, ისევ გააქნია თავი — არ მითხრაო, მაგრამ მე არ შემეძლო გაჩერება, როგორც მთიდან დაგორებულ ლოდს, რომელიც წლობით ბეწვზე ეკიდა და რადგან მოსწყდა, ახლა თან უნდა წამოეღო ყველაფერი, რაც გზაზე შეხედებოდა, რათა ქვევით ზეავად, მეწყრად და ნამქერად ჩასულიყო...

— მე ამ ზაფხულს ზღვაზე წავალ... არა, ჯერ ცხვარში წავალ, ლეზაის კარის მთებში, მერე ზღვაზე... შეიძლება სოფელშიც წავიდე.. ზღვა ისე მიყვარს, როგორც არაფერი, ზღვა და მზე, მზე და ზღვა ორი სასწაულია.. ხომ არის სასწაული? არის, რა თქმა უნდა. მე შემიძლია დავჯდე ზღვის პირას, ზღვისკენ ზურგით და ვუყურო მზის ამოსვლას, მერე შევეტრიალდე ზღვისკენ და ვუცქირო მზის ჩასვლას პირდაპირ ზღვაში. მერე დაველოდო მზის ამოსვლას, მერე ჩასვლას და ასე მთელი სიცოცხლე. წელს, მე და შენ ერთად წავალთ ზღვაზე. მე დავდებ შენს კალთაზე თავს და მთელი დღე შენ გიყურებ, შენ თუ გინდა მზეს უყურე, ან ზღვას, რასაც გინდა უყურე, ოღონდ მე ნუ მიყურებ... როდესაც შენ მიყურებ, მეშინია... თან მიხარია, ამიტომ მირჩევნია მე გიყურო, შენ კი არა, შენ ხანდახან მიყურე, ჰო, გულიკო? მე და შენ ერთად წავალთ ზღვაზე, არა?

— ჰო, თემური, ჰო, — ჩურჩულით თქვა გულიკომ და თვალები ოდნავ გაახილა. მე შემოვატრიალე იგი, ცეცხლივით თმებში ორთავე ხელი შევაპარე

დედა

კარი ჩუმად შევადე. დედა სარკმელთან იჯდა და ვარაზის ხევს გასცქეროდა. იგი ყოველთვის მელოდა. რა დროსაც არ უნდა მივსულიყავი. მელოდა ჩემი, სევდიანი და საყვედურით სავსე თვალებით. მე ვგრძნობდი, რომ რაღაც დანაშაულს ჩავდიოდი, როდესაც მივდიოდი და არ ვაფრთხილებდი, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო. 12 წლის მანძილზე ჩემთვის არავის უკითხავს, როდის დაბრუნდებით და როცა აალა მეკითხებოდნენ, სასტიკად ვღიზიანდებოდი. ამიტომ ხან განზრახ ვაკვირებოდი, ხან სულ არ მოვდიოდი სახლში. დედა გრძნობდა ამას და რაც დრო ვადიოდა, უფრო დარდიანი და უფრო უსიტყვო ხდებოდა. მე ღამეებს თერთად ვათენებდი. და ჩემთან ერთად ისიც. ღამენატეხი უგრძნობლად ვიძინე-

საფეთქლებთან და ჩემსკენ მოვიზიდე. მის ფართოდ გახეილ თვალებში ცრემლში შეზავებული უსახლგროშ მრდნიერება, სიყვარული და კიდევ ჩემთვის მუდამ გამოუცნობი რაღაც ციმციმებდა, ის გამოუცნობი რაღაც, რისიც ასე მესწინოდა, და რომ გამეჭრო ეს შიში, ორთავე თვალებში ვაკოცე, გაბმულად და ფრთხილად...

მერე ყველაფერი თავის ადგილზე დაბრუნდა. თბილისი ისევ ციმციმებდა დაბლა, და საოცრად ვაედა გულაღმა ამობრუნებულ ზეცას, მაღლა ისევ უსაზღვრო ცა იყო, მოჭედილი დიდი და პატარა ვარსკვლავებით. ყველგან ზეცა იყო, საითაც არ გაიხედავდი, დაუსაბამო ზეცა. და მე ვიყავი დედამიწა, პატარა დედამიწა, ცოცხალი, მსუნთქავი, ფიქრიანი, მეოცნებე, ნატანჯი, გადარჩენილი, უსაზღვროდ ბედნიერი, და გვერდით მდგა ყველა ჩემი ტყვილისა და სიყვარულის ბადალი, სიყვარულისა და ტყვილების მატარებელი, ცოცხალი მიწა, და მე აღარ ვიყავი მარტო, ამ ვარსკვლავების უსაშველო ორომტრიალში.

ბდი და როდესაც თვალს ვახეიდი, კვლავ მისი სევდიანი თვალები მიმზერდნენ, იგი არაფერს მეკითხებოდა, არც მიყვებოდა. არც მე ვეკითხებოდი არაფერს და არც არაფერს ვუყვებოდი, მაგრამ დღეს სულ სხვა დღე იყო. დღე, როდესაც მოსაუბრე თუ არა გყავს, გინდა კედელს, ქვას, ხეს, რასაც გინდა, ვისაც გინდა ელაპარაკო. მივედი დედასთან, გვერდით მივეუჩქე, ორთავე ხელი ფრთხილად კალთაზე დავაწვე და თაფლისფერ, ქვიან თვალებში ჩაეხედე.

— რა იყო, შეილო? — მკითხა მან და თავზე ხელი გადამისვა.

— დედა, შენ ხომ გახსოვს ზღვა, მე მახსოვს, ქობულეთში გყავდი ბავშვობაში!

— ჰო, შეილო!

— ზღვაში მზის ჩასვლას ერთად ვუცქეროდით.

— მასსოვს, შვილო. — დედა გააკვირვებული მიცქეროდა.

— ხომ არის ზღვა და მზე ორი სასწაული? მზე ისეთი სასწაულია, რომლის ცქერა არასდროს მოგწყინდება... ხომ, დედა?

— არა, შვილო! — თქვა დედამ, თვალები დახუჭა და თავი გაიქნია. იგი დიდხანს დუმდა. აღბათ რაღაცას იგონებდა.

— დედა. — გავახსენე მე თავი.

— მზე სასწაულია, — დაიწყო მან დუმილის შემდეგ, — მზე სასწაულია, მაგრამ შენ არ გინახავს ნამდვილი მზე... მზით დამწვარი უსახლგრო ტრამალი... მზით დამწვარი ქვა, მიწა, ხე, ქვიშა, გამზარი ხაბა, გამზარი ტვინი. არის წუთები ცხოვრებაში, როდესაც მზე გეზიზღება და უცქერ მზის ჩასვლას მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ჩადის, და გინარია მისი ჩასვლა, რათა ხელმოკრედ აღარ ამოვიდეს, ისეთი უღმობელი, როგორც გუშინ. გაიგე, შვილო?

მე არაფერი არ ვუპასუხე. დედამ სევდიანად გაილიმა.

— ისეთი მზე, შენ რომ გიყვარს, მართლაც სასწაულია, მისი ცქერა სიკვდილამდე არ მოწყინდება კაცს. — და ამთავრა მან და ცხელი ხელი სველ შუბლზე გადამისვა. თავი კალთაში ჩავუღდე.

— დედა, შენ ხომ ხედავ, რომ მე პატარა აღარა ვარ. შენ ისევ რვა წლის გგონივარ, მაგრამ მე უკვე ოცი წლისა ვარ. შენ ჩემი ყველაფერი გიკვირს, ის, რაც მე კარგი მგონია, შენ არ მოგწონს, რაც მახარებს, შენ იმის გეშინია, სულ ეჭვის თვალით უყურებ. ან დაივიწყე, დედა, ყველაფერი, ან მითხარი რა ვქნა?.. — ვთხოვე მე და კალთაზე ვაკოცე.

— მაგის დავიწყება არ შეიძლება! — თქვა დედამ.

— რისი, მე რომ რვა წლის აღარ ვარ? — ავწიე თავი და თვალებში ჩაეხედე.

— არც მაგის. — მიპასუხა მან და ნიკაბი აუქანკალდა.

— რატომ, დედა, რატომ?!

— იმიტომ, რომ ბავშვი ფიქრსა და შეგნებაში არ იზრდება.

— კი მაგრამ, შენ ხომ ხედავ, რომ მე ოცი წლის ვარ და არა რვის?

— ეს ჩემთვის არაფერს არ ნიშნავს! — თქვა დედამ და მწარედ გაილიმა.

— ის, რომ მე დღეს, მე დღეს... — ენა დამემა.

— რა დღეს? — მკითხა მან მშვიდად.

— მე დღეს გულიკოს ვუთხარი, რომ იგი ქვეყანას მირჩენია და რომ ჩვენ წავალთ ზღვაზე, მე მას კალთაში ჩავუღებ თავს, ჩვენ დიდიდან საღამომდე ვეუყურებთ ამოძაველ და ჩამაველ მზეს, მზეს, რომელიც შენ არ გიყვარს, და რომ ჩვენ მთელი სიცოცხლე ერთად ვიქნებით. ეს შენთვის არაფერს არ ნიშნავს?

დედა ფეხზე წამოდგა, ჩემი თავი ერთი ხელით მკერდზე მიისვენა, მეორეთი თმის ვარცხნა დამიწყო და ჩუმად, თავისთვის ჩურჩულს მოჰყვია...

— ნიშნავს, როგორ არ ნიშნავს, ყველაფერს ნიშნავს, ჩემო თემური, ყველაფერს ნიშნავს, შვილო, ოღონდ შენ იყავი ჩემთან, ჩემი შვილი იყავი, უცხო ნუ იქნები... გესმის, უცხო, და მე ყველაფერს დავივიწყებ, ოღონდ მეც მითხარი ის, რაც შენს გულიკოს უთხარი, მითხარი, შვილო, რომ გიყვარვარ, რომ მთელი სიცოცხლე ერთად ვიქნებით, თორემ გასკდა ეს ოხერი გული. ბიჭო, გასკდა!.. — დედა სკამზე დაეშვა და ხელები სახეზე აიფარა. მე რაღაც მომაწეა ყელში, მაგრამ თავი შევიკავე, წინ დავუჭექე და ისევ დავაწყვე ხელე ბი კალთაზე. დედა არ ტაროდა, მას ხელები უთრთოდა მხოლოდ. ცოტა ხნის შემდეგ იგი დაწყნარდა და ხელები ჩამოიღო სახიდან.

— დედა! — დავიწყე მე. — უკვე ორი წელია, გულიკო მიყვარს, წარმოგიდგენია? ორი წელი...

— ეგ ბევრი არ არის, შვილო! — თქვა დედამ და გამილიმა. მე აღარ ვი-

ცოდი რა მეთქვა.

— მე შენც ძალიან მიყვარხარ... —
ვთქვი გაუბედავად.

— ვიცო! — თქვა დედამ და ისევ გა-
იღიმა.

— ოღონდ...

— გულიყო უფრო გიყვარს და სულ
მასთან გინდა იყო. — გამაწყვეტინა მან.

— არა!

— ჰო!

— გულიყო სხვანაირად მიყვარს. გუ-
ლიყო ახლა შემიყვარდა, შენ კი... შენ
რამდენი ხანია...

— ბევრი, ძალიან ბევრი, იმდენად
ბევრი, რომ დაგაფიწყდა! — თქვა დედამ.

— დედა, შენ მამა გიყვარდა? —
ვკითხე უცებ.

დედამ თვალები დახუჭა და არაფერი
მიპასუხა. მე მივხვდი, რომ სისულელე
ვთქვი...

— შენ მამაშენი თუ გახსოვს? —
მკითხა დედამ ცოტა ხნის შემდეგ. მე
დავუთქვარი: ღმერთო, ნუთუ არ მახ-
სოვს? ვიგონებ, ვიგონებ, გვერდზე ორი
ოქროს კბილი ჰქონდა, საშუალო ტანის
იყო, ლამაზი, შავი თმა ჰქონდა. იმდენ-
ად შავი, რომ ლურჯი ფერი გადაჰკ-
რავდა. ტყავის პალტოს იცვამდა, ხან
ჩექმა ეცვა, ხან ცხვირწაჭრილი ფეხსაც-
მელი და ვიწრო შარვალი, მაკარი კაცი
იყო და თუ ვინმეს რამე ჰქირდებოდა,
ჩემთვის უნდა ეთხოვა. მე ვუყვარდი
ძალიან. კიდევ რა? მეტი არაფერი. თვა-
ლები დახუჭული მაქვს და მინდა წარ-
მოვიდგინო ასეთი კაცი, მამაჩემი. ვე-
რაფერს ვხედავ, სიცარიელეა, აბსოლუ-
ტური სიცარიელე. ესე იგი რაც ვიცი,
მონაყოლია, სხვისი მონაყოლი, მე არა-
ფერი არ მახსოვს და რაც არ უნდა ვიხ-
სენო, ვერ გავიხსენებ.

— არა, დედა, არ მახსოვს, სულ არ
მახსოვს. მეგონა მახსოვდა...

— არც სურათი გინახავს?

— არა!

დედა კარადასთან მივიდა, ჩანთა გახ-
სნა, რაღაც სურათი ამოიღო და წინ
დამიდო. მე გაშტერებული დავაქვრი-
დი სურათს, მერე დედას ავხედე, იგი
იდგა გაფითრებული და ხმას არ იღებ-

და. სურათი ხელში ავიღე. ჩემს წინ
დათვის ტყავზე დაგორბეულ სურათი
წლის შიშველი ბავშვებმა და
უღარდელად იღიმებოდა.

— რა არის ეს? — ვკითხე შეშინე-
ბულმა.

— ეს არის მამაშენი, შენი სურათი
ეგონათ. — თქვა დედამ.

— მერე? — ვთქვი მე და ტანზე ბუ-
სუსებები დამაყარა.

— მერე არაფერი, ეს არის მამაშენი,
მე კი — დედაშენი.

სურათი მაგიდაზე დავაგდე. მერე მი-
ვედი დედასთან, მკერდზე თავი დავამ-
ხე და ავტირდი. დედა ჩუმად იდგა, იგი
არც მაწყნარებდა, არც არაფერს მეუბ-
ნებოდა.

— დედა, მამატიე, ჩემო საწყალო
დედიკო! — დავიწყე მე და, რომ არ
მებღავლა, კბილებს კბილებზე ვაჭერ-
დი. — მამატიე, რაც ტკივილი მოგაყუ-
ნე. მეც, მამაჩემმაც. მე მამატიე, დედა.
მე შენი გულისთვის ყველაფერს გავა-
კეთებ, რასაც მტყვეი, ყველაფერს, თუ
გინდა კაცს მოვკლავ, გინდა გულიკოს
თავს დავანებებ, თუ გინდა თავს მოვიკ-
ლავ, ოღონდ მამატიე ყველაფერი, მამა-
ტიე... — ვამბობდი მე და მკერდს
ვუკოცნიდი. დედა თავზე ხელს მისვამ-
და და ხმას არ იღებდა. მერე თითქოს
რაღაც გაახსენდაო, ჩუმად დაიწყო:

— მე შენ არაფერს არ გთხოვ და არც
გავალუბ, შენ ჩემი გულისთვის არც თა-
ვი მოიკლა და არც სხვა მოკლა, მაგას
ნუ ამბობ... გულიკოს თავი რატომ უნ-
და დაანებო, გიყვარდეს, თუ გიყვარს
და იმასაც თუ უყვარხარ. ჯერ თქვენ
არ იცით, რა არის სიყვარული და დად-
ხანს ვერ გაიგებთ. მე ჩემი სიცოცხლე
ჯერ არ დამიმთავრებია. გზა კი, მგონი,
დავამთავრე, ბოლოში გავედი. ვიღრე
ცოცხალი ვარ, ვეცდები მოგვე გზაზე,
რომ არსად ვადავარდე. იქნებ ხელი
დაგჭირდეს და შეგაშველებ. შენ შენი
გზა გაქვს და შენი გზით უნდა იარო,
შვილო...

— როგორ, დედა, როგორ!

— არ ვიცი, შვილო! ეგ რომ ვიცოდე,
მაშინ რა გვიშავს?



— მაინც რა უნდა გავაკეთო?

— უველაფერი, რასაც სიკეთე და პატიოსნება ჰქვია.

— მაინც?

— არ ვიცი, შვილო. ზოგი ისე ჩადის ბოროტებას, სიკეთეს აკეთებს ჰგონია... დედა დადუმდა, მეც დავდუმდი. მერე სარკმელთან მივიდა და ისევ ვარაზის ხევის დაუწყო ცქერა. მე მივედი და გვერდში ამოვუღექი. იგი მიხვდა, რომ კიდევ ველოდი მისგან რაღაცის თქმას. მობრუნდა და გამოიღმა.

— ოღონდ ჯერ სიკეთის და ბოროტების გარჩევა უნდა ისწავლო!

— როგორ, დედა? — ვკითხე ისევ.

— არ ვიცი! — მხრები აიჩეჩა დედა. — ცხოვრება თვითონ გასწავლის.

— ახლა რა გქნა?

— ახლა? — დედა დაფიქრდა. — ახ-

ლა წადი და დაწექი. — მითხრა მან და შუბლზე მაკოცა. მე უხმოდ შევტრიალდი და დავეწექი. დილით, როდესაც გავიღვიძე, დედა კვლავ სარკმელთან იჯდა, მკლავზე თავი დაედო, ტკბილად ეძინა და იღიმებოდა. ჩუმად ჩავიცვი, წიგნი ავიღე და კარები გავაღე.

— აღექი, შვილო? — გავიგონე მისი ხმა.

შემოვტრიალდი და თანხმობის ნიშნად გავუღიმე.

— სად მიდიხარ? — მკითხა მან.

მე ჩემდა ვასაოცრად, ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიგრძენი როგორ მიხაროდა, რომ ვიღაც მეკითხებოდა, სად მიდიხარო, ვიღაცას აინტერესებდა ჩემი წასვლა, ჩემი მოსვლა და, რომ არ დამეკარგა ამ სიტყვების სიტბო და სიანხლოვე, სახლში დავრჩი.

პარანსი

უნივერსიტეტში სამი ათასამდე სტუდენტს ასწავლიდნენ. აქედან ნახევარი სწავლობდა, ერთი მეოთხედი დიპლომს უღარაჭებდა, ხოლო დანარჩენი პროფესიას ირჩევდა, ფაკულტეტიდან ფაკულტეტზე გადადიოდა, განცხადებებს წერდა, აკადემიურ შვებულებებს იღებდა, ავადმყოფობის ცნობები მოჰქონდა გამოცდებზე, გამჟვალი ქარივით შედიოდა და გამოდიოდა, ჰიდაობდა, მღეროდა, უკრავდა და ასე შემდეგ.

ჩვენ, ლიტერატურის მოყვარულთ, ოფიციალური ლიტერატურული წრე „პარანსი“ გვქონდა, რომელსაც თავისი ოფიციალური ხელმძღვანელიც, ბატონი შალვა ჰყავდა. ეს იყო დაახლოებით ხუთი კრიტიკოსის, ოციოდე პოეტის, ექვსი პროზაიკოსის, ორი მენარკვევისა და ცხრა მთარგმნელისაგან შემდგარი ლიტერატურული გაერთიანება. მე, რა თქმა უნდა, პოეტი ვიყავი, მაგრამ ხანდახან, ჩუმ-ჩუმად, მოთხრობებსაც ვწერდი. ჩვენ პარასკეობით ვიკრიბებოდით 94-ე აუდიტორიაში და მთელი შემოქმედებითი კვირის ნაწევასა და ნაოფლარს ჯერ ერთმანეთსა და მერე ხელმძღვანელს ვუკითხავდით. ხოლო ამათ-

გან საუკეთესო მასალა თვეში ერთხელ ლიტერატურულ საღამოზე გაგვქონდა და ლიტერატურის მოყვარული სტუდენტებით გაქედილი კლუბის თაღუბქვეშ ვაფრქვევდით უმოწყალოდ.

გურამი ჩვენს არცერთ სხდომას არ აცდენდა. მართალია, იგი არც პოეტი, არც პროზაიკოსი, არც მენარკვევე, არც კრიტიკოსი, არც მთარგმნელი არ იყო, მაგრამ თავისთავს მოფერებით „დილექტანტს“ ეძახდა და რითმების კეთებაში მესხარებოდა.

დღეს პარასკევია. მე და გურამი ვსხედვართ უკანა მერხზე და ველოდებით, როდის აივსება აუდიტორია 40 გენიოსით, რომლებიც შემოდიან შთაგონებით, თვალუმოჭურთული, ავიწყლებათ საღამო, მერე ბოდიშს იხდიან — უპ, შენ აქა ხარ? სულ ვერ შეგამჩნიე, საღაც ვიყავიო, და ასე შემდეგ.

— ბიჭო, ერეკლე! — დაუძახა გურამმა ილღიაში უამრავ წიგნამოჩრილ, წითურ პოეტს, რომელიც ისე შემოვიდა აუდიტორიაში, ისე დაჯდა ჩვენს წინ და ისე მიაპყრო თვალეზი ჭერს, თითქოს ჭერი ჩამოვარდნას აპირებდა. ერეკლემ ხმა არ გავცა.

— ბიჭო! — შენჯღრია გურამმა ერეკლე. — ვიცი სადღაც ხარ, მაგრამ ერთი წუთით დაბრუნდი, თუ შეიძლება. — ერეკლე შეკრთა, გაფანტულ აზრებს მოუხმო და მოჭუტული თვალებით გაგვცვიოთა.

— უჰ, თქვენ აქა ხართ? როგორ ვერ შეგამჩნიეთ! — გაუკვირდა უცებ.

— სად იყავი? — ჰკითხა გურამმა.

— სახლიდან მოვდივარ! — მოთენთილი ხმით თქვა ერეკლემ.

— არა, ამ წუთში სად იყავი? — ჩააცვივდა გურამი.

— ამ წუთში? — კითხვაზე კითხვით უპასუხა ერეკლემ და ისევ შთაგონებული გამომეტყველების მიღება დააპირა, მაგრამ გურამმა არ აცალა:

— ჰო, ამ წუთში, ჰერს რომ უყურებდი, სად იყავი?

— რაღაცას ვფიქრობდი!

— რას?

— რას ჩამაცვივდი, რაღაცას ვფიქრობდი! — ეწყინა ერეკლეს.

— ლექსს ხომ არ იგონებდი?

— არა!

— რითმას ხომ არ ეძებდი?

— შენ რა იცი? — გაუკვირდა ერეკლეს.

— მითხარი და აქ ვარ! — დაკრა მხარზე ხელი გახარებულმა გურამმა.

— სამგორზე ვაკეთებ ციკლს და ერთ ადვილას...

— გაგეჭედა?

— არა, კი არ გამეჭედა, რითმა არ მოდის.

— სოქეი, რა რითმა! — გურამმა მსუყე ლექმის მოლოდინში ნერწყვი გადაყლაპა.

— მეფისტოფელი! — თქვა ერეკლემ დამარცვლით.

გურამი გაშტერდა.

— დაგარტყა? — ჰკითხა მან ერეკლეს და მოწყალეების დასავით გაუღიმა.

— ყველა პოეტი თავისებურად დარტყმულია. — დიდმნიშვნელოვნად თქვა ერეკლემ და თვალი გაახილა. გურამმა ახლა მე გამიღიმა ისევე, როგორც ერეკლეს.

— თუ ძმა ხარ, ნუ იკრიპები და თუ შეგიძლია მოუნახე რითმის გაგონებადი მე.

— რა უნდა, ბიჭო, სამგორში მეფისტოფელს? — შეეკითხა გურამი.

— რა უნდა, ბიჭო, სამგორში მეფისტოფელს? — კვითხე ახლა მე ერეკლეს.

ერეკლე ამ ქვეყანას აღარ იყო. იგი კვლავ სადღაც წასულიყო, თვალეზი ჰერისათვის მიეპყრო და თავისთვის ბუტბუტებდა: მეფისტოფელი, მეფისტოფელი, მეფისტოფელი...

— მოიხედე! — დაქაჩა გურამმა. ერეკლემ მოიხედა.

— წაიკითხე სტროფი! — ერეკლემ დაიწყო.

„და იღვა გვალვა სამგორში მკაცრი,
ვით ჭოჯობეთში მეფისტოფელი...“

— მეფის ტუფლი! — შეაწყვეტინა გურამმა.

— არ ვარგა! — გაიჭნია თავი ერეკლემ.

— ჩვენი სოფელი! — არ მოეშვა გურამი.

— არ ვარგა! — არ შეიბრალა ერეკლემ.

— ბევრ კიტრს მოველით! — არ დანებდა გურამი.

— კიტრი წინა ლექსში მაქვს! — ჩაიჭნია ხელი ერეკლემ.

— მეფის სტაფილო!

— კარგია, მაგრამ მეფე არ ვარგა!

— მარტო სტაფილო!

— არც მარტო სტაფილო!

— მეტი სტაფილო!

— არა!

— მაშინ იდიოტი!

— არ ერითმება!

— სამაგიეროდ, შენ გერთიმება, შე დეგენერატო, მეფისტოფელის მეტს ვერაფერს ვერ შეადარე გვალვა? — გადაიროა გურამი და წამოხტა. ერეკლემ ისეთი თვალეზით შეხედა გურამს, გული ამიტირდა.

— გეყოფა ახლა! — ვუთხარი შე გურამს და დავსვი.

აუღიტორია აივსო.



უცებ კარები გაიღო და აუდიტორა-
ში ფილოლოგიური ფაქულტეტის ენი-
სა და ლიტერატურის კათედრის ასპი-
რანტი, ზურაბ ჩხეიძე შემოვიდა. იგი
ფაქტიურად ბატონ შალვას მოადგი-
ლედ ითვლებოდა და მოუცულოებისა
თუ ავადმყოფობის დროს ცვლიდა ჩვე-
ნი წრის ხელმძღვანელს. ზურაბი, გუ-
რამის არ იყოს, წრის თითქმის არცერთ
მეცადინეობას არ აცდენდა. იგი იჭდა
ბოლო მერხზე და ყურს გვიგდებდა.
აზრს არასდროს არ გამოთქვამდა და
ამიტომ მასზე არც თუ ისე დიდი წარ-
მოდგენისა ვიყავით.

— გამარჯობათ! — თქვა მან სუსტი
ხმით, სათვალე მოიძრო, დააორთქლა,
ცხვირსაბოციტ გააპრიალა, ისევ გაი-
კეთა და დაჯდა.

— გამარჯობათ!

— სალაში!

— გაუმარჯოს! — უხალისოდ მივე-
სალმეთ ჩვენ.

— დავიწყოთ? — იკითხა მან.

— ბატონ შალვას არ დაველო-
დოთ? — ჰკითხა გურამმა. გურამი
ჩვენს შორის ყველაზე კარგად იცნობ-
და ზურაბს, მგონი ლუდიც ჰქონდა მას-
თან ერთად დაღეული.

— ბატონი შალვა ავად არის, ჩემო
გურამ. დარეკა და მთხოვა, დღეს შენ
ჩაატარე ჩემს მაგივრად სხდომამო...

— თუ ასეა, დავიწყოთ! — დართო
ნება გურამმა. ზურაბს გაეღიმა.

— ისე, როგორ ხართ, ბატონო ზუ-
რაბ! — გათამამდა გურამი.

— გმადლობთ, არა მიშავს. შენ რო-
გორა ხარ? — მოიკითხა ახლა ზურაბ-
მა.

— არა მაქვს საბაბი კმუნვით
ვიყო! — გამოიდო თავი ქართულზე
გურამმა.

— არა, ხომ?

— არა.

— ეს რა არის, თმები გცვი-
ვა? — შეწუხდა ზურაბი და გურამს
თავზე გადაუსვა ხელი.

— რას ბრძანებთ, სისტემატიური
თმა მაქვს! — გაუკვირდა გურამს.

— სისტემატიური?

— კი, ბატონო!

— მაგას რა ჯობია! რას
სების წერა არ დაიწყე?

— არა!

— პროზა?

— არც პროზა.

— თარგმნი რამეს?

— არა!

— არც კრიტიკულ წერილებს წერ?

— არა!

— რატომ, მერე, ყველა წერს და შენ
რა დაშავე? დაწერე, დაწერე შენც
რამე...

— კი, ბატონო!

— აბა, შენ იცი! ახლა დავიწყოთ.
არა? ვის ლექსებს ვარჩევთ დღეს?

— ჩემსას! — თქვა საიდანღაც და-
ბრუნებულმა ერეკლემ და წამოდგა.

— გამოდი! — სთხოვა ასპირანტმა.

ერეკლე გამოვიდა. კათედრაზე ავი-
და, საერთო რვეულს ხელი დაადო ისე,
როგორც მოწმეები დებდნენ ხელს სა-
ხარებაზე და ამბობდნენ — ღმერთი გა-
მიწყრეს თუ ტყუილი ვილაპარაკო—და
თვალეები ისევ ჰერს მიაპყრო. სამარი-
სებური სიჩუმე ჩამოვარდა. სდუმდა
დარბაზი, სდუმდა ერეკლეც. მე გულში
სამოცი დავითვალე, ეს ბრიყვი კი არ
იწყებდა.

— სამოცდაერთი, — განვაგრძე თვლა,
— სამოცდაორი, სამოცდასამი...

— აღარ იწყებ? — შემაწყვეტინა
თვლა მოადგილემ. ერეკლე სდუმდა.

— მუზას ელოდებო! — თქვა გუ-
რამმა.

— მაგან დაიწყოს და მუზა მოვა,
აბა, სად ოხრობაში წავი! — თქვა ზუ-
რაბმა.

დარბაზმა გადაიხარხარა. ერეკ-
ლე ისევ დაბრუნდა საიდანღაც და
დაიწყო...

— ამ ერთი კვირის წინ, სახლიდან
რომ გამოვედი, ეურნალ-გაზეთების
კიოსკს მივაშურე და გამყიდველს გა-
ზეთი ვთხოვე...

— მოთხრობაა? — შეეშინდა ზუ-
რაბს.



— წინასიტყვაობაა! — მძიმედ თქვა ერეკლემ.

— რად უნდა ლექსს წინასიტყვაობა, ბარათაშვილის მერანს არაფერი წინასიტყვაობა არა აქვს, პირდაპირ ასე იწყება: „მირბის, მიმაფრენს უბზო-უკვლოდ ჩემი მერანიო“, ასე არ არის, გურამ?

— კი! — დაემოწმა გურამი.

— მე და ბარათაშვილი ერთი არ ვართ! — აგვიხსნა ერეკლემ.

— ნამდვილად არის ცოტა განსხვავება. — თქვა ზურაბმა.

ღარბაზში ისეთი თავშეუვალებელი ხარხარი ატყდა, მინებმა ზრიალი დაიწყეს.

— დამცინით? თქვენ იცით, რა ეწერა იმ გაზეთში? — მოკლულა თვალები მუქარით წიკლაურმა.

— რა ეწერა, ძეგით?

— რომ სამგორი ჩართულია კომუნისტების დიად მშენებლობათა ციკლში!

— წიკლაურო, შარშანდელი გაზეთი გიყიღია და კიდევ აქეთ გვიყვირი? — ჰკითხა ზურაბმა. წიკლაური გამტერდა. მერე გაზეთს დახედა, რომელიც ყოველი შემთხვევისათვის წინ ედო და ისევე გამტერდა, ზურაბი მიხვდა. წიკლაური გაფუჭდაო, და გაამზენავა:

— არა უშავს, შენ ის თქვი, რომ წაიკითხე, მერე რა მოხდა!

— მერე ლექსების ციკლი დაეწერე სამგორზე! — გაბედა ერეკლემ.

— ჰოდა, წაგვიკითხე, დალოცვილო! ისევე პაუზა ჩამოვარდა.

მე ისევე თვლა დავიწყე გულში.

— ერთი, ორი, სამი... — და მოხდა სასწაული, წიკლაურმა დაიწყო.

სამგორის დილა

აქ გვალეს ეწყო ტორები,
დაძროდა ქარი ზმორებით,
სდომდნენ სამგორის ვორები,
სასწაულია, აბა რა!
სულ მალე გამხმარ ტრამალზე
გვექნება ხაფი, ბარაქა
წითელი პამიდორების.

ბედნიერი ხარ, სამგორო,
სულ მალე გაიკვირებნი,
მოგწევენ იერის ზეირობები
და სულთანს დაგვიმეფებენ
შენი ამავი კიტრები.

ერეკლემ ერთი გვერდი გადაფურცლა. ეტყობა, ახალ ლექსს იწყებდა. ზურაბს გაბეხედე, იგი ცოცხალ-მკვდარი იჭდა.

დალოცი სამგორელ გლეხთან,
დაიწყო წიკლაურმა ახალი ლექსი:

მე — ვინ ხარ, ძმაო, მოთხარი,
კაცი ხარ თუ არაკი.
გლეხი — წინათ მთაში ვიყავი,
მთაში შედგა ბანაკი.
მე — ახლა რას იქ, როგორ ხარ,
ხომ გაკეთდი გლახაკი?
გლეხი — როგორ არა, ძმობილო,
კარგად, არაუშავს, კი
დღეს შეილი შეყვ თბილისში
მეცნიერი მუშაკი,
რომ ვეწვევი, ჩავეტან
ჩვენ სამგორულ შუშა კიტრს.

ერეკლემ ისევ გადაფურცლა რვეული, მაგრამ გურამმა არ აცალა.

— ეს ციკლი კიტრებზეა. თუ სამგორზე?

— მაცალოს, თორემ დავჯდები! — შეაშინა წიკლაურმა ზურაბი.

— აცალე, თუ ძმა ხარ! — სთხოვა ზურაბმა გურამს.

გურამი დადუმდა.

წიკლაურმა დიდხანს იკითხა ლექსები კიტრებზე, პამიდორებზე, ხახვზე, ივრის ცივ წყალზე, თბილისის ზღვის კალმახებზე, ბოლოს გემიც შეაცურა შიგ. „მეფისტოფელი სამგორში“ აღარ წაიკითხა ურთიმობის გამო და, როგორც იქნა, დადუმდა.

სდუმდა ღარბაზი, სდუმდა ზურაბიც.

— კიდევ ვისი ლექსების კითხვა გეაქვს? — იკითხა მან ბოლოს.

— ჩემი! — თქვა სიმონ აბესაძემ და აღდგა.

— გამოდი, შენ დაქეპი, წიკლაურო! — წიკლაურმა დაკეცა რვეული და შეშინებული თვალთ შეხედა ზურაბს.

— დაჯექი, დაჯექი, მსჯელობა შემდეგ პარასკევს გვექნება! — დაამწვიდა ზურაბმა წიკლაური. იგი ფეხებნალრძობივით წამოვიდა ჩვენსკენ. მისი ადგილი აბესაძემ დაიკავა.

— როგორი იყო? — გვკითხა წიკლაურმა ჩურჩულით მე და გურამს.

— ცოტა ძმარი რომ მოასხა მაგ ლექსებს, ხოშიანი წნილი გამოვა. — ჩურჩულითვე უპასუხა გურამმა. წიკლაურმა ხელი ჩაიქნია და მიბრუნდა. მე ენაზე ვიკინე, სიცილი რომ არ ამეარდნოდა.

— გვაღირსე, აბესაძე! — შეეხვეწა ზურაბი სიწყნარის მოლოდინში წარბშეკრულ აბესაძეს და სათვალე მოიხსნა.

— ხმაურია, ბატონო!

— ჰოდა, დაგვაწყნარე, თუ შეგიძლია!

— „კომპასი!“ — თქვა ხმაშალა აბესაძემ და ლექსის ასეთი სათაური იმდენად მოულოდნელი იყო ჩვენთვის, რომ აუდიტორიაში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— „კომპასი!“ — გაიმეორა აბესაძემ.

— რომელი? — ჰკითხა ზურაბმა.

— კომპასი, ჩვეულებრივი! — გაუკვირდა აბესაძეს.

— სასმელეთო, თუ საზღვაო?

— ამ შემთხვევაში, სასმელეთო?

— ესე იგი, ზღვაზე მაგ ლექსს ვერ წავიკითხავთ? — ჰკითხა არჩილმა.

სასოებით დაწყნარებული დარბაზი ისევ გამოცოცხლდა.

— მაკალეთ, სულ ორი სტროფია. — ეწყინა აბესაძეს.

— ბრძანეთ, ბატონო! — თავი დახარა არჩილმა კრძალებით.

ერთი ისარი კომპასისა ჩრდილოეთითა,
ხოლო მეორე მუდამ სამხრეთს ეაღვრსება.
რათ ზღვაა ასე? საიდუმლო რაშია ნეტა?
ან რად მომინდა მე ამ ფიქრის ასნა

ლექსებად?..

რატომ იზიდავს ისარს მხოლოდ

ჩრდილო-სამხრეთი?

ანდა ოდითგან კომპასს რად აქვს

ისარი ორი?

ეს იმიტომ, რომ ჩრდილოეთში მოსკოვი არი,
ხოლო სამხრეთში — პატარა ვორი.

აბესაძემ დაამთავრა და კომპასის გამომგონებელივით გავეჩირომსა გიტრუნული დარბაზი გაშტერდა — ამ ხსალისახის აღმოჩენით. გურამს შევხედე. იგი სიბნელიდან მზეზე გამოყვანილი ტუსაღივით აპარპალებდა თვალებს. სიმაართლე გითხრათ, მეც განცვიფრებული ვიჯექი და ველოდი, როგორ შეაფასებდა ამ ლექსს აუდიტორია.

— ამხანაგებო, ვის უნდა აზრის გამოთქმა? — იკითხა უცებ ზურაბმა. ხმა არავის ამოუღია.

— რაშია საქმე, არ მოგეწონათ ლექსი?

— ლექსი ძალიან საინტერესოა, მაგრამ... — თქვა ერთ-ერთმა კრიტიკოსმა.

— გამოდი და თქვი, რითია საინტერესო! — სთხოვა ზურაბმა.

— ჯერ სხვამ ილაპარაკოს. — შეიშმუშნა კრიტიკოსი.

— შენ შენი სათქმელი თქვი, სხვა თავისას იტყვის.

— ჩემი სათქმელი მე ვთქვი — ლექსი საინტერესოა, განსაკუთრებით ფინალი კარგი მიგნებულა.

— რითია კარგი მიგნებული? — არ მოეშვა მოადგილე.

— იმით, რომ კომპასის ერთ ისარს იმიტომ იზიდავს, თურმე, ჩრდილოეთი, რომ ჩრდილოეთში მოსკოვია, ხოლო მეორეს სამხრეთი იმიტომ, რომ სამხრეთში ვორია.

— სწორია მერე ეს?

— შეიძლება სწორი არ იყოს, მაგრამ პოეტურია. — არ დაიბნა კრიტიკოსი.

— დაჯექი, წეროძე. შენ რას იტყვი, გურამ?

— მე არაფერს.

— რატომ, აზრი არ გაქვს?

— აზრი როგორ არ მაქვს, მაგრამ ამ ლექსზე არ მაქვს. — თქვა გურამმა.

— ლექსი უაზროა?

გურამი შეიშმუშნა.

— ლექსი უაზრო არაა, პირიქით, ძალიან ორიგინალურადაა დანახული კომპასი. სხვაგან ლექსში კომპასი ასე დანახული არ წამიკითხავს.

— საერთოდ, წაგიკითხავს კომპასზე

ლექსი? — ჩანდა საფლავში ზურაბმა.

გურამმა თვალეზი ამოატრიალა, ტვინს გადახედა, მერე ჩვენ, და უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია.

— ვერ გავიხსენე, ალბათ, არ წამოკითხავს.

— დაჯექი, დაჯექი, თუ გაიხსენებ, მერე ისევ მოგცემთ სიტყვას. — უთხრა ზურაბმა. გურამი დაჯდა.

— აღარავის გაქვთ აზრი?... — დარბაზი სდუმდა, ზურაბმა ერთ ხანს გვიცადა, მერე უცებ აბესაძეს მიმართა:

— აბესაძე, კომპასი თუ გინახავს შენ? — აბესაძეს მოულოდნელობისაგან და შეუტრაცხყოფისაგან ყბა მოექცა.

— დამცინით?

— მე კი არა, შენ დაგვცინი, დალოცვილო, კომპასს ორი ისარი აქვს?

აბესაძემ ირონიულად გაიღიმა.

— აბა, რამდენი აქვს?

— ერთი, აბესაძე, ერთი, ორფრად შეღებილი ორი ბოლოთი. გასაგებია?

— მაგას არა აქვს პოეზიისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა.

— მოგზაურობისათვის აქვს მნიშვნელობა.

— მთავარი აზრია, თქვენ, ალბათ, ვერ მიხვდით. — გაეცხარდა აბესაძე.

— შექსპირის ვხვდები და შენი კომპასი რა გახდა ასეთი, ბიჭო?! — გაიღიმა ზურაბმა.

— ნუთუ ვერ ხვდებით, პატივცემულო ზურაბ, რატომ იზიდავს ისარს ჩრდილოეთი და სამხრეთი, ბოლოს და ბოლოს ასპირანტი ხართ. — სინანულით გაიღიმა აბესაძემ.

— რატომ? — დაინტერესდა ასპირანტი.

— იმიტომ, რომ ჩრდილოეთში მოსკოვია, მოსკოვში — კრემლი, კრემლში — სტალინი.

— სტალინს მაგნიტი აქვს ჯიბეში, თუ რაშია საქმე? — შეაწყვეტინა არჩილმა. აბესაძე გალურჯდა.

— ამხანაგებო! — წამოდგა ფეხზე ზურაბი. — არ შეიძლება ასე ლექსის წერა, და საერთოდ კომპასებზე,

დურბინებზე და თერმომეტრებზე არაა საჭირო ლექსების წერა და თუ დავწერთ, უნდა ვიცოდეთ ჩასწერით, რაზე, რისთვის და ვისთვის.

— მე ძალიან კარგად ვიცოდი, რასაც ვწერდი! — წამოიძახა აბესაძემ ადგილიდან.

— რა იცოდი, აბესაძე, კომპასს რომ ორი ისარი აქვს? ან რა დააშავა პეკინმა, გავუქეთოთ მაშინ კომპასს მესამე ისარი. სულაც ჩინელებმა არ გამოიგონეს ეს ობერი? ან რა ქნას სპარსელმა, მისთვის რომ გორი და მოსკოვი ორივე ჩრდილოეთია?

— ჩემი ლექსი სპარსეთში არ წავა! — ისევ წამოხტა აბესაძე.

— არც გორში წავა მაგი, ისე ვატყობ! — დააკონკრეტა არჩილმა.

— მე ჯერ ახალგაზრდა ვარ! — დაისაწყლა თავი აბესაძემ.

— ახალგაზრდა რომ ხარ, არჩილი იმიტომ გუუბნება, თორემ ძველგაზრდა რომ იყო, მაგ კომპასს ალბათ თავზე დაგაფშვნიდა! — დაუჭირა მხარი არჩილს ზურაბმა.

დარბაზში თავშეკავებული სიცილი გაისმა.

— წავიღებ მე ამ ლექსს და სულ აღარ მოვალ ამ წრეში! — დაგვემუქრა აბესაძე.

— მაგ კომპასით თუ იარე, წრეს კი არა, საკუთარ სახლს ვერ მიაგნებ! — უთხრა გურამმა.

დარბაზში ხარხარი ატყდა. აბესაძე წამოხტა და კარები გაიჭახუნა. ზურაბს ყურადღება არ მიუქცევია, ცოტათი რომ დავწყნარდით, ისევ დაჯდა.

— აბა, ბარამიძე, წავგიკითხე, ახალი რა დაწერე! — თქვა მან და გამიღიმა.

მე ჯიბეზე, რომელშიც ლექსი მედო, ცეცხლი წამეკიდა და ხელი სწრაფად ამოვიღე. მერე ის ხელი გაყინულ შუბლზე მოვისვი და ცივი ოფლი მოვიწმინდე.

— პატივცემულო ზურაბ, დღეს მე ვერაფერს წავგიკითხავ! — ვთქვი მე.

— რატომ? — გაუკვირდა ასპირანტს.

— არაფერი დამიწერია! — ვიცრუე მე და რავე ამეწვა ჩიბე.

— რატომ, რატომ? — გაიძეორა კითხვა.

— რა უნდა დაწეროთ, მოვალთ მერე აქ და გვაბითურებთ! — თქვა თენგიზმა.

— პოეტი ფაქიზი ორგანიზშია, უფრო სათუთად უნდა მოექცეთ! — აღგაფიხზე წიკლაური.

— ვინ არის, წიკლაური, ფაქიზი, შენ ხარ ფაქიზი? თუ აბესაძეა ფაქიზი? უღელში რომ შეგაბათ კაცმა, თითო პეტარ მიწას მოხნავთ!

— ფიზიკური კომპლექსი არაფერს ნიშნავს. პოეტს სულში უნდა ჩახედოთ! — თქვა ერთ-ერთმა დამწყებმა კრიტიკოსმა.

— ვუყურებ, ბატონო, და ვერაფერს ვერ ვხედავ!

— უნდა აღმოაჩინოთ! — არ მოეშვა დამწყები კრიტიკოსი.

— მე კოლუმბი კი არ ვარ, ასპირანტი ვარ! — გაიმართლა თავი ზურაბმა.

— ილია ქავჭავაძემ ხომ აღმოაჩინა ბარათაშვილი? — წამოიძახა ვილაყამ.

— ბარათაშვილი არსებობდა და იმიტომ აღმოაჩინა ილიამ, კი არ გამოუგონებია!

— უნდა გვაცალოთ, გაზრდა! — თქვა ახლა ალავექემ.

— რამდენ ხანს, ალავექე? ჩვენზელა რომ იყო ბარათაშვილი, მკვდარი იყო უკვე!

— სამაგიეროდ, გოეთემ ოთხმოცი წლისამ დაწერა „ფაუსტი!“ — თქვა ალავექემ.

— ალავექე, რას გვიჩვენებ შენ, დევდეთ და ველოდოთ წიკლაურს, როდის გახდება ოთხმოცი წლის და როდის დაწერს „ფაუსტს?“ — ჰკითხა ზურაბმა.

— წიკლაურზე არ ვამბობ მე!

— აბა, აბესაძეზე?

— არც აბესაძეზე ვამბობ!

— აბა, ვიზე ვამბობ?

— მე საერთოდ ვამბობ? — სთქვა ალავექემ, მერე ნერწყვი გადაყლაპა და დაჯდა.

— თქვენც ხომ წერდით, პატრუცემულო ზურაბ, ლექსებზე და ვთქვარ არ ვცდები, საკმაოდ მკვლევარს სებს? — ჰკითხა დამწყებმა კრიტიკოსმა.

— ვწერდი და, რომ მითხრეს ცუდი-აო, დავანებე თავი. — თქვა ზურაბმა. დარბაზი გამოცოცხლდა. კრიტიკოსი ცივად დაჯდა.

— ამხანაგებო, მე თქვენი მტერი კი არ ვარ, — დაიწყო ზურაბმა და ფიხზე წამოდა, — დაწერეთ თქვენ კარგი ლექსები და მე პირველი მებოტბე ვიქნები თქვენი. ბოლოს და ბოლოს, თქვენი ტოლი ვარ. მე თუ არ გამეხარდება თქვენი კარგი, აბა ვის გაუხარდება, როგორ ფიქრობთ. არ უნდა ვუთხრა წიკლაურს, რომ ამაყი შეიძლება იყოს აღმაინი, ცხოველი, პირუტყვი, ფრინველიც კი და არა კიტრი? არ შეიძლება ასე! რა გამოვა, ახლა რომ ადგეს ვინმე ამერიკელი პოეტი და დაწეროს ლექსი: კომპასის ისარი იმიტომ არის მიმართული ჩრდილოეთით და სამხრეთით, რომ ჩრდილოეთში ტრუმენია და სამხრეთში ჩანკაიშოი. საუბედუროდ, ყველა ქვეყანას აქვს ჩრდილოეთი და სამხრეთი. საერთოდ, იცოდეთ, ამხანაგებო, ჩვენი ლიტერატურული წრე არ არის მოწოდებული იმასათვის, რომ ორმოცი გენიოსი გამოზარდოს. ღმერთმა დაიფაროს, რომ ორმოცი ბარათაშვილი, ორმოცი ილია, ვაჟა და აკაკი იყოს უნივერსიტეტში! არ მოიტყუილოთ თავი, ბედნიერი იქნება საქართველო თუ ჩვენში ერთი ან ორი ნიჭიერი პოეტი, ნიჭიერი პროზაიკოსი, კრიტიკოსი და მთარგმნელი გაიზარდება. და თუ ჩვენ ეს არ ვიცით და ასე არ გვჭერა, სჭობს ახლავე აედგეთ, დავიხუროთ ქუდები და წავიდეთ სახლში.

ზურაბი დადუმდა. დარბაზი მონუსხულივით გასუსულიყო და ადგილიდან არ იძროდა. ორმოცი კაცი განაბული იჯდა და ყურს უგდებდა მის ტოლკაცს, რომელიც ამდენი წლის მანძილზე უხმოდ იჯდა უკანა მერხზე. არც კარგს ამბობდა, არც ავს, ახლა კი თვა-

ლებში რაღაც საოცარი შექი ჩადგომოდა და ათრთოლებული ხმით ისეთ სიმართლეს გვეუბნებოდა. რომლის მსგავსი მისგან ადრე არ მოგვესმინა.

სხდომა დამთავრდა, მაგრამ ვერცერთი ჩვენგანი ვერ ბედავდა პირველი

ამდგარიყო და გასულიყო აუდიტორიიდან. ზურაბი, ალბათ, ამ უნერხულობას, ამიტომ მძიმე მხრეული გავიდა.

— ხომ გუეზნებოდი ჯიგრიანი ბიჭია მეთქი! — მითხრა გურამმა და წამოდგა.

ოპროპეტას დუქანი

ოპროპეტას დუქანი ნავთლულშია, ისეთ მიკარგულ ადგილას, რომ წესიერი კაცი ძნელად მიაგნებს. ოპროპეტა დამოუკიდებელი სახელმწიფოა. ოპროპეტას დუქანში მუდამ ბატონის ზორცია, სუკი, ბასთურმა, ჩანახი, ფითი, მუყუყი, მკავე, შოთი პური, თუშური ყველი, სამწლიანი ღვინო და ოთუზბირი ფასები. ოპროპეტასთან რომ იქეიფო, საცხოვრებელი უნდა დაავირო. სამაგიეროდ, მისი სუფრის ლაზათი და გემო საფლავში ჩაგყვება. ამიტომ ვინც თბილისის სახელგანთქმულ რესტორნებში თავისი ქონების საჯაროდ გამობაიარლებას ერიდება, ოპროპეტასთან მიდის, სვამს, ჭამს, ქეიფობს, დამწერის სიმღერებს ისმენს და გულაჩუყებული ათთუზიანებს აწებებს შუბლზე ცალთვალა მეარღნე ორშაურას. ოპროპეტა იცნობს თავის მუშტარს, ოპროპეტამ იცის, ვის როგორ მოეპასუროს და ელაპარაკოს.

ჩვენ რომ დავგინახა, ოპროპეტამ ცალი ხელით დოინჯი შემოირტყა, მეორეთი უზარმაზარი დანა დაარქო დახლზე და ხმამალა თქვა:

— საათებს, პასპორტებსა და პიჯაკებს გირაოში აღარ ვიტოვებ!

— ძია ოპროპეტას გაუმარჯოს! — გაუღიმა გურამმა და გერმანელი გენერალივით აუქნია ხელი.

— არც სტუდბილეტებს! — თქვა ოპროპეტამ და თვალები გადმოქაჩა.

— დღეს სტიპენდიები იყო, ძია ოპროპეტ! — თქვა გურამმა და ჯიბისკენ წაიღო ხელი.

— დღეს რა რიცხვია? — იკითხა დაეჭვებულმა ოპროპეტამ.

— ოცდახუთი! — ვთქვი მე.

— დაჯექით! — მოლბა ოპროპეტა.

— რაღაც მუშტარს ვერა ვხედავთ აი?! — მხარზე დაარტყა ხელი გურამმა.

— ჯერ ადრეა. — თქვა ოპროპეტამ.

მე და გურამი მაგიდას მივუსხედით. ოპროპეტა დახლიდან გამოვიდა და ჩვენს მაგიდას დაეყრდნო ვეებერთელა ტორებით.

— რას მიირთმევთ? — თქვა მან.

— რა გაქვს? — ვკითხე მე.

— ოპროპეტას დუქანი ზღაპარია, ოპროპეტა ნატურის თვალი, ინატრე! — მითხრა ოპროპეტამ.

მე ვინატრე. 10 წუთში სუფრაზე ორი შოთი პური, თუშური ყველი, ორი სუკი, მწვანელი, კიტრი, პამიდორი და ოთხი ბოთლი ღვინო გაჩნდა.

— ის სად არის? — მკითხა ოპროპეტამ.

— ვინ ის?

— აი ის, დიდი თავი რომ აქვს, ძალიან გრძელ და მაზალო ლექსებს კითხულობს ხოლმე.

— ეგეთი რამდენიც გინდა, იმდენია! — ვერ გავიხსენე მე.

— წერილი ხმა რომ აქვს და ძალით რომ იბოხებს, ბოლოს ბოთლებს ირტყამს ხოლმე თავში. — არ მომეშვა ოპროპეტა.

— ააა, ის დღეს მოკლეს, მომავალ პარასკევს გავასვენებთ! — გავიხსენე მე წიკლაური და ღვინო დავასხი.

— ვიცოდი მოკლავდნენ, ფინთი სიმთვრალე იცოდა! — დაენანა ოპროპეტას. — რითი მოკლეს?

— რითი მოკლეს? — ვკითხე გურამს მე ჩემი მხრიდან.

— ვიზე ამბობს? — მკითხა გაკვირვებულმა გურამმა.

— წიკლაურზე.

— პოო, მარტო ის კი არა, მეორეც მოკლეს, ამასაც კლავდნენ, მაგრამ გადაარჩა. — თქვა გურამმა და თავზე ხელი გადამისვა.

— როგორ, კლავდნენ, — აღშფოთდა ოქროპეტამ.

— აი, ეგრე, არაფრისთვის კლავდნენ!

— ვინა?

— არის ერთი კაცი!

— ილბათ, რამე დააშავეთი.. — თქვა ოქროპეტამ და დახლში დაბრუნდა.

— არაფერი ისეთი, ცუდ ლექსებს რატო წერთო!

— ვა, ეგ რა მაგის საქმეა? — ისევ გაუკვირდა ოქროპეტას.

— ის კაცი ამბობს, ცუდი ლექსიც კლავს კაცსო! — ვუთხარი მე.

— მერე შენ ვერ უთხარი, რომ წიგნი ტყვია არ არი, თუ არ მოგწონს, დახურე!

— ვუთხარი!

— მერე?

— არა სჯერა!

— მაშ იკითხოს, ახია მაგაზე! — ჩაიქნია ხელი ოქროპეტამ. — ესე იგი, ორი კაცი მოკლა? — იკითხა ისევ.

— მართლა კი არ მოკლა. ისე, ნამუსი რომ ჰქონდეთ, თვითონ მოიკლავდნენ თავს. — თქვა გურამმა.

— ეგრე თქვით რა, გული გადამიტრიალდა! — აიქნია ის ჩაქნეული ხელი ოქროპეტამ. დუქანში უწვევრულმა ჯარისკაცმა შემოყო თავი და კარებიდანვე იკითხა:

— ბორში იესტ?

— ბორში საიდან მოვუტანო? — მკითხა გაკვირვებულმა ოქროპეტამ.

— ჩევო? — ვერ გაიგო ჯარისკაცმა.

— ნეტუ! — მოუჭრა ოქროპეტამ, თავი სასწრაფოდ გაქრა.

დუქანში სიწყნარე ჩამოვარდა, მხოლოდ დამლაგებლის ცოცხის ჩუმი შრიალი და თეფშების ფრთხილი წყრიალი ისმოდა. ჩემს პირდაპირ კედელი ნადირობის ეპიზოდებით იყო მოხატული. გაქცეულ ირემს ერთი ისარი გა-

ვანე ჰქონდა დარტობილი და მეორის მოლოდინში მონადირეს სჯობდა ვეღიანი თვალებით უცქერდა მონადირე კი, რატომღაც თოფს უმიზნებდა. გვერდით კბილდაკრეპილი მონადირე ძაღლები გარეულ ტახს უღრენდნენ, პატარა გოჭები მამას ამოფარებოდნენ და ელოდნენ რა მოხდებოდა. მესამე სურათზე კაცთმოყვარობისა და პუმანინზმის გულსამაჩუყებელი ფაქტი იყო ასახული, მონადირე კლავდა მელას, რომელსაც პირში შიშისაგან თვალბგადმოცვენილი და გადარეული მამალი ეჭირა. ეს საინტერესო გალერეა უფრო საინტერესო განცხადებით მთავრდებოდა, რომელიც, რატომღაც, რუსულად აფრთხილებდა მომხმარებელს:

„Петь, шуметь, и танцевать, строго воспрещается“.

— პეტ, შუმეტ ი ტანცევატ, სტროგო ვოსპრეშაეტსია, — ჩაილიღნა გურამმა და ჭიქები შეაგსო.

პირველი ბოთლი უხმოდ დავლიეთ. მხოლოდ ჭიქებს ვუჩახუნებდით ერთმანეთს. მეორე ბოთლზე გურამს თამაღობის მუზა ეწვია ჭიქა გაავსო, ჩახველა და სალაპარაკოდ მოემზადა.

— არ გინდა! — ვუთხარი მე.

— მინდა! — თქვა მან.

— მიდი, გარეე! — დავრთე ნება. გურამმა გარეკა.

— რამდენი წელია, მე შენ გიცნობ? — მკითხა უცებ.

— ბევრი, — ვთქვი მე და გამიკვირდა.

— მაინც? — არ მომეშვა გურამი.

— ერთი, ორი, სამი, საბავშვო ბაღიდან მიცნობ!

— მერე?

— რა მერე?

— შენ რამდენი ხანია მიცნობ?

— თუ ძმა ხარ, დალიე და თვალებს ნუ ჭახავ! — ვთხოვე მე.

— მე უკვე მთვრალი ვარ, მოდი, ჩვენს ძმობას გაუმარჯოს! — თქვა გურამმა და ჭიქა პირში გადაიმხო.

— გაუმარჯოს! — ვთქვი მე და დავლიე. გურამმა ისევ შეავსო ჭიქები.

— ახლა მე მინდა დედაშენის სადღეგრძელო დავლიო, — დაიწყო მან, მე თავი ავწიე. გურამი ნაკით ჭიქიდან საცობის ნამცეცს იღებდა დინჯად და აუჩქარებლად. ალბათ, ფიქრობდა, რა და როგორ ეთქვა.

— მარტო დედაშენის კი არა, საერთოდ, დედების, დედაშენის თამაღობით.

— რატომ — დედაჩემის?

— იმიტომ!

— გამაღობთ! — ვთქვი მე და ჭიქა ავიღე.

— მოიცა, არ დალიო! — გამაჩერა გურამმა. მე ჭიქა მაგიდაზე დავდგი.

— მე ღმერთის სადღეგრძელო მინდა დავლიო!

— აკი დედაჩემის სადღეგრძელოს სვამდი?

— მე ღმერთის სადღეგრძელო მინდა დავლიო. — გაიმეორა გურამმა, — გაწბილებული ღმერთის, დაკარგული ღმერთის, დავიწყებული ღმერთის, გაბითურებული ღმერთის.

— გაუმარჯოს გაბითურებულ ღმერთს! — ვთქვი მე.

— ბითური ხარ შენ. — თქვა გურამმა.

— შენ? — ვკითხე გურამს.

— მეც ბითური ვარ, შენზე უფრო დიდი ბითური იმიტომ, რომ შენთან ღვინოს ვსვამ და ღმერთს ვადღეგრძელებ.

— რა გინდა, ბიჭო? რას გადამეკიდე?

— მე მინდა ღმერთის სადღეგრძელო შევსვა.

— შესვი, ვინ გიშლის?

— აღეჭი ფეხზე! — მე ავდეჭი. — დედაშენს გაუმარჯოს!

— მაღლობელი ვარ!

— შენ იცი ვინ არის დედაშენი? — მკითხა გურამმა. მე არაფერი არ ვუბახუბე. გურამმა დიდხანს მიყურა, დიდ-

ხანს, მერე ჭიქას ღვინო დაამატა / და დაიწყო:

გურამის

— დედაშენი არის ღმერთი, შენც რომ ზიხარ და უყურებ ისიც რომ გიყურებს, შენ რომ დედას ეძახი და ის შეილოს გეძახის, ამიტომ შენ გგონია, ღმერთი არ არის? შენ ღმერთი ვინ გგონია? წვერებიანი ბაბუა? ღრუბელზე ზის და პირს რომ იბანს, წვიმა მოდის? ღმერთი ისე ნათელია, ისე ახლობელი, ისე ცხადი და ისე უბრალო, რომ, როდესაც ხედავ, არ იცი, რომ ღმერთია, ვერ წარმოიდგენ რომ ღმერთია, არ ვჯერა რომ ღმერთია, ამაშია ღმერთის უბედურება, ამიტომ არ წამთ ღმერთი. ღმერთი რომ სხვაგან იყოს, შორს ჩვენგან, ცალკე და მაღლა, ღმერთი რომ ჩვენში არ იყოს, მაშინ ყველა იწამებდა. ამაშია საქმე!.. ღმერთი მაშინ უნდა იწამო, ღმერთის სახე რომ არ აქვს, რომ არ გავს ღმერთს, რომ არ გეუბნება ღმერთი ვარო, პურს რომ გიყოფს, სადილს რომ გიკეთებს, ტანზე რომ გაცმევს, თავზე რომ გახურავს, გიღიმის და გეფერება, გკოცნის და ტირის შენი გულისთვის, კვდება შენი გულისთვის, ცივა, წყურია, შია შენთან ერთად, სულს აძლევს ეშმაკს შენი გულისთვის, მაშინ უნდა იწამო. აბა, ღმერთმა თუ თავისი სახე გაჩვენა, კედელთან მიგაყენა, ყური ავიწია და თვითონ თუ ვითხრა ღმერთი ვარ და მიწამეო, მაშინ რაღად უნდა ღმერთს შენი რწმენა? ასეთ ღმერთს შენ კი არა, ყველა იწამებს. ღმერთი მაშინ უნდა იწამო, შენ რომ გგავს, მე რომ მგავს, დედაშენს რომ გავს, გასაგებია? — დამთავრა გურამმა და ნისლიანი თვალები მომამყრო.

— გასაგებია! — ვუთხარი მე და კიდევ რომ არ გაეგრძელებინა, ღვინო დავლიე.

— გაამოს! — დამლოცა გურამმა და დაჯდა. ოქროპეტამ კიდევ ორი ბოთლი ღვინო მოიტანა და თვალით, დალაშქრებულ გურამზე მაჩვენა რა მოუვიდაო.

— შენი რცხვენია და თვალს ვერ გისწორებს. — ვუთხარი მე. გურამმა ოქროპეტას ღვინო დაუსხა.

— დალიე ამის დედის სადღეგრძელო!

ოქროპეტამ ქონიანი ტუჩები მაგიდის საფარით გაიხოცა და ჭიქა აიღო.

— ცოტას მოვსვამ! — თქვა მან.

— ბოლომდე დალიე! — არ მოეშვა გურამი.

— თქვენს დედებს ვენაცვალე ჭიგრებში — თქვა ოქროპეტამ.

— დალიე!

— დედათქვენის ძუძუებს ვენაცვალე, კარგი ჭველების გაზრდისათვის! — განაგრძო ოქროპეტამ.

— დალიე! — გაამხნევა გურამმა.

— თქვენი დედების...

— დალიე, თუ ძმა ხარ, და ნუ ივი-ნები! — ვთხოვე ოქროპეტას.

ოქროპეტამ დალია, მერე გვერდულად გადმოშხედა და მოტანილი ბოთლებიდან ერთი უკან წაიღო.

— სად მიგაქვს? — ჰკითხა გურამმა.

— გეყოფათ! — თქვა ოქროპეტამ.

— გვეყოფა? — მკითხა ახლა მე გურამმა. მე თავი დავუქნიე.

— აბა დაასხი. — მე დავასხი. გურამმა ჭიქა აიღო.

— ეს შენი სადღეგრძელო იყოს, თემური! — თქვა მან.

— ჩემი და შენი ერთად! — ვთხოვე მე.

— კარგი, ჩემი და შენი, თემური. მე შენ ძალიან მიყვარხარ, აბა თუ იცი რატომ?

— ვიცი!

— არაფერი არ იცი, აბა, რატომ?

— არ ვიცი!

— ჰოდა, ეგრე. შენ ჩემი ძმა ხარ, ნამდვილი ძმა. წინათ მე შენი მეშინოდა, მერე მრცხვენოდა, დიდხანს მეშინოდა და მრცხვენოდა.

— რისი გეშინოდა?

— არ ვიცი, იაე, მეშინოდა, თუ მართო რომ იყავი...

— რატომ? — გამიკვირდა მე.

— არ ვიცი, კლასში რომ რამე დაიკარგებოდა, მეშინოდა, შენი წაღებულ ი არ ყოფილიყო. გაკვეთილს რომ გააცდენდი, მეშინოდა, სკოლაში აღარ დაბრუნდება-მეთქი. თავერა რომ ქურღობაზე დაიჭირეს, მეშინოდა, შენც დავიჭვრდნენ მეგონა მასთან ერთად. ათწლეუდი რომ დავამთავრეთ, მეშინოდა, უმაღლესში არ შემოვა-მეთქი... მერე ჩემი შიში რომ არ მართლდებოდა, მრცხვენოდა, თან მიხაროდა. — გურამი დადუმდა. ცოტა ხანს ასე იყო, მერე ისევე დაიწყო:

— მე და შენ ხომ ძმაკაცები ვართ?

— ჰო, მერე?

— მერე და შენ რომ რამე მოგივიდეს, თავს მოვიკლავ.

— ხომ გეუბნები გიყი ხარ-მეთქი! — ვიყო!

მერე ჭიქა აიღო და უხმოდ დალია. მე სადღეგრძელოს თქმა მომინდა და ფეხზე ავდექი.

— მე და შენ გაგვიმარჯოს, გურამ, გაუმარჯოს იმას, რასაც შენ ღმერთს ეძახი, გაუმარჯოს კაცს, მაღალს, ძლიერს, მართალს, კეთილს. გაუმარჯოს რწმენას და მის დაკარგვას, მე წავალ ახლა და რაც ლექსები დამიწერია, სუყველას დაეწავ, ყველას, ყველას!

— მაგას დაგიფასებს მაღლიერი შთამომავლობა! — გაიღიმა გურამმა.

— დავწავ ყველას, მერე დავვადები და დილაზე ერთ ლექსს ვიკითხავ, ღმერთის დაწერილ ლექსს, იმ ღმერთის ლექსს, რომელიც ისე უბრალოა, ისე ნათელია, ისე ახლობელია, რომ არც კი გჯერა, რომ ღმერთია.

„მაქვს მკერდს მიღებული
ქნარი, — როგორც შინდა —
ჩემთვის დიდებული
სხივი გამობრწყინდა,

მკვიდრად ააშენა,
 ვინაც ააშენა
 და ცით დაამშვენა
 დიდი ნიკორწმინდა...*

— ღმერთს გაუმარჯოს, გურამ, ჩემსა და შენს ღმერთს. რომელიც ღრუბელზე არ ზის, რომელსაც პირის ბანის დროს წვიმა არ მოყავს და რომელიც ჩვენი გულისთვის სულს აძლევს ეშმაკს. — მე ჭიქა გამოვცალე და დაეჯექი. მერე თვალები დავხუჭე და ფერად-ფერადი, ლურჯი და ვარდისფერი ვარსკვლავების ზღვაში შევეცურე. მერე მხარზე უზარმაზარი ტორი ვიგრძენი და თვალები გვაგახილე. იგი ნისლში ცურავდა, იგი არ იყო ღმერთი, ეს იყო ეშმაკი, რომელსაც ხელში საანგარიშო ეჭირა და ჩემი და გურამის სულის წასაღებად იყო მოსული.

• • •

ოთახში რომ შევედი, დედა ფანჯარასთან იჯდა და რაღაცას კითხულობდა. კარი ღია იყო და მას არ შეუშინებია ჩემი მოსვლა. წარბებშეკრული კითხულობდა, გულდასმით და ყურადღებით. ამ ხნის მანძილზე მე არასდროს არ მიტყვამს მისთვის, რომ ლექსებს ვწერდი, არც მას უკითხავს, თუმცა ვგრძნობდი, რომ რაღაცას ხედებოდა, რადგან ღამით, ლექსის წერის დროს ხშირად შემიმჩნევია, თვალყურს მადევნებდა. რამდენჯერ ავმდგარვარ სკამიდან, მიესულვარ მასთან, დავუარიღვარ მის სახეზე და მიგრძენია, რომ ათრთოლებული ქუთუთოების იქიდან ორი ცნობისმოყვარე და გაკვირვებული თვალი მიმზერდა. ველარაფერს ვწერდი, ვხურავდი რვეულს და ვწვებოდი. და ახლა დედის ხელში ჩემი რვეული ვიცანი. ტანში რაღაც არასასიამოვნო და შიშისმავგვარმა ქრუანტელმა დამიარა. იგი გართული იყო

ლექსების კითხვით. მე თავზე დავადექი.

— დედა! — დედა შეცა, რვეული დახურა და შეშინებულმა ამომხედა. მერე უცებ გაწითლდა.

— ეს რვეული, შვილო... — დედას ენა დაება. — არ გეწყინოს. წაეკითხავ და ისევე თავის ადგილზე დავუდებ! — დედა მუდარით მიმზერდა. მე ქალიან უხერხულად ვიგრძენი თავი.

— რას ამბობ, დედა, უბრალოდ, მრცხვენოდა შენთვის შეჩვენებინა, არ მოგეწონებოდა მეგონა. — ვთქვი მე.

— ცოტა დამრჩა, ერთი თუ ორი ლექსი. — თქვა დედამ და რვეული გაშალა. მე სამზარეულოში გავედი, რომ მეცლია მისთვის კითხვის დამთავრება. როდესაც დავბრუნდი, დედას კითხვა დამთავრებული ჰქონდა და მავიდაზე თეფშებს აწყობდა.

— რაო, დედა, მოგეწონა? — ვკითხე მე მოგონებული სიმშვიდით და მაგიდას მივუჯექი. დედამ გამიღიმა და თავი დამიქნია.

— მაინც? — დავინტერესადი, გული ამიჩქარდა.

— არაუშავს! — თქვა დედამ მშვიდად და პურის დაჭრა დაიწყო.

— როგორ, არაუშავს? — გამიკვირდა. მე.

— ისე, არაუშავს! — თქვა დედამ და სახე ამარიადა.

— არ მოგეწონა? — ვკითხე შეშინებულმა.

— შენ მოგწონს? — მკითხა ახლა დედამ. პირი გამიშრა და ნერწყვი გადავესლავე.

— მე, მე, რა თქმა უნდა, მომწონს, რადგან ვწერ, ესე იგი მომწონს, საერთოდ ყველას მოსწონს თავისი ნამუშევარი...

— რატომ, შვილო?... აი მე დღევანდელი სადილი ვაკეთე, ვაკეთე და არ მომწონს. — მითხრა დედამ.

— მე რაც არ მომწონს, ვხევე... და ვკრც.

— მაინც დაგელოდე, იქნებ თემურის მოეწონოს-მეთქი. აბა, გასინჯე! — მთხოვა დედამ. უხალისოდ მოვსვი ლობიოს წვენი. არ ვიცო, მომეჩვენა თუ მართლა, იგი საოცრად უგემური იყო და თეფში გვერდზე გავწიე.

— აი, ხომ ხედავ, მშვიერი დაგტოვე... — მითხრა დედამ და შეწუხებული სახით მოუჭდა მაგიდას.

— მაინც რა აკლია ჩემს ლექსებს?

— არაფერი, შვილო, არაფერი არ აკლია, ყველაფერი თავის ადგილზეა. რითმაც, რიტმიც, მარცვალიც; წერტილიც და მძიმეც...

— აბა სხვა რა გინდა? — არ მოვეძვიე მე.

დედამ თავზე ორთავე ხელი შემოიწყო და თვალები დახუჭა. იგი დიდხანს იჯდა ასე და ბოლოს ხამალა დაიწყო:

— ლექსი ადამიანივით არის, შვილო, რამდენი კაცია, ხელიც აქვს, ფეხიც, ყურიც, ცხვირიც, თვალიც, ყველაფერი თავის ადგილზე, მაგრამ კაცი არ არის, უყურებ ადამიანია, ნამდვილი ადამიანი, გაიცნობ და არ არის ადამიანი, რაღაც აკლია, და აი ის რაღაც რომ აკლია, ამიტომ ცხოველია, პირუტყვა. შენ არ გეწყინოს, შვილო, და შენს ლექსებსაც აი ის რაღაც აკლია, რაც ქალღმერთს არ ჩანს ხოლმე და არ იწყობა.

— შენ გინდა თქვა, რომ ჩემს ლექსებს სული აკლია?

— არა, შვილო, სული როგორ აკლია, პირიქით, ძალიან ბევრი სულია შიგ, იმდენი, იმდენი, რომ შენი სულისთვის ადგილი აღარ არის.

— არ მესმის, რას ამბობ!

— აი, რომ არ გესმის, ამაშია საქმე!

— შენ ჩემი არაფერი არ მოგწონს, არაფრის არ გკერა, შენს მოსაწონს მე ვერაფერს ვერ ვაკეთებ... — გაუბრაზდი მე.

— არა, შვილო, საიდან მოიტანე. შენ ჩემი სიკვდილის განაჩენი არაა და წერა რომ, ისიც ძვირფასი იქნება ჩემთვის, ოღონდ შენი სული უნდა იყოს შიგ, შენი სისხლი, ოფლი და წუხილი. რაც გაუწებებს, ის უნდა წერო.

— აბა ეს რა არის? — ვიყვირე მე და რვეულს ვტაცე ხელი.

— ეგ არაფერი არ არის, შვილო, უბრალოდ ვარჯიშია, შენ ნიჭიერი ბიჭი ხარ, სხვაზე უკეთესად რითმაც ბალახს და ტალახს, მეტი არაფერი. — თქვა დედამ და თეფშების ალაგება დაიწყო.

ასე მართალი, ასე პირდაპირი, ასე მოურიდებელი და მკაცრი ჩემს მიმართ მე დედა არასდროს არ მინახავს და შემინებელი ვემზერდა. დედამ იგრძნო, რომ ძალიან მკაცრად მომეტყვა. მე მის თვალეში სიბრაღული დაეინახე, იგი უხერხულად ალაგებდა თეფშებს. ჯერ ჭიქა წააქცია, მერე კოვზი გაუფარდა ხელიდან, ბოლოს თეფშიც გაუტყდა. მე მივედი და მხრებზე ხელი მოვხვიე.

— შენ გგონია მეწყინა, დედა? — ვკითხე და გავუღიმე.

— არა, შვილო, რაღაც ცუდ გუნებაზე ვიყავი ალბათ, თორემ მშვენიერი ლექსები გაქვს. განსაკუთრებით, ის, ალბათ, გულიკონია დაწერილი — „შენი ღიმილი მაჩუქე“, ან ის „მთვარე კვესივით დაეცა მეტეხს“, ისიც „მე სოფლად დამრჩა პატარა ოდა“ ძალიან, ძალიან მომეწონა... ალბათ, გულიკონაც მოსწონს შენი ლექსები. დღეს რაღაც ცუდ ფეხზე ავდექი, მე თვითონ არ ვიცი, რა დამემართა, ისეთი სიამოვნებით ვკითხულობდი და უცებ... არ ვიცი ღმერთმანი...

დედა აღელდა, ენა აერია, ხელები ოდნავ აუცახცახდა...

— ნამდვილად მომეწონა, ერთ ადგილას ვიტყვი კიდევაც... რომელ ლექსში იყო? აი, ჩემზე რომ გაქვს დაწერილი, ძალიან, ძალიან მომეწონა... — იგი

სტყუოდა უსამველოდ და თვალს არ მაცილებდა. მან დაიფიქრა ყველაფერი, რაც მოთხრა წუთის წინ, იგი განგებ ისაწყლებდა თავს და მხოლოდ იმისათვის, რომ ისევ არ დავეკარგე, ისევ უცხო არ გამხდარიყო ჩემთვის და რამდენად მეტს ღელავდა, რამდენად მეტს ლაპარაკობდა და სტყუოდა, მით უფ-

რო ახლობელი, საყვარელი და მშობლიური ხლებოდა ჩემთვის ყველაფერს მომაწვა ყელში, მინდობდა მსგავსად მწვანე რვეულს, რომელიც ახლა დედას ექირა, დამხვია, დამეწვა, დამეგლიჯა, მერე ჩავხვეოდი მაგრად, დიდხანს, დიდხანს შეკოცნა მისი ათრთლებული ხელები, მაგრამ ვერ გავებდე და ოთახიდან გავედი.

ზ ლ ვ ა

ქვიმა ცხელია. თვალბზე გულიყოს თავსაფარი მთავრია და ისე გავცქერი მზეს. მზე გულიყოს თავსაფარითი ქრელია, წითელი, მწვანე, შავი, ყვითელი, ლურჯი, იასამინისფერი და კიდევ რაღაცფერი, რომელსაც მზე ამ უამრავ ფერთა და საყუთარი ფერის შეხვეებით ქმნის. საჩვენებელი თითით ვიწერილებ თვალის გუგას, ახლა რამდენიმე ფარშავანგის კუდივით მაროდგაშლილი და ლამაზი მზე ცასცახებს ცაზე. მეორე თვალის გუგასაც ვიწერილებ და ახლა ცა მხოლოდ ასეთი მზეებით არის მოქარგული, უამრავი, ულამაზესი, ერთმანეთზე დაფენილი და მოცახცახე მზეებით. ალბათ, ესკიმოსები ასეთს ხედავენ ცას, ცას მზეებითა და ფერებით სავსეს. რა ბედნიერებაა, ღმერთო! — ჩემსავე გულმზრველო ფიქრებზე მელიმება და გუგებს ხელს ვუშვებ. ახლა ისევ ერთი მზე მიმზერს ციდან.

— გავიდა ხუთი კალორია, გადაბრუნდი! — გავგავრთხილა პლაჟის აღმინისტრაციამ. ალბათ, უკვე ოცი კალორია გავიდა, მე კი ისევ გულადმა ვწევარ. რუსების გარდა, ბათუმის პლაჟზე კალორიებს არავენ ითვლის, ამიტომ მათ უფრო ზომიერი და ლამაზი სიშავე აქვთ. ჩვენ კი უსამველოდ ვართ დახრუკულები. უცებ სახეზე ჩრდილი დამეცა. თავსაფარი ჩამოვიცალე და ჩრდილს ავხედე. თავზე, თეთრ მარმარილოსავით სახეკათქათა, დიდრონ ცისფერთვლებიანი და კუპრავით შავთმიანი ქალი მადგა. ძალაუნებურად წამოვკეტი და გავუღიმე.

ეს ის გოგონა იყო, გუშინ საღამოს ჩემს ოთახში რომ შემოვიდა და ვილაც აეთო იკითხა.

— უკაცრავად, თქვენ და აეთო ერთად ცხოვრობთ? — მკითხა მან.

— რომელი აეთო?

— აეთო!

— აა, როგორ არა, დაბრძანდით!

— თქვენ გივი გქვიათ, არა?

— დიახ, — ღმერთო, რა ლამაზია! — დაბრძანდით!

— სად არის აეთო?

— აეთო? — რა ლამაზი თვალბი აქვს, ღმერთო, რა შავი თმა!

— მალე მოვა აეთო? — ისევ მკითხა მან.

— დიახ, სულ მალე. დაბრძანდით! — ქალიშვილი დაჭდა და ოთახს დაუწყო თვალღერება.

— შამპანურს ზომ არ მიირთმევთ? — გეცი ბოთლს.

— არა, გმადლობთ!

— ლიმონათს?

— არა!

— შოკოლადი მიირთვით!

— სად არის აეთო? დამირდა სადგურში დაგხვდებიო. ალბათ არ ეცალა, ნომერსაც დამირდა, კიდევ კარგი, მომცეს. თბილისიდან ერთი დღით გვიან წამოვედი. თქვენ ერთად ჩამოდი, არა?

— ეინ? მე და აეთო? პო... ერთად ჩამოვედით...

— მე ასმეხუთე ნომერში ვარ დაბლა. უთხარით, რომ მოვა, დამირეკოს. — თქვა მან და ადგა.

— იცით რა, დაბრძანდით, კიდევ ცოტა ხანს დაბრძანდით! ერთი ჭიქა დალიეთ ჩვენი ვაცნობის.

— კარგი! — გაიღიმა ქალიშვილმა და ჭიქა აიღო.

მეც ავიღე და ჭიქები მივაჭახუნეთ.

— ჩვენი ვაცნობის იყოს.

— იყოს! — თქვა ქალიშვილმა.

ჩვენ გავუცინეთ ერთმანეთს და უცებ დიმილი სახეზე შემახმა. გაფითრდა. გაკვირვებულმა ქალიშვილმა ჯერ მე შემხედდა, მერე ჩემს გაშტერებულ მხერკას გააყოლა თვალი. კარებში სიბრაზისაგან გაწითლებული გაქვავებული და შეუჩაჩყოფილი გულიყო იდგა. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც გლახა ოპერეტაში. გულიკომ კარი მიიჭახუნა და გაკვირვებულმა ქალიშვილმა ჭიქა იდავდა!

— რა მოხდა? — მკითხა მან.

— არაფერი, ისე... — ეთქვი მე და ოთახიდან გავვარდი. გულიკოს კარებს ვეცი. კარი ჩაკეტილი იყო შიგნიდან. ჩემს ოთახში რომ დაებრუნდი, განცვიფრებული გურამი საწოლზე იჯდა და კეფას იფხანდა. ქალიშვილი არსად ჩანდა.

— რა მოხდა? — მკითხა ახლა მან.

— რა ვითბრა?

— ავთო როდის მოვაო!

— მერე?

— მე ვუთხარი არ მოვა-მეთქი. რატომო, მე ვუთხარი, იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, არ ვიცი ვინ არის ავთო-მეთქი და, მეორეც, ავთო აქ არ ცხოვრობს-მეთქი.

— მერე?

— მერე არაფერი, კრეტინო, თქვა რუსულად და წავიდა. რას მერჩოდა არ ვიცი.

— დავილუბე, გულიკომ დაგვინახა.

— რას აკეთებდით?

— შამპანურს ვსვამდით.

— მერე?

— მერე არაფერი.

— ვინ არის?

— არ ვიცი!

— კარგი, თუ ძმა ხარ, მაგას ვინ ქამს.

— გაიცინა გურამმა და ლოგინს შეხედა.

* * *

ერთხელ, თურმე, ორი დიდი ხნის უნახავი მეგობარი შეხვდა ერთმანეთს. ერთი — დაღვრემილი, მეორე — მზიარული.

— როგორ ხარო, — ჰკითხა მზიარულმა.

— ისეთი უცნაური და უბედური ამბავი შემემთხვა, ვისაც არ მოვუყევე, არავის არ სჯერა და რალა შენ დამიჯერებო, — უთბრა დაღვრემილმა და ამოიკრა.

— ასეთი რა შეგემთხვა, შე კაცოო, — შეწუხდა მზიარული.

— ცოლმა გამომავადო სახლიდანო. — შესჩივლა დაღვრემილმა.

— რათაო, კაცო? — გაუკვირდა მზიარულს.

— რათა და ამისთვისაო, — თქვა დაღვრემილმა და ამბავი დაიწყო.

ამ ერთი თვის წინათ გზაში მივდიოდი, საშინლად წვიმდა და ციოდა, უცებ მიქნავეებული ხმა გავიგონე ჩემს წინ. დავიხარე, ვხედავ ბაყაყი, ჩვეულებრივი ბაყაყი.

— ამიყვანე, კეთილო კაცო. ზომ ხედავ, სიცოცხით ვკვდებიო. — მითბრა. ავიყვანე, უბეში ჩავისვი და სახლში მივიყვანე. ფანჯრის რაფაზე დავსვი. სატყლის ჭამა დავიწყე.

— ცოტა მეც მაჭამე, კეთილო კაცო! — მთხოვა ბაყაყმა. რას ვიზამდი, მაგიდაზე დავსვი და ვაჭამე, არ მახსოვს, მგონი, ცოტა დალია კიდევ.

ლოგინში რომ ჩავწექი, ისევ მომესმა ბაყაყის ხმა.

— მარტოს მეშინია, კეთილო კაცო, ჩამიწვინე ლოგინშიო... — შენ ჩემს ადგილზე როგორ მოიქცეოდი? ავიყვანე და ჩავიწვინე ლოგინში. ბაყაყი მომეკრა, მომეკრა და, ერთიც ვნახოთ, მშვენიერ ქალად არ გადაიქცა?!

ამ დროს ოთახში ჩემი ცოლი შემოვიდა. ეს რომ დაინახა, ქვა ააგდო, თავი შეუშვირა და გული წაუვიდა. ვინს რომ

მოვიდა, ყველაფერი დალაგებით მოვეყვები, როგორც იყო. არ დამიჯერა, მაინც გამოშავდო სახლიდან.

— ამაჲ ვინ დაიჯერებს, შე უბედუროო. — უთხრა მზიარულმა.

— აქი გითხარი — შენც არ დამიჯერებ-მეთქი! — თქვა დაღვრემილმა, თავი ჩაქინდა და უფრო დაღვრემ-ლი ვაუღვა გზას.

• • •

არ ვიცი, დამიჯერა თუ არა გული-კომ, რაც მოვეყვები. მაგრამ ერთი დღეზე ცხადი და ნათელი იყო, ის ქალიშვილი ახლა თავზე მადგა.

— უკაცრავად, ეს ტახტი თავისუფალია? — მკითხა მან და გულიკოს ტახტს ლამაზი ფეხით შეეხო.

— დაბრძანდით! — ვთხოვე მე და გულიკოს ქოშები ჩემსკენ გამოეწვიე.

— თავისუფალია? — გამოიმეორა კითხვა, ვიგრძენი სათვალის ქვეშედან თვალი გულიკოს ქოშებს გააყოლა.

— დაახ. თავისუფალია! — ვუთხარი მე და ფეხზე წამოვდექი. ქალი დაიხარა, ტახტს ხელი მოკიდა. გაასწორებს და დაჭდება, გავიფიქრე გულში და გამებზარდა. ქალმა ტახტი აიღო ერთი ბოლოდან და დაითრია. საბტად დავრჩი.

წავიდა ისე, რომ ჩემსკენ არც მოუხედავს.

— უკაცრავად, ქალიშვილო!.. — ვთქვი მე.

— მე მითხარით რამე? — მომიბრუნდა ქალიშვილი...

— იცით რა? ისა... — და მე მივლოდა მეთქვა, რომ ტახტი დაკავებულია, რომ მე შეგონა იგი ჩემთან დაჭდებოდა... მაგრამ ვერ მოვახერხე, უხერხულად შევიშმუშენე.

— თქვენ თბილისელი ხართ? — ვკითხე მაინც.

— დიახ, რაშია საქმე? — თქვა მან და სათვალე მოიხსნა.

— არაფერი, ისე, ძალიან თეთრი ხართ! — გავიყრივე მე.

— არაუშავს, გავშავდები! — დამამშვიდა მან.

— თუ ღმერთი გწამთ, ნუ ეზამო მამას! — ვთხოვე მე. უარყოფილი

— ვეცდები! — ისევ დასმული მან.

— მაღლობელი ვარ! — ვთქვი მე და თავი დავხარე.

— არაფრია! — მიპასუხა მან. სათვალე გაიკეთა და გზა განაგრძო, იგათი მეტრის მოშორებით შეჩერდა, ტახტი მოხერხებულად დადო და კაბის გახდა დაიწყო. კაბა რომ მკლავებსა და თავს ზევით ქმონდა წამოსდელი, ჩემსკენ გამოიხედა. მე თვალი ავირიდე და ზღვას გავხედე.

ზღვა იყო ძალიან წყნარი, იმდენად წყნარი, რომ ტალღების ხმა თითქმის არ ისმოდა. ზღვა შრიალებდა თუ ჩურჩულებდა. ნაპირი კი გუგუნებდა, ღრიალებდა, ქვიშა ჩხრიალებდა. გატრუნული ხალხი თვალმიმუღწევი ეყარა მცხუნვარე მზის ქვეშ. ზოგი ბანქოს თამაშობდა და ხვითქში ცურავდა, ზოგი ბურთს თამაშობდა, ზოგი ხმამაღლა ლაპარაკობდა, იცინოდა, ხარხარებდა. ზოგიც სახით ჩამხობილიყო. მკლავები ამოეტრიალებინა და მზისუნახავ იღლიებს ირუჯავდა. უმეტესობა ზღვაში ჩაყრილიყო და ისეთი სახათ ნებივრობდა, თითქოს ზღვა ამსოლუტური სიყვარულით ყოფილიყო საესე. ზოგი შორს, ძალიან შორს წასულიყო, ისე შორს, სადაც ზღვა ლურჯია, სულ ლურჯი, მათი თავები პატარა, ძალზე პატარა კუნძულებივით ხან გამოჩნდებოდა, ხან გაქრებოდა. შორიდან ისმოდა ამ კუნძულების გადაძახილები, სიცილი, ცრუ კივილი, ყიყინა, რომელიც ზღვის ნიავს პატარა ტალღებივით უჩუმრად, ჩურჩულივით მოჰქონდათ ნაპირზე და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ზღვა თავის თავს ელაპარაკებოდა ათას სხვადასხვა ხმაზე და ეს მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოცვენილი მიღეთის ხალხი — რომელიც ახლა მის უბეში იწვა, ბორჯავდა, სიამოვნებოდაც კენესოდა, ოხრავდა, იცინოდა, ხარხარებდა და სდუმდა—ზღვისთვის არ არსებობდა. ზღვა იყო ძალიან წყნარი.

ქალიშვილმა გაიხადა. მუქი შინდის-

ფერი, საცურაო კოსტუმში ეცვა. ჩემდა გასაოცრად, ტანი არც ისე თეთრი ჰქონდა, უფრო ხორბლისფერი, და ეს თეთრი, შავი, შინდისფერი და ხორბლისფერი, ფერების საოცარ ეფექტს ქმნიდა. ალბათ სახეზე უმარულს ისვამს, — გავიფიქრე და წამოვდექი. ქალიშვილი ტახტზე წამოწვა.

უცებ მასთან მხარბეჭიანი, მოკლედ თმაშეკრეპილი, საკმაოდ მალალი, ლამაზი ვაჟი მივიდა და უცერემონიოდ თავზე დაადგა.

— რა უნდოდა? — ჰკითხა მან ქალს, მე გავიგონე ეს და გული შემეკუმშა.

— ვის? — კითხვითვე უპასუხა ქალმა.

— იმ ტიპს! — თქვა ვაჟმა და ისე გამოხედდა ჩემკენ, არც მორიდებია, იქნებ ესმისო. მე ხელები გამიცივდა, მაგრამ ისეთი გამომეტყველება მივიღე, თითქოს არ მესმოდა, დავიხარე და ქვა ავიღე. მერე მოწყვეტით ვისროლე ზღვაში. ქვა გაცურდა.

— იმას? არაფერი.

— რაღაცას გეუბნებოდა!

— არაფერს! — თქვა ქალმა და სათვალე მოიძრო, — ტახტი ვთხოვე და მომიცა.

— მეტი არაფერი?

— მეტი არაფერი!

— გიციონოდა რაღაცას.

— მე არ მიციონოდა, — თქვა ქალმა და ისევ გაიკეთა სათვალე.

— ჰო! — მერე კიდევ რაღაც თქვეს, მაგრამ უფრო ხმადაბლა. არ ვიცი რა თქვეს ისეთი, მაგრამ ვაჟმა ხმამაღლა გაიციინა, მერე მუხლებზე დაემხო მის თავთან, ორთავე ხელები შიშველ მკლავებზე მოუჭირა და თავი თავზე დაადო. მე ისევ ზღვისკენ ვაეხედე.

— თემო, თემო! — მიქნევდა ხელს შორიდან გურამი. გულიყო და გურამი ნაპირისკენ მიცურავდნენ. ხელი დავუჭინე და ისევ გავწევი გულალმა ქვიშაზე.

ზღვა ძალიან მიყვარს, მაგრამ შორს არასდროს არ მივდივარ, არ მივდივარ სხვასთან ერთად. შორს მივდივარ მხო-

ლოდ მარტო, ხანდახან ისე შორს, რომ ნაპირს ვერ ვხედავ. მე მაშინვე დაიწყებდა შენიხა ზღვის, იმიტომ, რომ ზღვაში უზარმაზარი, მილიონჯერ, მილიარდჯერ, უსასრულობამდე ჩემზე დიდი და შეიძლება ისე დამკარგოს, ისე ჩაჰნთქას, ისე გამოქვიფოს თავის დიწყ, მძიმე სმორებაში, რომ ვერც შეიტყოს, ვერც მიხედეს და ვერც იერაქნოს... თან არ შენიხა იმიტომ, რომ ზღვას საოცრად რბილი სხეული აქვს და ზღვა საოცრად თბილია. თუ შეგიშვია ზღვამ, იგი არასდროს არ დაგახრჩობს. ზღვამ არ იციან ლალიტი, მაგრამ ზღვას არ უყვარს, როდესაც მისი არ ეშინიათ. იგი თვითონ გაფრთხილებს. გეუბნება, გთხოვს, ღრი-ალებს, ქვეყანას ანგრევს, სახლისოდენა ტალღებით გაწევა ხელებითსაკენ, ხელს გკრავს, არ მოხვიდევო და თუ შებედე, ზღვას არ უყვარს, როდესაც მისი არ ეშინიათ. ზღვას ზღვააგით დიდი გული და თავმოყვარეობა აქვს, ზღვა ცოცხალია და, როდესაც ზღვა ლამაზაკობს, ზღვას უნდა უსმინო.

...ერთი, ორი, სამი, ოთხი... მზის ჩასვლას ოთხი თითის დაღება აკლია. თვითონ მზე სამი თითის დაღებაა, სულ შეიღი. — ვითვლი მე, შეიღი თითის დაღება, ორ საათში მზე ჩავა. სად არიან, ველარ გამოაღწიეს?

პირველი ნაპირზე გურამი ამოვიდა. იგი ქოშინით მოვარდა ჩემთან. ცალ ფეხზე დაიწყო ბტუნვა და წვეთები მომამხებდა.

— ცოტა იქით გაიფერებ, თუ ძმა ხარ! — ვთხოვე მე.

— აუ, სად ვიყავით? — თქვა მან და გალურჯებული ნიკაბი სილაში ჩარგო.

— სად? — ვკითხე მე.

— შორს?

— რა ნახეთ?

— რა უნდა გვენახა? — გაუკვირდა გურამს. ნაპირზე გულიყო ამოვიდა. აბლა მან დაიწყო ჩემს გარშემო ასკინკლა.

— პირსახოცი! — თქვა გულიკომ.

— არის, პირასოცი! — ვესროლე მე.

გულივომ ტანი გაიმშრალა და აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა გაკვირვებულმა. მე თვალი ავარიდე.

— ტახტი რა იქნა? — მკითხა მან.

— რომელი? — გავიკვირვე მე.

— ტახტი!

— აა, ტახტი? სად არის ტახტი? — ვკითხე გურამს.

— რომელი? — ჩემზე უფრო გაუკვირდა გურამს.

— არ არის ტახტი! — ვთქვი მე.

— აქ იდგა ჩემი ტახტი! — თქვა გულივომ და წარბი შეიკრა.

— აქ იყო გულივოს ტახტი! — თქვა გურამმა.

— არსებობს სპეციალური მეცნიერება საგანთა გადანაცვლებისა.

— ახლავ ადექი და მოიტანე ტახტი! — მითხრა გულივომ.

გავიხედე, ქალი და ის ვაჟი ზღვაში ჩასულიყვნენ, ტახტზე ახლა მათი ტანსაცმელი იდო.

— ადუ, გურამ, მოიტანე ტახტი, ეგერ დგას! — ვუთხარი მე.

— როგორც გაატანე, ისე მოიტანე! — თქვა გურამმა და თვალეზი დახუჭა.

ქალი ამოვიდა ზღვიდან და ტახტისაკენ წამოვიდა. გულივომ ჭერ ქალს შეხედა, მერე მე.

— შენ გაატანე? — მკითხა უცებ. მე არაფერი არ ვუბასუხე.

— რატომ გაატანე? — ისევ მკითხა გულივომ.

— არ ვიცი! — ვუბასუხე და თვალეზი შევხედე.

— ვინ არის?

— არ ვიცი!

— არ იცი?

— არა. — ქალისკენ გავიხედე. იგი ჩვენსკენ იტყირებოდა. ალბათ მიხედა, რაზე იყო ლაპარაკი. უცებ წამოდგა, ტახტს ხელი დაავლო და ჩვენსკენ გამოათრია. მე სად წავსულიყავი, არ ვიცოდი.

— უკაცრავად, დაუკითხავად ავი-

ლე! — თქვა მან, როდესაც მოგვიახლოვდა და ტახტი თავის ადგილზე დატოვა.

— არაფრის! აღარ გვეკვირდება! — უბასუხა გულივომ საკმაოდ ცივად.

— ჩვენც არ გვეკვირდება! — გაუღიმა ქალმა.

— მით უმეტეს! — თქვა გულივომ.

— რა მით უმეტეს? — გაუკვირდა ქალს.

— არაფერი, წაიღეთ, ჩვენ აღარ გვეკვირდება.

— არც ჩვენ გვეკვირდება.

— მაშინ წაიღეთ და ჩააბარეთ, ოღონდ საბუთი დამიბრუნეთ, ჩემი სახელი გულივოა, გვარი ციბაძე, სტუდბილეთი მაქვს დატოვებული.

— გულივო! — მუდართით ვთქვი.

— მიბრუნდი! — თქვა გულივომ. მე მივბრუნდი, როდესაც მოვბრუნდი, აღარც ქალი იყო, აღარც ტახტი, აღარც გულივო. გულივოს კაბა გადაეცვა და პლაჟიდან გადიოდა.

— მეც წავედი! — თქვა გურამმა და შარვალი აიღო.

— მოიცა, მზის ჩასვლას ვუცქირთო.

— ვთხოვე მე.

— იმ გოგოს მარტო ხომ არ გავუშვებ!

— მოიცა!

— შენი ამბავი მიკვირს, ნამდვილი კრეტინი ხარ! — მითხრა გურამმა და დაჯდა. ქალისკენ გავიხედე, იმ შუადღევით ვაქს ტახტი იდლიაში ამოედო და ჩასაბარებლად მიჰქონდა, ქალი კი კაბას იცვამდა. თვალი აღარ ამირილებია. იგი მადლა მკლავებზეწვილილი, ცალ მუხლში ოდნავ მოხრილი, რომელიღაც ანტიურ ძალიან ლამაზ ქანდაკებას გავდა. კაბა რომ ჩაიცვა და თეძოებზე შემოირგო, ჩემსკენ გამოიხედა და გამიღიმა. მეც გავუღიმე.

— მერე არა ხარ კრეტინი! — მითხრა გურამმა და ამოიხარა.

მზის ჩასვლას სამად სამი თითის დადება აქლდა. მერე მზე ოდნავ შეეხო ზღვას და შორეული პორიზონტიდან ნაპირამდე ოქროს მოციმციმე ბილიკი გაწვა. მინდოდა წამოვმტარიყავი, გავ-



მერბინა ამ ბილიკზე, მერბინა ჩქარა, ჩქარა, მიმესწრა და ვიღრე ჩავიდოდა. ხელით შევხებოდი მზეს. ისე მომინდა, ისე, რომ ფეხზეც კი წამოვდექი. გურამი იჭდა დაფიქრებული და მზეს გასცქეროდა. მზე უკვე შუამდე იყო ჩასული ზღვაში, ბილიკი დავიწროვდა, გამუქდა. შტიკრა და ახლა ბავირივით იყო გაციმული ნაპირიდან მზემდე. გურამი უცებ წამობტა და გიჟივით გაიქცა ბულვარისაკენ. მე გაოცებულმა გავაყოლე თვალი. იგი გარბოდა დიდი ნაბიჯებით, ქვიშაში ეფლობოდა, ეცემოდა, დგებოდა, ისევ გარბოდა და ასე გავარდა პლაჟიდან. მერე უცებ ისევ მოვარდა გიჟივით, ნაპირთან მაიბრინა და მზის ბილიკთან უზარმაზარი ლურჯი ჰორტენზია დადო. მერე მობრუნდა და ჩემს გვერდით დაჯდა აქონინებული.

— მზეს ყვავილი მივართვი! — მითხრა მან და ბედნიერი ღიმილით გამიღიმა. მე არაფერი ვუპასუხე, მხოლოდ თავი დავექნე და გავუღიმიე. თან შემშურდა, დიდი შურით, ნამდვილი შურით, რომ ეს მე ვერ მოვიფიქრე. მზეს წვერილა უჩანდა და სხივი ახლა ცის დასალიერიდან გამოწვდილ ოქროს ხელს გავდა, რომლის მტევანზე უზარმაზარი ლურჯი ჰორტენზია ესვენა. მზე ჩავიდა. ბინდში გაქრა ბილიკი და ყვავილიც.

— ნახე, გურამ, მზემ ყვავილი წაიღო! — ვუთხარი მე. გურამმა ისევ გაიღიმა. მზემ წაიღო ყვავილი.



„ინტერესტის“ ფოიეში ყველა სავარძელი დაკავებული იყო. გულიკო არსად ჩანდა. ზევით ასვლა არ მინდოდა.

— კაფეში ჩამოდი! — ვუთხარი გურამს და პირსახოცი მხარზე გადავკიდე.

- გულიკო? — მკითხა გურამმა.
- დაფურეკავ!
- ისტუიყავი, ჯობდა.
- დაფურეკავ! — გავიმეორე მე.

— შენ იცი! — თქვა გურამმა და წავიდა.

— ადმინისტრატორის ჯიბეშია ვედი და ტელეფონის მილი ავიღე.

— თემურს გაუმარჯოს! — მომესალმა ადმინისტრატორი.

— გაუმარჯოს საშამ!

— ახალ ნომერში უნდა გადავიყვანო, უცხოელები ჩამოვიდნენ.

— რა გამიჭირებთ საქმე, გარდამავალი დროშა ხომ არ ვარ, ყველა ნომერი უნდა მოვიარო?

— რას იზამ, ზევიდან დარეკეს! — იიწურა მხრები საშამ.

— საიდან ზევიდან? — ადმინისტრატორმა სადღაც ღმერთისკენ აიხედა და თვალები ააპარპალა.

— მერე, შენ ვერ უთხარი ქვევიდან, რომ კაცი მყავს ნომერშიო?

— არ გადის.

— არ გადის და არ გავალ!

— ძალით გავიყვანებენ.

— ვინ?

— ისინი!

— ვინ ისინი?

— თუ ძმა ხარ, თავი დამანებე, ჩემი ვაქირებდა მეყოფა, გეუბნები სხვა ნომერს მოგცემ.

— ალო! — 302 თუ შეიძლება. — ვთხოვე კომუტატორს.

— 302 არ პასუხობს! — თქვა კომუტატორმა. მილი დავეკიდე.

— როდის გადაგყავარ? — ვკითხე ადმინისტრატორს.

— უკვე გადასული ხარ 303-ში. — მიპასუხა მან თავუღებლივ.

— ახალი ლექსი ხომ არ დაგიწერია რამე? — ვკითხე ადმინისტრატორს.

— დაწერე წუხელ, წავიკითხო?

— ახლა არ მცალია, ხვალ.

— გულიკო სარკის წინ იჭდა და თმას ივარცხნიდა.

— ჯერ აჯაკუნებენ და შემდეგ შემოდიან. — თქვა მან.

მე გარეთ გავედი, დავაკუნე და ისევ შემოვედი.

— დაბრძანდით! — მითხრა გულიკომ, მე საწოლზე ჩამოვდექი. გულიკო

თმის ვარცხნას განაგრძობდა, ოქროსფერი თმები გაეშალა და ახლა იმ ჩამავალ მზეს ვაგდა ზურგიდან, წელს რომ ყვავილი წაიღო.

— არ გრცხვენია, გოგო? რას მეტუტები! — ვკითხე მე.

— როგორ არ მრცხვენია, ვერ ხედავ: თმებიც კი გამიწითლდა! — თქვა გულკომ.

— ჩავიღეთ ქვევით, ყავა დავლიოთ!

— ჩაღი და მოვალ!

— მე შენს გვერდით ნომერში ვადმომიყვანეს, უცხოელები ჩამოდიან.

— ძალიან კარგი.

— კიდევ ერთი დღეგაცაა და ალბათ შინთან შემომასახლებენ.

— საწყალი ბიჭი, როგორ მეცოდები. — შემბარალა გულკომ და თავი გაიქნია.

— ადექი, წავიდეთ.

— ჩაღი და მოვალ, ხომ ვითხარი.

— ერთად ჩავიდეთ.

— კაბა უნდა გამოვიცვალო!

— ლურჯი კაბა ჩაიცვი!

— შენი საქმე არ არის, რას ჩავიცვამ.

— წავედი! — ვთქვი მე და კარი გავიხურე.

გურამი კაფეში დამხვდა. ადგილები დაეკავებინა ჩვენითვის, გაზეთს კითხულობდა. მივედი, ფანჯარასთან რომ სკამი იდგა, იმაზე დავჯექი.

— სადა ხარ, ძეგო, კუჭი გამიხმა! გულიკო არ მოდის?

— მოვა. შეუკვეთე?

— რად უნდა შეკვეთა, თვითონ არ იცის? — თქვა გურამმა და კითხვა განაგრძო.

ოფიციალტმა სამი ყავა, სამი ბუტერბროტი და ერთი ბოთლი ბორჯომი მოიტანა.

— რა ფასიანია ეს ძეხვი? — ეჭვის თვალით გადახედა გურამმა ბუტერბროტს.

— ნუ გეშინია, ხუთ მანეთს არ ავაცილებ! — დაამშვიდა ოფიციალტმა.

— მე რისი მეშინია, შენ გეშინოდეს!

— ფული თუ არ გქონდათ, ბიძიებო,

თბილისში ვერ დაეტიეთ? რაა ამ ბათუმში, ერთი თვეა თავს რომ ნაკლებთ შიმშილით. პატრონი არ გყავს? — მამყელა თქვენმა საჯოჯობამ. — აუჩუყდა გული ოფიციალტს.

— ძილის წინ ბევრი ჭამა არ შეიძლება! — დაარია კეკა გურამმა.

— დილას და შუადღეზე?

— წაღი, თუ ძმა ხარ, შენს საქმეს მიხიდე. ნუ გეშინია, არ მოვეკვდებით შიმშილით. — ეწყინა გურამს.

— ის გოგო მეცოდება, თორემ, შენ ისე გიქნია, ნემსის ყონწში გამძვრალხარ. — თქვა ოფიციალტმა და წავიდა.

კაფეში თამბაქოსა და თორქული ყავის საამო სუნი დგას. ფანჯარა ღიაა და ზევიდან ნიავი უბერავს. კაფე საიქნა ხალხით. შორეულ კუთხეში მავიდის დურსუნა უზის, წინ ათიოდე უკვე გამოაცილი და დამზობილი ყავის პაწია ფინჯანი უდგას. მეორეთმეტეს კი სვამს. დროდადრო რომიომე ფინჯანს ამოატრიალებს, დიღხანს დაკვირვებით უმზერს ფსკირზე დალიქილ ყავას, მერე ისევ დგამს და მეორეს იღებს, ასე ნახულობს ყვილოს. უკმაყოფილოდ აქნევს თავს და სმას განაგრძობს. ძია დურსუნა 55-60 წლია იქნება. საერთოდ მისი ასაკი ძნელი დასადგენია.

დურსუნა შარშან, შარშანწინ, იმის წინ და კიდევ იმის წინ სულ ამ ადგილზე იჯდა, სულ სვამდა ყავას, სულ მუღამ ეძებდა რაღაცას ფინჯნის ფსკერზე და ახლაც ასე ზის, იმავე ადგილზე, სვამს ყავას და ისევ ეძებს რაღაცას ფინჯნის ფსკერზე დალიქილ ყავაში. დურსუნამ, როგორც ამბობენ, მარჩიელობა იცის ყავაზე. იგი საოცარ რაღაცეებს ხედავს ფინჯანში, ხედავს უბედურებას, ბედნიერებას, სიყვარულს, სიძულვილს, ფოლს, ქონებას, ქალებს, სიყვდილს, გზება—მოკლეს და ხალისიანს, გრძელსა და ფათერაიანს, ხედავს გზებას. რომლებიც საღდაც ფინჯნის კედლებზე დახლართულნი წადებიან, მერე ისევ ერთდებიან, მოკლდებიან, გრძელდებიან, წყდებიან, კვლავ ერთდებიან და კვლავ გრძელდებიან უსამ-

ველოდ და დაუსაბამოდ. ასე ზის იგი, ურჩევს ყველას, ვისაც გაუბარდება, უწინასწარმეტყველებს ყველას ცხოვრების გზას. ასე ზის დურსუნა მაგიდის ქუთხეში, უამრავი ფინჯნის ფსკერზე ამოუციხთხავს უამრავი კაციათვის სიცოცხლის გზა და, ნუთუ ერთხელ არ ამოსვლია თვითონ მას გზა, რომ ერთხელ მაინც ამდგარიყო და დადგომოდა იმ გზას. მისი გზა რატომღაც ამ კაფეში დამთავრებულა.

კაფეში ის მოკლედ თმაშეკრეპილი ბიჭი და კიდევ ვიღაც ვაჭი შემოვიდნენ. ჩვენს გვერდით მაგიდასთან დასხდნენ და ერთი სკამი მაგიდას მიაყუდეს — ალბათ იმ ქალიშვილს ელოდებიან, გავიფიქრე მე. ოფიციანტი ეახლათ.

— თქვენც მარტო ყავას და ბორჯომს მიირთმევთ, ბიჭებო? — ჰკითხა მათ და ჩვენსკენ გამოიხედა.

— სამი ტაბაკა, ერთი კონიაკი, ორი ბორჯომი, სამი ლიმონათი, ერთი შამპანური და ექვსი ყავა. — უთხრა შეკრეპილმა.

— აგაშენოთ ღმერთმა! — გაუხარდა ოფიციანტს.

— ტკბილი რა გაქვთ? — ჰკითხა შეკრეპილმა.

— წილი! — გაიკრიჭა ოფიციანტი.

— მაგარი ხარ! — გაუღიანა შეკრეპილმა და მხარზე ხელი დაჰკრა. ოფიციანტი წავიდა.

— გამყიდა ამ შობელქაღალმა, ათი დღე გაგრაში ვიყავით... — უთხრა მან თავის თვალბგადმოცვენილ ძმაკაცს და უქმეყოფილო სიამაყით საფერფლე მაგიდაზე დაატრიალა.

— რა ანგარიშები გაქვს? — ჰკითხა თვალგადმოცვენილმა.

— ისე, რა ანგარიშები უნდა მქონდეს, აშეკიდა, შარშან ჭემალას ყავდა სოჩაში.

— აეთესე და მორჩა!

— ახლა ვერ ავეთესები.

— გიყვარს? — ცალყბად გაიკრიჭა თვალგადმოცვენილმა.

— ყველაფერი მესმოდა და მე თვითონ

არ ვიცი, რატომ, ტანზე ბუსუსები მაყრიდა.

— გიყვარს? — არ მარტო შენს თვალებს გადმოცვენილი; ოფიციანტმა შეკვეთილი მოიტანა და მაგიდაზე დააწყო.

— მიყვარს არა, ფეხები, ისე, კარგი ტანი აქვს. — გაიღიანა შეკრეპილმა.

— მაგაზე კარგი ბოზი ზღვაზე ვერ ნახე? შენი მაყუთი მოკცა, ანგელოსს დაეპამა. — თქვა თვალგადმოცვენილმა.

— მორჩი ბაზარი, მოდის. ლია, აქეთ! — დაუძახა შეკრეპილმა და ხელი დაუქნია. კაფეში ის ქალი შემოვიდა. იგი ისეთი ლამაზი იყო, გურამმა სახეზე ხელები აიფარა, ერთ ხანს ასე იყო, მერე ხელები მოიშორა თვალბიდან, შეხედა და კენესა აღმოხდა.

— ვაია!

— ხაზრუმა! — დაეამშვიდე მე. ლიას შეეხედე. მან ისევე გამოიღიანა და დაჯდა. უცებ კარები გაიღო და მე და გურამმა გაოცებისაგან პირი დავაღეთ. კარებში ჭვირანივით ყელმოღვრებული უზარმაზარ ქუსლებზე შემდგარი, ბაირალივით წითელ ვიწრო კაბაში გახვეული, მკერდზე თმბჩამოშლილი და კიამდღე დეკოლტეჩახსნილი გულიყო იდგა. მთელი კაფე მისკენ მიბრუნდა. იგი ამაყი მზერით და ტანის ნაზი რხევით წამოვიდა ჩვენსკენ. მე ძალაუღებურად ავდექი და ადგილი დავუთმე, გურამმა ყავა ღვინოსავით გადაკრა და ხეელუბა აუვარდა. გულიყო დაჯდა, წითელი ჩანთიდან სიგარეტი ამოიღო. ფეხი ფეხზე გადაიღო და გააბოლა.

— გაგიყდი, ვოგო? — ვკითხე მე.

— რა მოხდა? — გაუცვივრდა გულიყოს.

— რას გავხარ?

— რას ვგავარ, გურამ? — ჰკითხა გულიყომ გურამს და კვამლი სახეში მიამოლა.

— ტარი რომ გაგიყეთონ, ნამდვილი დროშა ხარ! — თქვა გურამმა და მე შემოამხედა.

— მართლა? — მკითხა ახლა გულიყომ.



— ადი და ახლავე გამოიცვალე! —
უთხარი მე.

— რატომ, გენაცვალე? შენ ხომ ასე-
თი ქალები მოგწონს? ოფიციალი! —
დაუძაბა უცებ გულიკომ ოფიციალი.
იგი მოცუნცულდა.

— გისმენთ, ბატონო!

— ერთი კონიაკი, ერთი შამპანუ-
რი, სამი ტაბაკა!

— ერთიც ექიმი და ერთიც მილი-
ციელი, ექიმი აჰას, მილიციელი მე. მე
მაგის გადამხდელი არა ვარ.—თქვა გუ-
რამმა. ოფიციალი შეყოყმანდა.

— რასაც გეუბნებიან მოიტანეთ! —
უთხრა გულიკომ. ოფიციალი წავიდა.

— რა მოგივიდა, გულიკო?! — ვკი-
თხე მე ჩუმად და თვალი მეზობელი
სუფრისკენ გავაპარე. ლიას შამპანუ-
რით სავსე მაღალი ჭიქა აეწია თვალე-
ბამდე და ჭიქის მეორე მხრიდან გვიყუ-
რებდა გაღიმებული.

— ზელს თუ გიშლით, წავალ. —
თქვა გულიკომ და პაპიროსი დააქრო,
ცოტა გულზე მომეშვა.

— იყავი თუ ქალი ხარ, ოღონდ ასე
გამომწვევად ნუ იქცევი! — ვთხოვე მე.

— ვაშავებ რამეს, გურამ? — ჰკითხა
ახლა გურამს.

— პირიქით, აწითლებ! — უთხრა
გურამმა, ოფიციალიც კონიაკი და ტაბა-
კა მოგვართვა. გულიკომ კონიაკი დაას-
ხა და სადღეგრძელო დაიწყო.

— ლამაზ ქალებს გაუმარჯოს, თქო-
მაღალ, ლამაზ და ვნებიან ქალებს. —
მერე ჭიქა მომიჯახუნა და გადაჰკრა, მე
უხმოდ დავლიე. სად წავსულიყავი, არ
ვიცოდი.

— გულიკოს გაუმარჯოს! — თქვა
გურამმა.

— მე კი არა, ლამაზ ქალებს გაუმარ-
ჯოს! — გაუსწორა გულიკომ და ისევ
დაასხა.

— გულიკოს შემოგველე, თუ იცი,
რა ღირს ეს კონიაკი? — ჰკითხა გურამ-
მა და ბოთლი შეატრიალა ხელში.

— მილიონი!

— ცოტა დაუყელი!

— ნახევარი მილიონი!

— ზუსტად!

— მერე?

— საიდან მოგაქვს მერე უსწავლარი
მილიონი?

— თემური იხდის! — მე ჭიქა გამო-
ვარდა ხელიდან. გურამს კონიაკი გადა-
სცდა და სლოკინი აუტყდა.

— შეაცხეთ ჭიქები! — ბრძანა გუ-
ლიკომ. გურამმა ჭიქები შეავსო.

მეზობელი მაგიდიდან თამაშკრეტილი
ადგა და ჩვენსკენ წამოვიდა.

გულიკომ გაკვირებული მზერა მია-
პყრო.

— ბოდიში, — ბიჭებო! — თქვა მან
და თავი დაგვიკრა. მერე ჯიბიდან სტუდ-
ბილეთი ამოიღო, გაშალა და ხმამაღლა
წაიკითხა: — გულნარა დავითის ასული
ციბაძე, ეკონომიკის ფაკულტეტის მე-
სამე კურსის სტუდენტი. თქვენი სტუდ-
ბილეთი, ქალიშვილო! — და სტუდბი-
ლეთი მაგიდაზე დადო.

— გმადლობთ, დაბრძანდით, — თხო-
ვა გულიკომ.

— გმადლობთ, მელოდებიან! —
მკერდზე მიიღო ხელი გაკრეჭილმა.

— თემო, თხოვე! — მითხრა გული-
კომ.

— ერთი ჭიქა დაგვილიეთ! — ვთხო-
ვე მე და ჭიქა გავუწოდე.

— ეს ჩემი თემურია, ეს კი გურამ
ჭიჭინაძე, კრიტიკოსი, ლექსებმაც წერს,
„ნიკორწმინდა“ წაგიკითხავთ?

— არა!

— ჰოდა, ამისი დაწერილია! — უთხ-
რა გულიკომ და გაიცინა.

— სასიამოვნოა. თქვენს სუფრას გა-
უმარჯოს, კარგად იყავით...

— თქვენი სახელი? — ჰკითხა გუ-
ლიკომ.

— ავთო!

— ავთანდილი კარგი სახელია, მიირ-
თვით, ჩემს საქმროს თეიმურაზი ჰქვია.
ის ქალიშვილი თქვენი ცოლია? — არ
მოეშვა გულიკო.

— არა — შეიშმუნა ავთო.

— აბა, თქვენი მეგობრის?

— არა.

— აბა, არავისი?..



— კარგად იყავით...—აჩქარდა ავთო.

— ესე იგი, ქალი არავისია? გესმის, თემო, არავისი არ ყოფილა...

— გულიკო! — შევევედრე მე.

— კარგად იყავით, გმადლობთ! — თქვა ავთომ, გადაკრა და სასწრაფოდ წავიდა. მე მესობელი სუფრისკენ გავიხედე, ღია იქდა თავდახრილი, ქარხალივით წითელი და ნერვიულად ხევდა პაპიროსის კოლოფს.

— არ გრცხვენია, გოგო, ყველაფერი გაიგონა! — ვუთხარი გულიკოს. გულიკომ ყურადღება არ მომაქცია. იგი გურამს მიუბრუნდა:

— გაუმარჯოს იდიოტებს, სიმპათიურ იდიოტებს, ჩემს თემურს, უსიპათიურეს იდიოტს უსიპათიურესთა შორის. კაცობრიობის არცერთ ერას არ ახსოვს ასეთი ბაჭალო იდიოტი, როგორც ეს...

— გულიკო, შენ მთვრალი ხარ! — უთხრა გურამმა. ღია ადგა და კაფედან გავიდა. ბიჭები უკან გაყვნენ.

— შენც იდიოტი ხარ, მაგრამ თემური უფრო დიდი იდიოტია და ამიტომ მიყვარს შენზე უფრო.

— გულიკო, მორჩი! — ვთხოვე მე და ავდექი.

გულიკომ ჩანთიდან ოთხი ასმანეთიანი ამოიღო და მაგიდაზე დაყარა.

— დღეს ფული მივიღე, დედამ გამომიგზავნა, ორასი კიდევ მაქვს. — მერე ადგა და კაფედან გავიდა.

— გაყევი, თუ ძმა ხარ! — ვთხოვე გურამს. გურამი გაყვა. მთელი კაფე მე შემომცქეროდა. მაგიდები გავიარე და ძია ღურსუნთან მივედი.

— გამარჯობა, ძია ღურსუნ! — ვუთხარი მე.

— დაქეი! — თქვა მან და ყავა მოსვა.

— მოკლავს ამდენი ყავა, ძია ღურსუნ!

— რაც გიყვარს, იმისგან სიკვდილი საამოა!

— ვინ თქვა?

— ვინც თქვა, მართალი თქვა.

— კონიაკი და ყავა მოდრნენს ნაჭარ ვძახე ოფიციანტს. *შეზღოვნენ*

ოფიციანტმა კონიაკი და ყავა მოიტანა. მაგიდაზე დადგა. უხმოდ ვიქეჩით. მე ღურსუნს ქიქა ავუვსე. მან გადაკრა და ისევ მომიშვირა ქიქა ისევ ავუვსე, ისევ გადაკრა, მე ყავას ვსვამდი, ღურსუნი კონიაკს. თითქმის ნახევარი ბოთლი დალია უხმოდ. მე ყავა დავამთავრე და ფინჯანი თევშზე დავამხე.

— მიმარჩიელე, ძია ღურსუნ.

— ვერა!

— რათა, ძია ღურსუნ?

— არ ვიცი მარჩიელობა.

— შენ თუ არ იცი, აბა ვინ იცის?

— არავინ.

— მაშ სხვებს რომ მარჩიელობ?

— ვატყუებ სხვებს.

— შენს თავს?

— ჩემს თავს რომ ვერ ვატყუებ. ამიტომ ვზვიავრ აქ.

— მეც მომატყუე.

— ვერა.

— რათა, ძია ღურსუნ, რათა!

— შენი მოტყუება არ შეიძლება, ალალი ბიჭის თვალეები გაქვს! — თქვა ღურსუნმა და ადგა.

— წავედი!

— მოიცა, ძია ღურსუნ, მაინც მიმარჩიელე. — ხელი მოვკიდე და დავსვი.

— კარგი! — თქვა მან და ჩემი ფინჯანი აიღო.

— სად ცხოვრობ? — მკითხა ღურსუნმა.

— მე თბილისელი ვარ.

— თბილისი მისამართი არ არის. აქაური რომ არა ხარ, გატყობ. ბათუმში სად ცხოვრობ?

— სასტუმროში.

— ჩემგან რა გინდა. შვილო? — მკითხა მან უცებ. შევიშმუშნე.

— შენგან არაფერი არ მინდა, ძია ღურსუნ!

— მაშინ დამანებე თავი! — მითხრა და ფინჯანი ისევ დაამხო თევშზე.

— რატომ არ გინდა მიმარჩიელო...

— აკი გითხარი, არ მინდა მოგატყუო-მეთქი.

— მომატყუე.

დურსუნმა თავი ჩაღუნა. დიდხანს დუმდა. მერე ყრუდ, ძალიან ყრუდ დაიწყო, მისი ჩახლეჩილი და გაბზარული ხმა ისე აქლერდა, სხეულში უსიამო ყრვოლი ვიგრძენი.

— აი ის ქალი, წითელთმიანი ქალი, შენ რომ გახლავს, შენი ცოლი გახდება. ჯერ ხომ არ არის შენი ცოლი?

— არა!

— ჰოდა, გახდება! — დურსუნმა ფინჯანი ხელში შეატრიალა, ოდნავ გადახარა. ცოტა ხანს უცქირა ფსკერზე დაღეჭილ ყავას და განაგრძო:

— მერე თქვენ გეყოლებათ შვილები ქალი და ვაჟი, ჯერ ქალი. მერე ვაჟი. შენ გექნება კარგი სამსახური, გეყოლება ლამაზი ცოლი, ლამაზი ბავშვები და არ იქნება ქვეყანაზე კაცი შენზე ბედნიერი ერთ, ორ, სამ, ათ წელიწადს. — დურსუნმა ფინჯანი დადო და ხელები საფეთქლებზე შემოიწყო, თვალები დახუჭა და დადუმდა.

— მერე, ძია დურსუნ, მერე?

— მერე შენ დაეარგავ შენს ლამაზ ცოლს, შენი ლამაზი ცოლი გემს გაუვება, თეთრ. უზარმაზარ გემს. შენ დაუწყებ ძებნას ცოლს და გაიგებ. რომ შენ შენმა მეგობარმა ჩაგაფურთხა სულში. შემდეგ შენ დაუწყებ ძებნას სიკვდილს, და სიკვდილი არ მოვა შენთან იმიტომ, რომ სიკვდილს არ სჭირდება შენი მძორი. სული კი ამორთმეული გექნება. მერე შენს ნაკვალევზე წაიშლება ყველაფერი — გვარი, სახელი, სიყვარული, ძმა, მეგობარი, შვილი, თესლი და ნაყოფი. მერე შენ იტყვი, რომ არ ღირს სიცოცხლე და გაუყრი თავს ბაწარში, მაგრამ შენ ჩამოგხსნიან, მერე შენ გადაწყვეტ რომ არ ღირს სიკვდილი, რადგან არ არსებობს არაფერი, რისთვისაც სიკვდილი ღირდეს...

ძია დურსუნი ისევ დადუმდა.

— მერე, ძია დურსუნ? — ვკითხე

მე და ვიგრძენი, როგორ მიკანკალებდა ხმა.

— მერე შენ ფეხებზე დაიკრძელებ-ლაფერს. უპირველეს ყოვლისა, შენს თავს, მერე მთელ სამყაროს და შენ გახდები სხვა.

— ვინ?

— შენ გახდები მე, დურსუნი, იპოვი აღვიღს აი, ასე ჩემსავით და ყავის ფინჯანის ფსკერზე დაუწყებ ძებნას რადაცას, რისი პოვნაც საერთოდ არ შეიძლება. და იქნები ასე, ჩემსავით არაფერი... — დურსუნი ისევ დადუმდა და მე მივხედი. რომ მას სათქმელი აღარაფერი ჰქონდა. ჩემს წინ იჯდა კაცი, კაცი კი არა, ის. რაღაც, რომელიც ოდესღაც ღმერთმა თიხისაგან შექმნა, სული ჩაუდგა და შემდეგ ერთი ვაშლის გულისთვის გაწირა, გაიმეტა და უპატრონოდ დააგდო ამ ვეებერთელა ცის ქვეშ.

— ტყუილია! — ვთქვი მე.

— რა არის ტყუილი? — თქვა დურსუნმა და უზარო თვალებით შემხედა.

— ტყუილია სულ ყველაფერი, რაც შენ თქვი!

— მე არაფერი არ მითქვამს. — გაიქნია თავი დურსუნმა.

— როგორ არა, შენ თქვი, რომ არ არსებობს არაფერი, არც მეგობარი. არც სიყვარული, არც რამე, რისთვისაც სიკვდილი ღირდეს.

— მე არაფერი არ მითქვამს, მე შენ ვიგრძენი და მეტი არაფერი. — ჯიუტად თქვა დურსუნმა.

— მე არაფერი არ მითქვამს, მე შენთვის არაფერი არ მომიყოლია, ყველაფერი არსებობს, სიყვარულიც, მეგობარიც. სიცოცხლაც, სიკვდილიც, ბედნიერებაც, სიხარულიც, მე სხვა არაფერი არ მითქვამს...

— მე მყავს ისეთი მეგობარი. რომელიც სულში არასდროს ჩამაფურთხებებს...

— შენ ჯერ პატარა ხარ! — გაიღინა დურსუნმა.

— მე პატარა აღარ ვარ!

— ღლაპი ხარ. — თქვა ღურსუნმა.
 — ტყუილია.
 — აკი გითხარი, მოგატყუებ-მეთქი!
 — არაფერიც. რაც მითხარი, სიმართლე იყო!

— თუ სიმართლეა, რაღა გინდა ჩემგან?

— შენ რომ არაფერი გწამს ამ ქვეყანაზე, მე რა ვიწამო.

— იწამე. რაც გინდა, ქვეყანა ხატებით არის სავსე.

— მე ერთი ხატი მინდა.

— პოდა, ამოირჩიე!

— მირჩიე!

— ვერა!

— აღარაფერი გწამს, არც ხატი. არც ღმერთი?

— არა!

— გლახაკი ხარ შენ, მათხოვარი, მშვიდარა!

— ღმერთი რომ იყოს, მე არ გამაჩენდა. არ არის ღმერთი!

— არის!

— რას ეძახი შენ ღმერთს? — მკითხა ძია ღურსუნმა.

— სიყვარულს, სიკეთეს, სიმართლეს, მეგობარს, ღედას... ამაზე ყველაფერზე უარს ამბობ, ძია ღურსუნ? — ვკითხე მე.

ღურსუნს ნიკაბი აუკანკალდა, თვალები ცრემლებით აევსო. იგი ფეხზე წამოდგა, ავდექი მეც. მერე ათრთოლებული ხელით ფინჯანი აიღო და მაგიდაზე დაანარცხა, ფინჯანი მარილივით დაიფშვნა. მერე მეორე, მესამე, მეოთხე... მე ორთავე ხელი მკერდში ჩამავლო და შემანჯღრია.

— და მაინც არ არის, არ არის, არ არის ღმერთი, გესმის შენ, არ არის! — იყვირა მან. მერე ხელი გამიშვა და ატირებული მაგიდაზე დაემხო. მე ფული თეფშზე დავდე და კაფედან გამოვედი.

გარეთ წვიმდა.

ბულვარი გადავქერი და ზღვას მივადექი. წვიმდა უსაშველოდ, მაგრამ წვიმა იყო თბილი, ძალიან თბილი. ბნელოდა. უცებ პროექტორის ვეება თვალმა

გახია ზღვაზე ჩამოშვებული წვიმის სქელი ფარდა და ზღვა გაჩნდა. მერე ნაპირზე გაწვა და ასე იწვა ნაპირზე მთელი წუთი. მერე ისევ ზღვაზე გადაინაცვლა და ბოლოს სულ ჩაქრა. მერე ისევ აინთო, ისევ გახია წვიმის ფარდა, ისევ გაწვა ნაპირზე. მე სიბნელეში გადმოვიანაცვლე და ქვიშაზე დავჯექი. ზღვა შრიალებდა, შრიალებდა, შრიალებდა განუწყვეტლივ. გეგონებოდათ მთელი მსოფლიოს მოცილილი ხალხი მიდგომია ნაპირს და პეშვებით სილას აბნევენო ზღვაში. ზღვა კი შრიალებდა და შრიალებდა. უსაშველოდ წვიმდა.

— თემო! — მომესმა უცებ გურამის ხმა. — თემო! — ხმა არ გავეცი.

— თემო! — მიახლოვდებოდა ხმა. მე პერანგი გავიხადე და ახლა წელზევით შიშველი დავჯექი. წვიმის ათასმა, ათი ათასმა, ასი ათასმა თბილმა თითებმა გადამირბინეს სხეულზე. — თემო! — მომიახლოვდა გურამის ხმა, მერე ფეხის ხმაც გავიგე. ჯერ შორს, მერე სულ ახლოს.

— თემო შენა ხარ?

— რა გინდა?

— გაგივლი?

— დაცქი!

— სად?

— დაცქი ჩემს გვერდით.

— ადე, თუ ძმა ხარ. ნუ იბრძები.

რაა ეს ტანზე რომ გავიხდია! — მითხრა გურამმა და ხელი მომიკიდა მკლავში.

— დაცქი, სალაპარაკო მაქვს შენთან.

— შენ, თუ ძმა ხარ, „ვადალაზი“ ხომ არ გგონივარ, წამო ნომერში! ვილაპარაკოთ.— ისევ მომქანია გურამმა.

— შენ მე სულში ჩამაფურთხებ? — ვკითხე მე.

— კრეტინი რომ იყავი კი ვიცოდი, მაგრამ გიყი?

— გეკითხები — სულში თუ ჩამაფურთხებ?

— ადექი, თორემ წავალ!

— წადი!

— გულიყოს რა ვუთხრა?



ეროვნული
გამომცემლობა

— გაგიყდა-თქო უთხარი.
— ეგ იცის.
— მაშინ უთხარი ვერ ვნახე-თქო!
— ადგი თუ ძმა ხარ, შენი თავი არ მაქვს, დავსველდი.
— დაჯექი, მეტს აღარ დავსველდები.
— რა დალიე. ასე რომ გამოშტერ-
დი. ამის ღმერთი არ იყოს, ერთად არ
ვსვამდით? — სთქვა გურამმა, გადაა-
ფურთხა და გვერდით მომიჯდა.
— სთქვი რა გინდა!
— რას შვება გულიყო?
— ტირის!
— იტიროს, არაუშავს, დურსუნიც
ტირის.
— ვინ? — მკითხა გურამმა.
— დურსუნე.
— დურსუნე ლოთია. — გაიციან
გურამმა.
— ლოთი შენ ხარ! — ვუთხარი მე.
— რა გინდა, ძმაო! შენ თუ თავს
იკლავ. მე რას მერჩი, გამიშვი ნომერ-
ში! — შემომტირა გურამმა.
— ბიჭო, შენ თუ გინახავს კაცი, რო-
მელსაც არაფერი არ სწამს ამ ქვეყანა-
ზე?
— შენ! — თქვა გურამმა. — ღმერ-
თი შენ არ გწამს და ამხანაგი, დაგის-
ვივარ წვიმაში და მკლავ უდანაშაულო
აღამიანს.
— შენ თუ გწამს რაიმე? — არ მო-
ვეშვი მე.
— რა, მაგალითად?
— რაიმე!
— რაიმე რას ნიშნავს, რას გულის-
ხმობ? — მკითხა გურამმა.
— ამხანაგი. სიყვარული, სიძულვი-
ლი. ბედნიერება, უბედურება. რისი
გჯერა ამ ქვეყანაზე და რისი არა?
— მაგის ღროა ახლა, თემო? — თქვა
გურამმა და ფეხად ჩამოსულ ცას ახე-
და.
— თქვი, რა გიყვარს ამ ქვეყანაზე?
— შევანჯღრიე მე.
— ღვინო, დუღუკი, ქალები! — გა-
იკრიჭა ისევ გურამი.
— გეკითხები და მიპასუხე!

— დედა, მამა.
— კიდე?
— კიდე სიცოცხლე. — სინჯიქლი,
ბედნიერება.
— კიდე?
— კიდე მზე მიყვარს, ზღვა მიყ-
ვარს.
— კიდე, კიდე!
— შენ მიყვარხარ, შე თათარო,
ოღონდ ადექი და წამოდი ახლა. — შე-
მომტირა გურამმა.
— შენ მე ჩამაფურთხებ სულში რო-
დისმე?
— არა. ბატონო, არა.
— არასდროს?
— არასდროს.
— მე რომ ჩაგაფურთხო სულში.
არც მაშინ? — ვკითხე მე. გურამი და-
დუმდა.
— რას გაჩუმდი?
— არ უნდა ჩამაფურთხო. — თქვა
მან ყრულ.
— რომ ჩაგაფურთხო?
— არა, არა, არა, გესმის. არ უნდა
ჩამაფურთხო! — წამოხტა გურამი.
— ვთქვამთ და ჩაგაფურთხებ, რას
იზამ? — გურამი ისევ დადუმდა მერე
დაჯდა და მხარზე დამადო ფუთიანი
შკლავი.
— მაშინ მეც ჩაგაფურთხებ.
— სულში?
— სახეში, სახეში ჩაგაფურთხებ!
— მერე?
— მერე თუ კიდევ მკითხავ ასეთ
რამეს, მე შენ დაგამტვრევ ყბებს და და-
გომტვრევ ხერხემალს. — თქვა გურამ-
მა და მე მივხვდი, რომ იგი რასაც დამ-
პირდა, იმის ნახევარს მაინც შემისრუ-
ლებდა თუ არ გავჩუმდებოდი. წვიმა
შეწყდა. პროექტორი ახლა უფრო და-
ქანებოთ ათვალიერებდა ზღვას. ზღვა კი
დღულდა ვეებერთელა ქვაბივით და ნაპი-
რებზე ყვითელ ქაფად იღვრებოდა.
— ადექი, ადგა გურამიც. „ინტერნა-
ტისკენ“ წავედით.
სასტუმროს ფოიეში არავინ იყო.
მხოლოდ გაკრეპალი ავთო იდგა აღმი-



ნისტრატორის ტელეფონთან და ვილ-
კას ელაპარაკებოდა, ძალაუნებურად
შეგჩერდი და ყური მივუგდე.

— ძალიან გთხოვ... — ამბობდა ვა-
კრეკილი.

— წამოდი! — მითხრა გურამმა.

— წადი და დაგეწევი! — ვუთხარი
მე. გურამმა აღმაცერად გადმომხედდა
და წავიდა.

— ერთი წუთით! — განაგრძო ავ-
თომ, მერე საათზე დაიხედა.

— მაშინ მე მოვალ!

— შენი ხვალ აღარ გათავდა!

— მეც აღარ შემოძლია!

— მოიცა!

— შენ არ ვინდა. მე მინდა.

— რატომ?

უცებ ავთომ ყურმილი დაკიდა და
ისევ დაიწყო რეკვა.

მე კიბეს ავყევი. პირველი სართუ-
ლის დერეფანთან გაეჩერდი და უცებ
მარჯვნივ გაეუხვიე. ოთხმოცდათვრამე-
ტი. ას ორი, აქეთ წყვილი ნომრებია,
მარჯვნივ ას ერთი, ას სამი, ას ხუთი...
ას ხუთი ნომერი. გული შემეკუმშა. ას
ხუთ ნომერზე უნდა დაეკაჯუნო. ხელი
ავწიე და ვერ გავბედე დაკაუნება, ს-
ეთარი გულის ცემა მესმის. ნომერში
კი განუწყვეტლივ რეკს ზარი, ეს გაკრე-
კილი რეკს, რეკს განუწყვეტლივ, დაეი-
ნებით, ლია კი არ იღებს ყურმილს, არ
იღებს. ისევ არ იღებს. ისევ ზარი... და
ბოლოს ლიამ აიღო ყურმილი.

— გისმენთ! — ახლა უნდა ელაპარა-
კოს, ისევ შემეკუმშა გული. პირი გამიშ-
რა. ათრთოლებული ხელი ავიღე და კა-
რებზე დაეკაჯუნე. ოთახში საუბარი
შეწყდა, ისევ დაეკაჯუნე.

— ვინ არის? — მომესმა ოთახიდან.

— მე ვარ! — სხვა ვერაფერი მრ-
ვიფიქრე.

— ვინ თქვენ?

— მე, თემური! — ოთახში ისევ და-
რეკა ტელეფონმა.

— ლია. ძალიან გთხოვთ გამილოთ
კარი.

— ახლავე გაბრუნდით უკან!

— ლია, ერთი წუთით რალაცას გე-
ტყვიოთ და წავალ!

— ახლავე წადით, თორემ ადმინის-
ტრატორს დაეურეკავ!

— ერთი სიტყვა!

— რა გნებავთ?

— გამიღეთ კარი!

— მაქედან მითხარით!

— აქედან არ შემოძლია, შემომიშ-
ვით!

— გაეთრიეთ, თორემ ახლავე დავ-
რეკავ! — თქვა ლიამ და გავიგონე ფე-
ხის ხმა. სისხლი მომაწვა სახეში.

— ლია!

— თქვით რა ვინდათ!

— თქვენი ავთო არის ნაგავი, მათ-
ხოვარი და შაიშენი!

— ვინ ავთო?

— აი, ის, თქვენი ავთო. ახლა რომ
ვირეკავთ!

— ის ჩემი ავთო არ არის!

— ვისიც არ უნდა იყოს, მათხოვა-
რია. მას თქვენ არ უყვარხართ!

— ვიცო!

— იგი თქვენზე ამბობს, რომ
თქვენ... რომ თქვენ..

— რა მე?

— რომ თქვენ აეკიდეთ მას... — მე
გაეჩერდი პასუხის მოლოდინში. გული
ყელში მებჯინებოდა და მახრჩობდა. პა-
სუხი არ ისმოდა.

— თქვენი ავთო ლაწირაკია. კუჭვი-
ანი ლაწირაკი. მაგას არაფერი არ სწამს
ქვეყანაზე, არც თქვენ, არც ძმაცაი, მა-
გან სულში ჩაგაფურთხათ თქვენ, დღეს.
ჩემს თვალწინ. ვიდრე კაფეში მოხვი-
დოდით... მე არაფერი არ მინდა, თქვენ-
გან, მე მარტო მინდა იცოდეთ, რომ ავ-

— თქვენი ავთო ლაწირაკია. კუჭვი-
ანი ლაწირაკი. მაგას არაფერი არ სწამს
ქვეყანაზე, არც თქვენ, არც ძმაცაი, მა-
გან სულში ჩაგაფურთხათ თქვენ, დღეს.
ჩემს თვალწინ. ვიდრე კაფეში მოხვი-
დოდით... მე არაფერი არ მინდა, თქვენ-
გან, მე მარტო მინდა იცოდეთ, რომ ავ-

— თქვენი ავთო ლაწირაკია. კუჭვი-
ანი ლაწირაკი. მაგას არაფერი არ სწამს
ქვეყანაზე, არც თქვენ, არც ძმაცაი, მა-
გან სულში ჩაგაფურთხათ თქვენ, დღეს.
ჩემს თვალწინ. ვიდრე კაფეში მოხვი-
დოდით... მე არაფერი არ მინდა, თქვენ-
გან, მე მარტო მინდა იცოდეთ, რომ ავ-

— თქვენი ავთო ლაწირაკია. კუჭვი-
ანი ლაწირაკი. მაგას არაფერი არ სწამს
ქვეყანაზე, არც თქვენ, არც ძმაცაი, მა-
გან სულში ჩაგაფურთხათ თქვენ, დღეს.
ჩემს თვალწინ. ვიდრე კაფეში მოხვი-
დოდით... მე არაფერი არ მინდა, თქვენ-
გან, მე მარტო მინდა იცოდეთ, რომ ავ-

თო მათხოვარია და თქვენ არ უნდა გიყვარდეთ ასეთი ნაკავი...

— წადით, თემური, თქვენ მთვრალი ხართ!

— ვიცი, და მაინც თქვენი ავთო მათხოვარია..

— წადით! — თქვა ლიამ შიგნიდან ძალიან წყნარად, ისე წყნარად, რომ მე გამიკვირდა, როგორ გავიგე. ჩემი სათქმელი ვთქვი და ახლა წასვლის მეტი აღარაფერი დამრჩენოდა. სველ შუბლსა და სახეზე გაყინული ხელი ჩამოვისვი. თვალი რომ გავახილუ და შემოვბრუნდი, ჩემს წინ გაფითრებული ავთო იდგა. იგი იღიმებოდა.

— გამარჯობათ, საშინლად დაფრეულდი! — ვთქვი მე უხერხულად და აღელვება რომ დამეფარა, სველი და დაკუჭული პერანგის სახელოების ჩამოშვება დავიწყე, თან დავიძაბე. ყოველ წამს რაღაცას ველოდი. ავთო შვილდევით მოხილული იდგა. და უცებ ტანმა მიგრძნო: თავი გვერდზე გავწიე, ავთოს მუშტმა ყურთან ქარივით ჩამიჭროლა, მან თავი ვერ შეიკავა და მთელი სხეულით დამეჭახა. მე წავბორძიკდი. ნოსს ფეხი წამოვდე და გულდამა გადავეარდი. ელვის სისწრაფით წამოვბტი და, ვიდრე წელში გავიმართებოდი, თვალბს შორის საშინელი ტივილი ვიგრძენი და დავეცი. ისევ წამოვბტი, მაგრამ ვერაფერს ვერ ვხედავდი. ავთომ მკერდში ჩამავლო ორთავე ხელი და კედელს მიმაყუდა. აზრი და სინათლე თანდათან დამიბრუნდა. ავთომ ახლა სილა გამაწნა ლოყაში. სისხლი ისე მომაწვა საფეთქლებში, ძარღვები დამასკდებოდა მეგონა და ვიდრე ავთო ისევ მაქმევედა სილას, მხრებში ხელი დავაგულე ჩემსკენ დავქაჩე და რაც ძალა და ღონე მქონდა, თავი დავარტყი. ავთომ დაიკენესა, ჯერ მკერდზე ჩამომეყიდა და შემდეგ ორთავე მუხლზე დაეშვა ჩემს წინ, პერანგზე ხელი დააცივდა, ვერაფრით ვერ გავაშვებინე, გავიქაჩე უკან და ნახევარი პერანგი ხელში შეარჩა.

— ადექი! — ვუთხარი მე დამბოშილ ავთოს, მას ხმა არ გაუცნა, რჩა მკე-ლი სახეზე აიფარა და ისე უსმისობრილი დარჩა.

— ადექი! გავუშეორე მე და მხრებში ხელი მოვეკიდე. იგი ჯერ ცალ მუხლზე წამოდგა, შემდეგ მეორეზე. იგივე რომ არ განმეორებულოყო, რაც წუთის წინ, უკან დავიხიე. ავთო წელში გამიართა, დიდხანს მიყურა უაზრო თვალუბით.

— სადმე შეგხვდები! — თქვა მან ყრუდ და ვახეთქილი ტუჩიდან სისხლი მოიწმინდა.

— სადაც გინდა! — ვუთხარი მე. იგი შეტრიალდა და დერეფანს გაყვა, მერე გაჩერდა და ჩემსკენ მოტრიალდა.

— კაცი არ ვიყო, თუ შეგარჩინო! — თქვა მან.

— ფეხები არ მომკამო!

— ვნახოთ! — გაიღიმა მან ცალუბად.

— ვნახოთ! — ვუთხარი მე. იგი შეტრიალდა და წავიდა.

მესამე სართულზე ავედი და ვიდრე ჩემს ნომერში შევიდოდი, გულიკოს კარებზე დავაკაკუნე.

— ვინ არის? — მომესმა შიგნიდან.

— გულიკოს, მე ვარ, თემური, გააღე კარი!

— ვწევარ!

— არაუშავს, გააღე კარი!

— დილით მოდი, ახლა მძინავს.

— დილით არა, ახლა გამიღე! — კარი გაიღო. გულიკოს არ იწვა. სველი, პერანგშემოხებული და ნაცემი რომ დამინახა, უკან დაიხია.

— რა მოგივიდა, ბიჭო? — მითხრა მან გაკვირვებულმა.

— დაქექი! — ვუთხარი მე. გულიკოს საწოლზე დაჯდა და გაკვირვებული თვალს არ მაცილებდა.

— რა მოგივიდა?

— მე ახლა იმ კრეტინს ვეჩხუბე. — ვთქვი მე და პაპიროსს მოვუყიდე, ნაფაზი დავარტყი და პაპიროსს რომ დავხედე, მხოლოდ მაშინ ვიგრძენი, რომ



ტუჩები გახეთქილი მქონდა. პაპიროსი სისხლიანი იყო.

— ვინ კრეტინს? — გაუკვირდა გულიყოს.

— იმ გაკრევილ კრეტინს!

— რისთვის?

— არ ვიცი!

— იმ გაპრანჭული გოგოსთვის?

— ჰო!

— მერე, იმდენად თავზედი ხარ მოდიხარ და ყველაფერს მე მიყვები?

— იმ კრეტინმა იმ გაპრანჭულ ქალზე თქვა ბოზიო.

— მერე შენი რა საქმეა?

— აბა, ვისი საქმეა?

— შენ გგონია, რომ ეს შენი საქმეა?

— მე ვიცი, რომ ის ქალი პატიოსანი ქალია!

— მაინც საიდან იცი? — დამცინავდ გაიღიმა გულიყოს.

— არ ვიცი, ისე მივხვდი!

— არ იცი, ისე მიხვდი?

— შენც, ალბათ, მე რომ მახლავხარ, ვილაყას ბოზი გონიხარ.

— ჯერ ერთი მე შენ არ გახლავარ, მერე მეორე, ეგ მე სულ არ მაწუხებს.

— შენ არ გაწუხებს რას ფიქრობს ხალხი შენზე?

— არა! — თქვა გულიყოს.

— მე მაწუხებს!

— შენ მიხვდი, რომ ის ქალი პატიოსანია და ამიტომ მოდი ჩემთან? — მკითხა გულიყოს და ისევ დაცინვით გაიღიმა.

— არა, მე მივედი მასთან და ვუთხარი, რომ ის გაკრევილი მათხოვარია და მაიმუნია.

— მერე?

— მერე ჩვენ შევხვდით ერთმანეთს და ვიჩხუბეთ.

— ჩემგან რა გინდა ახლა? — მკითხა გულიყოს და წამოდგა.

— მე მინდა, რომ შენ ახლა ადგე და ჩვენ წავიდეთ თბილისში.

— რატომ?

— მე აღარ მინდა აქ ყოფნა.

— გეშინია?

— ხო, გეშინია! — ვაჭყვამუშაობი

— იმ ბიჭის გეშინია? — ზალიყოსევა

— არა, ჩემი თავის გეშინია!

— მე არსად არ წამოვალ, გადი ახლა, უნდა დავიძინო.

— არა, შენც უნდა ადგე და წამოხვიდე. მატარებელი თორმეტ საათზე გადის.

— მე არ წამოვალ! — თქვა გულიყოს ჯიუტად და დაჯდა.

— შენ თუ გიყვარვარ, ახლაც ადგები და წამოხვალ ჩემთან ერთად.

— არა! — თქვა გულიყოს.

— კარგი, მე დამნაშავე ვარ. მაპატიე რაც მოხდა, ოღონდ ახლა ადექი და წამოდი თბილისში.

— მე არავისი არ გეშინია, არც იმისი, რომ ვინმე შემიყვარდება, ამიტომ არ წამოვალ! — თქვა გულიყოს.

— შენ გგონია მე იმიტომ მივედივარ, რომ გეშინია ღია არ შემიყვარდეს? — ვკითხე გულიყოს.

— ჰო! — თქვა გულიყოს და თვალეში შემხვდა გულიყოს მართალი იყო. ველარაფერი ვუბასუხე, ისევ პაპიროსს მოვუყიდე და გავჩუმდი. დიდხანს ვიჯექით ასე. მერე მე ავდექი. გულიყოს ადგილიდან არ განძრეულა.

— მაშინ მე მართო წავალ! — ვთქვი მე.

— წადი! — თქვა გულიყოს, ისე რომ ჩემსკენ არც გამოუხედავს. ჩემს ნომერში რომ შევედი, გურამს ეძინა. ფეხაკრეფით მივედი და საწოლის ქვეშედან ჩემოდანი ფრთხილად გამოვართვი. ტანზე გამოვიცვალე და ასევე ფეხაკრეფით გამოვედი გარეთ. დერეფანში კედლის საათს შევხვდე — თორმეტის ათა წუთი იყო. რესტორნიდან გულისამრევი მრავალკამიერი ისმოდა. ფოიეში ჩავედი. ადმინისტრატორი თავის ჯიხურში იჯდა და თვლევდა.

— საშა! — ვთქვი მე წყნარად.

— ნომერი არ არის! — მოიფშენი ტასახე ადმინისტრატორმა. მერე შემხვდა და თვალეები გადმოკარკლა.



— პასპორტი მომეცი!

— რას გავხარ? — მკითხა გაკვირვებულმა.

— სადგურზე მაგვიანდება. პასპორტი მომეცი, თუ ძმა ხარ! — ეთხოვე მე.

— ყველა მიდიხართ?

— მარტო მე!

— იჩხუბეთ?

— არა!

— აბა რა გვირს?

— კაცო, შენ ექიმში ხარ თუ ადმინისტრატორი? პასპორტი მომეცი.

— ჩემს ტერიტორიაზე ექიმშიც ვარ და ინჟინერიც!

— არ მაძლევ პასპორტს? — ადმინისტრატორმა კატალოგში მოძებნა ჩემი პასპორტი და გამომიწოდა.

— ფულს შენ გადაიხდი თუ შენი ძმაცაი?

— ჩემი ძმაცაი!

— მაინც რა მოგივიდა? — არ მომეშვა ადმინისტრატორი.

— ხეს დაეჯახებ!

— გვერდი ვერ აუქციე?

— ვერა!

— ზშირად მოგდის მასე?

— ზშირად!

— კარგ დროს გაატარებ აბა შენ, კაცმა ტყეში რომ შეგიშვას!

— ნახვამდის!

— კარგად იყავი, კედელ-კედელი იარე, თუ ძმა ხარ! თორემ გზაში ისეთი გამწვანებაა, სადგურამდე სული არ ჩაგყვება! — მთხოვა ადმინისტრატორმა.

— გეცდები, ბატონო! — დავბირდი მე.

— აბა, შენ იცი! — გამომიწოდა ხელი საშამ. — გუშინ რომ ლექსი დავწერე, ხომ არ გინდა წაგიკითხო? — მკითხა უცებ საშამ.

— გრძელია? — ვკითხე მე და საათზე დავიხედე. მატარებლის გასვლას იცი წუთი აკლდა.

— არა!

— თუ ძმა ხარ, არ დამაგვიანო! — ეთხოვე საშამ.

— ა, ბატონო,

კარგი არის ზღვა შავი, მღვანელებს ზღვას, იგი თითქოს მთვრალია, ყრუმს იწონის ლეინოს არ სვამს.

ყოველ წუთს, ყოველ დღეს და საღამოს ეამს გაუმარჯოს სივეარულით მობობქრე ზღვას. ახლა, როცა ღამეა და გარეთ წვიმა ცრის, მე ვდარაჯობ დღე და ღამე სასტუმრო ინტურისტს, გარეთ ქარი, გარეთ ქარი, გარეთ ქარი ქრის, ჩვენ ოთხნი ვართ მე, ზღვა შავი, ბათუმი და ის...

— რას იტყვი? — დადარაჯებულნი ხმით მკითხა საშამ და თვალები მოწურა.

— გალაკტიონს გავს სადღაც, რადიკაში, შე ეშმაკო! — ვუთხარი მე და თითი დავუქნიე.

— მერე ცუდია მაგი? — გაუხარდა საშამ.

— ცუდი როგორაა, პირიქით, კარგია! — მხარზე დავკარი ხელი საშამს.

— აბა, კარგი თუა, ნუ დამამადლი და თბილისში რომ ჩახვალ, „მნათობის“ რედაქტორს მიუტანე ჩემი სახელით, არ მოგერიდოს, ყოველ წელს აქ ისვენებს ჩემთან, „ინტურისტში“.

— მაგას როგორ დავამადლი?

— ჰონორარი „ინტურისტის“ მისამართით გამომიგზავნოს. ჰო, უთხარი ფსევდონიმით დაბეჭდოს.

— რა ფსევდონიმით?

— იცის იმან.

— მაინც?

— „დელფინი“!

— სტავრიდა ან ბარაბულკა არ აჯობებდა? — ვურჩიე მე.

— კაცო, შენ რასაც გეუბნებიან, ის გააკეთე — მითხრა საშამ და ეჭვის თვალით შემხედა.

— შენ იცი ნახვამდის! — გავუწოდე ხელი საშამს.

— ნახვამდის! — მითხრა მან და ხელი მაგრად ჩამომართვა.

ლექსი ჭიბეში ჩავიდე და სასტუმროდან გამოვედი.

ჩვენს მარჯვნივ

ახალი დემსების წიგნიდან

ადრე თუ გვიან...

ყველაფერს ცოდვილ დედამიწაზე
თურმე აქვს ბოლო და დასასრული...
რაც გუშინ ნახე და განიცადე,
ეს უკვე არის შენი წარსული.

რაც გუშინ ჰქონდა შენს თვალს აღქმული
და ხსოვნად შერჩა შენს ცხელ გონებას,
ეს თავისთავად არის წარსული,
სიცილი, კენესა და მოგონება.

რაც გუშინ გულში ფიქრი გაივლე,
აღბეჭდე, ვიდრე არ გარდასულა,
თვით დაუფიწყარ ლექსის ყვავილებს
იხსენიებენ უკვე წარსულად.

ადრე თუ გვიან შეუქი ჩაქრება,
ჩაბნელებიან ჩემი სერები —
და უნატრელი ის დღევ დადგება,
როცა წარსულად მოვიხსენებ...

დრო მიდის...

დრო მიდის. სადღაც გაიფანტუნებს
მივიწყებული ლექსის პწკარები...
რაღაც სხვა ჰქონდა იმ ლექსს სარჩულად,
ნამცეცი დარდის და მწუხარების.

რაღაც სხვა ჰქონდა იმ ლექსს სარჩულად,
თითქმის ვიგონებ და ვერც ვიგონებ
და ვწუხვარ, რომ ვერ შევეუნარჩუნე
ცეცხლი და თრთოლვა იმ ძველ სტრიქონებს.

სადღაც მიმქრალი შეუქი იელვებს.
თანდათანობით ისიც ჩაქრება
და შემაწუხებს, როგორც მთიელებს,
მოულოდნელი პაპანაქება.



ის წლები უქმად რაც დახარჯულა,
დღეს სიზმრებით ჩუმად ქრებიან...
მაინც რა ჰქონდა იმ ლექსს სარჩულად,
ვფიქრობ და ველარ გამხსენებია.

თუ ბედმა ჩემმა...

თუ ბედმა ჩემმა არ მიღალატა
და არ დასცვივდა სიტყვას ქერეჭი.
ზღაპრულ ხილვებით საესე კალათას
მოგიძღვნი, ალბათ, ჩემს სიბერეში.

თუ შთაგონება არ მიმატოვებს
და კვლავ უხილავ თრთოლვით ამავსებს.
მაშინ მადროვე, ოღონდ მადროვე,
როგორ დავხატავ შენს სილამაზეს.

ისევ აღვადგენ, რაც დრომ წაშალა
და დაეწყების ნისლმა დაჰფარა,
კვლავ გავაჩაღებ გულში მამხალას
და ჩემს უნებურ სევდას პატარას.

ისევ აღვადგენ, რაც დრომ გათელა
გადაეწყების კვამლში ფართლად,
ავაკიმიციმებ ციციანათელად,
ელვად, ოცნებად და სიბარულად.

ისევ აღვადგენ, ყელს მოვიღერებ,
თუ არ დასცვივდა სიტყვას ქერეჭი —
და ძველის თრთოლვით საესე სიმღერებს
მოგიძღვნი, ალბათ, ჩემს სიბერეში.

ლექსი გავშვივით გამომეტირა...

ლექსი ბავშვივით გამომეტირა,
როცა მავიდას მოწყვდი წველებით.
დავეუსვი სიტყვას მრავალწერტილი...
დ ობლად დარჩენი თოთო ბწყარები.

სადღაც მიმიხმეს, სადღაც წავედი,
ავყვევი რაღაც ღელვას წუთიერს
და შინ დავტოვე ნაფერმკრთალევი
ლექსი, რომელსაც ღამე ვუთოე.

ვერ მოვასწარი ჩემი ფრთოსნების
ბუღემი მყუდროდ დაბინავება,

რომ სანეტარო ჩემი ოცნების
ერთი მთრთოლვარე სიმი გამება.

მას შემდეგ მიჭირს დაბოლოება
და ხშირად ჩემი გული შეკრთება.
რისთვის არ ძალქს დაღლილ,

გონებას
ჩემთა დაფანტულ ფიქრთა შეკრება.

მას შემდეგ ბევრმა დღემ ჩაიქროლა
და ბევრი ღამე შემომეცრიცა,
იმ ლექსის დარღმა გადამიფოლა,
დაღმთავრებულ ერთი ლექსისა.



ეს მერამდენედ...

ეს მერამდენედ, ეს მერამდენედ
წარმოუდგენელ სიზმრებს გადავტრჩი.
გულშემშარავი ფიქრი გავღევენე
და განზე დავრჩი, ვით არტანუჯი.

ეს მერამდენედ მთაზე გადაველ,
ვძლიე სუსხი და ვძლიე სიცივე,
თითქოს ვიპოვე მყუდრო სავანე
და დარდი ძლივსღა ჩამოვიცილე.

ეს მერამდენედ წავიფორხილე,
ციცაბოვებზე ისევ აღვდექი
და ღრუბლებს ვგლეჯდი, როგორც ბორკილებს,
პნელის და ავის წინააღმდეგი.

ეს მერამდენედ, მაგრამ უტყვიოდ
ვინ მომაცუნა მაინც ჭრილობა?
შენს გარდა, აბა, ვის შეუტყვია
ჩემდამი მტრობა და გულგრილობა!

ეს მერამდენე წელი მიქრება
რაც ძნელ და მძიმე ჰაპანს ვეწევი.
და შენ ნურაფრის ნუ გეფიქრება,
მარტოობაში არ ვიხვეწები.

ეს მერამდენედ გადავიყარე
მწუსრი და ახლა გული ცას სწვდება.
ერთი ბუდე აქვს დარდს და სიხარულს.
დაღვრემილობას და აღტაცებას.

ეს მერამდენედ, ეს მერამდენედ
შენს დამწველ თვალთა ბრიალს გადავტრჩი...
გულშემშარავი ფიქრი გავღევენე
და განზე დავრჩი, ვით არტანუჯი.



ოთარ კუპრაძე

ღურჯი იგბის ზღაპარი

მოთხრობა

დიდი სიცარიელე

მკედლის შეილებმა მამა რომ დაა-
საფლავეს და შექელებენიც გაისტუმ-
რეს, შინ შემოვიდნენ.

შემოვიდნენ და რაღაც უცნაური სი-
ცარიელე იგრძნეს.

ამდენი იყვნენ:

დედა — შარვალიტა.

შვილები —

ვალენტინა,

გოდო,

გივი,

ვერიკო,

ვიორგი,

ბიჭიკო,

გურამი,

ზაური,

ფუთულა.

და მაინც უცნაური სიცარიელე და-
ხვდათ ოდა-სახლში.

რაღაც დიდი და უდიდესი აკლდა
ოჯახს.

— მთავარი სუნთქვა და მთავარი ბო-
ძი აკლდა!

ოზლად დარჩენილ ბარტყებივით მი-
ეკრნენ ერთმანეთს...

გოდომ ბუხარში ცეცხლის დანთება
სცადა.

დღეისამასიქით უკვე გოდო იყო ცე-
ცხლის დამნთები ამ ოჯახში.

იგრძნო ეს გოდომ და ხელი ოდნავ
აუკანკალდა;

სამჭერ გაკერა ასანთს და სამჭერვე
ჩაუჭრა;

ნავთი ხელახლა შეასხა შეშას და
აანთო, როგორც იყო .

ვალენტინა და ვერიკო ორმოცამდე
დარჩნენ შამის სახლში; მერე წავიდ-
ნენ და ეს წასვლაც ცრემლით დაასვე-
ლეს.

უთენია ადგა გოდო; ნაკვერჩხალი
ბუხრიდან წამოიღო, სამკედლოში ჩა-
ვიდა, ქურა მოჩიჩქნა, სასულე გამოუ-
ჩინა საბერველს, ნაკვერჩხალი მიუწყო
და ზედ სველი ქვანახშირი დააყარა.

ირგვლივ ჯერ კიდევ დილის ბინდ-
ბუნდი იდგა და გაურკვეველმა შიშმა
შეიპყრო მკედლის უფროსი ვაჟიშვი-
ლი.

საბერვლის სახელურს რომ ჩამოს-
წია, ტყავის ნაოჭებმა ტყაცანი გაიღეს.
ორმოც დღეს უსულოდ მიტოვებული
საბერვლის ნაოჭები ერთმანეთს მის-
წებებოდნენ.

მიძალებით ჩამოსწია და ჩამოჰბერა.

მალე ვალევიდა ქურა.

ზემო სართულიდან თვალების ფშვენ-
ტით ჩამოვიდა ვიციც; ძმას ამოუდგა
გვერდში, უხმოდ მონახა ურო, რომე-
ლიც აქამდე გოდოს ეკუთვნოდა, ახლა
კი მისი იყო.

ამიერიდან გოდოს უნდა გაეწია სამ-
კედლოში დიანოზობა, გივის — გო-
დობა.

* ასეთვე სათაურით გამოქვეყნდა ჩემი
მოთხრობა 1963 წლის № 12 „მნათობში“. ეს
მოთხრობა დამოუკიდებელია და, ამავე
დროს, იმ მოთხრობას ვაგრძელებაც.

გახურებულ ქურაში გოდომ საღურ-
სმნე მავთული ჩასდო და საბერველს
ხელი უშვა.

მიხვდა გივი:

ჩამობრვავც მეტწილად მისი მოვა-
ლეობა იყო დღეიდან.

გოდომ ტყეცი ვერ იპოვნა და გივის
გასაგონად ჩაილაპარაკა:

— ტყეცი სადაა.

თავისივე ხმა ეუცნაურა, თითქოს
დაბოხებოდა.

გივიმ ეძება, ეძება, მაგრამ ეშმაკი
დააჯდა იმ ტყეცს თუ რა იქნა ვერ
იპოვნა; ბოლოს როგორღაც მონახა,
მხოლოდ არა ის, რომელიც გოდოს უნ-
დოდა, სხვა, ძველი...

ღურსმნის გაკეთებაში უროს არაფე-
რი ესაქმებოდა. ამიტომ გივი საბერ-
ველს მიადგა.

გოდომ წაამწვეტა ნეკათითის სიმსხო
მავთული, კბილანაზე გადასჭრა და
წაამწვეტებული თავით ღრმულში ჩაუ-
შვა. მაგრამ ვერ იქნა და ვერ გაუბრ-
ტყელა მსხვილი ბოლო სამყურას ფოთ-
ლებივით.

რა ჯადო შეუძერა ხელებში?

ადრე, მამის სიცოცხლეში, მშვენივ-
რად გამოსდიოდა ეს ოხერი „სამყუ-
რა“.

ადრე მამის თვალი თუ შველოდა!

რაკი დაიწყო, არ მოეშვა.

პირველი არ გამოუვიდა, მაგრამ მე-
ორეს უკვე არა უშავდა.

მზე ხარის რქებზე დაჯდა.

მარგალიტაც ამდგარიყო და კათხით
ხელში კამეჩის მოსაწველად ჩამოდიო-
და კიბეზე.

სხვა ძმებსაც გაელეძინათ; რიგრიგო-
ბით ჩამომწკრივდნენ ზედა სართული-
დან, გოდოს და გივის ირგვლივ დადგ-
ნენ.

გოდო და გივი ახლა ნალებს ჰედ-
დნენ და უროც ჩარეულიყო საქმეში.

ორჯერ ზოდს დაეცემოდა გოდოს ჩა-
ქუჩი, მესამედ გრდემლზე დარაკუნდე-
ბოდა; ამით კვერს უკრავდა გივის: აბა,
ჰეო! და წამოვიდოდა გივის მიერ მძლა-
ვრად მოქნეული უროც...

ძველებური დაგა-დუვი გაისმა დია-
ნოზას სამკედლოში.

დამთავრებული ნალი გასცვივებლადს
ქებაში ჩაჰყო გოდომ და, შიშინი რომ
არ შემოესმა, შეკრთა.

წყალი ამომშრალიყო ქებაში.

ბიჭიკო უმაღ ეცა დოქს და წყალი
მოარბენინა...

კვირადღე იყო და მუშტრებს მოე-
ლოდა გოდო.

მაღე შემოესმა ურმის ჰრიალიც.

კოფოზე მჯდარი მეურმე ლიღინით
მოერეკებოდა ხარებს.

გოდომ იცნო ხარებიც და მეურმეც.

ჭიშკარს გაუბირისპირდა ურემი. მა-
გრამ მეურმე, როგორც სხვა დროს, არ
გადმობტა და აქეთეც არ შემოაბრუნა
ხარები; მხოლოდ დილა მშვიდობისა
უსურვა მკედლის ვაყებს და ჩაიარა.

გოდომ ვერ მოითმინა და მიადახა: სად
მიხვალო.

მეურმემ წაუყურა...

— შეცვდი. ხარები ალბათ დაქედი-
ლი ეყოლებათ, — თავი დაიხმედა გო-
დომ.

მაღე სხვა ურემმაც ჩამოიარა.

ახლაც მარტო „დილა მშვიდობისა“
მოესმა გოდოს და გული სულ დაუ-
ბნელდა.

ჭიშკარს მკედლის მეზობელი, ძველი
მეეტლე ნიკა ჩოჩია მოადგა. მარქაფად
მოჰყავდა ცხენი, მაგრამ არა დასაქე-
დალ...

იმ დროისათვის აბაშაში მანქანები
მომრავლებული იყო და ეტლს მანანდა
გაუვიდა. ამიტომ ნიკა ახლა მარულისა-
თვის ამზადებდა თავის ცხენს და მხედ-
რად ფუთულა ჰყავდა შერჩეული, მკედ-
ლის უმცროსი ვაჟიშვილი.

გოდოს ამ გულტებელზე საუბრის თა-
ვი არ ჰქონდა და მეზობლისათვის არც
შეუხებდავს.

ნიკამ კარგახანია დაიწყო ფუთულას
წერთნა; დღესაც მის წასაყვანად მოვი-
და.

ფიცხი ცხენი იყო ლურჯა და მხედა-
რიც ფიცხი შეურჩია ნიკამ.

ფიცნი ცხენი და ფიცნი მხედარი



ჯოხის ცხენს შეჩვეულმა ფუთულამ ერთხელ მესერზე მიბმული, უნაგირიანი ცხენი შენიშნა.

მაშინ დიანოზა მკედელი ცოცხალი იყო.

ცხენის პატრონი დიანოზასთან საუბრობდა.

აცოცდა ფუთულა მესერზე და უნაგირზე გადასკუპდა.

ცხენმა მხედარი რომ იგრძნო, აღვირი აიგლიჯა და უცებ დაოთხდა.

ფუთულა ფაფარში ჩააფრინდა ცხენს და ტკიპასავით მიეკრა უნაგირს.

— არიქა, უშველეთ, ცხენმა ბავშვი გაიტაცაო, — დაიყვირა ვილაყამ.

გზაზე რომ გამოცვივდნენ, ცხენი უკვე წერტილივით მოჩანდა გაჭიმულ გზაზე.

დიანოზამ მწარედ ამოიგმინა.

იღბალზე ჩამოვლილი საბარგო ავტომანქანა გააჩერეს, საფეხურზე შეახტნენ და გამოუდგნენ.

ცხენის პატრონს მკედრის ფერი ედო; იცოდა მისი ცხენი რა ქარფხიც იყო, მანქანა კი არა, ჩიტიც ვერ დაუწეროდა.

ცხენის პატრონი სუჯუნელი ყოფილა და გეზიც იქითენ ააღებინა მანქანას. თავაშვებული ცხენი ხომ ყოველთვის შინისკენ გარბის!

სუჯუნაში რომ შეგრიალდა მანქანა, გზაზე თავმოყრილი ხალხი შენიშნეს.

დიანოზამ თვალები დაბუჭა, ეგონა ბავშვს ცოცხალს ვერ ნახავდა.

ხალხი მისწი-მოსწიეს...

გახვითქული ცხენი თავს აკანტურებდა. ფუთულა გვერდით ედგა; მამას რომ მოჰკრა თვალი, შიშით თუ სიხარულით გაიკრიჭა; ახლა კი ნამდვილად მომხვდებოო, ფიქრობდა, ალბათ.

დიანოზამ თავით ფეხებამდე ჩამოუსვა ბავშვს ხელი და, საღსალამათად რომ შეიცნო, ვითომც არაფერი მომხდარაო, ნელა დაუცაცხანა:

— რა ქენი, შე მამაძაღლო. სტუმარს

ცხენი რომ მოსტაცე, ფეხებით უნდა მოსულიყო?..

ბავშვი შინ მანქანით წამოიყვანა დიანოზამ.

იმ დღეს დაებადა ნიკა ჩოჩიას აზრი: მარულაში ჩემს ცხენზე ფუთულა უნდა დავსვაო და იმ დღიდანვე დაიწყო მომავალი მხედრის წვრთნაც.

ფუთულამ ნიკას თვალი რომ მოჰკრა, მისკენ გაიქცა.

— აბა, წავიდეთ. მარულამდე ბევრი დრო კი არ დარჩა, — შემოაგება ნიკამ.

ფუთულა ცხენს მიუახლოვდა, შაქრის ნატეხი მიაწოდა და შებლზე ხელი მოუსვა.

კარგი ცხენი იყო ლურჯა და დღითი-დღე ქერს იმატებდა, მათრახს კი არა.

ნიკამ ბავშვი ხელში აიყვანა და ცხენზე შესვა.

დღეს მარულისათვის განკუთვნილი გზები უნდა შემოველოთ რამდენჯერმე, მოსახვევებს კარგად რომ შეჩვეოდა ცხენი.

მარგალიტამ, როგორც ყოველთვის, ახლაც გადმოსძახა მეზობელს:

— გაუფრთხილდი, ჩემო ნიკა, ბავშვი კიდეც არ ჩამოვარდესო.

ნიკამაც, როგორც ყოველთვის, — ვინც ცხენიდან არ გადმოვარდნილა, ის ცხენოსანი ვერასდროს გახდებოო, — „ანუგეშა“ მარგალიტა და წინ გაუძღვა პატარა მხედარს.

გოძომ და გვიმ თვალი გააყოლეს თავიანთ უმცროს ძმას და გული ეტკინათ: ცხენოსნობას რა თავში ვიზლით, ჩვენი მამა-პაპანი მკედლები ყოფილან, ჩვენც მკედლები უნდა ვიყვნეთო...

შებინდებამდე ათიოდე ურემმა და ცხენოსანმა მაინც ჩაიარა მათს გზაზე და მხოლოდ „კაი გამარჯობა“, შუადღე მშვიდობისა“, „სალამო მშვიდობისა“ და ბოლოს „ღამე მშვიდობისა“ შერჩათ ხელში ძმებს.

იმ დღეს არავინ აიკიდა ზურგზე მკედლის ობლები ცოდვა.



— ასე თუ გაგრძელდა, აგვიშენდება ოჯახი, — შეწუხდა გოძო.

ფუთულა გვიან დაბრუნდა; აცაბაცად მოაბიჯებდა ცხენის ზურგზე ნაჯანჯლარევი ბავშვი;

მოწყენილ ძმებს რომ შეხედა, მიხვდა რაშიც იყო საქმე: ალბათ, მთელი დღე მუშტარი არ გაკაარებია სამკედლოს!

ასე გამოდიოდა: სამუდამოდ უნდა ჩამქრალიყო მკედელ დიანოზა დგებუძის ქურა!

იმ ღამეს გოძოს ძილი არ მიჰკარებია, მოუსვენრად ტრიალებდა მარტონიშვილი ფიქრმა დაიგლო...

არ იმჩნევდნენ, თორემ არც გვიის უძინია მშვიდად, არც ბიჭიკოს, არც ზაურის, არც გურამს, არც მარგალიტას.

ფუთულას კი ეძინა და დიდი სიზმარიც ნახა.

ფუთულას სიზმარი

ხარების ზმული მოისმა გზიდან. გაიხედეს მკედლის შვილებმა: მთელი სოფლის ნახირი მათენ მოედინება. ჭიშკარი შემოამტვრიეს და ეზო აავსეს.

დასაქედ ხარებში ერთი ახოვანი კაცი იდგა; დაუძახა დიანოზა მკედლის ვაჟებს:

— ჩქარა დამიკედეთ ეს ხარებიო! გოძომ და გვიმ თოკი გამოიტანეს, სწედნენ ერთ ხარს რქებში, ფეხებზე შემოახვიეს თოკი, კისერი მოუგრიხეს, მაგრამ ვერას გზით ვერ წამოაქციეს.

— თფუი, შევარცხვინე თქვენი ვაჟკაცობა, — თქვა ახოვანმა კაცმა და გვერდზე გადავა.

ახლა ცხენების ჭიხვინი შემოისმა. მთელი რემა მორეკა ვილაც ბერიკაცმა და მკედლის შვილებს გასძახა:

— ჩქარა დამიკედეთ ეს ცხენებიო! გოძო ალვირში ჩააფრინდა ერთ ცხენს. გვიმ კუდი დაუჭირა და სცადა უჯანა ფეხზე ძუა შემოეხვია, დასაქედად მოეშალდებინა. მაგრამ ჰკრა ცხენმა წიხლი გვიის და მესერთან მიავლო. აქეთ გოძოს ალვირი გაუსხლტა ხელიდან და ისიც მიწას გაეკრა.

ამ დროს გზის მეორე მხრიდან უცნაური როხროხი მოისმა.

რაც რამ კავებული იყო იმ ახლომასლო, გამოებათ ერთი ტრაქტორისთვის და მკედლის ეზოში შემოახრივინეს.

— მკედლის შვილებო, ესენი შესა-

კეთებელია, თქვენი იმედი გვაქსო. — სთქვა კავეულის მომტანმა.

გოძომ ქურას ქვანახშირი დააყარა და ჩამობერა, მაგრამ არ აენთო ქურა. მაშინ ჩაქუჩს დასტაცეს ხელი გოძომ და გვიმ, კავეულის ცივად შეკეთება სცადეს.

მაინც ვერაფერს გახდნენ. — შევარცხვინე თქვენი ვაჟკაცობა! — ერთხმად დაიძახეს ხარების, ცხენების და კავეულის პატრონებმა და წასვლა დააპირეს.

გოძომ ხელი უიშედოდ ჩაიქნია: — ეჰ, უბედური ვყოფილვარო!.. თქვა ეს და უცებ სასაფლაოს მხრიდან ხმა მოისმა:

— უბედური ის არის, ვინც უბედურებას შეუშინდებაო!

გაიხედეს და რას ხედავენ: საფლავიდან წამომდგარა დიანოზა მკედელი და შვილებს შორიდან უბლვერს.

— თქვე გლახებო, ამას გასწავლით მთელი ჩემი სიცოცხლე?

შემდეგ მუშტრებს მოუბრუნდა საფლავიდან წამომდგარი კაცი და თავისკენ მოუხმო.

— გიშველა ღმერთმა! ისევ შენ თუ გვიხსნი, — გაიხარეს მუშტრებმა და სასაფლაოსკენ დაიძრნენ.

დიანოზამ ერთ წუთში დაჭედა ყველა ხარი, ყველა ცხენი და კავეულოც საგულდაგულოდ შეაკეთა.

გოძო, გვი, ვიორგი, ბიჭიკო, ზაური და გურამი დარცხვენილი შეპყურებდნენ მამას.

დიანოზამ ზურგი შეაქცია ამ ექვს ვაეიშვილს და ცხენზე ამხედრებულ ფუთულას გაუღიმა:

— ხომ არ მემღერი, ბაბა, თუნუქის მოთრევისათვის რომ გცემე ერთხელ? ხომ არ გტყვია ლოყა, ხელი რომ გაგარტყი? — ლოყაზე ხელი მოუსვა ბავშვს. — რა ვიცოდი, მხოლოდ შენ დამრჩებოდი სასახლო შვილი! გაქქულს, შვილო, ინავარდე, იფრინე, მასახელე... ოღონდ ესეც დაიხსოვე: ცხოვრების გზა მოკირწყლული როდია, არ შეიძლება სადმე ფეხწამოსაკრავი არ შეგხვდეს. ამასაც ნუ შეუშინდებიო...

ეს უთხრა დიანოზა მჭედელმა უმცროს შვილს და ფუთულამაც ჰკრა დეზი თავის ცხენს; ჯერ მურებს გადაეცლო, შემდეგ — მაღალ ხეებს.

ფრთები შეისხა ლურჯამ და ღრუბლებში აფრინდა.

მიფრინავს ფუთულა სულ მაღლა, მაღლა და თან მამისაყენ იხედება. მაგრამ მამა არსად არა ჩანს. მხოლოდ ძმები დგანან თავდახრილნი და ხმას არ იღებენ.

ღედა კი, ღედა პირჯვარს იწერს და ჩურჩულებს: ღმერთო, ფუთულა ცხენიდან არ გადმომივდროო...

ფუთულას არ ახსოვს მთელი ღამე გრძელდებოდა ეს სიზმარი თუ გამო-

ღვიძების წინ, ერთ წამში ნახა. როგორ გამოეღვიძა, უკვე გათენებულ ფულადედა საუზმეს ამზადებდნენ ფუთულამ ტანთ ჩაიცვა და ეზოში ჩავიდა.

უგემური გუნება აჰყვა... გივი ვრდემლთან იდგა. რალაცანა ჩხირკედლაობდა.

საბერველს გიორგი ქაჩავდა. ბიჭიკო და ზაური საზამთროდ მოტანილ შეშას ხერხავდნენ.

გურამი დახერხილ შეშას აწყობდა. ფუთულამ გოდო რომ ვერ დაინახა, მიმოიხედა.

გოდო კიბის დაბალ მოაჯირზე იჯდა და თავ-პირი ჩამოსტიროდა.

„ვიღუპებით ღართანად და ეგაა“, — ფიქრობდა იგი თავისთვის.

გამრჯე კაცია გოდო და უსაქმობა მისთვის დიდი სასჯელი იყო. არა და, არ მოდიოდნენ მუშტრები!

რკინას ქანგი ჰამდა, გოდოს გულს — დარდი.

ფუთულა უფროს ძმას მიუახლოვდა და გვერდით მოუჯდა, ვითომდა: მეც შენთან მიგულე ამ გასაჭირშიო! ხმა კი არ გაუცია.

გოდომ შემოხედა თავის პატარა ძმას, მხარზე ხელი დაჰკრა, თითქოს მოეფერა;

შემდეგ ადგა და ეზოდან გავიდა.

გზიანი ღლე

მიდიოდა გოდო ნელი და მძიმე ნაბიჯებით და იცოდა საითაც მიდიოდა.

ჯერ კოლმეურნეობის კანტორაში შევადა და თავმჯდომარის კაბინეტის კარები შეაღო.

გოდომ თავმჯდომარეს რკინა მოსთხოვა, შემოგველია და კავეულს რითლა შევაკეთებთ, ან ხარებს რითლა დაგიჭედავთო.

ის კი არ უთქვამს, ჩემს სამკედლოს, მამაჩემის სიკვდილის მერე, არავინ არ ეკარება ყველანი მერე მკედელს მიეძალნენო.

არ უთქვამს, რადგანაც სჯეროდა თ-

ვისი თავისა, იცოდა: წვეთ-წვეთი წყალი, ბოლოსდაბოლოს, გახვრეტდა ქვას და მისი ხელობის გემოსაც გაიგებდნენ დიანოზას ყოფილი მუშტრები.

თავმჯდომარემ კალენდრის ფურცელზე ჩაინიშნა ეს თხოვნა და გოდო ალუთქვა, რკინას ხვალვე გამოგიგზავნიო.

კაბინეტიდან გამოსულმა გოდომ, ღერუფანში გავლისას, ერთ ღია ფანჯარაში შეიხედა და, ძაბულიაო, დაიძახა. ძაბულია მაგიდას უჯდა და საანგარიშოს ატყავუნებდა;

გოდო რომ შენიშნა, სახე გაეზადრა.



წამოდგა და ფანჯარას მოაშურა. რაღაც იჩურჩულეს, რაღაც მოილაპარაკეს და გოდოც წამოვიდა.

სახლამდე კარგა შორი მანძილი იყო და გოდომ აქვე, ფარდულში წახემსება არჩია.

ფარდულში ნაცნობები დახვდნენ, ხის ყუთები დაეპირქვავებინათ და ღვინოს ხამუშხამუშ წრუპავდნენ.

გოდომ სამი ბოთლი ღვინო მოატანინა და თვითონაც შეუერთდა მეგობრებს.

ტკბილად იქუკუქუეს, მშობლების სადღეგრძელოც შესვეს, ცოცხლებს სიცოცხლე უსურვეს, მკვდრებს — საუკუნო სასუფეველი.

ერთი შუახნის, დაგვაჯული კაცი გოდოს ჩააცივდა ამ სადღეგრძელოს თქმისას:

— მამაშენი ღმერთმა აცხონოს. ახლა შეიდი ვაჟიშვილი დარჩით ჩემო ბიძია. დედაშენს ოჯახის მართოდ გაძლოა გაუჭირდება. უფროსი შენა ხარ და პირველი რბალიც შენ უნდა მოუყვანო.

გოდოს ბევრჯერ მოუსმენია ასეთი დარიგება და არც ახლა გაკვირვებია. შინაც და გარეთაც ყურები ჰქონდა გამოჭედული „ჰკუის სწავლებით“.

ფარდულიდან შემთვრალნი გამოვიდნენ.

გოდო თანამესუფრეთ გამოემშვიდობა და თავის გზას გაუყვა;

ისევ მარტო ხეტიალი არჩია;

კარგა ხანს ქსელა გზა, ბოლოს ცხენისწყალს მიადგა და რკინიგზის თაღოვანი ხიდის თავზე ჰინკებოვით წამოსკუპებულ ტიტლოკანა ბავშვებს შეასწრო თვალი.

ერთში ფუთულა იცნო და შეეშინდა: არ გადმოვარდესო.

ნიკას თავისი ცხენი წყალში ჩაეყენებინა და აურეებდა.

— ეს ეშმაკი სად ავიშვია, ნიკა, მიმართა გოდომ მეზობელს *არქენელს*

— მაგის დარდი ნუ ჭაჭუნს *ქუშმაქმა* კი არა ეშმაკების ხელმწიფეა, არაფერი მოუღა...

გოდო წყლის პირას ჩამოვდა, ხელები მუხლებზე შემოიწყო და ისევ ახედა ხილს.

ფუთულამაც შენიშნა თავისი უფროსი ძმა, მიუერთო. გადმოსძახა და ხიდიდან წყალში გადმოსახტომად მოემზადა.

ამ დროს სახალხო მატარებელი შემოგრაილდა ხილზე.

ერთმა აწოწილმა ბიჭმა მხარი გაკერა ფუთულას, გადმოაგდო ჩიტი ხიდან! ფუთულა ჰაერშივე გასწორდა და ისარივით ჩაეშვა წყალში ისე, რომ წვეთიც არ აღშხეფებია.

— უყურე მაგას! — წამოიწია გოდო. ვაგონებიდან მგზავრები ვაოცებულნი ჩასცქეროდნენ მდინარეს.

ფუთულა კარგა მანძილზე წავიდა ყვინთვით, შემდეგ ამოჰყო წყლიდან თავი და სუფთა მხარულით ნაპირსკენ გამოსცურა.

მატარებლიდან ვერ მოასწრეს ენახათ ფუთულა, იქნებ იფიქრეს, დაიბრჩოო.

ხილზე ასულმა სხვა ბავშვებმა გადმობტომა ვერ გაბედეს და პიწკად ძირს ჩამოცოცება იწყეს.

მხოლოდ ერთი დარჩა ზევით, სახელის გატეხვას თავის გატეხვა არჩია და ისიც გადმობტა...

გოდომ არ იცოდა, სად ან როდის ისწავლა მისმა ძმამ ასეთი ცურვა, ან რა გული ერჩოდა, ამ სიმაღლიდან გადმობტომისა რომ არ ეშინოდა.

ნიკა იღიმებოდა:

— ხომაა ვაჟაკი! ახლა ის უნდა ნახო, ცხენს როგორ დააჰენებს...

ძმის ქებაში არ აპყვა გოდო ნიკას, წამოდგა და თავის გზას გაჰყვა.

კურკანბელა

ცხენისწყლის პირიდან წამოსული გოდო რკინიგზასთან, ერთ მყუდრო ადგილას ჩამოვდა.

სამუშაოდან წამოსულ ძაბულის აქ უნდა გამოეველო.

სხვა დროსაც აქ ხვდებოდნენ ერთ-

მანეთს და მერე ერთად მიდიოდნენ შინისკენ.

ახლო-მახლო არც სახლობდა ვინმე, არც ფეხით მოსიარულენი ეტანებოდნენ ამ ადგილს, — სოფლის შარა რკინიგზის მეორე მხარეს მიდიოდა.

გოძომ მაჯაზე გაკეთებულ უხარმაზარ საათს დახედა...

მალე გამოჩნდა ძაბულია.

ჩითის კაბა ისე შემოტმასნოდა, გოძომ იფიქრა, კაბა, ალბათ, ზედ შიშველ ტანზე აცვიანო.

მოდიოდა ძაბულია, მოიღიმოდა. ერთი ნაწნავი წინ გადმოეგდო, მეორე ზურგზე სცემდა.

სწორ ფეხებს ისე მოაბიჯებდა, იტყუოდით, მიწას არც აკარებდსო.

ჩვეულებრივი სოფლელი გოგოა ძაბულია. მარილიანი გოგო.

ტუჩებს არ იღებავს...

მალაქჟუსლიან ფეხსაცმელს არ ატარებს...

თმას ვაფურად არ იკრეკს...

თეძოების გამოსაჩენად გახამებულ ქვედატანს არ იყრავს...

არაფერი ეს არ სჭირდება ძაბულიას.

გოძო და ძაბულია ბავშვობიდანვე შეეჩვივნენ ერთმანეთს.

არცერთმა მათგანმა არ იცის, როდის დაეხვა პირველი თავბრულ სიყვარულისა. ყველაფერი მოხდა თავისთავად, ბუნებრივად, ძალდაუტანებლად.

გოძოს ჯერ არ უკოცნია ძაბულიას-თვის.

არ იცის რა ბილიცები მიდის ამ ბედნიერებისაკენ და ამიტომ არ უკოცნია.

მხარიმხარ ჩამოსხდნენ მოფარებულად.

— წავიდეთ, რალა დროს ჯდომია, — თქვა ძაბულიამ.

— მამაშენს უთხარი? — ჰკითხა გოძომ.

— დედას ვუთხარი.. მამასთვისაც უთქვამს...

— მერე?

— მერე და, მამაჩემს არც გავვირგებია. სახლი მაქვს და კარიო... მობრძანდეს და მითხრას, რას აპირებდსო, — ჩაა-

წიყწიყა ძაბულიამ და ნაწნავის ბოლო თითზე დაიხვია.

— მივალ და ვეტყვი...
ნაწნავის ბოლო თითზე დაიხვია.

ისხდნენ და მხოლოდ მხრებით ეხებოდნენ ერთმანეთს.

გოძოს თავისი დარდი გაახსენდა და თავი დაჰკიდა.

— მუშტრები არ ეკარება ჩემს სამქედლოს, — ეგონა გულში თქვა ეს სიტყვები, მაგრამ ძაბულიამ რომ გაიკონა?

ალბათ წამოსცდა, თორემ რა ღროს სამქედლოზე საუბარი იყო ახლა!

— მარტო ეს გიშლის ხელს? — ძაბულიასაც ეგონა გულში გავიფიქრო, მაგრამ გოძომაც გაიგონა მისი ხმა.

— ცოტა ხანსაც დავიცადოთ, წელს მოვიმადგრებ ამ შემოდგომამდე, — უბასუხა გოძომ და უცებ თავში რალაც მოხვდა.

მიიხედ-მოიხედა.

ირველივ კაციშვილი არ ჩანდა.

მეორედაც მოხვდა რალაც.

კურკანტელა იყო.

— რომელი ხარ მანდ, — მიამძახა. —

სხვა საქმე ვერ იშოვნე თუ!

მესამეჯერაც წამოვიდა კურკანტელა და ძაბულიას უბეში ჩაუვარდა.

ძაბულია შეკრთა, კურკანტელა თითებით მოსინჯა და კაბის გარედან დაიჭირა.

გოძო წამოხტა და, დამაცადე ერთიო, კიდევ მიამძახა უჩინარ ონავარს.

რკინიგზის ძელებზე თავპირის მტვრევით გარბოდა ფუთულა; ისე გარბოდა, რომ ფეხის ქუსლებს კეფაზე ირტყამდა.

— უყურე ამ ლაწირაკს! — გაბრაზდა გოძო; შემდეგ ძაბულიას შეხედა.

ორთავეს გაეცინათ.

ძაბულიამ კურკანტელა მალა-მალა ამოსწია.

გოძოც მიეშველა მარცვლის ამოღებაში; უბეში ხელი ჩაუცურა...

ძაბულია გაიტრუნა.

მქედლის ზელი ქალის სხეულს შეეხო და ჟრუანტელმა დაუარა ორივეს.

გოდომ კურკანტელა თითებში მოიგ-
ლო და მოსრისა...

ძაბულიამ მეტყინაო, ამოიკენესა, მა-
გრამ ვაჟი ვერ მიხვდა, რა აკენესებდა
ქალს; მეორე ხელიც მოხვია და, წაიწ-
ყმიდა სული, ლოყაზე აკოცა.

ესეც მოხდა სრულიად ბუნებრივად,
თავისთავად, ძალდაუტანებლად.

კი აკოცა გოდომ ძაბულიას, მაგრამ
გემო კარგად ვერ ჩაატანა, რადგანაც
ეშინოდა, ფუთულა კიდევ სადმე არ
იყოს მიმალული და არ მითვალთვალე-
ბდესო.

— წავიდეთ, გვიანაა, — ხმა აუკანკა-
ლდა ძაბულიას.

რკინიგზაზე ავიდნენ;
შორს ფუთულას მოკერეს თვალი.
შარაზე გადასულიყო და ნიკას ცხენს
აღვირში ექაჩებოდა, თან უკანუკან
იხედებოდა.

— დამაცადოს! მაგას დავახვე ყუ-
რებს, — მუქარით თავი ვააქნია გო-
დომ. მერე ცხენმა შარულა გაახსენა და
ძაბულიას მიუბრუნდა: — მამაშენი
თუ ეშხადება შარულისათვის?

გოდომ კარგად იცოდა, ძაბულიას მა-
მა დღე და ღამ ზედ რომ აკვდებოდა
თავის ცხენს. ეს ისე იკითხა, სხვათა-
შორის.

— წელს თუ პირველი ადგილი არ
ავილე, ჩემს ოჯახში ცხენის ჭილაგს გავ-
წყვეტო, — უპასუხა ძაბულიამ.

რაც გოდოს ახსოვს, ყოველთვის
ძაბულიას მამის ცხენა იღებდა პირველ
ადგილს. მხოლოდ შარშან შეხვდა
მეორე ადგილი და ამაზე იკლავდა ახლა
თავს ძაბულიას მამა, წელსაც არ შეერ-
ცხევო...

— კარგი ცხენი ჰყავს მამაშენს, —

თქვა გოდომ, შემდეგ ნიკას ცხენსკენ
გაიხედა და დასძინა: — მაგარამ ვერც
ესაა ნაკლები...

ეს სიტყვები გოდომ ხმაძალა თქვა,
გულში კი გაიფიქრა: რა სულელი ვარ,
რა მეცხენებო...

მიდიოდნენ რკინიგზის ძელებზე.
ძელებშორის მანძილი ძაბულიას ნა-
ბიჯებისთვის ზედმოზომილი იყო.

გოდომაც რამდენჯერ სცადა ყველა
ნაბიჯი ძელზე დაედგა. ძალიან მოკლე
ნაბიჯები გამოსდიოდა და ვერ შესძლო.

მერე სცადა თითო ძელი გამოეტო-
ვებინა. ახლა კი ზომაზე მეტად გრძე-
ლი ნაბიჯები გამოუვიდა.

მაშინ მიანება თავი ძიებას და სი-
რულიც სსაცელო გამოუვიდა: ერთ
ფეხს ძელზე რომ დაადგამდა, მეორე ძე-
ლებშუა უვარდებოდა და კოჭლობდა.

ძაბულიამ შენიშნა ეს და სიცილი
ვერ შეიკავა.

მაინც მიდიოდნენ მხარიმხარ და ერთ-
მანეთს თვალში არ უტკეროდნენ.
რცხვენოდათ ერთმანეთისა რატომღაც.

ის კურკანტელა ძაბულიას ხელში
შერჩენოდა და ლოყა ნაკოცნ ადგილას
ეწვოდა...

ამ კოცნამ ძაბულია და გოდო კი არ
დააახლოვა ერთმანეთს, პირიქით, უფ-
რო დააშორა, შორიდებულეები გახადა.

კარგახნის დუმლის შემდეგ გოდომ
გაბედა ხმის ამოღება:

— ან თვითონ მივალ, ან ვინმეს მი-
ვუგზავნი...

ძაბულია მიხვდა რაზედაც ლაპარა-
კობდა გოდო, ტუჩებზე სიამოვნების
ღიმღილა გადაურბინა; ხმა არ ამოუღია,
მაგრამ კურკანტელა კი შემოეპყლიტა
ხელში...

რკინის პიჯაკი და ურჯუნო ბავარი

იმ დღეს მხოლოდ ერთი ხარი და-
ჰედა გვიმ.

მეორე დღეს ორი ხარი და ერთი ცხე-
ნი დაჰედეს ძმებმა, ორიოდგ გუთანიც
შეუქეთეს კოლომეურნობას.

მაგრამ ეს ცოტა იყო, ზღვაში წვეთი

იყო დიანოზას მუშაობასთან შედარებით.
ცერად მიუღიოდათ მჭედლის შეი-
ლებს საქმე.

გოდო მაინც არ ეშვებოდა სამჭედ-
ლოს, წინ იხედებოდა, სახვალზეგიოდ
ფიქრობდა;

იმდენი ლურსმანი და ნალი გააკეთა, ალბათ, მთელ თვეს ეყოფოდა, მუშტრებს რომ არ დაეღალატებინათ.

გივიმ სხვა ხერხი იხმარა: რკინის ტიშკარის კეთება დაიწყო.

სურვილი ჰქონდა და უნარიც გამოუნდა.

ურმით მისდია საქმეს — არ აჩქარებულა და ნახელავიც კარგი გამოუვიდა.

ისეთი ლამაზი იყო, ძველი ტაძრის კედელზე ამოკრილ ჩუქურთმას ჰგავდა.

თავიანთი ხის ტიშკარი ჩამოხსნა, რკინისა ჩამოჰკიდა და ცისფრად შეღება.

იმავე დღეს ერთმა ვილაც სხვასოფელში ბერიკაცმა მასპინძელს მოუხმო და ჰკითხა:

— ვის გააკეთებინე, ბიძია, ეს ტიშკარი?

გივი ხარობდა, პირველი ნახელავი ასეთი კარგი რომ გამოუვიდა.

— მე გააკეთე!..

სტუმარმა მხოლოდ თავი გააქნია და წავიდა. ალბათ, არ დაიჯერა.

გივი პირშენახული კაცია, ზედმეტი ლაპარაკი არ უყვარს, ამიტომ არაფერი უთხრა მიმავალს.

არ დაიჯერა და ნუ დაიჯერებს, თავში ქვა უხლია და მუცელში სამართებელი...

გივიმ ხომ იცის, ვინც გააკეთა ტიშკარი!..

„კვიჩია“

მარგალიტა შვიდ ვაჟიშვილს უვლიდა და უპირდა. უპირდა, რადგანაც ქალის საქმეში ხელის შემშველბელი არავინ გააჩნდა.

ქმარი სანამ ცოცხალი ჰყავდა, ამირანი იყო; ახლა ამირანთ-ამირანი გახდა, მაგრამ მაინც მოსტება ცალულობამ.

იმდენი მოცლა არ ჰქონდა, რომ მომკვდარიყო.

ამიტომ უჩინებდა ვაკიშვილებს: რომელიმემ რძალი თუ არ მომიყვანეთ, დიდ ხანს ვერ გავძლებო.

ბიჭებში გოდო იყო უფროსი და მომდევნონი მას შეჰყურებდნენ, თვითონ თავი ქუდში ჰქონდათ.

გოდოც გრძნობდა ამას და ჩუმად გადაწყვეტილიც ჰქონდა ძაბულისა შერთვა.

ძაბულისა მამასაც ხომ თანხმობა უთქვამს!

გოდო დაოჯახებას საშემოდგომოდ ფიქრობდა, მაგრამ სრულიად მოულოდნელად ჩარხი თარსად შეტრიალდა.

ეს მოხდა მარულის დღეს.

მარულაში ათი ცხენი მონაწილეობდა.

პირველი ნომრით გამოდიოდა ძაბულისა მამის, გოდოს სასიამაოროს, ჩალისფერი „კვიჩია“.

მეორე ნომრით — ნოქალაქეველი შამათავების ალისფერი „ალია“;

მესამე ნომრით — ნიკა ჩოჩიას ცხენი „სალარა“, ფუთულას მხედრობით...

ფუთულას „კვიჩიას“ და „ალიას“ შიშში ჰქონდა მარტო, თორემ დანარჩენ შვიდ ცხენს არაფრად აგდებდა.

„კვიჩია“ პირველად გამოდიოდა მარულაში, ავ თვალს არ დაენახებოდა.

„ალია“ შარშანდელი ჩემპიონი იყო. შესახედავად ვერაფერი შეილიათ იტყვიდით, მაგრამ მუხლები ჰქონდა ლონიერი.

მე მეგონი, პირველი ნომერი წესით „ალიას“ ეკუთვნოდა, როგორც შარშან გამარჯვებულს.

ალიაზე ბავშვები ლექსსაც მღეროდნენ:

— ალია, ტყვიასავით მალიათ...

ნიკამ „სალარა“ გოდოს დააქედვინა. ძაბულისა მამამაც იფიქრა: კაცი სიძეობას მიპირებს, უკეთესს ვის უნდა ვეზლოო, და მანაც გოდოს დააქედვინა ცხენი.

მარულა ჭადრიანიდან იწყებოდა.

ყველას აქ მოეყარა თავი, ქუდიანებს თუ უქუდოებს.

ტევა არ იყო.

აქ დაიკავეს ადგილი მსაჯებმაც; მაგინდას წითელი მაუდი გადააფარეს, ზედ დოქი და ჭიქა დადგეს. მაგრამ დოქში წყლის ჩასხმა დავიწყებოდათ და ამისთვის ახლა თავს არავინ იწუხებდა.

წრე სამკილომეტრიანი იყო, სამჯერ უნდა შემოველოთ ცხენოსნებს.

ნახევარ კილომეტრზე იწყებოდა მოსახვევი. იქ უკვე თვალს მიეფარებოდნენ მოჭიშპენი და ჭადრიანთან მოახლოვებისას, ახლა აქედან, კიდევ ნახევარ კილომეტრზე გამოჩნდებოდნენ.

მაყურებელთა მთავარი გულისყურიც ამ, სააქეთო მოსახვევისკენ იყო მიქცეული: ვინ გამოჩნდებოდა პირველი!

მხედართა შორის ფუთულა ყველაზე უმცროსი იყო.

მკედლის შვილები თავიანთ პატარა ძმას თვალს არ აშორებდნენ.

მხოლოდ გოძო გაიხედავდა ზოგჯერ მალულად გზის მეორე მხარეს ძაბულისკენ.

ძაბულიაც მოხედავდა გოძოს და ასე, უსიტყვოდ ესიყვარულებოდნენ ერთმანეთს.

მარგალიტა ამ დროს შინ, აივანზე იჯდა და ელოდა, როდის დაიწყებოდა მარულა და როდის ჩამოიჭროლებდნენ ცხენოსნები.

მას საკუთარი ფინიშიც და სტარტიც თავის ქიშკართან ჰქონდა.

ჭადრიანიდან წამოსული ჩოჩქოლი აქამდე აღწევდა.

ჩამწკრივდნენ ცხენოსნები...

ცხენის პატრონები თავიანთ პატარა მხედრებს უკანასკნელ დარიგებას აძლევდნენ.

ფუთულა თავისებურად ჰყავდა დარიგებულნი ნიკას: როგორც კი ნიშანს მისცემდნენ, ფუთულას ერთი „ვერსით“ მიანიც უცებ უნდა გაესწრო სხვებისათვის, შემდეგ უკან მომდევართა სიჩქარეს აპყლოდა და გასწრებული მანძილი ბოლომდე შეენარჩუნებინა.

მსაჯმა დაწყების ნიშანი რომ მისცა, ცხრა ცხენმა ნელა აიღო სიჩქარე, ძალის გამოზოგვით. ფუთულამ კი უცებ გააფრინა „საღარა“ და მართლაც კარგა მანძილით გაუსწრო სხვებს.

თოთხმეტი ჭადრის ტოტებზე, აღმათ, თოთხმეტი ათასი ბავშვი იყო შემომსხდარი.

მათი სტვენა და ყვირია ცასა და მიწას ანგრევდა.

ცხენები მალე მიეფარნენ მოსახვევს. ახლა ყველამ აქეთა მოსახვევისაკენ მოაბრუნა თავი...

ყველას ეგონა პირველი ფუთულა გამოჩნდებოდა. მაგრამ ანგარიშში მოტყუვდნენ, — პირველი „ალია“ გამოჩნდა.

ნოქალაქეველი შამათაეები ნიკა ჩოჩიანზე არანაკლებ მოხერხებულები ყოფილან.

მათ „ალიას“ მხედარი სხვანაირად დერიგებინათ: პირველი წრის ნახევრიდან თანდათან უმატე სიჩქარეს, პირველი წრის დამთავრებისას მთელ სიჩქარეზე გადადი და მერე თუ მოუმატებ, თორემ არამცააარამც არ შეანელო.

ესე იგი „ალიას“ ცხრა კილომეტრი გასარბენი მანძილიდან რვა კილომეტრი მთელი სიჩქარით უნდა ევლო.

აღმათ, ცხენის გამძლეობის იმედი ჰქონდათ შამათაეებს!

ზღვის ტალღა რომ წამოვა ხოლმე ნაპირისაკენ, ისე წამოვიდა იმ თავიდან ამ თავისკენ ხალხის ვნიასი, ცხენის სიჩქარით გადმოედო აქეთ-იქეთ.

შამათაეების „ალიას“ კულში მოსდევდა ფუთულა.

ფუთულას შემდეგ „კვინა“ მოფრინავდა.

ძაბულის მამამ მის გვერდით მდგარ ერთერთ შამათაევას დამკინავი მზერით გულზე უკბინა. ვითომ: პირველი ადგილი ხელში მიჭირავსო...

შამათაემ უღვაშებზე ხელი ჩამოისვა და გაიფიქრა: შენ კარგად იყავი და ვნახოთ ვინც გაიმარჯვებსო...

არც დანარჩენი ცხენები იყვნენ დიდად ჩამორჩენილი, გარდა მეშვიდე ნომრისა.

იგი მაშინ გამოჩნდა აქეთა მოსახვევში, როცა სხვები უკვე მიეფარნენ იქითა მოსახვევს.

ჩამორჩენილ მხედარს თავისიანები ცხენდაცხენ აედევნენ და წაქეზება და-

უწყეს, მათრახიც გადაუკრეს ერთი-ორჯერ.

ზედაური ჩანდა მეშვიდე ნომერი, მაგრამ მათრახი მაინც დაირტყა.

ეს იყო პირველი წრის და პირველი დღეის ჩამოვლა.

ბავშვები ცხენების ჩავლის შერეც არ სწყვეტდნენ ყვირილს, თუმცა ვერაფერს ხედავდნენ.

ირგვლივ ყურთასმენა არ იყო.

გოძომ თავისუფალი დრო მოიხელთა და ისევ გაიხედა ძაბულისაკენ. მაგრამ ძაბულია იქ უკვე არ იდგა.

ალბათ კარგად ვერ ხედავდა და ადგილი გადაინაცვლაო, — გაიფიქრა გოძომ.

აქეთა მოსახვევითან ისევ ატყდა ღრიალი.

ახლა რვაბალიანი ტალღა წამოვიდა. გოძომაც იქითკენ აფრინა თვალი და მოულოდნელი რამ იხილა: მოსახვევიდან პირველი ფუთულა გამოტყვრა, „აუუუ“-ო ისე დაჰკვივლა, რომ ცხენს კინაღამ გული გაუსკდა და ათიოდე საექნით წინ გაეარდა.

ეს „აუუუ“ ფუთულამ მოსახვევიდან მსაჯთა მაგიდამდე გასკიმა და გოძომ უცნაური სიამოვნება იგრძნო ძმის ვაჟაკობით.

ფუთულა თითქოს შეზრდოდა ცხენის ზურგს.

— მიდი, მიდი, ჩემო ფუთულა! — დაადევნა ნიკამ და თავისი ცხენი ადგილზე ააქმულა.

მაგრამ ფუთულას ნიკას ხმა არ გაუგონია, რადგანაც ის უკვე შორს იყო. ზურგზე უზარმაზარი სამიანი ეწერა.

ფუთულასგან ორასიოდე მეტრის დაშორებით მოჰქროდა სამი ცხენი, მაგრამ მათში არც „კვინჩა“ ერია და არც „ალია“.

შამათავებმა თვალები გადმოკარკლეს და ცხენები მოსახვევისკენ დასძრეს.

ძაბულისა მამა კინაღამ უკუაზე შეირყა, გაეყედა, გადაირია კაცო; ადგილიდან მაინც არ დაძრულა.

ორიოდე წამის შემდეგ გამოჩნდა მისი „კვინჩა“.

დაღლილს არ ჰგავდა, მაგრამ ფეხები ებორკებოდა რატომღაც. **ერეკნული** ძაბულისა მამამ მათრახი **გადატყრა** თავის ფაშატს და აედევნა;

— ყელი არ გამოჰქრა! — შეუძახა პატარა მხედარს, მაგრამ მას უკვე გამოჰქრილი ჰქონდა ყელი.

— ნალი ასძვრა, ბიძია, — გადმოსძახა მხედარმა ცხენის პატრონს.

მეტის თქმას ვერც მოასწრებდა და არც იყო საჭირო.

ძაბულისა მამამ „კვინჩას“ ფეხებში შეხედა.

მარჯვენა უჯანა ფეხის ნალი გვერდზე მოქცეოდა, ეტყობოდა, ცალ ლურსმანზე იყო შერჩენილი ნალი, მეორე კანზე ხედებოდა ცხენს.

„კვინჩა“ ისედაც ტაბუხს იცემდა საერთოდ — ფეხს ფეხზე იხვედრებდა, ახლა ნალიც შიგნით ჰქონდა შეშვერილი და მეორე ფეხს უსერავდა.

ძაბულისა მამამ შუბლში იტყიკა ხელი, ნიშანში გოძომ ამოიღო და შეუკურთხა: ხომ გამამასხრე, ხომ ეშმაკურად დამიჭედე ცხენი, პირველი ადგილი შენს ძმას რომ აეღოო...

გოძომ ძაბულისა მამის თვალების ბრიალი რომ ნახა, გაოცდა, ვერ მიხვდა რაში იყო საქმე.

კიდევ ერთი წამიც და აქეთა მოსახვევიდან შამათავების განთქმული „ალია“ გამოჩნდა, მაგრამ — უმხედროდ!

დიდი მიხვედრა არ უნდოდა. — მხედარი სადღაც გადმოვარდნილიყო (მართლაც ასე მომხდარა. პატარა შამათავას მხოლოდ ფეხი ჰქონდა ნადრძობი), მარულას შეჩვეული „ალია“ კი მართო მოჰყვებოდა წრეს, მაგრამ უმხედროდ თავს მაინცადაშინიც არ იწუხებდა.

ჩოხა-ახალუხში გამოწვეპილი და თავზე ყაბალახწაყრული მოხუცი შამათავა არ დაიბნა, დეზი ჰკრა ცხენს, „ალიას“ აეკრა და თავისი უნაგირიდან „ალიას“ უნაგირზე გადასტა საოცრად ოსტატურად.

გადაბტა და ზედზედ დააყარა მათ-
რანი უდანაშაულო ცხენს.

თითქოს ფრთები შეისხა „ალიამ“,
იუკადრისა მათრახი, ერთი გაფრენით
გაუსწრო „კვინჩას“, სხვა სამი ცხენიც
უკან ჩამოიტოვა და მტვერში გაუჩინა-
რდა.

ძაბულიას მამის ცხენი ჯერ იჭითა
მოსახვევამდეც არ იყო მისული, რომ
აქეთა მხრიდან ისევ ნახევარკილომეტ-
რიანი „ააუ“-ს კვილით გამოვარდა
ფუთულა.

ცა და მიწა აგუგუნდა...
ფუთულას სადავე სულ მიშვებულ
ჰქონდა.

ეს იყო ბოლო წრე.
ძაბულიას მამა ცხრად მოიყვია...
მსაჯების მაგიდასთან ფუთულამ პირ-
ველობის დროშა გაიტაცა, წელში გაი-
მართა და ლავამს მოზიდა.

ახლა ნებისად, კიდევ უნდა შემოვე-
ლო ერთი წრე, — გზადაგზა გამოფე-
ნილ ხალხსაც ხომ უნდა გავგო, ვინ
რომელი ადგილი აიღო! ცხენიც სულს
მოითქვამდა...

მეორე ადგილისათვის განსაზღვრულ
დროს სული ამოსდიოდა, სხვა ცხენი
კი არ ჩანდა.

მსაჯები ელამები არ იყვნენ, მაგრამ
მაინც ახერხებდნენ ცალი თვალთ წამ-
მზომისათვის ეცქირათ და მეორით —
მოსახვევისთვის.

უცებ გამოჩნდა „ალია“.
ცხენხეტით მოქროდა მოხუცი შამა-
თავა.

„ალიას“ უჭირდა ამხელა მხედრის
ზიდვა.

უკანასკნელ წამს წინა ფეხებითა

მოუსწრო „ალიამ“ და მეორე ადგილი
აიღო.

კიდევ რომ ყოფილიყო მტვერში
თუნდაც ორიოდ კილომეტრი, ფუთუ-
ლასაც გაუსწრებდა უსიკვდილოდ.

მოხუცმა შამათავამ დროშა უხალი-
სოდ აართვა მსაჯს და ისიც მიჰყვა
წრეს.

ხალხმა ყველაზე მეტი ტაშით მაინც
შამათავა დააჯილდოვა.

მესამე და მეოთხე ადგილები საქი-
ლოელმა გურეშიძემ და სამიქაოელმა
მიქაძემ გაინაწილეს.

სხვა ექვს ცხენოსანს რაღა მოეჩქარე-
ბოდა! მათთვის უკვე არცერთი ადგილი
არ დარჩა!

მაინც მოქროდნენ.
ძაბულიას მამის ცხენი სულ ბოლოს
გამოჩნდა.

პატარა მხედარს, — რაკი მიმხედარა
პირველობისათვის და, საერთოდ, რო-
მელიმე საპრიზო ადგილისათვის ბრძო-
ლა ამო იყო, — ცხენი დაუზოგავს;

ნელი ჩორთით მოიყვანა პატრონთან
და გადმოხტა.

ძაბულიას მამამ ოფლში დაბანილ
„კვინჩას“ ნაბადი გადააფარა, შემდეგ
დასისხლიანებულ ფეხს შეხედა და ლა-
მის გულზე შემოეყარა.

ცხენის დიდხანს გაჩერება არ შეიძ-
ლებოდა — ოფლი დახუთავდა, ამი-
ტომ სასწრაფოდ დააძრო დანა ძაბუ-
ლიას მამამ, ნაბადს კალთა ჩამოაჭრა,
ცხენს დასერილ ფეხზე შემოახვია და
მეზობლის ბავშვს გადასცა გასატარებ-
ლად. თვითონ კი, ალბათ, ისევ გოძოს
ეძებდა განრისხებული თვალებით..

ინარუეუფგინელი ციხე-სიმაგრე

დროშინები წრის შემოსავლელად
რომ წავიდნენ, ერთმანეთს დაუცადეს
(ასე იყვნენ გაფრთხილებული), წინ
ფუთულა გაუშვეს. იგი უნაგირზე ფე-
ხით შედგა, ცალი ხელით აღვირი დაი-
ჭირა, მეორეში დროშა ააფრიალა და
დაიძრა.

შამათავა უკან მიჰყვა ფუთულას.

დროშის ტარი მუხლზე ედო და ისე
შიათოხარიკებდა „ალიას“.

გურეშიძე და მიქაძე ორნი იყვნენ და
ერთი დროშა ჰქონდათ, ამიტომ ორივემ
ჩასჭიდა დროშის ტარს ხელი. ერთმა —
მარჯვენა, მეორემ — მარცხენა და ასე
წავიდნენ.

გზადაგზა ღობეზე გადმომდგარი

ხალხი გამარჯვებულებს ტაშს უკრავდა. ფუთულა აქეთ-იქით აპარებდა თვალს, თავს კი არ აბრუნებდა, ვითომ— და: რა გიკვირთ, პირველი ადგილის ადგმა ჩემთვის ხიდან ვაშლის ჩამოგდება იყო.

თავის ჭიშკარს რომ გაუპირისპირდა, მხოლოდ მაშინ მოაბრუნა თავი.

მარგალიტამ აივნიდან შეიღვინა გადმოსძახა:

— დაჯექი, დედა, უნაგირზე. არ გადმოვარდე...

ფუთულამ ამაყად გაუღიმა მშობელს და გზა განაგრძო.

ნათინიშარ ადგილს რომ მიუახლოვდნენ, ისევ გაისმა ხალხის ყიყინა. ჭერაც არ დაშლილიყვნენ.

მაუდგადაფარებულ მაგიდასთან ბავშვებს მოეყარათ თავი. ყველას უნდოდა გამარჯვებული ცხენის გატარება ოფლის შესასრობად.

უმრავლესობა ფუთულას ცხენს მიაწყდა. პირველდროშოვანი ცხენის გატარება, რა თქმა უნდა, უფრო საამაყო იყო მათთვის.

ატყდა ყვირილი, გაწევე-გამოწევა, თავპირის მტერევა.

„სალარას“ აღვირი ნიკას ეჭირა და ვერ გადაიწყვიტა, რომელი ბავშვისთვის ჩაეხარებინა, ყველას ხომ ვერ ენდობოდა!

ერთი ზუთი-ექვსი წლის, ფეხშიშველა ბიჭი, უფროს ბავშვებთან ჯაჭურში ვერაფერს რომ ვერ გამხდარიყო, გვერდზე იდგა და შესაბრაღისად ღნაოდა.

ნიკა ჩოჩიამ შემოსეული ბავშვები მისწი-მოსწია და თავისი „სალარა“ სწორედ იმ ბავშვს ჩააბარა: ა, ბიძია, შენ გააჩონიეო...

იმ წუთას, იმ ბავშვისთვის ახალთ-ახალი წულეები, წითელი პერანგი და ზარნიშოანი ქამარი რომ ეჩუქებინათ, ისე არ გაუხარდებოდა, როგორც ეს გაუხარდა; ტირილიდან პირდაპირ სიცილზე გადავიდა, გამოცდილი მხედარივით ჩაავლო ხელი ადვირს, „წნ, წნ“-ო, —

დაუწრუპუნა ცხენს და გზაზე გაიყვანა...

ძაბულის მამა მოშორებოდა იდგა და ბოღმას გულში ვერ იტევდა.

კაცი ცოცხალი თავით პირველი ადგილის დაკარგვას არ აპირებდა და ახლა სულ მშრალზე იყო დარჩენილი.

კვებნით საქმე ვერ გააყეთა.

ძაბულის მამას რჯულად მოსდგამდა ცხენოსნობა, მისი წინაპრები ოდიოვანვე განთქმული ცხენოსნები ყოფილან, თვითონაც ცხენს ჩამოაბერდა და ასეთ მოულოდნელ დამარცხებას ვერ ურიგდებოდა.

საქმე იმაში იყო, რომ ამ სირცხვილის ჭამას მკვდეღ გოძოს აბრალებდა, თავის სასიძოს.

მკვდეღი საქმემ გამოსცადა, ცხენი— გზამ და გაუტყდა ღერძი გოძოს ცხოვრების ეტლს...

ძაბულის მამამ გოძოს იმავე საღამოს შემოუთვალა: გოძო დგებია ტყეშილით გამოზრდილო და კვამლში გამოშვებარტლულო, ჩემს გზაზე ჩავლილი არ დამენახო და არ შემომეყარო, თორემ, მამისული ნუ წამიწყდება, ჩემს მეტრ მეტრი არ დაგვირდებო...

გოძო „ვიადან“ „ვუიში“ ჩაეარდა, დაჰკარგა სიმაართე.

წინასწარ რომ სცოდნოდა, სად წაიქცეოდა, თავას დაიგებდა—სულ არ დაუშედავდა ცხენს სასიამაოროს.

მეზობელმა ძაბულის მამის სიტყვა რომ მოუტანა, ხატი აიღო და ზედ დაიფიცა: ღმერთი, რჯული, მაგის ცხენიც ისევე საგულდაგულოდ დავკვდე, როგორც ნიკასიო. მაგრამ ძაბულის მამამ არც ისურვა გოძოს პასუხის მოსმენა.

იმ დღიდან ძაბულის სახლი ისარშეუწვედნელ ციხე-სიმაგრედ იქცა გოძოსთვის და ამ ციხე-სიმაგრეს ცხრათავიან დევივით გუშაგობდა ძაბულის გაავლისებული მამა.

ძაბულამ ბევრი იტირა, ბევრი ივაგლახა, მაგრამ რას გახდებოდა!

დედა მინც აიძვდებდა: მოითმინე, ცხვირში ნუ გაქვს სული, აცალე ცოტა-

ხანს მამაშენს, სიბრაზე გაუვლის და მერე ისევ შევარიგოთ გოძოსთანო.

ცალკე ქმარს შეუჩნდა. მაგრამ ქმარი ქვად იქცა და სიტყვას არ გადაუხვია.

მაგ კრუხის პალოს და ლენჩს ქალს როგორ მივათხოვებო, — ამბობდა.

ადრე გოძო ბიჭად-ბიჭიკ კარგი იყო და ოსტატიც. ახლა გახდა „კრუხის პალოც“ და „ლენჩიც“.

აქეთ მარგალიტა, გოძოს დასამშვიდებლად, ძაბულის მამას მიწასთან ასწორებდა:

დედა, შვილო, ახლაც ხომ ჩხუბი არაა...

გიორგის, უფროს-უმცროსობით, ვაჟებში მესამე შვილს, ერთი სული ჰქონდა, როდის წავიდოდა რუსთავში სამუშაოდ, თან დაუსწრებლად ისწავლიდა უმაღლესში.

არ ვიცი რატომ აიკვიატა მაინცადა-მაინც რუსთავი!

იქ ერთი მისი ძმაკაცი მუშაობდა და ის თუ ექაჩებოდა-მეთქი, ვფიქრობდი.

მერე გავიგე: ამხანაგი კი არა, ერთი რუსთაველი გოგონას სიყვარული ექაჩებოდა თურმე...

მაგრამ გიორგის სწრაფვას ხაზი გადაესვა, რადგანაც იმ წელს ჯარში წასვლამ უწია.

სისხლგამშრალი დაემშვიდობა თავის სისხლბორცველ მიზანს.

დედამ საგზალი მოუმზადა.

ძმებმა თბილი საცვლები უყიდეს, წასვლის წინ სუფრას მოუსვეს და დაათვრეს; ზურგჩანთაში ორი ბოთლი ცეცხლივით არაყიც ჩაუდგეს...

რკინიგზის სადგურზე სხვა წვევამდელებიც მოვრალეები მოვიდნენ...

გამცილებლები წამსვლელებზე მეტი იყვნენ.

მატარებელი რომ დაიძრა, წვევამდელები ფანჯრებზე გადმოეკიდნენ და ხელის ქნევით დაემშვიდობენ მშობლებს, და-ძმებს, ახლობლებს, შეყვარებულებს...

შემდეგ ვილაკამ „ხესტაფონო, გმორლები“ წამოიწყო და მთელი ვაგონი აპყვა ამ სიმღერას.

— ქარ-ბორიოს მაგისტანა კაცო, მსეთი სიმამრი რა ჭირად გინდა? მსი გომბიო (ესე იგი ძაბულის) რა კალთამოსაგლეჯი ნახე, ნეტავი შენ, თავს რას იკლავო. ქვეყანა დიდია, ქალის მეტს რას იშოვნისო...

იმ ღამეს გოძო მამლის პირველ ყივილამდე იჯდა ბუნხართან, ცეცხლში ბრაზიანად აფურთხებდა და პაპიროსს პაპიროსზე ამოლებდა...

გამახსენდა: ომში წასვლის დროს ჩვენც ამ სიმღერას ვმღეროდით, ჩვენც მოვრალეები ვიყავით...

იმ ომმა მტერი კი გადააშენა, მაგრამ არც ჩვენ ავუშენებიავართ.

პირადად მე მართო სიტყვა „ომიც“ მზარავს.

რა მომკა ომმა??

ორიოდე მედალი და ყუმბარის ერთი ნატეხი, რომელიც დღესაც ბარძაყში მაქვს და თან ვატარებ...

მარგალიტა აქამდე ურძლობას უჩიოდა. ახლა ამ ცეცხლზე უარესი ცეცხლი წაეკიდა, ის დარდი უფრო დიდმა დარდმა დაავიწყა.

თითქოს გულის ერთი ნაწილი ამოაგლიჯეს მკერდიდან.

იღგა ბაქანზე ეს თმაგათეთრებული ქალი, ცხრა შვილის დედა, და ცხარე ცრემლები ცხრად ენასკვებოდა ყელთან.

— დედა, შვილო, ახლაც ხომ ჩხუბი არაა! სად მიჰყავთ ეს ბაღნები! არ ჯობდა ესწაელათ??.. არ ჯობდა ეთონხათ? ...არ ჯობდა ეხნათ?.. — ამბობდა მარგალიტა ბიცოლა. კი არ ამბობდა მოთქვამდა.

იქვე მდგარმა სამხედრო კომისარმაც კარგად იცოდა ყველაფერი ეს, მაგრამ კომისარმა სხვა რამეც იცოდა, რაც მარგალიტასთვის უცნობი იყო...

ბაქანზე დარჩენილი მკედლის ვაჟი-შვილები ნაძალადეგად იცინოდნენ და დედას ამშვიდებდნენ:

— ჩხუბი არაა, მარა წესი წესია, ჯარი ხომ უნდა იყოსო...

შინ რომ დაბრუნდნენ, გოძომ და გვიმ საქმეს მოჰკიდეს ხელი.

კოლმეურნეობის კავები ჰქონდათ შესაკეთებელი.

რამდენიმე ზარიც დაქედეს იმ დღეს. მარგალიტას ახლა ექვსი დარჩა მოსავლელი, მაგრამ მაინც უჭირდა მართხელა ქალს.

ბიჭიკოს პერანგი

ეს პერანგი ბიჭიკოს სამი წლის წინათ უყიდეს.

მუქი, მუქი ლურჯი ფერისა იყო და ნაცრისფერ პიჯაქთან პირდაპირ ხატავდა ბიჭს.

პერანგს თუმცა თავისი დღე და წუთისოფელი დიდი ხნის წინათ ჰქონდა მოკმული, ბიჭიკო მაინც არ ეშვებოდა.

ფერი ოდნავადაც არ ჰქონდა შეცვლილი პერანგს.

საყელო პირველად რომ გაუცვდა, ბიჭიკომ დედამისს გადააბრუნებინა.

შეორედ მარგალიტამ ქვედა კალთა შემოაჭრა და იქიდან შეუყვრა ახალი საყელო.

შესამედ ისევ ქვევიდან შემოაჭრა კალთა, მხოლოდ ზურგის მხრიდან, და ძველ ახალი საყელო გაუკეთა.

ბოლოს, ეს საყელოც რომ ვაიცრიცა და ბიჭიკომ ახლაც რომ არ გადაავლო პერანგი, მარგალიტა იძულებული გახდა პერანგისათვის ზურგის მხარე მთლიანად შემოეჭრა და მის ადგილას სხვა ფერის ნაჭერი ჩაეკერებინა.

ასეც მოიქცა და პერანგს ისევ ახალი საყელო მიაკერა.

პიჯაქს ქვემოთ ზურგი არ ჩანდა, გულისპირი კი მთელი იყო და კაცს ეგონებოდა ახალთახალი პერანგისაო.

ბიჭიკო მაშინ სოხუმში სწავლობდა, პედაგოგიურ ინსტიტუტში, და არაღდეგებზე იყო ჩამოსული.

გამგზავრების წინა დღეს შეხვდა თავის საყვარელ გოგონას — ნანას და საღამოსთვის პაემანი დაუნიშნა.

ცოლის შერთვას კი ჯერ არცერთი არ ფიქრობდა.

რაკი გოძოს ქვა აღმართში წამოეწია და მისმა დაჭედვილმა ცხენმა ისევ მას ჰკრა წიხლი, ხოლო გიორგი ჯარში გაიწვიეს, — ცოლის მოყვანის ჯერი პირდაპირ გვიგზე იყო მიმდგარი.

მაგრამ გვიგის დაასწრო ბიჭიკომ. დაასწრო იმიტომ, რომ ბიჭიკოს ჰქონდა მუქი ლურჯი პერანგი.

პაემანზე, რა თქმა უნდა, ეს პერანგი ჩაიცვა.

პირიც გაიპარსა, ნაცრისფერი პიჯაქი საგულდაგულოდ გაშწინდა და წავიდა. დათქმულ ადგილას ბიჭიკო დროზე მივიდა.

დროზე მოვიდა ნანაც — პატარა, თეთრი, გამზდარი, უბეში ჩასასმელი გოგონა, დიდი, შავი, უცნაურად შექიანი თვალები ამშვენებდა.

გასათხოვარიო, ვერაფრის დიდებით ვერ იტყოდით, სულ ბავშვი ჩანდა.

ბიჭიკოს თავისი მომავლის გეგმები უკვე დაწყობილი ჰქონდა: დაამთავრებდა თუ არა უმაღლესს, მაშინათვე შეირთავდა ნანას და იცხოვრებდა თავის სოფელში.

უმაღლესის დამთავრებამდე კი ჯერ თავზესაყრელი დრო რჩებოდა. მაგრამ ბიჭიკოს ეს არ აწუხებდა, რადგანაც, მისი ფიქრით, ამასობაში ნანაც უფრო დაქალდებოდა, თორემ ახლა შეიძლება არც გამოეტანებინათ მშობლებს.

ერთმანეთს გაუღიმეს, ხელი ხელში ჩაჰკიდეს და კინოსკენ წავიდნენ.

— როდის მიდიხარ? — ჰკითხა ნანამ ბიჭიკოს, თუმცა ძალიან კარგად იცოდა, რომ ბიჭიკო ზვალ უნდა წასულიყო სოხუმში.

— ზვალ, — უპასუხა ბიჭიკომ.

გზაზე ახალგაზრდები შემოხვდნენ და გადამეტებული თავაზიანობით მიესალმნენ...

ბიჭიკომ სულ ბოლო რიგის ბილეთები აიღო, ხურდა თავმომწონედ ჩაიდო გულის ჯიბეში...



კინო დაიწყო.
 ბიჭიკომ ნანას შეხედა.
 ნანამაც შემოხედა და გაუღიმა სიბნელეში.
 ნანას თვალები ახლაც საოცრად ელავდნენ.
 ბიჭიკო ამ სიბნელეში თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში.
 იმდენად გაერთო ნანას ცქერით, რომ კინოში რა ნახა, არც კი დაამახსოვრდა.
 არც ნანას დამახსოვრებია ბევრი რამ იმ სურათიდან.
 კინოდან რომ გამოვიდნენ, გარეთ წვიმიდა.
 — შევიცადოთ, გადაიღებს, — თქვა ბიჭიკომ.
 ნანას მოკლესახელოებიანი სიფრიფანა კაბა ეცვა...
 ეილაც უბაბუკა პიჯაკი გაიხადა, თავის თანხლებ ქალიშვილს მოახურა და კისკისით გაიქცნენ თავსხმაში...
 ბიჭიკოს თავში ელდამ დაჰკრა და ფეხის ფრჩხილებამდე გაუარა.
 იცადეს...
 იცადეს...
 იცადეს...
 ხმას არც ბიჭიკო იღებდა, არც ნანა. ზალხი თანდათან გაიკრიფა.
 ნანა თვითონ ხომ არ ეტყოდა ბიჭიკოს: გაიხადე ეგ პიჯაკი და მომახურეო! ბიჭიკო კი ხმას არ იღებდა.
 ქვაც კი დაიწვებოდა ბიჭიკოს საცოდაობით.
 სირცხვილი მოადგა ყმაწვილს და სიკვდილი ანატრა.
 პიჯაკი რომ გაეხადა, ხომ გამოუჩნდებოდა პერანგის ზურგში ჩაყრებული სულ სხვა ფერის და ჭურის ნაჭერი, იდაყვებზე გამოგლეჯილი სახელოები!..
 ნანა გაბრაზდა, ხასიათი წაუხდა. მეტის მოთმენა უკვე აღარ შეეძლო.
 — წავიდეთ, აბა აქ ხომ არ გავათენებთო, — თქვა და თვითონ პირველი გავიდა წვიმაში.
 ბიჭიკოც მიჰყვა და ნანასთვის ხელის ჩაკიდება სცადა, მაგრამ გოგონამ ცივიად მოიშორა.

მირბოდნენ უსიტყვოდ...
 ნანა სულ გაიწუწა, კაბამ მთელ სხეულზე შემოეტმასნა.
 მოსახვევითან სული ოდნავ მოითქვა და ბიჭიკოს გასაგონად თქვა:
 — არ მინდა შენი ვაცილება, თვითონაც კარგად გავაგნებ...
 — დაიცა, — მიამხა ბიჭიკომ სასოწარკვეთილი ხმით.
 ნანამ კი სირბილს უმატა, მალე მიადგა თავის ჰიშკარს, შეაღო და ოდისკენ გაიქცა:
 „ნახვამდისაც“ არ დაუბარებია ბიჭიკოსთვის.
 თხემით ტერფამდე გალუმპულმა და სირცხვილნაჭამმა ბიჭიკომ კარგახანს უცქირა სიბნელეს, მერე მოტრიალდა და წავიდა.
 მეორე დილით დარდაყოლილი ადგა. ვერ მიმხვდარიყო, როგორ უნდა გამოესყიდა დანაშაული, როგორ გაეთეთრებინა შავი?
 ახლა უფრო მწვავედ იგრძნო, რომ ნანა მისთვის სული და გული ყოფილა. ხელს ასე ადვილად ვერ ჩაიჭნევდა. რიყებზე იყო დარჩენილი.
 არ იცოდა რა წყალსა და ნიაღვარს მისცემოდა.
 რაც მოუვიდა, სულ თავისი თავით მოუვიდა და ვისთვის რა უნდა დაებრალებინა?
 ახლა კი დაიკრა მუხლზე ხელი: ნეტავი პრასა მეჭამა და ეს პერანგი არ ჩამეცვაო!
 დასწვდა საბედისწერო პერანგს და სულ ნაჟუწებად აქცია.
 საათივით ჰქონდა აწყობილი საქმე და როგორ მოუსხლტა ფეხი!
 მოუსხლტა და კისერი მოიტეხა.
 რა სჯიდა! ჩაეცვა თეთრი პერანგი და შავი კოსტუმი!
 არ ჰქონდა თუ!
 ისიც ხომ უხდებოდა!
 იმდენი იბორიალა ბიჭიკომ ფიქრებში, რომ ბოლოს მხარი მოექცა და უკან ვერ გამოაგნო.
 დღეს უნდა გამგზავრებულიყო სოხუმში!

ეს რომ გაახსენდა, სულმთლად დაე-
კარგა იმედი.

მერე თქვა: ჯდომით საქმე არ გაკეთ-
დებოა, ადგა და ეზოდან გავიდა.

ურემი გადაბრუნდა და გზა ახლა გა-
მოუჩნდა ბიჭიკოს: ნაცნობ ეჭიმს ავად-
მყოფობის ბიულეტენი გაახსენებინა;
სოხუმში კი, თავის ინსტიტუტში, დეპე-
შა აფრინა, — ავადა ვარ და პირველ
ოქტომბრამდე ვერ ჩამოვალ.

იქიდან კურსის ხელმძღვანელის
პასუხიც მოუვიდა:

— შე კვი დედ-მამის შეილო, თუ
ავადა ხარ, რა იცი, რომ მაინცადამაინც
პირველ ოქტომბერს გამოჯანმრთელდე-
ბი? ეგება ცოტა უფრო ადრე მოიკე-
ოთო!

მაგრამ ამისთვის ბიჭიკოს ყური არ
უთხოვებია.

ბიულეტენი განაღებულნი ჰქონდა
და არაფრისა ეშინოდა.

დადიოდა ქუჩებში, შორიშორ უვლი-
და ნანას სახლს, მაგრამ თვალმოსაკრავ-
დაც ვერ ნახა.

ერთ დღეს გოდომ გამოიჭირა ბიჭიკო
და ყელში ეცა:

— შენ რა, სწავლა მიატოვე? რატომ
არ მიდიხარ?

— ბიულეტენზე ვარ.

— რა გჭირს საბიულეტენო! კამეჩს
რომ დაეტავო, წააქცევ.

— წვიმამ მომისწრო იმ საღამოს, —
დაიწყო ბიჭიკომ თავის მართლება.

გოდო ვერ მიხვდა ძმის ნათქვამს.

— როდის?

— კინოში რომ ვიყავი... გოგო მახლ-
და..

— მერე? — დაინტერესდა გოდო,
თან ფიქრობდა, ეს ჩემი ძმა რაებს ლა-

პარაკობს, ალბათ მართლა ავადაა და
სიცხე აქვსო.

ბიჭიკომ გაანდო უფროს ძმას თავისი
გულის ვარაზი: მერე წვიმამ არ გადაი-
ლო, სხვა ბიჭებმა პიჯაკი გაიხადეს და
თავიანთ გოგოებს მოახურესო. მე კი
ის ლურჯი პერანგი მეცვა და პიჯაკს
როგორ გავიხდიდიო...

გოდოს გაახსენდა ბიჭიკოს ლურჯი
პერანგი და გაეცინა:

— პერანგების მეტი რა გაქვს, შე
შტერი. სხვა ჩაგეცვა.

უნებურად ბიჭიკოსაც გაეღიმა.

— ვინაა ის გოგო მაინც, — არ მოე-
შვა გოდო.

— მთავი არაა შენი საქმე. რომ მოვი-
ყვან, მაშინ ნახავ...

— რა, მოგყავს თუ!..

ბიჭიკომ თავი დააქნია, უნდა მოვი-
ყვანოო.

გოდოს გულში გაუხარდა, რომ, ბო-
ლოსდაბოლოს, ბიჭიკო მაინც ქორწინ-
დებოდა. ძმას კი ასე მიმართა:

— ჯერ სწავლა დაგემთავრებინა...

— მანამდე სხვა ითხოვს...

გოდომ გაიგო, თუ ვის მოყვანას აბი-
რებდა ბიჭიკო. ნანასაც იცნობდა და
მის შშობლებსაც; ათასნაირად ასწონ-
დასწონა საქმე; ბიჭიკოს უარი რატომ
უნდა უთხრანო, გაიფიქრა და გადას-
წყვიტა ძმის გული გაეხარებინა.

ძმებს მამა არ ჰყავდათ და მამობა გო-
დოს უნდა გაეწია.

ასეც მოიქცა.

იმავე დღეს იყიდა ოქროს ბეჭედი და
ოქროს საათი.

შინ რომ დაბრუნდა, დედას გაუმხი-
ლა ბიჭიკოს საიდუმლო.

ბიჭიკოს დედისა შერცხვა და ეზოს
ბოლოში მიიმალა...

უპოვნილო ჯვარისწირა

საღამოხანს მარგალიტა და გოდო სა-
გარეოდ გამოეწყვიტნენ და ნანას დასანი-
შნად წაუდინენ.

ბიჭიკო კი, პასუხის მოლოდინში, ხე-
ზე გავიდა და შემწიფებულ ყურძენს
ჩენკვა დაუწყო.

მარგალიტას ეშინოდა: ვაი, თუ უა-
რით გამოგვისტუმრონო.

მკედელ დიანოზასა და ნანას მამის
ოჯახები შორეული მეზობლები იყვნენ
და ერთმანეთში, კარგი საღამის გარდა,
მიმოსვლა არ ჰქონდათ. ამიტომ მასპინ-

ძლებს გაუყვირდით მარგალიტას და გოდოს სტუმრობა...

აივანზე დასხდნენ.

სტუმრებიცა და მასპინძლებიც უხერხულობას გრძნობდნენ.

ერთმანეთი მოიკითხეს, წელს რომ მოსავალს კარგი პირი უჩანდა, ამაზე ილაპარაკეს და სათქმელიც შემოელაით.

ნანამ ფანჯრიდან თვალი მოჰკრა ბიჭიკოს დედას და ძმას; გულზე ვარდი გადაეფინა; ოთახში შეირბინა, საწოლზე დაემხო და სიხარულისაგან ცოტა დააკლდა, არ ატირდა.

ნანას დედამ აივანზე პატარა მავიდა გამოიტანა, ზედ ხილი, ტყბილის კვერი და საარყე ჭიქები დააწყო; მერე ბოთლი არაყი მოაყოლა.

მარგალიტას თავშლის ქვეშ შემალული ჰქონდა პატარა შეკვრა; ბუკდიაა და საათისთვის, თავისი მხრით, ერთი საკაბუცე მიემატებინა. მავრამ საჩუქრის გამოჩენას ჭერ ვერ ბედავდა.

ნანას მამამ და გოდომ თითო არაყი გადაჰკრეს.

ქალები ახლა აბრეშუმის ჭიაზე საუბრობდნენ, თუმცა ეს არცერთ მათვასს არ აინტერესებდა.

მამაკაცებიც შარშანდელ თოვლზე საუბრობდნენ და შიგადაშიგ არაყს აყოლებდნენ.

დიასახლისმა გაიფიქრა: ნეტავ ფულის სახესხებლად ზომ არ არიან მოსულიო, და სიტყვა სიღარიბესა და გაჭირვებაზე ჩამოაგდო. მავრამ ამ მხარეს ეკალბარდი რომ დახვდა, ახლა სხვა „კარებზე“ მიუკაცუნა:

— ექვს ვაფაკს რაფერ უვლი, ჩემო მარგალიტა, რძალი რათ არ მოგყავსო.

გამართლდა დიასახლისის შორეული გუმანი, ეს „კარები“ სიამოვნებით გაულო მარგალიტამ:

— რა ვქნა, შენ შემოგველე, გოდოს და გივის მოსაწონი ქალი ჭერ არ დაბადებულა. ჩემი გიორგი, თქვენც კი იცით, ჯარშია. მავრამ ღმერთმა მთლად არ გამწირა, მგონია, ბიჭიკო ფიქრობს რალაცას...

ნანას დედისთვის უკვე ყველაფერი

ნათელი იყო. ახლა გაახსენდა, ერთ საღამოს ბიჭიკოსთან რომ ნახა თავისი ნანა.

მარგალიტამ რაკი გორგალს თავი მოუნახა, მოსწია და მოსწია: შენი ნანასთანა გოგო ამ სოფელში მეორე არ დაიარებაო, ნანასთანა რძალი სათალო საძებარიაო...

და, ვინ იცის, კიდევ რა არ თქვა.

ბოლოს თავშიდან სანიშნოც გამოაპარა და სამძახლოს ხელში შეაჩეჩა.

ნანა ოთახში კედელს აკვროდა და გული უფანცქალებდა.

დიასახლისმა მარგალიტას ორივე ხელით გამოართვა საჩუქარი, მავრამ სიტყვიერად თავი მაინც დაიფსა:

— ბეჩა, რა დროს მავათი ოჯახიაო.

— სიკვდილის მეტი ყველაფერი აღრეული ჯობია, შენ შემოგველე, — მიუანდაზა მარგალიტამ.

ნანას მამას გულში უხაროდა, ასეთი კარგი ოჯახი რომ ითხოვდა მისი ქალიშვილის ხელს, მავრამ არ იმჩნევდა. ბოლოს მაინც ვერ მოითმინა და იცითა:

— კი, მავრამ, სასიძო სადაა თვითონ?

მარგალიტას მაჰანკლობის იწიბინა არ გაუგებოდა, მავრამ ახლა კი მიხვდა, რაც იყო საჭირო, თავი განგებ უფსკრულის პირას დაიყენა:

— არც სწავლა მინდა, არც არაფერი, უარს თუ მომიტანთო. ვილუბები, შენ შემოგველე.

ნანას დედამ აივნის ღია კარებისკენ გაიხვდა და გასძახა:

— ნანა, გამოდი, გოგო, აქეთ!

ნანა ისე დინჯად გამოვიდა, ვითომ არაფერი გავგონოს მათი საუბრისა.

უძინარი თვალები ჰქონდა: ბიჭიკოზე ფიქრებში თუ ათეგდა ღამეებს!..

ნანა მზად იყო ხელის ერთ დაქნევაზე გაჰყოლოდა სადღეღამთილოს.

რად უნდოდა ბელურას ზარბაზანი!..

მარგალიტამ დაინახა თუ არა სარძლო, — დედა, შვილო შენ შემოგველოს შენი მარგალიტაო, — წამოდგა, გადაეხვია და გადააკოცნა; შემდეგ დიასახლისს საჩუქრები გამოართვა და ნანას გადასცა..

გოდომ და ნანას მამამ არყის ბოთლს უკვე ძირი გამოუჩინეს და თავს მხიარულად გრძობდნენ...

ახლა ისინიც შეუერთდნენ მოსაუბრეებს.

სანამ საბოლოოდ მოილაპარაკებდნენ, ოთახში შებრუნებულ ნანას უკვე გაეხსნა შეკვრა, ბეჭედი და საათი გაეკეთებინა და სარკის წინ საკაბებს იზომებდა მკერდზე...

იმ კვირის თავზე ბიჭიკომ და ნანამ ხელი მოაწერეს...

ქორწილი არ გადაუხდიათ, რადგანაც ჯერ დიანოზის წლისთავი არ ჰქონდათ გადახდილი.

ქორწილი სამერმისოდ გადასდეს.

მეორე ციციანთელა

მარგალიტას ყველაზე მეტად ჯარში წასული შვილის — გიორგის დარდი შემოუჩნდა.

სამ წელიწადს უნდა ემსახურა გიორგის ჯარში, მაგრამ მოხდა სასწაული და ერთ მშვენიერ დღეს გიორგი დაბრუნდა!

მოდირდა კოკლობით...

თურმე ამ მშვიდობიანობის დროსაც შეიძლება დაზიანდეს ჯარისკაცი: ფეხი ქვეშეხის თვალში მოჰყოლია უნებურად, მიუტიათ თეთრი ბილეთი და შინ გამოუსტუმრებიათ.

ბურთის თამაშში მუდამ მარცხენა გარემარბი იყო გიორგი და სწორედ მარცხენა ფეხი გაუფუჭებია. ხუთივე თითი გადაჭეკვილი ჰქონდა....

მარგალიტას ამან კი მოუკლა გული, მაგრამ მეორე მხრით აღდგომა გაუთენდა:

— ახლა არაფერი მიშავს, სხვა ბიჭებს თუ გაუწყრათ ღმერთი, აგერ ჩემი ეორა მომიყვანს რძალს და აქვე დარჩებაო.

მაგრამ ბედმა აქაც გამოუღო ფეხი მოხუც დედას, — გიორგიმ რამდენიმე დღის შემდეგ ისევ აიკრა გულა-ნაბადი და რუსთავში გაემგზავრა, იქ ფოლადსადნობ ქარხანაში დაიწყო მუშაობა, თან უმაღლესშიც მოეწყო დაუსწრე-

მკედლის სახლში მხოლოდ შინაურები შემოუსდნენ პატარა სუფრამ; თითო ჭიქა დალიეს, დალოცეს ახალშეუღლებულნი.

ნანას მარგალიტას ნაჩუქარი საკაბე შეეკვრა და ისე უხდებოდა, როგორც განთიადს მსუბუქი, იისფერი ნისლი.

მორცხვობდა ნანა, ხელები სად წაელო, არ იცოდა.

იმავე საღამოს აიღეს სოხუმის ბილეთები.

გოდომ მძა და რძალი სოხუმამდე გაცილა, იქ ოთახი დაუქირავა, რამდენიმე თვის ფული წინასწარ მისცა სახლის პატრონს, მძასაც საკმაოდ დაუტოვა ფული და აბაშისკენ გამობრუნდა.

ბელზე, ბინაც მალე მიიღო რუსთავში, ცოლიც შეერთო, ფეხი მოიმავრა და ცხოვრობდა თავისთვის.

მარგალიტას მეორე რძალმაც ციციანთელასავით შემოანათა და ისიც გაფრინდა.

ისევ ხუთი შვილი დარჩა შინ მარგალიტას.

ზაურს, გურამს და ფუთულას დამოუკიდებელი ცხოვრება ჯერ არ დაეწყოთ, სკოლაში სწავლობდნენ და უფროსი ძმების მკლავზე ეკიდნენ.

ოჯახის მთელი სიმძიმე ამ ორ ძმას — გოდოს და გივის — აწვა, მაგრამ ქელი არ მოიდრიკეს მკედლის შვილებმა.

ბოლოსდაბოლოს, მათაც მოეძალენენ მუშტრები.

ქედდნენ და ქედდნენ ძმები ხარებს, აკეთებდნენ ქართულ ნაჯახებს, თონებს...

ბოლოსდაბოლოს, მოხნა ძალამ აღმართი და გივის გაკეთებულმა ჰიშკრებმაც მოსჭრა ხალხს თვალი.

ახლა ჰიშკრებისა და სასაფლაოს მოაჯირების კეთებაც დაიწყეს ძმებმა.

სიმდიდრეს და ცოდნას ერთდროულად იძენდნენ.

მალე მამაზე არანაკლები სახელი გაუვარდათ.

ჭეყვანა ალაპარაკდა მათს ოქროხე-
ლობაზე.

თავნესაყრელი საქმე გაუჩნდათ,
ცხვირის მოსაფხანი დრო არ რჩებო-
დათ ძმებს.

სოფელს უხაროდა, შვილებმა რომ
აჯობეს მამას.

ცოლის მოყვანას კი არცერთი არ
ფიქრობდა.

— მე თუ ცოლი არ შევირთე, ჭეყვა-
ნას ლერძი არ გამოეშლებაო, — ამბობ-

და გოძო და თავის გულის ვარამს ჩა-
ქუჩის დაგა-დუგს აყოლებდა. **ქალაქში**
ვალენტინა, ვერიკო, გიორგი და ბი-
ჭიკო მხოლოდ მამის წლისთავზე ჩამო-
ვიდნენ ორიოდღე დღით...

ძმებმა ხარი დაჰკლეს და მთელი სო-
ფელი მოიწვიეს.

კიდევ და კიდევ ცხოვნება და ღეთის-
წყალობა უსურვეს მკვედელს...

მკვედლის მეუღლეს, მარგალიტას,
არც წლისთავის მერე აუსხამს დილე-
ბი...

ჩემი სულის დიდი გრილო

მარგალიტა ცასა და მიწას, ქალსა და
კაცს შესჩიოდა ცოდვა-ჭირითა და ვაი-
ვიშით გამოზრდილი შვილების ამბავს:

— ფრთები გაისწორეს, ფრენა ის-
წავლეს და თითო-თითოდ ტოვებენ ბუ-
დეს, კერას მიქრობენო.

შინიდან წასულებს რომ ჩამოთვლი-
და, ახლა შინდარჩენილებს მოუბრუნ-
დებოდა:

— ეს ფუთულაა და მიწაზე ვერ ეტე-
ვა, აეროპლანიდან უნდა გადმოვხტეო.
კარგი პირი არ უჩანს ჩემს ფუთულას.
რაღაც გული მიგრძნობს, ხვალ-ზეგ
ისიც გამიფრინდებო...

ონხრავდა მარგალიტა მეზობლებში,
მტრებში, მოყვრებში, ნაცნობებში, უც-
ნობებში...

იმ ზამთარს დიდი თოვლი დადო.

გარეთ ისე ყინავდა, ტურა და მგელი
ერთად დაწვებოდნენ.

სოფელში ვიყავი ჩამოსული რამდენ-
იმე დღით და ბინად მკვედლისას გაე-
ჩერდი.

მიყვარს ჩემი სოფელი — ჩემი სუ-
ლის დიდი გრილო!

როგორც კი თავისუფალ დროს ვი-
შოვნე, აქეთ გამოვრბივარ, აქეთ მომი-
წვეს გული.

მკვედლის შვილები და მე ერთი საც-
რის მქაღით ვართ გამოზრდილები.

მათი ჭირი ჩემ ჭირად მიმაჩნია, მათი
ლხინი ჩემი ლხინია.

ქალაქში ბევრი მეგობარი გავიჩინე,
მაგრამ ჩემი ძველი მეგობრების გზაც
არ დამკარგვია.

ძმა არა მყავს და მკვედლის ვაჟები
ვიძმე.

მარგალიტას გულის ვარამი რომ გა-
ვიგე, მეც მეტკინა გული და მოხუცი
ქალის დასამშვიდებლად ვთქვი:

— ნუ გეშინია, მარგალიტა ბიცოლა,
აღამიანი წყლის წვეთივითაა-მეთქი.

მარგალიტა ბიცოლა ვერ მიმიხვდა
ნათქვამს.

მამინ მე სხვა ხერხს მივმართე:

მე ხომ ესტატე ბიძიას კალთას და
ზღაპრებს შეფარებული ვიზრდებოდი!
მართალია, მეწუღეობა ვერ ვისწავლე,
მაგრამ ზღაპრების გამოგონებაში სულ
მის გზაზე მივდივარ.

ბევრი ლაპარაკიც მიყვარს.

თუ დავიწყე, ნამდვილი სარგეკლა
ვარ, არ გავათავებ.

ენას ძვალი არა აქვს და სიტყვას —
ბაეი.

და მეც ზამთრის ამ უსასრულო, უსა-
შველო ღამეში, მარგალიტა ბიცოლას
გასაგონად, მის შვილიშვილს მოვუყევი
წვეთი წყლის ზღაპარი.

წვეთი წლის ზღაპარი

მაღალი მთის გულში ცხოვრობდა
წყლის ერთი წვეთი.

ის ძალიან პატარა იყო, დაგვალული,

კურცხალის ოდენა, და ამიტომ ცრემლა
დაანათლეს სახელად.

მიწის გარეთ, იმ მთის კორტოხზე,

დაფერდებანე, ბარად, ზღვისპირად,
სხვადასხვა დროს საამურად ყვაოდნენ:
ყოჩივარდა,
ბაია,
ჩაწყობილა ბაია,
ხარისძირა,
თეთრყვავილა,
ცისთვალა,
ციურა,
ფურისულა,
გუგულისკაბა,
გვირილა,
იორდასალამი,
კაბაჭრელა,
ლალა,
ორფოთოლა,
ტიტა,
ტუია,
უკადრისა,
ყაყაჩო,
ცხენისკილა,
კაკბის-საკენკელა...

საოცარ სურნელებას აფრქვევდნენ
ეს ყვავილები ირგვლივ.

მთელი მიდამო გადაბიბინებული იყო
მათგან.

ეს ყვავილები ხედავდნენ ლურჯ სივ-
რცეს, ცას, ზღვას და ყველაფერს, რაც
მათ ირგვლივ იყო.

ის კი არა, უტოტო, უფოთლო, უფეს-
ვო სხვის ფესვზე გაზრდილი, პირამზი-
საც თავისი ერთადერთი, ლალისფერი
ყვავილით სულ მზეს უყურებდა.

მზეს, ცას და ხმელეთს შეხბაროდნენ
და უგალობდნენ ფრთოსნებიც.

ცრემლა კი, წყლის ეს ერთი წვეთი,
ვერაფერს ვერ ხედავდა.

ვერ ხედავდა, რადგანაც მიწაში იყო,
მიწა ეფარა ზემოდან.

ცრემლასთვის არაფერი არ არსებობ-
და, გარდა სიბნელისა. სინათლე საჭმე-
ლი იყო თუ სასმელი, არ იცოდა.

ვერ ისვენებდა შინ ცრემლა, სულ
ეკლებზე იჯდა.

ერთხელ, როცა სხვა წვეთებს ეძინათ,
აჰყვა ეშმაკს, დაჰკრა ფეხი და შინიდან
გაიპარა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიადგა

მიწის ზედაპირს; პატარა ჭუჭრუტანა
გააკეთა და უცებ თავბრუ დაესხვი იმ
ჭუჭრუტანიდან შემოსულმა მისი ნათელი.

— ვაშა! — შესძახა ცრემლამ. — მე
უკვე ვხედავ ცას!..

გამოძვრა ჭუჭრუტანიდან და სიბ-
ლოდზე თავპირის მტკრევით დაგორდა.

ლოდი რომ გათავდა, ბალახებში და-
ეცა.

დააპირა გზის განგრძობა...

იხვანხვალა...

იტრიალა...

იქნია ხელ-ფეხი...

მაგრამ, ნურას უკაცრავად, ვერაფერს
ვახდა, ნელინელ ისევ მიწაში ჩაიძირა
და თავის სამყოფელში მოადინა წკაპა-
ნი.

სინათლისკენ გაჭრილი ჭუჭრუტანა კი
მიწით დაიჩურთა.

ატირდა ცრემლა, გულზე ნისლი შე-
მოაწვა.

დღეა გამწარებული დაექებდა ცრემ-
ლას, თავ-პირს იგლეჯდა.

ბოლოს ნახა და კინაღამ ვერ იცნო:

— უი, დამიდგეს თვალეები, როგორ
გაჭუჭყიანებულხარ! — შეიცხადა დე-
და წვეთმა, შავი დღე დააყენა თავნება
შვილს, ყურში ხელი ჩაავლო და დასა-
ბანად წაათრია.

კარგახანს აკოტრიალა და აგორავა
სილაში.

ცრემლა ტიროდა: არ მინდა, თვალე-
ბი მეწვისო, მაგრამ ვინ გაუგონა!

მიდიოდნენ ღამეები (დღე საერთოდ
არ იყო წვეთების სამეფოში).

კიდევ კარგა ხანს ივაგლაბა ცრემლამ;
ბოლოს ადგა და რჩევის საკითხავად
მოხუც წვეთებს ეახლა:

— მოხუცო წვეთებო, მინდა შემოვი-
არო ქვეყნიერება, ვნახო მზე, ცა, ზღვა.
მასწავლეთ, როგორ მოვიქცე.

დიდსულოვანმა მოხუცმა წვეთებმა
მოუსმინეს ცრემლას და უთხრეს:

— თუ ქვეყნიერების შემოვლა გინდა,
მარტო ვერაფერს გახდები, უნდა გა-
ჰყვე სხვა წვეთებს...

მოხუცი წვეთების ნათქვამს გვერდი
არ აეჭკეოდა.

ერმელამ თავი მდაბლად დაუქრა, მადლობა გადაუხადა და გამობრუნდა. გზად მომავალს ერთი პატარა, ლამაზი, სულში ჩასაძვრენი წვეთი შემოხვდა.

- რა გქვია? — კითხა ერმელამ.
- ნამია, — უპასუხა პატარა წვეთმა.
- სამოგზაუროდ წამოხვალ?
- წამოვალ...

ერმელამ და ნამიამ ერთმანეთს ხელი ხელში ჩაჰკიდეს და წამოვიდნენ.

მათ მალე შენიშნეს სამოგზაუროდ მიმავალი წვეთები და შეუერთდნენ.

— წინ მე გაგიძღვებით, — თავი მოიქაჩა ერმელამ, მაგრამ, — შენ ჯერ გამოუცდელი ხარო, — უთხრეს და სულ ბოლოში დააყენეს.

მიდიოდნენ წკრიალ-წკრიალით, მძივებივით ასხმულნი, შეჩურჩხლულები. თანდათან სხვებიც შემოუერთდნენ და დარუვდნენ.

ბოლოს წინამძღოლი წვეთი შეჩერდა, რალაცას მოუსმინა და განაცხადა:

— მოვსულვართ ნაკადულთან, აქ უნდა გავყონოთ.

ერთად შეუტიეს რბილ მიწას, ოფლს იწურავდნენ.

მალე დაამსხვრიეს სიბნელის ბჭე.

ერმელას ისევ მოხვდა თვალეზში ნაცნობი სინათლე და გაიხარა.

ისევ გადაემძივნენ წვეთები ერთმანეთს და მიწიდან გამოსვლა იწყეს.

შეუერთდნენ ნაკადულს.

აქ ყოველნაირი წვეთები მოგროვილიყვნენ ერთად: თეთრი, თიხისფერი, შავი...

მთლიანად ნაკადული კი ანკარა იყო. მან წვეთები მიიყვანა მდინარემდე, მდინარემ — ზღვამდე...

ერმელა და ნამია აქამდე სულ ერთად მოქროდნენ, მაგრამ ზღვის უზარმაზარ ტალღებში მათ ერთმანეთი დაჰკარგეს.

ერმელა დაღონდა. მერე კი იფიქრა: აქ ზომ ყველანი ჩვენიანები არიან, ნამიას რა დაჰკარგავსო და ისევ გამზიარულდა.

ზღვის ზვირთები ლურჯი იყო.

ერმელას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

— უპ, შენი გულია! რა კარგი ყოფილა აქ! შინ არასოდეს არ დავებრუნდები, — იძახდა და მალაქსა-მალაქსა გადადიოდა.

ერმელას ხმა მზემ გაიგონა და გაეცინა:

— ეტყობა, პირველად მოგზაურობს!..

შემდეგ ერმელას ციდან ერთი სხივი გადმოუვდო და ჩამოსძახა:

— ჰეი, ერმელავ, ამოკეცე ამ სხივს. შენ ზომ ცის ნახვაც გასურდა!..

ერმელა სხივს ჩაებლაუქა თუ არა, საოცრად დასცხა. ისე დასცხა, რომ სულ მთლად ორთქლად იქცა.

ცის ნახვის სურვილი მაინც არ ასვენებდა, აყევა და აყევა სხივს.

ხელები უსსლტებოდა, მაგრამ მაინც მიიწევდა ზევით.

მალე თავის ტოლ-ამხანაგებს მოჰკრათვალი, ისინიც ორთქლად იყვნენ ქცეულნი.

ერმელამ ნამიას დაუწყო ძებნა და, რომ ვერ ნახა, გული ეტკინა.

განაგრძეს გზა ცისკენ.

ო, რა მშვენიერება და სილამაზე იხილა ერმელამ! თვალი აუტკრელდა.

ცა სულ ვარსკვლავებით იყო მოოქვილი.

ასცდნენ მეშვიდე ცას.

ერმელას შესცივდა, აძიგძიგდა, კბილებს კბილებზე აციმინებდა.

ამ დროს თვალი მოჰკრა ერთ ღრუბელს და ზედ შეასკუბდა.

ახლა უფრო შესცივდა ერმელას; მოისვა ტანზე ხელი და გაოცდა: ის ორთქლი კი არა, ისევ წვეთია!

ღრუბელმა კარგა ხანს ატარა ერმელა და მისი მეგობრები.

გადაუარეს მთებს, მდინარეებს, ოკეანეებს, სახმელოს და სამზეოს.

გზადაგზა წვეთები დამრჩომთ ემშვიდობებოდნენ და ღრუბლიდან სიცილკისკისით ხტებოდნენ.

ერმელას მოეწონა ღრუბლით მგზავრობა და გადაწყვეტილი ჰქონდა სულ აქ დარჩენილიყო, მაგრამ, როდესაც ძირს მისი მშობლიური მთა დაინახა,

ვერ მოითმინა და ისიც თავდაყირა გადმოეშვა.

საერში ჯერ ყინულად იქცა, მერე — თოვლის ფიფქად, მერე — ისევ წვეთად. კარგა ხანს იფრინა ცრემლამ, რაც უფრო ეშვებოდა, უფრო თბებოდა.

ბოლოს დაეშვა თავის მშობლიურ მთაზე, იქ ამოსულ თეთრ ყვავილს ჩაეკონა გულში. მერე ჩაუყვა ყვავილის ღეროს, მიწაზე დაადგა ფეხი; იცნო თავისი მიწა, ვამბორა, ნელა ჩავიდა ძირს და ისევ თავის ბუდეში დაბრუნდა.

თავი შინ რომ იგრძნო, შვებით ამოისუნთქა; ახლა მიხვდა, თუ რაოდენ ჰყვარებია მშობლიური მხარე, თუ რაოდენ თბილი ყოფილა იგი... ამდენ მოგზაურობაში ცრემლა უკვე დაფაქცეულიყო.

დღეა კარებთან დახვდა, შინ მშვიდობით დაბრუნება მიულოცა, გადაეხვია და გადაჰკოცნა.

ცრემლას მხოლოდ და მხოლოდ ნამიას დარდი აწუხებდა: ვაი თუ გზა დაებნა და დაიკარგაო.

განმარტობით ჩამოჭდა და ელოდა ვინმე გამვლულს, რომინამიას სამხავი გიგანობა

— ცრემლა! — შემოესმა უცებ ნაცნობი ხმა.

თურმე ნამიაც დაბრუნებულიყო ციდან.

ცრემლა და ნამია ერთმანეთს გადაეხვივნენ.

ამის შემდეგ ცრემლა და ნამია ყოველ გაზაფხულზე მოგზაურობდნენ სხვა წვეთებთან ერთად. თავიანთ ბუდეს კი არასდროს არ ივიწყებდნენ და ამიტომ არასდროს არ იკარგებოდნენ...

— ასეა ადამიანიც, მარგალიტა ბიცოლა, სადაც არ უნდა წავიდეს, მაინც დაუბრუნდება თავის ბუდეს, — დავამთავრე ზღაპარი.

მარგალიტას შვილიშვილს კალთამი ჩასძინებოდა. მარგალიტა ბიცოლა კი სახეგაბარწყინებული შემომცქეროდა და მეუბნებოდა:

— დედა, დედა, შენ გაიხარე, შვილო, გისმინოს უფალმაო...

კაი ქალის ნაკაბევი — კაი კაცის ნაუკობარი

ბიჭიკო სწავლის დამთავრების შემდეგ აბაშაში დაბრუნებას აპირებდა.

ამიტომ გოძომ გადასწყვიტა ბიჭიკოსთვის ცალკე აეგო სახლი და დაეხვედრებინა.

ოჯახის „ხელშეუხებელი ფონდიდან“ ასიანები გამოაძვრინა (გოძოს ციდან კი არ უცვიოდა ფული. შრომობდა და ჰქონდა) და იქვე, ყურძინში, მეწუღე ესტატეს ნამოსახლარს დაჰკრა ბარი.

ცხონებული ესტატეს ნაეზოვარი კაი ქალის ნაკაბევივით იყო. მაგრამ სიდიდე არ ჰქონდა.

ძროხას შიგ კუდი რომ მოექნია, მესერს იქით მდგარ თუთებს ჩამობერტყავდა. ამის გამო გოძომ შამისეულ ეზოდანაც მიამატა მოზრდილი ნაკვეთი.

ოდესღაც მესერში ჩარგულმა და მერე მესერს დაშორებულმა ხეებმა ახლა ბიჭიკოსთვის განკუთვნილ ეზოში ამოყვეს თავი.

ხუროებს გოძო და გივიც ეხმარე-

ბოდნენ და სულ რამდენიმე თვეში მშვენიერი ოდა-სართული წამოჰკიმეს.

ამ დროისათვის გურამმა საშუალო დამთავრა და თბილისში სამედიცინო ინსტიტუტში მოეწყო დიდი წვალებით და გაჰირეებით.

ქალაქში გურამი ჩემი სტუმარი იყო.

სამედიცინო ინსტიტუტის გვერდით უბრალოდ გავლილი ნაცნობიც თუ მყავდა ვინმე, არცერთი არ გამოამიტოვებია, ყველა შეეაწუხე და ვთხოვე დახმარება.

როგორც იყო მივალწიეთ მიზანს, ჩემს დამხმარე მეგობრებს კარგი პურმარილი გავუშალეთ და მქედლის ოჯახს ერთი ექიმი ვუწინასწარმეტყველეთ.

ამდენი იყვნენ, ერთი ექიმი მართლაც ხომ სჭირდებოდათ!

ახლა მქედლის ოჯახში დარჩნენ: მარგალიტა, გოძო, გივი, ზაური და ფუთულა ღმერთგამწყვარი.



ჩალის ზვინი და ბროწეულის სახრა

ნალს აკეთებდა გოდო — ძაბულიაზე ფიქრობდა...

ცხენს ჰედავდა — ძაბულიაზე ფიქრობდა...

ღვინოს სვამდა და მღეროდა — ძაბულიაზე ფიქრობდა...

ღამე დაწვეებოდა და დაიძინებდა — ძაბულია ესისზმრებოდა...

მის ჩაჭუნსა და უროს ახლა დაგადღვი კი არ გაჰქონდა:

— ძა-ბუ-ლი! ძა-ბუ-ლი! — იძახდა...

ურემი გზაზე კი არ მიგრიალებდა:

— ძა-ბუ-ლი! ძა-ბუ-ლი! — იძახდა...

მატარებელი კი არ მირახრახებდა:

— ძა-ბუ-ლი! ძა-ბუ-ლი! — იძახდა...

გოდო უკვე მარტო მშვედელი არ იყო, გოდო იყო პოეტტი!

დაილოცოს ლექსის ძალა, იმ ლექსისა, რომელიც გოდოს აბრიალებულ გულს ოდნავ მაინც უნელებდა ცეცხლს:

„შენ არხრუმის ცისკარი ხარ, გულნარა! მანათობლად აღმომხდარი, გულნარა! შენ ვარდი ხარ ედუმს რვეულო, გულნარა! ბელბულისა დამდგველი, გულნარა!“

ერთ დღეს ფუთულას საშინაო რვეულიდან ფურცელი ამოხია გოდომ და დასწერა: კარგად რომ დაღამდება, სა-

თობში ამა და ამ ზვინთან დაგელოდებო წერილი ძაბულიასთან ფუთულას გა-

ატანა და უთხრა: შენ არ წაიციტხო, თორემ ცხვირს აგაგლეჯო-

სადამოს გოდოც ჩვეულებრივად დაწვა სახლში, ძმებს და დედას ეპვი რომ არ აეღოთ.

ყველამ რომ იაიძინა, წამოდგა, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ხელში დაიჭირა და ცერდაცერ, სუნთქვაშეკრული წვიდა კარებისაკენ.

ფუთულას საწოლთან რომ ჩაიარა, უცებ გამოჰყო ფუთულამ ხელი საბნიდან და ბარძაყზე უპწკინა.

გოდო გველნაკებნივით შეხტა, შეეშინდა, ფეხსაცმელები გაუვარდა და ჩვეულებრივზე მეტი ხმა გამოსცა.

გოდოს სიბრაზე ყელში მოაწვა. ახლა ხმაური არ შეიძლებოდა, თორემ, იცოცხლე, ის ფუთულას დღეს დააყრიდა.

6. „მნათობი“, № 1.

ფუთულამ საბნის ქვევიდან ძმას ემწკინა მაკურად ენა გამოუყო, შეეძვრა: ხარბი თაზე გადაიფარა და ხერინვა ამოუშვა, ვითომ ეძინა.

მიხვდა გოდო, ფუთულას მისი წერილი წაკითხული რომ ჰქონდა.

ნელა გაიხურა კარები...

სათიბში, დათქმულ ზვინთან კარგა ხანს იცადა.

ეკვობდა: იქნებ ვერ მოახერხა ძაბულიამ გამოპარვა და ტყუილად ვირჩეობიო.

მაგრამ გოდოს ექვი არ გამართლდა. მალე სათიბი შეჩუჩუნდა და მთვარიანში ძაბულია გამოჩნდა.

ძაბულია მამამისს თუმცა მოკლე თოკით ჰყავდა დაბმული და თვლიდან არ იშორებდა, მაინც მოეხერხებინა გამოპარვა.

გოდო ახლა ძაბულიას მეტს ვერაფერს ხედავდა. ბოსტანი ნახა და ღობე ვერ შენიშნა. ის იყო უნდა გადახვეოდა თავის საყვარელ ქალიშვილს, რომ ამ დროს ზურგზე ზედღიზედ მოხვდა სახრე.

— ჰაიტი, შე ჰირძადლო, — ღრიალებდა ძაბულიას მამა და უწყალოდ სცემდა გოდოს.

თურმე ფეხდაფეხ გამოჰყოლოდა ქალიშვილს.

ცხრა შოლტი ტყავი ააძრო; იმდენი ურტყა, რომ გოდომ ნახევარი ვერ დათვალა.

ერთი შუბლზე მოხვდა გოდოს და იგრძნო, როგორ ჩამოეონა სისხლმა.

გული ყელში მოებჯინა.

ძაბულიას მამა თუ იყო ვაჟკაცი, არც გოდოს ესურა ქალის ლეჩაჭი. ერთი კი წაიწია, მაგრამ თავი შეიკავა, ვერ აკადრა მამის ტოლ კაცს ხელის შებრუნება.

იცოდა, ამისთვის ღოყაზე ხელს არავინ მოუთათუნებდა, ისევ მას გაამტყუნებდნენ.

ქვეყნის ყბაში ჩაეარდა, მოთმენა არჩია, თორემ, რომ აწეყვიტა, გახლეჩდა შუაზე ამ უგნურს.

ჩაყლაპა გოდომ ეს სირცხვილიც.

ნასახრალი იმდენად არ ეწვოდა, რამდენადაც გული სტიოდა.

ძაბულის მამამ გოდოზე ჯავრი რომ იყარა, თავის ქალიშვილს მიუბრუნდა.

ძაბულის სახეზე ხელები აეფარებინა და იქვე იდგა.

მამამ მასაც უთავაზა ფეხებში ერთი-ორჯერ.

ძაბულის ტირილი წასკდა და შინისკენ გაიქცა.

ზვინთან ატუშულ გოდოს ძაბულის მამამ წასვლის წინ სიტყვიერადაც გადმოუჭირა სახრე:

— ჩემი წერა გახდები, თუ ამ გოდოსთან ერთხელაც გნახეო...

გასახრულმა გოდომ ახლა კი მთელი სიმწვავეთ იგრძნო, რომ ძაბულია მისთვის თეთრი შაშვი იყო.

ბედმა თავიდანვე ორივე ხელით მისცა მშვენიერი ქალი, ახლა ორი ხელითვე წაართვა.

შინ დაბრუნებულმა გოდომ ჭკასთან შუბლიდან სისხლი ჩამოიბანა და სახლში ფეხმოპარვით შევიდა...

ღილით მზეს აჰყვა და მალულად სარკეში ჩაიხედა.

წითელი ზოლი აჩნდა შუბლზე, თავი გარეთ არ გამოეყოფოდა.

აქრელებულ ზურგს პერანგი დაუფარავდა, მაგრამ შუბლი სად დაემალა!

რალაც მოიფიქრა, ეზოში ჩავიდა და შემის ჩეხვა დაიწყო.

დანარჩენებმაც რომ გაიღვიძეს და ეზოში ჩამოვიდნენ, გოდოს შუბლი არ დაუმალავს:

— ნაფოტი ასლტა და კინალამ თვალი არ წამომიგდოო! — იცრუა.

ფუთულა სიცილს ძლიერს იკავებდა, მიხვდა, რა ნაფოტიც ჭბნდა მისთვის. რილი გოდოს. ნაფოტის მთონსეცხლს ხარ ჰგავდა გოდოს შუბლის ჭრილობა, ბროწეულის სახრის დანარტყამს უფრო ჰგავდა.

გოდომ გაღიმებული ფუთულა რომ ნახა, თვალები დაუბრიალა და სამკვდლოს მიაშურა.

ფუთულამ მისდია და ჩუმად ჰკითხა: — ძაბულის მამამ დაგარტყა?..

— დამეკარგე აქედან, — კბილებიდან გამოსცრა ისედაც გაეცხლებულმა გოდომ.

მიდიოდნენ დღეები.

გოდომ ძაბულია მაინც ვერ ამოიგდო გულიდან; კიდევ კარგა ხანს გრიხა ქვიშის თოკი, ბოლოს შეეშვა, ხელი ჩაიქნია და გულში თავისი გაჩენის დღე დაწველა.

იქით ძაბულია ცვილივით აღნებოდა ხელში მამამისა, მაგრამ მამამისი თავის გადაწყვეტილებაზე ორივე ფეხით იდგა...

მარგალიტას ახლა გვიის იმედილა რჩებოდა; იქნებ გვიმ მაინც მოიყვანოს ცოლიო.

მაგრამ გვი ყურს არ იბერტყავდა.

ზაური მოტოციკლებზე ოცნებობდა...

ფუთულა ამ ბოლო დროს მხოლოდ თვითმფრინავებით და პარაშუტისტებით იყო გატაცებული (პარაშუტით გადმოხტომა კინოში ჰქონდა ნანახი) და გააკეთა კიდევაც თვითმფრინავი თავის პარაშუტისტებიანად.

ფუთულას თვითმფრინავი

ძველ სასკოლო სახელმძღვანელოებს მუყაოს ყდები დააგლიჯა, აიღო მაკრატელი, ძაფი, ნემსი...

აივნის ბოლოს მიჯდა, წინ ძველისძველ წიგნში დახატული, ორმაგფრთიანი თვითმფრინავის „უ-2“-ის სურათი დაიღო და საქმეს შეუდგა.

თავდაპირველად მუყაოსაგან თვით-

მფრინავის ტანი გააკეთა, რომელიც ნავს წაავადა.

გადააბრუნა ეს „ნავი“ თავდალმა, მიაკერა წინა ფრთები და კუდის ფრთები...

პარაშუტის ქოლგებზე ბიჭკოს ლურჯი პერანგის ნახევები გამოიყენა, პარაშუტისტებზე — ხარის ნახშირი ლურსმნები.

მეშაობის დროს ენის წვერზე კბილები ჰქონდა დაჭერილი.

პარაშუტისტების კეთებას რომ მორჩა, გოდოსთან ჩაირბინა, გრდემლიდან რამდენიმე ნაბიჯი გადაუზომა და იქიდან მოაძახა: ამ სიგრძე მავთული მომეცო.

გოდო გავარვარებულ ზოდს ჩაქუჩს სცემდა და ძმისთვის არც შეუხედავს. ფუთულა კი მოთმინებით იღვა გადაზომილ ადგილზე და ქეროს იფხანდა.

გოდო საქმეს რომ მორჩა, მაშინ მოხედა ფუთულას:

— რა გინდა!

— მავთული მჭირდება. რალაცას ვაკეთებ.

— ის ვირჩევნია გაკვეთილები მოამზადო.

— მომზადებული მაქვს.

ფუთულა სწავლაში ბეჯითი იყო და გოდომ ხათრი არ გაუტეხა, თუმცა ჯერაც გაბრაზებული იყო ძმანზე.

ფუთულამ მავთული რომ იგდო ხელში, ახლა ორი დიდი ლურსმანი და ჩაქუჩიც მოსთხოვა ძმას.

ესეც რომ მიიღო, ზევით აირბინა.

მავთული ოთახის ერთი კედლიდან მეორე კედელზე გააბა და ზედ თვითმფრინავი რგოლებით ჩამოჰკიდა.

ქუჩიდან ძმებიცმა დაუსტვინეს, ბურთის სათამაშოდ ეძახდნენ.

ფუთულა სწორებში გამოკლებული არ იყო, მაგრამ ახლა თავისი საქმე ჰქონდა და ბურთის სადევნელად არ ეცალა.

„პარაშუტისტები“ თვითმფრინავის მუცელში იყვნენ შემალულნი, კუთხურად მოკეცილ მავთულზე ეკიდნენ.

ჩიბისრძინანი სუფრა

მე და ნანა ოცდაერთში დილით მანდ ვიქნებითო, — იტყობინებოდა ბიჭიკო სოსხუმიდან.

წერილი ოჯახის წევრებს ფუთულამ წაუკითხა ხმამაღლა.

— დღეს რომელია? — იკითხა ვახარებულმა მარგალიტამ.

თვითმფრინავი ოთახის ერთი კედლიდან მეორისკენ კანაფით გააფრინეს. ოთახამდე რომ მიიყვანა, უკეტრას, მანკარად დაქაჩა. ამ დროს კუთხურად მოკეცილ მავთულზე დაკიდებული „პარაშუტისტი“ შეირხა, მოსწყდა მავთულს და ძირს დაეშვა.

ცოტა ხნის მერე მეორედ დაქაჩა თვითმფრინავი ფუთულამ.

შენჯღრევამ მეორე „პარაშუტისტიც“ გადმოახტუნა.

ბევრი დრო დახარჯა ფუთულამ, სამაგიეროდ ნახელავი კარგი გამოუვიდა; კმაყოფილებით გაიღიმა და ბავშვების დასაძახებლად აივანზე გავარდა.

ბავშვებმა რამდენჯერმე გაამეორებინეს „პარაშუტისტთა გადმოხტომა“ და წუნი ვერაფერში დასდეს.

შხოლოდ ერთმა შენიშნა:

— პროპელერი სადაა?

— რეაქტიულია, შე შტერო!

— რეაქტიულს ორმაგი ფრთები რომ არა აქვს?

ფუთულა ცოტათი დაიბნა, მაგრამ მამამისის შვილი იყო და თითი არ მოკაკვა:

— ეს ორმაგად რეაქტიულია... კიდევ რამდენჯერმე გააფრინეს და გამოაფრინეს თვითმფრინავი და დაასკვნეს: რაც კარგია, კარგიაო.

შემდეგ გარეთ გაიჭრნენ ბავშვები ბურთის სათამაშოდ.

კიმკართან მივარდნილი ფუთულა ფოსტალიონს დაეჯახა და კინალამ წააქცია.

ფოსტალიონმა ბავშვს ბიჭიკოს ავიოწერილი გადასცა...

— ცხრამეტი. ზეგ დილით აქ იქნებიან, — უპასუხა გვიგომ.

გოდო დინჯად წამოდგა და დედამისს მიმართა:

— წლისთავი კარგა ხანია გადავიხადეთ. ახლა ხომ შეიძლება ბიჭიკოს ქორწილი გავუმართოთ?

დედისაგან თანხმობა რომ მიიღო, გა-

დასწყვიტა ზეგ დილით ძმისა და რძლი-სათვის საქორწილო სუფრა გაშლილი დაეხედრებინა;

მაშინათვე შეუდგა სამზადისს.

მუშტრებთან გვი დასტოვა, თვითონ ზაური, ფუთულა და ხუთი მეზობლის ბიჭი გაიყოლია ბაზარში.

სწორედ კვირა დღე იყო, კარგი ბაზრობის დღე.

იყიდეს ერთი ბოჩოლა და, დარჩეული ნივთებით სავსე კალათთან ერთად, ფუთულას გამოატანეს.

თვითონ სხვა საყიდლებს დაუტრიალდნენ.

მწვანილი და ფხალეული, ხილი, ყველი (სახაჭაპურე და დასაქრელი), გოჭები — რაც რამ იყო ბაზარში, სულ შინ გამოზიდეს.

მეფრინველეობის ფერმიდან გოძომ ნაღდ ფულზე ასი წიწილი და ორმოცდაათი დედალი გამოიყვანა; რამდენიმე მეზობელი სატვირთო მანქანით სვირში გაგზავნა ღვინოზე...

ორი დღე ეზიდებოდნენ ხორავს.

მთელი მეზობლობა ეხმარებოდა მკედლის ოჯახს.

ორი მზარეული მოიყვანა გოძომ და თითოს ხუთ-ხუთი კაცი მიუჩინა დამხმარედ: შეშის მკრელები, ჭურჭლის მრეცხავები, შამფურების მთლელები, ხახვის და მწვანილის დამკრელები...

ხუთგან დაანთეს ეზოში ცეცხლი და ზედ უზარმაზარი ქვაბები შემოდგეს.

წიწილებს და ქათმებს ქალები ბტყვინდნენ...

ზული ავარდა მკედლის საბლკარიდან.

იხარშებოდა ათასნაირი კერძი, ხორცი...

შამფურებზე ტრიალებდა დედლები, კეცებზე იწვებოდა ტაბაკა...

აივანზე ორასი კაცის საყმარი მაგიდები დაიდგა.

სკამები, თეფშები და სხვა ჭურჭელი მეზობლებიდან მოქონდათ.

ამ შეგროვებას მე ვთაოსნობდი. დასასვენებლად ვიყავი ჩამოსული ჩემს სოფელში და უქმად, სტუმარივით ხომ არ დავდგებოდი!

ხელში ქაღალდი და ფანქარი მეჭირა, ვისგან რამდენ თქმულს ან სკამს წამოვიღებდი, ვიწერდი.

სკამებს თავიანთი პატრონები თავდაღმა აბრუნებდნენ და სახელს აწერდნენ, უკან წამოღებისას რომ არ შეშლოდათ სხვისაში.

მესამე დილისთვის უკვე ყველაფერი მომზადდა.

ნატვრის სუფრა იყო გაშლილი, ჩიტის რძეც არ აკლდა, გორა-გორა ეყარა ხორავი.

მარგალიტას ერთი შავი, კვერცხის მდებელი დედალი ჰყავდა. რაღაც ჭირად იმ დილით მამალივით დაიყვილა ამ დედალმა. მარგალიტამ ეს ცუდის ნიშანიაო და ისიც დააკვლევინა. მიემართა ზღვას წვეთი.

ყოველი შემთხვევისათვის ერთი ოთახიც ვავათვისუფლეთ და იქაც დავდგით მაგიდები. თუ სტუმრები ნავარაუდევზე მეტი მოგვივიდოდა, უკან არ დავიხედვით.

გოძომ ნანას მშობლებს მოსაწვევად რჩეული კაცები გაუგზავნა და ისინიც მალე მოვიდნენ საჩუქრებით დატვირთულნი.

ეს პირველი ქორწილი იმართებოდა მკედლის ოჯახში და გოძომ სულ იმის ფიქრში იყო, ვინმე საპატიო კაცი არ გამორჩენოდა.

გოძომ ამ სამზარეულო სამზადისში თავისი მომავლის ლატარიაც დაატრიალა და ძაბულის მამასაც გაუგზავნა მომწვევი:

— ძმის ქორწილი მაქვს. ისეთი რა გაგიკეთე, შე კაცო, საუკუნო მტრად რომ გადამეკიდე? მოდი, მეწვიე. ქალს თუ არ მატან, მეზობლობას მაინც ნუ დაეკარგავთო.

ძაბულის მამას ეს სიტყვები რომ მიუტანეს, კბილებიდან ცეცხლი გაშალა:

— შევარცხვინე მაგის ქორწილიც და ნამუსიც, შერიგებას რა პირით მთხოვსო.

— არა უშავს, შენს იქითაც ვიპოვნი გზას, — გაიფიქრა გოძომ.

სოფლის მსმელ კაცებს და მეც იმ ორ დღეში მადღრისად არ გვიჭამია. უფრო მარილიანს ვეტანებოდით, — ვიცოდით რა შეჯიბრაც მოგველოდა. ხარებივით მწყურვალნი და მგლებივით მშვივრები ვიყავით. ერთი სული გვქონდა, როდის დავიკაპიწებდით მკლავებს და შემოვუსხდებოდით სუფრას.

სათამადაოდ ნიკა ჩოჩია იყო არჩეული და ისიც ყველაზე მეტად უვლიდა თავს:

თუთუნის წევასაც უკლო, მეტწილად იწვა და ისვენებდა, ჰამდა მწნილში ჩაყრილ მკავე ვაშლს, სვამდა ღვინო-გარეულ წყალს...

მატარებელი ათ საათზე ჩამოდიოდა სოხუმიდან.

ამ დროისათვის მჭედლის შვილები და მეზობლები უკვე ბაქანზე ვიდექით, ქალიშვილებს თაიგულებიც კი წამოეღოთ...

მალე ჩამოდგა მატარებელი, მაგრამ ბიჭიკო და ნანა არ ჩამოყვლია.

გოძომ სადგურის მორიგესთან შეიბინა და გაიგო: შემდეგი მატარებელი ერთ საათში ჩამოივლისო.

ბაზარი საათი

მჭედლისას ერთი კედლის საათი ჰქონდათ.

გრძელ ძეწკვზე მობმული სიმძიმე ამუშავებდა ამ საათს.

ძეწკვის მეორე, თავისუფალ ბოლოს დილით რომ ჩამოსწევდნენ და სიმძიმეს ყელამდე მიუყვანდნენ, მერე სალამომდე წიკწიკებდა.

საათი, ბოლოსდაბოლოს, დაძველდა. გადაიღალა და კუთვნილი სიმძიმე აღარ ჰყოფნიდა.

მამინ, ჯერ ერთი ნალი მიამატეს მჭედლის შვილებმა, მერე — მეორე და ახლა ცხენის თუ ხარის ხუთი-ექვსი ნახმარი ნალიც ექაჩებოდა ბებერი საათის ძეწკვს.

ამ საათს გოძო თავისი მაჯის საათის მიხედვით ასწორებდა ზოგჯერ.

ხდებოდა პირიქითაც: თავის მაჯის

ვიფიქრეთ, ერთი საათი უცებ გაივლის, რაღა შინ წავიდეთო, და სადგურის უკან, ჰადრების ჩრდილში ჩაწითას სხედით.

არც მეორე მატარებელს ჩამოყვნიენ ბიჭიკო და ნანა.

იმ დღეს კიდევ ორმა მატარებელმა ჩამოიარა, მაგრამ ჩვენი გული არცერთს არ გაუხარებია.

მეზობლის ქალები გზაზე ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და ცოლ-ქმრის ჩამოუსვლელობას ათასგვარ მიზეზს უსადაგებდნენ.

ქამარი დაგვეკარგა — იმდენად შემოვიჭირეთ, რომ არც მოგვიჩანდა. მაგრამ სუფრისთვის ხელის ხლებას მაინც არ ვაპირებდით; დაედლიოდით და ვიბღვირებოდით მხოლოდ.

ხმას არცერთი არ იღებდა. თითქოს გვეშინოდა ერთმანეთისა.

ესტატე ბიძიასგან გამიგონია: ყველაზე საშიში — მადლარი ძაღლი და მშვიერი კაციიო.

ახლა ვიწამე ამ აზრის ჰეშმარიტება.

შუალამის თორმეტ საათზე ერთი მატარებელიც უნდა ჩამოსულიყო და ახლა იმის იმედილა შეგვრჩა.

საათს ასწორებდა ამ საათით.

არავინ იცის, რომელი დროით მუშაობდა ეს დანჯღრეული, კედლის საათი.

ახლა ლამის კრემლის საათად იქცა ჩვენთვის.

აშკარად თუ ფარულად ყველანი მას შევეცქეროდით.

დროის სიზუსტის დიდი მოყვარული. მოხუცი ქალი ქეთე კორძახია საათის პირდაპირ დამჯდარიყო და ისრებს თვალს არ ამორებდა...

თითქოს საათიც ჩქარობდა, ფხაკიფხუკობდა საცოდავი, მაგრამ დრო მაინც ნელა გადიოდა.

ზოგზოგები გულზე სკდებოდნენ: გაჩერდა ეს ოხერი, თუ რა ჰირი დაემართაო...

ფუთულამ ცხენის ერთი ძველი ნა-

ლიც ამოარბენინა ეზოდან და სიმძიმეს მიუმატა...

ბოლოს, როგორც იყო, მიიტანა სული საათმა თორმეტამდე, მაგრამ ბიჭიკო და ნანა არც შუალამის მატარებელს ჩამოჰყენენ.

ისევ დილის მატარებლისათვის უნდა გვეცადნა.

გოძომ ბოდში მოუხადა მეზობლებს; სისხლი გაშრობოდა, ცალკე ამ ხალხისა რცხვენოდა, ცალკე — ძმაზე და რძალზე ფიქრი აწუხებდა: მარცხსა და ხიფათს თვალი არ უხელია, ვინ იცის, რა შეემთხვათო.

ეს აწუხებდა მარგალიტასაც და ნანას მშობლებსაც.

ყელში გვალვაჩამდგარი მეზობლები

შინისკენ გაიკრიბნენ და იმ ღამეს, ალბათ, ყველას ესიზმრებოდა.

შემიწკინებელი ვარკვლავები კბილებით...

მრგვლად მოხარული დედლები...

შემწვარი წიწილები...

ნაკვერჩხალშერჩენილი, შიშინა მწვადები...

ნიგვზიანი ფხალი და ცხელი მკაღი...

სქლად დაჭრილი სულგუნი...

ბაეის წვენიდან ამოშვერილი ინდაურის ბარკალი...

დასათლელი ბეჭი...

მსხლის, ვაშლისა და ატმების მთა

და — ღვინის რიონი...

პირადად მე დამესიზმრა: ვითომ ზღვა ფაფად ქვეუღიყო და კოვზი ვერსად ვერ ვიშოვნე...

ბაპირვეზის ტალკვენი

დილით ის იყო სადგურზე გასვლას ვაპირებდით, რომ ფოსტიდან ქალის ხმა შემოგვესმა:

— მარგალიტა ბიცოლა, მოდიო ტელეფონთან, ბიჭიკო რეკავსო.

ოდესიდან რეკავდა ბიჭიკო: ამხანაგები ოდესაში საექსკურსიოდ წავიდნენ, საშველი არ მოგვეცეს და ჩვენც წავვიყვანეს. ნურათფრისა ნუ შეგეშინდებათ, ამ ათ დღეში მანდ ვიქნებითო...

გოძომ ფოსტამდე მირბენას ორიოდ წუთს თუ მოუნდა, აქეთობისას ორი საათი მოათრევდა ფეხებს, ხელები ზურგს უკან ეწყო და ისე მოდიოდა...

ბიჭიკო არაფერ შუაში იყო, — რა იცოდა, თუ შინ ქორწილს უმართავდნენ!

შეცდა გოძომ: ცაში მწყერი მიფრინავდა და მან ძირს შამფურის თლა დაიწყო.

მარგალიტამ შვებით ამოისუნთქა: მაღლობა უფალს, ცოცხლები ყოფილან და ეს ხორაგი თუნდაც ძალღებს შეუქამიათო.

ძალღებივით მშვივრები კი ვიყავით მეზობელ-მოკეთებები, მაგრამ მართლა ძალღობას ვინ იკისრებდა!

— მოუხსნდეთ და ჩვენ ვკამოთ, —

თქვა გოძომ, მაგრამ ჩვენ ქამარი კიდევ შემოვიკირეთ და სუფრას არ გავეკარეთ.

თავბატიეს ვიდებდით, თორემ თითოსთვის თითო ბეჭი რომ დაგედოთ, ყელზე არცერთს არ დაგვადგებოდა.

ბოლოსდაბოლოს, მაინც ჩვენ უნდა გვექამა და გვესვა, მაგრამ უნეფედედოფლო ქორწილს რა გემო ექნებოდა!

ამ გამოუვალი მდგომარეობის მესერს ერთი, ასე, უუღლო ღორისთვის საკმარი გასაძრომი მოუნახა იულონმა.

ჩვენც არ გვეკეთა უღელი და იმ მესერის გასაძრომში ადვილად გავეტყით.

საქმე შემდეგში მდგომარეობდა:

იულონს ერთი მეზობელსოფლელი, თავისი მოყვრის ქალიშვილი ადრევე ჰყავდა გოძოს საცოლედ შეგულბებული. ამაზე წინათაც ბევრჯერ უსაუბრია გოძოსთან. ქალი თანახმა ყოფილა გაჰყოლოდა მჭედლის ვაჟს, მაგრამ გოძოს მაშინ ჯერ კიდევ უბძუტავდა გულში ძაბულისა შერთვის იმედი და თავი შეიკავა.

სწორედ ეს შეახსენა ახლა იულონმა მასპინძელს:

— ხარჯი ხარჯია, ბარემ შენ შეირთე ქალი და გემოზე გვაჭეიფეო!

იულონმა ეს რომ უთხრა გოძოს, ჩვენსკენ მობრუნდა, ფიჭრის დრო მისცა მშვედელს.

გოძოს ერთ წაშში გაურბინა თვალწინ დაბუღიასთან შეხვედრებმა, ტკბილმა დღეებმა. შემდეგ მარულა, დაბუღიას მამის უშვერი სიტყვები და ბროწეულის სახრის ვემო გაახსენდა.

იულონის მოყვარე ქალიშვილი გოძოს ბევრჯერ ჰყავდა ნანახი, კარგად იცნობდა და მოსწონდა კიდევ.

ახლა ამ ქალიშვილის სამყაროში შეიჭრა მშვედლის ფიჭრები.

იულონმა გოძო ორქოფულ მდგომარეობაში რომ ნახა, ენად გაიკრიფა და თავისი მოყვარე ქალიშვილი ქებით ცაში აიყვანა: მარტო ჭრა-კერვა რომ იცის, ის რად ღირს, მთელ სოფელს ის აცმევს და ახურავსო..

აქეთ-იქიდან ჩვენც შევაშველეთ სიტყვა ჩვენი გაჭირვების ტალკვესს, იულონს; ვურჩიეთ გოძოს, დაეჭვრებინა უფროსი კაცისთვის.

გოძო კარგა ხანს იდგა თავდადრეკილი.

რა დღეს, რა ხვალ, მაინც სხვა უნდა შეერთო. იცოდა დაბუღიას მამამისი არ გაატანდა.

ბოლოს ასწია თავი და ხელის ჩაქნევით თქვა:

— კარგი... ჯანდაბას... ოლონდ მე ვერ წამოვალ, თქვენ მოიყვანეთო.

ამას წინ არაფერი ედგა, რადგანაც გოძოს იმ ქალისთვის უარი არ ჰქონდა შეთვლილი.

მეზობლებში ჩურჩული ატყდა, მშველას აინტერესებდა ვინ იყო, როგორი იყო იულონის არჩეული, სახელი...

— კი მაგრამ, ის ქალი დაბუღიას ხომ არა გყავს? — გადავუღაპარავე იულონს. — ეგებ არც დაგხედეს სახლში...

— მაგის ჯავრი ნუ გაქვს, მე რომ ვამბობ, ალბათ ნაღიაო, — დაჭვრებით მიპასუხა იულონმა.

მზარეულებმა ისევ აანთეს ჩანავლებული ცეცხლი, მეზობლების მაგიერებში შენახული ხორცეულის წამოსაღებად ქალები დაგზავნეს..

მარგალიტა ჯერ კიდევ ბურანში იყო, ვერ ხედებოდა რა ტრიალებდა მის ირგვლივ.

ღიღი ხნის ოცნება უსრულდებოდა მარგალიტას და ამ უეცარმა სისხარულმა დააბნია ალბათ.

გივი გოძოს გამხიარულებას ცდილობდა: ასე არ ჯობია, კაცო? აბა, სანამ უნდა უცადო იმას (გულისხმობდა დაბუღიას), ხომ ხედავ, უარს გუბნებიაო.

ზაური მზარეულს შეშას უჩეხავდა და კმაყოფილებით იღიმებოდა.

მხოლოდ ფუთულა მიმჯდარიყო ეზოს ბოლოში განმარტოებით, ყურეზ-ჩამოყრილი, და ბოღმას გულში იკლავდა.

— ნეტავ წამეგო იმ დღეს მარულაშიო, — ამას ნატრობდა ბავშვი.

იულონმა გამყოლად რამდენიმე კაცი შეარჩია, მეც მთხოვა ვხლებოდი, ერთი ქალიც გავირიეთ, სულის დასაბმელად ცოტა წაიხემსეთ, ჩავსხედით შვიდადგილიან მსუბუქ მანქანაში და გავეფრინდით პატარძლის მოსაყვანად.

შიშა არაბი

გზადაგზა ვოხუნჯობდით, ვიცინოდით. გვიხაროდა, გოძომ რომ დაგვიჭერა და უარი არ თქვა ცოლის შერთვაზე.

ამსობაში მივადექით იულონის მოყვრის სახლსაც.

იულონმა მანქანა ზედ კიშკართან გააჩერებინა, ჩვენ გვთხოვა ჯერ არ

გადმოვსულიყავით, მარტო გადავიდა და მასპინძელს ვასძახა.

ეზოში სულდგმულის ქაჭანება არ იყო, მხოლოდ ხზო ება ერთგან, მასაც მზე დადგომოდა და გადამბმელი ჯერ არ გამოსჩენოდა.

— მაინძელოო! — კიდევ დაიძახა იულონმა.

სახლიდან ერთი ქვაბიძირა გოგო გამოტანტალდა; ეტყობოდა ნამძინარევი იყო, თვალებს იფშენეტდა.

ეს თუა ჩვენი საპატარძლო, ავშენებულვართ-მეთქი, გავიფიქრე.

დიასახლისი მეზობლისას ყოფილიყო გადასული.

იულონის ხმა რომ გაიგონა, ალაგზე გადმოფლატუნდა და, დედა, შენ შემოგვევლე, დედა, შენი ჭირიმეს ძახილით გამოიქცა; თავსაფრის წვერით ტუჩები მოიწმინდა და ვადაეხვია დიდი ხნის უნახავ იულონს; გზაზე მანქანა რომ შენიშნა, სტუმრები გადმოიყვანეო, ითხოვა.

— შენს მეტი არავინაა სახლში? — ჰკითხა იულონმა, — სადაა ილიკო, გრიშა, თათუშა...

თათუშა, ჩვენი საპატარძლო, განგებ ბოლოს იკითხა იულონმა და მისი ამბავიც ბოლოს გაიგო დიასახლისისაგან.

— ილიკო ყანაშია, საცაა მოვა. გრიშა აქ იყო ახლა... გრიშა, სად დაიკარგე, ბიჭო, — გასძახა მასპინძელმა, მერე ისევ იულონს მოუბრუნდა და დასძინა: — თათუშა?.. თათუშა გავათხოვეთ, ბენა. არ გავგიგია?..

მეხი რომ გავარდნილიყო და დაგვცემოდა, იმაზე მეტი არაფერი მოგვევიდოდა, რაც ამ სიტყვების გავგონებაზე მოგვევიდა.

იულონს თავისი დამართა, მაგრამ აქ რამის შემჩნევა არ შეიძლებოდა და მანაც შეიმაგრა თავი; შინ შესვლაზე

უარი მოახსენა დიასახლისს: გსოდ/გამოვიარეთ, საჩქარო საქმეზე შევდგარეთ.

სიხარულით

დიასახლისმა თავი მოიკლა: ერთი წუთი დამიცადეთ, თითო არაყი მაინც გადაკაჩითო.

სამზად სახლში შეფართაშდა და მალევე გამობრუნდა, ხელში არყით საესე ბოთლი და რამდენიმე ჭიქა ეჭირა.

იმ ქვაბიძირა გოგოს თეფშით თხილი და ვაშლი მოჰქონდა. თვითონ ერთი ვაშლი უკვე ეგდო ხელში და კბეხდა.

მე გულში მწარედ მეცინებოდა: ასე გინდა, ჩემო იულონ, წინდაუხედავად რომ აკეთებდი საქმეს, რა გეგონამეთქი.

იულონი იდგა გაღაბულივით.

რადგანაც დიასახლისი არ მოგვეშვა, მანქანიდან გადმოვყვდით და თითო არაყი გადავკაჩით.

იულონმა, მღელვარების დასაფარავად, წამოსვლის წინ დიასახლისს ხბოზე მიუთითა და ნამალადვეი ღიმილით უთხრა:

— შესაწვავად ხომ არ გინდა ეს ბოჩოლა, ჩრდილში გადააბიო.

სად ჰყავდა პატრონი, თორემ ის ხბო ასაშვები იყო ახლა და იულონი იყო დასაბმელი, თავისი უგუნურობით ასეთ გასაკირში რომ ჩაგვავდო.

იმ თითო ჭიქა არაყმა სულ ჩაგვიტუტა გულ-მუცელი. ცეცხლი წაგვიკიდა.

პლატონას დუქანი

მანქანის უკან მობრუნება აქ აღარ შეიძლებოდა, რადგანაც იულონმა აქი გზად გამოვიარეთო მოახსენა დიასახლისს, და სულა უნდა განგვეგრძო.

სოფელს გავშორდით, მივდიოდით უმისამართოდ.

შინ დასაბრუნებელი პირი არცერთს არ გვექონდა, ხმას არცერთი არ ვიღებდით.

ბოლოს მე ამოვიდგი ენა:

— შე კაი კაცო, გვეპატიებოდა ის ქალი და ბარემ დავრჩენილიყავით,

ეგება რამე ექმია. საცრის სათხოვნელად ხომ არ იყავი მისული, უცებ რომ გამოიქეცი, — გავუხუმრე იულონს.

იულონმა გაიღიმა, მაგრამ ვაი ასეთ გაღიმებას.

მეორე სოფელში გავედით.

გადავწყვიტეთ რაიმე კბილგასაკრავი გვეშოვნა.

მძლოლსაც გამხმარი ჰქონდა კუჭი შიმშილით და საქმლის ხსენებაზე უცებ დაამუხრუჭა მანქანა.

ვილაც ბავშვს ვკითხეთ, სასადილო ან ღუქანი მიესწავლებინა.

— იმ მოსახვევეთანა პლატონას ღუქანი, — გვიპასუხა ბავშვმა.

ორიოდე წუთის შემდეგ უკვე ღუქანთან ვიდექით.

აბრაზე წავიკითხეთ სოფლის სახელწოდება, ნაესაკოვოში ვყოფილვართ. ყველანი უსიტყვოდ გადმოვედით.

ახლა დაღევა და კარგად გამოუყუევა თუ დაგვამშვიდებდა! ბოთლი ღვინო მისწრება იქნებოდა ჩვენთვის, თორემ გასახსენებლადაც არ გვსურდა გაგვეხსენებინა, რა მოლოდინსა და სამზადისში იქნებოდნენ იქ, მჭედლის სახლში.

მელუქნე სწორედ ღუქნის დაკეტვას ამირებდა, მაგრამ უცხო ხალხი რომ გენახა, ხათრი არ დაგვიგდო და შეგვიპატიოა.

პლარაშერეული, აწყებილი უღვაშები ჰქონდა მელუქნეს. ეცვა ქიშმირის გაცრეცილი ხალათი და გალიფე. წალზე ერტყა ხელის სიფართე, სამხედრო ქამარი. გალიფეზე ჰრელი წინდები ეცვა, ქინძისთავით დამაგრებული.

ღუქანი ზედმიწევნით უნივერსალური ჩანდა. აქ იყიდებოდა ყველაფერი: რკინა-კავეულები, ძეხვი, საპონი, ტკბილეული, ფართალი, ღვინო, არაყი, ნავთი, წიგნები, რვეულები... არ იყო მხოლოდ პური.

— პლატონას სიცოცხლე, — ძველი ნაცნობივით მივესალმე შესვლისთანავე.

— ვინაა, კაცო, შენი პლატონა, — ცხვირი აიბზუა მასპინძელმა.

გამოირკვა: ამ ღუქანში ოდესღაც უმუშაენია პლატონას და იმ დროიდან შერჩენია „პლატონას ღუქნის“ სახელი.

— ახლა, ალბათ, პლატონას ძვლებიც არ არის მიწაშიო, — აგვიხსნა მელუქნემ.

ჩვენ პლატონას ძვლები სრულებითაც არ გვანტერესებდა, ჩვენ სხვა რაიმე, კბლის გასაკრავი და ყელის ჩასასველებელი გვინდოდა.

მელუქნეს თურმე ეს ღამე ღუქანში

უნდა გაეთია და შინიდან მისთვის ვახშამი მოეტანათ.

არქანელის

ჩვენ ცივი მქადი გვენატრებოდა. შემწვარ დედალზე არ გვილაპარაკნია, თუმცა მელუქნის ვახშამში შემწვარი ქათმის ნაწილებიც აღმოჩნდა.

ვაახაროს ღმერთმა, კარგი მქამელი ყოფილა ალბათ, ვახშამი ასე ბლომდრომ მოუტანიათ მისთვის.

დახლზე ვაზეთი ვაგვიშალა და ხორავი დააწყო, ღვინო ვახსნა...

ოლონდ ჰიჭა არ ჰქონდა ერთის მეტი და ჩვენც რიგრიგობით, ღობურად დავიწყეთ სმა.

ღვინო ისეთი იყო, კაქკაქს დააჩხავლებდა. ჩვენ, მოკლას ხარი თივაშო, ვთქვით და კაი ოჯალეშვიით ჩავირაკეთ ყელში. თავშიც ღონივრად შეგვიჯდა.

რომ შეგვიკვიდით, მელუქნეს ჩვენი გასაქირიც ვუამბეთ.

მელუქნემ ბოლომდე რომ მოგვისმინა, სიცილისაგან კინაღამ გული წაუვიდა, ვადაბრუნდა და ვადაფიჩინდა, ღამის ხელში შემოგვავკვდა კაცი.

— თქვე მამაცხონებულებო, პატარძალთან ხეირიანად ვერ მორიგებულხართ და ქორწილს ვისთვისღა ამზადებდითო...

ცამდის მართალი იყო!

— სასიძო რომელია? — გვკითხა ბოლოს.

მას ჩვენს შორის ეგონა სასიძოც. თვითონ არ წამოგვყოლიაო, რომ ვუთხარით, ამაზე მთლად გადაირია.

შევეყვით და შევეყვით სმას. ცოტათი ყური შევიხურეთ.

მელუქნეც შეთვრა. გარედან სიმღერა შემოგვესმა და მალხის წინ გაშლილ მოედანს ვავხედეთ.

ვილაც მთვრალი, შუახნის მამაკაცი ახალგაზრდებს ღუქნისკენ ეპატიებოდა, ფეხზე ძლივს იდგა და კიდევ დასალეკად მოიწევდა.

მე ასეთი მთვრალი ადამიანი ბევრჯერ მინახავს ქალაქში, სასაუბრის კარებთან. ისინი იქ უთენია გამოდიან ქუ-

ჩემში და უპატრონო ძაღლებივით სასაუზმის კარებთან აიტუხებიან ხოლმე; ქიქა არყისთვის თუნდაც სულს გაჰყიდო.

სოფლად ათასში ერთს თუ შეხვდებით ამნაირ ლოსს.

ეს უცნობი გამოდგა სწორედ იმ ათასში გარეული ერთი.

ვინ არის-მეთქი რომ ვკითხვ მედუქნეს, მიპასუხა:

— ამსოფლელი ლოთია. რაც ცოლი გარდაეცალა, ფხიზელი არ გვინახავს, ქვეყნის ზედმეტი ბარგი გახდაო.

იულონმა ქიქა გამოსცალა და იკითხა:

— კი მაგრამ, სხვა არავინა ჰყავს?

მედუქნემ პასუხი დააგვიანა, რადგანაც სწორედ ამ დროს ჩაიღო კარგა მოზრდილი ლუკმა; ალბათ ფიქრობდა: ჩემს ვახშამს ესენი მიჭამენ, მშიერი არ დავრჩეო.

ვიდრე ლუკმას მოიგერიებდა და ენას სალაპარაკოდ მოიბრუნებდა, ორმა გამოვცალეთ ჩვენი მიწა-წყლის სადღეგრძელო.

მედუქნემ ცომაგადაყლაბულ ინდაურით წაიგრძელა კისერი და ხითხითი დაიწყო, ეტყობოდა, ამ ლუკმასთან ბრძოლაში რალაც სასაკილო მოიფიქრა:

— ე, ბიჭო, მაგას ჰყავს გასათხოვარი

ქალიშვილი. სიამოვნებით გამოგყვებით.

მე, ცოტა არ იყოს, შეწყინა! დასწით ამ ქუსლდახეთქილ, უბერანგო მედუქნეს! დღეს გაგვიცნო და როგორ გვიბედავს „ბიჭოს“ დაძახებას და მასხრად ავღებას-მეთქი.

გარეთ ლოთი ისევ დუქნისკენ იქაჩებოდა.

— ამ ლოთის ხელში ქალიშვილი კი არა, ვაჟაკი ვერ გასძლებს ალბათ, — სხვათაშორის ჩაილაპარაკა იულონმა.

— ნამდვილი ქალიშვილი კი არაა მაგისი, — სხვათაშორის თქვა მედუქნემაც.

ეს ნათქვამიც ხუმრობაში ჩაეუთვალე და სიტყვა ლობის იქით გადავუგდე:

— ასე რომ დათვერი, დუქნიანად არ მოგიაპრონ ამალამ!

იულონმა ლობის იქიდან ისევ აქეთ გადმომიგდო ჩემი სიტყვა:

— აბა ვისი შვილია? — ჰკითხა მან მედუქნეს.

მედუქნემ უღვაშები აიგრიხა:

— მაგ. გრძელი ამბავია...

ჩვენ რომ არ დავუჩოქეთ და ყელგამოწევით არ შევეხვეწეთ ვილაც ქალის ამბის მოყოლა, ღორის ქონით დაირბილა ყბები და თვითონვე დაიწყო; ეტყობოდა, ლაპარაკის იშტაზე მოვიდა.

უსუნობი ქალის ამბავი

— ამ ლოთის ცოლი შარშან გარდაეცალა, — დაიწყო მედუქნემ, — საკუთარი შვილი არ ჰყოლია, ცოლსმოყოლილი ბავშვი თავის გვარზე ჰყავდა ჩაწერილი და შვილად გაზარდა. იმ გოგოს დღესაც მკვიდრი მამა ჰგონია ეს ძაღლი მამაძაღლი.

ჩვენ ვერ მივხვდით რატომ ბრახობდა მედუქნე ლოთზე, რატომ უწოდებდა მას „ძაღლ მამაძაღლს“.

ვილაც ქალის ამბავი მაინცა და მაინც არცერთს არ გვაინტერესებდა, მაგრამ ზრდილობისათვის, ცალყბად ვთხოვეთ განეგრძო და ისიც არ დაგვზარდა.

— ერთხელ გვიან ღამით მომიხდა

შინ დაბრუნება. ჩემს აქეთ ცხოვრობს ტიმოთე (მივხვდი, რომ ტიმოთე ლოთის სახელი იყო).

სოფელს ეძინა, მარტო მათი ფანჯარა იყო განათებული.

ქალის ცრემლნარევი ხმა შემომესმა.

ალბათ, კიდევ მთვრალი მოვიდა ტიმოთე და არ წვება, ქალიშვილს აწვალებს-მეთქი, ვიფიქრე და ფანჯარაში შევიხედე.

შევიხედე და ნეტავი არ შემეხედნა! გოგოსთვის კაბა ნახევრად შემოეხია მთვრალს, ეხვეოდა, კოცნიდა, კაბის მთლად გახდას უპირებდა...

გოგო იბრძოდა:



— რას შერები! მე ცილა ვარ, სხვა ვინმე ხომ არ გგონივარო!..

მაგრამ ტიმოთე ყურს არ უღებდა. იმ წუთში რომ არ გამოქცეოდა ცილა თავის მამინაცვალს, მოვკლავდი იმ ლოს და კაცის ცოდვა დამედებოდა. მაგრამ იმარჯვა ცილამ და თვეზივით გაუსხლტა ხელიდან.

ტიმოთე ბარბაკით დაედევნა, ფეხი რალაცას გამოსდო, იატაკზე გაიშლართა და არ განძრეულა, ალბათ, იქვე ჩაედინა.

ფანჯარას მოვშორდი და ცილას დავედევნე, მეშინოდა, თავისი თავისთვის რაიმე ცუდი არ აეტეხა.

სწორდაც მოვიქციე, — თმებგაშლილი და სამოსშემოფლეთილი ცილა თავქვე, მდინარისკენ გარბოდა.

მე რომ დამინახა, მთლად გული ამოუჯდა.

დავამშვიდე:

— მამაშენს, ალბათ, სხვა ვინმე ეგონე, ჩემო ბიძია. აი, ნახავ, ხვალ არაფერი ეხსოვება!...

სხვა რა უნდა მეთქვა? იმას ხომ არ ვეტყვოდი, ტიმოთე მისი მამინაცვალი რომ იყო!...

იმ ღამეს ჩემსას წავიყვანე და ჩემს ვოგოებთან მოვასვენე. შინ ვიცრუე: ვზაში ვილაც ვივინდარა დახვედრია-მეთქი...

დილით მე თვითონ მივედი ტიმოთესთან. საღაც წაიქცა, იქვე ეგდო და ეძინა.

ცოდვას ვერ დავიდე, არაფერი ახსოვდა წინაღამინდელი სისაძაგლისა და მეც არაფერი მითქვამს.

ცილამაც სიმთვრალეს მიაწერა ეს ამბავი, მაგრამ იმ ღამის შემდეგ მაინც მორიდებულადაა მთვრალთან, როგორც მტრედი ქორთან; ხან ჩემსას ათევს ღამეს, ხან რომელიმე ამხანაგს მიიყვანს შინ, ჩაიკეტებიან ერთ ოთახში და შიშისგან კანკალებენ.

ასე წვალობს ცილა.

ტიმოთე კი დადის ქუჩა-ქუჩა და თავს ქვევრში იხრჩობს.

სოფელს დიდი თვალი და ყური აქვს,

ჩემო ძმაო, გაუგებელი არაფერი არ დარჩება. მალე გაიგეს იმღამინდელმა ამბავიც.

ის საიდუმლო ჩემს მეტმა ხომ არავინ იცოდა!

კარგა ხანს ვინახე გულში, მერე ცოლს გავანდე. ღმერთი არ გამიწყრეს, სხვისთვის არავისთვის მითქვამს და მაინც გაიგო მთელმა სოფელმა.

ჭორი ტილს ტიკად აქცევსო, ხომ გაგიგონიათ, კარგს დამალავენ და ავს მალე იტყვიან. გაბერეს და გაბერეს ცილას და ტიმოთეს ამბავიც.

ბოლოს, ჩემი თვალით დანახული ამბავი მე თვითონ მომიტანა ერთმა მეზობელმა საიდუმლოდ.

მომიტანა ამბავი, მაგრამ ისე კი არა, როგორც სინამდვილეში მოხდა, შელამაზებულად, გაზვიადებულად.

მართლაც ტიკად ექციათ ტილი.

— ცილას ვაუვია, რომ ტიმოთე მისი ნამდვილი მამა არ არის, და ახლა ღამლამობით ლოგინში თვითონ უწვევბაო...

იცოცხლე, გავლანძღე და გავთათხე ამ ამბის მომტანი: მაგას როგორ კადრულობ, შე უნამუსო, ცილას პატიოსნებაზე ქვებიც კი ღალადებენ-მეთქი. მაგრამ სოფელს პირს ვინ გაუყვარეს!

ასე თითოთ საჩვენებელი ვახდა ეს ანგელოზი გოგო.

წაქცეული ხეა და, ცულიანი თუ უცულო ყველა ზედ შედგა. დანა და ყელი ერთადა აქვს საცოდავს.

სოფლის ბიჭები თუ გაეკარებიან, მხოლოდ რაიმეს გამორჩენის მიზნით, თორემ მის შერთვას არავინ ფიქრობს.

მოკიდეთ ხელი და წაიყვანეთ.

დაამთავრა მედუქნემ და სულის მოსათქმელად ერთი ყლუპი ღვინო მოსვა.

ცოტა არ იყოს ჭკუაში დამიჭდა მედუქნის ნათქვამი.

მე დიდი ნაკითხობით ვერ დავიტრახებ, მაგრამ რაც წიგნი წამიკითხავს, ასეთი ამბავი არსად არ შემხვედრია.

შემეცოდა უცნობი ქალიშვილი — ცილა. ხოლო ამ გალოთებულსა და სმისგან ჭკუადაბლერტილ ტიმოთესადმი ზიზლით აღვივსე.

მორისა და მტრადის საერთო საზღვარი



მედუქნეს ვთხოვე:

— თუ ძმა ხარ, დაუძახე ტიმოთეს, ერთი ახლოდან შევხედო, რა კაცია.

— დაძახება რათ უნდა, — მითხრა მედუქნემ, — გამოვალე კარს და, სმას რომ ნახავს, თვითონ შემოვა.

მართლაც, ამ ხერხით მალე ტიმოთე უკვე ჩვენთან იდგა და გრძელ სადღეგრძელოს ქადაგებდა.

მის ნათქვამს არავითარი აზრი არ გააჩნდა. ერთს რომ დაიწყებდა, უცებ მეორეზე გადახტებოდა.

შეგვიკლა ხელში, არც თვითონ დალია, არც ჩვენ გვასვა. არადა მეტი ჰქონდა არ გვექონდა, თორემ არც დავეუცდიდით, ჩვენც ხომ ჩვენი გულის ჭია გვეყავდა მოსაკლავი!

იულონმა მეტი ვერ მოითმინა და ბოთლით მიიყუდა ღვინო, შემდეგ ქათმის უკანასკნელი ბარკალი აიღო...

სუფრაზე მეტი არაფერი დარჩა და მე იულონს გაგვხუმრე:

— ამხელა ბარკალს რომ დაავლე ხელი, ჯერ კისერი დააზომე და მერე ჩაყლაპე, არ დაგახრჩოს.

იულონს აინუნშიაც არ ჩაუგდია ჩემი ნათქვამი.

იმოდენა ბოლმამ ვერ დაახრჩო კაცი და ქათმის ბარკალი რას დაახრჩობდა!

მედუქნის სუფრა უკვე პირწმინდად მოვასუფთავეთ და ახლა ბისკვიტს ვაყობდებით ღვინოზე.

ტიმოთე ლოთმა ორიოდე ქიქის დალევა მოასწრო. ხემსი კი არ გადასცდენია (ეს ლოთობის უტყუარი ნიშანია), დროდადრო წაუპწყენდა პურს და ეგ იყო მისი ქამა.

ლოთობის მეორე უტყუარი ნიშანიც არ აკლდა ტიმოთეს: ქიქისა და ქიქის შუა ბოთლს შეხედავდა, ხომ არ თავდებოდა.

ჩვენ უკვე კარგად შემთვრალეები ვიყავით.

მედუქნემ დაამტქნარა და მუშტის ცემა დაიწყო დაღებულ პირში.

მე მგონი განგებ დაამტქნარა, ქუდე-

ბი ჩამოგვირიგა, ესაოდნა გვეყოფამდე-ნი დაყოვნება, კეთილნი ნებნით და წაბრძანდით, მომასვენეთო.

მაგრამ ჩვენ ფეხის მოცვლას არ ვაპირებდით. ან სად უნდა წავსულიყავით ამაზე უკეთეს ადგილას, სად გვეჩქარებოდა!

იულონმა მედუქნის მტქნარება არაფერად ჩააგდო, თვითონაც დაამტქნარა და გვერდზე გაიხმო იგი:

— ძმობას გეფიცები, ჩვენი სასიძო ცუდი კაცი არაა. ეგება მართლა მოგვახერხებინო ცილას წაყვანა და სირცხვილსაც დაგვხსნაო... გაგონილს ნახული ჯობია, ბარემ ცილაც გვაჩვენო.

მეც შევეუერთდი მათს საუბარს და იულონს მედუქნის მოთაფლვაში წავეხმარე.

იქ კი, ნასუფრალთან, ტიმოთე ახალ სადღეგრძელოს ახრჩობდა...

— ასე გადასადგები ქალი არაა ცილა, — იწყინა მედუქნემ, — ჩემს შვილებში გამორჩეული არა მყავს.

— კაცო, თუ არავინ არ თხოულობს, მწინლად ხომ არ უნდა შეინახოთ!

მედუქნე ჩაფიქრდა და გვითხრა:

— მაინც ვინაა სასიძო?

იულონს ოლონდ ვინმეს ქება ათქმევინე და ქიანჭველას სპილოდ აქცევს. თუმცა ვოძოს არ სჭირდება ზედმეტი ქება, თავისი კაცობაც ეყოფა.

და იულონმაც, ალბათ, პირველად თავის სიცოცხლეში, გამოიჩინა სიტყვის ზომიერება:

— დიანოზა დგებუაქე ხომ გაგიგონია, მჭედელი?

— მატარებელმა რომ გაიტანა? — უცებ მიხვდა მედუქნე, — საწყალი! როგორ არ გამოიგია, კარგადაც ვიცნობდი, ოქროკაცი იყო.

დიანოზა მჭედელი მედუქნის ნაცნობი რომ გამოდგა, სრულებითაც არ გამკვირვებია, მას ყველა იცნობდა მთელს რაიონში.

იულონმა საუბარი არ გასწყვიტა:

— პოდა, სწორედ მაგ დიანოზას უფროსი ვაჟია სასიძო. მამამისზე ნაკლები არაფრით არაა, ოქრო გული აქვს და ბაჯალლო ხელი.

მედუქნე გომოს არ იცნობდა თურმე, მაგრამ, ცალკერძ დიანოზას ხათრით, ცალკერძ ჩვენი პატივისცემით, უარი არ გვითხრა ციალას წაყვანაზე, ოღონდ ეს კი დასძინა:

— დახმარებით მე ვერაფერს დაგეხმარებით, თქვენ თვითონ, როგორც ესურდეთ, ისე მოიქეცით, მე პირში წყალს დავიგუებ და თვალებს დავხუჭავო.

თვალს თუ დაივსებდა და ენას თუ ჩაყლაპავდა, მაშინ მედუქნის ფასი იგივე იქნებოდა, რაც იმ გამოცლილი ბოთლისა, დახლზე რომ იდგა. ჩვენ სწორედ მისი თვალი და ენა გვკვირდებოდა...

მე სოფელიცა ვარ და ქალაქელიც, ამდენად მეტი მოხერხებულობაც მაქვს (ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია). ამიტომ ციალას წაყვანის საქმე მე ვითავე და ცდა ბედის მონახევრედ გავიხადე.

უკვე ქათმების შესხდომის დრო იყო.

ვიცოდი, დილამდისაც რომ არ მივსულიყავით, მეჭორწინენი მაინც დაგვიციდიდნენ. ან ჩვენს იქით რა გამოსავალი ჰქონდათ, რომ არ დაეცადნათ!

ამიტომ ცოტა დინჯად მივყვეით საქმეს.

ტიმოთე ღვინისაგან უკვე ისე იყო გაბრუებული, აბრეშუმის ძაფივით დაიხვევდი თითზე.

მეც პირველი შეტევა მისკენ მივმართე.

— პატივცემულო ტიმოთე, — ვუბნები და თან ჭიქას ვუვსებ, — ახლა თქვენ ნაღვინევი ბრძანდებით, დასვენება გკირდებათ. ჩაბრძანდით ჩვენს მანქანაში, სახლამდე მიგაცილებთ.

არ ვიცი, გაიგო თუ არა ჩემი ნათქვამი, ეს კია, რომ ხელები გაშალა, ო, შენ გენაცვალეო, მომადორბლა ცხვირპირში და კოცნა დამიწყო.

ჩვენმა თანამგზავრებმა მე და იულონს ციალას წაყვანის საქმეზე ხერხობულობა რომ შეგვპოტყენა, მისცინდა დაგვყარეს: მოეშვით მაგ ზღაპრებსო.

მაგრამ მე და იულონი მაგრად დაედქით ჩვენს გადაწყვეტილებაზე.

დალეული ღვინოც გვიღიბინებდა თავში და გვაქეზებდა, შეუძლებელს შესაძლებლად გვიხატავდა.

აქ მე გამახსენდა აბულ-ფარაჯის „გასართობ ამბავთა წიგნში“ წაკითხული ერთი ადგილი:

„ღვინო ადამიანში ამქლავნებს ოთხ თვისებას.

დასაწყისში ადამიანი ფარშავანგს ემსგავსება — იგი იფხოვრება, მისი მოძრაობა ნარნარი და ამაყია.

შემდეგ ამქლავნებს მაიმუნის თვისებებს და იწყებს ყველასთან ხუმრობასა და ლლაბუცს.

მერე ემსგავსება ლომს და ხდება გულადი, თავის მოიმედე და თავის ძალაში დარწმუნებული.

ბოლოს კი ღორად იქცევა და გორაობს ტალახში“.

მე და იულონი უკვე „ლომები“ ვიყავით და თავი ყოვლისშემძლედ მიგვაჩნდა.

დანარჩენებიდან: ჩვენი თანმზლები ქალი ფარშავანგობა არ ასცილებია. მამაკაცები მაიმუნობას უახლოვდებოდნენ. ტიმოთე უკვე მეოთხე საფეხურზე იმყოფებოდა და სუფრის ნარჩენებში თავჩარგული ტკბილად ღრუტუნებდა.

სულ ხუთიოდე წუთში იგი ძმად გავიხადე.

ახლა მთავარი იყო მედუქნის გადმობირება.

ადგილის კურდღელი გვეყავდა დასაჭერი და ადგილის მწვევარი გვკვირდებოდა.

მედუქნემ გამოყოლაზე ისევ უარი გვაჯახა და ქვაზე შედგა, ვერაფრის დიდებით ვერ გადმოვათრიეთ. მაგრამ მე იმდენი „ვულოცე“ ხან „თვალნაკრავისა“, ხან „უქმურისა“, იმდენი ვულიტინე და ვულოლიავე, რომ ბოლოს თვითონვე გადმოვაბტუნე იმ „ქვიდან“.

ჩავსხედით ყველანი მანქანაში, ჩავიწყეთ ღვინოებიც და პირდაპირ მივადექით ქორისა და მტრედის საერთო საბუღარს.

ქიშკართან ორი ქალიშვილი იჭდა — ნაცრისფერკაბიანი და ქრეცკაბიანი.

— ციალა, სტუმრები არიან თქვენთან, — მიმართა მელუქნემ ერთერთს.

— მობრძანდით, — თავაზიანად მიგვიპატიყა ნაცრისფერკაბიანმა.

მივხვდი, სწორედ ეს იყო ჩვენი სარძლო.

მთვარის შუქზე ტანის გამოყვანილი ნაკეთები უჩანდა, სახე კი კარგად ვერ გავარჩიე.

მანქანიდან ტიმოთე რომ „გადმოვასვენეთ“, ციალას არც გაკვირვებია, ჩანდა შეჩვეული იყო ასეთ რამეს.

ციალას მეგობარმა ქალიშვილმა წასვლა დააპირა, მაგრამ ციალამ დარჩენა თხოვა. მასაც დიდი პატიყი არ დასჭირვებია. რა თქმა უნდა, ისიც აინტერესებდა, ვინ ვიყავით ჩვენ.

მე ცალი თვალი გადავკარი ციალას ამხანაგს...

მალე სადარბაზო ოთახში შუქი აინთო, სუფრა გაიშალა და ჩვენი ირგვლივ შემოვუსხედით.

ახლა შუქზე დავაკვირდი ჩვენს სარძლოს.

როგორც საერთოდ ყველა სოფლელ გოგოს, მასაც სახე და მკლავები მზეზე ჰქონდა დამწვარი.

ჩამოსხმული, შოლტივით მკლავები ჰქონდა ციალას და მე დავრწმუნდი: ასეთი მკლავების პატრონს არ შეიძლება ცუდი ფეხები ჰქონოდა.

პატარა, ფოთლის გამოყვანილობის ტუჩები თითქოს კაკლის წინგოთი ჰქონდა შეღებილი, თმა წმინდად დაევატენა...

რაც მთავარია, გოდო წუნს ვერ დასდებდა ამ ქალიშვილს.

ცუდი ყოფაქცევანისა არაფერი ეცხო, მისი პატიოსნება უფროდ ლაპარაკობდა ჩემს გასაგონად.

ციალა და მისი მეგობარი ქალიშვილი გაოცებულნი გვიყურებდნენ, ვერ

მიმხვდარიყვნენ, რისთვის ვიყავით მოსული.

ეროვნული

ქიქები შევავსეთ. *გიგლიოთიქა* ჩვენს მიერ წინასწარ დათქმული გემით საუბარი მელუქნეს უნდა დაეწყო.

რამდენჯერ გავკარი მუხლი: მიდი, დაიწყე-მეთქი, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დავქოქე. კლიტე დაიდო პირზე.

ბოლოს მთელი ძალღონით დავაპირე ფეხის თითებზე ჩემი ნალდაკრული ფეხსაცმლის ქუსლი.

მელუქნემ ახლა კი დაალო პირი და მშობიარე ქალივით შეჰკვივლა: კლავენით ძლივს აითრია წელი.

თურმე ზედ მზოლზე დამიკრავს ქუსლი.

— ბოდიში, მამატიე, ჩემო ბატონო, — მოვებოდიშე, თითქოს უნებლიედ დამედგას ფეხი.

მასაც მეტი რა ძალა ჰქონდა, ისევ კლავენით დაეშვა სკამზე და მე გაპიპინებული ჰქია შევაჩეჩე ზელში.

იულონმა ოჯახის სადღეგრძელო შემოგვთავაზა და ამით უხერხულობიდან ნაწილობრივ გამოგვიყვანა.

ტიმოთე ლოთი, ამ ოჯახის უფროსი, ხმას არ იღებდა, ცალ ზელში ჰქია ჰქონდა ჩაბლუჭული.

ის მხოლოდ ფიზიკურად იყო ჩვენთან, სწორედ ისევე, როგორც მაგიდაზე დადგმული, ღვინით სავსე, თავწატეხილი დოქი.

ქიქები ერთმანეთს მიეუქახუნეთ და თითო-ოროლა სიტყვით ეუსურვეთ ოჯახს ბედნიერება...

მელუქნეს სიტყვა არ დაუძრავს, მხოლოდ გაგვიღიმა. ჰქია თავზევით ასწია და მერე სულმოუთქმელად გამოსცალა.

მინდოდა ყრონტში ვცემოდი. მაგრამ ეს საქმეს სულ გაგვიფუტებდა.

დუქანში რომ ვიყავით, ვფიქრობდი: ყველაფერს იოლად გავაკეთებ-მეთქი. ახლა საქმის პირისპირ აღმოვჩნდი და შევშინდი. უკან დახვევა კი უკვე აღარ შეიძლებოდა.

მელუქნეს შევატყე, ხმის ამომღებო რომ არ იყო, და ამიტომ მე დავიწყე.

— დიდად პატიყემული ტიმოთე...



საქმისთვის ასე სჯობდა და ამიტომ დაეიწყო ტიმოთეთი, თორემ კარგად ვიცოდი, ტიმოთე ვერაფერს გამოიგებდა. თავისი სახელი რომ ჩაესმა, ერთხელ ამომხედა ცალი თვალით და ისევ გამისხლტა სულიერ-გონიანად, ისევ ჩაბარდა თავის უფალს, ბახუსს.

მეც ეს მინდოდა, ციალს მივუბრუნე ხელეგაშლილი:

— მამაშენი რაკი ასეთ მდგომარეობაშია, ნება მიბოძეთ თქვენ მოგახსენოთ-მეთქი.

თამამად გავშალე პირის ქარი და მი-

ვუწვი წყალი წისქვილის ღარში. სულ ქადაგად დავეცი.

ვლაპარაკობდი კრებაზე გამოსული მომხსენებლის ტონით.

ციალს დაყოლებოდა საფანდო საქმე იყო და მეც გამოვუნახე ფანდი: გადავწყვიტე უპირველესად ჩვენი თავი გამოეცნო ქალიშვილისათვის, ვინ ვიყავით. რას წარმოვადგენდით. ცოტათი ამეწია ჩვენი ავტორიტეტი, ყველანი დიდი თანამდებობის, პასუხისმგებელ პირებად წარმომედგინა, რომ უარის თქმა მორიდებოდა ციალს.

ზანდი

მე ვიცი რატომ მაქვს ორი ყური და ერთი პირი: ბევრი უნდა მოვისმინო და ცოტა ვილაპარაკო.

ამ შემთხვევაში ცოტა ლაპარაკი არ გამომადგებოდა.

იულონს ჩვენზე ორი-სამით მეტი პერანგი აქვს გაცვეთილი და მეც მისგან დავიწყო გაცნობა:

— ეს გახლავთ, ჩემო ციალა, ჩვენი რაიონის განათლების განყოფილების გამგე...

ისეთი ტყუილი გამომივიდა, მკედარსაც ფეხებს გააქნევინებდა. მაგრამ ჩემმა ამხანაგებმა ივაყვაცეს და სიცილი შეიკავეს..

იულონმა კი ყურზე პეშვი აიფარა: ეს რაებს როშავსო; გაკვირვებისაგან ქვედა ტუჩი ჩამოუვარდა.

მე ისე ჩავუჯარი თვალი, ვითომ ჯოხი დამეკრას მისთვის თავში. უცებ მოეგო გონს, მიხვდა ჩემს ოინს და მართლა განათლების განყოფილების გამგის გამომეტყველება მიიღო, თითქოს ფოტოგრაფის წინაშე მქდარიყოს.

იულონი განათლების განყოფილების გამგე კი არა ვეტყუქანია. ისე, შესახედავად ტარიელივითაა.

იმ საღამოს მინისტრს არ ჩამოუვარდებოდა შესახედავად. პალსტუხიც კჭონდა წაჭერილი ყელში.

მეც ავიღე აგურის ნატეხი და ლალად

გავასაღე, რა არი და, წითელია-მეთქი.

ჩვენი სოფლის დალაქმა ჩაიჭირქილა.

— დამაცა. შენთვისაც მოვიცილი. — გავივლე გულში და თვალიც დავადგი. თუმცა ციალსთვის მის გაცნობას ჯერ არ ვაპირებდი.

თან უნებურად ხელი ჩამოვისვი მის მიერ დილით გაპარსულ, ბლაგვი სამართებლით დასერილ ლოყაზე და ახლავე მომინდა სამაგიეროს ვადახდა.

ჩვენს დალაქს წვერი არ ასხია, ქოსაა. მხოლოდ მკვახე ნესვის ფუთქურივით აყრია ყბებზე რალაც ბუსუსები.

ხატურზაკივით თავი აქვს.

მიკვირს, რატომ აირჩია ეს ხელობა!

ქოსა დალაქი ჯერ არსად შემხვედრია.

ენის წვერზე დავიჭირე მისთვის სათქმელად წამოსული სიტყვა: „შე ქოსავ, ერთი ხელობა გაქვს. დბებრებულხარ კაცი და ისიც ხეირიანად ვერ გისწავლია“.

ამის თქმის დრო ახლა არ იყო, სამეარმისოდ შემოვიჩინებ.

ახლა მე ვიყავი ავთანდილი, რომელიც მეგობრის გულისთვის არავეითარ გასაჭირსა და სულის წაწყმედასაც კი არ დაერიდა. ვიცოდი რა ნიშა ხარიც მყავდა დალაქი, მაგრამ ნაძალადევად მაინც გავუღიმიე და ზომავზე მეტი მარილი შევავარე ამ უსახურ კაცს:

— ეს ამხანაგი გახლავთ შრომის გმი-

რი, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი (ისე აღუდა გვერდები!).

სახელი და გვარი სულ არ ვუხსენებ, რადგანაც ზომ შეიძლებოდა სკოდნოდა ციალას ჩვენი რაიონის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების გვარები!

კოწია დალაქი თავაზიანად წამოიღვა და ყურებამდე გაღიმებულმა თავი დაუქრა ციალას, თითქოს მართლაც დეპუტატი ყოფილიყო.

მომიგო ღმერთბაღლმა. გამაბითურა.

კოწია დალაქს ბავშვობიდანვე ვიცნობ, დალაქობა თითქმის ჩემს თავზე ისწავლა და ერთმანეთთან შეთამამებულად ვართ, მე მუდამ ქოსას ვეძახი, ის ყოველთვის მიბასუხებს: ჭკუა თავშია და არა თმაშიო. გულით ოქრო გულის კაცია.

ასე რომ, ჩვენ ერთმანეთთან ვალში არ ვრჩებით.

დალაქზე გული რომ მოვიფხანე, ჩვენი დაბის მეფრინველეობის ფერმის თანამშრომელ ზინა ნადარეიშვილს გადავხედე.

ზინას ქათმების კუღში ცქერით. — დადებს თუ არა კვერცხს, რომ გვემას გადავაჭარბოთო, — თვალები მუდამ გადმოკარკლული აქვს.

გავიშვირე ზინასკენ ქიქიანი ხელი და შევლაღადე მისი ქება-დიდება;

— ზინა ნადარეიშვილი, ჩვენი საამაყო ექიმი!

ნათქვამისთვის მეტი დამაჯერებლობა რომ მიმეცა, ხუმრობით დავძინე:

— სასაფლაოზე წასადებად გამზადებულ მკვდარს აცოცხლებს-მეთქო.

ციალამ, მისმა მეგობარმა და მედუქნემ გაიღიმეს ჩემს „ხუმრობაზე“. მეც ოღნავ გამოვჩინე კბილები და უცებ სერიოზული გამომეტყველება დავიბარუნე.

ციალა გაოცებული მიყურებდა. ალბათ. უკვირდა: ნეტავ რა საქმეზე მოსულან, რა უნდათ ჩემგანო!

ჩემი წისქვილი კი ფქვავდა.

ქალის მოტყუებას დიდი თავის ძტვრევა არ უნდა, მაგრამ მედუქნეს კი

ვატყობდი, საცერში გავარდნილი კაცი იყო, ცოტათი ეპვის თვესა და მიყურებდა. ამიტომ ჩემი მომდევნო თანამგზავრი, ჩვენი დაბის ახალი მეჯღანე სევასტი რუხაძე მთელი იმ ახლო-შანლო სოფლების ვაჭრობის ინსპექტორად მოვინათლე.

ვიცოდი, სევასტი რა აბრეშუმის ნაჭერიც იყო, ეს მე ხელის გულზე მეწერა, მაგრამ ჩემგან მიღებული ახალი წოდება მანაც მშვენიერად შეიფერა და ქული გვერდზე გადაიწია.

მედუქნე იმავე წუთს აბულ-ფარაჯის მესამე საფეხურიდან პირდაპირ მეორეში გადმოხტა და მიიძუნევით დაიმანქა; ენას კბილი დააქირა და „ვაჭრობის ინსპექტორს“, რომელსაც ყოველ წუთს შეეძლო შეემოწმებინა მისი დუქანი და ტყავი გაეძრო მისთვის, ძეხვის მოზრდილი ნაჭერი გადაუღო.

ამის მერე მედუქნე სულ წმინდა მოციქულივით იჯდა სუფრასთან და, რაც არ უნდა მეთქვა, ყველაფერზე თავს კიპარისივით აქნევდა.

ჩვენზე უფრო გაცვეთილი ეგონა თავისი თავი, მაგრამ ანგარიშში მოტყუედა.

სევასტის გადიდკაცებაში რომ მოვილაღე, ციალას თავისი გულისყური ჩვენი სკოლის მასწავლებელ კოჩობა კაჭარავაზე გადავატანინე.

ჩვენ აქ სწორედ კოჩობას მანქანით მოვედი, თვითონ კოჩობა უჯდა საჭეს. ეს ციალამაც ნახა და ამიტომ კოჩობას მძლოლად მონათვლა ვარჩიე.

ესეც რომ არ ყოფილიყო, ამდენ „დიდ“ ხალხს ერთი მძლოლი ზომ სჭირდებოდა!

ისევ გადმოვალაგე ცოცხალ-ცოცხალი ტყუილები; დავკარი კოჩობას მხარზე ხელი და იულონის პირად მძლოლად „დავნიშნე“.

ციალა მგონი უკვე მიხვდა, ხელს რომ ვთხოვდი და ჩვენს შორის ეძებდა საქმროს, სათითაოდ გვათვალევებდა.

მე კოწია დალაქზე არ მითქვამს ცოლიანი იყო თუ უცოლო, მიუხედავად

იმისა, რომ მას უკვე მესამე ცოლი ჰყავს. ახლა შევატყუე, რომ ციალას თავისი საქმროს დალაქი ეგონა და უარის სათქმელად მზად იყო.

ტიმოთეს, ციალას მამინაცვალს, თავი მწვანელში ჩაერგო და ხვრინავდა. ყველას გაეცნობა რომ დავამთავრე, გული მე თვით დავიიშვდე: ტყუილის თქმა მისატყუებელია, თუ კაცი ამით ეთოილ საქმეს ემსახურება-მეთქი.

მეც ხომ ვეთილ საქმისთვის ვიკლავდი თავს.

— მასპინძელს პირადად თქვენს თავს რატომ არ აცნობთ? — მკითხა ამ დროს დალაქმა.

მე ვითომ თავმდაბლობამ შემაწუხა. ცოტათი მართლა ამიბოროტიყდა ენა, მაგრამ მაინც იოლად გამოვედი:

— მე... მე ჩემზე რა უნდა მოგახსენოთ (ჭიჭა დავდგი და ორივე ხელი გავშალე), ამათი ამხანაგი ვარ...

დალაქმა დაცინვით ცხვირი ამიკრა. რალაციის თქმას აპირებდა, მაგრამ მე თვალეზი დაუხრიალედ და მოვაკეტინე.

ახლა კი დრო იყო მთავარზე გადასვლისა და მეც ფანქვუცდენლად გავსწიე წინ, ისევ გამოვუშვადე ყურები ციალას:

— მოვედით სასიკეთოდ, სამოყვროდ, საძმოდ...

ციალა სულ მთლად დაიბნა, რალაც საცურების მოლოდინში გული უფართქალებდა.

მე განვებ ვაზვიადებდი მთავარ სათქმელს.

წინასწარვე განვქვრიბე ყველაფერი: გოდოზე ზედმეტის ლაპარაკს შეიძლებოდა ბოლოს ზიანი მოეტანა. თვითონ ციალა ხომ ნახავდა თავისი თვალით! ამიტომ ვთქვი ის. რაც საჭიროდ მივიჩნიე.

მადლობა ღმერთს, დასაწუნი არაფე-

რი სჭირს გოდოს. მართალია, ცოტა ტანდაბალი კაცია, მაგრამ მას უნდა ჰქონდეს ღირსეულობა ისევე არ უშლის, როგორც ნიშანს სიმოკლე.

ვთქვი: გოდოს დიდი ხანია შორიდან უყვარხარ, შენთან სიტყვის თქმა კი აქამდე ვერ გაუბედნია-მეთქი...

გოდოს სახელისა და გვარის ხსენება ციალასთვის სულ ახალი სიმის მოულოდნელი აქლერება იყო. რაკი გაიგო ქოსა არ ყოფილაო საქმრო, შევებით ამოისუნთქა; მერე ერთთავად გაშრა, არ იცოდა რა ეთქვა, საგონებელში ჩავარდა. ქალურმა მოუთმენლობამ მაინც სძლია და თავის მეგობარს გადაუჩურჩულა: ნეტავ გოდო ვინააო?..

ახლა ციალას მომავალი ბედ-იბდლის ქებას მოვეყვი, იმდენი ვილაპარაკე, ლამის ყბები ამოვიგდე.

ვთქვი, როგორი მეოჯახე იქნებოდა გოდო: თუ დასჭირდებოდა, ქვას წყალს გამოადენდა...

ყოველივე ამის შემდეგ ციალას განვუტხადე, რომ იგი ახლავე უნდა გამოგვეყოლოდა, რადგანაც: საქორწილო სუფრა ცერზე შემდგარი გველოდება, თვითონ გოდოს კი პაპისეული ხანჯალი ალესილი აქვს და, უშენოდ თუ დავბრუნდით, ჩვენც დავგზობოცავს და თავსაც არ იცოცხლებს-მეთქი.

ჩვენდა საბედნიეროდ ციალაც იცნობდა გოდოს მამას, აწ განსვენებულ დიანოზას, მისი კარგი შვილების ქებაც გაუგია. ერთს მათს მეზობელს მკედლის ვაყების გაყეთებული რკინის კიშკარიც ჰქონია. გარდა ამისა, გოდოს დასთან, ვერიკოსთან, ბავშვობისას უმეგობრნია კიდევაც ციალას. ერთ წელიწადს მათს სოფელში ისვენებდა თურმე ვერიკო და მაშინ გაუცვნიათ ერთმანეთი.

ყველაფერი ეს კარგის მომასწავებელი იყო.

სახიზათო ფონი

ჩემმა მოოქროვილმა სიტყვებმა მოკლული გული მოუღბო ციალას.

ზოდი გაცხელებული იყო და ახლა

უნდა დავგვეხო ჩაქუჩი და ურო. ვიღარე გაცივდებოდა.

ციალა ჯერ კიდევ წყალგაღმა იდგა

და აქეთ გადმოსვლა ვერ გაეზენდა.

ამდენი და ასეთი „დიდი თანამდებობის“ ხალხი წინ რომ გავუგორდით, ეს უბორკავდა ენას უარის სათქმელად.

მე მაგიდიდან ავიღე დანა, რომლითაც წელან ძეხვიც ვერ გაჰქარი, შევაჩეჩე ციალას ხელში, ყელი გადავიგდე და ვუთხარი:

— ა, გამომისვი-მეთქი.

ციალამ გაიღიმა და ჩვენს იმედს ერთი სხივიც შეემატა.

შევაშველეთ ციალას ხელი და სახიფათო ფონით ფრთხილად წამოვიყვანეთ ჩვენსკენ, წყალგამოღმა.

ახლა საჭირო იყო თავზე ხელის გადასმა, მოფერება, რომ ისევ უკანვე არ გაეტოპა.

ამ მიზნით გადავხედე ჩემს მეგობრებს და ვანიშნე:

— რა ენა ჩაყლაპეთ! ამოიღეთ ხმა, ცოტა თქვენც უკმით გუნრდუქი-მეთქი.

ყველაზე ადრე ზინა მიმიხვდა.

ზინას, ჩემი არ იყოს, ლაპარაკი უყვარს. სამტლუჩინაიო რომ იტყვიან, სწორედ ისეთია, სამი ქალის სალაპარაკო შეუძლია მართომ ილაპარაკოს.

ადგა, ციალას მხარზე ხელი მოხვია და ჩაჰყვა და ჩააბულბულა გაკვეთილივით:

— შენსავით ბედნიერი ქალი მეორე არ იქნება ქვეყანაზე. ბედი გეწვია, ხელიდან ნუ გაუშვებ, დაგვდე პატივი, ენდე ჩვენს სიტყვას და წამოგყვევიო...

ციალა შეწუხდა:

— რას ბრძანებთ! მე მას არ ვიცნობ! მოსულ იყო თვითონ...

ახლა ჩვენს შორის ყველაზე უფროსი — „განათლების განყოფილების გამგე“ იულონი წამოდგა და სიტყვაც ისეთივე ავტორიტეტული თქვა, როგორც განათლების განყოფილების ნამდვილ გამგეს შეეფერებოდა.

მეჭლანე სევასტი დაიბნა: ეს როგორ ფართო-ფართოს ლაპარაკობს, იქნებ მე გამომრჩა და მართლა განათლების გან-

ყოფილების გამგედ არ იყოს დანიშნულიო.

იულონის სიტყვამ მათქმის მხრებზე ციალა. იგი უნებურად ფეხზე წამოდგა და თავი დახარა...

გამოღმა ნაპირამდე ორიოდ ნაბიჯი იყო დარჩენილი და სწორედ აქ გვიშველა მედუქნემ.

ამ მამაცხონებულს თავიდანვე რომ ამოელო ხმა, ჩემი ამდენი ლაქლაქი არც იქნებოდა საჭირო!

მან მამაშვილურად ურჩია ციალას უარი არ ეთქვა ამ პატიოსანი ხალხისათვის.

მედუქნე რომ ლაპარაკობდა, უფრო მეტად „უპრობის ინსპექტორს“ სევასტის უყურებდა და უღიმოდა.

ციალა დუმდა და ეს დუმილი ისეთ იყო, თანხმობის ნიშანიო რომ იტყვიან.

მე თივა შემხმარი რომ ვნახე, უმაღლესი ვიყავი ასანთს:

— აბა, ჩემო ციალა, შენ და შენი ღმერთი, ნურც ჩვენს სიტყვას დაადგამ ფეხს და ნურც შენს მომავალს! მოეშხადე, არ დაგვაგვიანოთ...

მერე ციალას მეგობარ ქალიშვილს მივუბრუნდი და მოუქარგე:

— მოეხმარე, გენაცვალე!..

არ ვიცი, ციალას გულში რა ცეცხლი ტრიალებდა. მან უეცრად სახეზე ხელები აიფარა, აქვითინდა და მეორე ოთახში გავიდა.

საბოლოოდ დავრწმუნდი: ციალა უკვე გამოყვანილი იყო წყალგამოღმა და ახლა უკანვე არ გაგვექცეოდა.

მოხვდა კალმახი ბადეს!

მართალი ყოფილა: ტკბილი ენით მთას ირემი მოიწველაო.

მე მგონი, ოსტატურად გამოვკარაოთ სარმა ჩვენს საქმეს.

მზიარულებამ ამაცტა. ისევ მივუახლოვდი ციალას მეგობარ ქალიშვილს. ბატი-ბუტივით გოგო იყო. მე კი არა, ეშმაკს შეაცდენდა.

ზურგის მხრიდან შიშველ მკლავებზე ხელები შევახე, სახე ყურთან მივუ-

ტანე და წელან ნათქვამი სიტყვები უფრო დაშაქრულად გავუმეორე:

— მიდი, ჭირიმე, მიხსმარე ციალას...

ქალიშვილმა ყელი მოიღერა — მოიწონა თავი, შემომხედა და გამიღიმა.

მარწყველით ტუჩებს ასე ახლოდან რომ შევხედე, ცოტა დამაყლდა, არ ვაკოცე.

ცხონება იქნებოდა მისი ერთი ჩახვევა ამ ლეინოგადაკრულზე. მაგრამ მხრებზე მელტქნის ჯობით ვასატეხი თავი არ მება.

— ახლავე. — ისეთი ტკბილი ხმა აღმოხდა ციალას მეგობარს, რომ ეს „ახლავე“ ნიშნავდა: ხომ ხედავ რა კარგი გოგო ვარ, მომიღე ხელი და წამიყვანო.

მკლავებზე თითები რბილად მოუუჭირე და მისი მხარი უფრო მაგრად მივიკარი გულზე.

მან არაფერი შეიმჩნია, გაინაბა. შემდეგ დინჯად ადგა და ციალას ოთახში გავიდა.

— მგონი გვეშველა. — გადმომიჩურჩულა იულონმა.

წუთით დამავიწყდა ჩვენს შორის მჯდარი მელტქნე (ტიმოთე ანგარიშში არ ითვლებოდა, — გულიანად ეძინა) და კინალამ გადავიხარხარე. მაგრამ დროზე მოვკარი თვალი მის აპრეხილულვაშებს და ხარხარის ნაცვლად „მამ, ერთი პატარა, კარგი მრავალქამიერ“ წამოვიწყე.

სხვებიც ამყენენ.

სიმღერის ჰანგებით აივსო ოთახი.

მე კოწია დალაქს შევხედე, სიმღერის შეუწყვეტლად, კისერი ავწიე და ყელზე საჩვენებელი თითი რამდენჯერმე ვიტაკე, შემდეგ იგივე თითი დალაქისკენ ისრულად გავიქინე ორჯერ. ამით ვანიშნე: ხმა მღალატობს, წამართვი „პირველი“-მეთქი.

დალაქი მიმიხვდა და სიმღერაც უფრო დამშვენდა.

სული რომ მოვიტყვი, პირმოკუმულ სევასტის გაეძახე:

— ჰე, ბიჭო, ბანი მიაშველე!

— შენ რა ბევრი ლეინო მსგეი, რომ ბევრი ვიმღერო.

— აბა, უმღერალი ხმაველი ვიყავი და, გინდ გქონია, გინდ არა, — გავუღიმიე მეგობარს, ჭიქას დავტაცე ხელი და ამ „კარგი, პატარა მრავალქამიერის“ აკომპანიმენტზე დავიბუზუნე:

— ჩვენს ციალას გაუმარჯოს, ჩვენს რძალს! ბედნიერება ნუ მოაკლავს, იცოცხლოს, იბედნიეროს!..

მესუფრებმა ამის გაგონებაზე სიმღერა შესწყვიტეს და, ფრონტზე რომ ვიცოდიტ ხოლმე, ისეთი „ვაშა“ დასქექეს.

ამ „ვაშაში“ მელტქნის ხრინწიანი ხმაც ერია და მე ძლიერ მესიამოვნა ეს. მივუახლოვდი და გულწრფელად გადავკოცე ჩვენი მხსნელი და ვადამრჩენელი.

ტიმოთეს ისევ ეძინა და ჭიქაც მაგრად ჰქონდა მომწყვდეული ორივე ხელში, ოღონდ ცარიელი ჭიქა.

ამ სადღეგრძელოს საყველამინდოც მოვაცოლეთ და სატალახოც. მერე ციალას ოთახში ზინა შევგზავნე, მამაკაცები კი გარეთ გამოვლაგდით.

მე მელტქნეს მხარზე ხელი გადავხვიე და ძმურად ვთხოვე:

— ამაღამ ტიმოთეს მარტო ნუ დატოვებ...

— ჩემი თავი შენ გენაცვალავს, — მითხრა თავფლად დამდნარმა.

დუქანში რომ უნდა გაეთია ღამე, მგონი, სულ გადაავიწყდა და არც მე შემიხსენებია.

ციალა სახლიდან გამოსვლისას კარებთან შედგა და რამდენიმე წუთს იცქირებოდა ოთახში, ღაწვებზე ცრემლი ჩამოსწანწკარებდა.

იგი სამუდამოდ ეთხოვებოდა თავის მშობლიურ ბუდეს, ტიმოთეს — თავის გამზრდელს და, შემდეგ, ოცდაათი წლის მამა-შვილური ამავის წყალში გადამყრელს.

ციალას გულისტკივილის სამართლიანობა ცას შეჰღალადებდა.

ზინამ ხელი ჩაჰკიდა ციალას და წამოიყვანა:

— ნუ სტირი, გენაცვალე. ბედნიერების გზაზე მიდიხარ და ტირილი არ ვარგა.

მე გავიფიქრე: ნუთუ ამ გარყვნილ და ვალოთებულ კაცზე ციალას გული შესტკივა-მეთქი?

შაგრამ, მე მგონი, ციალას გული ტომოთზე კი არ შესტკიოდა, არამედ — თავის სახლკარზე.

ციალას მაშინ უკვე გაგებულნი ჰქონია, ტომოთე მისი ღვიძლი მამა რომ არ იყო.

ციალას მეგობარ ქალიშვილს ჩემოდანი მოჰქონდა, თმა შუბლზე ჩამოშლოდა და ამ მთვარიანში ზღაპრულ ფერიას ჰგავდა.

ვიდრე მანქანაში ჩაჯდებოდა ციალა, მეგობართან განმარტოვდა და რაღაც უთხრა.

შუაგულ წყალში ბატონილი ტაბიკი

ასე და ამგვარად, ბევრი ვეწვალეთ, ბევრი ვინალიჩეთ, ბევრი ოფლი დავიდინეთ, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოვტეხეთ ქიმი ჩვენს საქმეს.

ახლა მთავარი იყო,

— სიჩქარე!..

და კონობაც მიგვაქროლებდა.

ციალას გვერდით ზინა ეჯდა და სულის მოთქმას არ აცლიდა, არიგებდა ქალი ქალს, ამშვიდებდა...

ციალა კი ხმას არ იღებდა, იჯდა გატრუნული და ბედსმინდობილი.

მე დროდადრო გადავხედავდი და, მის ფერმკრთალ სახეს თვალს რომ მოვკრავდი, გული მტკიოდა.

მართლაც სხვა რა გასაჭირი უნდა დასდგომოდა ახალგაზრდა ქალს, თუ არა გამზრდელი ადამიანისაგან უზნეთო მოპყრობისა, რომ ასე ჰაიპარად, საქმროს უნახავად გამოგვეყოლოდა ამ ორიოდ საათის წინ გაცნობილ ხალხს?!

მეცოდებოდა ციალა, მეცოდებოდა წრფელი გულით, წმინდა გრძნობით. მაგრამ თავს მისი მომავლით ვიიმედებ-

მე არ გამიგია, რა უთხრა ციალამ მეგობარს, მაგრამ ვიცო ^{ამას ვტყურობ:}

— ჩემს აქ ცხოვრებას ჯოჯოხეთში ყოფნა მიჭობს. რაც მომივცა, მომივიდეს. იმაზე მეტი რა უნდა დამემართოს, რაც აქ დამმართნია. ამ პატიოსან ხალხში აღბად არ დავიკარგებები.

მედუქნე ყველას დაგვემშვიდობა და რატომღაც მხოლოდ მე გამაფრთხილა:

— იცოდე. ამ გოგოს ცოდვა-ბრალი თავს არ დაიტეხო, თორემ საქმე პირადად ჩემთან გექნებოდა.

ახლა ჩემი საბოლოო სიტყვა იყო საჭირო და რას დავამადლიდი!

— აჰ! რას ამბობ! ანგელოსებს მოვუყვანივართ შენს დუქანში! ასე მოგმართოდეს ხელი ყოველ გასაჭირში, — ვუთხარი. გადავკოცნე და პატიოსანი სიტყვა მივეცი, რომ ციალას ხელის გულზე შევინახავდი.

დი; ვიცოდი, გოძო კარგად მოუვლიდა ამ განძს, სათუთად შეინახავდა.

მართალია, გოძოს ძაბულია უყვარდა და მისი ლამაზიც ის იყო, მაგრამ, ჩვენში დარჩეს და, ციალა ძაბულისას ათასწილად სკობდა შესახედავად.

გამოვცდით ციალას სოფელს. იულონის მოყვრის სოფელს (მთელი სოფელი გაჩირადნებული იყო, მხოლოდ მათს სახლში არ ენთო შუქი) და ქორწილამდე ხუთიოდე კილომეტრიდა დავკრჩა.

კონობას მანქანას პირდაპირ ფრთები ჰქონდა შესხმული.

მე ფიქრი წინ ვაფრინე და მოვინახულე ჩვენი მომლოდინე მექორწინენი.

წარმოდგენილი მქონდა, რა დღეში იქნებოდნენ ახლა ისინი, რა სულმწარედ მიგველოდნენ.

წარმოდგენილი მქონდა გოძოს დღეც, მარგალიტას გულის ღიმლი, დამშეული მეზობლების მალული ბუზღუნნი: სად ჯანდაბაში დაიკარგნენ ამდენ-ხანსო...

გზა ვიწრო და ოკრო-ბოკრო იყო, მა-



გრამ ჩვენს სწრაფვას ხელს ვერაფერი უშლიდა — ბურთი ხელთ გვეკონდა და აგერ-აგერ უნდა გაგვეტანა ლელო.

ვუახლოვდებოდით მიზანს და მე რატომღაც მოულოდნელი დარდის ბზიკი შემომიჩინდა: ეს უცბად გადაწყვეტილი საქმე სანანებელი არ გაგვიხდეს, ვინ იცის, გოდომ დაიწუნოს საბატარძლო და სახლში არც შეგვიშვას-მეთქი.

ამ საქმეს როდესაც ვიწყებდი, ბოლოსთვის ერთ წამსაც არ მიფიქრია, ახლა ნახმურობამ ცოტათი გამიიარა და დაფიქრდი კიდევ.

ისე შეეწუხდი, რომ კოჩობას კინალამ გავაჩერებინე მანქანა, რომ გადმოვმსტარიყავი და თავი დამეღწია ამ არეული მდგომარეობისაგან.

მოსახვევი გავიარეთ და გაჭიმულ გზაზე ჩვენსკენ მომქროლავმა მოტოროლერმა თავისი ცალი თვალი შემოგვიბრიალა.

კოჩობამ ფარები ჩააქრო და მცირე სინათლე ჩართო.

ის, შემწვედრიც, ასევე უნდა მოქცეულიყო, რომ მძღოლებს ერთმანეთი არ დაებრმავებინათ, გზა არ დაეკარგათ და მშვიდობიანად ჩაველოთ გვერდიგვერდ.

მაგრამ იმ „ცალმა თვალმა“ არ ინება დახუჭვა.

— ალბათ მთვრალია. არ დაგვეჯახოს, ეგ ოჯახქორი. — ჩაილაპარაკა კოჩობამ და ზედიზედ რამდენჯერმე ჩართო და გამორთო ფარები: — შე კაცო, მოძრაობის წესები თუ არ იცოდი, საქვს რას უჯდებოდითო.

შემწვედრი არაფრად არ ავდებდა კოჩობას გაფრთხილებას, მოქროდა და მოაპიინებდა საყვირს, ეტყობოდა შეჩერებას გვთხოვდა.

ჩვენ დრო დასაკარგავად არ გვემეტებოდა და, ვინაიდან საყვირი ჩვენს მანქანასაც ჰქონდა, დააჭირა კოჩობამაც ხელი.

მოტოროლერმა თავისი მინც არ დაიშალა და ახლა სიგანით გადაგვიდგა გზაზე.

ან უნდა გაგვეტანა, ან გავჩერებულიყავით.

— ალბათ, რაღაც უჭირს... გვეჩვენებ რე მე.

რომ მივუახლოვდით, ხელიც აგვიწია. დავაკვირდი და ვიცანი გივი — ჩვენი ნეთის, გოდოს ძმა.

ვიცანი მისი დანჯღრეული მოტოროლერიც, რომელიც ამ სამი დღის წინათ შევაკეთეთ.

გივის გამოჩენა ბუნებრივი იყო, ალბათ, ამდენ ლოდინს ვერ გაუძლეს და შესაგებებლად გამოუშვეს.

მანქანიდან ყველაზე ადრე გადმოვედი და გივის მივუახლოვდი.

მას არ უყითხავს ჩემთვის ბიჭია თუ გოგოო და მე თვითონ მივასაზრ:

— ბიჭია! ბიჭია!..

გივიმ გაშტერებული თვალი მომაპყრო და ძლივს გასაგონად მითხრა:

— მოგყავთ?

მას, რა თქმა უნდა, ეგონა იულონის მოყვარე ქალი მოგყავდა. რა იცოდა. თუ რამდენი წამებით ვიშოვნეთ სარძლო!

— მოგყავს!.. ძლიერ დავაგვიანეთ, არა? — ეუბასუხე მე მობოლიშებით.

კოჩობა, კოწია დალაქი და სევასტიც შემოგვიფრთდნენ.

— რაშია საქმე? — იკითხა დალაქმა.

— გოძო უკვე ქორწინდება... ძაბულოაზე, — ტარამდე ჩავცვა ხანჯალი გივიმ პირდაპირ გულში და ნერწყვი ძლივს გადაყლაპა.

გამართლდა ჩემი მარჯვენა წარბის თამაში, საწყინარს რომ მეუბნებოდა გზა დაგზა.

შუაგულ წყალში გაგვიტყდა ტაბიკი.

ციალას სახლში იმდენი ნალაპარაკევი ცარიელი გამოგვდიოდა.

ახლა კი ჩავირტყი შუბლში: რას მოვევებოდი იულონს, რამ ამიქავა ფეხები, დაეტეულიყავი ჩემს ჭერქში, დავმჯდარიყავი და შორიდან მეცქირა, საქმე სალექსოდ რად გვიხნადე. უტკივარი თავი რად ავიტკივე-მეთქი.

ერთი თალია ისიც გავიფიქრე: მოდი,

ამალამვე გავემგზავრები თბილისში, ცი-
ალას ამათ შევატოვებ და რაც უნდათ,
ისა ჰქნან-მეთქი. მაგრამ ნამუსმა ჩამომა-
კითხა და შემაჩერა.

ციალას წამოყვანის მოთავე ხომ მე
ვიყავი და ჩემი ღმერთისთვის რაღა უნ-
და მეთქვა?

მანქანაში მსხლომთ — ზინას და ცია-
ლას — ჩვენი საუბარი არ ესმოდათ,
ალბათ, ფიქრობდნენ მოტოროლერის
პატრონს რაღაც გაუფუჭდა და ესმარე-
ბიანო.

ვიდექით სიბნელეში.

იულონს ჩემი თბილისში გამგზავრე-
ბის სურვილი რომ გავანდე, იწყინა:

— შენ წამოგვაყვანინე და ახლა ჩვენ-
ზე გინდა ხელები შეიწმინდოო?

ვიგრძენი, იულონი მართალი იყო,
ყველას მკვალი მე დამადგა.

ბევრი გასაქირი მინახავს ცხოვრების
გზაზე, დიდი ნავალი კაცი ვარ, მიწის
ზურგისთვის კანი ამიცილია, სიკვდილის
პირისპირ ვმდგარეარ, ზარბაზნებისა და
ნაღმების გუგუნში ბევრჯერ ცას ნეკა-
თითით ვეკიდე. მაგრამ ასე არასდროს
არ წავმსდარეარ.

რის ვაი-ვაგლასით წამოყვანილი ქალი
მოტყუებული შეგერჩა ხელში.

წუთისოფელს გაუმწარებელი არავინ
დარჩენია და ჩვენ რა წითელი კვერცხი
ვიყავით, გამოგვტოვებდა!

მარჯვედ ნასროლი ქამანდი

ძაბულის მამას დაფიცებული ჰქონ-
და: ცოცხალი თავით, ჩემს ქალიშვილს
გოძოს არ გავატანო, მაგრამ მასაც გა-
მოუჩნდა თავისი ქორი.

ეს „ქორი“ ფუთულა იყო.

ფუთულამ წყალივით იცოდა მოწინა-
აღმდეგის ამბავი და ამიტომ არ გაძნე-
ლებია ბრძოლა.

ჩვენი აქეთ წამოსვლის მერე დიდხანს
არ გაუვლია, რომ ამდგარა და გზაზე
გასულა.

გოძო, გივი და ნიკა სამზარეულოში
ფეხზედგომელა წრუბადნენ ღვინოს და
ბაასობდნენ ჩვენს მოლოდინში, იცინო-
დნენ. გოძოც იცინოდა თურმე, მაგრამ

რალაცის თქმა დაეპირე, მაგრამ ვერ
ამოვხიდე დამბლადაკრულნი. ენა
იულონიც გასაქირში გამოგვუღლი ქა-
ცია, ახლა კი არც მას ადგა ქარგი დღე-
ჩემზე უარეაი დამბლა ჰქონდა დაცე-
მული.

პირში ყველას აღისქარი ჩაგვივარდა
თითქოს, არცერთს ენა არ გვეჭონდა.

მხოლოდ კოჩობა იდგა მაგრად, მან
დაწერილებით გამოჰკითხა გივის ამბის
ვითარება.

გოძოს ქუდის სახურავზე შესაგდებად
ჰქონია საქმე.

ეს კი გვიხაროდა, მაგრამ ჩვენი მდგო-
მარეობა გვაწუხებდა.

— ძაბულია მოვიტაცეთო, — გვით-
ხრა გივიმ და ჩვენ დავინტერესდით ვინ
იყო მომტაცებელი, ჩვენი ამდენი ჯაფის
წყალში გადამყრელი.

ჩამოვფთვალეთ გივის სახელები, ვი-
საც, ჩვენი ფიქრით, მოტაცება შეეძლო.
და ჯობი ფუთულაზე გატყდა.

თურმე ტყუილად გავგიდენია ქაფი,
ტყუილად მომიცდენია პირი, იმდენი
რომ ვილაპარაკე.

ღვინო არ ყოფილა და მე კი ტიკს
ვებრავდი.

ჩვენ რომ აქეთ ვიჭაკებოდით, ღობის
ძირას განმარტობით მჯდარი ფუთულა,
გოძოს უმცროსი ძმა, თურმე ორმოს
გვითხრიდა.

მის სიცილს აშკარად აკლდა სული და
გული.

მანც იცინოდა საცოლეს მომლო-
დინე მკედელი სხვების ხათრით.

გივის შეუნიშნავს გზაზე გასული ფუ-
თულა და უფიქრია, ალბათ, სათამაშოდ
მიდისო.

ფუთულას სათამაშოდ არ ეცალა,
მას სხვა რამ ჰქონდა თურმე ჩაფიქრე-
ბული.

უკვე ბინდებოდა, ძაბულისას სახლს
რაიმე მიადგა ფუთულა.

ღობიდან გადაიხედა ეზოში.

ძაბულია და დედამისი სამზად სახლში
ვანშამს აშაადებდნენ.

ძაბულიას მამა აივანზე იჯდა და თუ-
თუნს აბოლებდა.

ფუთულას ყველაფერი წინასწარ ჰქო-
ნია მოფიქრებული, იმდენ ხანს ტყუი-
ლად კი არ მჯდარა ღობისძირას!

დასახულ გეგმას ზუსტად მიჰყოლია
ბავშვი: ჰიშკართან შეუმჩნევლად გაუვ-
ლია და უკანვე მობრუნებულა, ვითომ
თავისი სახლიდან კი არა, მეორე მხრი-
დან მოდიოდა.

— ბიძია, — დაუძახა თურმე ძაბუ-
ლიას მამას გზიდანვე და მოხედვაც არ
აცალა. ზედვე მიაყოლა: — მალაქიამ
შემოგითვალა საჩქარო საქმე მაქვს და
ახლავე თუ მოხვალ, კარგი იქნებაო.

მალაქია ძაბულიას მამის სიძეა — დის
ქმარი.

ერთი შავი კვიცი ჰყავდა მამის მ-
ალაქიას, ჯერ გაუხედნავი.

ძაბულიას მამა მუდამდღე ეხვეწებო-
და, მომყიდევო. მაგრამ მალაქია არც
მთლად უარს ეუბნებოდა და არც თან-
ხმდებოდა.

ფუთულამ იცოდა, ძაბულიას მამას ამ
კვიცისკენ რომ ევირა თვალი, და სწო-
რედ ამიტომ მიაწვევინა იგი მალაქიას.

— რა მინდაო!..

ფუთულას ნახტომი აღრევე ჰქონდა
გაზომილი და არ შეშლია. ჰიშკართან
არ შეჩერებულა, ვითომ შინისკენ მიე-
ჩქარებოდა და სიარულშივე უპასუხა
შემკითხველს.

— ჩქარა მოვიდესო... მგონი, ვილაც
ნათესავი გარდაცვლია და ფული სჭირ-
დება...

საოცარია, როგორ მოიფიქრა ასეთი
ოსტატური ტყუილი! კარგად კი ჰყრა
ქამანდი!

„ფული სჭირდებაო?“ — ახლა კი ნა-
მდვილად დარწმუნდა ძაბულიას მამა:
ჩავიგდე ხელში შავი კვიცი და ეგ არი,
უპველად მომყიდისო.

თავის აზრში დარწმუნებულს, გან-
ჯინიდან მთელი დასტა ფული აუღია,
მხარზე ყაბალახი გადაუგდია და მალა-
ქიას სახლისკენ მიმავალ გზას დადგო-
მია.

ფუთულას ძაბულიას მამა წასული
რომ უნახავს, ღობეზე გადახედვითაც
ახლა ძაბულიას დედისთვის მიუგდია
კუდიანი ტყუილი:

— ბიციოლა, იცი რატომ დაიბარა მა-
ლაქიამ ბიძია? ცოლი მოკვდომია მალა-
ქიას. მთხოვა წინასწარ ნუ ეტყვი დის
სიკვდილსო და ამიტომ არ ვუთხარი...

ძაბულიას დედას ლოყაზე ჩამოუქ-
რავს ხელი, მერე ნელინელ წამომდგარა
და თავისი მულის გარდაცვალება სამე-
ზობლოდ შეუტყბადებია.

ის იყო ძაბულიასაც უნდა დაეწყო კი-
ვილი, რომ ფუთულამ ტუჩზე საჩვენე-
ბელი თითი მიიღო და სს-ო ანიშნა,
თურმე, არავინაც არ მომკვდარაო.

ძაბულიას დედას არც თავშალი წაუქ-
რავს, არც ტანსაცმელი გამოუცვლია.
არც ხელები გადაუბანია. ცომიანი ხე-
ლებით პირდაპირ გასულა ქუჩაში, მე-
ზობლის ქალები გაუყოლებია და მუ-
ლის დასატირებლად თმების გლეჯით
გაქცეულა.

ფუთულას არ ეგონა, ასე თუ ეწყინე-
ბოდა ქალს მულის სიკვდილი. გაგონი-
ლი ჰქონდა: ყველა რძალ-მულს ჰირის
დღესავით ეზარებათ ერთმანეთით. თო-
რემ სხვა ტყუილს მოიგონებდა.

ძაბულიასთან მარტო რომ დარჩენი-
ლა ფუთულა, სიცილი წასკდომია.

— რა იყო, ფუთულა, რაშია საქმე? —
შეკითხვია დაბნეული ძაბულია.

ფუთულას ახლა კი გაუნდვია ძაბუ-
ლიასთვის თავისი გულის სიტყვა:

— წამოდი ჩქარა... გოძოს გამომგზავ-
ნა... ჰორწილია... სტუმრები უკვე მო-
ვიდნენ...

ძაბულია თითქოს შოელოდა ამას, მა-
გრამ მაინც დაბნეულა: გოძოს თუ ჩემი
მოტაცება უნდოდა, ფუთულას მეტი
ვერავინ იშოვნაო?

აკანკალებული ხელი ფუთულას მხა-
რზე შეახო თურმე:

— რას ამბობ, ფუთულა! მამაჩემი
მომკლავს... ან ბავშვს რა ვუყო, ვის-
თან დავტოვო, — უთქვამს და აკვანში
მძინარე პატარა ძმისთვის შეუხედავს.

რაკი ბავშვის ვინმესთან დატოვებაზე იფიქრა, ცხადია წამოსვლაზე თანახმა იყო. ამას კარგად მიმხვდარა ფუთულა და სარძლო წაუქეხებია:

— წამოდი, ძაბულია, ჩქარა წამოდი, თორემ მინდლეში ხმას არ გაგცემს.

რამდენი ხნის ნატვრა უსრულდებოდა ძაბულიას!

ბოლოსდაბოლოს, ადრე თუ გვიან, ასე უნდა მომხდარიყო. ანდა, თავს არ იცოცხლებდა.

ესე იგი, აფრენა უნდოდა ჩიტს და ხელის აქნევას ელოდა. აუქნია ფუთულამ ხელი და ჩიტმაც გაშალა ფრთა.

ბავშვი აკენიდან ამოუყვანიათ და, გზაზე რომ ვინმე არ შეხვედროდათ, ყანა-ყანა წამოსულან.

— პატარძალი მოიყვანეს! — გავარდნილა ხმა მეზობლებში.

უძილო ღამე

დიდი ფიქრის დრო არ გვექონდა.

ციალას ახლა ცასა და ქვეყნის შუა პატრონი არავინ ჰყავდა ჩვენს გარდა.

სახელდასებლოდ მოვიითათბირეთ და ერთ პირზე დავედქით: ციალასთვის უნდა გვეთქვა. რომ მისი საქმრო, გოდო, ვითომ სასწრაფოდ გამოეძახნოთ რაიონში და ამის გამო ციალას ხვალამდე ზინასთან ერთად დაეცადა.

საქმე წავვიხუდა და ფათერაკს დავაბრალეთ.

ჩვენი ვასაჰირი, ციალასგან დაფარულად, ზინასაც ვაუწყეთ.

გივის შინ საპატარძლო სულ არ უნდა ეხსენებინა. იტყოდა: იულონის მოყვარე ქალიშვილი გათხოვილა და მაინც ხელცარიელნი ბრუნდებოდნენო. ქორწილში ჩვენი მიუხედელობა და დღილობისთვის უნდა დაებრალეზინა.

დავაზუსტეთ ყველაფერი და კვლავ დაიძრა ჩვენი მანქანა.

ციალას ეჭვი არ შეპარვია ჩვენს ნათქვამში. იქნებ გაეხარა კიდევ, რომ ხვალამდე გონს მოსვლის საშუალება ჰქონდა და უცნობ საქმროსთან პირვე-

ძაბულია იდგა თურმე თავდაბრილი, ხელში ბავშვატატებულნი, ცალით თვალით იციოდა, ცალით — ტიროდა...

— ბავშვიანი პატარძალი? — წამოუძახნია ვილაცას...

გოდოს ძაბულია რომ დაუნახავს, ცის კარი გახსნია, ცხრა მზე ამობრწყინებია, იმავე წუთს ხომ შეიძლებოდა ჩვენც მიედგომოდით მეორე პატარძლით!

— იულონი სადაა? — უკითხავს ამ დროს ერთს და მაშინ კი დაცეცხლა თურმე გივის. მოტორჯოლერი გზაზე გამოუგორებია და იმავე წუთს წამოსულა ჩვენს შესახვედრად.

ასე გამოუცლია ჩვენთვის ქვეშიდან ხალიჩა ფუთულას, იმ ქვის გამხვრეტს.

საზღაოდ კი ეს გაფუჭებული საქმე ჩვენ უნდა გვეზლო ჩვენივე კისრით, ფუთულას აქ წილში ვერ ჩავიყენებდით..

ლი შეხვედრის წუთი დაყოვნდებოდა.

ხვალ კი რა უნდა გვექნა?

ჩვენს წინ საშინლად ბნელოდა.

ისევ თავის სოფელში დაგვებრუნებინა ციალა?

ან თავი უნდა მოეკლა, ან სულშითლად სალამგაწყვეტილს ევლო, მე მკეროდა. რომ ციალა უფრო ადრე თავს მოიკლავდა და მოგვეხდებოდა ქუდი საქვეყნოდ.

ციალა ზინას ეზოში რომ შეეაცილეთ, ერთხელ კიდევ შევხედე ამ ბუღისაგან ქვანაკრავ გოგოს. უგუნებობა არ ეტყობოდა რატომღაც. არ იცოდა, რა კევრი უნდა დატრიალებულიყო ხვალ მის თავზე.

კორობასაც აქვე დავემშვიდობეთ და, წელიწადიწვეტილნი, ფეხით წავლანდალდით შინისკენ.

მკედლის საბლიდან ნელი და ტემილი სიმღერა მოისმოდა.

ქორწილზე წასვლის თავი არცერთს არ გვექონდა, მხოლოდ სევასტი იყო ატეხილი, ერთი-ორჯერ ჩვენი შეგვივლო სიტყვა. მაგრამ არც ჩვენ გავუყვით და არც ის გავუშვით.

ფეხაკრეფით შევედი დეიდაჩემის სახლში და ტანგაუხდელი წამოვწყვი.

იმ ღამეს გოდოს ქორწილზე დიდი ამბავი მომხდარა.



შანი კვიცი

ფუთულას ღონიერ ტყუილსაც მოკლე ფეხები აღმოაჩნდა.

მის მიერ მოტყუებული კაცი — ძაბულის მამა — მალაქიას ჭიშკარს რომ მიადგა, ეს მალაქიას სრულებითაც არ გაკვირვებია, რადგანაც სტუმარი მისი ცოლისძმა იყო.

აივანზე დასხდნენ და საუბარი გააბეს. დიასახლისი ადვისის ღვინით, ხილით და თბილი სიტყვით შეხვდა თავის ძმას.

— ხაჭაპურსაც მალე მოგისწრებთო — თქვა და ოთახში შებრუნდა.

მამაკაცებმა ღვინო დაისხეს და მოპყვნენ მთისას და ბარისას, იქით მიედნენ, აქეთ მოედნენ, მაგრამ შეეკვიცამდე ჯერ ვერცერთი ვერ მივიდა.

შავი კვიცი კი, ძაბულის მამის გულის გასახეტქად, იქვე, თავლასთან იდგა და მიწას ტორს სცემდა.

ძაბულის მამას სრულებითაც არ აინტერესებდა ეკის მთებში მომხდარი რაღაც ამბავი. მას ცხენებზე ელაპარაკე და შეტვი არაფერი უნდა. კაცია და გუნება.

მალაქიამ ეკის ამბავი რომ გააგრძელა და გააგრძელა, ძაბულის მამამ ვეღარ შოითმინა, ისკუბა ეკის იმ მაღალი მთიდან და პირდაპირ მასპინძლის თავლასთან დახტა:

— კარგი კვიცია!..

მალაქია მიხვდა, მისი საუბარი რომ არ აინტერესებდა სტუმარს, მაგრამ მაინც განაგრძო...

ძაბულის მამამ სული კბილებით დაიჭირა და მალაქიას გაჩუმებისთანავე საუბარი ისევ თავის ბილიკზე გადმოიტანა:

— რამდენი გჭირდება ფული?

მალაქია გაცოცდა:

— რა ფული?

— წელან არ შემომითვალე?

— შენ არ მომიკვდე, არაფერი მესმის...

ძაბულის მამამ ცერი თითით ქუდი უკან გადაიწია და სიძეს ცივად მიახალა:

— ვადამრევს ეს კაცი!.. ბიჭო, ის

მკედლის ბეღარტი შენ არ გამომიგზავნე, ფული მჭირდებაო?..

ამის თქმა მოასწრო ძაბულის მამამ და ჭიშკარს მოაკვივლა მისმა ცოლმა:

— დიდუფუ... დიდუფუ... ჩემო საყვარელო მულო, რა ეშველება ახლა შენს ობლებს...

აივანზე მსხდომნი ზეზე წამოიჭრნენ და ვზისპირას ანთებულ ნათურების შუქზე ნათლად შეამჩნიეს თმებგაშლილი ქალი.

— რაშია საქმე? — შეცბა მალაქია და საშხად სახლისკენ გაიხედა: მართლაც ხომ არ მომკვდარა ჩემი ცოლიო...

მალაქიას ცოლს ხაჭაპური უკვე გამოეცხო და ოდისკენ მოდიოდა; კვიცი რომ შემოესმა, გაცოცდა და ჭიშკარისკენ გაიქცა ხაჭაპურიდან.

ძაბულის დედა მოთქმას განაგრძობდა და თითო „დიდუს“ წამოძახებამზე თითოჯერ ჩამოიკაწრავდა ლოყას.

მომყოლი ქალები ვერ ამარგებდნენ.

— გუშინ მარსკვლავივით დაგტოვე, დღეს რა სიკვდილმა ჩამოგიარა, უი ჩემს თავს, სული რატომ მიდგასო.

„გარდაცვლილი“ მული ცხელი ხაჭაპურით შემოეგება მკვიან რძალს.

ძაბულის დედამ მკვდარი გაცოცხლებული რომ ნახა, ხმა ჩაუწყდა და იქვე ჩაიკეცა.

მამაკაცები აივნიდან სირბილით დაეშვნენ.

კვიცი მეზობლებსაც გაეგოთ და აქეთკენ გამორბოდნენ.

ეზო ხალხით აივსო.

გულწასულ ქალს წყალი შეასხურეს, მაგრამ ამან რომ ვერაფერი უშველა, ვილაც ბავშვი ექიმთან გააქციეს და პიტნის წვეთები მოატანინეს...

ერთი საათი დასჭირდა ძაბულის დედის მობრუნებას.

ძაბულის მამამ რომ გაიგო, რაშიც იყო საქმე, ყალყზე დადგა, შეხტა და შემოტრიალდა:

— იმ თითისიგრძე ლაწირაკმა (ესე იგი ფუთულამ) როგორ მომატყუა! შევრცხვი და სამარე გამოთხარეთო...

მკედლის ოჯახის ლანძღვით კარგად რომ მოიღალა, ჩაფიქრდა, გულმა რაღაც ცუდი უგრძნო, უცებ ვერ მიხვდა: რატომ უნდა დასჭირებოდა ფუთულას მათი მოტყუება?

— გოგო ხომ არ მომტაცეს, ა? — შეეკითხა თავისთავს.

— მოგტაცეს, გავაცურეს და გავამახსრესო, — უპასუხა გულმა.

შევარდა სახლში, მალაქიას სანადირო თოფს ხელი დასტაცა და პირდაპირ მკედლის სახლისკენ გამოაქანდა...

გოდოს ქორწილი შუა ეშხში იყო შესული.

ამდენი ხნის ნამარხულევი თამადა გარდანიქმანივით იღვა სუფრის თავში და უკვე მეხუთე ყანწს ცლიდა, წინ ხუთი ძაღლის საკმარი ძვლები გროვა ეყარა.

ის იყო გამოსცალა ყანწი და საალავეროდ თავის მოადგილეს გადაუგდო, რომ ამ დროს სუფრასთან მოვარდა გაალმასებული, თოფიანი კაცი და დიღრიალა:

— ჰაიტ, შე თაღლითო გოდო დგებია, დამიდექი თუ ვეკაცი ხარო!

ქალები წამოიშალნენ და წივილივითი ასტეხეს.

იქაურობა შიშის ქარმა აიტანა, აირია მონასტერი, სუფრა აკოქლდა.

ძაბულიას მამას დიდი მანძილი ჰქონდა გამორბენილი და სულს ძლივს ითქვამდა. ახლა რომ არ გავსროლა, სირცხვილი იყო, თორემ უკვე არ უნდოდა სისბლში ხელის გასვრა.

გოდოს ძაბულია ეჭდა გვერდით და ხომ შეიძლებოდა ქალიშვილიც დაეხიანებინა!

უპროდ გაასწორა თოფი, ლულა უფრო გოდოს მხარეს დაუჭირა, თვალევი დახუჭა და გამოსწია სასხლეტს. მაგრამ ამ დროს, იღბლად ვილაცამ ხელი აუკრა და საფანტი ჰერს შეეყარა.

საფანტი, ალბათ, ნათურას მოხვდა და შუქი ჩაჭრა.

მამაკაცები მისცივიდნენ ძაბულიას მამას და გაჭაჩეს.

აივანზე ძაბულიას დედა, მალაქია და

კიდევ რამდენიმე მათი შემობელი ამოცივიდნენ.

— რას შერები! ცოდველარ! დატრი ალო! — კიოდა ძაბულიას დედა.

ასანთის შუქზე ქმარი გაკავებული რომ ნახა, ცოტათი დამშვიდდა. მერე თავის ქალიშვილთან მივიდა: ნუ გეშინია, შვილო, შენ შემოგველოს დედაო...

ზაურმა ახალი ნათურა გამოიტანა და ისევ გაანათა იქაურობა.

ამ გაწვევ-გამოწვევაში სუფრა მიელეწმოელეწათ.

ფუთულას დონიჯი შემოეყარა და ფეხებგაფარჩხული ამაყად იღვა ისევე, როგორც დილის ვარჯიშის დაწყებისას იცოდა ხოლმე.

ძაბულიას მამა, ქაბუკების ხელში, დასაქვდად გაკოჭილ ხარივით ქმინავდა.

ძაბულიას დედას ახლა გაახსენდა თავისი აკვნის ჩვილი და ბავშვი საღ არისო ივითბა. როცა გაიგო, რომ ბავშვს მერე ოთახში მშვიდად ეძინა, თვითონაც დამშვიდდა.

ბერიკაცებმა ქაბუკებს უბრძანეს, ძაბულიას მამისთვის ხელი ეშვათ.

სიტყვა გააბრტყელეს. ნაშუსში ჩააგდეს მეზობელი:

— რას შერები. მამაკვლარო, კაცი სიძულე გაგიხდა, ეს რა სათოფე საქმეაო.

— თავსაც იღუბავ და ოჯახსაც ღუბავ, ასეთმა რა ზნიკმა გიკბინაო...

— იმ ჭაში რატომ აფურთხებ, რომლის წყალიც უნდა დალიოო...

ახლა ძაბულიას დედაც ჩაერია საქმეში:

— რა სჭირს გოდოს შენი დასაწუნა, ა? მარულაზე თუ პირველი აღგილი ვერ აიღე, რა გოდოს ბრალია? ანდა, შენი ცხენის დამარცხებისთვის რა ჩინმენდლები ჩამოგხსნენაო...

მალაქიამ მარულაო რომ გაიგონა, გაახსენდა თავისი ცოლიძის ავადმყოფური სიყვარული ცხენებისადმი, მიუბალოვდა და უთბრა:

— ჩემი შვიი კვიცი შენთვის მიჩუქებია. თუ გინდა ახლავე წაიყვანე.

მთელი ქორწილის ხალხი შემობვეო-
და დაბუღიას მამას.

თამადამ ყანწი გამოუწოდა:

— ზომ გესმის, ქართულად გეუბნე-
ბით! დალოცე შენი სიძე და ქალი-
შვილი.

დაბუღიას მამამ შეხედა ნიკა ჩოჩიას,
მარულაში გამარჯვებული ცხენის პატ-
რონს, და, შენ ვინა გდინხარო, უნდოდა
ეთქვა, მაგრამ დროზე შეიკავა თავი.

ესეც რომ არ ყოფილიყო, უკვე ნა-
ხევრად გათხოვილ ქალს, თავისივე თა-
ვის მოსაპყრელად, ისევე შინ ზომ არ წა-
იყვანდა!

მეტი ხელების გასაქნევი ადგილი არ
ჰქონდა და ჩააგო ხმალი ქარქაშში.

ერთხელაც გადმოკარკლა თვლები
და გოძოს ღვარძლიანად მიახალა:

— ჩემი ხელიდან მაინც მკვდაოი ხე-
რო...

არქონული

მიწოდებული ყანწი მავლს კვრთხმუნს
იშორა, სისხლის ნაცვლად ღვინო და-
ღვარა და წავიდა.

არეული სუფრა მალე გააახლეს ქა-
ლებმა და ისევ გახურდა სმა-ჰამა.

ღვინო ცხენისწყლის ტოტად გად-
მოუშვეს მერიქიფეებმა, გულბაათებმა
ისევე გაიხსეს ყანწები...

სვამდნენ და გათენებამდე ქუდებს
ქერს უბათქუნებდნენ...

გამარჯვებულ ფუთულას თვალი არ
მოუხუტევის მთელი ღამე, ცხვირაწეუ-
ლი დადიოდა სუფრასთან...

დაბუღიას მამას, შეპირების თანახ-
მად, იმავე ღამეს წამოუყვანია მალა-
ქიას შავი კვიცი: სიტყვა სიტყვაო...

იულონ, შე სულწაყვამილოო..

სროლის ხმა მეც მომესმა ღამით
მჭედლის სახლიდან. მეგონა სამხიარუ-
ლო სროლა იყო და ჩემს ფიქრებს არ
გავშორებოვარ.

მთელი ღამე არ მძინებია.

ვფიქრობდი მარტო ციალაზე.

მხოლოდ წყლის წაძინების დროს წამ-
თვლიმა ერთი პირი.

იულონის ძახილმა გამომამფხიზლა.

ნელა გავუღდექით გზას ზინას სახლის-
კენ.

ქვა უნდა გაგვეხეთქა და რამე გვე-
ლონა.

ამ გაჭირვების ციხიდან გამოსასვლე-
ლი კარი კი არა, ჭუჭრუტანაც არსაი-
დან ჩანდა.

— გივის გავურიგოთ, — ამირანივით
გაგვარი მუხლი გაჭირვების ციხის კედ-
დელს. მაგრამ ფინჩხაც ვერ ჩამოვაცი-
ლე იმ ქვითა და კირით ნაგებს.

იულონმა სამასხროდ ამიგლო:

— მთელი ღამე ამის მეტი ვერაფერი
მოიფიქრე?...

შემდეგ ხმას დაუდაბლა:

— შენგან არ მიკვირს? ძმის საცოლედ
ძმას როგორ გავურიგოთ, ეგ რომელ
დაეთარში ამოგიკითხავსო!...

მაშინ მეც გავბრაზდი და ცივადვე
უუბასუბე:

— აბა, დიდი თავი შენ გაქვს და უკე-
თესი შენ მოიფიქრე-მეთქი.

გოძოს სახლისკენ გავიხედეთ.

ნაჭიფთარი ბიჭები ეზოდან კანტი-
კუნტად გამოდიოდნენ და ახლა კი მო-
უჩანდათ ქაბრები.

ბოლოს ერთი ზომამზე მეტად მთვრა-
ლი გადმობარბაცდა. გვერდით ცოლი
მოჰყვებოდა.

ცოლი რომ იყო, ამას ქალისავე სი-
ტყვებმა მიმახვედრა.

— ცეცხლი და ქვა შენს მუცელს!
გასკდომა და არგადარჩენა, — პირმო-
ხეული ლანძღავდა და თათხავდა
მთვრალს.

რა თქმა უნდა, ცოლი იყო!

ქმარი ყურადღებას არ აქცევდა მა-
წყევარს, მხარზე ხელს ხვევდა და რა-
ღაც გაურკვეველს ღიღინებდა...

ზინასას ჭერ კიდე ეძინათ, ჩვენ რომ
ძალდი აფუყფეთ.

გამოგვივარდა ის სამგლე და დაგლე-
ჯას გვიპირებდა, მაგრამ, ბედად იულო-
ნის კარგი ნაცნობი გამოდგა ქვრივის
ძალდი და ხმა გაკმინდა.

(ზინა ჭვრივი ქალია. ჰყავს დედა და ორი კროლა კაკალივით ბავშვი).

— იულონ, შე სულწაწყმენდილო, საიდან გიცნობს ჭვრივის ძალი ასე მკვიდრ ძმასავით? — გავიფიქრე მე.

ეზოში შევედი და იულონმა ერთ-ერთ ფანჯარაზე ფრთხილად დააკაკუნა.

მალე ფანჯარაში ზინა გამოჩნდა.

პერანგის ამარა იყო, მკერდზე ხელეზი ჰქონდა აფარებული, მაგრამ მამაკაცის საცქერლად მისი მსხვილი მკლავებიც ყელამდე საკმარი იყო.

— იულონ, შე სულწაწყმენდილო, საიდან იცოდი, მაინცა და მაინც ამ ოთახში რომ ეძინა ზინას? — გავიფიქრე ასევე.

ზინა მალე გამოვიდა და აივნაზე მიგვიწვია.

აივნის ფანჯარა ღია იყო და მე თვალი მოვკარი მძინარე, უსაქმრო პატარაძალს.

პერანგის გულისპირი კაბის გულისპირზე უფრო ღრმად ჰქონდა ამოჭრილი და მხედაკრული სახის და მკერდის სიმუჭე მხედაკრავ, მსუბუქ სითეთრეში გადადიოდა...

შფოთავდა ძილში ცილა...

გამოშვებული ხარი

მე რომ გავჩნდი, ბედის ანგელოსს დაუკრავს ჩემთვის ხელი და უთქვამს:

— იყავ უიღბლო ცოლის შერთვაში!

რას მერჩოდა ის მამაცხოვნიებული ანგელოსი!

ცხოვრებამ ბევრი მათრია ცხენის კუდით. ქალების მუსუსი არასდროს არ ყოფილვარ. ცოლის შერთვა დღემდე ორჯერ მაინც მოვასწარი, მაგრამ ორივემ ქვა მომიგდო საბოლოოდ.

არ ვიცი, რა ცოდვისა შეკითხა! არაფერი დამიშავებია ღვთისა და ქვეყნის წინაშე. ჩემი ჭუდით მეც კაცი ვარ!...

პირველი ცოლი ჩრდილოეთიდან იყო, თვალმასარა ქალი. მისი გენეალო-

ახლა უფრო მწვავედ ვიკრძენი სინდისის კბენა.

სხვებზე მეტად ხომ მამაკრძეტი ამ ვოგოს ცოდვაში!

დავაკვირდი ცილას და ჩემდაუნებურად გაიელვა უცხო ზრმა:

— მოდი, მე ვითხოვ! მოგკიდებ ხელს და დღესვე წავიყვან თბილისში! ქალაქი დიდია, ვინ რას გაიგებს!...

მევე შემეშინდა ჩემი ფიქრისა.

— მართლაც რა დაშავდება, რომ ითხოვო! მამა გიცხონდა, უყეთეს იშოვნო, — ამომძახა რაღაც იღუმალმა ძალამ გულის სიღრმიდან...

გომოსთვის რომ გვინდოდა ცილა, მაშინ თავს ნაჯახის ქვეშ დავდებდი ცილას პატიოსნების დასადასტურებლად. ახლა, საჩემოდ რომ გავიფიქრე, შეეგებვდი: ეგება იმ სოფლის ქორები მართალი იყოს-მეთქი, და ჩემი გულიდან ამოსულ იღუმალ ხმას ბრაზით ჩავძახე:

— არა, ჩემო ძმავ! მეყოფა, რაც მოგტყუებულვარ! მესამეჯერაც ვერ ვკვამ ნიახურს!...

მესამეჯერ-მეთქი!

სხვა ვერ გაიგებს ამ ნათქვამს.

სიტყვამ მოიტანა და ბარემ ჩემი სულის რვეულსაც გადავშლი.

გია მეტად რთულია და ამბისთვის მაინცდამაინც მოსატანიც არ არის.

ზღვაზე გავიცანი ნახევრად შიშველი.

დასასვენებლად ყოფილიყო ჩამოსული.

რაღაც კარგ თვალზე მნახა, ამიარ-ჩამიარა რხევით, თავისი ტანის სინატიფე დამანახა, თვითონ ჩამივარდა თვალში.

ერთხელაც არ გამიზომავს, ისე გავჭერი.

მეგონა მწიფეს ვესროლე და მკვანებ ჩამოვარდა.

თურმე თავის შავ გულს თეთრი კბილებით მალავდა.

ჩვენს ქორწილს ბევრი ხალხი დაესწრო და ბევრიც გვლოცეს. მაგრამ არცერთმა სალოცავმა არ ისმინა მათი ვედ-

რება, ყველა ხატი და სალოცავი ჩვენ გაგვიწყრა.

უკმაყოფილება პირველ კვირასვე დაიწყო.

მე რომ თეთრზე ვიტყვოდი თეთრიამეთქი, ის — შავიანო, დაიჩემებდა.

ჩემი სიარული ბრავა-ბრუვი იყო მისთვის, ჭამა — ხრამა-ხრუში.

ჩემს ნავეში იჯდა და მე მეჩხებებოდა.

მოახლე არ გვყავდა და თვითონ არ მოიმოახლა თავი. საოჯახო საქმის კეთებას არ კადრულობდა: ფრჩხილებზე ლაქი გამოფუჭდებო.

რასაც აკეთებდა, იმასაც — ყველაფერს უკუღმა. ხელიდან არაფერი გამოუდიოდა, კუდით აბამდა ძროხას, რიყეზე ძალლი რომ გამოდგომოდა, ქვას ვერ იპოვინდა. მარტო ფერ-უმარლის წასმასა და თმის დაყენებაში იყო ტოლდასაღები.

გარედან მტერს ვუბრმავებდით თვალს, შიგნიდან — მოყვარეს.

წამიხდა ხასიათიც და საქციელიც.

შაშვისა არ იყოს, თორმეტი გალობა ვიცოდი და იმ მიმინომ სულ გადამაგოწყა.

— ძალიან ნუ აიწყებ, ქალო, მალლა ცა არის-მეთქი, — ვეტყვოდი ზოგჯერ, მაგრამ მას არც ღვთისა ეშინოდა და არც ადამიანისა.

სულ უგუნებოდ იყო, თავისი კუთხე ენატრებოდა და გაემგზავრა კიდევ ერთ მშვენიერ დღეს მშობლების სანახავად.

მეგონა მალე დაბრუნდებოდა, მაგრამ არ დაბრუნებულა.

წერილებს მწერდა: ჩამოდი, აქ ვიცხოვროთ, აქაურობან ნამდვილად მოგეწონება და ბედნიერები ვიქნებითო...

მას „ბაბაც უნდოდა და „ჩიჩიაც“; უნდოდა საბელი მოეგდო ჩემთვის და თავის ჭკუაზე ვეტარებინე. მაგრამ მე საამისოდ გაუხედნავი ვარ და ნურას უკაცრავად.

მას რომ უყვარდა თავისი კერა, მეც ასევე მიყვარდა.

მითრია ბაწარი, მაგრამ არ მოვტყუვდი და არ მივსდიე.

მერე: იმან აქეთ არ გადმოიწიქა იქით არ გადავიბარე, იმან იქიდან მქაჩა, მე აქედან ვქაჩე და გაწყდა, სადაც წვრილი იყო...

ასი ენა დაილაპარაკებს, ასი პირი დაიჩივლებს, რომ მე ცამდე მართალი ვიყავი.

ცხოვრების „ანი“ მანამდეც ვიცოდი, ახლა „ბანიც“ ვისწავლე და ეფიქრობდი აწი მაინც არ მოვტყუვდებო-მეთქი, მაგრამ მეორეჯერაც თვალეში აღმომაჩნდა ჭკუა.

მეორე ცოლი ჩვენებური მყავდა, სურამელი.

მეგონა, კარგი ფონი მოვნახე, და გასასვლელში კი დამახჩნო.

მე პირველ ცოლთან ყოფნისას გაუემტრებული ხასიათი აქეთაც გადმომყვა, ჩემს მეორე ცოლსაც მზითევივით მოჰყვა თავისებური ხასიათი და დიდ ხანს ვერ გაუძელით ერთმანეთს.

ეს აქაური ქალიც ცხრამთასიქითელი გამიხდა.

მოკლედ: ორჯერ შევები უღელში, მინდოდა ერთგულად გამეწია, მაგრამ იმ ჩემი დამადების ანგელოსმა ორჯერვე დამიწყვიტა აპურები.

ახლა გამომშვებული ხარი ვარ და დაედივარ ჩემს ნებაზე; სადაც მომეხასიათება, იქ წავიბალახებ ხოლმე.

ასე უღმერთოდა ვარ მოკლული ბედისაგან, მაგრამ მე ბედს არასდროს არ ვემორჩილები, რადგანაც ვიცი: ბელი მრუშ ქალსა ჰგავს — ღღეს რომ შენ გააციინებს, ხვალ სხვას გაუგორდება ბელის გულზე.

ვეცხოვრობ ახლა ჩემთვის, სანთელ-დაშრეტილი, ტორროლასავით მარტო, ჭირკვიით უძირო...

გამოვლილი ვაება ჭერაც ვერ დავივიწყე და ვარ ყველაფრის მკურნალის — დროის იმედით.

დრო ადამიანს დარდისაგან კურნავს, კურნავს და მერე ჰკლავს...

გზავასაქარზე

ზინას ნავაზი ყვეფთ გავარდა ქიშკრისკენ.

მე და რულონმა გავიხედეთ, დავინახეთ აქეთ მომავალი ჩვენი წუხანდელი თანამგზავრები: სევასტი და კოწია დალაქი.

კოწია არ წამოსულიყო და სიტყვა შემოეთვალა:

— იცოდეთ, თავი არ მოგვეჭრას, როგორმე დაარწმუნეთ ცილა ჩვენს უდანაშაულობაში და შინ უვნებლად დააბრუნეთო.

მე ეს მეწყინა:

— სხვისი ხელით ეკლის გლეჯა ადვილია. კეთილი ენება და თვითონაც მობრძანებულებიყო-მეთქი.

სათათბიროდ სამზად სახლში შევედი.

ზინას დედა კერასთან იჯდა; ჩვენ რომ დაგვინახა, მუგუზალი აიღო და შუაეცხლსა და ჩვენს გულში ადღანებულ ცეცხლს ერთდროულად შეუჩიჩინა:

— მაგ გოგოს მოტყუება ხალხმა რომ გაპატიოთ, ღმერთი არ გაპატიებთ. უპირულები გამოდინართო.

სევასტიმ ცილას დაბაში დატოვება და ზინასთან ფერმაში წაყვანა გვიჩინა...

ოულონმა — სამკითხველოში მოწყობა...

ზინამ — სხვა ვინმეზე გათხოვება... ატყუა დავა და მარგილების მტრევა.

ათასნაირად გავცხრილეთ საქმის ვი-

თარება, ბევრი ვარსიეთ (ტუჩინი) მაგრამ ჰკვიანური აზრი ვერ გამოვადინეთ.

ვიდექით გზავასაქარზე და ვერ გადაგვეწყვიტა, საით წავსულიყავით.

თავზევით ძალა არ გვექონდა, ანდა ჩვენი გამრუდებული საქმე ჩვენვე უნდა გაგვემართა, ჩვენ ვაგვერით და ჩვენვე უნდა გაგვეკერა.

კოწია დალაქი ჭერაც არ იყო გამოფხიზლებული.

არაფერს რომ არ ვეკითხებოდით. იწყინა:

— მე რა უტარო ნაჯახი მნახეთ, ზედაც რომ არ მიყურებთო, — და თვითონვე მოედო ღობე-ყორეს: — ჩემს სადალაქოში დამლაგებელი მჭირდება, იქ ვამუშაოთო.

დალაქი გულში იჯდა, ჩვენი საუბრისა დიდი არაფერი გაეგებოდა და პასუხიც არ გავეცით.

მე ბევრი ვიგრობე, ბევრი ვიკლაცნე, ბევრი დოლაბი დავატრიალე ჩემს გულში და ჩამოვდერლე ჩემი ფიჭრები; ბოლოს პაერი ღრმად ჩავისუნთქე, როგორც წყალში ჩაყვინთვის წინ იციან ხოლმე, და ამოვმაქრე:

— მე შევირთავ!...

ზედაც არავინ შემომხედა. ეს, ამდენი გაჭირვებით ამონათქვამი სიტყვა ხუმრობაში არ ჩამოშართვის?!...

— მე ვითხოვ! მორჩა და გათავდა! — დავკარი ბეჭედი.

სიჩუმის ანგელოსმა ჩამოიარა...

უპატარალო კორწილი

თქმა ადვილი იყო, ახლა მისი შესრულების გასაჭირიც უნდა დაგვეძლია.

საქმის მოსაგვარებლად ზინა შევაგზავნეთ ცილასთან.

მე თანჯარასთან მივიპარე და სმენა დაეძაბე.

ზინა ჩემზე უკეთესი ოქროპირი გამოდგა.

გარკვევით მესმოდა მისი დაშაქრული ხმა.

საუბარი ბოღიშებით დაიწყო.

იგი არწმუნებდა ცილას, რომ მისი საქმრო ვარ მე — ის კაცი, რომელიც წუხელ ყველაზე მეტს ლაპარაკობდა, — და არა ვილაც გოძო...

ცილას დამწვარზე მდულარე გადაეცხა.

— თუ ასე იყო, თავიდანვე რატომ არ მითხარით? — მომესმა მისი ხმა და მე მაშინათვე დაერწმუნდი, რომ ცილა უარს არ იტყოდა, ჩემს მეუღლეობაზე.



თუმცა რა! მას მამინაცვალთან დაბრუნებას სიკვდილი ერჩია და რატომ არ უნდა გამომყოლოდა? ყოველ შემთხვევაში, თვით სიკვდილზე უფრო საშიში მაინც არ ვიყავი.

ასეც მოხდა.

კარგა ხნის შემდეგ ზინა გამოვიდა და სადარბაზო ოთახში შეგვიწვია.

პირზე ვარდი გადააფენოდა: საქმე გაჩარხულიაო.

მე ისეთი იღბალი მაქვს, რომ დამკირდეს, თავის ჩამოსახრჩობ თოკს ვერ ვიშოვნე; ან, თუ ვიშოვნე, უშეშვალად ჩამომიწყდება. ახლა კი ერთი ხელის მოსპობით გვრიტივით საცოლე არ ჩავიგდე?!

უკვე ფართოდ გათენდა.

ზინას უფროსი ვაჟი კოჩობასთან ვაკციეთ და სასიხარულო ამბის გასაგებად მოსვლა ვთხოვეთ.

ისიც მალე მოვიდა. გაკვეთილი დაეტოვებინა და წამოსულიყო.

ჩემი გადაწყვეტილება რომ გაიგო, გადამეხვია და გადამოკცნა.

ზინა საერთოდ ცოცხალი ქალია, ახლა სულ ფრთები შეისხა: მშვენიერი სუფრა გაგვიშალა.

— პატარაძალი, სადაა — შესძახა კოწია დალაქმა.

ციალა არ გამოვიდა.

მაშინ მე თვითონ შევედი მასთან.

ახალი კაბა ეცვა; იჭდა და გულამოჰჯდარი ტიროდა; სულიერის ფერი არ ედო, არც ცისას ჰგავდა, არც — მიწისას.

მე რომ დამინახა, დაიმორცხვა, ფერმა გადაუარა.

ამან მეტი იერით შეამკო.

პირველად ახლა შევხედე, შევხედე და წარმოვიდგინე, როგორი იქნებოდა ციალა მალაქქუსლებთან ფესაცემლებში...

გვერდით მოვუჭექე და გასათამაშებლად ასე მივმართე:

— წამოდი, რისა გრცხვენია?

ყველანი შენი ნაცნობები არიან.

მან უარის ნიშნად თავი გაიქნია.

მე მოვეფერე ციალას, ისეთი სიტყვები ვუთხარი, რასაც სხვაგან ვერ იტყვი ხმაშალა.

გულიდან ლოდი მოვაცილე.

ციალამ ცრემლიანი თვალები მომაპყრო და მის თვალებში მე ჩემი თავი დავინახე.

მეგობრებთან გავედი.

ჩემს ამ შვიდეკაციან ქორწილზე დედოფალი არავის უნახავს, არც „მრავალქამიერ“ უმღერია ვინმეს...

მეგობრებს ვთხოვე, ჩემს გამგზავრებამდე არ გაეხმაურებინათ ეს ამბავი.

მათ მე და ციალა იმავე საღამოს ჩუმად გამოგვაპარეს თბილისისაკენ.

მატარებელი რომ დაიძრა, ფანჯარასთან მივედი და მეგობრებს ხელი დავუქნე.

უცებ მათ შორი-ახლო ფუთულას მოვკარი თვალი. ისიც მიღიმოდა და ხელს მიქნევდა; მერე კარგა ხანს სდია ჩემს ვაგონს...

— რამდენი ზევით ჩანხარ, ჩემო ფუთულა, ორი იმდენი მიწაში ხარ-მეთქი.

— გავიფიქრე მისი მისამართით.

გაღნიერი ფანი

მატარებელი სადგურს რომ გასცდა, მე და ციალამ უნებლიედ შევხედეთ ერთმანეთს.

ციალამ შორცხვად გამიღიმა. მე ხელი ჩაეკიდე და კუბეში დავსვი.

მარტონი ვიყავით, — ორადგილიანი კუბის ბილეთები აედო კოჩობას.

— თბილისში ყოფილხარ? — ვკითხე ციალას სხვათაშორის.

— არა, — ნელა მიპასუხა, — ფოთში ვყოფილვარ...

აბაშიდან თბილისამდე თითქმის რვა საათი სჭირდება მატარებელს. ამ ხნის განმავლობაში, ერთად აღებული, ათი წუთიც არ გვილაპარაკენია.

ან რა გეჭონდა სალაპარაკო? წინა დღით გავიცანით ერთმანეთი.

ორივენი დაბნეული ვიყავით.

მე დროდადრო შევხედავდი და, სათქმელს რომ ვერაფერს გამოვინახავდი, გავუღიმიებდი მხოლოდ.

ალბათ, ძალზე სასაცილო ვიყავი იმ წუთს.

წიფის გვირახს რომ გავცდით, ცოცხალ მზრუნველი თვალთ, შინაურულად შემომხედა.

მე მისი ხმა არ გამიგია, ტუჩების მოძრაობით მივხვდი, რაც მითხრა: ხომ არ მოგშვიდაო?

— წავიხეშსოთ ცოტა-მეტქი, — გავუწინაურდი მეც.

ციალამ ზინას გამოტანებული საგზა-ლი გახსნა.

მე მაღიანად მივირთვი, ციალამ ცოტა მოწინააღმდეგე, პირი მოიტყუა.

საუკეთესო ნაჭრებს მე მაწვდიდა. ამ პატარა თავაზიანობით მე განვქვრივდი, რომ ციალა ჩემი კარგი მეუღლე იქნებოდა.

თბილისში რომ ჩამოვედი, ჩემი ქი-სა უკვე დაბერტილი იყო, გახვრეტილი აბაზიანი არ მეხადა.

აქეთ ვეცი, იქით ვეტაკე: „თათრის ვალი“ დავიდე, სამსახურიდან მომავალი თვის ხელფასიც ვითხოვე წინასწარ და ციალა თამარ მეფესავით გამოვაწყე.

მალალ ჭუსლებზე სიარული პირველად გაუჭირდა — ფეხი უბრუნდებოდა და ტანი წინ სწონიდა, მაგრამ მალე შეეჩვია.

ციალას მართლა ბედნიერი ფეხი მოჰყვა ჩემს ოჯახში.

შაქარივით ქალია, ყოველ წამს იმის ცდაშია, რითიმე მასიამოვნოს. ჩემს ჩრდილს გულმინდობილად შეეფარა. ჩემთვის სულს არ დაიშურებს, სულ წარბებში მიცქერის — რამე ხომ არ ეწყინაო. მე რომ სიზმარს ვნახავ, ის გებულობს. უერთმანეთოდ თბილს არ გავტეხთ.

ქალაქის წყალმა და ცხოვრებამ სოფლის მზე მოაშორა ციალას. მშვენიერი, თოვლივით ქალი დადგა.

ახლა დავრწმუნდი: რა ბედნიერ ენაზე გამიბედნია მაშინ, ზინას სახლში, მე ვითხოვე ციალა-მეტქი.

ჩემს მარტოებელ ცხოვრებას ახალმა ნიავმა დაჰკრა და გამოეცხოვლა.

ცოლ-ქმრობაში ორჯერაშაქვს მწებრე ნაქამი და ახლა ტყბილის გემო კარგად გავიგე.

ციალა წლოვანებით ჩემზე უფროსია. მაგრამ ბევრად ახალგაზრდად გამოიყურება.

ერთი წლის მერე ქალიშვილი გვეყოლა და თოვლისა დავარქვი.

ბავშვის დაბადების მოწმობა რომ დაგვჭირდა მე და ციალას, მაშინ გავვასსენდა ხელი მოწერილი რომ არ გვქონდა, გავიქეციით და დავქორწინდით.

თოვლისა ჩვენი გზის მანათობელი ვარსკვლავია.

ამბობენ: აღამიანი მოსწავლეა, ტანჯვა — მასწავლებელიო. მე ეს მასწავლებელი დიდხანს მყავდა. კარგი მოსწავლეც გამოვდექი და, ფეიქრობ, აწი მაინც ვიცნოვრებ ლალად ჩემს ბედნიერ ოჯახში.

ფეხს იქამდე ვქიმიავ, სანამდისაც საბანი გამწვდება.

ციალა მეზობლის ქალებს კაბებს უყვრავს და ცოტა შემოსავალიც აქვს. ფუტკარივითაა: თუ ბზუის, თაფლს აგროვებს, თუ ჩუმადაა, თაფლზე ფიქრობს.

ერთად ვეწვეით ცხოვრების ქაბანს. წამოსამახს კი არაფერს ვაკეთებთ! ჩვენი ლუკმა ტყბილია, რადგანაც კაცი-კაცივითაა ნაშოვნია.

როგორც ვშრომობთ, ისე ვცხოვრობთ.

ერთ დღეს (მაშინ ჩვენი თოვლისა მე-ხუთე წელში იყო გადამდგარი) გოძომ ფუთულა ჩამოიყვანა სოფლიდან და მთხოვა:

— თუ ძმა ხარ, დამეხმარე და ფუთულა ბენდელიანის სახელობის საფრენოსნო სასწავლებელში მომაწყობინე. შვიდი კლასი დაამთავრა და ახლა თავს იკლავს, გინდა თუ არა მფრინავი უნდა გავხდეთ. პირდაპირ შემფურზე აგვაგო...

ნაყოფარ მოხვერს ჰგავდა ფუთულა. გოძო დავაიმედე:



— რას იზამ, მფრინაობა უნდა? გახდეს მფრინავი! ყველა თავისი ბედის მკვლელია-მეთქი.

საფრენოსნო საწავლებელში ფუთულას მოწყობა არ გაგვიჩრებია—ყველა

საჭირო მონაცემი თავზე საყრელად ჰქონდა.

ღარი დაუდგა ყმაწვილს ბინაც მიიღო საერთო საცხოვრებელში...

მუხის ფესვიდან ადამიანი მუხა

ფუთულა თითქმის ყოველდღე მოდის ჩვენთან და არასოდეს ისე არ მოვა, თოვლისას რაიმე სახეუქარი რომ არ მოტანოს.

თოვლისაც, ნახავს თუ არა ფუთულას, კისერზე ჩამოეკიდება და ეუბანება, რა მომიტანეო.

ფუთულას თოვლისა ხშირად დაჰყავს კინოში.

დღესაც კინოში იყვნენ.

ფუთულა უკვე შეთქმულს წელშია. ისეთი ბიჭია, ჩამოღვეპო ვერაფერს ვაუბრებდავს.

პირის პარსვა ახლახან დაიწყო.

მე ვაჩუქე ჩემი ელექტროსაპარსი და დავარიგე: ამიერიდან ელექტროსაპარსით იპარსოს და სამართებელი არ გაიქაროს.

სასწავლებელში პირველ კურსანტად ითვლება. პილოტირების საუკეთესო ოსტატი.

საერთოდ, კურსანტებს ყოველთვის მარჯვენა პილოტის ადგილი უჭირავთ თვითმფრინავში და მარცხენა პილოტი მართავს მხოლოდ პაერში გადასაცემს მათ. აფრენა და დაშვება მარცხენა პილოტისაა, მაგრამ გამონაკლისი გაუკეთებიათ და აფრენა-დაშვებაც მიუნდვიათ ფუთულასთვის რამდენჯერმე.

რუსულს ისე ლაპარაკობს ფუთულა, თვალი რომ დახუჭო, გეგონებო რუსი ლაპარაკობსო. ინგლისურსაც კითხულობს, ოღონდ ჩათვლით, შარცვალ-მარცვალ. საპურყველო ლაპარაკიც შეუძლია ამ ენაზე.

ჩემი ბინა ზედ რუსთაველის გამზირზეა, კინო-თეატრ „სპარტაკის“ პირდაპირ.

მე აივანზე ვიდექი და ქუჩაში გამეღელ ლამაზ ქალებს ვაკვირდებოდი.

რა ვქნა, ასეთი თვალძაღლი ვარ,

კარგს რომ ვნახავ, უნდა შევავადე ცქირით.

ვიცი, სხვისი მზე მე ვერ გამათბობს, მაგრამ მაინც ვეფიცები, თურაშაულის პატრონი ვარ და ტყეში პანტას მაინც შევეციციებ. ვდგავარ ასე აივანზე და ვახალახებ თვალს, როცა ციალა შინ არ არის...

ქუჩაში ხალხმა იმატა, ალბათ, სენსი დამთავრდა.

თვალი მოკვარი ფუთულას და თოვლისას ხელიხელჩაკიდებულნი გამოვიდნენ თეატრიდან, სახლისკენ არ წამოსულან, საპირისპირო მიმართულებით გასწიეს, ალბათ, ლადიმის წყლის დასალევად.

თოვლისა ქვემოდან შეჰყურებდა ფუთულას და ეტიკეტოებოდა.

ახლა რატომღაც აღრინდელზე მეტად მომეწონა ჩემი პირმშო. თეთრი კაბა ეცვა, დიდი თეთრი ბაბთა ეკეთა, კულულები შუბლზე ჰქონდა ჩამოყრილი.

გვერდით გამეღელნი სიყვარულით შეჰყურებდნენ ამ თოჯინასავით კოხტა და კალმით ნახატ გოგონას.

ჯერ მხოლოდ პირველ კლასშია თოვლისა, ხიდან ქვამდე არაფერი გაეგება ცხოვრებისა, იის თვალეზით უყურებს ქვეყნიერებას და საბავშვო ეტლში ნეზივრად მთვლემარე ჩველი ბავშვები მალაზიაში ხაყიდი ჰგონია.

ფუფურებდი და ვტკებმოდი. ჩემს აივანს საკმაოდ დაშორდნენ.

ქუჩის გადასასვლელთან უცხოებმა ბიჭებმა თვალში ამოიღეს ფუთულა და რაღაც ჩაულაპარაკეს.

არ მოეწონათ, ალბათ, ფუთულა, რადგან ფუთულას იმათსავით ვიწრო შარვალი და გახეთივით ჰრელი პერანგი არ ეცვა.

ფუთულამ შეუბღვირა მასზე უფროს ბიჭებს.

ბიჭებმა ეს იწყინეს და, ფუთულას გასაბრაზებლად, თოვლისას ბაბთა ააცალეს თავიდან, ააცალეს და დამცინავი ღიმილით კედელს აეყუდნენ.

ოთხნი იყვნენ.

თოვლისამ ტირილი დაიწყო.

ფუთულა მიიქრა უსაქმუროებს და უბრაძანა ბაბთა დაებრუნებინათ.

მათ სპასაცილოდაც არ ეყოთ ფუთულას ნათქვამი.

აღბათ, ჭერ არ მოხვედროდათ სხვისი მუშტი და თავიანთი მუშტი ბათქანი ეგონათ.

ფუთულა თოვლისასთვის ფეხშიშველა ჩადგებოდა ცეცხლში და ასე იოლად არავის დააჩაგვრინებდა მას; ელვის სისწრაფით ჰკრა თავური ერთს, ყველაზე მაღალს, პირაღმა გაშლართა.

ახლა სამნი წამოვიდნენ ფუთულასკენ.

ისევ აენთო და აბრიალდა ფუთულა. დაიწყო საკინძების ჩამოწყვეტა...

სეირის მოყვარულები მოჩხუბართა გამწვლებას არ ფიქრობდნენ, სხვის ხანძარზე ხელს ითბობდნენ.

სამნი გარს რომ შემოერტყნენ, ერთს მუშტი ჰკრა ფუთულამ და ერთს ფეხს დააგორა, მეორეს ისტეპანოვს დასაშინა. ცხვირ-პირიდან ძმარი აღინა ორივეს, ანგელოსები დაუფრთხო.

ასეც მოველოდი. აბა, რა კარგი დღე დაადგებოდათ ამ, სოფელში ზამთარ-ზაფხულ ფეხშიშველა გაზრდილი ბიჭის ხელში! სად თავი ჰქონდათ და სად ფეხი არ იცოდნენ.

მეოთხემ ძირს გაფენილი ძმაცაკები რომ ნახა, ცხვირის ტყავი მოიხვია და ფეხაკრფით გაიძურწა.

ყველაფერი ეს ისე თვალისდახამხამებაში მოხდა, რომ აღვილიდან განძრევაც ვერ მოვასწარი, ვერც ის მოვი-საზრე, ქუჩაში ჩაშერბინა...

ფუთულამ ძირს დაგარდნილი ბაბთა აიღო, გაბერტყა და ჭიბში ჩაიღო.

თოვლისა უკვე არ ტირიდა, ექაჩებო-და ფუთულას: წამოდიო.

ასეთი იყო ცხონებული დიანოზა მკედელიც, ფუთულას მამა, იოლად არავის დაეჩაგვრინებოდა.

ასეთია ფუთულაც.

მუხის ფესვიდან მუხა ამოვიდა.

ჰეყენის გარდა მაცხარალი თვალნი

ამის შემდეგ ფუთულა ხუთ დღეს არ გამოჩენილა და თოვლისა სულ უბუნებოდ იყო.

მეექვსე დღეს შემოიარა ფუთულამ და ჩუმად ჩამიკენჯა:

— სხვაგან გადავყავართ სასწავლებლად. ოღონდ იცოდე, სათქმელად არ გაძლევეო.

მე გულში გავიფიქრე: ამ ზევშვის სოფელში ღატოვება მართლაც ცოდვის კითხვა იქნებოდა-მეთქი. ხმაბლდა კი ბევრი ვეჩიხინე, ყელგამოწეული ვე-მუდარე:

— ნუ მიღიხარ, რამე ხიფათს არ გადაეყარო, დაეტიე შენს წილ მიწაზე-მეთქი.

მაგრამ ფუთულას უკვე გაშლილი ჰქონდა ფრთები გასაფრენად...

ეს ხუთი დღე ცეცხლში გაუტარებიათ

ფუთულა და მერე მიუციათ ანკეტები შესავსებად.

მეორე დღეს გვიან ღამით მოვიდა და გამოგვემწვიდობა.

თოვლისას გულის ძილით ეძინა და არ გაგვაღვიძებინა. ბალიშის ქვეშ რაღაც საჩუქარი დაუტოვა და წავიდა.

სად, რომელ მხარეს მიდიოდა, არ გვითხრა რატომღაც და არც ჩვენ დავაძალეთ.

ვიგრძენი, ფუთულა უკვე ის ფუთულა არ იყო, როგორსაც მე ვიცნობდი. იგი მეოცნებე თვალთ ქვეყნის გაღმა იყურებოდა, ფართო გზაზე გადიოდა.

ვიცოდი, ფუთულა თავს არსად წააგებდა და ქვეყანას დაამშვენებდა.

მე ჩემი დარიგება მაინც გვატარებ საგზალად:

— ცხოვრებამ ცოდო და შადლი არ

იცის, ჩემო ფუთულა. სანამ ფეხს გადადგამდე, ჯერ წინ ნიადაგი მოსინჯე, ჩასავარდნი არ იყოს-მეთქი.

ფუთულამ გაიღიმა, გაღიმებული წავიდა და ასევე გაღიმებული დარჩა ჩემს მუხისიერებაში.

ალბათ იქ იყო ფუთულას ბედი და მის ფეხსაც იქ მიჰყავდა.

თეთრი ცხელვა

სოფლიდან დეპეშა მივიღეთ.
— მამაშენი გარდაიცვალა, ჩამოდი, სახლს მიხედო, — ატყობინებდნენ ციალას მეზობლები.

ტიმოთეს სიკვდილს ციალასთვის გულზე არ გადაუვლია, წასვლა მაინც აუცილებელი იყო.

თოვლისა ჩემს დისშვილებში გავრეთ და მეორე დღესვე გავემგზავრეთ აბაშაში.

აბაშიდან ციალას სოფლისკენ გავიყოლიეთ გოძო, ძაბულია, გივი და ციალას გათხოვების დიდი მოამბეები: ზინა, იულონი, კოჩობა, კოწია და ლაქი და სევასტი.

ზინა და იულონი შეუღლებულან. მივულოცე და ორივე გადავკოცნე.

ციალამ ჩემგან უკვე იცოდა, თუ რა „თანამდებობისანი“ იყვნენ ეს ჩემი მეგობრები ნამდვილად და უნაყვედურნია კიდევ: რად დაგჭირდა ჩემი მოტყუება? მე მაშინ ისეთ დღეში ვიყავი, ჯოჯოსებთ-შიც გამოგყვებოდითო.

ახლა რომ ნაბა თავისი ძველი ნაცნობები, გაიხარა.

ჩვენ გზადაგზა ვხუმრობდით და ვიცინოდით.

ციალაც იცინოდა, მაგრამ რაღაც ნერვიულობა იგრძნობოდა მის სიცილში.

ტიმოთეს ჩანავლებულ კერას რომ მივეუახლოვდით, საშინელი თავსხმა დაიწყო, ცა ლამის ზედ ჩამოგვექცა.

უბედურ ტიმოთეს ბოლო დროს ქამა სულ მიეტოვებინა. ყბა ყბაში გასდიოდა თურმე, ისე გამხდარა. მხოლოდ სასმელი ყოფილა მისი სულისდგმა.

წავიდა ფუთულა და თანაგაქცევინა ჩემი თვალი და გული.

თოვლისა სულ დადარდიანდა. რატომ არ გამაღვიძეთო, — გასაყვედურობდა ყოველ წუთს; ღამე ერთი იყო და ათასნაირ სიზმრებს ხედავდა, მერე დედამისს უნაშობდა ჩემად, დედამისი კი უფრო ჩემად მე მეტყოდა...

სვამდა თურმე და აცინებდა მტერს. რა ტოტზედაც იჯდა, იმ ტოტს სჭრიდა.

ადრე სოფელი ტიმოთეს ქირსა და ლბინს კალთით ატარებდა, ბოლოს კი თავი მოაბეზრა ყველას, ცხოვრების თავდაღმართზე ბარბაკით დაშვებულმა.

მერე და მერე, რომ არავინ ასმევდა, აძღვარა და თავისი „ვენახი“ მოუძებნია: სახლში რასაც კი ხელი წამოუკვრებოდა, სულ მაზარში გაუზიდნია, რომ ჭიქა არეის ფული არ შემოკლებოდა.

ხან ქუჩაში ეძინა თურმე, ხან — მიწდორში, ხანაც სახლში: აატყნე მივედებოდა...

გასაყიდიც რომ გამოლევია, ისევ სხვის მარანში დაუწყია ყურება.

ვერავეითარმა რჩევამ, ვერც ძალდატანებამ ვერ გასჭრა თურმე მასთან.

მეზობლებს ზურგი შეჰქცევიათ მისთვის.

დარჩენილა ტიმოთე ღობის გარეთ.

ხუთი დღის წინ დუქანთან ჩამოუვლია და მედუქნისთვის ერთი ბოთლი არაყი უთხოვია ნისიად.

უარი უთქვამს მედუქნეს, — არაყს რომ ვერ იზოვნის, იქნებ სწორ გზაზე გადმოვიდესო.

— ვკვდები, ბიჭო, და ჩემი სული შენს ხელშიაო, — შევედრებია ტიმოთე მედუქნეს.

— მოკვდები, თორემ ყორნები შავს ჩაიცვამენო, — უბასუხნია მედუქნეს და ახლა ეს უკლავდა გულს, ბავშვივით ტოროდა: — მიმეცა ის ერთი ბოთლი არაყი, ჩემი მწარე სიტყვები ჯავრად არ გამეყოლებინაო...

გიცივით დახეტებოდა თურმე ტიმო-
თე, მაგრამ თავისი გასაჭირიასათვის ვე-
რაფერი უშველნია.

სადაც არ უხნავს, იქ რას მოჰქიდა!
ერთხელ გლეხებს თვალი მოუკრავთ,
თუ როგორ გარბოდა გზაზე ტიმოთე.
თეთრი ცხელუბა შეჰყროდა საცო-
დავს.

მიუღრენია მდინარის მალალ ხაბოს-
თან და გადავარდნილა არაადამიანური
ღრმადი.

მიწის ზევით ვინც დადიოდა, ყველას
თვალის ეკლად ექცა და სხვა რა გზა
ჰქონდა, თავისივე ფეხით ჩაჰბარებია
პატრონს.

ასე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მზით გა-
უშაძლარი წავიდა შვეეთს ეს შავ ვარ-
სკელავზე დაბადებული კაცი.

რაც მან თავის თავს ავნო, იმას მტე-
რიც ვერ უხამდა.

მამაზეციერო ღმერთო, მიუტრევე ყო-
ველი შეცოდება, რამე თუ შენგანვე
იყო დასჯილი!...

მეზობლებს საღარბაზო ოთახში და-
ესვენებინათ ცხელად.

ქალებმა ცილა რომ დაინახეს, მო-
ატირეს:

— დასვენა, შეილო, შენმა უბე-
დურმა მამამ, შენმა გამზრდელმა და
პატრონმა.

ტიმოთე მისი ნამდვილი მამა რომ არ
იყო, ეს თუ ჰქონდა გაგებელი ცილას,
მეზობლებმა ახლაც არ იცოდნენ, ალ-
ბათ. ამიტომ მოატირეს ასე.

აქ კი ვერ მოითმინა ცილამ და ცრემ-
ლები გადმოსცვივდა. ტიროდა ჩუქად,
მოთქმის გარეშე.

მეც ჩამეწყვეთა გულში ცრემლი, შე-
მეცოდა ეს თავის უბედური კაცი.

ძაბულია და ზინა ცილას გვერდით
ელგნენ და ისინიც ტიროდნენ.

ცილას ძლიერ უბდებოდა შავი, სამ-
გლოვიარო ტანსაცმელი და მე სრუ-
ლიად უაღვილოდ გაეფიქრე: მეც რომ
მოგვედები, ასევე შავად შეიმოსება
ცილა და დამიტირებს-მეთქი.

ცხელადი თავის უქანასკნელ გზას

რომ გავუყენეთ, მე ცილას ჩამოვშორ-
დი და პაპიროსი გადაბრუნე.

რატომღაც ახლა გამანსუნდა ცი-
ლას მეგობარი ქალიშვილი, სოფლიდან
ცილას წამოყვანია დამეს რომ გავი-
ცანი.

გამანსუნდა, როგორ მოვიკიდე ხელები
საოცრად ღბილ მკლავებში, როგორ
მივიკარი მისი ზურგი და ჩავიხურაწუ-
ლუ: შიღი, გენაცვალე, მოეხმარე ცი-
ლას-მეთქი.

მართლაც, როგორ დამამახსოვრა თა-
ვი იმ ცეცხლში დასაწყვავმა! აქამდე ვერ
გადავიგდე გულზე, ახლაც მაცდურად
დამიღვა თვალწინ.

ღმერთმა იცოდეს, ცუდი არაფერი
მიფიქრია, მაგრამ ერთი-ორჯერ მაინც
მიმოვიხიდე, ვიცოდი აქ იქნებოდა
სადზე.

მალე შევნიშნე.

ვილაც ქალს მოჰყვებოდა.

— მომეცი თვალი და მაცურებინე-
მეთქი, — გავივლე გულში.

ახლა უფრო დამშვენებული მეჩვენა.
სავსე მთვარესავით მოჩანდა გაშლი-
ლი შავი ქოლგების „ღრუბლებში“.

მოდიოდა და მოანათებდა...

გალმა გორაზე ენთო ცეცხლი და მე
აქედან ვუშვარი მკერდს. ის ათობდა
მხოლოდ სულს და არა სხეულს.

და მე ამ გათბობითაც კმაყოფილი ვი-
ყავი.

გაფრენილ მერცხლის ფერი კაბა ეც-
ვა.

რომ შემომხვდა და გამიღიმა, რაღაც
უცნაურმა ელდამ დამკრა და გამაბ-
რუა.

კიდევ კარგი, ფიქრების მოსმენა რომ
არ შეუძლია სხვას!...

ქელები სოფელმა გადაუხადა ტი-
მოთეს.

ის, ცილას მეგობარი ქალიშვილი, ახ-
ლა მოვიდა ჩვენთან, ცილა გადაკოცნა,
მე ხელი ჩამომართვა.

ჩვენს გვერდით იჯდა ქელებზე.

მეზობელ სოფელში ყოფილა გათბო-
ვილი...



საიდუმლო ფობოსურათი

ქალაღღებში ქალისა და კაცის (ფობოსი) სურათს წავაწყდით.

მეზღინეთქა

მეორე დღეს მე და ციალა მარტონი დავრჩით გაცივებულ სახლში.

ჩვენი მომყოლები წინა საღამოსვე დაბრუნდნენ აბაშაში.

ციალამ მიიხედ-მოიხედა თავის მშობლიურ კარმიდამოში.

მათ ეზოში ადრე ჩიტიც ვერ შემოფრინდებოდა თურმე, ახლა კი ღორებს გადაეთხარათ იქაურობა.

კიდევ კარგი, რქებიც არ აქვთ ღორებს, თორემ სახლსაც გადააბრუნებდნენ.

სახლს სიძველე არ ეტყობოდა, ქვა ქვაზე კი იდგა მაგრამ ოთახები გამოტირებული იყო.

ყველაზე ადრე ციალამ დედისეული კარადა გახსნა...

ქვაბებიც კი გაყიდული ჰქონდა ტიმოთეს და მეუღლისეული, ძვირფასი ნივთებისათვის ხელი არ უხლია.

საოცარია!

ციალა დედის ტანსაცმელს ჰკოცნიდა და ცხარე ცრემლებით ალბობდა.

ნივთებში ხის პატარა კოლოფი ვიპოვეთ. კოლოფი დაკეტილი იყო, გასაღები კი არსად ჩანდა.

ციალას საუბროს თავი რომ მიეცა ვკითხე: გაეტეხოთ თუ არა-მეთქი?

დასტური მომცა.

რატომღაც მეგონა, კოლოფში ფული იქნებოდა, მაგრამ მასში ციალას დედის ხელნაწერები აღმოჩნდა მხოლოდ.

ქალში ციალამ დედამისი იცნო. ზღაპრული სილამაზის ქალი ყოფილა ახალგაზრდობაში, თვალის ბოროტი.

მამაკაცი უცნობი გამოდგა ციალასათვის.

მეც დავაკვირდი მამაკაცს: იქნებოდა ასე ორმოცი წლისა. რაღაც ნაცნობი და ახლობელი ვნახე მის თვალებში, თითქოს საღლაც მენახა ეს კაცი, მენახა ძალიან ახლოს. მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოვიგონე.

ოდნავ შეტრთვილული, ზუკუქა თმა ამშვენებდა.

იღიმებოდა და ეს ღიმილიც მეცნაურა საოცრად.

მეცნაურა მისი მარცხენა წარბის აზიდულობაც.

რაკი ვერ მოვიგონე, ვინ უნდა ყოფილიყო, გადავწყვიტე, ალბათ, ვინმეს მივამსგავსე-მეთქი, და თავის ტეხვას მოვეშვი.

ახლა ციალას დედის დღიურების კითხვას შევეუდგე.

გული რაღაც მოულოდნელს მითქვამდა.

„შეილო ჩემო ციალა! ოდესმე მე არ ვიქნები და შენ წაიკითხავ ამ ცრემლიან ნაწერებს. წაიკითხავ და გაიგებ, ვინ იყო შენი ნამდვილი მამა“, — ასე იწყებოდა ჩანაწერები და შემდეგ მოჰყვებოდა დღიურები.

თეთრი მხედარი

ოცი წლისა ყოფილა ციალას დედა— ივლიტა, როდესაც თავის მეგობარ ქალიშვილთან ერთად სოფლიდან დაბაში ჩამოსულა რაღაც საყიდლებზე.

ის „რაღაც საყიდლები“ ვერ უშოვნიათ ქალიშვილებს, სამაგიეროდ დიდი უნახავთ და ერთი თეთრჩონიანი და თეთრცხენოსანი მხედარი მოსწონებიათ ორთავეს.

თვალით დაუნახავთ და გულით შეკუყარებიათ.

ერთმანეთისთვისაც გაუმხელიათ გუ-

ლის საიდუმლო და ცალცალკე ორივეს ასე უფიქრია ჩუმად: მე უნდა დავასწრო და გავიციო თეთრი მხედარიო.

ამ თეთრ მხედარს წულების კერძო სახელოსნო ჰქონია დაბაში.

მასინ ათას ცხრას ოცდაოთხი წელი იყო და კერძო სახელოსნოები ჯერ კიდევ შემორჩენილი ყოფილა აქა-იქ-მბჟუტავ სანთელივით.

რამდენიმე დღის შემდეგ ივლიტა (ციალას დედა) ისევ ჩამოსულა დაბაში. შებინდებისას ბლთან ჩაუვლია და

ერთ მყუდრო ადგილას თავისი მეგობარი ქალიშვილი და ის თეთრი მხედარი უნახავს ერთმანეთს გადახვეულ-გადაფსკენილი.

ივლიტა ბოღმით ავსებულა.

სოფელში დაბრუნებულს გული სტიკოდა და ცხარე ცრემლები სცვიოდა თურმე.

მთელ ღამეებს თეთრ მხედარზე ფიქრში ათევდა, თავისი მეგობრის თმებით თრევას ნატრობდა...

ბოლოს, დედის ნებართვით, დაბაში გადასულა საცხოვრებლად.

იქ ერთი პატარა ოთახი დაუქირავებია და ტექნიკუმში მოწყობილა სასწავლებლად.

ივლიტას სწავლა სრულებითაც არ აინტერესებდა თურმე, მას თეთრ მხედართან დაახლოვება უნდოდა მხოლოდ, თავისი მეგობრის ჯიბრით და თავისი გულის კარნახით.

იგი მარტო თავის თავისთვის ფიქრობდა და ბუნებრივად გამხდარა ბოროტი მეგობრისათვის.

ერთ დღეს მართლაც გაუცენია თეთრი მხედარი და საღამოსთვის ბაღში მოსვლას შეჰპირებია.

პირველი შეხვედრისთანავე კოცნა დაუბირებია ოდნავ შემთვრალ მხედარს.

ივლიტა გასხლტომია ხელიდან და შინ გაქცეულა.

თვითონ სწყუროდა მხედრის სიახლოვე და თვითონვე გაქცევია ნაოცნებარ წუთებს.

მეორე დღეს ისევ მოუნახავს თეთრი მხედარი და შეხვედრის ადგილად თავისი პატარა ოთახი დაუთქვამს.

გამილილი სუფრა დაუხვედრებია მხედრისთვის და ახლა თვითონ მიუშვერია ლოყა საკოცნელად.

თეთრი მხედარი ღამაში კაცი ყოფილა, ქალებისაგან ცოტათი განებვირებულიც, მაგრამ, ივლიტას მშვენიერებით მოზიბლულს, სხვა, ყველა დავიწყებია.

მთვარე მისკენ იყო და ვარსკვლავებს რას შეეპუებოდა!

ივლიტას თვალთ კი უნახავს მთახლოვებული უბედურება. მაგრამ ჰკუთით არ განუსჯია, რადგანაც, რაც ბრწყინავდა, ყველაფერი ოქროსკონებია მაშინ.

მხედარსაც რა ენადღეებოდა, ცოტა შეუსვამს და უეკლოდ მოუწყვებია ვარდი...

თითქმის ყოველ საღამოს ხედებოდნენ ერთმანეთს იმ პატარა ოთახში.

ივლიტას გვიან გაუგია, მხედარი ცოლიანი რომ იყო, მაგრამ სიყვარული ხომ ბრმაა და ივლიტას მაინც არ ახელია თვალი; უფიქრია: მხედარს თავის ცოლთან შვილი არა ჰყავს, ალბათ, მიატოვებს და მე შემირთავსო.

ბევრი ნდომებია და ბოლოს ცოტაც დაუქარგავს.

მისი და თეთრი მხედრის საიდუმლო შეხვედრების მოწმე მხოლოდ იმ პატარა ოთახის კედლები იყვნენ, მაგრამ კედელსაც ჰქონია ყური და ივლიტას მეგობარ ქალიშვილსაც მალე გაუგია ყოველივე ეს.

გაუგია და შურისძიება განუზრახავს: ამ მიზნით ივლიტასთან მაცდურად დამტკბარა, ვითომ მხედრის ჯავრი სულაც არ ჰქონიყოს. კანი გაუძვრია გველს, მაგრამ გული მაინც გველისა დარჩენია.

ივლიტას კარგი თვალში ესობოდა და არ იმჩნევდა თურმე, ასე მიუღწევია ბოროტი მიზნისთვის.

კოკა წყალზე გატეხილა:

ერთ საღამოს თეთრ მხედარს ივლიტას ოთახში ის იყო ღამფა ჩაუქრია, რომ კარებზე ვიღაცას ბრავა-ბრუგი აუტეხია.

შემოკრილან ოთახში მხედრის ცოლი, ჩაბერებული ცოლის დები და სიდედრი, დასძვგრებიან მხედარს და გაუწყვავთ.

ქვა ქვას სცემია და ივლიტა შუაში დაუტანებია: თმებით უთრევიათ ივლიტა, სიკვდილის პირზე მიუყვანიათ, ქუჩის ქალი უწოდებიათ; ერთი წიხლის კვრით დაუქცევიათ მისი იმედის კოშკი და დაბიდანაც გაუძვებიათ.

ივლიტას თმებს აგლეჯდნენ და ის თურმე შინც მხედრისკენ იყურებოდა. ყველაფერი ეს ივლიტას მეგობარ ქალიშვილს მოუწყვია.

თავის სოფელში დაბრუნებულ ივლიტას ერთხანს იმედიც ჰქონია: თეთრი მხედარი მოვა და მომნახავსო. მაგრამ ის არ გამოჩენილა.

ივლიტას ცხოვრების აღმართს თავდაღმართი მოჰყოლია და დაშვებულა ივლიტაც ამ სევდიან თავდაღმართზე.

სიკეთე გაქცევა და ვერ დასწევია, სიკვლე გამოჰკიდებია და გვერდი ვერ აუქცევია.

კარგა ხანს უმალავს ჭირი, მაგრამ ჭირს თავი არ დაუმალავს: თანდათან კაბები დაეწირვებია ივლიტას.

წყალში იყო ჩაგარდნილი და მშრალი როგორღა ამოვიდოდა!

თავს მალავდა ხოხობი, მაგრამ კუდი მოუჩანდა.

მეზობლებში მითქმა-მოთქმა და ჩურჩული დაუწყიათ.

ივლიტა მთელი გულით გრძნობდა სიმართლის სიმწვავეს, სირცხვილის დიდი კომბალი სცემდა თავში.

დედა თავისი გაუბედურებული ქალიშვილის ჯავრს გადაჰყოლია, ხოლო ივლიტას უბედურების მომწყობი ქალისთვის სამაგიერო უფალს გადაუხდია. შინ მართო მყოფს ჰა ჩაქცევია ერთხელ, ჩაგარდნილა შივ და ჩამხრჩვალა.

ჰაც წაუბილწავს.

ივლიტას, სახლში უფროსი რომ არავინ დარჩენია, დედაბოძისთვის უკითხავს: როგორ მოვიქცეო.

დედაბოძს, ივლიტას წარმოდგენით, სულიერებით ენა აუდგამს:

— ამ სოფელში არ დაგედგომება, გაყიდე სახლ-კარი და მამიდაშენის სოფელში გადასახლდით.

ასეც მოქცეულა ფეხშიმე ქალი, გაუყიდნია თავისი სახლ-კარი და სოფელ ეწერიდან სოფელ ნაესაკოვოში გადაბარგებულა მამიდამისთან.

სწორედ იმ ხანად, ათას ცხრაას ოცდაოთხი წლის ოცდაერთ აგვისტოს, მენშევიკების გამოსვლები დაწყებულა.

მთელი დღე ისმოდა თურმე სრულის ხმა დაბიდან.

ამ გამოსვლებით ივლიტას მოხერხებულად უსარგებლნია:

— ჩემს საცოდავ ქმიშვილს, ივლიტას, ქმარი გამოსვლებში მოუკლეს და ფეხშიმე ჩამომივიდაო...

ივლიტას მალე ქალიშვილი შესძენია და ციალა დაურქმევია.

ასე მოვლენია ამ ქვეყანას ჩემი მეუღლე.

ივლიტა უკვე დამქცნარი ვარდი იყო მაგრამ ჰინჯარს შინც სჯობნებია. ამიტომ მოხონელებიც გასჩენია „ქმარდაღებულ“ ქალს.

ბოლოს ივლიტა ცოლად შეურთავს სოფლის აგრონომს, ტიმოტეს, და ციალა თავის შვილად ჩაუწერია...

უკვე ქმარ-შვილიან ივლიტასთან ერთხელ თავის მესაიდუმლე ქალს დაბიდან ამბავი ჩამოუტანია. „თეთრი მხედრისთვის“ სახელოსნო ჩამოურთმევიათ თურმე: ძველმა დრომ ჭირი მოგჭამა, ახლა თუ გნებავს, არტელში შემობრძანდითო. მხედარი არტელში არ შესულა; ვადატაკებულა კიდეც, თავისი რვაოვალისანი სახლი გაუყიდნია, სადღაც, იქვე, ოროთახიანი, ჩია ოდა დაუდგამს და მეჯღანეობა დაუწყია.

— რომ ნახო, სამოცი წლისა გეგონება, ისეა მოტეხილი და დაჩაჩანაყებულიო, — დაუტენია ამბის მომტანს.

ივლიტას ჰმბრისაგან დაფარულად ბევრი უტერია და საუკუნოდ გამოუგლოვია თავისი პირველი სიყვარული.

„ბუნების ძალამ ღირსეულად დამსაჯა, ქარი დაეთესე და ქარიშხალი მოვიმკე, ოდესმე მე არ ვიქნები, ჩემო შვილო ციალა და შინდა, იცოდე, ვინ იყო შენი ნამდვილი მამა“, — ასე მთავრდებოდა ციალას დედის დღიურები.

ბოლომ სულ ნათლად გამოაჩინა საქმე, რადგანაც სწორედ ბოლოში იყო მიწერილი თეთრი მხედრის სახელი და გვარი.

დილაშდე ვკითხულობდი დღიურს.

ციალა გულგადაღებული მისმენდა და ცრემლად იღვრებოდა.

დედის ნაქამმა ტყემალმა შეიღს მოსკრა კბილი.

ღლიური დაეხურე და ისევ ფოტოსურათს დაეკვირდი.

ეს სურათი უკვე არ იყო ჩემთვის საიდუმლოებით მოცული. ახლა კი ნამდვილად ვიცანი ციალას დედის გვერდით გადაღებული მამაკაცი, ჩემი მეზობელი, საყვარელი მოხუცი, ჩემი მეზობელი, „მოთმინების ზღაპრისა“ და „ლურჯი იემის ზღაპრის“ მთარბელი, ჩემი ჰყუის მასწავლებელი, აწ განსვენებული — მეჯანე ესტატე.

თეთრი მხედრის და მინდვრის ყვავილის ზღაპარი

იყო ერთი დარდიმანი კაცი.

თეთრი ცხენი ჰყავდა...

თეთრი ჩოხა-ახალუხი ეცვა...

თეთრი ბოხობი ესურა...

და ამიტომ „თეთრ მხედარს“ ეძახდნენ.

შეკაზმავდა თავის თეთროსს, შემოირტყამდა ვერცხლის ქამარ-ხანჯალს, ვერცხლის რახტით მორთულ ალვირს მარცხენა ხელით ჩაბლუჯავდა, მარჯვენაში შვლისფეხისტირიან მათრახს შეათამაშებდა და დადიოდა უდარდელად ყვავილების ქვეყანაში.

ყვავილები მოხიზლული იყვნენ მხედრის მშვენიერებით და ცდილობდნენ ფიანდაზად დაჟფნოდნენ მის სავალ გზას.

მაგრამ მხედარი არასდროს არ თელავდა ლამაზ ყვავილებს...

ერთ დღეს ყვავილების ზღვაში შენიშნა ერთი მეტად მიმზიდველი, უცხო ფეროვნების, ყელმოღერებული ყვავილი.

ცხენდაცხენ ჩაუჭროლა, მოსწყვიტა და გაფრინდა.

ყვავილს დამათრობელი სურნელება ჰქონდა და მხედარიც დაითვრა ამ სურნელებით.

მშვენიერებასთან ალერსით გართულს, ეგონა მზისკენ მიდიოდა.

წამით რომ გამოფხიზლდა და მიმოიხედა, დარწმუნდა: მზისკენ კი არა უკან, ლამისკენ, ჰქონია გეზი აღებული.

მე ხომ მას მეჯანე მოვესწარი! მე ხომ არ მინახავს იგივე თეთროსს ვმხედრებული!

რაც სიყრმეში ჰქონია დათესილი, ის მოიმკა სიბერეში, და მე მხოლოდ მისი მოსავლის ამ ალოს დავესწარი.

დიხანს ვაკვირდებოდი სურათს, ვესიყვარულდებოდი ჩემი ესტატე ბიძიას ჰაბუკობის წლებს.

ახლა გამახსენდა მის მიერ მონაყოლი „თეთრი მხედრის და მინდვრის ყვავილის ზღაპარიც“.

შავი ღრუბლებით დაძონძილიყო მისი ცა.

პირველი მეხი რომ გავარდა, მხედარმა გვერდზე მოძროლა ყვავილი, დეზი ჰკრა თეთროსს და გაჰქუსლა უგზოუკვლოდ.

მიქროდა თეთრი მხედარი და არ იცოდა, საით მიქროდა. ქვად და ლოდად იქცა — უკვე არაფერი გაეგებოდა ქვეყნიერებისა.

გაიარა წლების მანძილი.

შავმა ღრუბლებმა შავი წვიმა დაუშვეს და ერთიან გააშავეს თეთრი მხედარი. ეკალ-ბარდებმა ტანისამოსი შემოაფხრიწეს, სრბოლამ და დრომ ცხენს მუხლის ღონე გამოსწოვა...

დავარდა თეთრონი...

მხედარმა ახლა ფეხით განაგრძო გზა და მიადგა ერთ უსახურაო, უჭერო, უკეღლებო, უკარო, უფანჯრო და უდებამოძო ქოხს.

შევიდა შიგ, პატარა ცეცხლი ააბუტა და დამზრალი სხეული ოდნავ შეითბო. მას გზის განგრძობის ძალა უკვე არ შესწევდა და სამუდამოდ დარჩა ამ ქოხში.

ის მოწყვეტილი და გადაგდებული, უცხო ფეროვნების ყვავილი კი დიღხანს ულოდა თავის თეთრ მხედარს და ლოდინში დაქვნა...

ამ ზღაპარს რომ მიყვებოდა, ესტატე ბიძიას, თვალეზი ცრემლით ევსებოდა

და მე ამ თვალთა სისველეს კერის ბოლს ვაბრალებდი.

ზღაპარი სრულებით არ მიზიდავდა, რადგანაც არაფერი გამეგებოდა მისი დედაზრისა.

მისვალეზულთა გამოღვიძება

ზღაპრის ამ მოგონებამ ერთ წამში გამიბრძინა თვალწინ.

ციოლას რომ შევხედე, ის ისევ ტიროდა ტიროდა გულდათუთქული.

— მამაშენი ჩემი მეზობელი იყო აბაშაში, — მივმართე მეუღლეს, — მე გიჩვენებ მამაშენის საფლავს...

სახლკარი ორიოდ დღეში გავყიდეთ. ციოლამ დედისეული ნივთები და ხელნაწერები ერთ დიდ ტოპრაკში ჩააწყო, თავი მოუკრა.

მას თავის სოფელში სიმწრის მეტი, კარგი არაფერი ახსოვდა და ჩვენც იმ დღიდან სამუდამოდ ამოვიკვეთეთ ფეხი იქიდან.

აბაშაში ციოლას მამამისის, ესტატეს განანაგებული საფლავი რომ ვანახე, გული ეტკინა. ისე კი, რატომღაც, არ უტირია. ან რა აატირებდა, — არასდროს უნახავს მამა.

იღვა გამშრალი, მხოლოდ ხელი მოუსვა საფლავის მიწას...

ესტატეს საფლავი საგულდაგულოდ გავწმინდეთ ბალახებისაგან.

მე არც ლაგრენტაა შტერი დამავიწყდა, მისი საფლავიც მოვასუფთავე.

რა კარგად დაუხატავს თავისი ცოდვიანი წარსული ბერიკაცს!
და ისე მომკვდარა მხესავით ქალიშვილს რომ სტოვებდა ამ ქვეყანაზე, ციოლას!

წამით თითქოს გამოვალგიძეთ მიცვალუბულები და, მე ცალკე, ციოლამ ცალკე, რაღაც ჩავჩურჩულეთ.

სასაფლაოდან მკედლისას დავბრუნდით.

მარგალიტა ბიცოლამ სუფრა გაშლილი დაგვახვედრა.

მძახლებიც მოსულიყვენენ სტუმრად. არ იყო მხოლოდ ძაბულიას მამა, — გოძოს სიმამრი.

ძაბულია აყვანს არწევდა. მივედი მასთან და ვკითხე:

— მამაშენი სადაა?

ძაბულიამ სევდიანი თვალი მომაპყრო:

— ჭერაც არ შერიგებია გოძოს. აღმაცერად უყურებს...

— კი მაგრამ, შვილიშვილები?

— ბავშვები მე მიმყავს იქით... ბავშვები კი უყვარს...

ვიგრძენო, მტკივნეულ ადგილზე ვჩხვლეტიდი ძაბულიას, და მეტი კითხვით არ შევაწუხე.

ცულ გუნებაზე დაედექი და ეს ცული გუნება იმ ღამეს სიზმრის ბურანშიც გადამყვა.

ჩემი სიზმარი

ვითომ გრძელი არგანი ამიღია და მივყვები ტალახითა და ქვა-ლორღით დაფარულ გზას.

უცებ თვალი მოკვარი ქოხს. დავაკაკუნე და კარები თავისით გაიღო.

უჩვეულო სითეთრემ მომჭრა თვალი. თეთრნაბადგადაფარებულ ტახტზე ზის თეთრწვერა ბრძენი, ხელები გულზე გადაუჭვარეღინებია.

თოვს ქოხში და თეთრწვერა ბრძენს სითეთრე ემატება.

მე მორიდებით დავხარე თავი:

— შეიფარეთ მგზავრი!..

— სტუმარი ღეთისაა! — მიპასუხა ბრძენმა.

მის ფერხითი მოვიკალათე და კითხვა შევბედე:

— თეთრწვერა ბრძენო, რატომ უნდა ემდუროდეს ადამიანი ადამიანს, მეზობელი მეზობელს? რად უნდა უხაროდეს ერთს მეორის ავი?

— ნუ იქმ ავს და ავისაც ნუ გეშინია, მივიღე პასუხად.

— თქვენი ბავნი ჭეშმარიტებას ლაღდებენ, — განვაგრძე მე, — მაგრამ

გოძოს ავი არაფერი მოუმოქმედნია! მაშ რად უნდა უმტროს ვინმემ? ნუთუ, ამ ცოდვილ მიწის ზურგზე ტყბილად ვერ დავეტყვით?

თეთრწვერა ბრძენი მცირე ხანს, ჩაფიქრდა, შემდეგ ხელები ცად აღაპყრო და წარმოთქვა:

— ადამის შვილნო, ძეხორციელნო, ძლიერნო ამა ქვეყნისანო!..

მიმოვიხედდე და უკვე ქოხში კი აღარა ვართ!

თეთრწვერა ბრძენის შეგონება

სიცოცხლე მიაგავს ცეცხლს. მისი დასაწყისი ალია, დასასრული — ნაცარი. ვიდრე ნაცრად ვიქცეოდეთ, უნდა გავათხოთ ერთმანეთი, კი არ უნდა დავწვათ!

გულზე დაიჭდიეთ ანდერძი უფლისა:

— არა კაც კლა!..

ეს რომ თქვა ბრძენმა, ფუთულა მორიდებით მიუახლოვდა მას და ჰკითხა:

— თეთრწვერა ბრძენო! მე სწორედ ახლახან დაებრუნდი ციდან. იქ რომ არ არის უფალი ღმერთი?..

— ღმერთი თვითონ შენშია, შვილო. ყველა ადამიანშია ღმერთი. ეს არის ჩვენი რწმენა, პატიოსნება და სიწმინდე! — უპასუხა ბრძენმა ფუთულას... თეთრწვერა ბრძენის ეს საუბარი ჰგავდა განკითხვის დღეს.

რომ გამომღვინა, კარგა ხანს გონს ვერ მოვედი, თითქოს კვლავ ჩამესმოდა სიზმარეული სიტყვები.

მეფლის შვილები

მჭედელ დიანოზას დარგულ ხის ქვეშ ახლა მისი შვილები და შვილიშვილები ისვენებენ.

ცხრა შვილი დატოვა და ცხრავე სწორ გზაზე დგას.

მათ მამისაგან იცოდნენ, რომ დიდება და სახელი შრომის ხელშია, და სწორედ შრომით მოიპოვეს ეს დიდება და სახელი.

ვალენტინა დედამისს ცოტათი ჩამორჩა, — შვიდი შვილი ჰყავს. ცხოვრე-

ჩემს ირგვლივ შემოკრებილან მთელი ქვეყნიერების „ძეხორციელები“ და მისი შვილი, ძლიერნი ამა ქვეყნისანო!..

იმდენი ვართ, რომ მიწას ვემძიმებთ. — საღ წვიმა და საღ თოვა-მეთქი ამდენი ხალხი, — ვიფიქრე.

თეთრწვერა ბრძენი ახლა ტახტზე კი არა ზის ფეხმორთხმით — თეთრ მთაზე დამდგარა ოლიმპური სიმშვიდით, თეთრი ნისლი შემოუხვევია და ამბობს თავის შეგონებას.

აბაშიდან მე და ცილა მთელმა მეზობლობამ გამოგვაცილა.

თბილისში რომ ჩამოვედით, ის საიდუმლო სურათი გავადიდებინეთ, ლამაზ ჩარჩოში ჩავსვით და საწოლ ოთახში დავკიდეთ.

გუყურებდი სურათში ესტატე ბიძიას, ამიერიდან ჩემს სიმამრს, და გული მტკიოდა.

რა ვაქაკი ყოფილა ცხოვრებული ადრე და როგორ დაუჩაჩანაკებია სიბერეს ბოლო დროს.

...მიდის დრო და მიხარია, რომ ჩქარა მიდის.

სულსწრაფი გავხდი: მინდა ყველაფერს მოვესწრო.

ესტატე ბიძიას ბედი, ვიცი, არ მომეღოს.

დაე, დიანოზა მჭედელივით აღიღინებულს მომისწროს ჩემმა „მიქელ გაბრიელმა“ და დიანოზას შვილებივით სასახელო შვილები დამჩრჩეს!..

ბის წიგნი გულდადებით ისწავლა და იცის კარგისა და ავის გარჩევა. მარილი თუ ვერ მისცა მეზობელს, მარილიან სიტყვას მაინც ეტყვის. რაც თავისთვის არ სურს, იმას სხვას არ უსურვებს...

გოძო ნამდვილი მამისეული ხანჯალია.

აბაშაში თუ ვინმე სხვასოფლელი გაივლის, ცხენი დასაჰკედიც რომ არ ჰყავდეს, მაინც იტყვის:

— სამი-ოთხი დღის მერე დასაჰკედი

მეყოლება, მოდი, ბარემ მეტს გადავიზი-
დი და გოდოს დავაჭედინებო.

ჩითი სჯობია გოდო სხვა მჭედლებს?

— ადრე ადგომით და მონდომებით!
გოდოს გაჭედვით ნალს ცვეთა არ ეკი-
დება.

— ნალი ჩაჭუნის შეილიაო, — ამ-
ბობს გოდო, — კარგად გაჭედავ, სა-
ხელს ვაჭმევს, ცუდად გაჭედავ — სი-
რცხვილსო.

დღეს და ღამეს მუშაობაში ასწო-
რებს, ჩლიქსა და ნალშუა ძვრება და
ცოლ-შვილს არაფერს არ აკლებს.

პატარძალივით მორთო ოჯახი.

ცხოვრობენ გოდო და ძაბულია გუ-
გულებივით. მათი ეზოდან შეშინებუ-
ლი ჩიტებიც არ აფრენილა ჯერ.

გივიმ, ბოლოსდაბოლოს, ესროლა
ავსულს ქვა და დაოჯახდა.

კარგი კამათელიც მოუვიდა: სილამა-
ზით რძლებზე არანაკლები ცოლი ჰყავს.

მე პირველად რომ ვნახე პატარძალი,
გივის გავეზუმრე:

— რა შეულოცე, ბიჭო, ამ გოგოს,
როგორ გამოგყვა-მეთქი.

მეზობლის ქელესში შეხვედრიან
ერთმანეთს, სულს სული უცვნია,
გულს — გული...

ქალაქში წამოსული მეზობლის სახლ-
კარი იყიდა გივიმ იქვე, ახლოს, სამ-
ქედლოც ცალკე გაიკეთა.

ხელშართალი კაცია. აბაშაში და მის
ახლომახლო სოფლებში სადმე რკინის
კარგ ჭიშკარს (მხოლოდ კარგს), ან
მოაჯირს თუ ნახავთ, კითხვა არ უნდა,
გივის ნახელავი იქნება.

ორი ხელით შრომობს გივი და სხვე-
ბის დასაძრახიც არაფერი სჭირს.

ასეთი გარჯილობა ჭიანჭველისა და
ფუტკრისგანა აქვს ნასწავლი.

კარგად იცის ცხოვრების გზა.

ვერიკო შეპფოფინებს თავის მოსწ-
რებულ სამ შვილს და შეპხარის ამ ლა-
მას აწმყოს;

ქმარს უბატონოდ სიტყვას არ შეპ-
ადრებს.

შავი პური ექნებათ?

ტყბილად არიან.

თეთრი პური ექნებათ?

ხომ არიან და არიან ტყბილად.

გიორგი სახელგანთქმული მეფეობა
და რუსთავეში.

ჰყავს ღამაში ცოლი და სამი ბავშვი,
სამივე გოგო.

— სამ სიძეს რა გაუძლებსო, — ხუმ-
რობს ხოლმე ზოგჯერ.

ბიჭიკო ქართული ენისა და ლიტერა-
ტურის მასწავლებელია ჩვენს სკოლა-
ში.

სკოლისა და მისი ეზო ერთმანეთზეა
გადაბმული. მესერში საკუთარი კარი
გაიკეთა და ზოგჯერ მთელი თვე ისე
დაიღვება, რომ ქუჩაში არც გავა.

ჰყავს ერთი ვერცხლისწყალივით ბი-
ჭი და ორი გოგო.

ზაურმა საშუალო სკოლა რომ დაამ-
თავრა, პირდაპირ კოლმეურნეობაში
წავიდა სამუშაოდ; კოლმეურნეობის
ბრიგადირია საკაპარაოში.

ფოლადიანი ბიჭია ზაური. საკუთარი
გარჯილობით აიშენა სახლი ჩემს ნასა-
ხლარზე.

დღედღეზე ელოდება შვილს და გა-
დაწყვეტილი აქვს: ბიჭი თუ იქნა, დია-
ნოზა დაარქვას, მამამისის სახელი.

— ცხენით ჩაქჩაქის დრო უკვე გა-
დავარდაო, — თქვა ზაურმა და მოტო-
ციკლეტი იყიდა.

დაქოქავს დილაადრიანა და, ვიდრე
თავის კოლმეურნეობამდე მივიდოდეს,
მთელს ქვეყანას გამოაღვიძებს გზადა-
გზა.

გურამი ექიმი და თბილისში მუ-
შაობს. მაგრამ ისიც აბაშაში აპირებს
დასახლებას და მერე, ალბათ, ჩვენს
უბანს სადგებოთს დაუფახებენ, მკედელ
დიანოზა დგებუაძის სულის უკვდავსა-
ყოფად.

მკედლის მეუღლე მარგალიტა კრუ-
ხივით დასტრიალებს თავის სამწყსოს.

ეზო ისე აქვს მოკრიალებული, ზედ
ღომი რომ დააგო, ჰამა არ შეგზარდება.

შვილიშვილებისთვის ყოველთვის
აქვს გადანახული ხილი, ან რაიმე ტყბი-
ლეული.

და შვილიშვილებიც მარგალიტა ბე-

ბიას რომ დაიფიცებენ, მერე თავზე
ჯოხი რომ დაატეხო, ნაბიჯს ვერ შეაც-
ვლევინებ.

სახელოვანი დედის ორდენს ადრე
არასდროს არ ატარებდა მარგალიტა,
ახლა კი მკერდიდან არ იშორებს.

ყველაზე მეტად ფუთულას ჯავრი
აწუხებს მარგალიტა ბიკოლას, მისივე
სიტყვით, „ამ ძნელად სახედნელი შეი-
ლისა“. ყოველ დღე ერთსა და იგივეს
გაიძახის:

ანთეხული სანთელი

ფუთულა დროდადრო, სრულიად
მოულოდნელად ჩამოგვიქროლებს თბი-
ლისში რამდენიმე საათი, გენახავს...

წაიღებს ჩვენგან კოცნას, სიყვა-
რულს, ლოცვას, დარდს; ჩვენც ამასვე
დაგვიტოვებს და კვლავ იკარგება.

წერილებს კი ხშირად აგზავნის და
თოვლისასაც სწერს პასუხებს.

დღეებს დღეები სცვლიან და თოვ-
ლისას წერილების შინაარსიც თანდა-
თან იცვლება.

...„ფუთულა!

მალე ჩამოდი და ჩამომიტანე ნახატე-
ბიანი წიგნი, თვალბუქუნა დედოფალა
და ფერადი ფანქრები...“

...„შენ რომ იმ დღეს სცემე, ის ბიჭე-
ბი შემხედნენ გზაში და თვალები დამი-
ბრიალეს.

კიდევ კარგი, ბაბთა არ შეკეთა, თო-
რემ წამართმევდნენ.

მეშინია!

მალე ჩამოდი, რა! გეხვეწები!..“

...„ვიყავი აბაშაში.

ვნახე ჩემი ბაბუა ესტატეს ნასახლა-
რი.

იქ ახლა ბიჭიკო ცხოვრობს.

რა კარგი ბავშვები ჰყავს ბიჭიკოს!
სულ ერთად ვთამაშობდით.

მამამ მითხრა: ფუთულა შენს ბაბუა
ესტატეს იცნობდაო. ერთხელ მისი ეზ-
ოდან თუნუქის გვერდებგამომწვარი
ლუმელი თავის სახლში წაათრია და
ამის გამო თავშიც მაგრად მოხვდაო.

მართალია?

— ბაბუამისი ცხენმა მოკლა, მამამი-
სი მატარებელმა გაიტანა. ეს ბავშვი
ახლა ცისქვეშეთში არ ეტყება და ცას
ეპოტინება, რაიმე ხიფათს არ გადაე-
ყაროსო.

ლაშით, ყველა რომ დაიძინებს, დაი-
ხოქებს ლეთისმშობლის ხატის წინ და
ვეედრება:

— დედაო ღვთისა, წმინდაო მარიამ,
შენ დაიფარე ჩემი ფუთულა! ორი
დღის სიცოცხლე დამრჩენია და ნუ
გამამწარებ, შენც დედა ხარო...

რად გინდოდა გვერდებგამომწვარი
ლუმელი?

ჩამოდი ჩქარა და ერთად წავიდეთ
აბაშაში...“

თოვლისამ საოცრად აიყარა ტანა,
დამშვენდა, ყვაილებში გასალექსი გო-
გო გახდა და უფრო ვრცელ ბარათებს
სწერს ფუთულას.

ოქროსფერი თმა აქვს თოვლისას და
ისიფერი თვლები. შავ წამწამებს აფა-
თქუნებს.

ათასებში გამოსარჩევი ქალია; მზეს
ეუბნება: შენ ჩადი, მე უნდა ამოვიდეთ.

პატარა ძამიკოც ჰყავს და ახლა უკ-
ვე, მგონი, ეეჭვება, რომ ბავშვი მალა-
ზიაშია ნაყიდი; თუმცა ამაზე არაფერს
ამბობს.

ქუჩაში რომ მიდის, ბიჭები თვალთ
ჰკამენ, ანდა გრძელ კაბას ზომ არ ჩაეც-
მევთ ბავშვს?

ამიტომ მარტო არსად არ ეუშვებთ.
ისე ეუფრთხილდებით, როგორც ან-
თებულ სანთელს.

ამასწინათ, ფუთულამ თავისი ფოტო-
სურათი გამოგვიგზავნა.

მფრინავის ფორმაშია გამოწყობილი
ჩვენი ფუთულა, სამხრებზე სამი პატა-
რა ვარსკვლავი უკეთია.

თოვლისამ წარბი გაშალა და ერთ-
საათს ჰყოცნიდა სურათს ჩვენგან და-
ფარულად.

მე ვითომ ვერ ვხედავდი...

თოვლისას თავის საწერ მაგიდასთან

მანამდეც ჰქონდა გაკრული კოსმონავტების სურათები.

სადამოხანს, სამსახურიდან რომ დავბრუნდი, ვხედავ, ამ სურათებისთვის ფუთულას სურათიც მიუმატებია; ლარ-

ლურჯი იმის ზღაპარი

მიწისქვეშეთში ცხოვრობდნენ ლურჯი იები.

ზამთარი იყო და ზევით ამოსვლას ჯერ ვერ ბედავდნენ. მიწაში კი თბილოდა.

იყვნენ გაზაფხულას მოლოდინში და თავიანთს მომავალზე საუბრობდნენ.

მათ წინასწარვე გადასწყვიტეს, თუ რომელი სად ამოვიდოდა გაზაფხულზე. იებს შორის ყველაზე ჰკვიანი იყო პატარა ლურჯი ია.

მოუსწინა თავის უფროსებს და სიტყვა შორს დაიქირა:

— ვერცერთს ვერ გამოგყვებით! მე უნდა ამოვიდე ერთ ბაღში, ყვავილთა, ვარდთა და ბულბულთა სამეფოში. იმ ბაღს ოქროსთმიანი გოგონა უვლის. მომწყვეტს და თავის მზექაბუჯთან წამარბენინებს. აბა, ისე რაღა ია ვიქნები, თუ ვინმეს არ ვასიამოვნე! მზექაბუჯი გულადია და მეგობრებაც გულადება ჰყავს. ისინი ცინა და მიწის ბატონ-ბატონები არიან. თქვენც გამოწყვეით და არ ინანებთ. მზექაბუჯი და მისი მეგობრები ვარსკვლავეთში წაგვიყვანებო.

უფროსმა ლურჯმა იებმა ჰვა ააგდეს და თავი შეუშვირეს:

— არაფრის დიდებით არ წამოვალთ იმ ოქროსთმიან გოგონას ბაღში!..

პატარა ლურჯ იას ჩიტის გული ჰქონდა და ატირდა.

არც დანარჩენ იებს ედოთ ჰკერდში ლოდა; შეეცოდათ პატარა ია და უთხრეს:

— ნუ ტირი, პატარა იავ! რაკი აგრე გინდა ჩვენი წამოსვლა იმ ბაღში, წამოვალთო.

პატარა ლურჯმა იამ ცრემლიანი თვალით გაუღიმა თავისიანებს.

გაზაფხულიც მალე დადგა.

იებმა სიტყვას არ გადაუხვიეს და მართლაც ოქროსთმიან გოგონას ბაღში ამოვიდნენ.

ნაკში ლურჯი იების კონა ჩაუსკუბებია და სურათების ქვევით დაფუთვდა.

შევხედე დანამულ ლურჯ იებს და ჩემს ოქროსთმიან გოგონას მოვუყევი ლურჯი იების ზღაპარი.

მოიბრინა ოქროსთმიანმა გოგონამ, დაკრიფა ლურჯი იები და მზექაბუჯსა და მის მეგობრებს მიართვა.

მზექაბუჯმა და მისმა მეგობრებმა გადაჰკრეს მათრახი თავიანთ მფრინავ რაშებს, ცაში აფრინდნენ და ყველა ვარსკვლავზე ჩამოარიგეს ლურჯი იები.

ვარსკვლავებზე იები გამრავლდნენ. ახლა ღამით ცა რომ განათდება, ლურჯი იები აზიშინდებიან.

— როგორა ხარ? — გადმოსძახებს ერთი ვარსკვლავის ია მეორე ვარსკვლავის იას.

— კარგად! თავად როგორ? — უპასუხებს მეორე ვარსკვლავის ია.

— ჩვენც კარგად ვართ!..

შემდეგ ვარსკვლავეთის იები დედამიწის იებს მოაწვდნენ ხმას:

— ჩვენი წინაპარო იებო, როგორ გიკითხოთ?

— იცოცხლეთ, იბედნიერეთ! — უპასუხებენ დედამიწის იები.

იების საუბარი ყველა ადამიანს როდი ესმის!

ის ესმის მარტო ოქროსთმიან გოგონას, რომელიც ღამის მყუდროებაში ზის თავის ყვავილთა შორის და ცას შესცქერის.

ციდან მუდამ იების სურნელება და რაღაც საამო ჰანგი იღვრება.

ჩამოიჭროლებს მზექაბუჯი, თავის მფრინავ რაშზე შემოისევას ოქროსთმიან გოგონას და წაიყვანს შორეულ სილაცვარდში სასეირნოდ.

ოქროსთმიანი გოგონა თან წაიღებს თავის პატარა სარწყულას, დედამიწის წყალს დააპყრებს ყველა ვარსკვლავის იებს, მოეფერება და, გაღიმებული, ისევ თავის ბაღში ბრუნდება.

მთელს ვარსკვლავეთსა და დედამიწაზე მუდმივი გაზაფხული გაამეფეს ლურჯმა იებმა.

ამიტომაც ცა მუდამ იისფერია!..

ნიკოლოზ ჩაჩავა

მამოქმედებანი

მგონი, დაძველდა ჩემი ნივთები,
დაქარგეს სულ მთლად იერი ახლის.
ეს ახლებურად ვეღარ ვირთვები
და, როგორც ვატყობ, დაძველდა
სახლიც.

დაძველდი მეც და ამ სიძველეში,
ამ ნივთებს, ამ სახლს წილი დიდი აქვთ.

სახლის ქვეთკირში, სახლის ძელებში
მოსჩანან წლები როგორ მიდიან.

მიდიან და მეც ამ წლებს მოყვები.
და მაინც ახალს ვებლაუქები,
მამოქმედებენ ის ძველი ქვებიც
და ახლებური სახლიც, ქუჩებიც.

თვითონ მინდინხარ

შენი სიცოცხლე მე ახლაც მინდა,
შენი ტკივილი ყოველთვის მშლიდა,
და ახლა როცა ხანში შევედი,
შენდამი სწრაფვა წმინდაა უფრო,
ჩემი ოცნება, ჩემი ჩვევები,
დაწყვილებულან, წასულან უხმოდ.

მაინც შემომჩნა ერთი სული და—

ამ სულის დელევას რად ვერ ხედებოდი.
რა იქნებოდა, რომ მოსულიყავ
და ჩემ ცხოვრებას შემატებოდი.

გინდოდა ჩრდილი შენთან შეზრდილი,
რომ გამხდარიყო ტრფიალი ჩემი —
თვითონ მინდინხარ და არა ჩრდილი,
შენი ტანჯვის და შენი ტუჩების.

რა უნდა დავთმო!

მეკითხებიან: „რა დაგემაართა,
რად არ ბერდები, რად არ უუჩდები?“
თუმცაღა კაცი ცხოვრებას მართავს —
სიბერეს ვეღარ გადაურჩები.

და მეც ვუცდიდი და მეც ველოდი,
სიბერე ჩემი მნახავდა ოდეს,
ამ შესანიშნავ საქართველოში,
ცოდვავა, კაცი რომ ბერდებოდეს;

ცოდვავა, კაცი აქ რომ მოღუნდეს
და მისთვის ვამბობ ასჯერ, ათასჯერ:
ცისა და მიწის გაყოფა გვესურდეს,
ვერც ზეცას დავეთმობ, ვერც მიწის
ნაკერს.

ნაწვიმარი ვარ, ნათოვარი ვარ,
ახლაც გრიგალებს თამამად ვისმენ.
განა სიცოცხლე ნათხოვარი მაქვს,
რომ უბრძოლველად დავეთმო ვისმეს.



განო კაიანია

შემკრთალი გული

მატარებლები ვადიან მძიმედ
და მთვარეს მკვეთრი ფოლადის დანით
ფორთოხლის ყვეთელ ნაჭრებად ჭრიან.
ლიანდაგები ნათდება შუქით,
წყალივით, სწრაფი, მოძრავი შუქით,
და მოლოდინით შემკრთალი გული
აქამდე ხელით მიჭირავს თითქოს.
სულში ირწყევა სიშორე გზათა
და მოვონებით მძიმდება ღამე
და ალვის ხეთა ლამაზი მწკრივი

თამამად გარბის გზებიდან გზებზე.
ცა ფეთქავს, როგორც ცისფერი თვალი.
და მისრიალებს ხეების ჩრდილი,
ფიქრით ვუცებ ანთებულ ვარსკვლავს
სარკმლის მინებზე გააქვს წყრიალი.
ლიანდაგებზე ანთია შუქი,
წყალივით სწრაფი, მოძრავი შუქი,
და მოლოდინით შემკრთალი გული
აქამდე ხელით მიჭირავს თითქოს.

• • •

სახურავეებზე და ბაღის ახლოს,
თოვლივით მშვიდი მტრედები სხედან,
როგორც ნიშანი ბრწყინვალე დღეთა.

სახურავეებზე და ბაღის ახლოს
შუადღის მზეთა ცახცახა ზოლი
კრიალებს, როგორც რკინა ან ბროლი.

სახურავეებზე და ბაღის ახლოს
მზით მოძალებულ რიყრაყის იქით
თეთრი ქორივით მიფრინავს ფიქრი.

სახურავეებზე და ბაღის ახლოს
ატმის ფერი თუ სინგურის ფერი
მთის ჩანჩქერივით სივრცეში მღერის.


სახურავეებზე და ბაღის ახლოს
მწვანე ფოთლებზე დაღვრილი სითბო
სულში სიმღერად შემოდის თითქო.

სახურავეებზე და ბაღის ახლოს
თოვლივით მშვიდი მტრედები სხედან
როგორც ნიშანი ბრწყინვალე დღეთა.

• • •

მამლის ყელიდან ამოდის დილა
და როგორც ჩქარი მატარებლები,
მიისწრაფიან ღრუბლები სადღაც.
ხეების მიღმა მდინარე ბრწყინავს,
ვით მთვარის შუქზე შიშველი დანა.

მე ისე მიყვარს მზე გაზაფხულის,
ვით შენი გული ჩემთვის მფეთქავი.
და მისრიალებს ფოთლებზე, გზებზე
და მინდვრის ხნულში წითელი სხივი.



ბ. ხუბუნიძე

ადამიანები და მიწა

„ეს ჩვენა ვართ ძირი და ფესვი
ამ ცხოვრებისა“.

„ბათა ქექია“

ვინც დემნა შენგელაიას პირადად იცნობს, ალბათ, გაუჭირდება ამ ტან-მორჩილ, მაგრამ მკვრივად ჩადგმულ, ძვალმსხვილ კაცს საოცრად ათი წელი მისცეს. მის საუბარში, მოძრაობასა თუ ლაპარაკის მანერაში დაუხარჯავი. ჰარ-ბი ენერჯია მუდამ იგრძნობა და ეს ხან-დახმული კაცი ჰაბუყური ტემპერამენტით უცებ გაგაოცებთ.

ყოველ ახალ ნაწარმოებს იგი ახალ გაზრდული ტემპერამენტით წერს და მის პროზას არასოდეს ეტყობა უენერ-გიობისა თუ დაღლილობის ნიშანწყალი. ამგვარი შინაგანი უზერებლობა სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარულიდან მოდის და იმ ხელოვანთა ზედრია, რომელთაც კარგად იციან მიწიერი ცხოვრების სიბრძნე, აზრი და ფასი.

დემნა შენგელაიას მიწასავით ღონიერი ადამიანების ცხოვრება უყვარს, აინტერესებს, აკვირდება. საოცარი ფერებითა და ხმებით საეცე ბუნებაში ჩამდგარი მისი გმირები სიცოცხლის გაუმადლარ სურვილებს ამჟღავნებენ და სიკვდილის გარდუვალობას წრეგადასული სიყვარულით, არსებობის დამათრობელი გრძნობით თითქოს აქარწყლებენ. რაგინდ მძიმე და რთული იყოს ადამიანის ცხოვრება, საოცარ მზისქვეშეთში დაბადება მაინც უღირთ. ბათა ქექიას ღიმილიანი სახით შეპყურებს დემნა შენგელაია მზეში დაღვინებულსა თუ დათაფლულ, საკვირველად ტყბილ-

მწარე სიცოცხლეს. ამ უხვი მიწა-წყლით საზრდოობს მისი ოპტიმისტური ფილოსოფია, ადამიანებისა და ყოველგვარი ადამიანურის ღრმა სიყვარული. იგი გატაცებით აღწერს ხოლმე უხვი ფერებით აღსავსე ლანდშაფტს და ხალისიან, მუდამ ვნებიან ფერწერაში სიცოცხლეს უსაზღვროდ შეყვარებული მხატვრის დაუღალავი მარჯვენა იგრძნობა. გლეხკაცის გონებაშავილობითა და იუმორით ნასაზრდოები მისი სიტყვა მუდამ თბილია და ხალასი, გულწრფელია და ქდერადი.

„ახლაც ასე ვარ. შევხედავ ცას — მიხარია. გავხედავ მიწას — ისევე ვხარობ. გავცქერი მინდორ-ველებს, მდღმივი თოვლით დაფენილ კავკასიონს, ზოდაბუნებს, რიონს, ტბას, ნარიონალს, შვილებს, შვილიშვილებს, — ვინ მოთვლის შთ, — ჩემი ოფლით მონაგარს, და მიხარია. შევხარი ახალგაზრდობის უღარდელ სიცილს, სოფლის ხალისიან ყვირსასა და რა ვქნა, შვილებო, ბიჭებო, რომ მიხარია? მიხარია, რომ ამ დღეს შევესწარი, რომ ცოცხალი ვარ, რომ ყოველივე ეს ჩემთვის არის გაჩენილი, რომ ყოველივე ეს შე მივეთვბია, მე მას ვუყუთებოვარ, მე ვეშობა მიწაზე. ვეწაფებო მის მსუქანსა და ნოყიერ ძეჭებებს, ვანათობ რიონში, დორანში ზუთხებსა და კობრებს ანკესებს ვუგებ, ნორნ კონდარში გულაღმა ვწვები, ხარბად შევცქერი ყანასავით აბიზინებულ ცას, თავზე რომ ახალ წითელით მადენია, და ეიცო, — ეს ცა მე ვარ, ეს მიწა ჩემია. მე მთესველი ვარ, ის ხნული, ასე რომ იფშენება ჩემი სასურველი“

სიმშობის ქვეშ, მევერის, ცხელი, გულმანძირი და სულ მუდამ განუყრელი ვართ, ერთად მივიღო-ვართ, მივიმღებრებართ.

ასე ფართოდ, გლუხკაცისთვის ორგანული „კოსმოგონიით“ ქვერეტს ქვეყნიერებას ბათა ქექია და მის ფიქრებში. ტკივილებში, სინარულში. ყველგან ქლერს ეს მძაფრი აკორდი, მთელ აღსარებას ვასდევს საოცრად ჟღერადი მუსიკა, წუთისოფლის ყრიაშულში ბალახივით გაზრდილ-აღმოცენებული. „ბათა ქექიას“ დაწერიდან სამი ათეული წელი გაიბრუნს, ქვეყანას ბევრი გრიგალი გადაუვლის და ბოლოდროინდელ მოთხრობაში „განძი“ ისევ ამღერდება ეს განუმეორებელი მშვენიება მიწისარონის ქალები, აბიზინებული ყანები, საკვირველი კოლხური ცა და ნოყიერი ნიადაგი, ოქროს ელვარებით თვალმოჭრილი გლუხკაცი საულია დაძლევს ტრაგიკულ ცოუნებას, მიაფურთხებს ეშმაკს და იწამებს. რომ ნამდვილი, ფასდაუდებელი ოქრო კაცისთვის ეს მშვენიერი მიწა-წყალია, მზეა და ცა, ლამაზი ქალი ფუნდუა და მის მუცელში გაფაჩუნებული უცნობი ადამიანი, რომელსაც ყველაფერი ამ ცისქვეშეთში ელოდება, ეძახის...

ამნაირი ებიკური მსოფლშეგრძნება მარტო ბუნების უხე კალთას არ ემყარება. უფრო მეტიც: ეს როდია რომანტიულად აღქმული ველური ბუნება, რომლის წიაღში ადამიანი პირველყოფილ ვნებებს ეძლევა. დ. შენგელაიას არ უყვარს ეგზოტიკური ფერწერა, თუმცა კოლორიტული მხატვრობის დიდი მოტრფიალეა. მისი ხედვა გარესამყაროსი აერთიანებს პეიზაჟში „შოშველ ბუნებასა“ და ცოცხალ ყოფას. თვითნაბადი მშვენიერება და ადამიანის ნამოღვაწარი მისთვის ცხოვრების ერთ მთლიან სახეს ქმნის. ამიტომ მისი გმირები ადამიანურისა და ბუნებისმიერის ჰარმონიულ შეხამებას ესწრაფვიან, გრძნობენ სოციალური წინააღმდეგობებიდან

ამოზრდილ სიმართლეს და ადამიანის ბედნიერება სჯერათ.

მაგრამ ეს ყველაფერი შეცვლად მკვიდრებულა მწერლის შემოქმედებაში. მასაც ჰქონდა რთული შინაგანი ძიების პერიოდი, უფრო მეტიც, დაბნეულობისა თუ მანერულობის ხანა. აბა, რომელ მწერალს მიუღწევია ერთი ხელის დაკვრით სრულყოფილი ოსტატობის საიდუმლოებამდე? მით უმეტეს. ოციან წლებში, როცა გემოვნების, შეხედულებების, ესთეტიკური პრინციპებისა და სტილის უჩვეულო სიჭრელე იგრძნობოდა, ვინ გადაურჩა იმ პირველ ცოუნებებს? დ. შენგელაიაც ეზიარა აულტურული რევოლუციის რთულ პროცესებს. როცა დღეს მოწიფული ხელოვანის მშვიდი თვალთახედვით გახედავთ ნახევარსაუკუნის ცხოვრებას მწერლობაში, დადგინება-ჩამოყალიბების პროცესს გარკვეული გრადაციის სახე აქვს. თუმცა ნიჭიერება და ორიგინალური ხედვა მოვლენებისა მეტნაკლები ძალით იგრძნობა პირველ მოთხრობებშიც და უკანასკნელ ვრცელ ნაწარმოებში „განძი“, მაინც მათ შორის შაქიბელი ხელოვანის მთელი ცხოვრებაა. იქნებ. ყველაფერი აქ არ დაემორჩილოს ჩვეულებრივი ქრონოლოგიის პრინციპს, შუალედებშიც შენიშნოს კაცმა ჩავარდნები თუ ზეაღმაველი მრუდი. მაგრამ ერთი უდაბო: ახალგაზრდული ექსტაზი, გრძნობაჯარბობა, გატაცებები თანდათანობით ადგილს უთმობს ცხოვრების გამოცდილებებით მონაგარ სიბრძნეს, ემოციებს ცვლის ინტელექტი, მხატვრულ ეფექტს სტილის უბრალოება, ბუნდოვან ფილოსოფიას მყარი იდეური პოზიცია. იქნებ, ამგვარი პროცესების გავლა ყოველთვის არ იყოს აუცილებელი მწერლისთვის, მაგრამ იმ დროს, როცა რთული ისტორიული კონტაქტები ხდება, ჭერ კიდევ ძვალგაუმაგრებელი მწერლის სიტყვას ეტყობა „საყმაწვილო სენის“ ნაკვალევი.

თავის დროს საკმაო სიმძაფრით შეფასდა ლიტერატურულ კრიტიკაში დ.

შენგელაიას იდეურ-ესთეტიკური ცთუნებანი. იმ დროს, ოციანი წლების პოლემიკურ ატმოსფეროში, როცა მისი პირველი რომანი „სანავარდო“ ლიტერატურული ბრძოლების ქარცეცხლში მოხვდა, ბევრი რამ ზედმეტად გამუქდა, უკიდურესად გაუბრალოვდა. მოძრაობის ინერციამ ზოგი რამ უყურადღებოდ დატოვა და მხოლოდ კეთილგანწყობილმა თვალმა დაინახა ახალ ცხოვრებასთან მოსული მხატვარი. ახლა ნახევარი საუკუნე გვაშორებს „სანავარდოში“ აღწერილ ამბებს. თვით ეს ნახევარსაუკუნეიანი ისტორია ხალხისა, თვით მწერლის უკვე დადინჯებულ-ჩამოყალიბებული შემოქმედებითი ცხოვრება მის პირველ რომანსაც მატებს იმ „რაღაც ახალს“, რაც დროს მოაქვს, უფრო ზუსტად, რასაც დრო მატებს ლიტერატურულ კმნილებას. ახლა დიდი ხნის გადაწყვეტილია ის სოციალური დავა, რომელიც ოციანი წლების ქართულ სოფელში ხდებოდა. ნამდვილი მწერლობა არ კვდება იმ ამბებთან ერთად, რომლებიც თანამედროვეობის სულს გამოხატავენ, შერე ისტორიად იქცევიან და მუზეუმებში პოვებენ თავშესაფარს. აქ, სადაც, თანამედროვეობის მასალაში რაღაც „ზედართლის“. ფილოსოფიურად განზოგადებულის გარეშე მხატვრული სიტყვა კარგავს წონას. სწორედ აქ იჩენს თავს ეიწრო პუბლიცისტურისა და საყოველთაო მხატვრულის თვისობრივი სხვაობა. „სანავარდო“ დღევანდელი მკითხველისთვის მრავალმხრივ საინტერესო რომანია, იგი იწვევს ემოციებს, ფიქრებს, ამბავრებს შთაბეჭდილებებს. ჩვენს მწერლობაში ამ რომანს პქონდა ღრმა ლიტერატურული მნიშვნელობა. იგი ისტორიას ეკუთვნის, მაგრამ იგი ცოცხალი წიგნია, ამიტომ თავისთავად ლიტერატურული ფაქტია და არა მარტო ამ წიგნის ფილოსოფიის. მისი მთავარი ტენდენციების ამოცნობა, არამედ წმინდა მხატვრული ღირსებები მრავალმხრივ საგულისხმოა.

„სანავარდოს“ ახალგაზრდა დ. შენგელაია წერდა. სავესე ენერჯიუთუ ტუმენ-რამენტი, სიტყვასთან მხარამდამსკი ნით. და, საკვირველია, რომ ეს „ახალგაზრდობა“ არ თხოულობს შედავას. იგი არ არის სტიქიური. უფრო მეტიც, ემპირიული. საოცარი სიცხადე თან ახლავს მწერლის ამოცანას. მის მოქალაქეობრივ პოზიციას, ცხოვრებისეულ ფილოსოფიას, სტილს. სხვა ამბავია ის, რომ ახალ ცხოვრებას მწერალი აქ ჯერ კიდევ ვაღმიდან შეპყურებს. ფსიქოლოგიურად იგი ძირმორყეული ფეოდალური სამყაროს წიაღში ცხოვრობს, იქ ხედავს განწირულ ადამიანთა ტრაგედიას. მისი მხედველობის არე ღამით არის გარემოცული, მხოლოდ პორიზონტზე ჩნდება სულ სხვა ყოფის ანარეკლი. იგი ებილოვს წერს ძველო ცხოვრებისას. წერს მძაფრი შინაგანი ტკივილებით. ხოლო პროლოვს შემდეგ დასწერს, როცა მძაფრ კრიზისს გადაიტანს, „უემური გაუვლის“. ხელახლა აღორძინებულ მიწსავით იგრძნობს მეორედ დაბადებას და ადამიანის სულიერი და ფიზიკური ძალების უსაზღვროებას ირწმუნებს. მაგრამ სანამ იგი ღამეში ტრიალებს, არ უნდა რამე დამალოს, ყველაფერს თავისი ნამდვილი სახელი დაარქვას, გულისტკივილით გააცილოს დროის მდინარეს მიყოლილი ძირგამომპალი ძველი ცხოვრება. ახლა, როცა „სანავარდოს“ დაწერის შემდეგ, ორმოც წელზე მეტმა დრომ გაიარა, გვანციფრებს მწერლის მუშაობის სტილი, დინჯი, აუჩქარებელი, იმავე დროს შინაგანად დამუხტული ენერჯია ბელეტრისტისა, რომელიც გაურბის უკიდურეს რაფინირებასა და მოშვებულ ენიწვილიანობას. მრავალსიტყვაობას. ჩვენს წინაშე დგას სიტყვის ოსტატი, რომელიც ნაზიარებია ქართული და ევროპული მწერლობის, კერძოდ. პროზის გამოცდილებებს. იგი არსად ამედავენებს მოდურ გულუბრყვილობას, უფრო სწორედ გულუბრყვილობის პოზას. იგი არა ჰგავს გამოუცდეღ შეგირდს, პირიქით.

გამოცდილი არქიტექტორის თვალთ
ზომავს ყოველ ხაზსა და დეტალს, იცის
იმ უცნაური და საოცრად რთული შე-
ნობის აგების საიდუმლოებანი, რომელ-
საც რომანი ჰქვია აქ არც შეშველი,
სტიქიური ნატურალიზმია, არც უფორ-
მო ემპირიულობა, არის მწერლის არ-
ტისტიზმი, ერთგვარი „დეპეშური“
სტილის თავისებური გამოვლინება,
ასოციაციური გაფანტულობა თუ რიტ-
მული ვარიაციები. მაგრამ ამგვარ უმ-
წყობრობასაც მწყობრი ფორმა გააჩნია.
აქ არის შეგრძნება სიტყვისთან პროფე-
სიული დამოკიდებულებისა, მრავალ
სიტყვიდან იმ ერთის შერჩევისთვის
შრომისა, რომელიც ზუსტად გამოხა-
ტავს მოვლენას. სახეს, აზრს. უფრო მე-
ტიც: აქ არ არის „ლიტერატურული
ანარქიზმის“ ნიშანწყალი, როცა მწერა-
ლი ხელის აქნევით ეუბნება მკითხველს:
მე დაეწერე, ახლა თავი იმტვირე და,
როგორც გინდა. ისე გაიგეო. ერთი სი-
ტყვიით, „სანავარდოში“ არის ქვეტექს-
ტის ფილოსოფიურ-ზნეობრივი სიცხა-
დე და გამიზნულობა. სხვა ამბავია, რომ
მწერალს, მის პოზიციას, სიმპათია-ანტი-
პათიას, იქნებ, ყოველთვის არ დაეთან-
ხმო. იგი თავის სათქმელს შეუფარავედ
გვეუბნება, არ იჩემებს მემატიანის მი-
უღდომლობას, არ გამოდის მსაჯულის
როლში. რადგან თვითონ ადამიანია,
ადამიანური სისუსტე არც მისთვის არას
უცხო. იქნებ, მასზე ბევრმა თქვას მი-
სტიკურია, ან ზოგს ზედმეტი თვითანა-
ლიზი. ინტელიგენტური მერყეობა. გა-
მოაონილი თუ ნევროზულად აღქმული
სევდიანობა ენიშნოს, მაგრამ ყველაფერ
ამაში ჩანს შემოქმედი ადამიანის მაძიე-
ბელი სული, მისი ჭანსალი ბუნება, რო-
მელიც მიილტვის მზისკენ, როგორც
ოთახში დადგმული ყვავილები ვადიხ-
რებიან ხოლმე სინათლისაკენ, იგრძნობა
მხატვარი, რომელიც ეზიარა სიცოცხ-
ლის მძლავრ იმპულსებს, სულიერ კავ-
შირს ადამიანებთან, ეპოქასთან, ისტო-
რიულ ამბებთან, მიწასთან.

„სანავარდოს“ წინ უძღვის ეპიგრა-

ფი იაკობ ცურტაველის „შეშანიკის წი-
მებიდან“. იმ საბედისწერო ჟამს, როცა
„ქარნი ხორშაკნი“ და „წყაღურნი მძაფ-
ნებელი“ ბატონობდნენ ადამიანთა მტ-
ნეველ წუთისოფელში. ეს პირველი აკო-
რდია მთელს რომანში გაბატონებული
განწყობილებისა, უქმურიანი, ჰაობია-
ნი და წვიმებიანი მიდამოების მოწყენი-
ლი ფერწერისა. დასნეულებული მიწის
ციებ-ცხელება ადამიანთა ძვალ-რბილ-
შია გამჭდარი და ბუნებაც კაციც, რა-
ღაც სასწაულებრივი ცეცხლისაგან მოე-
ლიან ბედნიერ მეტამორფოზას. ვინ
არიან ეს ადამიანები? საიდან მოვიდნენ
ისინი სატურისის ქალებში, რიონისა თუ
ცხენისწყლის ნაპირებთან? რატომ არ-
იან ისინი ორპირის ქალების უქმურით
შეპყრობილნი? ყარამანი, ბონდო, ცი-
ცინო ჰილაძეები, იქნებ, „შემოდგომის
აზნაურების“ შთამომავლები არიან? იქ-
ნებ იქ, სოლომონ მორბელაძეებისა და
სამანიშვილების ნამოსახლარზე დაიწყო
მათი ცხოვრება. კიდევ უფრო შორიყა
მათი ფუძე, გარეგნული ბრწყინვალე-
ბაც აღარ შერჩა, ირონია სარჯაშვილი შე-
სცვალა და ოთხმოციან წლებში დაწყე-
ბული დრამა უნიდაგო კლასისა ტრა-
გიკულ დასასრულს მიუახლოვდა. იქ.
„შემოდგომის აზნაურთა“ უწყინარ და-
სასრულს, იმერეთის იდილიურ გარე-
შოში უცნაურად გაზანტებულ. მცონა-
რე ადამიანებს უდღეური ნაშეიერი დარ-
ჩათ და ახლა, ჰილაძეების ჰერკვეშ მის-
ტიურმა ლანდებმა დაისადგურეს; სხვე-
ნზე მამუზარი ჰინკა დააბლდა და ისტო-
რიისაგან განწირულ ადამიანთა შინაგა-
ნი ცხოვრება პათოლოგიურ არსებობა-
ში გადაიზარდა. იქნებ, ეს პარალელი
ზუსტი არ იყოს. მაგრამ დ. კლდიაშვი-
ლის „მიქელასა“ და „სანავარდოს“
შორის ერთგვარი შინაგანი ნათე-
საობის პოვნა შეიძლება. მიქელა
ცრურწმენით გონებადაბნელებული
გლუხკაცია და ყარამანი უნიდაგო აზ-
ნაური, მაგრამ ორივესთვის ტრაგიკუ-

ლოა „ფესვის“ შენარჩუნების, მემკვიდრეობის გრძნობა. აქ ერთმანეთშია გადახლართული სოციალ-ბიოლოგიური იმპულსება, აღაშინებელი ურთულეს მოვლენათა წინააღმდეგობებში არიან გახლართულნი და გამოსავალს ეძებენ. დ. კლდიაშვილის გმირებს ძირითადად მაინც შემორჩათ ობტივისტური ნიღაბისინი უძნელეს მდგომარეობაშიც იშვიათად კარგავენ ტაქტს; შესისხლბორცებულ ზრდილობას, გარეგნულ მორალს ერთგულობენ და მხოლოდ თავიანთ ფიქრებში ამტკიცებენ ტრაგიკულობას. ეს საოცარი ტრაგიკომედიური გარეება დიდი რეალისტური ტიპებისა ჯერ მხოლოდ წინათგრძნობაა დაწყებული რღვევისა, უფრო ზუსტად, ეს არის მატერიალური საფუძვლების დაშლა-დაკნინების პროცესი. მაგრამ უკვე ცხრა-ასიან წლებში, თუ პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში ამ პროცესმა მიიღო ყველაზე მახინჯი ფორმები. დ. კლდიაშვილის შემდეგ ნ. ლორთქიფანიძემ მძაფრად გამოხატა იმერეთის კოლორიტული ყაფის ფონზე „დანგრეული ბუდეების“ თემა. „ბილიკებიდან ლიანდაგებზე“ გადასვლის მეტად რთულ წლებში ქართული მწერლობის ერთმა ნაწილმა უჩვეულო სიმძაფრით იგრძნო გამოფიტული ცხოვრების შემზარავი სიმახინჯე. და ის, რაც დ. კლდიაშვილის გმირებთან დაფარული ტკივილის სახით იყო, ახლა გაშიშვლდა, თავისი მანკიერი ბუნება გამოამჟღავნა. „შემოდგომის აზნაურების“ უწყინარი სევდიანობა აღსასრულის ტრაგიკულმა გრძნობამ შესცვალა და ძველი სამყაროს ობმოკიდებულ, დახავსებულ წიალში მანამდე უცნობი სულიერი ტკივილები გაშიშვლდა. „დაღლილი სისხლის“ მქონე, უნებისყოფი ინტელიგენტების ცხოვრება უკანასკნელი გამოძახილი იყო უნიადგო საზოგადოებისა. აქედან განახლებული გზები იწყებოდა, მაგრამ იმ გზებზე სრულიად სხვა, სულიან-ზორციანად ჯანსაღი აღნაგობის ხალხი იწყებდა თავის ისტორიას. აქ თავ-

დებოდა თეიმურაზების („ჯაყოს ნიზნები“), ყარაშან და ბონდუქციელების მწარე ამბავი, ცხრა-ასიან წლებს „დონ-კიხოტები“ საშინელი აგონიით ტოვებდნენ ქვეყანას და მათი მიყრუებული საფლავეების იქით ახალი ისტორიის ყრამული ისმოდა. ქართული მწერლობის ამგვარი ტენდენციების გამო დ. შენგელაია წერს:

„ნაყო ლორთქიფანიძეს ჩვენს კრიტიკაში აზნაურთა „დანგრეული ბუდეების“ მწერალს, ალბათ, იმიტომ უწოდებენ, რომ თავის მოთხრობათა ერთ-ერთ კრებულს ეს სახელი თვითონ მანვე შეარქვა. შესაძლოა, სტუბიკტურად ეს ასეც იყოს, მაგრამ არ შეგვიძლია არა ვთქვათ ისიც, რომ ნაყო ვადაშენებულ აზნაურთა საკმაოდ მკრთალი მწერალია. მართლაც და გიორგი წერეთლისა და დავით კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურების“ შემდეგ სათქმელი მას ამ მხრივ თითქოს არა დარჩენილა რა, და თუ ამ რკალის მოთხრობებში თავის ძალას ნიყო ასე თუ ისე მაინც იჩენს, მხოლოდ იმიტომ, რომ მოვლენებს ის თავისებურად სჭერებს და მისი ეშხიც ამ თავისებურებაში იფარება.“

აქ რამდენიმე მომენტი საგულისხმოდ: პირველი, ცხრა-ასიანი წლების დიდ რეალისტებთან ორგანული კავშირი, მათ მიერ წამოჭრილი თემის თვისობრივად ახალი დამუშავების ტენდენცია, მეორეც, „თავისებურად კვრეტის“ მოთხოვნა. ასეა თუ ისე. მართლაც, დ. შენგელაიას „სანავარდო“ გადაგვარებული კლასის სულიერი და ფიზიკური დეგრადაციის იმ ხაზზე მოექცა, რომელიც ცხრა-ასიანი წლების რეალისტებმა ღონიერად გაავლეს ქართულ მწერლობაში. შეიძლება, არ დავეთანხმოთ დ. შენგელაიას იმაში, თითქოს ნ. ლორთქიფანიძე „აზნაურთა საკმაოდ მკრთალი მწერალი“ იყოს, მაგრამ ამ საყვედურში საგულისხმოა თვით მწერლის მისწრაფება მანამდე უცნობი სიღრმეებისაკენ, რაც „სანავარდოს“ არა მარტო მუქი პეიზაჟების უსიხარულო განწყობილებებში, არამედ გმირების სულიერ ავადმყოფობაში, სპირიტისტულ შეგრძნებებსა და ალოგიურ აზროვნებაში



მელანდებდა. და აქ, მართლაც დეკადანსი იქნებოდა, რომ უქმურთ-უქმურით მოშხამულ გარემოში ახალი ცხოვრების ნერგი არ ხარობდეს და სატურისის ქალებში აკვილებული პირველი მატარებლის გრიალში სხვა ეპოქის იმედიანი პროლოგი არ მოჩანდეს. ყველაფერ ამაში საგულისხმოა მორალურ-ფილოსოფიური ქვეტექსტი, დამოკიდებულება ადამიანთან, მიუხედავად მისი განწირულებისა, გარკვეული ჰუმანიტური პოზიცია. როცა ჩვენს წინაშეა აქტიურად მებრძოლი კლასობრივი მოწინააღმდეგე, აქ ყოველგვარ ჰუმანურობაზე ლაპარაკი ცრუპინტიანობა იქნებოდა, შენდობის ქადაგება ამ შემთხვევაში ბარიკადებთან დარკვილი გელსისის ზარია. აქ ჩანს მწერლის გულთბილი დამოკიდებულება, სიბრალული თუ რაღაც უფრო მეტი, იმ ადამიანების მიმართ, რომელთა ბოროტის ჯაჭვი გაწყდა ამ ცხოვრების მდინარეზე და დინებას მიჰყავთ აღსასრულისკენ. ისინი უღონო ხელებით ხაეის ეჭიდებიან, მავრამ საუკუნეობით „დაღლილ სისხლს“ აღარ ძალუძს დროის ბორბალის წალღა დატრიალება, და ეს არის წარმავალთა ტრაგედია. უპირველეს ყოვლისა. შეიცვალა პეოზაქი. ბუნების იდილიურა მშვენიერება შეცვალა ჭაობიანი მიწის უსიამო სანახაობამ. იმერეთის მთვარიანი ღამეების იდილიას ვადაბმული წვიმების ერთფეროვანი მუსიკით თავგაბეზრებული, უფერული დღეების ხმები შეენაცვლა.

„სანავარდო ვახვეული იყო ხაშში და გავლავში. უზარმაზარი ველის სტეპებში პაპანაკება ზუზუნებდა და მის ჩრდილში შეწოლილი, სიციხით სულშეხუთული ღორი ოხრავდა. ღობის სარზე წამოგებული, მზისგან ვახტრებული, გამხმარი ცხენის თავი თეთრად ლაღაჰებდა და მან მომწვედელი გავლა კობჯინებდა ვეყასავით. თავარა სიცხე დაეცა მიწაზე და სულთქმა აღუთებოდა. ხაშში და აღმური იყო დაკრული მთელ სანავარდოზე. ბატონები, თუ ქვიფი არ იყო ან ნადირობა, ისხდნენ უზარმაზარ კაელის ჩრდილ ქვეშ, ნებავრობდნენ და რამდენი მზე

მოადგებოდით, იმდენ პილოტს სჩივებდნენ და ევიდნენ ხეს ირგვლივ... მარტო მსხვერპლმა ჩაწვა სოფელში და ხსნა არ იყავი...“

ასე იყო ზაფხულში. მერე იწყებოდა მოწყენილი, ყვირთელი შემოდგომა, ატირებული შემოდგომა.

თავისი გაჩენის დღიდან ებრძოდა კაცი ბუნებას, იმორჩილებდა ზღვას, მდინარეს, ქარს. მზის ენერჯიას. და მაინც მწერლობას ჰქონდა მაღალი ტრადიცია კაცისა და ბუნების შეგობრობისა. შორს წასვლა რად გვინდა. იგივე დ. კლდიაშვილის სევდიანი შემოდგომის სურათებს ვაგებდით. აქ არის ტალახიანი გზების, ნაღვლიანი იმერული საღამოების, რაღაც უჩვეულო მოწყენილობის ნისლში გახვეული მიდამოების სურათები. და მაინც ამ ბურჟუას პეოზაქებს რაღაც თბილი, საოცრად ალერსიანი გამოხედვა აქვთ. აქ საღლაც ისიც იგრძნობა, რომ საოცრად ღამაში მიწა კაცის ბედნიერებისათვის ვაჩნდა და მხოლოდ დაუწყობელი ცხოვრების წუხილი ჩრდილავს მის უზაღლო მშვენიერებას. ამ მიწაზე, საღაც ღეთის კალთა უზვად დაბერტყილა. ღვინით. ხილისა და სიტკბოებით საესე ეზოებში ადამიანს თითქოს უფლება წართმევია დარდიანობისა, ვაჭირების გამელავენება ერცხვინება. და კმაყოფილების ნიღაბს იკეთებს. ან ყაზბეგის საოცრად დრამატიული რომანები ვაგვისენოთ წუთით, მისი გვირების გარშემო ამოვარდნილი ქარები, კუშტი მწვერვალები. სახიფათო ბილიკები, და მაინც იქაც ბუნება ადამიანის „გულის სარკეა“. მისი სულის მოძრაობის შესაბამისად იცვლება, მისი ტკივილისა თუ სიხარულის გამოძახილია. აგერ მეოცე საუკუნის დამდეგს ჩვენს სულიერ ცხოვრებას შემოემატა ღამაში ლეგენდა უდიდეს პოეტზე, რომელიც, ლაზარეთის კედლებში სასიკვდილოდ გამომწყვედებული, ფშავის მთებს ნატრობდა და ბალახებს გულში იხუტებდა. ბუნების ეს უზაღო ფილოსოფოსი ყველგან ჩახს უსვამდა ადამიანისა და მიწის განუყოფელ მეგობრობას. უფრო მეტიც. თვით

ბუნება მის წარმოდგენაში ადამიანურ ნიშან-თვისებებს ამჟღავნებდა და მშვენიერი ქალის სიმბოლურ ჩვენებაში სახიერდებოდა. არა მარტო ჩვენს მშვენიერ მიწა-წყალს, უსიციოცხლო, მზით ამოღატულ უდაბნოსაც გააჩნია თავისი მამხიბლობა, იმ უდაბნოს. რომელიც გზად მიმავალ ბედუნის უწყლოთ სიკვდილს ემუქრება. ადამიანი ამ მხრივ საკვირველი არსებია და შერჩევის იმპულსებთან ერთად მის არსებაში თვლემს „ადგილის დედის“ მაღალი პატივისცემის უკვდავი გრძნობა. გარდა ამისა, ქართველი კაცისათვის თავისი მიწა-წყალი თითქმის ყოველთვის მღერადი იყო. საუკუნეებში გაისმოდა „ავთანდილის სიმღერა“ და გუთნისდებებს, მეთევზეებსა თუ მებაღეებს ესმოდათ ვაცოცხლებული მიწის საკვირველი ხმები. ყველაფერ ამას ეგზოტიკურობის ელფერიც დაჰკარავდა ხოლმე, მაგრამ საუკეთესონი სიღრმესა და აზრს ღებდნენ კაცისა და მიწის ამ ურთიერთობაში. „თერგი რბის. თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებოიან“ ქართულ პოეზიის ურღვევ ფორმულად რჩებოდა და მასში იმედია კაცისა და „ცა ფირუზხმელეთ ზურმუხტი“ სამშობლო მხარის სულიერი ერთიანობა გამოსკვიოდა. „მთაწმინდის მთვარის“ ავტორი თბილისის ამ საოცარ პარნასს სულიერად შეუერთდა და მის ჩრდილებში ბარათაშვილის დიდებული ლანდი დაინახა. ეს იყო მთავარი გზა. მთავარი პრინციპი, უფრო ზუსტად უშუალო გრძნობა მშობლიური ბუნებისა, მასთან სულიერი ნათესაობის გამოხატვა.

ამ მხრივ „სანავარდო“ თითქოს აცდა მთავარ ხაზს. მან არა მარტო იდილიური წარმოდგენები დაარღვია. მითიური „ოქროს საწმინდის“ მხარე ჩვენს წინაშე თავისი მახინჯი სახით დადგა, ადამიანს მომშხამავ შაქლაჯუნად გარს შემორტყა და ყველაფერი სულის შემხუთველ სახშივარში გაეხვია. დემნაშენგელაიმ ერთგვარი შეგნებული პიპერტროფირება მოახდინა თავისი გმი-

რებისა და მათს გარშემო არსებულ გარემოსი. მან შეგნებულად შეიტანა გადაგვარების მოტივენი ადამიანთა ფსიქოლოგიისა თუ პეიზაჟების ხატვაში. ეს იყო დასასრული, რომელიც ახალ დასაწყისს გულისხმობდა. მწერალი აქ სასტიკი აღმოჩნდა და თავისი გმირის ტრაგიკული პათოლოგიურობაც არ დაუშალა მკითხველს. მან გვიჩვენა ავადმყოფი მიწა და ავადმყოფი ადამიანები. როდესაც ახლა გვიხდება „სანავარდოს“ კითხვა, იქნებ, მწერლის მიერ დაშვებული შეგნებული გადაჭარბება მეტისმეტად მოგვეჩვენოს. ეს შთაბეჭდილება, იქნებ, კიდევ უფრო დაამძიმოს „ატავისტურმა დასკვნებმა“, და ამით ბონდო ქილაძის სახეს ცოტა ხელოვნურობის კვალი დაამჩნიოს. მაგრამ იმაზეც დავფიქრდეთ, რა ედო საფუძვლად ცხოვრების ამგვარ ხედვას. ეს ადამიანის არსებობაში დამდგარი ისტორიული კრიზისის გამოძახილია, დეკადანსია თუ პირიქით, ცხოვრების რევოლუციური განახლების სურვილით გამოწვეული, განგებ გამძაფრებული მხატვრობა? დალილი მიწა, დალილი ადამიანი!.. ნუთუ ქარაფშუტა ფრეილინას უპერსპექტივო სიყვარულსა და ინტელიგენტის ილუზიებში დასრულდება ქილაძეების გვარის ცხოვრება? მიწის უემური გაბატონდება კაცზე. ენერჯიას გამოაცლის მას და არააობად აქცევს. გამოფიტავს, დაუშრობს ტვინს და მოჩვენებათა წილში დაკარგავს? აქ უნდა მწერალს იყოს სასტიკი, მაგრამ მართალი. იგი ადგილიდან ადგილზე, ფრაზიდან ფრაზაზე გადარბის, არ ამთავრებს სურათს, ახვავებს ერთმანეთთან თითქმის დაუკავშირებელ დეტალებს, ცდილობს იყოს ლაკონური და ქაოსური ხდება, მიელტვის სიღრმეს და ზედაპირზე რჩება. ადამიანების გარშემო დაფათურობენ ლანდები, კინკა მოსვენებას უკარგავს მომავლად ციციონოს, ყველგან მეფობს სიბნელე და უმოძრაობა. თვლემს მიწა, ადამიანი, ცხოველი და ყველაფერი ელის გამოღვიძებას. აქ



განზრახ გამუქებულია ფერები, უფრო სწორად, ერთი ფერია ან ერთი გამა. ჩნდება სიმბოლო—თითქმის მისტიური, სიმბრად ნახული უზარმაზარი გომბეშო, ლორწოიანი, ციებისა და ავი ზმანების მომტანი. ყველაფერში ჩაბუღებულია სიკვდილი. პარტახდება ყველაფერი და უცებ ავადმყოფის მძიმე ფიქრებში დარეკავს უჩვეულო აზრი: „მოკვა წვივმაგარი ხალხი და ახლა ისინი დაწერენ ახალ მატანეს“... პერსპექტივა ჩნდება მოულოდნელად, თითქმის დეკლარაციულად, მაგრამ მაინც ჩნდება სიცოცხლე არ შეიძლება გათავდეს, მიწა არ შეიძლება მოკვდეს, ადამიანი არ შეიძლება დარჩეს უფიქროდ!... ასე მთელი ასოთხმოცი ვრადუსით იწყება შემოტრიალება მომავლისაკენ. ეს იყო მწერლის მიზანი, მას აქეთკენ მიჰყავდა ყველაფერი, თუმცა ის ხალხი, ახალი ისტორიის დამწერი ხალხი, მისი მხედველობის მიღმა რჩება. იმათთან შემდეგ მივა, როცა ბათა ქექიას ბორანზე ფეხს შედგამს და სულ სხვა ჯილაგის ადამიანებს დააკვირდება. უქმურიანმა მიწამ, უქმურიანმა ადამიანებმა, ავადმყოფობამ მიწისა თუ კაცისა, უქურნებელმა სენმა. აფორიაქებულმა ფიქრებმა, მოჩვენებებმა, უმწეო იმედებმა და შიშმა მოითხოვეს ფსიქოლოგიურობა, „შიგნით ხედვა“, ადამიანის ტვინში ფათურა. რეფრენებად ადევნებულ ფრაზებში, აკვიატებული ფიქრების რიტმულ მონაცვლეობაში ჩნდება ახალი მანერა პროზისა. იგი თითქოს ჰგავს „რიტმულ პროზას“, მაგრამ სრულიადაც არ არის გაკეთებული „შინაგანი მუსიკის“, თუ პოეტური განწყობილების შესაქმნელად. აქ ამოცანაა მოვლენათა გამოხატვის ფსიქოლოგიური სიზუსტე. რა ვუყოთ, თუ მწერალი ხშირად „სალაპარაკოს ართმევს“ თავის გმირებს, მსჯელობს მათ მაგიერ, უფრო მეტად ხატავს, ვიდრე ამოქმედებს მათ. იქნებ, ამას იმიტომაც აკეთებს, ხაზი გაესვას დადლილი ადამიანების უმოქმედობას, პასიურობას და მისი პეიზაჟური დეტა-

ლებიც ისევე დანაწევრებულია, როგორც ყარაშან ჭილაძის დაწვრილი ფიქრები.

„ოდის ტემ — წითელი ხავსით დაღორწილი მიწა...“

ოდის უკან — ისლით დახურული ზღა, ბიჯებზე შემდგარი სასიზინდე და წაქედილი ურემი...

ეზოში ფეხებგაბორჯილი, ზურგ გადატყუებული, გამხდარი ცხენი და დინწავარძელბული, ნუწკი ღორის ხუნემა.

ზულის წინ — ჭილოფში შეხვეულ, შეიკებული ბიჭის ძიგბიგი. მოახლოდა გვალვიანი შუადღე“.

და ამგვარ გარემოში ისმის განწირული ადამიანების წამოძახილი: „რა ვქნათ“. „რა ვქნათ?“ კითხულობს მიწა და ადამიანი, ორივე პასუხს ეძებს. ასე გაჩნდა მიწისა და კაცის მძაფრი კონფლიქტი. და პროზის ფერწერაში გაჩნდა დასწეულელებული მიწის უსიამო პანორამა, ჭაობის უძრავობა, უქმური და ყველაფერი ეს გადაბმული წვიმების უსიხარულო მუსიკაში ჩაიძირა. „რა ვქნათ?“ მოისმოდა ადამიანის სასოწარკვეთილი ძახილი და მალარიის სასტიკი სამეფო ელოდა ბასწაულს. „სანავარდოს“ გმირები ამაოდ ეძებენ ამ „სასწაულთან“ მისასვლელ გზებს. მათი „დადლილი სისხლი“ უძლურია სინამდვილის შესაცვლელ ბრძოლებში. ამიტომ ისინი უნდა ჩაიძირონ ჭაობში, უნდა გზა მისცენ ახალ ცხოვრებას. ეს იყო ძველი იდილიის მწუხარე ფინალი. ეს იყო სატურისის ჭალებში ახალი ხმების გამოღვიძების ხანა. ადამიანები „წყალში ხნავდნენ, წყალში თესდნენ“, მღეროდნენ წუთისოფლის სევდიან სიმღერას. „სანამ ოდას დახურავდნენ, დაღებოდა საძირკველი“. ასე მოჩანდა ბუნება ჭილაძეების სახლის დანისლული ფანჯრებიდან. და თუ ამგვარ ხილვას თან ახლავს მისტიკური წარმოდგენები და ჰალუცინაციები, ესეც განწირული კლასის დაბნელებული ფსიქიკის, დასწეულელებული ტვინის ბრალია. ამ კლასს თვითონვე გამოაქვს განაჩენი თავის თავზე. მისი

ერთი ნაწილი თმობს ასპარეზს და ნებდება ბუნების მიერ გამოტანილ განაჩენს. ყველაფერი ეს ახალი იყო ოციანი წლების ქართულ მწერლობაში. და თუ გმირის სევდიან მონოლოგში ან საოცრად ჯულწრფელ ასპარეზაში გამოსქვივის ამ პროცესის ახსნის ერთგვარი „ბიოლოგიზმი“, თუ აქ მკრთალია სოციალური ანალიზი და დასკვნები, ეს იმიტომაც, რომ იმ დროს არც დემნა შენგელაიას გააჩნდა ამ რთულ მოვლენებზე ჩამოყალიბებულ-დადგენილი შეხედულებანი, ისიც მერყეობდა, ისიც ეძიებდა...

„ახლა გლეხებიც გეტოვებენ! წავიდნენ, მამანემო, წავიდნენ! იცო, მამა, ჩვენ მუდამ ასე ვტანტალებდით ქვეყანაზე!... ოდესღაც ჩვენი წინაპრები დადიოდნენ ტიგრის ნაპირებზე, ქალდეა იყო ჩვენი ბუნავი. მაგრამ არ დაგვავიწყნენ. მუსკი და თობალი მოედო კაბადუციის ძველ მიდამოებს. ხეთები დაპრწოდნენ ბუჰაკიდან აყრილი წადირივით, მოვიდნენ კამეროლები და აქედანაც აგვყარეს ქართლის ცხოვრება დაღარულია საუკუნეთა უფსკრულებით... რა მოგვქვს ჩვენ ამ უფსკრულებიდან?... ჯვარი, მამანემო, და ზედ გყრული ჩვენზე თავი მოგვქვს ჩვენს... ვანა შენ არ გაფიქრებს უფმურთა-უფმური?... ჩვენ უნდა ვეომოთ უფმურს!... ჩვენ მოგვდევს იგი საუკუნეთა სიღრმეებიდან ალბათ, ტიგრისა და ვეფრატის მონაპირე ქალღუელიც ისევე ძიჭივება ცეცხლით შეპყრობილი, როგორც რიონისა და ალაზნის მონაპირე... ჩვენ დაგვაბერა ამ საუკუნეებმა და ბუბური სისხლი ვერ უძლებს ცეცხლთან ბრძოლას“.

ასე წარმოუდგენია ფიზიკურად და ფსიქიკურად დაშლილ დიდგვაროვანთა უქანასკნელ მოპიკანს საქართველოს ისტორია. ეს მისი თვალთახედვაა, მისი ახსნაა, რომელსაც იმ დროს ხაწილობრივ, ალბათ, დ. შენგელაიაც იზიარებდა. „ახალი ხალხი მოდის!“—ამბობდა განწირული აღამიანი საკეთარი საფლავის პირას და გრძნობდა მიწისა და კაცის სრული განახლების აუცილებლობას. მატარებლის პირველ კვილის მოკყევა ახალი დასაბამი, „ახალი ცხოვრება“, „ახალი ხალხი“ იწყებს ახალ ისტორიას.

ასეთი იყო კაცი და მიწა ძველი ცხოვრების მწუხარე ეპილოგში. აქეთ

კი ისტორია იწყებდა სულ სხვა ცხოვრების პროლოგს. ასე უკლებლად მოლომა კი იდგა მოლიმარი, მუდამ მიწიერი სიბრძნით აღჭურვილი ბათა ქექია და თავისი ბორნიდან სხვაგვარად ვაყურებდა იმავე რიონს, იმავე ცას, იმავე წუთისოფელს.

და დემნა შენგელაიამ განიზრახა ჩახედვა უბრალო გლეხკაცის სულში, განიზრახა მისი თვალებით შეეხედა ციანა და ქვეყნისათვის. მან სცადა დაენახა ის უკვდავი სასიცოცხლო პოტენცია, ის ძალა, რაც მიწასთან დაკავშირებულ აღამიანებში ისევე ილექება, როგორც მადნეული ნიადაგის ფენებში. იქ, გლეხკაცის სულში საუკუნეებით დამკვიდრებული სიბრძნე და რწმენა მიწიერი ცხოვრებისა იოლად არ ნებდება ცხოვრების ავბედით ქარებს, მისთვის იმედის უკვდავი ხე მუდამ შრიალეზს. გასულ საუკუნეში ილია ჭავჭავაძის ბრძნულ თვალს არ გამოჰპარვია უბრალო გლეხკაცობის ეს სულიერი უპირატესობა, მისი გამძლეობა და საცოცხლის უნარიანობა. „ოთარაანთ ქვრივის“ ავტორმა გლეხკაცობაში დაინახა ჭეშმარიტება და ამოუწურავი სასიცოცხლო ენერჯია; დაასკვნა, რომ ისინი, გლეხები, სულ სხვაგვარი მშალისაგან არიან ავბებული და ცხოვრების ჭეშმარიტი აპრიც იქ მოქმედებს.

ქართველი გლეხკაცისადმი ამგვარი პატივისცემა, მისდამი რწმენა მეოცე საუკუნის მწერლობამ ძვირფას მემკვიდრეობად მიიღო და ამ თემის ფილოსოფიურსა თუ სოციალურ პლანში ახლებური დამუშავება სცადა. „ბათა ქექია“ ამ ჯაჭვის ერთი რგოლია.

ბათა ქექიას ჰყავს თავისი წინამორბედნი. რაბლეს გარგანტუა, შექაპირის ფალსტაფი, და უფრო აქეთ, რომენ როლანის კოლა ბრუნოინი, ბევრი სხვანი, რიონის პირას გაზრდილ ამ კულამავილ, სიცოცხლეზე შეყვარებულ მუდამ პირმდიმარ გლეხკაცს რაღაცით ენათესავებიან. და მაინც ამ დაღ სახეებთან ბათას ნათესაობა გარეგნულია, ლიტერატურული ანალოგიაა. ბათას

აზროვნება, მისი ცხოვრებისეული ფილოსოფია უფრო ქართული ფოლკლორის პირმშოა, მისი ენამოსწრებულობა, ნაკვეთი სიტყვა და შეუბღალავი, ხალხის მზიარებულება თვით მზიანი ბუნების ნაღლით არის ნასაზრდოები. ამდენად ბათა ქექია ღრმად ეროვნული სახეა. როგორც ტიპი, იგი ღრმა განზოგადების შემცველია და ქართული მწერლობის ოცდაათიან წლებში პრინციპული მნიშვნელობის მქონე მხატვრული სახეების გვერდით დგას. მაინც რაშია ეს პრინციპულობა? გაუხარელ, დუხჭირ ყოფაში, როცა ცხოვრება უხვად იძლევა ნასაღას ტრაგედიას, როცა ცრემლი ალბობს ღიმილს, მოთქმა—ცხოვრების ხალისიანობას, ურწმუნობა—რწმენას, უიქედობა—იქედს, უცებ ჩნდება მახვილგონიერი, მუდამ ღიმილიანი, სულიან-ხორციანად ჯანმრთელი ადამიანი, ჯანმრთელი ფიზიკურად, თავისი აზროვნებით. ქვეყანა, ბუნებაც მის ირგვლივ იცინის, უთვალავი ფერით ზიზზიმებს, მრავალ ხმაზე მღერის. ამ სიმღერას ვერა ჰკლავს სოციალური უთანასწორობა, უეკლმართი კანონები, რადგან სულერთია, სწამს, ბოლო მაინც მშრომელი კაცისაა. ის ქმნის ცხოვრების სილამაზეს და ეს საკვირველი ქვეყანა მას ეუფთვნის. ეს გლუხკაცური ოპტიმიზმი, მიწიერი ცხოვრების რწმენა, განსაზღვრავს „ბათა ქექიას“ ელერადობას, მის ინტონაციას. აქ მთლიანად შეიცვალა „სანავარდოს“ ფერებიც, ხმებიც. სრულიად სხვაა უმირიან ფიქრები, მისი ფილოსოფია, ცხოვრების მრწამსი.

რომანის სიუჟეტის მიხედვით რომ ეპისკელოთ, ბათა ქექიას ცხოვრების ბიოგრაფია უკლმა ბრუნავს. მისი სიყვარული უიღბლო გამოდგა, მშვენიერი სიღუსე მაგიერ ართვალა თუ არა, საკმაოდ უმარტილო გარეგნობის სალომე შეხვდა მეუღლედ. მერე რამდენჯერ სცადა ერთხელ დარღვეული სიყვარულის დაბრუნება, იმდენჯერ ბედმა დასცინა. მუდამ უჩიოდა ღროს, გლუხკაცის სიღუბჭირეს; სახალხო მოძრაობის მდინარეს გაჰყვა და ნაპირზე გარიყული

თევზით დარჩა. ახალი ცხოვრების სიხარული სიბერეში წამოეწყო მთლად თავისი ბორანი და წარსულს: ქსიამო მოგონებანი შემორჩა. თითქოს ღამესავით განვლილ წუთისოფელში მისი ერთადერთი ნათელი ოცნება ახალგაზრდა სიღუსე იყო და იმასთანაც ხანდაზმული, დამაინანებელი ბედმა ბებერს შეახვედრა, მშვენიერი ქალის ნაცვლად უკბილო, გადამძვრალი დედაკაცი ნახა და კაცის არსებობის არარაობა თითქმის ირწმუნა. ერთი სიტყვით, განვლილი ცხოვრების გამოცდილებამ ათქმევინა ბათას: „არავის უცხოვრია ისე, როგორც უნდოდა. ვერც მე ვიცხოვრე ისე, როგორც ვაპირებდიო“. მაგრამ მისი დასკვნა ამ ფრაზით არ ამოიწურება. ამ საოცარ ადამიანში თითქმის დრამატულ თავგადასავალს ვერ მოუკლავს საცოცხლის რწმენა და სიხარული. უფრო ზუსტად, ამ ადამიანში ვერ მოკლეს ადამიანი. „ვიბრძოდი და რა ვუყოთ, თუ ხანდახან წაქცეულვარ კიდევაც? შემდეგ კვლავ წელში გავმართულვარ და ცხოვრებისთვის თვალის პირდაპირ გამიშართავს“, ესაა მისი ურყევი პრინციპი. მას ისიც ჯერა, რომ სანამ ადამიანი ცოცხალია, მისი დამარცხება არა უფერა შეუძლია. ბათა ქექიასთანა კაცი სიკვდილსაც ღიმილით შეხედება და დამკინავად თვალს ჩაუკრავს. უფრო მეტიც: იქნებ, ყინულზე ვააცუროს „მიქელ გაბრიელი“ და რამდენიმე დღე სიკოცხლისა კიდევ გამოგლიჯოს ხელიდან. ესაა მთავარი ბათას ხასიათში. ამგვარი ცხოვრების უნარიანობა თავის მომავალში დარწმუნებული მშრომელი მასების რევოლუციურ განწყობილებას ეთანხმება. ეს ჯანსაღი ხალხი იცინის თავისი ჯანსაღი სიცილით და ეჭვი არ ებარება უკეთესი დღეების მოსვლაში. ყველაფერი ეს სრულიად საწინააღმდეგოა „სანავარდოს“ გამეფებული განწყობილებისა. ბონდო ჭილაძე და ბათა ქექია ცხოვრების ორი პოლუსია და მათი შეთანხმება-შეკავშირება შეუძლებელია. რომანში ტაპიურობამდე აჟიანილი მრავალი სახეა, რომელთა შექმნა-

სას ავტორი გარკვეულ სოციალურ ტენდენციებს გულისხმობდა. პირმოთხე ხუცესი საბა სტრილატე, ცხენის ქურდი, გაიძვერა, ნააბრაგალი თამშულ დანელია, ვირეშმაკა ბასკან უჩარდია და ბევრი სხვა განუმეორებელი კოლორიტით აღბეჭდილი სახეებია. მათი პოვნა მხოლოდ დასავლეთ საქართველოში შეიძლებოდა. ამავე დროს ასეთი ხასიათების ხატვა შეეძლო მწერალს, რომელმაც ღრმად იცის თავისი ხალხის ცხოვრება, რომელსაც მთელი სიცოცხლე თავის მომავალ გმირებთან გაუტარებია და „გამოგონება“ არ დასჭირვებია. და მთავარი მაინც ბათა ქექიაა. ვისაც სამეგრელოში ან იმერეთში უცხოვრია, ალბათ, უნახავს კიდეც ბათას ორეული მოხუცები. ისინი ცალთვალმოსულები, გამჭირდავალ შემოგვეყურებენ, თითქოს ვეუბნებიან: „მე ბევრი, ძალიან ბევრი რამ ვიცი ამ ტკბილ-მწარე წუთისოფელზე“. მათ გონივრული, ფხიანი სიტყვა ადვილად მოსდევთ, ხალხური სიბრძნისა და ხალისიანობის ცოცხალი საღაროები არიან. მათი მოტყუება, ვაცურება შეუძლებელია. ამ დალოცვილ მიწაზე რაც ხდება, რასაც თვალი და ყური მიწვდობა, ყველაფერი იციან. ბათა ქექიაც იმათა ჯილაგისაა. მისი ფესვები იმ უბრალო ხალხშია გამჯდარი. მწერალიც გრძნობს თავის გმირთან შინაგან ნათესაობას. იქნებ, ამის გამო არ უძნელდება ბათას ხატვა, ისე ძალდაუტანებლად მოსდევს ამბავი ამბავს, ფრაზა ფრაზას, თითქოს, მართლაც, რომელიღაც ნაცნობი მოხუცის ბუხრის პირს მოთხრობილი თავგადასავალი სტენოგრაფისტის გულმოდგინებით სიტყვა-სიტყვით ჩაეწეროს. ასე მხოლოდ მახლობელზე წერენ.

„... მუხა მე ვარ. მე ის დღეაბოძი ვარ, ზედ ქართული დარბაზი თავხეებისგან შეკრული გვირგვინით მტკიცედ რომ დაყრდნობილა. შვიდ ტოტზე შეიდი მასკვლავი შემომისხამს და, თუ მე ვიქნები, იცოდეთ, დარბაზი არ დაინგრევა. შერე რა, რომ დაებერებულვარ, ტანზე კორამები რომ დამსდომია? მაინც გამტანი ვარ. მაინც უკვლავი ვარ. შვიდი ტოტი ცად

გამიყრია, ფესვები მიწაში ღრმად გამიდგამს და მრუმე ლამით ზედ შემომცდებო წმინდანი ფრთათა რბევით ელვისფერად ვარ წაწველებული. მუშლი მეხვევა და მაინც ვმრიალებ...“

ასეთია ადამიანი.

„ეს მიწა წოდ ჩვენია. აქედან ვინ მოკეთხროს, მიწას ვინ წაიდებს და წალებაც რომ გააპიროს, ჩვენ აქ არა ვართ? ცოცხალი თავით ვის დავინებებთ! ცალი ხელით მამულს დავიკავთ, მეორე ხელით ვიშროვებთ, ყანას ავაბიბინებთ, ვენახს გადავალურჩებთ და მტრისა და დუმანახის ჯიბით პერ-ღენოს მაინც არ დავიკლებო. პირათალა გულს გვყავია. ძაან გვაყლია ის ოქროს ვულა—ასე სიმსხამად რომ გვაკალეს, მაგრამ არადერიამ თუ ისეთი მოსავალი მოვიდა ყურნისა, რომ ეს დალოცვილი ღენო ქვეპირში არ ჩაეტია,—კოლოტში ჩავასხამთ, რუმბებს დავავსებთ. ვუღა, ტყე, ტყეკორა ხომ ბევრი მოგონარია. თუ ღმერთმა ქნა და პირახული ისეთი მოვიდა, რომ, მართლაც, წარღვრა მოსკდა ღენისა და არც ქვევრებში, ჩაფხში, კოკებში არ ჩაეტია, თვეენ შავის ჯაჭრი ნუ გვქნებათ. ღმერთო, მომკალი და, განა ჩვენ აქ არა ვართ?“

ასეთია მიწა, რომელზეც ეს ადამიანი დგას, რომელმაც შობა იგი, რომლის იმედიც მუდამ აქვს.

ბათა ქექიამ თვალის გახელისთანავე შეიგრძნო გარესამყაროს საკვირველება და ბავშვობიდან სიბერემდე მის სახეს არ მოშორებია ქვეყნიერების მშვენიებით პირველი აღტაცება. სიღარიბემ, მატერიალურმა ხელმოკლეობამ მასში ვერ მოკლა მიწისა და მიწიერი სიღამაზის გრანობა. ბავშვობაშივე განიცადა თანშეზრდილი ბუნებით თრობა და მერე, თავისი ბორნიდან ისევ ბავშვური გულუბრყვილობით შეაჩერდა „საოცარ ქვეყანას“.

„როგორ უნდა შევლუდი ამ მიწა-წყალს, სადაც საღამურს თავდავიწყებით ვუკრავდი და მშვილდითა და კალაით შაშვეხსა და მოლაღურებს მოსაკლავად დავდევი, ღომის ყანებზე და სასილოსებში მწერებსა და ღაღღებს მახებეს ვეგებდი? რა დამავიწყებდა ჩემი ბაონის სალბენიან წყალს, შიგ რომ ბუყაყვივით ვურყურებოდი, მანაგებთან ერთად მისილულ ჩქონში ტიტველ კინკაპანიც ვტოლი? უიქროთ ვეთხოვებოდი მყუდრო დორანებს, შიგ რომ მსუქან კობრებსა და ღლაგებს ანეკსებით ვაპერდი. თვალტარბიანი ვეთხოვებოდი ჩემი სოფლის ცას, მის ლაინსივრ დასალიერში, ანგულოვებს რომ ვეძებდი“.

ბავშვობაშივე ასე აღქმული ბუნება

ბათასთან ერთად იზრდება, ფუკდება. ღვინისა და ნაყოფის დამატარებელი სურნელებით ივსება. „რიონის საღებუ-ნიანი წყალი“ კვებავს ამ ნოყიერ ნიადაგს, ოღონდ ადამიანებს შორის მოისპოს უთანასწორობა და ყველაფერში სრული პარამონია დაისადგურებს. ეს სინოყიერე, საესეოება ბუნებისა შექრილია მწერლის ენაშიც. მისი მეტყველება მდიდარია მრავალფეროვანი, გაუხუნებელი, ხაოიანი სიტყვებით.

რომანში მძლავრად ჩქეფს ცოცხალი, მოძრავი ცხოვრება, დულს და გადმო-დულს, გაუთავებელი ენერგიით მოძრაობს. სოფლის ფაქტურაში მოულოდნელად შემოჭრილი ქალაქური ცხოვრება ამ საუკუნის დამდეგის რიტმით არის გამსკვალული. ორპირის მიდამოები „აყვავებული ქვიშის ბაღებითა და სკებით“, მოულოდნელად იცვლება და ქალაქის მძაფრი სუნთქვა ედება ყველაფერს.

„ცენსისწყალზე რიონის შესართავთან გუმბი, ბაილები, სანდლები და ნაეები ერთი მეორეში უწყსრიაგოდ ირეოდნენ... მტერთავეები აშარ-ბელლებიდან ტომარ-ბარდანებით ბამბას, სიმინდსა და ყავს ეზიდებოდნენ. წირახებად დაჯგუხილა და დემებად დაწყობილი შარშანდელი თუთუნი, ნიგვისა და ბზის მორები, განუწყვეტლივ მოქონდათ და ზომადებს ტირთავდნენ. ქართულ-რუსული, მეგრულ-ლაზური და თათრულ-ბერძნული ერთმანეთში ირეოდა. მენავეებიცაჲ წყალზე მწყობრად დარტყმული ნიშბები ზალისიანად ჩავფუნებდნენ...“

ცივილიზაცია ბათას წარმოდგენაში არ არღვევს მისი ნოყიერი მიწა-წყლის ზირველყოფილ მშვენიერებას. ეს ჯანსაღი ზალხი არ უფრთხის „მანქანას“, პირიქით, ხელგამლილი ეგებება მას, ცხოვრების სამსახურში დამჭერის ხელით აყენებს. „გზასავით გაზიდული ცხოვრება“ მუდამ წინ ისწრაფვის, ბათა მის დასასრულს არ უფიქრდება, ოღონდ ილტვის, დაუსრულებლად ილტვის და სიცოცხლით ვერ ძლება. გზე-ბი არ თავდება და ადამიანიც მიდის, მიდის დაუსრულებლად.

ბათა ქექიას ცხოვრებისეული ფილოსოფია ამქვეყნიური ცხოვრებით ტკობას გულსხმობს. ადამიანი უნდა ელ-

ტვოდეს ბედნიერებას, სიხარულს, უნდა და შრომობდეს და მერე, მადონდუკამდეს, სვამდეს, ზღუჩდუნს მანყოფნა მრავლდებოდეს, ღრმად დგამდეს ფესვებს ნიადაგში. ადამიანის ბუნებრივი სულიერი მდგომარეობა სიხარულია, ღიმილი მის სახეს ყველაზე მეტად შვენის. ამ ღიმილის პოვნაა ცხოვრების სიბრძნე. მაშინ სიკვდილიც არ იქნება საშინელი. უნდა ყველაფერს შეერწყა, შეუსისხლსორცდეს, ცას, მზეს, ნიადაგს, წყალს, ბალახსა და ფოთლებს, გაითქვიფო სიცოცხლეში და უკვდავებას მაშინ დაიჭერებენ.

ყოველივე ნაყოფიერისა და მშვენიერის გვირგვინია ქალი ბათა ქექიასათვის, ქალი დედაა, სიცოცხლის უწყვეტელობის წყაროა, ნაყოფიერების ფუძეთ-ფუძეა. ლამაზი სიღუ ასრულებს ბათას თვალში ამ მშვენიერი მიწის სანახაობას. დ. შენგელაიას გმირი ქალები უმთავრესად მიწიერი უბრალოებით, როგორც გალაკტიონი იტყოდა „უბრალოთა მშვიდი განგებით“ არიან აღსაყენნი. ისინი გულწრფელად ეძლევიან ადამიანურ ვნებებს, ბუნების სიმწიფისა თუ აღორძინების კანონებს თავიანთი სულიერი და ფიზიკური არსებით ეთანხმებიან. ამავე დროს საოცარი კდემამოსილებით, სინაზითა და სიაუფთავით კიდევ უფრო მომზობლავნი ხდებიან.

დ. შენგელაიასთვის თვით ბუნება ქალური მშვენიერებით არის აღბეჭდილი. ეს გენიალურად გამოხატა იმ პირველმა ქართველმა კაცმა, ვინც იხმარა სიტყვა „დედამიწა“, გააერთიანა თავის წარმოდგენაში ქალი და სამყარო. „ეს ბარაქიანი დედამიწა ისე ტკბილად ფშვინავდა, რომ კაცს სიცოცხლე კიდევ უფრო უხაროდა, ჩამავალი მზის სხივებით ოქროსფრად ნავარაყევი აღვის ხეები და ტირიფები თათქოს მეტის ნეტარებით გატრუნულიყვნენ. მიწაში ღრმად გადგმულ ფესვებით წოვდაეს წვესნა და მოწიფული ქალიშვილებით სიცოცხლით ივსებოდნენ“. ასე ხედავს ბათა ქვეყნიერების „ხორციელ სილამაზეს“ და სიბერეშიც არ თმობს

ამ თაფლნარევი სიტყვობებით სავსე სი-
ცოცხლეს...

ადამიანისა და მიწის თემა დ. შენგე-
ლაიამ „განძვიც“ წამოჭრა. პირველივე
სტრიქონებიდან მან თავისი გმირი საუ-
ლია მიწას დაუკავშირა, მის გარშემო
რიონის ქალების მშვენიერა სანახაობა
გადაშალა. „მიწიდან თითქოს ამოზრ-
დლ“ საულისა გარშემო ყველაფერი
გაქვნილია „ამობრუნებულ ნოტიო
მიწის მსუყე სუნით“.

„აქ კი სულ მკვით, თვალშეუღამი ვაკე
დაცემულიყო, ყანები ხვატში გატრუნოლუ-
ნენ პალისტომის ნოყებსა და კაობებს იქით
მლორე რიონი ხარის პირივით ლალაჰებდა“.

ნოყიერებისა და სილამაზის ამ შეგრ-
ძნებას არ ანელებს რკინიგზისა და ტე-
ლეგრაფის ბოძების შეჭრა მწვენიოთ შე-
მოსილ მიდამოებში. ბუნება და კაცი ამ
მიწაზე შეთანხმებულად მოქმედებენ. ეს
არ არის სტეინბეკის „მარგალიტში“ და-
ხატული მტრული გარემო, სადაც იღუ-
შალ ქარებს ღარიბ კინოს ქოხში „უბე-
ღურების სიმღერა“ მოაქვთ. შემთხვევი-
თი არც ის უნდა იყოს, რომ ამ პარმო-
ნიულ გარემოში, უხვი მიწისა და ღონი-
ერი გლეხკაცის ფონზე მოთხრობის
პირველსავე სურათებში ჩნდება ქალი.

„მოცილდ წლის გაყანადარა და თასმასივი
მოქნილი ფუნდუც იქვე ქმარის გვერდით
არგებოდა. ფართოფარფლიანი ჰილის ქუდით
მოჩრდილებულს და წულში მოხრილს ეშხით
სავსე შაქრისფერი ნახ-შქარა სახე არ უნაქდა.
თეთრი აბრეშუმის ზედატანი და სამინაო ჩი-
თის კაბა გათხოვილი ქალის გულახდლ ლა-
ზათს როდ უფარავდა, პირივით, უფრო აშე-
ღუნებდა მის ტანადობას“...

ეს ის პერიოდი გალესკაცის ცხოვ-
რებისა, როცა ბუნება „ისევე ისხამს
მწვანეს“, ახალი ნაყოფითაა ფეხმძიმე,
ივსება ენერგიით, უფრო მშვენიერდე-
ბა. ასეა ფუნდუც. ისიც პირველად
გრძნობს თავის სხეულში ჩასახულ ახალ
სიცოცხლეს და დედობის უსაზღვრო
სიხარულს. და ეს სავსე ბუნება ეუბნე-
ბა ადამიანს: დაღვარე ოფლი, იშრომე
და მე მოგცემ ყველაფერს, რაც შენ
გჭირდება. ვასაზროლებ, შეგინახავ, გა-
ხარულე, გაგრძნობინებ სიყვარულის
მომხიბლადობას, მოგცემ რწმენას. იმედ-

სა და ენერგიას. მე გულუხვი და მშვე-
ნიერი ვარ. შენ ეს იცხადებ და მწიგ-
ჯერ გავიწყდება, როცა შეტყისმეტად
შემეჩვენე. ბევრი გინდა, მუდამ მეტი
გინდა და მანამ არ მოისვენებ, სანამ
სატანას არ გადაეყრები. მერე მიხედ-
ბი შეცდომას, ოქროთი თვალმოჭრილი,
გამოფხიზლდები, და ისევ იგრძნობ
ჩემ ფასს, მიხედვები, რომ ბაჯალო
ოქრო, მე, ეს მიწა ვარ, ის ლამაზი
ქალია, შენთვის რომ შემეჩვენია. მიხე-
დები და ინანებ... ამ ფილოსოფიური
პვეტიქსტით ხატავს ბუნებას „განძის“
ავტორი. ასე უყურებს იგი ქალს, რო-
მელიც დედობის პირველი გრძნობა-
გათანჯული აღადანებულ ყანასავით
ბრუდდება ზღვიდან წამობერილი ნიაცის
მკლავებში. აქ ყველაფერი ივსება მა-
ყორული ხმებით. ბუნება მღერის თავის
ენაზე და ადამიანი გრძნობს ამ სიმღე-
რას. ეს ყველაფერი განგებ მოჭარბე-
ბულია, მოზღვავებული. ყანაც, ხეებიც,
ცაც და ქალიც ყრეოლადაკრულ სიხა-
რულს მინებებიან.

შეგნებული ზეაწეულობა აქ ჩაფიქ-
რებულა იმ მოულოდნელი ტრაგედიის
განამძაფრებლად, რომელიც თავს და-
ატყდება მიწის უარყოფელ ადამიანს.
აქ ისევ იწყება მიწისა და კაცის კონფ-
ლიქტი, და სანამ ადამიანი ხელახლა არ
მიუბრუნდება იმ „უბრალო მშვენიე-
რებას“, იმ მარტივ ჭეშმარიტებას, რო-
მელზეც დგას ცხოვრება, იგი იტანჯება,
სულიერ ტკივილებში იხლართება. თა-
ვისთავად, ბუნებისა და ადამიანის და-
ნახვა ამგვარ მიმართებაში სცილ-
დება ყოფის რეალურ აღწერას და
ამაღლებულ პოეზიის სფეროში გადა-
დის. დ. შენგელაიას პროზას ამგვარი
პოეზია თითქმის მუდამ თან ახლავს.
მას არ ეშინია იმისიც, თუ ამგვარი
ხედვა ზოგჯერ მოვლენათა შორის
გწყობრ, „რაციონალისტურ ლოგიკას“
დაარღვევს. იგი მიდის ამ რისკზე, გან-
გებ არღვევს კიდევ, რათა მერე უფრო
„მაღალი სინამდვილე“ შექმნას.

ამავე დროს დემნა შენგელაიას „მი-

წიერი ვენებები“ შორსაა ზეაწეული კარბი რომანტიულობისა და სენტიმენტალობისაგან. „წითელი ყაყაჩოსა“ და „თბილისის“ ავტორი ქალაქის ფაქტურას კარგად გრძნობს, მისთვის უცხოა ურბანისტული ტკივილები, რადგან თბილისის გარეუბნებშივე ეგულება ჯანსაღი გლეხურა ყოფა, მიწასთან დაკავშირებულ ადამიანთა მზემოკიდებულები, ჯანსაღი სახეები. „ეს ჩვენა ვართ ძირი და ფესვი ამ ცხოვრებისა“, გაიძახიან მისი გმირები და ცხოვრების დაუსაბამო და დაუსრულებელ გზას მოპყვებიან. „ეს ჩვენა ვართ ის ქვეშა, წყალნი, რომ წავლენ, წამოვლენ და ის კი ადგილზე რჩება“, ამბობენ მისი იმედიანი გლეხკაცები, ბათა ქექიას ამ უბრალო სიბრძნეს იმეორებენ და წუთისოფლის ჭირ-ვარამს მოტეხილნი არასოდეს ხვდებიან.

მიწისა და მიწიერი ცხოვრების ამგვარი გრძნობა უტყუარ დერიტათ უღვეს ჩვენს მწერლობაა. მასში საქართველოს უბერებელი ნიადაგის გრძნობაა გამოხატული. იქნებ, დღევანდელი მხატვრის სიყვარულში კერამიკული ნივთების, თიხის ჯამებისა თუ ყელმობატული შემოღილი დოქებისადმი, მშობლიური მიწისადმი ეს სიყვარული, მისადმი ნდობა ქვეცნობიერად მელაგვნდებოდეს? იქნებ, ეს ვინმეს პრაიმტიული სიბრძნე ეგონოს ელექტრონიკაა და რადიოტექნიკის, ან კოსმოსური რაკეტების ეპოქაში? იქნებ, ეს ცივილიზაციის გვერდის ავლაა და პირველყოფილ ჭეშმარიტებათა გაზიარება? იქნებ, ამგვარი აზროვნება ქვეზე დაწერილი არითმეტიკაა, როცა ტექნიკის საუკუნემ თან მოიტანა ურთულესი ინტეგრალების ალგებრა? საბედნიეროდ, მიწიერების ეს ფილოსოფია ადამიანივით ძველი და ადამიანივით მარად ახალია. ამიტომ დროსთან ურთიერთობაში მას არ ედება პროვინციულობის ელფერი, ადამიანთან ერთად იცვლება, მაგრამ ისევე თვითმყოფადია, როგორც სიცოცხლე, ადამიანი. სულ აგერ ოცი

წლის უკან პროფესიით მფრინავე, იმერთი ტალანტის დიდი ფრანგ მწერალი ანტუან დე სენტ ევზიუპროსპერსს წიგნს არკმევს „ადამიანების მიწას“, მწერლის საქმიანობას კი გლეხკაცის „მიერ გუთნის გატანას“ ადარებს. სივრცეებში გასულმა მფრინავმა კიდევ უფრო ცხოვლად განიცადა მიწიერი სიცოცხლის უბრალო ბედნიერება და ანდის მთებში კატასტროფიდან დაბრუნებულმა თქვა: არა მარტო მზე და მინდვრები, პოლიციელიც კი ლამაზად მეჩვენებოდაო. ამნაირ გულებს შეუძლიათ კაცობრიობის ნათელი სიყვარული წაიმძღვარონ დიდ საქმეებში და მოსალოდნელ კატასტროფათა წინაშე სულიერი ენერგია და მაღალი რწმენა გამოამტლავონ. ამიტომ ბათა ქექიასა და საულიასნაირ გლეხკაცებს ბევრგან ჰყავთ თავიანთი ნათესაეები. იქნებ, მიწიერი არსებობის ეს წრეგადასული სიყვარული იყოს ის ნამდვილი ძალა, რომლის წინაშე არაარობაა მოჩვენებითი ცივილიზაციის ყოველგვარი ცინიზმი ან ამქვეყნიური არსებობის კატეგორიული უგულუბელყოფის რელიგიური პრინციპები. ევზიუპერი იგონებს ბებერი არაბის მიეიანის სიტყვებს: „შენ გაქვს თვითმფრინაეებიც და რადიოც, მაგრამ შენ ჭეშმარიტება არ გაგაჩნია. რად გინდა შენი თვითმფრინაეები და რადიო, თუ არ გექნება ჭეშმარიტება?“ ეს ჭეშმარიტება კი უბრალოა, როგორც მიწიდან ამოსული ბალახი. მიწა კი სიცოცხლეს ნიშნავს და ადამიანსაც ხომ სწორედ სიცოცხლე აინტერესებს. როდესაც ოცი თუ ოცდაათი წლის წინათ, სულ სხვა გარემოში დაწერილი რომანები ყველაფერ ამაზე დაგაფიქრებს, ეს მოწმობს ნაწარმოების სასიცოცხლო ენერგიას. „წარმავალ ამბავთა“ მიღმა ადამიანი დგას, მრავალტანჯული, დაუმარცხებელი, ამაყი და უსასრულო. იგი გრძნობს მიწის უკვდავ გენიას და ამაყად ამბობს: „ეს ჩვენა ვართ ძირი და ფესვი ამ ცხოვრებისა“.

ზარანოზ კოჩავიძე

ქართული რომანის სათავეებთან

როდესაც ქართული რომანის ისტორიაზე, მის არესა და მანძილზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ამჟამად რომანის არსის განსარკვევად მის პირველად ძირებსაც კი განსაუვრებელ მნიშვნელობას ანიჭებენ. საქმე იქამდის მიდის, რომ ზოგიერთი შეკლევარი, მიუხედავად ნაწილობრივი მერყეობისა, რომანის ისტორიას მრავალი სატყუნი თი ითვლის და თუმცაღა გაბედულ დასკვნებს ვერ აკეთებს (ამის საშუალებას მათ შიგნით ვინაღინა მასალა არ იძლევა), მაგრამ თვით ფაქტი, რომ ერთ-ერთი მათგანი ნაწილობრივ სათაურად ასეთ სახელწოდებას აძლევს: „შვიდი სატყუნე რომანისა“, საკლევები პრობლემის განსაზღვრაზე, განვრცობაზე, გათავისუფლებაზე მიუთითებს.

რომანის ჩასახვა-წარმოშობა მიხედვით ლიტერატურის განვითარების მკვლელ დონედ (იხ. მაგ., „История русского романа“-ს შესავალი და სხვა ბოლოდროინდელი ნაშრომები), უფრო მეტიც, იუვოსლაველი კრიტიკოსის მატჩის თქმით, „რომანი არის ნაციონალური ლიტერატურის სიმწიფის ატესტატი“, შეგვეძლოს დავამატებინა, თვით ხალხის სახისა და ბუნების, მისი არსების გამოხატულება.

თანამედროვე გამოჩენილი ისლანდიელი მწერალი-რომანისტი ხალდორ ლაქსნესი მიიჩნევს, რომ რომანს ვაგლადი აქვს მრავალი სიმძნელის შემცველი, დიდი ხნის ისტორიული გზა, და მის სათავეებს ქრონიკებში ხედავს, ხოლო საგები პირველ რომანებად ვეულება.

საგელისხშირა, რომ პირველ ფრანგულ რომანად დასახელებული ვასას (1155 წ.) „რომანი ბრეტტსზე“ მხოლოდ და მხოლოდ ლათინურ ენაზე თავისუფალი, რეჰამარცელიანი ლექსით დაწერილი მეფეთა ისტორიაა, ხოლო მე-13 საუკუნის „რომანი ენვიზე“, „რომანი ტროაზე“ და სხვ. თავიანთი ამბითაც კი ძველ ბერძნულ თქმულებათა ფრანგულად შეცვლას და მათ, რა თქმა უნდა, ნაციონალურ-ფრანგული, ეროვნული ხასიათი ნაკლებად აქვთ...

არც ისაა ნაკლებ საყურადღებო, რომ რუსული რომანის ძირებს ბილინგში თუ ამბებ-

ში ეძებენ. და „მოთხრობა (ან ამბავი) საკაზე“ (XVII ს.) მიიჩნიათ პირველ რუსულ რომანად. ეს უკანასკნელი კი იმდენად არის რომანი, რამდენადაც მას რომანული, სამოქმედო ცდუნების ფერდობილი აქვს ოდნავ აყრულო და ისიც ხალხური არაქების ხასიათისა. როდესაც ამგვარ ვითარებას ვითვალისწინებთ, ცხადი ხდება, რომ ქართული რომანის ძირები ერთ-ერთი უძველესი და სრულყოფილი მონაცემების მქონეა. დღეისათვის ცნობილ პირველსავე მხატვრულ ძეგლში — „წამება წმიდისა შუშანიასა“ უკვე გვაქვს მოთხრობელობითი ეპიკის განვითარების მაღალი საფეხური, რაც გაპრობებული უნდა ყოფილიყო წინასწარი დიდი მხატვრული, სამწერლო კულტურით და ეს დონე ოსტატობისა ვრთერთ მძლავრ საყრდენად უნდა ქცეულიყო მოთხრობელობითი ეპიკის უმაღლესი საფეხურის საფუძვლიანად შესაშინადებლად.

ის გარემოება, რომ ყურ კოდვე V საუკუნის თხზულებაში შევეთრად გამოხატული უბუფრო ისტორიული სინამდვილე მოცემულია ადამიანთა ურთიერთობის, მათი განცდებისა და ბუნებრივი თვისების ინდივიდუალური ხასიათით — უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს და მხატვრული თხრობის ძვირფას ტრადიციას ქმნის.

თვით ავტორის პირადი ინიციატივაც ამკარავს გავსებობს ლიტერატურულ-შემოქმედებით უბუფრობას, რაც მხატვრული ნაწარმოების შექმნის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. — აკობ ცურტაველმა თვითვე მიმართა დედოფალს ვაშხნათვის თავდასაყვანი. ამ ადგილის განმარტებას პროფ. კ. კეკელიძე ასე იძლევა: „აქედან ნათლად ჩანს, რომ აკობს შუშანიას წამების აღწერა არ უყისრია ვისიმე წინასწარი შევეთრათა და თხოვნით, ამის შუადებასა და თადარტის ის ყურ კოდვე ლაქსნესისმდე დედოფლის სიცოცხლეშივე შესდგომია“ (ქართ. ლიტ. ისტ. ტ. I. გვ. 106, 1941).

ასევე საინტერესოა, რომ შუშანიას ბავშვობის შესახებაც კონია ავტორის ჩვენამდის არ-

მოღწეული შრომა, შემოსახულა თხზულების მხოლოდ მეორე ნაწილი (აქედ. ივ. ჯავახიშვილი); დეფექტური სახით არის შემორჩენილი დასასრულიც. ყოველივე ეს სადებეზელს ხდის ამ ნაწარმოების უფრო ვრცელ, ფართო დიპლომა და შესაძლებლობას. თუკი იყო პირველი ნაწილი, რომელშიც გვირგვინზე შევიძინებთ მოგვითხრობდა მწერალი (ისევე, როგორც დიპლომა დასასრულში სხვა ამბებზე), მაშინ, რა თქმა უნდა, უკვე ამ ძეგლში გვქონდა მომთხრობლობითი ლიტერატურის კიდევ უფრო განვითარებული ვერსია, როცა მწერალი გვირგვინს მთელ ცხოვრებას (დახადებიდან გასრულებამდე) ვვაძლევს, მაგრამ ამჟამად არსებული მეორე ნაწილშიც საქმიან მალაღობს დონე მანს მხატვრული თხრობისა.

შეშინიკი, ვარსკენი, თვით ავტორი და სხვები ისტორიული პირები არიან, მაგრამ მწერალი მათ აღმწერლის მშრალი, ტრაფარეტული სახეებითა და ზოგადი ფრაზებით კი არ გვიხატავს, არამედ თვითფული მათგანის სხვადასხვა ნიშანდობლივ, ტიპურ თვისებებს ვვაძლევს სიმართლობით.

შეშინიკი ვრისა და რწმენისათვის ვაუტყუებელი, ვასათყარი ნებისყოფის, მოთმინება-გამძლეობის მქონე ადამიანის სახეა. მის ზემო უნარი შეიღწის მედლის მერჯული ბუნება და გაითავალისწინოს კიდევ მოსალოდნელი უპირინიობა ვარსკენისა. შეშინიკი აზრიანი, ფრთხილი და ჰკვიანი ადამიანია. ის მაშინვე მიხვდა ვარსკენის მიერ გამოგზავნილი კაცის საცხებიერეს, არ დაიჭრა თავლთმაცური ტიპობით ნაუქვამი მისი სიტყვები, არ წამოგვო მის ფაქტზე — „ესა ზაყვეთა იგი ზრახვაა მისი“ და თავი მტკიცედ დაჰკრა. ასევე საგულისხმა ვანიერებით, ლაგიური სიმახვილობითა და საფუძელიანობით გამოჭედილი მისი ყოველი სიტყვა, მიმართული როგორც ვანდგომილ, ქვებუღანა ვარსკენისადმი, ისე ხუტუის (ავტორის) და სხვა მახლობელთა თუ ვარსკენადმი, დაწყებული ვანიერის ძალამოსილი, დოღადივით ჩამოსხმული მისი პირველი ფრაზიდან, დამთავრებული რძალ-მახლთან უკანახკენელი გამოთხოვებით, რომელიც პოეტური სისადავითა და გამომატველობის ბრწყინვალე ნიმუშია.

შეშინიკმა იცის, რომ ავნიან ვარსკენისადმი დამორჩილებლობით საკეთთარ თავს მძიმე ვანსაცდელისათვის იმეტებს და იმთავითვე შეშინიკივით კიდევ ვანწაშება საკვდილისათვის; „...შე ვულითად სიკვდილად მივადლო“ — აცხადებს ის. შეშინიკის შეუპოვრობას ვერც ის ვარემოება არცხვს, რომ დაუნდობელი ცემისაგან მთელი სხეული დაჩქვენილ-დალწილი, „უბანი და ზოგნი კბილი შთამუსერილი“ აქვს. ხოლო შემდეგ ტანსამოსშემკრევილი და თავსაბურავგაბახილი, დამცრობლ-დაყინე-

ბული შეშინიკი ნებაშეუტყუებლად მიღის მისთვის შეშინიკივით ბნელ ჭურღმულზე ჩასაყეტად, საიდანაც ვარსკენის შექვეყნებულ კრევალი ვალორ გამოაღწევს და მხარლელ-ქსელისადა ვამოიტრანენ.

მსხვერპლის კვალში ჩამდგარი ვარსკენი არცის არ აჯარებს ახლოს, მაგრამ ეს ვხა შეშინიკის სიძლიერისა და სულის სიღიღე-სიმედგარის ზემიად იქცა, რაკი ურიცხვი ხალხი მოაწვდა და აედევნა თავდადებულს, უკან მიმდევარი „ამბოხის მრავალი დედებისა და მამებისა“ ხმა-მალაღი ტირილით, ცრემლის თხევითა და ლაწვითა ხოკით იმდენად დიდ, საშინარ ძალად იქცა, რომ პოტიხში იძულებულია ვრომანოვში არბული ეს ურიცხვი ქალი თუ კაცი, მოხუცებული თუ ყრმა, ამხედრებულმა დაუზოგავად მიქელ-მოქელოს, აწიოკოს და ისე ვაძღანტოს.

ყოველივე ამასთან ერთად, შეშინიკი არ არის მოკვებული, როგორც უსულო სქემა საცდუნსო დოვებებისა, და, მიუხედავად მისდამი დღადი თაყვანისცემისა, ავტორი (შეძლება თაყვანისუფლებულად იქი) მის ადამიანურ ნაკლოვანებებსაც ვაძლევს. მწერალს უნდოდა შეშინიკის დიდი რწმენა, რაც შეიძლება, ვაყოფოდ ეჩვენებინა და ფაქტობრივად დადებითი გვირგვინის ნაკლოვან-ჩრდილოვანი თვისებებიც მივიღოთ, რაც ვამაიდავებულ ხატვას სცილდება და რვაღერ ელფერს იძენს; ეს ძლიერი ნებაყოფილი, თითქოსდა ვეღადფერში თვითდარწმუნებული, დინჯი ქალი თავდაპირილობას ვერ იჩენს, უცხად აფეთქდება და წონასწორობიდან ვამოსული ღვინის კიქას შეაღწეავს მისდამი კეთილად ვანწყობილ რძალს; თავისი ურყევი ვაღაწვებილება-რწმენის ვამო უკიდრესობამდის მისული შეშინიკი, როგორც დედა-მშობელი, ვავებულ ცალმხრივობას ავლენს; შეიღები მიღიან ვატანქული დედის სანახავად, მაგრამ, რაკი ისინი ვამამ „მაქცირა მოგობასა“, დედას „სახელიცა მათი აძავლა სწენად“.

ჩამოწინლ-ვამოკეთილია დესპოტი ვარსკენის ანგარებაანა, ვანდიდების მოყვარული ხასიობით. იგი ტიპია იმ მმართველ-ვამეცებულთა, რომელნიც პირადი წარმატებისათვის არა მარტო „ძღენად თავსა თვისსა შეწირვიდა“ და ახალ კოლსაც კი შესთხოვდა სპარს მეფეს, არამედ ვაროზად პირობასაც მისცემს, რომ კანონიერ, „მუნებითა“ ცოლ-შვილსაც მახდენათობაზე შეაქცევს.

ვარსკენი მრისხანე, პირად პატივმოყვარობას აყოლილი, დაუნდობელი ადამიანია. ვარსკენის დაუნდობლობისა ბევრს ვენიია, დესპოტიური ბუნება ძრწოლისა ვერის ვარსემო მყოფთ; როდესაც შეშინიკი ტანრიდან ვამოჰყავდათ, ერთ დღევანს უნდოდა ვამეზინეებინა, ვამეზინეებინა ვატანქული, მაგრამ „თვლი კი-

და ბიტისშენა და სიტყვა ჩაუწყო, მთელი ფრაზა ნაცლად მხოლოდ ნაწილები „მტკი...“ - ლა წარმოსთქვა და დაღუპებულმა სწრაფად დასტოვა იტარება.

თანამებებერე, საეუთარი შეიღების დედა უკანასკლად დღეშია და ვარსკენი კი სამკველებს დაბრუნებაზე ზრუნავს, თანაც იქედნურად სხვა ჯალზე ფიქრობს: „მერმეცა იპოს ვინმე, რომელმან ესე შეიმოსოს“.

განსხვავებული ხასიათისაა ჯოჯიკი, რომელიც ყოველნაირად ცდილობს შეუმსებლოს ტახტზე შეშინებს და მისი გულისთვის გამგებელ ძმას შეებმის, რათა საცოდავი დაიხსნას მისგან. ასეთივე სათნო, ჰემანური თვისებების აღმანიად ჩანს მისი მეუღლეც, რომელიც, მიუხედავად შეშინების უბედურ მოქმედება-ღვარამლიანობას არ იღწის.

საინტერესოა, რომ ნაწარმოებში ვცაქვს ცხიერი აღმანიის კილორიტულად გამოყვითილი მეორეხარისხოვანი სახე: შეშინებს ეახლა ვარსკენისაგან გამოვხატული „კაცო ერთი სპარსი“, რომელმაც მხაყრული თვალბამით მიუჩამიჭრა თავსდატეხილი უბედურება, ხოლო შემდეგ კი პატარის ფარულად აცნობა შეშინილი ვითარება და თან ორკოფი აღმანიის დარჩენილ დაატანა: „ნუ რახ ფიცებელსა სიტუუსა ეტყვ მას, რამეთუ დედათა ბუნება იჭრო არს“.

„შეშინების წამება“ ქართულად ადრე შექმნილ „წამებათა“ და საეკლესიო წიგნებთან განსხვავებით (რომელთა შესახებაც პირდაპირ არის ნათქვამი: „თანა წარცხანა ევიგელმ თსი და წმინდანი იგი წიგნი მთაწამეთანი“ -), უკვე მხატვრული, ლიტერატურული ნაწარმოებია, რომელსაც ბევარი უმთავრესი კომპონენტი მომხრობლობითი ეანრის მალაღი ეტაბისა სრული სახით აქვს.

თხზულების გვირგეზი სოფლას, ამ ქვეყნიერი ცხოვრების მოყვარულ, საწურობის აღმანიებად, რეალურ, ხორცშესხმულ არსებებად ჩანს. ისინი აღმანიურნი არიან თავისი აუკარგით, უყვართ ცხოვრება და კაცთა უოღისა და სოფლის ნაკლოვანებებსაც ატარებენ თავის თავში. ამიტომ ეუბნება მომკვდეფ შეშინის ჯოჯიკი: „ამერტხე შე და ცოლი ჩემი, მხვეალი შენი, და შეილი ჩემნი და მონა-მხვეალი ჩემნი და, თუ რამე შევკოდეფ ვითარცა კაცთა საწუთრობასათა და სოფლის მოყვარეთა...“ ეს სიტყვები ნიშანდობლივია ნაწარმოების გვირგეზი მტკი ნაწილასათვის.

გარდა ზემოთ განხილული ხასიათების განმასხვავებელ-ფერადოვანი ხატებისა, საველისხნოა, რომ მთელი თხზულების სამი მეოთხედი ცოცხალ დიალოგზე არის აგებული. ამ დიალოგებში ნათლად ჩანს თვითმთელი გვირგეზი

ობა და დამახასიათებელი ნიშანდობლივება. მხატვრულად გამართული დიალოგის მნიშვნელობითი ეანრის განეთაბტმანი: მამკლმას-ტატობის დონედ არის მიხნეული, როგორც რუსულ, ისე ევროპულ ლიტერატურისსკოლებში.

ნაწარმოებში მრავლად გვხვდება გამოილ დიალოგზე აგებული თხრობის დახვეწილი ნიმუში, რაც მეტყველებს, რომ მწერალი საკმაოდ საფუძვლიანი მხატვრული ტრადიციით არის განსწავლული და თვითონაც გამოცდილი შემოქმედია. ამ მხრივ ტრადიტია შეშინის გემო-წამებათა, ნაწივედელი შეშინისა და ხუცეის (ავტორის) შეხვედრის გადმოცემა და სხვ.

მალა პოეტურ გამომხატვრობას აღწევს პროზაიკობი ადვილ-მდებარობის საივის დახატვის დროს: „ემა ზაფხულისასა ცეცხლებრ შეწყული იგი მბერელებმა მისისა, ქარის ხორმაევი და წყალი მავნებელი, რაალის მკვიდრნიცა მის ადგილისანი სავესნი სენითა, წყლითა განსავეზულნი და გაყვითლებულნი, დაწრტილნი და დამწარნი და დამღერებულნი, ჩარადოვანი და პირ-შეივანი და დღემოკლედ ცხოვრებულნი“. ამ ციტატაში დასელოვებული შერჩევა ენათეტებისა, ლაქონერ ჩამოქნილ წინადადებათა ჩარჩოში მათი მოქცევა-მოთავსება შემოქმედების ბრწყინვალე ძალის ქმნის.

მოხდენილად არის გამოყენებული შეპირისპირების ხერხიც, რომლის საშეალებლითაც ლოგაურად შერტლ-გამლოვრებული მსკელიბანი ავტორის მიერ ორატორულ-პოლემიკური ხელოვნების სერიოზულ ცოდნასაც მეტყველებს. თუნდაც მხოლოდ ერთი მაგალითი გავიხსენოთ. ვარსკენის საყვედურზე:

— „შენ ჩემი ზატე დაამკეთ და სარკებელსა ჩემსა ნიკარი გარდაახს, და შენი ადგლი დიგბრევებეს, და მსხუად წარსრულ მარ...“ შეშინისკის მკვეთრი პასუხის მიგება:

— „არა თუ შე აღმეარათა ხატი იგი და შეშეა დეამკეთ, ხოლო მამამან შენმა აღმარტინისმარტულენ და ეკლესიანი აღმშენა, და შენ მამისა შენის საწყენი განსყუნენ და სხვად გარდააქციენ კეთილი მისის; მამამან შენმან წმინდანი შემოიხუნა სახიდ თსა, ხოლო შენ დეენი შემოიხუნენ, მან ღმერთი ცათად და ქვეყანისად აღიარა და პრშენა, ხოლო შენ ღმერთი კეშმარტი უვარა ჰყავ და ცეცხლსა თაყვანი ეც და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარაყავ ევრტა შე შენ შევრაცხევა“.

იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ სიტყვების გადამცემამაც კი თვით ავ და გულმკვა ვარსკენზე, რომ „მან განიწყო გული და იბედუნდა“. ასეთივე ზეგნით არის აგებული მომდევნო ნაწილში შეშინის სიტყვები: „უკა-



თუ შემძლებელ ხარ მეუღლარს აღდგინებად, პირველად დედა შენი აღდგინე რომელი ურს ღამარხელ არს, გარნა თუ მისავერ შემძლებელ ხარ აღდგინებად, ვერცა ჩემდა შემძლებელ ხარ ვანყვინებად, გარნა თბევით ვამთროო“.

ძლიერ მხატვრულ განმეორებებზეა ავტორული შეშინიყის მოხოლოვა: „განვისავენთ მე და ვარსქენ პიტიაში მუნ, სადა იგი არა არს თუალუბაა წინაშე მსაველისა მის მსაველთაასა და მეუფისა მის მეუფეთაასა, სადა არა არს რჩევაა მამაყისა და დედაყისაა, სადა მე და მან სწორი სოცკვაა ვქუთათ წინაშე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“. ეს ძლიერი ტემპის შემქმნელი განმეორებანი ღამაში მხატვრული მეტაფორებით იყრება: „შიაგოს მას უფალმან, ვითარ მან უფამოდ ნაყოფნი ჩემნი მოოსთუნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი ჩემი დააქუნო, შედენარებაა სიკეთისა ჩემისაა დაბნენა და დიდებაა ჩემი დაამდაბლა“.

საოცარი მხატვრული სისადავით, ხალხური ანდაზის ნაჭედობით არის გამოქნილი აფორიზმული-ბრძნული მოსაზრებანი, რომ ცხოვრება ველის ყუავილავით წარმავალი და დაუდგრომელია: „ესე ყოველი ცხოვრებაა ვითარცა ყუავილი ველთა წარმავალ არს და დაუდგრომელ“, ხოლო მეორე ნაწილი ამ წინადადებისა რუსთაველის ცნობილ აფორიზმთა წინაწარ გახმინების მიაგავს თითქოს: „ვინ სთესა — მოიჭო და ვინ განაბნია ვლახათათის — შეიყრება“.

შეზარს ეჭვრება მასობრივ-სახალხო სურათის მკაფიო აღდგენა-წარმოსახვა: ნაცემ-ნაგვეში, შემოფხრეწილ-შემოძარცველი, თმა-განჩილი, ფხვნიშველი, ძლივსძლივით შინავალი შეშინი... ღამდა-გინებით მის კვალში ცხენდაცხენ ჩამდგარი აფუია და პირაქრალი ვარსქენ... აარეულ-დარეული ურცხვი ბრბო მამაყათა და ქალთა, მოხუცთა და ყრმათა გოდებით, ოჭრა-ვეებით, სისხლისა და ცრემლის დენით ადევნებელი და ბოლოს გაავებულ-გამბორბებული გამგებლის მიერ დარბეულ-დამფრთხალ, პანიკით დაფანტული — მართლაც რომ უებრო ნიშნული მასობრივი სენის ცოცხლად ხატვისა.

თხზულებაზე დაკვირება უცილობელს ხდის, რომ მას უკვე აქვს სრულყოფილი მხატვრული-ლიტერატურული ნაწარმოების მრავალი ღირსება. ის ჩვენში იმთავითვე ისტორიული პროზის გზასაც კვლავს, რაკი მხატვრულად გვაძლევს ისტორიულ სინამდვილეს, გარემოს, პიროვნებებს. ამავე დროს მოთხრობილი ამბავი ურთიერთ თანმიმდევრობით ვითარდება, ამბავი ამბიდან გამომდინარეა, ერთმანეთს უკავშირდება, აღრმავებს და აგრძელებს სრული კანონზომიერებით. ყოველივე ამით „შეშინიყის წა-
10. „მითობა“ № 1.

მება“ სიუჟეტის გაშლის ისტატობასაც მტკიცე ბალავარს უყრის.

„წამებაა წმადისა შეშინიყისი... მთხრობისა საა“, როგორც ნამდვილი მხატვრული ლიტერატურის ძველი, არსებითად განსხვავდება მაგიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებთაგან, რაც თავის დროზე შეინიშნა კიდევ ჩვენს ლიტერატურისმიკოდნობაში: „მოთხრობის ბუნებრივი მიმდინარეობა, რომელმაც არ იცის არც თემისაგან მოულოდნელად გადახვევა მაგიოგრაფიული ენარის თხზულებებისა, არც გრძელი ტრაფარეტული ლოცვები და სასწაულთა აღწერილობანი, ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზი და მოხდენილი, ლაკონიკო ენა მოთხრობისა ამჟღავნებს ავტორის უფლო ლიტერატურულ ენარიანობას და მხატვრულ გემოვნებას“.¹



მეორე თხზულება, რომელსაც პართული მხატვრული პროზის განვითარებაში ეტაპური მნიშვნელობა აქვს არის „პარტიკილოზაა პაბონისა“. შერვე საუკუნის ამ ძველში შესანიშნავად არის ნაჩვენები პართული ხალხის მდგომარეობა არაბთა ბატონობის მძიმე პერიოდში და მოცემულია ფრიალ საგელისებში ცნობები ხანარების, ოსების და აფხაზეთის ცხოვრების შესახებ.

ნაწარმოებს აქვს დამოუკიდებლად გაფორმებული წინასიტყვაობა, რომელიც ორი წერილისაგან შესდგება და ნიშნულია ეპისტოლარული თხრობის გამოყენებისა. ამ წერილებით ავტორი გვამცნობს თხზულების შექმნის მიზეზს, რომ სამოელ ქართლის კათალიკოსმა იოანე სიბანიძესთან (მოავლინა) „წიგნი... ხელითა ხსართან მღვდლისა“, რომლითაც ავალებს და შთაგონებს „ქელ ყავ გამოთქმულად ს რ ლ ი ა დ კ ე შ მ ა რ ი ძ ა დ, ვ ი თ ა რ ი გ ი ი ე ლ და ვ ი თ ა რ ი ა შ ე ნ თ ვ თ უ წ ყ ი“ პაბოს წამება, საპასუხო ბარათში ავტორი თავის განცდებს, ფიქრსა და კრთომას გვამცნობს ამ დიდი და მძიმე საქმის ტვირთით გამოწვეულს. უკუთვ შიშის გამო ვერ იყისრება სამოელის ბრძანების აღსრულება — ურბოზაში ჩავთვლებოდა, ხოლო თუ შესდგომოდა პაბოს ცხოვრების აღწერას კანდიერება არ მოსვლიყო დიდი საქმის თავსდებით და რაკი ვიხსენებს ჭიანჭველის ამბავს ლირიული გულახდილობა-მოზოდიშებითა და თავმდაბლობით მიმართავს მკითხველს: „შეცა გულს-მოღვინე ვქმენ უქლიერქსისა ჩემსა აღებად“, რათა „ქემშარიტი და უტყუელი“ ამბავი გადმომცეა თვლადებული ადამიანისა.

მომთხრობელობითი ენარის ერთ-ერთ მაღალ

¹ კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ. ტ. I. გვ. 108, 1941 წ.

დონეზე მიუთითებს ამ ფაქტების თავებზე დაუფიქრო. ნაწარმოები ოთხი თავისაგან შედგება და თვითედ თავს აქვს მშვენივრად გამოკვეთილი ქვესათური, რომელშიც ჩანს ამა თუ იმ ნაწილის არსი და რაობა. მხატვრული ნაწარმოების გაფორმებას თავლასარისით ისიც საინტერესოა, რომ ამის წამებას (ზემოთ დასახელებულ წერტილის შემდეგ) თავთა დასახელება-სარჩევით კი ერთვის.

თხზულების პირველი თავი არის მხატვრული პროლოგის სრულფასოვანი ნიმუში და გამიზნულია მკითხველთა შთავგნება-გათვითონობიერებისათვის. ამ მაღალოსტატურად დაწერილი პროლოგის დანიშნულებაა შემხადოს მკითხველი და გადმოსაცემოსათხრობი ამბის წინაისტარია, შესაფერისი ვითარება, თანმხედრი გარემო დაუხატოს, სკანანად მხატვრული ფონი შექმნას და ამოცანა, მიზანდასახულება გააცნოს. ამიტომ არის, რომ ვახისტორიული წინათხრობის შემდეგ ამ თავში უფრო გამოკვეთილია ავტორის ღრიაველთა საუბარი მკითხველთან, რომელთაც სთხოვს, გარგველ ფიზიკურ სანმუნთა გარდა, გულისხურისა და გონების მომარჩვებას, დაძახვა-განწყობას ამბის ვაგება-გაზარბებისათვის („მომიპურენით საინონო გვე სასმენელი თქვენნი და უფროისლა საცნობელნი გვე უფრნი გულთა და გონების თქვენისანი, ვანმარტენით სმენად და მასმანელ გემნენით სიტყუათა ამით ნემთა“) და ჰპირდება, რომ ცუდად არ დაშვარბებან არც მოქმელი და არც ვამგონნი. თან საინტერესოა, რომ შწერალი უტყვ, პასიურ, მორჩილებით თავადრეკელ მისმენსა კი არ მოითხოვს მხოლოდ და მხოლოდ (როგორც ეს სასულიერო მოძღვრებათა დროს არის აუცილებელი), არამედ საჭიროებს მკითხველთა თუ მსმენელთა დაკვირვებულ, განმსჯელ, აქტიურ უყოლებას („...ყოველთაჲ ჩერ არს თქვენდაც დაკვრებულ ჩემთანა“).

თიანე საბანის-ძე ვანსჯა-შეგონებით გამსკვალულ ამავე პოეტურ პროლოგში აღრმავებს ნაწარმოების შექმნის ინდიკატორის საშუელ კათალიკოსის მიითთებას, რომ უტყუარი სიმარტელ უნდა ვიარჩიოთ და ამბავი ვადმოკვეთ კვითარ იგი იყო“, ენიადან შწერალმა მხოლოდ და მხოლოდ თავის თავზე დაურდნობით, თავის სუბიექტურ განცდაზე, გულისსიტყვისამებარ თვისისა“ არ უნდა აავგოს თხზულება, ზღაპარ-მოქორს გამოდვენებულმა „ქვესარტიბობოსაგან სასმენელი გარს [არ უნდა] მიიქციანე“. ვანსაკუთრებული სიმკვეთრით ჩამოყალიბებული ეს შემოქმედებითი მრწამსი პროზაიკოსმა იმტრომაც მოიპარეუ, რომ მის მოდვენებით ნაწარმოების ამოცანამიზნის, მისი გამოწვევი გარემო-ვითარების,

მნიშვნელობისა და დანიშნულების პირდაპირი გამსაზღვრა მოგვეცეს.

გულმართალი პატრიოტი „შწერალი“ ხედავს, რომ „სისისტრეებისაგან დასწერსკისსა“ მანქანებითა მით საკუთრებისათა, ზედამდგომელთა ამით ზუნეთა, მფლობელთა ამის ეამისათა... მზავლნი შეაცოტუნეს და ვარდადრიენეს“, ხალხის რწმენა და მამულისშვილობა მრავალრეცხონებით ძალანაჯარბმა გარემე ზემდგომელმა შეარყია და შწერენა. ადგილობრივი მკვიდრნი ნაირგვარი ხერხით „გადაგულარმენს“. ზოგი ძალდატანებით, ზოგი შეტყუებით, ზოგი ახალგაზრდული უმეტრებით, ზოგი მზაკვრობით, ხოლო რწმენისა და ქვეყნის ერთგულნი ყოველმხარე შევიწროებულ-დაზარულნი „შეკრულნი, ვითარცა რჩინთა“, მათი მძიმე ხარკისაგან „გუემულნი და ქენჯინლი“ „შომითა“ განილევინ და ირუევინ, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“ და მხოლოდ და მხოლოდ რწმენის დიდი სიყვარულით „ჩვეულებისამებარ მამულისა სტლისა, კითრა მითმინებითა“ არ ვადაუხვევენ თავისი ზხისაგან.

ასეთ დროსა და ვითარებაში ზედამდგომელ არაბთავანი დამონებულ-დაბეჩავებულთა, გამოცინად მომძლავრებული მტრის ვაგუნით ერთიანობა რღვეულთა მხარეზე დგება და ეს ცხადვე უცხადელს, უთვალსაზროსი მუგალით ამოსთვანეწირვისა დახელოვნებულმა შწერალმა გამოიუენა, რათა თვით ფაქტი, მოლიანად ნაწარმოების ამბავი, სიუეტური ვანეთარბეს შეპირისპირების საფუძველზე აეგო: ერთის მხრით მამაპაპის რწმენისა და ქვეყნისათვის „გადაგულარმინი“, დაზადებათვე ქართულნი და თვით შწობულთა რწმენის ერთგულნი კი შომითა ვანლულნი და ლერწამითი მრუეველნი, ხოლო მეორე მხრივ „პარველთაგარე“ (თავიდანვე) უტხო, ვალდებულ-გამთვინებულ ტომის შვილი არ ერადება სასტიკ ტანჯაწამებსა და „სიკვდილცა მზად არის“ ქართულთა სარწმუნოებისათვის. რა თქმა უნდა, თვით ამოს სახის ასეთ კონტრასტულ მდგომარეობაში, ასეთ გარემო-პირობებში, ისტორიულ-პოლიტიკურ ფონზე ჩვენება თავის თავად უყვე ჰქმნის ბარწინეველ შომავგონებულ ასოციაციას და ლტერატურის (არა მხოლოდ ქართული შწერლობისა) ამ პერიოდისათვის ამ ნაწარმოების გასაოცარ მაღალ ოსტატობაზე მიუთითებს.

ნაწარმოების ძირითადი, მომთხრობელობითი ნაწილია მეორე და მესამე თავები („ქართლად შემოსლუაჲ და ნათლისლუება წმიდისა მოწამისა ჰაბოასის“, „წაქება წმიდისა ჰაბოასის), რომლებშიც გამწლილია თხრობა ამბისა და მოკლევნებისათანე ჰრწყინველედ ახერხებს არა მარტი, ჩიედმეტ-თვრამეტი წლის განსწავლულ-გათვითონობიერებულ კიბეთს, მამათა და დე-

დით წმინდა „არაბელთა თესლი“, და-ძმებთ ბლადის აღზრდილი კოსმეტიკოსის თავს გა-
დაშხდარი დაწვრილებითი ასტორიის გადმოცე-
მა-დახატვას, მის სულს და გონიერებაში მომ-
ხდარი რადიკალური ძვრების სათანადო დამა-
ჭვრებლობით, ცხოვრებისეული რეალობით აღ-
წერა-ჩვენებას, ამ გარდასახვრების საპასუხო
ზომხდარ შედეგებსა და პერიპეტეიებს, არამედ
ამბავთა განვითარების შესაბამისად ვაძლევს
ყოფიერებას, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ,
საზოგადოებრივ გარემოთა სურათებსაც, რომ-
ელითა საფუძველზე შეითხველს ექმნება წარ-
მოდგენა მშობილელი ქართლის, აფხაზეთის, ხა-
ზართა და სხვათა კულტურული და ეკონომი-
ური ცხოვრების შესახებ.

ნაწარმოების ელემენტარული სიმაღლეა მესა-
მე თავი („წამება წმიდისა პაპოსის“). სწო-
რედ ამ ნაწარმში შედგენდება ამბის გაშლილი
თხრობის შედარებელი ხელოვნება: ამო-
ქრისტიანობის აღიარებისათვის შეიპყრეს და სა-
ბატმირიში ჩაავდეს. ხოლო რამდენიმე დღის
შემდეგ სტეფანოს ქართლის ერისთავის თხოვ-
რით ვაათავისუფლეს. მაგრამ „შემასმენელი“
არ ისვენებენ, „განრისხებულნი და აღბორცე-
ბულნი“ ეახლენ ახალ ამირას და ჩაავთეს სას-
ტიკად დედასა ამო, რათა მისი საყველი არ
გამხდარიყო სხვა არაბთა მიბაძვის მავალითაც.
ეს დაბეჭდვა ვიდაც ქრისტიანმა კაცმა მოისმინ-
ა და სწრაფად აცნობა ამოს, რომ მას ეძებენ
„ტანჯვად და გუემად“ და „შეაწერებდეს“ რო-
გორმე შოთრდიას-გადამალოს.

დილოგი ამოსა და ამირას შორის დახვე-
წილი პოლოგიური მგზნებარებით არის დაწე-
რული და ამ მხრივ საინტერესო ბოლო ეთხვე-
მიგება: „რამ ეგოდენი სიტყვებია გაქვს...“

საერთოდ ბრწყინვალე ლიტერატურული ხე-
ლოვნებით შექმნილ თხზულებაში ძველიც კა
შავალითხად გამოყოფა-გამოყოფილება ამა
თე იმ მხატვრული ხერხისა, მაგრამ ამოს მიერ
სასჯელის მიღების სტენა გასაოცარი დრამატუ-
ლი, სიმბატრის სურათისა, რომლის ბადალ შემ-
დგომი ხანის ლიტერატურაშიც კი ბევრი არ
დამიხებება: მგზნებარე რწმენით გაძლიერებული
ქმედის უნაქსენელი, შეტად მოსწრებული პა-
სუბით განრისხებულმა ამირამ უბრძანა „განყვ-
ნება მისი ჯარე და მოყუეთთა თუას მისისა“.
შსახურებმა ტარის უბოში შესხრეს ხელფებთა-
გან რკინის ხენდები, ხოლო ამომ თავისივე
ხელით მსწრაფლ შემოიფხრწა საშოსელი და
გამიშვლებულმა გადწერა ჯვარი სახესა და
სხეულზე, მადლობა შესსძენა სამებას წმინდ-
მორწმუნობისათვის ღირსად ცნობისა და ამის
ტქმისთანავე ხელები ზურგს უკან ჯვრის სახედ
გადაიქლო, „მხიარულითა პირითა და კახნიე-
რითა სულოთა“ შეუღალდა ქრისტეს „და მო-
უდრიაჲ ქელი თვისი მახვსა“. მთელი ეს ამ-
ბავი ძლიერი გრძნობით აღზნებული, დაუდუ-
ლარი ახალგაზრდა გმირის დანატყვრია სულის

უნატყვესი ცოდნით არის გადმოცემული და
ტოლს არ დაუდებს, რომელიც გზებავთ, დიდი
დრამატულ-სცენიური ხელოვნებით შექმნილ
ტრაგედული გმირის არც ერთ მარქმულბამო-
ნილოვს.

აქტორმა, როგორც კვლიეფიციერმა შემო-
ქმედმა, კარვად იცის, რომ იდეურ მოწინააღ-
დეგსთან ბრძოლა უმკაცრესი სასჯელთ არ
თავდება და სიყვდილის შემდეგაც უფრო
მძაფრ გაათორებას იწყებს: წამებულის გვამი
ფრემს დაუდეს და თვით დანთხელი სისხლის
წვეთებიც კი მიწიდან მთლიანად აფხიკეს, „აღ-
მთხზარეს ქვეყანი“, „და იგია შთადვეს
ქურქელსა შინა“; გაიტანეს ქალაქ გარეთ სა-
საფლაოზე („რომელსა საგოდებელ ეწოდებ-
ბის“), შემოუწყეს თვია და შეშა, გადასხეს
ჩავთი და კორონზე რაწევს, ასე ფერფლად
ქცეული სხეულისაგან შემორჩენილი ძვლების
ნარჩენებისაც კი ეშინათ ცოცხალთ და ცხვრის
ტყაში შეკრულ ძვლებს ღრმა წყალში ჰყრი-
ან...

და სწორედ აქ იჩენს თავს იოანე საბანის
ძის დახელოვნების ერთი მხარეც: მასობრივი
სიყენის ოსტატურად გადმოცემა; იმდენად დი-
დი ამოს თავგანწირვის შემოქმედება, რომ იმ
ადგილისაყენ, სადაც დამწვეს წამებულთა, ქალა-
ქის მცხოვრებთა მრავალიცოცხანი მასა და-
იძრა, ხალხმა დიფიფა შიში ძალუფლების
მყარობელთადმი, „მოხუცებული მიზნობდეს
კურთხებითა (უკაცრვებით — ფ. კ.) თვისითა,
მყოლობენი ელდობით, ეთარკა ირემნი, ჰა-
ბუენი სრბით, ყრმანი კლამით ურთიერთსა...“

ნაწარმოების ამ ძირითად მეორე-მესამე
თავში აშკარად იგრძნობა მხატვრული გამოჩინ-
გონის რადიკალური შერწყმა ნაწარმ-მომხდარ-
თან და თემცა საშოვლ ეპიკოპოსის დავალე-
ბისამებრ იოანე მხოლოდ აქეშმარტი და უტ-
უფელი“ ამბის გადმოცემას გვირდება, მაგრამ,
სწორედ ამბის სრული, შემოქმედებითად მარ-
თალი გამოსათვის ის აქეშმარტი და უტყუ-
ელ“ მხატვრული გამოჩინგონს უწინა-ერთთავს სა-
ერთო ვრეხილს ისე, რომ მკითხველი ოდნავ-
დაც არ შეიძლება დაეკედეს აქტორის, პირდა-
პირი ვაკვებით, სიმართლემიც კი: მხატვრული
გამოჩინგონის ასეთი შერწყმა უცეე შეტად მად-
ლი ლიტერატურული განვითარების შედეგად
შეიძლება მხოლოდ, როგორც აღიარებუ-
ლია თეორიულ ნაშრომებშიც. საინტე-
რესოა, რომ, სადაც კი თხრობის განვი-
თარებაში გადმოცემული ამბავი სხვა ვა-
რეშეთაგან შეიძლება სმენოდა მწერალს, იქვე
მიგვანიშნებს (შავ, „ვიეთმე“ ქრისტიანისაგან
დამბეზლებლების მოსმენა და ამოს ვაჭრთხი-
ლება).

ამოს წამების მეოთხე თავი ლირიკული ეპი-
ლოგის სასახელი ნიმუში და დახვეწილი, ყო-
ველმხრივ უბინჯოდ გამართული ხობტა-შესხმა,
რომელშიც უამრავი მხატვრული ხერხის მოხ-

დენილი გამოყენება ნაწარმოების ისედაც დიდ ღირსებას კიდევ უფრო მეტ ელფერს მატებს.

ზევრ სხვა ღირსებებთან ერთად იოანე საბანას ძან თხზულებაში ქვეშეპირტად კონტრეული ნაწარმოების ერთი უძვირფასესი თვისებაცაა გამოვლენილი: ეს არის ეპოქალურის, საზოგადოებრივის, არსებობის დანახვა და განზოგადების ხალასი უნარი. თუ რამდენად აშკარაა მწერლის ხედვის ფართო დიაპაზონი, მხოლოდ ის გარემოებაც კი ნათელყოფს, რომ ამოს მაგვარი თავგადასავალი, ე. ი. ნაწარმოების შესაქმნელად გამოყენებული ფაბულა უფრო აღრეული საუკუნის ძველშიც არის მოხმარებული, მაგრამ იქ ძირითადად მხოლოდ მიწა-მის ცეროთ ამბავს მიჰყავს ნაწარმოები, მაშინ როცა იოანე საბანას ძესთან სწორედ ცხოვრების მოვლენათა ღრმა თვალთ დანახვა-განალიზებისათვის არის არაქი გამოყენებული, რაც ეგრ კიდევ 1916 წელს შენიშნა აკად. ივ. ჯავახიშვილმა. მისი სიტყვით, „ცხოვრების ცეროთ მოვლენებში მან (იოანე საბანასძემ) საზოგადო მნიშვნელოვანი გაცემოება შენიშნა და დანიხა.“¹ ეს თვისება, თუ საგანგებო ნიშნებზეა იმდენად უფრო დასაფასებელია, რომ ეხლაც კი უმეტესობას ამის ძალი და უნარი არ შესწევს.“²



ამჟამად დაწვროლებით ვერ შეგვარდებოთ რა მრავალ ღირსეულ პროზაულ ნაწარმოებზე, აღენიშნავთ მხოლოდ, რომ „ცხრა ყრმა კოლაღეთა მარტვილობა“ დრამატული ამბის შემცველი, ბრწყინვალე ისტატობით დაშუშავებული ნოველის ნიმუშია, რომლის თუნდაც ერთი უაღრესად დაძაბული ამბავი დღესაც თვით კაცთაგან განკადრ, უგრძობლობის ვხანე შემდგარი ადამიანსაც კი ცრყოლას მოკვდრის: „მამინ უღმართოთა მათ შობელთა მათთა ვანუბთქნეს თაენი მათნი და განტუნეს იგინი. გუელთა და იქიდნეთა, ასპიტთა და მქვეთა იციან წყალობაა შეილთა, ხოლო ამათ უშჯოლოთა არა ყვენს წყალობაა შეილთა მათთათეს და სიმრავლემან ერისამან დაკრიბეს ქება ვიდრემდის აღავსეს ქნარც იგი და დაფარეს ქებითა წმიდანი იგი გუამნი მათნი და მიწა იგი აღმოთხრილი მოასხეს ზედა კერძო მათსა“. შობელთაგან ბორიტად ვანწორული ცხრა კოლაღე ყმაწვილის ასეთი საშინელება უცნობაა ეტრობა საოცარი ლაქონერობით გაღმრავცა.

ასვე ველსატყენია „სერაპიონ ზარზუმელის ცხოვრების“ ამჟამად გამოტოვება, ვინიდან მასში, როგორც აღიარებულია, გვაქვს, უბუნ-

რი სურათი მაშინდელი სამცხის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ვითარებისა, ცდოდალური საზოგადოების დრეკარული და საქმიანობა, სოციალურ ძალია ურთიერთობა, განწყობილება და სხვა).

ძველ ქართულ მწერლობაში განსაკუთრებულ უფრადღებას იპყრობს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, როგორც პროზის განვითარების მაღალი საფეხური. მასში სრულად ვარკვეულად გვაქვს არსებითად რომანის ყველა ბრიითადი, მამართიფილებელი ნიშნითვისება.

უბირეველს აყოფისა, ამ თხზულების თანადროულ-ისტორიული ხედვა, ტიპური გამოხატვა ქვეყნის, იმ დროის გულისთქმისა და მისწრაფებისა არის დასახან-დისაფასებელი. ქართველი ხალხის მიერ ეროვნული მთლიანობის აღიარება, ამ გრძნობის დიდი რწმუნა, როგორც ქვეყნის აღმავლობა-განმტკიცების უმოთგრესი პირობისა, სხვა და სხვა კუთხეთა შემქიდროება, ურთიერთდაკავშირების აუცილებლობა გახდა გრიგოლ ხანძთელის ეპოქის ნიშნდობლივი და ტიპიურ-დამახასიათებელი სულისკვეთება. ეროვნული ერთიანობის შეგრძნობა, მისი სასოცოლბო მნიშვნელობა ხალხისა და ქვეყნისათვის, ეროვნულ-პოლიტიკური სახელმწიფოს შექმნა იქცა ეპოქის მასულდგმელებელ, მორგანინიზებელ-წარმმართავ ამოცანად და მისი განხორციელებისათვის ბძაოლა ამ პერიოდის მთავარი ისტორიული მაჯისცემაა. რაც ქართული ლიტერატურის არსებით, უმთავრეს ძალიად, მის მასულდგმელებელ იდეად დარჩა ბოლომდის და თითქმის მთელი ჩვენი მწერლობა (თანამედროვეობამდე) ზომ ძირითადში სწორედ ეროვნული ერთიანობის, ეროვნული გაძლიერება-განმტკიცების გულისტკივილს დასტრიალებს.

გიორგი შერჩელის ნაწარმოებში სწორედ ეს ქვეყნის განმამტკიცებელი იდეა, მასზე ზრუნვა და საქმიანობა აელენს ადამიანთა შეობა. თხზულების გმირთა მოქმედება-მისწრაფებაში, მათ ინდივიდუალურ ქცევაში, მათ შეხედულუბებსა და გულისთქმაში აშკარად ჩანს დროის ეპოქალური მოთხოვნა, იგრძნობა მაჯისცემა და ენტუზიაზმი იმ საუკუნისა, როდესაც იდეა ეროვნული ერთიანობისა საფუძვლიანად არის გლვეივებული როგორც საერო, ისე საეკლესიო ყოფაში. დასაბამი ამ მოქმედებას სწორედ ტოკლარჩეთში მიეცა. ეს მხარე გახდა იმ დროინდელი საქართველოს პოლიტიკური და კულტურულ-საზოგადოებრივი არსებობის ცხოველყოფელ ბერჯად.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ წარმოადგენს შესანიშნავ მხატვრულ „დიდ ტილოს“. „ეპოქალურ ძველს“ (3. ინგოროყვა), რომლის მიხედვითაც სახელმწიფოებრივ-ეკონომიერ მომლაგებლსთან ერთად იმ ხანად ქვეყნის სულოერ სიმტკიცესაც უყრება საფუძველი. დიდი სამონასტრო კოლონიების გაშლილი მშენებლო-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. I ნაწ., ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1916, გვ. 13.
² იქვე, გვ. 19.

მა მერხელის მიერ ნაჩვენებია როგორც იდეოლოგიური კულტურული აღმავლობის მძლავრი სტიმული. აქვე საკანგებოდ უნდა გამოვყოთ და წინასწარ შევნიშნოთ, რომ თხზულებაში ასახული ტაძარი-მონასტრების აღმშენებელთა ცხოვრება ნაჩვენებია, როგორც ლეწლი და შრომა მოქმედი აღმამაინების. ისინი მხოლოდ პასიურად ლოცვა-მარხებში დაუდებულნი კი არ არიან (და საინტერესოა, რომ ეს მხარე სრულიად უმნიშვნელოდაც კი აქვს ნაჩვენები), არამედ დაძაბულ შრომაში ჩაბმულნი.

თეთი მთავარი გვირის გრიგოლ ხანძთელის დიდხანს ქაზმითელად, ფერხობიანიად სიტყვებულს ავტორი მის შრომისმოყვარეობას უყვარს. გრიგოლმა „ას და ორისა წლისა ემთა მიაწია. ხოლო ფერი პირისა მისისაჲ არა იცვალა, არცა შეეშინებოდა თვალთა მისთა მრუმედ-მხედველობაჲ, კორცითა ძლიერი იყო და რამდენი უძღურებდა სიტყვილიაჲდ არა იბოვა მისთანა“. ყოველივე ამას არა მხოლოდ ღვთის წყალობას მიაწერს ავტორი, არამედ მას რომ „შრომაჲ დიდად უყვარდა არა ხოლო ლოცვისა და მარხვისაჲ ოდენ, არამედ დღე და ღამე ხელითა თვისითა იქმნოდა (გვ. 147.)

სამონასტრო მშენებლის დიდი ენთუზიასტი თანამოძვევსაც ვარჩისმოყვარეობით არჩევს. მას არ უნდა მცონარე, მხოლოდ და მხოლოდ ღვთის მსახურებით დაჩაივებული იდამიანი: „მამაჲ გრიგოლ არაეის უღებთაგანსა (ესე არს მცონარებით მოქმედი“ — საბა) შეიწყნარებდა“, და ეს იმიტომ, რომ მხოლოდ ზელდაკრებელი ყოფნა, მხოლოდ მარჯობის წერა და ფსალმუნების წარმოთქმა კი არ იყო საკმარისი, არამედ შრომა-ჯაფა და დაძაბული საქმიანობა, თვითქმედობა. ამ სოფლიურ ცხოვრებას ვარიღებულთა უხდებდა ბუნების სასტიკ დაბრკოლებათა დაძლევა-გადალახვა. აი როგორია აღწერილი ნაწარმოებში შემოიღე თავში მათი საქმიანობა: „და იწყეს საქმედ სენაკებისათვის ქუეყნისა დაეკებალ, რამეთუ კლმ იგი ხანძითისაჲ უფიცხელს არს უფროსს ყოველთა მთა კლარქეთის უდაბნოთა“. მათ სათანადო იარაღებიც კი არა აქვთ „და შრომითა დიდითა ქმნეს ადგილი იგი, რამეთუ არა აქუნდა მთა ცელი და წერაჲ ალცა სხვა ევევითარა საქმარა“.

საინტერესოა, რომ ბერ-მონაზვნები დაჩაივებულ-დაფიტულნი კი არ არიან, არამედ ბრვე ვაეკაცი, ახოვანი და შემშრატებელნიც, „უბუენი) სახელოვანი“. თვით გრიგოლი რაეი გადაწყვეტს ბერად დაუღლებას სხვა აუცილებელ თვისებებთან თუ ჩვევებთან ერთად სხეულს ატანობა-გამძლეობისათვისაც ვერტონის. მან იცის, რომ განდგომილ განურისხველობასა და კაცმოყვარეობასთან ერთად აუცილებელია უმოგობა და „ქუეყანასა (მიწაზე) ზედა წოლასა, გინა თუ ზეგლობით ძილსაც იყოს შეჩვეული“.

ასეთი ფიზიკურ-სულიერად გაუტეხელი, გამოწრთობილი და მედგრებს დედებულნი ამ ქვეყნის ძალაუფლება მოსილინი ყოველმხრივ ანგარიშს უწყვენ, კრიდებთან, ეკრძალებთან. ეკონომიურად ძლიერნი, სახელმწიფოს მმართველნი შინარევი მოწიწებნი მათი წმინდა მამების წინაშე და როცა კი მათი შობისსიბერება ხდება უკან იხევენ და თმობენ. მეფენაც კი ვერ ახერხებენ მათ მიმართ გამგებელად დარჩენენ და „ყოვლად ძლიერი სიწმინდით“ დრკებთან.

იმდენად გავორზობულნი არიან სასულიერო მამა-დედანი, რომ თვით სახელოვან მეომრებსა და რაინდ მეფეებს მოწიწებისა, კლემამოსილების ნაცვლად შევეთრად, მკეახეთა და ვანრისხებითაც კი ეპასუხებიან, პირში ებმინ. კარგათა გრძობენ რომ ქედღერეკი მმრძანებულნი მათ წინაშე ძრწიან და თავის ვაეკაცობას პეარგავენ: ახსავთის მეფე დემეტრემ შეიფარა გრიგოლისაგან ფარულად გამოპარული ბერები და როცა გრიგოლმა „დევენა უყო“ — მოინდომა არ გაეცა შეერდომილი, მაგრამ ნეტარი მამაჲ მეფის პასუხსა „განარისხნა“ და სწრაფად დაამოზინა კიდეც. ასევე კიდნიერად ექცევა აშობ უძღვევლს ასპიტი თებრიონიც და იმდენად მკეახეა მისი პასუხსა, რომ ბუშბერსანი ვაეკაცი, მეფე-მეომარი გულშეუღებელი ურეთ ამოიგმინებეს: „ნეტარ მას კაცსა ვინ არლარა ცოცხალ არსო“ (სხვათა შორის, გვირის ბოლმა-ვარამის ასეთი სრულყოფილი ლაქონერობით, სულ ერთ ფრაზაში ჩამოყვება მხატვრული სიტყვის ყველა დილოკტას შემერდებოდა).

სასულიერონი თავსებით არაეის უფროსად, დამორჩილება-მოზობრების ღირსად არა სცნობენ საკეთარ მოძღვართა ვარდა. უბრალო ბერიც კი არაფრად ავდებს მეფის ეპისტოლეს და არ ეახლება მას, უფრო მეტიც, სრულიად ანგარიშგაუწყველად. დუროიდებლად განუმარტაჲ თავის საქვარს და ქიქრად დაასვენის: „აქ სიტყვითა ძმისა და მოძღვრისა ჩუენისა გრიგოლისითა მოვედ წინაშე შენსა“.

ფრიად საინტერესოა, რომ ძლევაშობილი მხოლოდ და მხოლოდ შორიდებითა და სიყვარულით, სულიერი პატივისცემით კი არ არაა გამსჭვალული ბერ-მონაზონთა მიმართ, არამედ იეტორი დაუფრავად გავმცნობს, რომ შიშის ზარი აქვთ მათი და ამის გამო ძაბუნდებიან, ზეამდგარნი ევებებთან მთა მოსკლას, შორჩილყოფენ მთა ნებას. დემეტრე მეფე წინაევებება გრიგოლის მოსკლას არა მხოლოდ ეთიკისა და რაინდული ზრდილობა-გაწრთებლობის გამო, არამედ იმიტომაც, რომ „რამეთუ ზარა აქდა“.

ასევე აშობიც და სხვანიც უფლებამოსილნი იმასღა ევედრებიან, რომ მათთვის ილოცონ და ერთად-ერთი ის დარჩენიან შემარიგებელი, სამოყვარო, შესათანხმებელი გზა ეძებონ განდგომილ-დაუღლებულებთან. სამსახური, თანაზრახვა

და ყოველმხრივი ხელის შეწყობა შესთავაზონ მათ.

ავტორი თითქოს გრძნობს, რომ საქართველოში გადამარბებული მხარის: სულიერ-ხორციელის შეხამება-დაკავშირება და გაბრუნებულ დაფარულს პირთა ასეთ მოსახრებას აყალიბებს: „აჲ ჩვენთანა არს ქართველი კეთილი და თქვენთანა არს სულიერი კეთილი და ესე შევზავნეთ ერთობას“ (სხვათა შორის ეს დებულება, სულიერ-ხორციელის ურთიერთ შეზავებისა, ქართულმა მწერლობამ, ყრბოდ რომანში, შემდეგში კიდევ უფრო გააღრმავა). მერჩხლის მიმართ იმ საუბრებში ორი უკიდურესების შერწყმისა და გაშუალდება-გაერთიანების საქართვეობის აღიარება-მიხედვრაც კი უსათუოდ პროგრესული მოვლენაა.

მწერალი ტიპიურ-ლოგიკური სიმატლით ძვრწავს ნაწარმოების გმირებსა და გარემოს. თითქმის ყველა ბერად წესული „საინიოთისა კაცისა“ შეიღნი არიან. მათ აქვთ შესაძლებლობა ხორციელი (ამ ქვეყნიურად) დიდებით დატყნენ, ნეტარებას მიეცენ სოფლისასა. თვით შთავარი გმირი ვრიგოლ ხანძთელი ძე არის წარჩინებულ დიდებულთა, ნერსე ერისთავის სასახლეში საკეთარი შამილის — ნერსეს შეუღლის აღზრდილი. ბაღობიდანვე გამოზრდილი საღმრთო მსახურებისა და განსწავლულობისათვის, სინორჩითვე შეერგია მარბევასა და თავშეკავების („ღვიწთა და ქობრი აბა შექდა პარსა მისსა“), ერთდებოდა ყრბათა ვართობა-შექცევებს, ბაღში არ ერიდებოდა და სიმატრეველი მუდმივად მყოფს თავიდანვე დაუღლებული შეერქვა ელვც.

ერთდელი განსაცვიფრებელი კონსიმიერების იჩენს სწავლისადმი. ის იმთავითვე მშვენიერად გაიწაფა საკალობლებსა და სალოცაებში, დაიხეობრა სამომღერო-საღმრთო წიგნებში, დღევლად მრავალ უცხო ენას, რათა მისი ცოდნა ღრმა და საღებელიანი ყოფილიყო. განათლების დაწავლებული ჭებუი არ ემყოფილებდა მხოლოდ სასულიერო თხზულებათა განსწავლა-დაზებირებით, არამედ ფილოსოფიასაც და თანაც „ამის სოფლისა (საერო) ფილოსოფოსთა“ („ხოლო სობრძმცეა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ ისწავა კეთილად“. წინა ფრაზაში „სწავლაჲ საეღლისაჲ“ ლამაზი) სობრძმცეა დაზებირებით, მტკიცედა და აზრანად თვისებს, „რომელი პოვის სიტყვაჲ (აზრი) კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჯერკუალი განადგის“.

ასეთი დიდი განათლებისა და გონიერების აბღგარბამ სრულყოფილების სახელი ჰპოვა ყველს შორის. ამავე დროს ის იყო უებრო ორატორი, მადლიან-მართლიანი სიტყვა ჰქონდა და მვერბმეტყველების წესებს ბრწყინვალედ ჰღლობდა. ყოველივე ამ დიდგონიერება-განსწავლულობასთან, ცოდნა-ნიჭიერების ზრდასთან ერთად მისი სათნოებაც მატულობდა. როგორც

ქაბუცი ის არ იყო იმაყი და ამპარტავანი, საკმელ-სასმელთა, გულისთქმათა მრწყნრულთა. მებრალე გულისა და სადა, უბნძნსუნდამს მწნარაჲ ქვევისა და კეთილისყოფელი გონების („მოწყალემან გონებითა“) აღმამანი თავიდანვე ფაქრი სულისცვეთებით ჩავონებულ-გაწაფული, ბუნებრივად, შეუღრეკელი მებრბოლი იქნებოდა საქრისტიანო მორალისა და კანონმდებლობისა. ასეთი ხასიათის, ბაღობიდანვე გამოზრდილი ვრიგოლი, რომელსაც სისხლსა და ძვალ-რბილში შეწოვილ-ჩაშქდარი ჰქონდა მამა-პაპათა რწმენა და რომელსაც დაბადებულად, ერთი წუთითაც კი არ ეცხობდა ქრისტიანული ღოგმების ვარეშე, არ ესუნთქვა სხვაგვარი ცხოვრებით, სხვა საწყაროთი, გონების თვლით არ განეცდა და დეანახა ყოფა ვარეშე სულიერი უბიწოებისა, რომლისთვისაც არც კი არსებობდა მის ვარდა არაფერი და რომელსაც წვეთიც კი არ შეეცვა დაშთირობელი ნუქტარი სიცოცხლის ბანგნარევი შარბათისა — ცხაღზე ცხადია, არაყის არ შეიწყნარებდა, არაყის არ დაუთმობდა (როგორც საეროს ისე სასულიეროს) თუნდაც მცირეოდენ შეცოდება-შერყევას „მუდმივი ცხოვრების“ გზაზე.

ტიპის გამართული, მხატვრულად დასაბუთებული, შინაგანი საწყაროს, მისა ბუნების ღრმა და დეტალური, ლოგიკურად გააზრებულ-გამოთენებული სახის გამოძერწვა გვირგვინდება ვარეშანი პორტრეტის ლამიდარული, პირდაპირ დახელოვნებული მოქანდაკისათვის შესაშურებელი მოქნილობითა და სიღუნწით ჩამოკვეთით: მაღალი, ბრვე მოყვანილობის, წარბოსადევე შესახედაობის, გამხდარი (თხელ-თხელი, პირთხელი), ტანით სრული, პარშიონელი, ყოვლად კეთილი, სრულიად სწორი ნავთოებით (ყოველ მხრვე კარვე), მთელი სხეულით, აღნაგობით ჩანმრთელი კაცი უბიწოების განსახიერება იყო.

ხასიათისა და შინაგან-გარეგანი პორტრეტის ამგვარი განფენილი, მრავალმეტყველი, სრულდასოვანი ზატვა (სრულიად უზვეულ სასულიერო წიგნებისათვის, რომელზეშიც კანონმდებელი, სტატუტური კონსტიტუირება შთავარი და არა აღმამანის მთელი, სრული არსებისა და რაობის, მისი შეობის ვაღმოცემა) არ იყის არა მარტო იმ პერიოდის, არამედ მომდღენი, მახლობელ საუბრენეთა ვერობის არცერთმა მწერლობამ, და ამგვარი დაოსტატებელი, ფიციერ-სულიერად მონოლითური ხასიათის ჩამოყალიბების შემდგურბალისტერ-მხატვრულ სიძლიერეს იჩენს საწირბოების მსველელობაში გაშლილი სიუქეტი.

მეთხველისათვის სრული რამაჭერებლობით არის აღსაესე გაუტეხელი მოამავის, მშენებელ-დამფუნებლის, მოქმედ-მოღვაწის, ორგანიზატორისა და შთამწერგავის, შემგონებულ-მსყავრმდებლის, მომღერისა და წინამძღოლის, ქვეყნის იღვერ-შორბული ერთიანობისათვის ფანატრ-

ერად თეადიდული ადამიანის ყოველგვარი ქცევა თუ სიტყვა და მოქმედება.

„ცხოვრება გრივოლ ხანძელისაის“ აქვს რთული ეპიური თხზულებისათვის ნიშნდობილი წიადსელები. თხრობის ამგვარი გადატან-გადანაცლება მონორთერობის სამიშროებას აცილებს ნაწარმოებს და ნაირფეროვან, ზიგზა-გოვან მსვლელობას აძლევს მის. მწერალი არ ამყოფილდება ერთხანად (პირდაპირ თანმიმდევრული) თხრობით, რაც დიდი ტყუადობისა და დიადიზონის პროზაულ (და სასაერთოდ ეპიური) ქმნილებისათვის საჭიარისი არ არის და ხშირად შეუბრუნდება, ვახსენებს აღწერილი სიტუაციის წინასწარ შემთხვევებსა თუ მოვლენებს. სიუჟეტური წყობის ნაირფეროვნება არაერთარ შემთხვევაში არ ასტეტებს და რა თქმა უნდა, არ ნიშნავს დაბუღარული მთლიანობის დარღვევას. ეს არის ჩვეულებრივი, ბუნებრივი-ანონიერი, შემდგომი საუკუნეების შემოქმედებითი პრაქტიკით დადასტურებული თვისება და მხოლოდ გიორგი მერჩულის მოსაწონ დახელოვნებაზე მეტყველებს.

ნიქიერ მწერალს თავისუფლად ეგებება შეთხვევის გულისყური დაპყრობილ-დაძაბული პქონდის და თანდათანობით თხრობას ადრეული ამბები ჩურთოს, თავი დააღწიოს სიყულისო წიგნებში ვაბატონებულ და ზელოვანისათვის სამიშ პრაბიტიულობას ამბის ვაშლამი. როდესაც ამბის მსვლელობაში განხუ გადას თხრობა, ანდა საჭიროა წინანდელი რამის გახსენება, ავტორი ხშირად ასეთ ფრაზას ურთავს თანამიმდევრობას: „აქ პირველსა სიტყვასა მივიდეთ“, ან „ხოლო პირველსავე სიტყვასა მივიდეთ“

გიორგი მერჩულე, როგორც თვითონაც უაღრესად დაჟინული მწერალი ნაწარმოების მთავარი ეპიოსი, გრივოლ ხანძელის, პოეტურ-შემოქმედებით ნიქიერებას შეიცნობს და მის მხატვრულ სიტყვას პატივს სცემს. იგი გრივოლის ლტერატურულ ღვაწლსაც არ ივიწყებს და რაც მთავარია, მისი წერის ოსტატობაზე ამბვილებს მკითხველის ყურადღებას. შესანიშნავი მწერმეტყველი და ორატორულ ხელოვნებას დიდფლებული გრივოლი (როგორც დასაწყის თავებში ვეაუწყა მწერალმა) თურმე წერამიც ტკბილი მოთხარა ყოფილა, მის მიერ შემთხვეული იადი-გარის „სიტყვანი ფრიად კეთილ ირანი“. (გვ. 125) და რა თქმა უნდა ასეთი ალლოიანი ავტორი თვითონაც „ფრიად კეთილი“ სიტყვის მქონეა. თხზულებაში უამრავია მეტაფორები, ეპითეტები და შედარებანი, რომლებიც ისე ბუნებრივად არიან ჩატეხილ-ჩაწუნლნი მსვლელობაში, რომ არსად არ იგრძნობა ამა თუ იმ მხატვრული სახის ან ფრაზის სიმსუყე-სიმსუყეოლე და ზიზილ-პიბილური ელვარება. მერჩულმა რომ ვეითხარას გრივოლის ენერჯიულობისა და მუდმივი ქმედითობით არა მარტო მის მიერვე დაარსებული

მონისტრები მტკიცდებოდა, არამედ მთელი კლარჯეთი მისი ვინიერებითა და აზრონობით იყო მოცული, ასეთ ჩუქურთმასაში მერჩულსა და ორგანულად მწერწყმულ-მეტაფორას ახარატებს: „და ამის მიერ არა მხოლოდ თუ მონასტერნი მისნი განმტკიცდებოდეს, არამედ სიბრძნისა მისისა მდინარეთაგან ირწყოდეს ყოველნი უდაბნონი კლარჯეთისანი“. (გვ. 125).

მერჩულმა იცის ამბის გაშლილი, სრული მომცველობითა და დეტალურობით გადმოცემა. რომანისათვის საჭირო ეპიური სიფართო აგებული მის თხზულებაში ცალკეული ნაწილების, ჭკვისუვეტთა აწყობილი, ბოლოდის დამთავრებული და გამოვეთილი ხატვის დამადასტურებელი უამრავი ადგილებია. ავტორის შემეინებრად ეგებება საერთო თხრობაში ჩართოს პატარა-პატარა ამბები, რაც მოქმედ პირებს გარდაბნობით და ამ შემთხვევათა აღწერა-გადმოცემაში იგი გველინება ვასაოცარ ოსტატად ლამიადარული, შერული თხრობისა. ხშირად ნოველის სტილით ანაგები იგავარჯის სიმოკლის მქონე ამგვარი სურათები მთლიანი ნაწარმოების სიუჟეტური ქარვის ორიგინალურ-ბუნებრივი და აუცილებელი ნაწილებია, მაგრამ ამავე დროს, ყველა მთავანი დამოკიდებული სისრულის მქონეც არის, რაც მერჩულის მრავლისმეტყველ დახელოვნებას ადასტურებს.

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ამ ცალკეულ პატარა-პატარა მონაკვეთებში ავტორი უმეტეს ნაწილად ჩვეულებრივ ადამიანურ ბუნებასა და მერყევ ხასიათებს ხატავს, რაც მხატვრულ ნაწარმოებს რეალისტურ ძალას აძლევს: მართალია, ხალხი და განსაკუთრებით დიდგვაროვანი შიშითაც კი არიან გამსქეპულიანი სრული მამათობი, მაგრამ მწერალი ვარძობს, რომ ცხოვრების მოხვევა, გამდიდრება, საკეთარი შეძლების მიკერძობებული სიყვარული ბერკერადამიანს უკადრის საქციელსაც კი ჩააღწენებს.

მწერალმა გვიჩვენა, რომ სულერ მამათავან ყველა (ან უფრო უკეთ რომ ვთქვათ უმეტესობა) არ არის მონური მორჩილების მქონე. უფრო მეტიც, ხშირად მათ შორის პირიქელი სურვილების უკიდურესი გამოშხატელებიც არიან და ანგარება-განდიდების ისეთი აწყონი, რომ „ყოფილ“ „საწუთრომასა და სოფლის მოყვარე“ ერისკაცებსაც კი დასქარბებენ ხოლმე და მათივე ხელისშეწყობითა და თანაზიარებით მოქმედებენ, დიდფერად იბრძვიან განდიდებისათვის.

ფრიად საგულისხმოა, რომ მწერალი, მიუხედავად სასულიეროთა გულმხტვალე სიყვარულისა, არ ჩქმალავს და სისტემატურად გვიჩვენებს კიდევ მათი ყოფის (ისევე, როგორც საეკლესიო) მწიკრი, ვასაკიბ მხარეებს და მოვლენებს. რეალურა ცხოვრების უარყოფით ამბავთა პირუთენელი, ასეთი სისასხით გადმოფენა

და მით მხატვრული მსყაერის დადება მერჩულის თხზულების რომანისათვის ნიშანდობლივი სინამდვილის სრულსახიანი და მრავალმხრივი ხატვის დიდი უნარი და შესაძლებლობაა.

ნაწარმოებში მოთხრობილი ამბავი საინტერესოა ყოფითი დეტალების, ხასიათების გადმოცემითაც: როდესაც ეპისკოპოსთა და მეუღლანოეთა ანგწმონა უშედეგოდ გაკინურდა, ერთმანეთს მამამ გრიგოლის გამოჩენა-და მიიჩნია იმედად და ის უღანოს ვარსკვლავს შეადარა. მაშინ ერთმან ვინმე ეპისკოპოსმან სილაღით თქვა... იგი ოდენ არსა ვარსკვლავი მნათობი? —ო. ამ ადგილის კახვის დროს ტპიურად ცოცხლდება სერათი მხარტული, საღაღობო წმობამბლებით აფერადებული მშფოთავარ შეკრებულობისა, რომელსაც ჩვეულებრივ ყოფით იერს აძლევს ამგვარი ორონიული რებლებების ბუნებრივი ჩართვა. და თავდაპირალი ზომიერი იუმორი ნაწარმოებისა ხომ უნიჭიერეს შემოქმედთა ეუთინლებაა მხოლოდ!

სათვგადისავლო და ამავ დროს დიდექტინ-ტრომორალური ხასიათის დახვეწილი ამბავია მატოსა და ქერდთა შემთხვევა: მერეს მახლობლად მყოფმა მატომ შეიტყო ქერდების განზრახვა და წინასწარ, დღისითვე დაამზადა მათთვის საჭმელი. ღამე მოსულ მპარაევებს მატომ შესთავაზა პური და ტბილად ურჩია სობოროტის, ვნების ჩაუდენად მიეღოთ საჭირო საზრდო. ამ ფაქტის გადმოცემის დროს ავტორი არც იმ სოციალურ მანკიერებას მალავს, რომ ქერდობა-მპარავობა ორგანიზებულოც კი იყო და ამ „ღამის ოსტატებს“ თავისი მომუშეანი-წინამძლოლიც ჰყავდათ.

განსაკუთრებული რელიეფურობით არის მოთხრობილი ანგარებიაანი, განდიდების მოყვარული ცქირის ამბავი. ცქირმა ისარგებლა რა საპაე ამირის (რომელიც აშორტ კერაპალატთან შუამავლად აგზავნიდა ხოლმე) მხარდაჭერით, ანჩის საყდრის ეპისკოპოსობა მოითხოვა და ამ „უეყოფრმან“ „მძლავრებით დაიპყრა“ ეს ადგილი. იმდენი აუვის მტერითველა ცქირი, რომ ავტორის სიტყვით მათი მოხსენება-აღწერა არც კი შეიძლება („...ამას წიგნსა შინა არავერ არს შთაწერად ყოველი“), მისი ურწმუნეობა-სიხარბე მრავალჯერ ამხილეს წმინდა მამებმა და, მით შორის, ყველაზე მეტად კი — გრიგოლმა. ცქირმა იუკადრისა ასეთი შეგონება-განსჯა მისი საქციელისა და იქამდის შევიდა, რომ ღვთის მოსაეცი ეპისკოპოსი, მამა სამწესოსი და სულოერი მოძღვარი კაცის მველელსა ქირაობს არა სასურველი ადამიანის მოსაშორებლად, ცქირის პიროვნებაში იმდენად დიდია უფლებამოსილებისათვის, განდიდებისათვის ბრძოლა-ჭიდილის ენის, რომ მან ღვთის შიშაც კი დათრგენა და „ამპარტავნებისაგან ძლელღმან“ ფართლად იხმო ბრავეცი, თავხედი, ურცხვი და გლახა-

კი, მაგრამ კარგი მოისარე (ისარმტყოცნელი) ანგლო ერის კაცი, დაპირდა წმინტბრე ტუტტის, ხუთი თხის მიცემას, ოღონდ კმა ვტრქრლ მანამთელი მოყელა (მერჩულე ამ დეტალით ამ ხანის ერთ სერიოზულ ჩრდილსაც გვიჩვენებს: იყენენ თავზეხელაღებული ადამიანები, რომელთა გონებრივ-წიფითიერი მდგომარეობა ისეთია, რომ მტერიყოლის სასაყდლისათვის კაცისმველულობასაც კი ესრულობდნენ).

თუ რამდენად ნიშანდობლივია და ძლიერი ძალის მქონეა ცქირი (და ასეთი ცქირები მხოლოდდა ერთეულები, უმნიშვნელონი რომ ყოფილიყვნენ, ავტორი ამდენ ადგილს არ დაუთმობდა, რადგან ძალიან ხშირად თხრობის გაკინურების შიშით ერადება უველოდრის მოხსენება-გადმოცემას და ამის შესახებ გვაფრთხილებს კიდევ), მეტყველებს ის ვარემოებაც, რომ მისდაგვარ მედროვეთა ასალავმავად, მისეუფლებების შესაყევად საჭირო ხდება მეფის, კათალიკოსისა და ყოვლად სამღვდლოთა მეუღლანოეთა გაერთიანებული ბრძოლა.

კაცთა ცუდუნებების, მათი მრავალუნებრიობის, მრავალსახიანობის, ქვენა-უარყოფით თვისებათა დახატვით მერჩულე არ მისდევს სასულიერო-საეკლესიო ნაწარმოებთა კანონმდებელ გზას, რომელთა მიხედვითაც ადამიანები ერთსახეზნად არიან ნაჩვენები და დღგატური ცნებების რუბორებასა წარმოადგენენ.

ვიორგი მერჩულის თხზულებაში ბრწყინვალედ არის გამოყენებული ეპისტოლარული თხრობის ხერხიც. თავი VII მთლიანად წებრონის მიერ გრიგოლთან ვაგზავნილი წერილია, ხოლო მომდგენთ თავი კი — მისი პასუხი.

უფრო მეტიც, ავტორის ნაწარმოებში შეაგეს გრიგოლთან მისი მოწაფეების მიერ იერუსალიდან გამოგზავნილი წერილიც სრულიად უცვლელი სახით, რაც ყოველმხრივ უცილობელი და სრულყოფილი ეპისტოლარული ხერხის დახვეწილი ნიმუშია. იი რას გვემცნობს მერჩულე ამ პარათის გვემოუტანლობა პირველწყაროლის შესახებ: „რომელთაგან მოწერილ იყო ესე ეპისტოლმ მამისა გრიგოლის წინაშე, იერუსალიშმით ხანთად მოწვეული პირველვე მოსული იმ ხანად, იმ დროსვე — ფ. კ.). ხოლო მე აწ შთავეწერი წიგნსა ამას შინა მოწვეული ესე მათი შეუცვალელებლად ყოველი (თავი LXII, გვ. 142, ხაზგასმა ჩემია — ფ. კ.).

ვიორგი მერჩულე უშელოდ მომწერეთაგან ნაამბობ-გაღმონაცემბსაც ურთავს ხშირად. მაგ. LXIII თავში ასეთი ფრაზით იწყებს კონკრეტული ამბის თხრობას: „არამეთუ ოპიზლო ბერი ერთი იცხუოდა“.

კვალიფიცირობული მწერალი გამომსაიციმი ამბის თხრობას ისეთი სიზუსტით, ისეთი დეტალური თანმიმდევრობით ახერხებს, რომ მკითხველს ცოცხლად, მთელი სიცხადით აღუდგება თვალწინ რეალისტის ფუნჯით შესრულებული

სცენა. ამ მხრივ მერჩულე თვით სასულერო პირთა ქცევა-ურთიერთობაში, მათ მოქმედებათა ხატვაშიც კი დახელოვნებული ოსტატის სიმალღვრე ჩივება. უაღრესად დეტალურობის, ამბის სისრულით ხატვის უმაღლო მაგალითთა ცნობილი სცენა გრიგოლის მიერ შეფის სტრუქტურის წაყვანისა და მერვს ფებრონიასთვის ჩაბარებისა.

ნაწარმოებში გვაქვს სიზმრის მაღალმატერული განცდა-აღწერა (XXXIX თავში); მართალია, ავტორი მას ჩვენებას უწოდებს, მაგრამ უსათუოდ საფუძვლისმებელია სიზმარი, ვინაიდან თვითსადაც დაგვიჩვენა და ანატოლე (რომელსაც ანტონიოს უწოდეს) დაუფლებელმა ჩვენებად იბილეს „შუაღამეს ოდენ“;

„ცხოვრებამ გრიგოლ ხანათელისაში“ გვაქვს ავტორის ლირიკული კომენტარი, ჩარვეა-განმარტება თხრობის მსვლელობაში. ერთგან მწერალი შიშობს, რომ თხრობა ზედმეტად არ გავფრთხილდეს (მთავარი თემიდან არ ვაღაუბვოს, ზედმეტად არ დატვირთოს იგი), ამიტომ გვაფრთხილებს, ამხავი მცირედ (მოკლედ) ვასხენო-ესე მცირედი ვაქსენე სამთა მათ წმიდითა, თეოდორეშსა, ქრისტეფორეშსა, და საბან იშხნელისა ცხოვრებამ ამით, რამეთუ ფრთად განგრძობამ იქმნებოდა საქმეთა მათამა სრულიად აღწერითა ქუმარტობად“ (გვ. 24). აქედან გარკვევით ჩანს, რომ მწერალი ფლობს თხრობის რთულ უნარს და შესაფერის დროს ამოკლებამიტარებს ვადმოსაცემ ამბავს, რათა უამრავ უროველნარ ცნობებში არ ვალხვეს, მათში არ განიზნეს მთავარი, არ შეასუსტოს ძირითადი და ნაწარმოების სთვეტურტი დერძი არ გააზრდოს.

რომანში მკაფიოდ არის ნაჩვენები ეკონომიური ვითარებაც, მწერალი გვაშცნობს, რომ მონასტრების მშენებლობა უდიდეს ჯაფასა, სახარებასა და ენერჯიას მოითხოვდა არა მარტო ბერ-მონაზონებისაგან. მისი განმარტებით ქართველსა და კირს აღამაინათა ზურტად მალან შორიდან, ძნელად სავალი გზებით ეზიდებიან და სასწორით სწონიან ყოველივეს, ვინაიდან ნაყიდი აქვს მშენებლებს: „ხოლო ქვედა და კირთი ფრიად შორით მოაქუნდა ძნელთა მათ გზათა კაცთა ზურგითა და ურველი სასწორითა იწონებოდდა, რამეთუ იყიდდეს მამუნებელი იგი“ (გვ. 121).

ნაწარმოებში მაღალ მხატვრული სიძლიერით გადმოცემულ ბუნების სურათებს მკითხველი აღიქვამს, როგორც ავტორის ესთეტიკური გემოვნების, მისი მგრძნობელობა-სინატიფის შედეგს და ამავდროს, ამ აღწერა-შესხმებში ბუნებადამოუკიდებელი რაობის იერს იქნეს. მერჩულის ამ მხატვრულ ნაჭიერებას თუ ბუნებით გატაცებას აკად. ივ. ჯავახიშვილიც აღნიშნავდა (ოსტ. წყ. და მიხანი. 1916 წ. გვ. 52).

გიორგი მერჩულე სიზმარული გადმოცემის იმ პერიოდის სასულერო ცხოვრების სიმკაცრე-

სისასტიკესაც. მან დაუფარაველ გვაშცნო, რომ თვით მისი სათაყვანო გრიგოლ ხანათელე მკვლევარების დაშნერგავი იყო და შეატყდა ეტყუდუ დაჯდა მონასტრის მშებს ხორციელ-აღამაინერ ცხოვრებას. გრიგოლის მიერ შემოღებული სამონასტრო კანონები „ფიცხელი იყო ფრიად“; „ენავებში მხოლოდ და მხოლოდ „იყო მცირეშ სარეველი და შეურაცხი საგებელი და თითომ საწყელი წყლისათვის. ხოლო სხვა ნეგეშისსაცემელი კორკთამ არა აქუნდა საქამადისა და სასუნადისა ყოველადე-ირამედ რომელი ტრამბა ზედა ერთამაშად ჰამინ, მით იყო ცხოვრებამ მათი“ (გვ. 113), სადგომ-საცხოვრებლებს არა ჰქონდა საკემური, ვინაიდან ცეცხლი არ ენთებოდა ვასათობაშ. ხოლო დამე სინთლის შუქიც კი ზედმეტად იყო მიზნეული.

საერთოდ, სასულერო მამანი დაუნდობლად სდევნიან ყოველგვარ სითამამე-თავისუფლებას და თავკამოდებით იცავენ იდეური ცხოვრების შეუღწველობა-შეუღწორებლობას. აი როგორ განმარტებას აძლევენ ეპისკოპოსნი მეფის კითხვას — აქვს თუ არა უფლება ერისკაცს, თენდაც „წიანთა საღმრთოთათა მეცნიერსა და ენიდათა წერათლსა“. იერუსალიშსა, ან სხვა წმინდათა ადგილებს მოვილილს ნანახი რამე კეთილი წესი ქრისტიანობის შესაფერისი და ზვეწი უცნობი, ანდა წმინდა წიანთაგან ვაიგოს, შეისმინოს და უცოდინარ ხალხს ასწავლდესო (ხოც არ არის მეფის ამ კითხვანი პირდაპირი დადასტურება, რომ იმ პერიოდში უკვე იყვნენ ისეთი მეცნიერნი, ფართო ერუდიციის მქონე და მრავალ ქვეყანა მოვილილი, ვანსწავლელი აღამაინები, რომლებიც ცდილობდნენ განესრულებინათ, შეესწორებინათ და შეეკეთებინათ დაკანონებული დოგმებ. მომდევნო საუკუნეში ხომ ამ ამბავმა უძლიერესი მობრახობა და მკვერმეტყველური გამომხატულება მხოვო დიდებულ მთაზრთვეთა და ფილოსოფიურ სკოლათა სახით).

ეპისკოპოსები მოიშველიებენ პოეტურ თქმას „ტვირთი განწესებული ცყოფიან ნავსა უაუეთუ დამუშიმო, დაინთქას და უუეთუთ სუბეჭად იყოს, ქართა და დღევათა წარბაციონ“ და ამტიკებენ, რომ წესი ქრისტიანობისა, რომელიც ჩვენს ქვეყანაშია დადგენილ-დამტკიცებული არ საპირობებს არავითარ ცვლილებას, რადგან „ღმერთი დაჭერბული არს“ და ამისათვის თავშდებობასაც კი იძლევიან. მათი დაბევეთებითა მოთხოვნით ვინც ამ დადგენილ კანონებს მტკიცედ შესარტლებს და „სიტყვით ვაქრობდეს“ არ აღწყებს („არა სიტყვით ვაქრობდეს“) ამ ქვეყანაზედაც ასწილად მიიღებს და სამუდამო ცხოვრებასაც დაიმკვიდრებსო.

თავიანთ შეურყვევლ დებულებებს ისინი ამგვარი სიმამფრით აყალიბებენ; თუ ერისკაცმა ახალი რამ წესი შეიცნოს უმკობესია დადუმდეს. და თუ დუმული ვერ შესწლას, თვითონ

კი არ უნდა უქადაგოს ერს, არამედ თავის ებს-კოპოს აუწყოს და თუ საჭიროდ დაინახეს ის ასწავლის სამწყსოს. მაგრამ თუ მაინც „სილა-ლით წარმდებობდეს („უოველაღვე მისგან უქნე-ლი და უგზო და არა იყოს საქმე, მისი მოქმე-დი“ (შდ. მეტიზაარ, საბა, 432). ერის-კაცი იგი და ერისა ახლად სხუასა წესსა დაუდებდეს“. სას-ტრეი სისყელი მოყლის. ამ განმარტებით ჩანს შტაკეუ ხელით შეზღუდვა იდეური ცხოვრებისა.

საგულისხმობა, რომ თვით ეს უკანასკნელიც კი, რაც ერთი შეხედვით სქოლასტიზმისა და არაბუნებრივი დოგმატიზმის გამოხატულებად შეიძლება მოგვეჩვენოს, ისევე და ისევე რომან-ს მორაგებულებელი სულსცევითებით არის ნაწრ-თობი. მწერალი გვიჩვენებს ეპოქალურ კემში-რიტებას, რომ სახელმწიფოებრივი სიმტკიცისა და მონოლითრობისათვის აუცილებელია არა მარტო აღმშენებლობა-აღმშენებლობა, არამედ იდეოლოგიური საფუძვლების გაძლიერება და დაცვა.

შას კარგად ესმის, რომ ქვეყნის სულიერ-იდეური ცხოვრების სადავეები არ შეიძლება ზე-ლიდან ხელში გადადიოდეს და ყველასავე ად-ვილ შესახები იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის სრულიად იოლად მოდუნდება და აბლართ-დაიხლართება. ამ განმარტებითაც კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ნაწარმოებებში ყველაფერი ასხველ-აყვსილია ეროვნული ერთიანობის, სა-ხელმწიფოებრივი შემოშტაკეუბა-შემოშტაკეუ-ლობის მისწრაფებით...

როდესაც „გრაგოლ ხანძელს“, ისევე რო-გორც ადრეული ეპოქების სხვა ქართულ მხატ-ვრულ ძეგლებს, განვიხილავთ, მალევე შეხედ-ლობაში გვაქვს ის აღიარებულ-დადასტურებუ-ლი კრიტიკიზმები, რაც პროზის, და საერთოდ ლიტერატურის, განსაკუთრებულ დონეზე არის მიხინული, რაც ყველაზე ურთულესი ეანრის აუცილებელ გამაბრძნებლად არის მიღებული.

ამ სრულ მოთხოვნათა მიხედვით ძველი ქარ-თული ლიტერატურის ადრეული ნაწარმოებები ნირშეუცვლელ სიმაღლესა და სიღაღეს ინარ-ჩუნებენ. მათში პროზის განვითარების მაღალი ეტაპისათვის ნიშანდობლივი ყველა თვისება ისე-თი რეალდფერობით არის გამოხატული, რომ თვით უადრეს სკვპტორეფისაც კი იძლეობულ ქუთს შებლი გაიხსნან.

მოთხოვნილობითი ეანრის (როგორც ამ ბოლო დროს ზმარობენ რუსულ და ვეროპულ ლიტერატურისმცოდნეობაში), საგანგებო მიღწე-ვად არის აღიარებული ადამიანის პირად გან-ცდათა, ცხოვრების სინამდვილის სიმართლეთ ჩვენება, მწერლის მიერ მოხმარებული ფაქტის გამოყენებაში შემოქმედებითი მიდგომა; ფორ-მის თვალსაზრისით კომპოზიციური გამართუ-ლობა, დიალოგის გამოყვეთა, ლირიული ჩარე-ვა-კომენტარები, ბუნებისა და საერთოდ კონკ-რეტული გარემოს ასახვა და სხვა.

ხოლო უფრო შემდგომი ეპოქებისა და გან-საკუთრებულად განსრულებულნი ქართული სა-ღვთისმეტყველების შინაგან-გარეგანი პროტრე-ტის გამოყვეთა, მისი მისწრაფება-სურვილების თანადროულობასთან ურთიერთობა და ამ ად-ამიანის ხსისათვის, ბუნების ტიპიურობა-ნიშან-დობლიობა თავისი კატეგორიის წრისათვის; ჩვენება საზოგადოების, დროის მასვლადგმულე-ბელი ამოცანისა და ეპოქის სახის, სულსცევითე-ბისა და პროფილის გამოყვეთა, არა მხოლოდ ზოგადი, არამედ კონკრეტული დეტალებითაც.

როგორც ნაწარმოებთა ამ თვალსაზრისით ანალიზის დროს გარკვევით გამოჩნდა, მეხუთე საუკუნისავე ქართულ თხზულებათა ბევრი რამ ისეთია, რაც ვეროპულ ლიტერატურაში მხო-ლოდ შვიდასი-რვაასი წლის შემდეგ შეიჩინება. „წამება წმიდისა შუშანიისა“ ავტორის ლი-რიკულ თხრობაზეა აგებული და ეს პირველი პირით ამბის ჩამოყალიბება-გადმოცემა წერი-ლის ფორმაშია ასხველი (ამ უკანასკნელ გარე-მოებას აკად. ფ. ჯავახიშვილი მიაქვია ყურად-ღება, „წერილის სახე აქვსო“). თავისთავად პი-რველი პირით თხრობა ხომ საჩინდო რომანე-ბის წამყვანი ხერხია.

გმირის ცხოვრების დროისა და ეპოქის ტი-პიურ-ნიშანდობლივი ეთარტებით არის განსაზ-ღურულ-გამაბრძნებელი და რაც მეტად მნიშვნე-ლოვანია, ამ პერიოდის დიდი ტყველი (ისტო-რიული სიმაართე) ოქაბური კონფლიქტის პრი-ზმაშია გამოსხივებული. ეს უკანასკნელი (ოქაბუ-რი ტრაგედიის მიხედვით ადამიანის ცხოვრების ჩვენება და მითუმეტეს საზოგადოებრივ-საქ-ვეყნისთან დაკავშირება) მნიშვნელოვანი ეტაპურ მოვლენად ბევრად გვიანდელი ვეროპული ლი-ტერატურის განვითარებაში.

„შუშანიის წამებაშივე“ ყოფიერების რეა-ლურ კიდე-განის დასახატავად ამბის გაშლი-ლა, სრულსახოვანი თხრობა, ბრწყინვალედ გა-მართული დიალოგები (რომლებშიც გმირთა ინდივიდუალური სახე განმასხვავებელი კოლო-რიტულობით არის ნაფერი), უადრესად შევეთრ დეტალებისა და მეორეხარისხოვან პერსონაჟთა შერბილების გამოყვეთა, ბუნების პოეტურად ხატ-ვა, მარტივანი მხატვრული ენა და ყოველივე ამას გარდა, თუ საუკუნეთა უბედობა არ მოპ-ვევითა დასასრულსა და საგარეოდ დასაწყისი (ან წინა) ნაწილებს (რითაც, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, გმირთა მთელი ცხოვრება გვექნებო-და დაბადებიდან ბოლომდის), მაშინ ჩვენი ლიტერატურის ამ ძველის სულ სხვაგვარი, უფ-რო ფართო მასშტაბის შესახებ შეიძლება საუბარი.

ქართული ლიტერატურის პირვანდელ ნაწარ-მოებებში თვალნათელია ადამიანის ინდივიდუა-ლური თავგადაბუნების განზოგადოების, კერ-ძო შემთხვევის, ტიპიურ სიმაღლემდის აყვანის ოსტატობა, კემშირიტების, ამბისა და მოვლენის

უტყუარობის არა მარტო შემოქმედებითად განხორციელება, არამედ თეორიულად მისი გამოკვეთილი დაცვა დაწამოყალიბება; მომხიბლველია გმირის დაძაბული მოქმედება-მონოლოგის ურთიერ-მერწყემა და მისი წარმოსახველობითი ხერხეცება („პაბოს წაშება“); მასობრივი სცენის სრული სურათუნებით ჩვენება („შეშინაი“ „პაბო“, „კრივილი ხანძელი“); თხრობის სრულად სხვადასხვაგვარი ხასიათისა და სტილის საოცრად განსხვავებული შეფარდება ნაწარმოების ამა თუ იმ ნაწილის კონკრეტული ამოცანისათვის.

მდროინდელი ცხოვრების მრავალ მანკერებათა დანახვა (კარბერისტობა, ორპირობა-მლაქველობა, დესპოტიზმი, ანგარება, ორგანიზებული შარაგობა, მოქროთაგა-მოსყიდვით, ძალის გამოყენებით თანამდებობის ძეგბა თვით სასულიერო მამათა შორის, კაცის ქველვითა დაქირავება პირადი შერისძიებისათვის და სხვა მრავალი) — უდავოსა და უეჭველს ხდის ჩვენ შიერ განხილული თხზულებების კუშმარტად რეალისტური მომკველობის არესა, სიფართოვსა და სიღრმეს.

ურაყოფით მხარეთა შეუფარავ-შეუფარავად ჩვენება იქამდის მიდის, რომ მწერალი კი არ აიდეალებენ სასულიეროთა ყოფასა და სახეებს (როგორც ხშირად ისმის ზოლზე მათ მიმართ), არამედ გარდა ეკლესიის მსახურათა თუ სასულიერო მამათა მრავალი ხინვის გამოტანა-გამომშვურებისა, არც იმას ვრიდებიან გაეგვავებინონ, რომ ბეგრეჭერ და ბეგრეგან ისინი არასასურველნი იყვნენ და ხალხი, ცდილობს მათი მძიმე მტრუნველობისაგან თავი დაიხლევოს („ცხოვრება სერაპიონ ზარზველისა“—ში დაბა-წისქვილის სამყო იდეილის მოსახლენი „ეთიპარკა კოფნი“ აგზნებულნი ეკეთებთან წმინდა მამებს, ხოლო მონადირენი „გარე-უკრ-მოაკვეცვენტის მახლობელ ადგილებიდან და უგზო-უგალ ზღვისპირისაკენ გადსაქვეწენ).

განსაკუთრებული მნიშვნელობის მარც სასულიერო და საერო ხელისუფალთა ურთიერთ დიდი დაძაბულობისა და ძალა-ზეგავადუნისათვის სერაპიონული ჰიდილის ჩვენება; გაბატონებულ უკრებათა შორის სოციალური შეპირისპირება-ქიშვი ჰქმნიდა შინაგან წინააღმდეგობას ერის ცხოვრებაში და სწორედ ამ დაძაბულობათა განმუხტვა, რომელიც დავით აღმაშენებელმა მოახდინა, ბუნებრივ-ლოგიკური შედეგი იყო იმ ადრეულ საუკუნეებში ჩაბუდებული შუღლისა და მხატვრულ ნაწარმოებებში ამ შოცლენის სერაპიონულობის დანახვა ეტოროთ სოციალურ სიმახვილეზე მიუთითებს უსაულოდ.

ასევე სოციალური ზედგაა ნაწარმოების გმირათა, მათი პიროვნების ვარკვეულ საზოგადოე-

ბასთან მიმართებაში ჩვენებაც, რაც ამ ხანის ქართულ მწერლობას, მის შიერ მოქმედ ტიპებს ასე ახასიათებთ (ყველაზე უფრო სისრულით ეს გრიგოლ ხანძელის სახეში გამოვლინდა).

ყოველივე ამის გამო ეს თხზულებანი სცილდება სასულიერო დაცვითი ფარგლებს (როგორც უმეტეს წილად მათ შესახებ არის მიღებული) და იმ მხატვრულ სიშფიფეს იძენს, რომლითაც ობიექტური, შინაგანი შემოქმედებითი ხედვა მალა აღის და გაცილებით უფრო ფართო მიწნებს ასრულებს, გაუთვალისწინებელ შედეგებს აღწევს, ვიდრე ეს „შემკვეთი“ სოციალური წრისა, თუ გარემოს (ზოგჯერ თვით ავტორის) სურვილი იქნებოდა.

ობიექტური სინამდვილის იმ დროისათვის აგვარი დანახვა მით უფრო დასაფასებელია, რომ XII საუკუნის თვით ფრანგული რომანიც კი ზოგად, ცალმხრივ წარმოდგენას იძლევა მამინდელ ცხოვრებაზე. როგორც მკვლევარი ბიერ დეკი წერს: „ჩვენ გამოგვიძღვეს ყურები მტკიცებით, რომ ჩვენი წინაპრები შუა საუკუნეების ეპოქაში მხოლოდ-და იმას აცეთებდნენ, რომ მულს იყრიდნენ ღმერთის წინაშე, გრძობდნენ შიშს გამოუცნობი საშუაროსადში... შუა საუკუნეების ასეთი სახე ყალიბდება XII ს. პირობული რომანების კითხვის დროს“ (გვ. 32).

და როდენ მცირეა ჩვენ შიერ განხილულ ე. წ. „წმიდათა თავგადასავლის იღურაში“ აგიორგადიულ თხზულებებში, სწორედ ღვთისადმი მუხლმოყრის ეს სცენები. როდენ უმნიშვნელი ადგილი უთმობენ სტენებულ მწერლებს ვეგმალ-ლოკითა რიტუალებს. თვით მოწამეთა სწელისათვის განსაცდელიც კი ყოველთვის ყოფისა და გარემოს საშუალებით არის მოცემული და პირწმინდად, უშუალოდ „წმინდანური“. მხოლოდ ელემენტის, ანდა გარე საბურველის, გარე ფორმის სახით თუ აქვთ. ეს ზოგადი ხასიათის საფარველი ნაწარმოებთა მთავარ ღირსებებთან შედარებით მეტად მქარია.

დროის მაჯისცემის, იმ პერიოდის, ქვეყნისა თუ საზოგადოების პელსის შეცნობა, გმირის (აღმთიანის) ქმედება-ცხოვრებით დაინტერესება ჩვენი მწერლობის პატევისადები და ღირსსაცნობით თვისებაა. ამხანად ცნობილი პირველი ქართული მხატვრული თხზულებანი პირობის განვითარების მალად დონეს ავლენენ და რომანის ძირითად ნიშნებს ოსტატურად ამორციელებენ.

პირველი ქართული ორიგინალური რომანის შექმნა განპირობა საქართველოში ეროვნული ერთიანობის, ეროვნული სიმტკიცე-სიმლიერის, ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდში. მის დამალულამებულ სელისკვეთებად სწორედ ეს ერთიანობის, ეროვნულ სიდიადის გრძნობა და მისწრაფება იქცა.

პახანა პახანაძე

შოთა რუსთაველის იურიდიული შეხედულებები

შოთა რუსთაველის იურიდიული შეხედულებები მიზნად ისახავს ფეოდალური საქართველოს წინაშე მდგარი ახალი სოციალ-ეკონომიური ამოცანების განსაზოგადოებლად მეფის ხელისუფლების მიერ არჩეული მეთოდებისა და ზერხების გამართლებასა და დასაბუთებას. მაგრამ, ამავე დროს, „ვეფხისტყაოსანში“ რუსთაველის მიერ წამოყენებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეები ჰუმანურობისა და პროგრესულობის მიხედვით სცილდება ფეოდალიზმის ეპოქას და ზოგადსაკაცობრიო ხასიათით რენესანსის იდეოლოგიას უკავშირდება.

შოთა რუსთაველის მიერ „ვეფხისტყაოსანში“ დასმულ ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების საკითხთა შორის ფართო ადგილი აქვს დათმობილი სახელმწიფოებრივ და სამართლებრივ ინსტიტუტებს — კლასობრივი საზოგადოების ყველაზე აქტუალურ და მნიშვნელოვან პრობლემებს. ფეოდალური საქართველოს სამართლის არსის შესასწავლად რუსთაველის სამართლებრივ შეხედულებათა სისტემაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლიანობისა და ბრალის ცნებებს.

დასაყრდენ ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, შოთა საუკუნეების პერიოდში, რუსთაველის მიერ სამართლებრივი პრობლემების ჰუმანიზმის პრინციპების მიხედვით გადაჭრა, ცხადყოფს XI—XII საუკუნეების ქართული იურიდიული აზროვნების საკმაოდ მაღალ დონეს. აღორძინებისა და პროგრესის გზაზე დამდგარი ფეოდალური საქართველოს დიდი სახელმწიფო მოღვაწე შო-

თა რუსთაველი შესანიშნავად იცნობს ქართული სამართლებრივი აზროვნების მიღწევებს და დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის მიერ შემუშავებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გარდაქმნათა პროექტებით გათვალისწინებულ პროგრესული შინაარსის სამართლებრივ იდეებსა და დაწესებულებებს. ფეოდალური თვითნებობისა და ძალადობის ბატონობის პერიოდში შოთა რუსთაველი მოითხოვს მართლმსაჯულების განხორციელების დროს მხოლოდ ბრალისა და სამართლიანობის პროგრესული პრინციპებით ხელმძღვანელობას. რითაც იგი აღორძინების ეპოქის იურიდიული აზროვნების ერთ-ერთ ფუძემდებლად გვევლინება.

„ვეფხისტყაოსანში“ დაზასიათებული იდეალური საზოგადოებრივი ურთიერთობების არსებობისას რუსთაველი გადაჭრით უარყოფს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას და მოითხოვს პასუხისმგებლობის საფუძვლების განსაზღვრას არა ობიექტური შერაცხვის პრინციპის მიხედვით, არამედ ბრალისა და სამართლიანობის (კანონიერების) მიხედვით. „ვეფხისტყაოსანის“ სიუჟეტის განვითარებისას პოემის მთავარი გმირების მოქმედებათა იურიდიულ შეფასებას ყოველთვის საფუძვლად უდევს ბრალის ცნება.

XI-XII საუკუნეების ქართული სამართლის ისტორიაში ბრალის ცნება სრულყოფილად არ არის დადგენილი. ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული ბრალის ფორმები, ბრალის ცნების თეორიული საფუძვლები და ამ ცნების მოცულობა. ჩვენამდე მოღწეული მცირე-



რიცხოვანი სამართლის ძეგლები არ იძლევა ბრალის ცნებასთან დაკავშირებული შემოთაღნიშნული საკითხების ვარკვევის შესაძლებლობას. საქმეს ართულებს ისიც, რომ ქართული სამართლის ისტორიკოსები ბრალის ზოგადი ცნების დადგენას ახდენენ სამართლებრივი ძეგლების მიხედვით, ე. ი. მხოლოდ იმ გარემოებების მიხედვით, რომლებიც დადგენილია სამართლებრივი ნორმებით. ფეოდალურ საქართველოში ბრალის ცნების ამგვარი განსაზღვრისას ისინი, ცხადია, გამოდიან ბრალის თანამედროვე გაგებიდან, კერძოდ, იქიდან, რომ თანამედროვე სამართალში ბრალი ყოველთვის მხოლოდ სამართლებრივი ნორმების მიერ დადგენილ გარემოებებთან არის დაკავშირებული. ამგვარი მიდგომა საკითხისადმი სრულებით ვერ გვაძლევს წარმოდგენას ფეოდალურ სამართალში ბრალის ცნების შინაარსზე.

„ვეფხისტყაოსანი“ ის ძეგლია, რომელიც ცოცხალი სამართლებრივი ურთიერთობის მაგალითზე საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ფეოდალური სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის — ბრალის თეორიული საფუძვლები. „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტურ წინააღმდეგობათა განვითარების პროცესში რუსთაველი გვაძლევს მთავარ გმირთა მოქმედებების იურიდიულ შეფასებასაც, საიდანაც აშკარად ჩანს ის კრიტერიუმი, რომლითაც ხელმძღვანელობდა პოემის ავტორი „ვეფხისტყაოსანში“ დახასიათებული საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტების იურიდიული ნიშნების დადგენისას.

ამ თვალსაზრისით, XI-XII საუკუნეების ქართული სამართლის ისტორიაში ბრალის ზოგადი ცნების დასადგენად „ვეფხისტყაოსანს“ შედარებით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ფეოდალური ეპოქის რომელიმე სამართლებრივ ძეგლს. ამ მოსაზრების პარადოქსულობას საფუძველს აცლის ფ. ენგელსის მითითება იმის შესახებ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საზოგადოებრი-

ვი ცხოვრების კონკრეტული საკითხების კვლევისას გენიალურ მსატრეტელს წაწარმოებს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ამ საკითხებისადმი მიძღვნილ სპეციალურ შრომებს. ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ „აღამიანურ კომედი-აში“ ბალზაცმა „... თავი მოუყარა ფრანგული საზოგადოების მთელ ისტორიას, საიდანაც... უფრო მეტი გავიგე, ვიდრე ამ პერიოდის ყველა სპეციალისტის — ისტორიკოსების, ეკონომისტების, სტატისტიკოსების, წიგნებიდან, ყველა ერთად აღებული“.¹

„ვეფხისტყაოსანიდან“ ნათლად ჩანს, რომ XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში უკვე იცნობენ ბრალის ცნებას და იგი მიაჩნიათ პასუხისმგებლობის საფუძველად. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ გაურკვეველია, რას გულისხმობს ფეოდალურ საქართველოში ბრალის ცნება, კერძოდ, რომელი სოციალური ნორმებით არის დადგენილი ის გარემოებები, რომლებიც განსაზღვრავენ პასუხისმგებლობის საფუძველებს ფეოდალურ საქართველოში. ფეოდალურ საქართველოში ბრალის ცნების მეცნიერულ განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა აქვს „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა მოქმედებების შეფასებისა და პოემის დღემდე გაუგებარი ბევრი ადგილის განმარტებისათვის.

„ვეფხისტყაოსნისადმი“ მიძღვნილ კრიტიკულ შრომებში, რომლებიც მიზნად ისახავენ პოემის სიუჟეტურ წინააღმდეგობათა ახსნას და ნაწარმოების მთავარ გმირთა მოქმედებების იურიდიულ და მორალურ შეფასებას, დღემდე სრულიად აუხსნელია და თეორიულად დაუსაბუთებელი ნესტანისა და ტარიელის დამოკიდებულება ზვარაზმშას შვილისადმი. რუსთველოლოგია დიდხანია დაინტერესებულია „ვეფხისტყაოსნის“ იმ ადგილით, სადაც ნათქვამია, რომ პოემის დადებითმა მოქმედმა

¹ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, თბილისი, 1949, გვ. 447.

გმირმა ტარიელმა, ნესტანის წაქეზებით და შთავგონებით, მიპარვით მოკლა მისთვის სრულიად უცნობი, ერთი შეხედვით, უდანამართლო ხვარაზშშას შვილი. განსაკუთრებით ართულებს საკითხს ის გარემოება, რომ რუსთაველი მთლიანად თანაუგრძნობს ნესტანსა და ტარიელს და სამართლიანად თვლის მათ მოქმედებას, მიმართულს ხვარაზშშას შვილისადმი.

„ვეფხისტყაოსანი“ ცხადყოფს, რომ რუსთაველს ტარიელისა და ნესტანის მოქმედება მიაჩნია არა თუ სამართლის ნორმების დარღვევად, არამედ იგი ღრმად არის დარწმუნებული, რომ მისი საყვარელი გმირების მოქმედება მორალურ ნორმებსაც არ არღვევს. რუსთაველი ტარიელისა და ნესტანის მოქმედებას ხვარაზშშას შვილის მიმართ მისაბამ მოქმედებად თვლის და მათი საქციელით აღფრთოვანებული აყალიბებს ფეოდალური ეპოქისათვის სრულიად ახალ, პროგრესული შინაარსის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპს „ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“ (542).

ტარიელისა და ნესტანის მოქმედებისადმი რუსთაველის სრულიად გარკვეული დამოკიდებულების მიუხედავად, „ვეფხისტყაოსნის“ ანალიზის დროს, ინტერპრეტატორები მეტწილად ფრთხილად უვლიან გვერდს პოემის ამ ადგილს, ხოლო ზოგჯერ ეთიკურად გაუმართლებლად თვლიან მას. ამ სიფრთხილის მიზეზს წარმოადგენს ის, რომ პირველი შეხედვით მთავარი დადებითი გმირების აღნიშნული მოქმედება გარკვეულ ჩრდილს აყენებს მათ ღირსებას. ამ მკვდარი წარმოდგენის გამო რუსთაველოლოგიას დღემდე არ მოეპოვება ტარიელისა და ნესტანის ზემოთაღნიშნული მოქმედების დამაჯერებელი ახსნა და დასაბუთება. სინამდვილეში ასეთი სიფრთხილისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს. ფეოდალური სამართლის თავისებურებანი სრულ წარმოდგენას გვაძლევს ტარიელისა და ნეს-

ტანის მოქმედების მართლწამიერებაზე, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ „ახლა ვავიხსენოთ „ვეფხისტყაოსნის“ ზემოთაღნიშნული ადგილი.

როგორც ცნობილია, ტარიელსა და ნესტანს შორის სამიჯნურო ურთიერთობა არსებობს. ტარიელი ნესტანის მამის, ინდოეთის დიდი სამეფოს მეთაურის — ფარსადანის მიერ არა მარტო აღზრდილი, არამედ შვილად აყვანილიცაა. ნესტანი კი — ფარსადანის დეიძლი ქალიშვილია. მათი ასეთი სპეციფიკური უფლებრივი მდგომარეობა გვაიძულებს გავაკეთოთ დასკვნა, რომ ორივეს, როგორც ნესტანს, ისე ტარიელს ერთნაირი უფლება აქვთ სამეფო ტახტზე, მაგრამ, როგორც „ვეფხისტყაოსნიდან“ ჩანს, ფარსადანი სამეფო ტახტისათვის მხოლოდ ნესტანს ამზადებს. ამგვარად, პოემაში იქმნება ურთულესი სიტუეტური წინააღმდეგობა, რასაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს ფარსადანის ძლიერი, ცენტრალიზებული ხელისუფლების რღვევა.

ამ რღვევის თავიდან ასაცილებლად შოთა რუსთაველი ტარიელსა და ნესტანს სამიჯნურო ურთიერთობაში წარმოვიდგენს, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს მათი შეუღლება და ორივე პრეტენდენტის ტახტზე ერთდროულად ასვლა. ძლიერი, ცენტრალიზებული ხელისუფლების ბოლომდე შენარჩუნების მიზნით რუსთაველი მთლიანად თანაუგრძნობს ნესტანსა და ტარიელს და მათ შორის საქორწინო ურთიერთობის დამყარებას.

მაგრამ, სამწუხაროდ, ნესტანსა და ტარიელს შორის არსებული სამიჯნურო ურთიერთობით განპირობებულ მოვლენათა მსვლელობაში დისონანსი შეიქმნა ფარსადანს, რომელსაც არც კი სურს იფიქროს ნესტანისა და ტარიელის შეუღლებაზე. ფარსადანი შეგნებულად ღებულობს ზომებს იმისათვის, რომ ტარიელსა და ნესტანს შორის არ დამყარდეს ახლო ურთიერთობა. ამ მიზნით იგი ჯერ ნესტანს განაცალკევებს ტარიელისაგან, ხოლო შემდეგ,

როგორც კი მისთვის ცნობილი ხდება, რომ რაღაც ახალი ურთიერთობის შესახებ შეიძლება არსებობდეს ტარიელსა და ნესტანს შორის, დარბაზის თანხმობით ლებულობს სასწრაფო გადაწყვეტილებას — გაათხოვოს ნესტანი და ზედსიძედ შემოიყვანოს ინდოეთში მუზობელი, ძლიერი სახელმწიფოს მეფის ძე — ზვარაზმშას შვილი.

ფარსადანის განზრახვა — უგულვებლყოფს ტარიელის პრეტენზიები სამეფო ტახტისადმი, უპირისპირდება ამ უკანასკნელის მისწრაფება ფარსადანის ქალიშვილთან შეუღლების გზით განახორციელოს თავისი კანონიერი უფლება — დაეპატრონოს ინდოეთის სამეფო ხელისუფლებას.

„ვეფხისტყაოსნის“ სილუეტური წინააღმდეგობის ეს ორი, ურთიერთგამომრიცხველი გადაწყვეტა გულდასმით შესწავლას მოითხოვს მორალურ-იურიდიული შედეგების მიხედვით.

ფარსადანის გადაწყვეტილებას განხორციელება, რუსთაველის აზრით, ინდოელთა ეროვნული ღირსების შელახვას ნიშნავს, რადგან, როგორც ნესტანი ამბობს, „სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ქამასა“. ამას გარდა, ფარსადანის განზრახვის სისრულეში მოყვანა უგულვებლყოფს ტარიელის კანონიერ უფლებებს, ტახტის მემკვიდრეობაზე მის კანონიერ მოთხოვნას. ტარიელი თავის მხრივ კი ღრმად არის დარწმუნებული, რომ ტახტის ერთ-ერთი კანონიერი მემკვიდრე თვითონ არის, რადგანაც:

„იციო, ინდოთა სამეფო
რაზომი სრა-საქდომია!
ერთილა მე ვარ მემკვიდრე,
თქვენი მონობის მნდომია, —
ამოწყდა მათი ყველაი,
მამული თქვენ მოვხდომია,
სამართლით ტახტი უჩემოდ
არავის მისახდომია!“ (564).

უნდა აღინიშნოს, რომ ფეოდალურ ეპოქაში ტახტის მემკვიდრეობის უფლება ფეოდალური სამართლის ერთ-ერთი მთავარი ინსტიტუტი იყო. ფე-

ოდალური საზოგადოება იცნობს ტახტის მემკვიდრეობის თაობაზე უცვლელ მრავალ ომსა და ინციდენტს. მწარედ ამიტომ ტარიელი მზად არის წინ აღუდგეს ყველას, ვინც ხელყოფს მის კანონიერ უფლებებს:

„ინდოეთი ჩემი არის,
არცნო მიესცე ჩემგან კიდელ
ვინცა ჩემსა დამეცილოს,
მისით მასცა ამოფხრილდე,
სხვას მუშველა ვარეგანსა,
მომავლ, ვინცა ვინატრიდე!“ (566).

ფარსადანის განზრახვა ზედსიძედ შემოიყვანოს ზვარაზმშას შვილი და მას გადასცეს ინდოეთის სამეფო ხელისუფლება, ხელყოფს არამართო ტარიელის კანონიერ უფლებებს, არამედ იგი არღვევს სასახლეში გაბატონებული ფეოდალური არისტოკრატის მაღალ ზნეობრივ ნორმებს. შოთა რუსთაველს ღრმად სწამს, რომ მეგობრობა, სიყვარული, ქვეშევრდომთა მიმართ ზომიერი პოლიტიკის გატარება ფეოდალურ საზოგადოებაში წოდებათა შორის პარამონიულ ურთიერთობას ქმნის. მისი აზრით, ფეოდალურ საზოგადოებაში საქორწინო ურთიერთობის საფუძველი სიყვარული უნდა იყოს და ფეოდალიზმის ეპოქაში იდეალური საზოგადოებრივი წყობილება შეიძლება დამყარდეს მხოლოდ მაშინ, თუ კი ოჯახი სიყვარულის, პატივისცემისა და საქორწინო ურთიერთობის სუბიექტთა ურთიერთმოკრძალების საფუძველზე იქნება აგებული.

ამ თვალსაზრისით, ზვარაზმშას შვილის მოქმედება ანტიზნეობრივია, იგი ფეხქვეშ თელავს ფეოდალური არისტოკრატის მაღალ ზნეობრივ ნორმებს. ზვარაზმშას შვილის მოქმედება უცხო და მიუღებელია ნესტანისათვის, იგი ამცირებს ნესტანის ღირსებასა და თავმოყვარეობას. ზვარაზმშას შვილს გადაწყვეტილი აქვს ცოლად შეირთოს ნესტანი, რომელსაც პირადად არ იცნობს და არც კი უცდია გაეგო ამ უკა-

ნასკნელის აზრი ქორწინების თაობაზე. ზვარაზშშას შვილი, როგორც ჩანს, ფაქიზი გრძნობების მქონე ნესტანს დიდი სახელმწიფო პოლიტიკის უბრალო დამატად თვლის და, სწორედ ამიტომ, ზვარაზშშას შვილისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს სიყვარულის ექთილშობილურ გრძნობას. რა თქმა უნდა, ამით ზვარაზშშას შვილის მოქმედება ობიექტურად ნესტანის ღირსების შემლახველია, იგი ანტიზნეობრივი და დასავმობია.

ტარიელისა და ნესტანის აზრით, სამეფო ხელისუფლების საკითხის გონივრული გადაჭრა მათი შეუღლების შედეგად და ორივესათვის სამეფო ტახტის ერთდროული გადაცემით შეიძლება, მით უმეტეს, ტარიელსა და ნესტანს ერთმანეთი უყვართ დიდიხანია. ნესტანისა და ტარიელის ამ მოსაზრებას სავსებით იზიარებს რუსთაველი, რადგანაც სამეფო ხელისუფლების საკითხის ამგვარი გადაჭრა სავსებით შეესაბამება მის პოლიტიკურ იდეალს. იგი ხელს უწყობს ფარსადანისა და სარიდანის მიერ წამოწყებული უდიდესი პოლიტიკური ამოცანის განხორციელებას, რაც მიზნად ისახავს ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შექმნას. ტარიელი და ნესტანი, დარწმუნებულნი თავიანთი მისწრაფებების სამართლიანობაში, ადგენენ ზვარაზშშას შვილის ჩამოშორების გეგმას. ნესტანი ურჩევს ტარიელს:

„არე ქმენ, ზემო ლომო და მკობო უოველა გმირთაო, მიპარეით მოკალ სასიძო, ლაშქართა ნუ მოირთაო, მისთა სპათაცა ნუ დაპხოც, ზროხათა, ვითა ვირთაო, — სისხლი კაცისა უბრალო კაცმანმცა ვით იტვირთაო?“ (543).

რუსთაველი, რომელიც სავსებით იზიარებს ნესტანის განზრახვას, დარწმუნებულია, რომ ზვარაზშშას შვილის თანხმობები ლაშქარი არის „უბრალო“

ე. ი. ბრალის არ მქონე, ამიტომაც მის წინააღმდეგ ტარიელმა არ უნდა აღმართოს ხელი, რადგანაც „სისხლი კაცისა უბრალო კაცმანმცა ვით იტვირთაო?“ მაგრამ, რაც შეეხება ზვარაზშშას შვილს, ნესტანი ურჩევს ტარიელს „მიპარეით მოკალ სასიძო, ლაშქართა ნუ მოირთაო“, რადგან, როგორც პოემის შინაარსის ანალიზი გვაფიქრებინებს, ზვარაზშშას შვილი ბრალის მქონეა, მისი მოქმედება ბრალს შეიცავს და ამიტომ იგი უნდა დაისაჯოს.

მაგრამ ნესტანისა და ტარიელის ამ მოსაზრებას უპირისპირდება ფარსადანის შეხედულება. ფარსადანი თავის მხრივ დარწმუნებულია, რომ მისი და ზვარაზშშას შვილის მოქმედება სავსებით სამართლიანია, ზვარაზშშას შვილთან დაკავშირებული ინციდენტის მიზეზი ნესტანი და ტარიელია, ზვარაზშშას შვილს კი არავითარი ბრალი არ გააჩნია. ამიტომაც ფარსადანი საყვედურობს ტარიელს, რომ „ზვარაზშშას სისხლი უბრალო სახლად რად დამადებინე?“.

ცალკე უნდა შევჩერდეთ ნესტანის რჩევის იმ ნაწილზე, რომელშიც ნათქვამია, რომ ტარიელმა მიპარეით უნდა მოკლას ზვარაზშშას შვილი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მოსაზრება რუსთაველს ეკუთვნის და ამდენად, მისი ახსნა შემუშავებულია რუსთაველის პოლიტიკურ შეხედულებებთან კავშირის გარეშე.

შოთა რუსთაველის იდეალური საზოგადოების მთავარი მოთხოვნაა საყოველთაო მშვიდობისა და წესრიგის დაცვა, საზოგადოების შიგნით შეხლამემობლის აღმოფხვრა. მაგრამ, რუსთაველის აზრით, ეს მოთხოვნა სრულებით არ გულისხმობს ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწყვლობას, სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმების დამრღვევ მოქმედებათა მიმართ შერიგებას. პირიქით, რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ გმირები გაბედულად ებრძვიან ყველა იმ ბოროტებას, რომელსაც

ზიანი მოაქვს ადამიანთა ბედნიერებისათვის. მაგრამ ამასთან ერთად „ვეფხისტყაოსნის“ გმირები თავს არიდებენ უმიზეზოდ სისხლისღვრას, მეტადრე მაშინ, როდესაც მას შეიძლება შედეგად მოჰყვეს საზოგადოებრივი ჰარმონიის დარღვევა.

ზვარაზშშას შვილის საიდუმლოდ მოკვლა მიზნად ისახავს „უბრალო“ ადამიანების, ტარიელისა და ზვარაზშშას შვილის ლაშქარს შორის სისხლისღვრის თავიდან აცილებას. რუსთაველი დარწმუნებულია, რომ, რადგანაც პოემაში ერთმანეთისაღმი დაპირისპირებულია მხოლოდ ტარიელისა და ზვარაზშშას შვილის ინტერესები, ამდენად ამ ინტერესთა გადაჭრისას „უბრალო სპათა“ წინააღმდეგ ხელის აღმართვა არამართლზომიერი მოქმედება იქნება. შოთა რუსთაველის აზრით, უნდა დაისაჯოს მხოლოდ ბრალის მქონე პირი, მაგრამ რა ზერბის გამოყენებით — ეს მისთვის სულერიათია. რუსთაველისათვის მთავარი ისაა, რომ ბრალეული მოქმედების ჩამდენმა პირმა პასუხი უნდა აგოს უშუალოდ, საზოგადოებაში არსებული იდეალური ურთიერთობის დარღვევის გარეშე. რუსთაველი დარწმუნებულია, რომ ტარიელი არის „ლოში და მჯობი ყოველთა გმირთა“ და ამიტომაც იგი პირდაპირი შეზმითაც ადვილად შესძლებს ზვარაზშშას შვილის დამარცხებას, მაგრამ მას არ სურს საყოველთაო მშვიდობისა და საზოგადოებრივი ჰარმონიის, იდეალური წესრიგის დარღვევა, რის გამო ამჯობინებს ტარიელმა მიპარებით, „უბრალო“ ხალხის ჩარევის გარეშე, მოკლას დანაშაულებრივი მოქმედების ჩამდენი მეტოქე.

ამრიგად, რუსთაველი ცდილობს პოემაში შექმნილი წინააღმდეგობა გადაჭრას ნაკლები ბოროტების გზით, მისი აზრით უნდა დაისაჯოს უშუალო დანაშაუვე და არა უღანაშაულო ლაშქარი.

როგორც ვხედავთ, „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს სხვადასხვა შეხედულება გააჩნიათ ქმედობის დანაშაულობრიობი-

სა და დასჯადობის საკითხებზე. სწორების არსში სწორი გარკვევსათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს თვით თაველის მოსაზრებას პოემის გმირთა მოქმედების თაობაზე. ამასთან უნდა ვივარაუდოთ, რომ ბრალის ცნების საკითხთან დაკავშირებით რუსთაველის გაგება ფეოდალურ საქართველოში გაბატონებული შეხედულება იყო.

შოთა რუსთაველი მთლიანად იზიარებს ტარიელისა და ნესტანის შეხედულებებს ზვარაზშშას შვილის ბრალეულობის შესახებ. იგი ფიქრობს, რომ თავისი მოქმედებით ზვარაზშშას შვილი არღვევს ფეოდალურ საზოგადოებაში სამეფო გვარეულობის მაღალ წრეში დადგენილი ქცევის წესებს. შოთა რუსთაველი, დარწმუნებული ზვარაზშშას შვილის მოქმედების ბრალეულობაში, ამტკიცებს, რომ „ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“.

რუსთაველის მიერ „ვეფხისტყაოსანში“ მოცემული ეს იურიდიული კახუსი, რომელიც პოემის სიუჟეტის განვითარების მთავარ მიმართულებას განსაზღვრავს, სრულიად აუხსნელი რჩება მონათმფლობელურ და ფეოდალურ საქართველოში იმ გარემოებების გათვალისწინებებს გარეშე, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს ბრალის ცნების ზოგადი თეორიული საფუძვლების დადგენა.

თანამედროვე გაგებით ბრალს, ე. ი. პასუხისმგებლობის საფუძვლებს განსაზღვრავს მხოლოდ და მხოლოდ სამართლის ნორმებით დადგენილი გარემოებები. მაგრამ „ვეფხისტყაოსნიდან“ ჩანს, რომ ბრალის ცნებას განსაზღვრავს არამარტო სამართლებრივი ნორმებით დადგენილი გარემოებები, არამედ ზნეობრივი ნორმებით დადგენილი გარემოებებიც.

„ვეფხისტყაოსანში“ მოცემულ ბრალის ცნების განსაზღვრას არა მარტო სამართლებრივი ნორმებით, არამედ ზნეობრივი ნორმებით დადგენილი გარემოებების მიხედვითაც, სამართლის

ზოგად თეორიასა და პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიაში მეცნიერული არგუმენტაციაც გააჩნია. საქმე ის არის, რომ XVII საუკუნემდე, კერძოდ ბუნებითი სამართლის მოძღვრების წარმოშობამდე, სამართალი და ზნეობა არ იყო გამოიყენებული ერთმანეთისაგან. სწორედ ამის გამო ფეოდალურ სამართალში ბრალის ცნება და, საერთოდ, პასუხისმგებლობის საფუძველებიც განისაზღვრებოდა როგორც სამართლებრივი ნორმებით დადგენილი გარემოებებით, ისე ზნეობრივი ნორმებით დადგენილი გარემოებებითაც. ამიტომაც „ვეფხისტყაოსანში“ რუსთაველის მიერ გადმოცემული ბრალის განსაზღვრა ზუსტად გამოხატავს სამართლისა და ზნეობის ერთმანეთისაგან განუცალკევლობის ფაქტს. „ვეფხისტყაოსანში“ ბრალის განსაზღვრისას რუსთაველი გამოიხატავს ფეოდალური ეპოქისათვის დამახასიათებელი სამართლისა და ზნეობის მჭიდრო ურთიერთკავშირის თავისებურებებიდან, რის გამო „ვეფხისტყაოსანის“ ავტორს ბრალი გაგებული აქვს როგორც სამართლებრივი, ისე ზნეობრივი ნორმებით განსაზღვრული გარკვეული სამართლებრივი ინსტიტუტი.

როგორც ზემო აღნიშნულიდან ჩანს, ფეოდალიზმის ეპოქაში ბრალის ცნება მეტისმეტად ფართოა. ფეოდალურ საზოგადოებაში სამართალსა და ზნეობას შორის მჭიდრო კავშირისა და ურთიერთგანპირობებულობიდან წარმომდგარი ბრალის ცნების ზემოთაღნიშნულ გაგებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს „ვეფხისტყაოსანის“ გმირთა მოქმედებების იურიდიული შეფასებისათვის.

ცხადია, რომ ფეოდალური სამართლის ნორმებით დადგენილი გარემოებების მიხედვით ხვარაზმშას შვილის მოქმედებაში არ არის ბრალი, მაგრამ რამდენადაც მისი მოქმედება არღვევს „ვეფხისტყაოსანში“ მოცემული იდეალური ფეოდალური საზოგადოების არისტოკრატიულ წრეში დადგენილ მორალურ ნორმებს და სასახლეში გა-

ბატონებულ ეთიკეტს, ამდენად, რუსთაველის აზრით, ხვარაზმშას შვილის მოქმედება შეიცავს ბრალს. ჩვენი აზრით თვალსაზრისით.

შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ხვარაზმშას შვილმა დაარღვია ფეოდალურ ეპოქაში გაბატონებული რაინდული სამიჯნურო ურთიერთობის ფაქიზი და სათუთი ზნეობრივი ნორმები. მაგრამ, ამას გარდა, ხვარაზმშას შვილის მოქმედებით შელახულია აგრეთვე ტარიელის უფლებები. მართალია, ფარსადანი არ ცნობს ტარიელის ამ უფლებას, მაგრამ, ასეა თუ ისე, ტარიელის შამის — სარიდანის მიერ თავისი სამეფოს ნებაყოფლობით გაერთიანება ფარსადანის დიდ სამეფოსთან და ფარსადანის მიერ ტარიელის შვილად აყვანა, სამეფო ტახტისადმი ტარიელის პრეტენზიების საკმაო მორალურ საფუძველს ქმნის. სწორედ ამ გარემოებებს აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას ხვარაზმშას შვილის მოქმედების ბრალეულობის განსაზღვრისას რუსთაველი, რომელიც ნესტანის საშუალებით რჩევას აძლევს ტარიელს მიმართოს ფარსადანს შემდეგი პრეტენზიით:

„ქადრე, თუ: „საპრსთა ვერა ვიქმ
ინდოეთისა ჭამასა,
ჩემია შვიდრი მამული,
არ მივსცემ არცა დრამასა,
არ დამეხსნები, ვავილდი,
ქალაქსა ვითა ტრამასა!“ (544).

შოთა რუსთაველის აზრით, ქმედობის დასჯადობის საკითხი უნდა გადაწყდეს არა მარტო სამართლებრივი ნორმებით დადგენილი გარემოებების მიხედვით, არამედ ფეოდალური არისტოკრატის მალალ წრეში მოქმედი ზნეობრივი ნორმებით დადგენილი გარემოებების მიხედვითაც. შ. რუსთაველი ღრმად არის დაარწმუნებული, რომ ფეოდალურ საზოგადოებაში გაბატონებული ზოგადი ნორმების დარღვევა არამართლზომიერი მოქმედებაა და მისი ჩამდენი უნდა დაისაჯოს სახელმწიფოებრივი იძულების შეფარდებით. მაგ-

რამ, ამასთან დაკავშირებით, რუსთაველს კარგად ესმის, რომ პასუხისმგებლობის საფუძვლების დადგენას არა მარტო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული გარემოებებით, არამედ ზნეობრივი ნორმებით გათვალისწინებული გარემოებებითაც, შეიძლება შედეგად მოჰყვეს ქმედობის დანაშაულებრიობის არასწორი განსაზღვრა და მართლმსაჯულების გამარტდება. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად რუსთაველი, ძველი ბერძენი ფილოსოფოსის არისტოტელეს მსგავსად, მოითხოვს საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებას სამართლიანობის პრინციპით და თავის მოთხოვნას აყალიბებს ფეოდალიზმის ეპოქისათვის მართლმსაჯულების განხორციელების სრულიად უცნობ ჰუმანურ დებულებაში: „ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლადა“.

შოთა რუსთაველის აზრით, საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმების მიხედვით მოწესრიგება არ აძლევს უფლებას ნორმის შემფარდებელს თვითნებურად, სამართლიანობის პრინციპებიდან გადახვევით გადასწყვიტოს საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტები. მისი აზრით, მხოლოდ „მართალი სამართლის ქმნა“, ე. ი. საზოგადოებრივი ურთიერთობის მოწესრიგება სამართლიანობის პრინციპის მიხედვით, უზრუნველყოფს დაზარალებულის კანონიერ უფლებებში აღდგენას, „ხმელი ხის ნედლაჲ ქცევას“ და საზოგადოებრივი სოლიდარობის განმტკიცებას.

რუსთაველი მოითხოვს ფეოდალური თვითნებობისა და ძალადობის შეზღუდვას და მართლმსაჯულების განხორციელებას ბოროტებასთან ბრძოლის ამოცანებს უკავშირებს. რუსთაველი დარ-

წმუნებულია, რომ სამეფო ხელისუფლება მართლმსაჯულების განხორციელების დროს, თუ იგი იმდენადვე უნდა იქნება სამართლიანობის პრინციპით, შესძლებს „აგის მქნელთა“ დაშინებას, ძარცვა-გლეჯვის აღმოფხვრას და ისეთი იდეალური წესრიგის დამყარებას, რომ „შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს“ (1664).

მართალია, „ვეფხისტყაოსანში“ სოციალური ნორმების შეფარდებისას კანონიერებით ხელშეშლადობის იდეა სამართლიანობის ზოგადი პრინციპის დაცვის მოთხოვნით არის წარმოდგენილი, მაგრამ რუსთაველის მიერ წამოყენებულმა პრინციპმა მოკვიანებით თავისი სრული განვითარება ჰპოვა ბურჟუაზიის იდეოლოგთა შრომებში. ფეოდალური თვითნებობისა და ძალადობის აღმოსაფხვრელად ბურჟუაზიის იდეოლოგებმა მოითხოვეს სამართლისა და ზნეობის ერთმანეთისაგან გამიჯვნის შედეგად სახელმწიფოებრივი იძულებით მოსაწესრიგებელი ყოველგვარი ქცევის სამართლის ნორმებში წინასწარ გადმოცემა და სამართლის ნორმების განხორციელების დროს კანონიერების პრინციპით ხელშეშლადობა.

შოთა რუსთაველის სამართლებრივ შეხედულებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ქართული ფეოდალური სამართლის ისტორიის შესწავლისათვის. შოთა რუსთაველმა როგორც ადრინდელი რენესანსის უდიდესმა იდეოლოგმა, ფეოდალურ საქართველოში დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის პროგრესული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარდაქმნებით შთაგონებულმა, გადაქრით მოითხოვა ფეოდალური თვითნებობისა და ძალადობის აღმოფხვრა და საზოგადოებრივი ურთიერთობებას „მართალი სამართლით“ მოწესრიგება.

ნოზარ ღომოური

ქართული ისტორიისა და ფილოლოგიის დაუცხრომელი
აგაზმარი

(ს. ყაუხჩიშვილის დაბადების 70 წლისთავის გამო)

ათას ცხრაას თოთხმეტ წელს გაზეთ „ერში“ დაიბეჭდა პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტის ს. ყაუხჩიშვილის წერილი, რომელიც ქართველ მკითხველს ამცნობდა იმავე უნივერსიტეტის ორდინალური პროფესორის გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთლის მიერ სადოქტორო დისერტაციის ბრწყინვალედ დაცვას. მაგრამ ეს უბრალო ცნობა როდი იყო. აქ 19 წლის ჰაბუკი იძლეოდა გამოჩენილი მეცნიერის ნაშრომის შეფასებას, მისი მნიშვნელობის და საბუთებას და ავლენდა საკითხის ღრმა ცოდნას, მეცნიერული კვლევის უნარსა და უდავო ნიქს.

ყველა ეს თვისება ბუნებით შემკულ ახალგაზრდას განუვითარეს კლასიკური ფილოლოგიის განყოფილების ისეთმა შესანიშნავმა მეთაურებმა, როგორც იყვნენ ა. ვასილიევი, მ. როსტოვევი, თ. ზელინსკი, ს. ყებელიოვი და თვით გრ. წერეთელი. მაგრამ ახალგაზრდა სამონი იმთავითვე ემზადებოდა მშობლიური მეცნიერების სამსახურისათვის და ამიტომ, გარდა კლასიკური ფილოლოგიისა, ეუფლებოდა აგრეთვე ქართულ-სომხურ ფილოლოგიასაც ივ. ჯავახიშვილისა და ნ. მარის ხელმძღვანელობით.

1918 წ. ქართულმა საზოგადოებრიობამ იზეიმა ეროვნული კულტურისა და უმაღლესი განათლების პირველი კერის — უნივერსიტეტის დაარსება. აქ მოიყარეს თავი ჩვენი მეცნიერების საუკეთესო ძალებმა. იმავე წელს. ივ. ჯავახიშვილის წარდგენით. უნივერსიტეტთან საპროფესოროდ მოსამზადებლად

დატოვებულ იქნა პეტერბურგიდან დაბრუნებული სიმონ ყაუხჩიშვილი. და ამ დღიდან მთელი მისი მოღვაწეობა, მისი ცხოვრება ქართულ უნივერსიტეტს და, საერთოდ, ქართულ მეცნიერებას დაუკავშირდა.

ს. ყაუხჩიშვილი კლასიკური ფილოლოგიის გამოჩენილი მოღვაწეების და, კერძოდ, გრ. წერეთლის მოწაფე იყო. ამიტომ მისი მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობა კლასიკური ფილოლოგიის ხაზით წარიმართა. მაგრამ ამავე დროს ს. ყაუხჩიშვილი ივ. ჯავახიშვილის მოწაფეც იყო, და უკვე ეს გარემოება საკმარისი საწინდარი იყო ამისა, რომ მას კლასიკური ენებისა და ლიტერატურის, ბიზანტიოლოგიის შესანიშნავი ცოდნა პირველ რიგში ქართველოლოგიის სამსახურში ჩაეყენებინა.

მის პირველსავე მეცნიერულ შრომებში გამოჩნდა, ერთი მხრივ, უკვე დასრულებული მკვლევარ-მეცნიერის ყველა თვისება და, მეორე მხრივ. მისი მომავალი მუშაობის ძირითადი მიმართულება — კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტიოლოგიის ცოდნის გამოყენება ქართული კულტურის ისტორიის კვლევაში.

ამ მხრივ. პირველ რიგში, აღსანიშნავია ს. ყაუხჩიშვილის ორტომიანი შრომა, რომელიც IX საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის გიორგი ამარტოლის „ქრონოგრაფის“ არსენ იყალთოელის სულ ქართულ თარგმანს შეეხებოდა. ნაშრომის პირველი ნაწილი ამ თარგმა-



ნის ტექსტის კრიტიკულ გამოცემას წარმოადგენდა, ხოლო მეორე ნაწილი შეიცავდა გამოკვლევას, რომელშიაც, ივ. ჯავახიშვილის შეფასებით, „არა ერთი სრულებით ახალი დებულებაა წამოყენებული ქართულ-ბერძნული ფილოლოგიისათვის“. ამავე რიგისაა ს. ყაუხჩიშვილის არაერთი გამოცემა-გამოკვლევა იოანე პეტრიწის, მიქაელ ფსელოსის ნაწარმოებთა, შეექვესე საუყუნის ბიზანტიური რომანის, პეტრიწონის ტიპიკონისა. აქ ავტორი იძლევა ქართული მწერლობის იმ ძეგლთა კრიტიკულ გამოცემასა და ინტერპრეტაციას, რომლებიც ბიზანტიური ტექსტებიდან მომდინარეობენ და ქართულ-ბერძნული ლიტერატურული ურთიერთობის არა ერთ საყურადღებო ფაქტს ავლენენ. ამასთან, ამ გამოცემისათვის დართული კომენტარები მნიშვნელოვანია როგორც ქართული, ისე ბერძნული ფილოლოგიისათვის.

ს. ყაუხჩიშვილი ქართული ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნეც არის. მის კალამს მრავალი გამოკვლევა ეკუთვნის როგორც საკუთრივ ძველქართული მწერლობის, ისე ბერძნულ-ბიზანტიურ ლიტერატურასთან მისი ურთიერთობის შესახებ. ისეთ ნაშრომებში, როგორიცაა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი და იოანე პეტრიწი“, „ეფგრემ მცირე და ბერძნულ-ბიზანტიური ლექსთწყობის საკითხები“, „პეტრე იბერელი და იოანე ლაზი — V საუკუნის გამოჩენილი მოღვაწეები“, „არეოპაგიტული წიგნების ვარშემო“, „პეტრე იბერიელი და დიონისე არეოპაგელი“ და ა. შ. ს. ყაუხჩიშვილი მრავალ საინტერესო პრობლემას აყენებს, მრავალ საყურადღებო საკითხს იხილავს და ახლებურად სწყვეტს. ეს ნაშრომები იძლევა ქართული ლიტერატურის მთელ რიგ თავისებურებათა გარკვევის, ძველი ქართული ლექსთწყობის, ფილოსოფიური აზროვნების შესწავლის საშუალებას; აქ ნათლად არის წარმოდგენილი ძველი ქართული საზოგადოებრივი და ფილოსო-

ფიური აზროვნების, ლიტერატურის ადგილი და როლი მსოფლიო ლიტერატურაში.

ს. ყაუხჩიშვილი ავტორია არა ერთი თხზულებისა ენათმეცნიერების პრობლემებზე, მრავალი ლექსიკონისა და თარგმანისა.

ს. ყაუხჩიშვილის მრავალმხრივ ლიტერატურისმცოდნეობითსა და ენათმეცნიერულ გამოკვლევებს მარტო ქართულ ფილოლოგიური მეცნიერებისათვის როდი აქვს მნიშვნელობა; მათ დიდი წვლილი შეაქვთ თვით ბერძნულ-ბიზანტიური ფილოლოგიის შესწავლაში. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი სამტომიანი შრომა — „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“, რომელშიაც მოცემულია ბერძენთა ლიტერატურული შემკვიდრების ყველა ქანრის სისტემატური მიმოხილვა; ამასთან, პირველად ლიტერატურისმცოდნეობაში, ეს მიმოხილვა გამდიდრებულია ქართულ-ბერძნული ლიტერატურული ურთიერთობის მასალებით. ცალკე უნდა აღინიშნოს ამ შრომის III ტომი — „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია“, რომელიც თავის სისრულითა და ორიგინალურობით უნიკალურია არა მარტო ქართულ, არამედ საერთოდ საბჭოურ ფილოლოგიურ მეცნიერებაშიაც. ავტორი თანამიმდევრულად იცავს თეზისს, რომ ბიზანტიური ლიტერატურა ძველი ბერძნული მწერლობის უბრალო მიბაძვა კი არ არის, როგორც ეს დასავლეთეუროპელ მეცნიერებს ჰქონდათ წარმოდგენილი, არამედ ახალი, თავისებური ეტაპია ბერძნული ლიტერატურისა, და მისი განვითარება ოთხმა საწყისმა განსაზღვრა — ელინურობამ, რომაულობამ, აღმოსავლურობამ და ქრისტიანობამ. ამასთან აქ, პირველად მსოფლიო ლიტერატურაში, ნათლად არის ნაჩვენები, რა როლი შეასრულეს ქართველებმა ბიზანტიის კულტურის ჩამოყალიბებაში.

ამრიგად, ს. ყაუხჩიშვილი გვევლინება შესანიშნავ ფილოლოგად, მართლად კლასიკური ფილოლოგიისა

და ბიზანტიური ლიტერატურის განხრით. იგი თავდაპირველად გრ. წერეთელთან თანამშრომლობდა, მაგრამ დიდი მეცნიერის და მოაზროვნის გ. წერეთლის დაღუპვის შემდეგ ს. ყაუხჩიშვილს თავის მხრებზე მოუხდა საქართველოს კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტიოლოგიის განვითარების მძიმე ტვირთის ზიდვა, ამ დარგების აღორძინება-წინსვლაზე, ამ სკოლების არსებობა-განვითარებაზე ზრუნვა. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა იგი კლასიკური ფილოლოგიის კათედრას თბილისის უნივერსიტეტში, ერთდროულად სათავეში ედგა ბიზანტიოლოგიის განყოფილებას ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში, ამჟამად კი წინ უძღვის ამავე განყოფილებას აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში.

ის გარემოება, რომ ს. ყაუხჩიშვილმა ერთნაირად ღრმა კვალი დააჩნია ისტორიოგრაფიისა და ფილოლოგიის განვითარებას, გახდა სწორედ იმის მიზეზი, რომ იგი ერთნაირად ძვირფასია ფილოლოგიისთვისაც და ისტორიისთვისაც.

ყველასათვის, ვისაც საქართველოს წარსულისათვის თვალი გადაუვლია, კარგად არის ცნობილი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ერის ისტორიისათვის ანტიკურ და ბიზანტიურ ცივილიზაციას. ანტიკურ და ბიზანტიურ სამყაროსთან მრავალსაუკუნოვან ურთიერთობას. ყველამ იცის, რომ ანტიკურ-ბიზანტიური წყაროების გარეშე შეუძლებელია საქართველოს ისტორიის შესწავლა. და ეს. ცხადია. პირველ რიგში, ანტიკურობისა და ბიზანტიის ისეთი ბრწყინვალე სპეციალისტისათვის იყო ცნობილი, როგორც ს. ყაუხჩიშვილი ბრძანდება.

ს. ყაუხჩიშვილს რომ არც ერთი სტრიქონი არ დაეწერა საკუთრივ საქართველოს ისტორიაზე, არც ერთი წყარო არ გამოეცა, საკუთრივ საქართველოს ისტორიას რომ ეხება, მაშინაც ის უაღრესად დიდი მოამაგე იქნებოდა ქართული ისტორიოგრაფიისა. განა თუნ-

დაც ის წმინდა კლასიკურ-ფილოლოგიური გამოკვლევები, რამდენიმეჯერ აღედნე ცნობილია ს. ყაუხჩიშვილსა და ის შტუდიები. რომლებიც ფილოლოგიურ საკითხებს ეხება, უაღრესად მნიშვნელოვანი არ არის ქართული ისტორიოგრაფიისათვის, ქართული კულტურის ისტორიისათვის და იმ სამყაროს უკეთ და ღრმად გაეცნობისათვის, რომელთანაც ესოდენ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩვენი ერის ისტორია?

მაგრამ ს. ყაუხჩიშვილი იმთავითვე ჰკიდებს ხელს საქართველოს ისტორიის საკითხების კვლევას და ღრმა ცოდნითა და ისტორიკოსის შესანიშნავი აღზრთი აღჭურვილი, წლიდან-წლამდე ამდიდრებს ქართულ ისტორიოგრაფიას.

ძნელია ერთ მოკლე წერილში ყველა იმ საკითხის განხილვა, რომლებიც დაუყენებია და გადაუწყვეტია ს. ყაუხჩიშვილს საქართველოს ისტორიაში. მისი ამ ღვაწლის სრული შეფასება უფრო ღრმა კვლევას მოითხოვს და მომავლის საქმეა, მაგრამ ის ძირითადი, რისთვისაც მისი მადლიერია ქართული ისტორიოგრაფია, უკვე დღეს კარგად არის გარკვეული ყველასათვის, ვისაც კი საქართველოს ისტორიაში უმუშავნია.

ჯერ კიდევ 20-იანი წლებიდან ქართული მეცნიერული საზოგადოებისათვის ცნობილი ხდება ს. ყაუხჩიშვილის ცალკეული გამოკვლევები, რომლებშიც მოცემულია იმ ცნობათა ანალიზი, რომლებიც ბერძენ-ბიზანტიელ მწერლებს გააჩნიათ საქართველოს შესახებ: 1925 წ. — „პირველი ბერძნული ცნობა თბილისის შესახებ“; 1927 წ. „გელასი კესარიელის ცნობები ქართლის მოქცევის შესახებ“, 1931 წ. „პროკოპი კესარიელის ცნობები საქართველოს შესახებ“ და სხვ. ხოლო 1932 წ. პირველად გამოდის საქართველოს შესახებ ბიზანტიელ მწერალთა ცნობების კრებული II ტომი, ამჟამად სახელგანთქმული „გეორგია“.

დღეს ქართველი ისტორიკოსის მაგიდაზე სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ამ სერიის უკვე ხუთმა ტომმა- ეს მონუ-

მენტური კორპუსი შეუდარებელი შენა-
ძენია ქართული ისტორიოგრაფიისათ-
ვის. საქართველოს ისტორიის თვალსაზ-
რისით საინტერესო ბიზანტიური ტექს-
ტები, პარალელური ქართული თარგმან-
ით. რომლის ყოველ სიტყვას შეიძლე-
ბა უყოყმანოდ ენდო, ვრცელი ისტორი-
ულ-ლიტერატურული კომენტარით, აი
ეს არის „გეორგიკა“. ბიზანტიური ხანის
დასაწყისიდან, ვიდრე XI ს-მდე. ბიზან-
ტიურ ლიტერატურაში არ ყოფილა
ისეთი ნაწარმოები ან დოკუმენტი, რო-
მელშიაც-კი საქართველოს შესახებ ცო-
ტა თუ ბევრად მნიშვნელოვანი ცნობა
მოიძებნებოდეს. რომ ის „გეორგიკაში“
არ იყოს შეტანილი, თარგმნილი და სა-
თანადოდ ახსნილ-კომენტარებული.
ბევრ შემთხვევაში ს. ყაუხჩიშვილს უბ-
დება ვრცელი კვლევა-ძიება თვით ორი-
გინალის ტექსტის დადგენისათვის, ბევრ
შემთხვევაში ძეგლის თარგმნა რთული
მეცნიერული მუშაობის შედეგია, ხო-
ლო მთელი რიგი კომენტარიები და
დამატებები ცალკე, დამოუკიდებელ
გამოკვლევას წარმოადგენს.

რა სიღრმითაა, მაგალითად, დამუშა-
ვებული „გეორგიკას“ მე-4 ტომში ბი-
ზანტიურ საეკლესიო ეკთხისთა ცნო-
ბები, ან იმავე ტომის დამატებაში შე-
ტანილი ორი საკითხი: 1. „ცნობა „ზიგა-
ნების“ შესახებ ძველქართულ მწერლო-
ბაში“ და 2. „ნიკიფორე კონსტანტინეპო-
ლელის კვალი ძველქართულ მწერლო-
ბაში“. რა უადრესი მნიშვნელობისაა ის
ყოველმხრივი გამოკვლევა, რომელიც
„გეორგიკას“ მე-5 ტომში პეტრიწო-
ნის წესდების გამოცემას ერთვის, რომ
არაფერი ვთქვათ იმ დაწერილებით
კომენტარიებზე. რომლებიც პროკოპი
კესარიელის, აგათია სქოლასტიკოსისა,
კონსტანტინე პორფიროგენეტისა და
სხვათა ცნობების ახსნა-განმარტებას
იძლევა.

„გეორგიკა“ ისეთი სერიაა, როგორ-
საც ინატრებდა, რომელიც გნებავთ, ხა-
ლხის ისტორიოგრაფია; ის სამაგიდო
წიგნია ყველა ისტორიკოსისათვის, ის

ისეთი ძეგლია მისი შემდგენელისათვის,
რომელიც სავსებით საკმატყმყეუმი
სახელის უკვდავსაყოფად.

საქართველოს ისტორიაში მომუშავე
სპეციალისტებისათვის უმნიშვნელოვა-
ნეს წყაროს წარმოადგენს ფეოდალური
ხანის ქართული ისტორიოგრაფიის საა-
მაყო ძეგლი „ქართლის ცხოვრება“. ვახ-
ტანგ VI-ის სწავლულ კაცთა კომისიით
დაწყებული და დიდი ივ. ჯავახიშვილით
გათავებული, მთელი პლეადა ქართველი
მეცნიერებისა ამუშავებდა. სწავლობდა
ამ დიდებულ კრებულს, ცდილობდა მი-
სი ტექსტის დადგენას, მისი ცალკეული
ნუსხების შეჯერებას, მის გამართვას და,
აი, ქართულმა ისტორიულმა მეცნიერე-
ბამ განვითარების ისეთ დონეს მიაღწია,
რომელსაც სასიცოცხლოდ ესაპირე-
ბოდა ამ ძეგლის მეცნიერული გამოცე-
მა. შემთხვევითი არ იყო ის გარემოება,
რომ ამ საქმის განზორციელება საქარ-
თველოს მეცნიერებათა აკადემიამ სწო-
რედ ს. ყაუხჩიშვილს მიანდო.

1942 წ. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით
გამოვიდა „ანასეული ქართლის ცხო-
ვრება“, „ქართლის ცხოვრების“ პირვე-
ლი მეცნიერულად გამართული პუბლი-
კაცია, ვრცელი შესავალი. წერილით,
რომელშიაც „ქართლის ცხოვრების“
წყაროთმცოდნეობითი ანალიზიც იყო
შესული, და რთული კრიტიკული აპარა-
ტით. სათაურის მიხედვით ეს იყო ძეგ-
ლის მხოლოდ ერთი, უძველესი ნუსხის
პუბლიკაცია, მაგრამ არსებითად, გამო-
ცემისათვის დართული კრიტიკული აპა-
რატი, ამ გამოცემას „ქართლის ცხოვ-
რების“ პირველი აკადემიური პუბლიკა-
ციის ცდად აქცევდა.

1942 წლის შემდეგ „ქართლის ცხოვ-
რების“ შესწავლა არ შეწყვეტილა, ტექ-
სტოლოგიური შტუდიები, წყაროთმო-
ცნეობითი კვლევა. აღნაგობისა და ქრო-
ნოლოგიის დადგენის ცდები, ცალკე-
ულ ცნობათა ინტერპრეტაცია. ყველა-
ფერი ეს ამ ძეგლის შესახებ არსებული
ლიტერატურის შეგროვება-გათვალის-
წინებას და თვით ძეგლის ახალ, სხვადა-
სხვა ნუსხათა შეჯერება-შედარების სა-

ფუძველზე გამოცემას მოითხოვდა. და ეს დიდი საშვილიშვილო საქმე კვლავ ს. ყაუხჩიშვილმა იტვირთა, იტვირთა და შეასრულა კიდევ.

დღეს ქართულ ისტორიოგრაფიას გააჩნია „ქართლის ცხოვრების“ სანიმუშო, აკადემიური გამოცემა, გამოცემა, რომელიც ისტორიული მეცნიერების თანამედროვე დონეს შეეფერება ყოველმხრივ, და შესრულებულია ტოლდაუდებელი მეცნიერული სიზუსტით და ყოვლისმომკველობით.

„ქართლის ცხოვრების“ ეს გამოცემა მუდამ დარჩება შესანიშნავ ნიმუშად იმ დიდი ერუდიციისა. ქართულ წყაროთა ღრმა ცოდნისა, ტექსტოლოგიური მუშაობის უაღრესი გამოცდილებისა და კულტურისა, რომელიც ს. ყაუხჩიშვილს ახასიათებს.

მაგრამ ს. ყაუხჩიშვილის ღვაწლი ქართული ისტორიოგრაფიის მიმართ ამითი არ ამოიწურება.

ს. ყაუხჩიშვილმა ამოიკითხა, გამოაქვეყნა და განმარტა საქართველოს ისტორიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი ბერძნული წარწერები ნოსიარისა, არმაზისა და მცხეთა-სამთავროსი. ამ წარწერების მეცნიერულმა ამოშიფვრამ მათი მონაცემების ინტერპრეტაციამ მრავალი ახალი საკითხი დააყენა და გადაწყვიტა ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში.

ს. ყაუხჩიშვილმა არა ერთი გამოკვლევა მიუძღვნა საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხსა და პრობლემას. ამ გამოკვლევებში ის გვევლინება შესანიშნავ ინტერპრეტატორად უცხოური თუ ქართული წყაროებისა, უდიდესი ანალიტიკური ნიჭით დაჯილდოებულ ისტორიკოსად და არქეოლოგადაც. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი გამოკვლევა „ბიზანტიური ეპოქის ციხე-სიმაგრეები დასავლეთ საქართველოში“, სადაც ს. ყაუხჩიშვილი დამაჯერებლად არკვევს ამ ციხე-სიმაგრეთა ადგილმდებარეობას, მათ მნიშვნელობას ქვეყნის ისტორიაში, და ამავე დროს თვით ციხე-სიმაგრეთა სააღმშენებლო ტექნიკისა და თავისებუ-

რებათა შესანიშნავ დახასიათებას რძლევა.

ს. ყაუხჩიშვილმა პირველმა მოკვლევა კოლხეთის რიტორიკული განათლების ცენტრის — კოლხეთის აკადემიის არსებობის დასაბუთება. მისი მნიშვნელობის გარკვევა.

მან გამოაქვეყნა და ახსნა ლიბანიოსის უაღრესი მნიშვნელობის ცნობები ქართველი მოღვაწის ბაკურის შესახებ, მან არა ერთი ტოპონიმიკური და ეთნონიმიკური სახელის გარკვევა მოახდინა.

ს. ყაუხჩიშვილმა დიდი ღვაწლი დასდო ქართულ არქეოლოგიასაც. მისი ხელმძღვანელობით გაითხარა გელათისა და იყალთოს აკადემიები. შორაპნის, სკანდეს, ნაჭალაჭევის ციხე-სიმაგრეები, და ამ გათხრების შედეგები მის მიერ ღრმად და ფართოდ იქნა გაანალიზებული. სანიმუშოა ამ მხრივ მისი გამოკვლევა ნაჭალაჭევი-არქეოპოლისის გათხრების შესახებ, რომელიც დამატების სახით დაერთო ნაშრომს „ლეკიები ბიზანტიის ისტორიიდან“.

წყაროების შესანიშნავი მცოდნე და უბადლო ინტერპრეტატორი, საქართველოს ისტორიისა და მსოფლიო ისტორიის დიდებული მცოდნე. უდიდესი ერუდიციისა და განათლების მქონე მეცნიერი, ღრმა და მიუდგომელი, ფრთხილი და ამავე დროს გაბედული მკვლევარი, ასეთად გვევლინება ყველგან ს. ყაუხჩიშვილი, როგორც ისტორიკოსი.

ყველასათვის ცნობილია ის დიდებული ღვაწლი, რომელიც ქართული მეცნიერების განვითარებას დასდო ივ. ჯავახიშვილმა. არა მარტო მეცნიერებისათვის, არამედ ყველა ქართველისათვის სამაგიდო წიგნებს წარმოადგენს მისი „ქართველი ერის ისტორია“ მიუხედავად იმისა, რომ ივ. ჯავახიშვილის მიერ ამ წიგნების შექმნიდან უკვე მრავალი წელი გავიდა. ქართული ისტორიოგრაფია დიდად განვითარდა, ახალი მონაცემებითა და გამოკვლევებით გამდიდრდა, „ქართველი ერის ისტორიის“ ოთხივე წიგნი დღემდე რჩება ქართული საისტორიო მეცნიერების დამამშვენებ-



ლად. მაგრამ დროთა ვითარებაში ეს წიგნები ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, აღარსად იშოვებოდა და ახალ-ახალი თაობებისათვის ძნელად მისაწვდომი ხდებოდა. და აი, ს. ყაუხჩიშვილმა იტვირთა კეთილშობილური საქმე — ივ. ჯავახიშვილის ნაშრომთა ხელახალი გამოცემა. დღეს ჩვენ გავგაჩნია «ქართული ერის ისტორიის» ორივე წიგნის ახალი გამოცემა. შესრულებული დიდი ცოდნით, სიყვარულით და დაუზარელი გულმოდგინებით. ამით ს. ყაუხჩიშვილმა თავის დიდ მასწავლებელს დაუფასა მისი ამაგი, ქართულ საზოგადოებას შესანიშნავი საჩუქარი მიუძღვნა და თვითაც მთელი ხალხის გულწრფელი მადლობა დაიმსახურა.

ს. ყაუხჩიშვილი ცნობილია, აგრეთვე, როგორც შესანიშნავი ბიზანტინისტი, კერძოდ, ბიზანტიის ისტორიის სპეციალისტი. საქართველოში ბიზანტიოლოგიურ პიონერად ამერიკელი მეცნიერი რ. ბლეიკი გვევლინება, მაგრამ მისი მოღვაწეობა ჩვენში ხანმოკლე იყო და არსებითად ბიზანტიის ისტორიის კურსის კითხვით შემოიფარგლა. ქართული ბიზანტიოლოგიის ნამდვილი დამაარსებელი ისევე ჩვენი იუბილარი იყო. ყველასათვის ცნობილია, რომ ერთ დროს საბჭოთა კავშირში ბიზანტიოლოგიური კვლევა-ძიება აღმოფხვრილი და უგულვებელყოფილი იყო; ერთადერთი დაწესებულება, სადაც ეს დარგი არსებობას განაგრძობდა, სადაც იკითხებოდა შეუწყვეტლად ბიზანტიის ისტორიის კურსი, იყო თბილისის უნივერსიტეტი, და ეს ს. ყაუხჩიშვილისა და მისი მოწაფეების დამსახურება გახლდათ.

ბიზანტიის ისტორიისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმავე „გეორგიკებს“; ბიზანტიურ წყაროთა ტექსტის დადგენას, მათ ინტერპრეტაციას და იმ დაწვრილებით კომენტარიებს. რომლებიც დართულაა გამოცემისადმი, ბევრი ახალი შეაქვს არა მარტო საქართველოს, არამედ საკუთრივ ბიზანტიის ისტორიაშიც. ქართულ ენაზე ბიზანტიის ისტორიის კურსის შექმნის პირველი

ცდაც ს. ყაუხჩიშვილს ეკუთვნის, ესაა მისი წიგნი „ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან“. მიუხედავად იმისა, რომ თვით ავტორის განცხადებით, ეს „ლექციები“ ორიგინალურობას არ ჩემულავენ, მათში დიხასაც არის ორიგინალურიცა და ახალიც. თვით ბიზანტინიზმის დახასიათება, ბიზანტიის ისტორიის დასაწყისის თარიღი, თემური ორგანიზაციის წარმოშობისა და რაობის გარკვევა სრულიად ახლებურად არის მოცემული და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ბიზანტიის ისტორიის კვლევისას ოსტატურადაა გამოყენებული ქართული მასალა.

დღეს ქართული ბიზანტიოლოგიური სკოლა, შექმნილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ და მისივე ხელმძღვანელობით მომუშავე, ფართოდ არის ცნობილი და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობს. შემთხვევითი არ არის, რომ 1965 წლის დეკემბერში ბიზანტინისტთა მორიგი საკავშირო კონფერენცია თბილისში გაიმართა. ეს ქართული ბიზანტიოლოგიური სკოლის და, პირველ რიგში, ს. ყაუხჩიშვილის დიდი დამსახურების საყოველთაო აღიარებაა.

მაგრამ ქართული ისტორიოგრაფია მარტო ზემოაღნიშნულით არ არის დავალებული ს. ყაუხჩიშვილისაგან. იგი არა ერთი ქართველი ისტორიკოსის აღმზრდელი და მასწავლებელია. საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის სპეციალისტთა უმეტესობა, ძველი ისტორიისა თუ ბიზანტიის ისტორიის მუშაკები მთელ საქართველოში თავის მასწავლებლად, სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გზის მეკვლედ ს. ყაუხჩიშვილს აღიარებენ და, იცით, რაოდენ მნიშვნელოვანია თვით ამ სპეციალისტებისათვის ეს გარემოება? ს. ყაუხჩიშვილის მოწაფეობა ეს თავისთავად ისეთი ატესტაციაა, რომელსაც ვერ შესცვლის ვერავითარი ოფიციალური დიპლომი. რადესაც ადამიანს აქვს უფლება და საშუალება თქვას, „მე სიმონ ყაუხჩიშვილის მოწაფე ვარ! ს. ყაუხჩიშვი-

ლი ჩემი ხელმძღვანელი იყო! ს. ყაუხჩიშვილი ჩემი ოპონენტი იყო!" — ის მაშინვე გრძნობს, როგორ იმსჯელებიან მის მიმართ ნდობითა და პატივისცემით, და ეს იმიტომ, რომ ყველამ იცის, თუ ვინმე ს. ყაუხჩიშვილის მოწაფე იყო, მაშასადამე, მას გაუვლია შესანიშნავი სკოლა კლასიკური ფილოლოგიისა, მას უსწავლია ძველი წყაროების შესანიშნავ მცოდნესთან და ინტერპრეტატორთან, მისთვის გაუზიარებიათ ისტორიის, ფილოლოგიის, ენათმეცნიერების ღრმა დაუფლება, მისთვის ნიმუშად ყოფილა

უზადო მეცნიერი, მოქალაქე და ინტელიგენტი და ყველაფერმა მშვენივრად მიცირე ნაწილი თუ შეიძლება და შეიძლება რჩუნა კაცმა, მას უდავო ადგილი აქვს დამკვიდრებული მეცნიერებაში.

ს. ყაუხჩიშვილის მოწაფეები ამასობენ იმითი, რომ ისინი ს. ყაუხჩიშვილის მოწაფეები არიან.

ჩვენ გვჯერა რომ კიდევ მრავალი წლის მანძილზე ნირშეუცვლელად და ქედმოუხრელად იდგება ეს ადამიანი ქართული მეცნიერების ცის თაღის ატლანტთა შორის.

ა. მ. მურავიოვი ჩემი დღიური

ახლანა — 1965 წლის 28 დეკემბერს ჩვენმა ქვეყანამ აღნიშნა 1925 წლის 14 დეკემბრის აქტების 140 წლისთავი. საბჭოთა ხალხმა სიამაყისა და მადლიერების გრძნობით გაიხსენა თვით-შეკრობილური წეს-წყობილების წინააღმდეგ ამხედრებული პირველი რუსი რევოლუციონერები, ახალი რუსეთისათვის მებრძოლი პატრიოტები.

როგორც ცნობილია, 14 დეკემბრის აქტების ერთ-ერთი მთავარი ფიგურა გახლდათ ნიკიტა მხიძელიძის ძე მურავიოვი, რომელიც, როგორც დეკაბრისტთა ჩრდილოეთ საზოგადოების მეთაური, სტალინდგანდობაზე ამ საზოგადოების კონსტიტუციის პროექტის შემუშავებას, დეკაბრისტთა აქტების ორგანიზებასა და მომზადებაში აქტიურ მონაწილეობას აღებულობდა ნიკიტას უმცროსი ძმა — ალექსანდრე მხიძელიძის ძე მურავიოვი. მას დარჩა ჩანაწერები ფრანგულ ენაზე. მან წელიწადი, რაც ეს ჩანაწერები ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. მანამდე ხელნაწერი, რომელსაც „ჩემი დღიური“ ეწოდება, დაცული იყო ალექსანდრე მურავიოვის შვილიშვილის — ვახტანგ მურავიოვის ასულის ნატალია ვანნაძის საოჯახო არქივში. თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ა. მ. მურავიოვის ხელნაწერი გადასცა ალექსანდრე მურავიოვის შვილიშვილის შვილმა — ელენე ვანნაძე-გამრეტელმა. დღემდე გამოქვეყნებული ამ დოკუმენტის ისტორიულ მნიშვნელობას თავის დროზე შეეხებნენ ისტორიკოსი პროფ. მ. პოლივეტოვი, პროფ. ვლ. შამახიძე (იხ. „დეკაბრისტის საოჯახო არქივიდან“, დრო-სა № 1, 1956 წ.) და ისტორიულ მეცნ. კანდ. ლიდა ბარამია (იხ. „ზარია ვოსტოკა“ 1960 წ. № 200). კერძოდ, პროფ. მ. პოლივეტოვი ამ დოკუმენტის გამო თავის შრომებში წერდა: „ა. მ. მურავიოვის ჩანაწერები თავისი ისტორიული მნიშვნელობით უსათუოდ იმსახურებს მკაცრ მეცნიერულ პუბლიკაციას. როცა რიგში დადგება საკითხი ასეთი პუბლიკაციისა, ერთ-ერთ ძირითად წყაროდ გათვალისწინებული უნდა იქნას ა. მ. მურავიოვის ხელნაწერიც, რომელიც თბილისის უნივერსიტეტშია დაცული“.

ერთნაირ „მნათობს“ წილად ხდება პატრიოტ პირველად მეთხოველებსათვის მისაწვდომი გახადოს ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი ქართულ თარგმანში. იმედა უნდა ვიქონიოთ, რომ მოკლე ხანში გამოქვეყნდება ა. მ. მურავიოვის „ჩემი დღიურის“ როგორც ფრანგული დედანი, ისე მისი რუსული თარგმანიც.

რედაქცია მადლობას მოახსენებს ელენე ვანნაძე-გამრეტელს და ლიდა ბარამიას ა. მ. მურავიოვის ხელნაწერის პირის მოწოდებისათვის.

„ჩემი დღიური“ თარგმნა და საპუბლიკაციოდ მოამზადა ვ. წულუკიძემ.

ჩემს ცოლს

შენ, ჩემი ცხოვრების თანამგზავარ, და ჩემს ზეშეუბნებელი ვარ მოვუბნარო ჩემი ცხოვრება. როცა ამ სტრიქონებს წაიკითხავენ, ჩვენი შვილები შეიტყობენ, რომ მათი გადასახლებული მამა იტანებოდა მშვენიერი და კეთილშობილური საქმისათვის, რომ იგი ვეცაცურად ატარებდა მორჩილებს სამშობლოს თავისუფლებისათვის.

პაელებ ხანმოკლე და უბილბო მეფობის შემდეგ, რუსეთის ტახტზე ალექსანდრეს ასულას ერთსულელები და გულწრფელი მისაღმებით შესვდნენ. მანამდე არასოდეს ჩვენში ხელისუფლების მემკვიდრეზე ესოდენი დიდი იმედი არ დაუწყებიათ. ჩაბრუნდნენ დავეიწყებით პაელებს გზაყალბიანი მეფობა.

მურავიოვი, მიხეილ ნიკიტას ძე, მრავალი სამეცნიერო აკადემიის წევრი, მას შემდეგ, რაც ალექსანდრეს აღზრდა დაასრულა, გახდა სენატორი, სახელმწიფო მდივანი, სახალხო განათლების მინისტრის მოადგილე და მოსკოვის უნივერსიტეტის მბრძნველი. მისი ამბილებული და კეთილშობილი ხასიათის თვისება იყო აგრეთვე

ლიტერატურის სიყვარული. ვარდიცვალი ს. პეტერბურგში 1807 წლის 29 ივლისს, თავისი მოწოდებისათვის დაწერა და შეადგინა მრავალი თხზულება.

თავისი მეფობის დასაწყისში ალექსანდრე გრატიცებელი იყო კეთილშობილური, ღიადსულოვანი განზრახვებით. მან ამოკანად დაისახა საზოგადოებისათვის დავიწყებინა შემარწმუნებელი უსამართლობანი თავისი შაჰისა. ალექსანდრეს სიტყვები ისევე, როგორც მისი ქვეყნმოქმედებანი, აღბეჭდილი იყო სიკეთით, სურვილით შეეყვარებინა ხალხისათვის თავისი თავი. მონობა, განკუთხავი და უსამართლო ბატონობა ხალხზე ეზობლებოდა მის ჭკარ კიდევ ესოდენ ახალგაზრდულ სულს. ამას აღასტერებს M-m de Stael-ისათვის გაგზავნილი მისი პასუხი:

„ყველა შემთხვევაში მე მხოლოდ ბედნიერი შემთხვევითობა ვარ“. 1815 წლის 13 იანვარს ალექსანდრე სწერდა თ-დ ჩარტორიისს (ადამის): „მისი მიხედვით, თუ როგორი შედეგებით წარმართება საომარი მოქმედება, თქვენ დაინახავთ, თუ რამდენად ჭკვირფასია ჩემთვის ჩვენი ქვეყნის ინტერესები. რაც შეეხება ფორმებს, ყოველთვის ყველაზე ლიბერალური იყო ის ფორმები, რომლებსაც მე ვაძლევდი უზირატეობას“, გერმანელებისადმი მიმართულ, და „ვარშავა, 1813 წლის 20 თებერვლით“ დათარიღებულ პროკლამაციაში ალექსანდრე ამბობს: „თუ ისინი (ხელმწიფენი) თავიანთი სულმოკლეობის გამო, დაეინებთ მოიხიფენ ვატარდეს დამორჩილების შთი აებედენი სისტემა, მაშინ მისმინელ უნდა იქნას ხმა ხალხისა, რათა თავადებო, რომელთაც თავიანთი ქვეყნადომები უბედურებასა და გაქირებებაში ჩაადდეს, გაიყოლოს ამ ხმამ შტრისიფებისა და დიდებისაკენ“. 1818 წლის 27 მარტს, სეიმის გახსნისას, ალექსანდრემ უთხრა პოლონეთის წარმომადგენლებსა „დაწესებულებაში, რომელიც თქვენს ქვეყანაში არსებობს, საშუალება მოგვცა დავეყენებოდა ის ორგანიზაცია, რომელიც თქვენ ვიბოძეთ, პრაქტიკულად ვაეატარე რა ლიბერალური პრინციპები, რომლებიც მუდამ იყო ჩემი ზრუნვის საგანი და რომლებსაც, იმედი მაქვს, ღვთის შეწევნით, ვავატარებ მთელ თქვენს მხარეზე, რომელიც განგებამ ჩემს მხრუნველობას მიანიდო“. ეს სიტყვები პოლონელებმა გულმხურვალედ მიიღეს, შემდეგ ალექსანდრე მთლიანად ევროპის საქმეებს მოუწდა, დადიოდა კონგრესიდან კონგრესზე, მთლიანად ემორჩილებოდა მეტრინისს — ვენის მთავრობის რეტროგრადული პოლიტიკის ამ ცოცხალ განსახიერებას, და ამგვარად უარი თქვა თავისი კეთილშობილური და ღიადსულოვანი განზრახვებზე.

პოლონეთში მიიღო კონსტიტუცია, ხოლო რუსეთში 1812 წლის სამგობო საქმეებისათვის

მიიღო სამხედრო დასახლებანი, მართლაც, სახელმწიფოს მეათარი გულდასმულიდ დაწესდა ს. — პეტერბურგში. მასსოცს კრატობრე ამეს გამო ჩემმა ხმამ ბლედოს, რომელიც იმ დროს დასრულებული ლიბერალის როლს თამაშობდა: „უნდა აღიაროთ, რომ იმპერატორი, იშვითად გულადი და მამაკი აღამინია, 1812 წელს მას არ დაუკარავს იმედი რუსეთის განათვისუფლებისა; რამდენადაც მე ვიცი — იგი ერთადერთი რუსი კაცი იყო, რომელიც მაშინ დამწიფებული რჩებოდა და ფეხს არ იცვლიდა ს. — პეტერბურგიდან“.

ალექსანდრემ ვიანათვისუფლა ბალტიის პროვინციების გლეხობა და ამ განათვისუფლების გამო ლატვიის თავადანაჰრობის დეპუტატებს შემდეგი სახსოვარი სიტყვები უთხრა: „თქვენ ხომ ივრძენით, რომ შეიძლება მხოლოდ ერთი ლიბერალური პრინციპები ვახდეს ხალხთა ბედნიერების საფუძველი“. ხოლო როცა რუსი უმავლელები შეამთულეთა ჩაგვრისაგან თავდასაღწევად მის (ალექსანდრეს) მფარველობას მიმართავდნენ, სამხედრო ვეზუეცია იყო პასუხი, რომელიც უმებმა ამ მიმართვაზე მიიღეს.

წმინდა კავშირის დამფუძნებელი ალექსანდრე ყრდო რჩებოდა აღმოსავლეთის ეკლესიის სასოცრველთი ვოდებისა და ვაებისადმი, მიუხედავად იმისა, რომ რუსები ამ ეკლესიისადმი თანაგრძნობით იყვნენ გამსკეალებული. ალექსანდრე ესწრებოდა და როგორც გულრილი კაცი, ისე უყურებდა იმ სისასტიკეს, რომელსაც მესულმაწიერი თანატიზმი იჩენდა ჩვენი ერთმორწმუნეების მიმართ. მისიტიკისისაკენ მიღრვილმა ალექსანდრემ, რომელიც ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში რელიგიის შესახებ ლაპარაკობდა, წაართვა ქონება და სრული თავისუფლება იმ თავის ქვეყნადომებს, რომელთაგან მან სამხედრო დასახლებანი შეადგინა. საშინელი სცენები დატრიალდა ჩუგუევში, სადაც მამები ლოცოდნენ თავის შვილებს, რომლებიც მზად იყვნენ წასულიყვნენ საწამებლად, და წყველიდნენ იმით, ვისაც გული მისდიოდა, როცა წამებას უყურებდნენ. შიკრეტების საშინელი წამებით ერთბაშად თვრამეტ-თვრამეტი კაცი იღუპებოდა, ქვეითი ქარების დავიხივები იგზავნებოდა იქ ჯალათის როლის შესასრულებლად. თავის მეფობის მიწურულში ალექსანდრემ დივიწყა ყველა თავისი მოვალეობა რუსეთის მიმართ და ქვეყნის მმართველობა ყველა დარგში გადასცა არაჩევეს, რომელიც უღიარა სიყვარულის ტყვეობაში იყო. ყოველგვარი პროგრესისადმი მტრულად განწყობილი ეს ფავორიტი თავის საკიდრის აგენტებს დაეძებდა და იბრედა. თავისი სისასტიკით ცენსურა ვახდა აბსურდული; სხეადსხეავგარი ზომების შედეგად წიგ-

ნების შემოტანა საზღვარგარეთიდან გავირდა, ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორები დაუმორჩილეს ინკვიზიტორულ ძალადუღებას. ჩადუნო იქნა გავგონარი უსამართლობანი. ამ თუ ამ წამუშის უბრალო დახვლებით, ადამიანებს ამწყვედვდნენ საპრობილევებში, გზავნიდნენ შორეულ ვარნიზონებში და ზოგჯერ ციხეში-შიც კი. პოლკოვნიკი ბოკი, რომელსაც ალექსანდრესთან ხანგრძლივი მიწერა-მოწერა ჰქონდა და რომელმაც, როგორც ჩანს, ერთ-ერთ წერაში ალექსანდრეს გაახსენა, უარს ვამბობო ჩემს პირვანდელ მარჯმსა და შეხედულებებზეო, ჩამწყვედვულ იქნა შლისელებურის ციხეში, სადაც იგი ჰქუაზე შეიშალა და მოკვდა კიდევ. მისი არი ბავშვი — მალეზონი და კარი, რომლებსაც დააბრალეს სუბორდინაციის დარღვევა ვილნიის უნივერსიტეტში, მთელი წლები იტანებოდნენ ციხეში; სახელიად ახალგაზრდა გრაფი პლიტერი, ვილნიის უნივერსიტეტში ჩადენილი მოწაფური სიციქვისა თუ ოხუნჯობისათვის, სალდათად გააწესეს, ისევე, როგორც ბევრი მისი ამხანაგი. დედამისმა, ვმუდარტობდა რა შეილის პატივსა, მოახსენა იმპერატორს, ჩემი შეილი მხოლოდ თითხმებით წლისააო. — „მაჰამ, — უბაძუა მეფემ, — იგი მეტყველ მაინც გამოდგება“ — დაპატიმრეს ყოფილი სემიონოვსკის პოლკის ოფიცრები — პოლკოვნიკი ივანე ვადბოლსკი, პოლკოვნიკი დიმიტრი ერმოლაევი, ლეიტენანტი-პოლკოვნიკი ნიკოლოზ კერჩევიჩი და ლეიტენანტი-პოლკოვნიკი ივანე შერბატოვი, რომლებიც ვიტებსკეში ყარაულქვეშ ჰყავდათ 1821 წლიდან 1826 წლამდე. ოთხივეს ბრალად დასდეს ის, რაც ბრალად ედებოდა ბრიგადის მეთაურს — დიდმთავარს მიხეილს და პოლკის უფროსს შვარცს, რომელმაც თავის სასახლეში მთითმოდანდნ გამოიყვანა და ააქანდა ერთ-ერთი სუკეთესი გვარდიელი პოლი. შვარცი დიდმთავრის მიხეილის საყვარელი ოფიცერი იყო.

განაჩენი, რომელიც პირველი არმიის სამხედრო ტრიბუნალმა საკონის მეთაურობით გამოიტანა, წარმოუდგენელად მკაცრი იყო. უძლურება კანონებისა, რომლებიც შერბებილი არ იყო და რომელთა ცოდნაც არ შეიძლებოდა, ჩინოსან მოხელეთა გამოიდელობა, მკერთა-მეობა — აი ის სამწუხარო სურათი, რომელსაც მაშინდელი რუსეთი წარმოადგენდა.

მედისთვის რომ გეამბინათ, უნდა ყოფილიყო უცხოელი ან გეტარებიათ გერმანული ევარი. ჩვენი გენერლები, რომელთაც 1812 წელს ქვეყნის წინაშე უველაფერი დამისახტრეს, ისეთები, როგორც რაეესკი, ერმოლოვი და სხვები არიან, ათვალწუნებული ან სატყველ იყვნენ მიჩნეული. სიცოცხლის უყარსკვლავ წლებში ალექსანდრე შეპყრობილი იყო შვაი მელანქოლით, ე. ა. სენით, რომელსაც ღმერთი უგზავნის ხოლმე დიდებულთა ამა ქვეყნისა, რათა

მოდროს ისინი მწუხარების მიმე ტერიოთ. ეს თანასწორობის შემავრებელი ნიშნითა, ტავანოვში რომ ჩასულიყო, გაავრებინა ქვეყნისთვის მალენი მკირად ღირებული გზა, რომელმაც საშუალება მისცა მის არიდებოდა ქალაქებზე ვავლას.

ახე დამთავრდა მეფობა, რომელსაც, როგორც ფიქრობდნენ, ბედნიერება უნდა მოეტანა რუსეთისათვის.

საიდუმლო საზოგადოება

საიდუმლო საზოგადოება ჩაისახა 1816 წელს. პირველი, რომელსაც თავი მოეტანეს მსხვერპლად ხალხის კეთილდღეობას, იყვნენ: პოლკოვნიკი მერავიოვი (ალექსანდრე ნიკოლოზის ძე), პეტელი პავლე ივანეს ძე, კაპიტანი თ-დი სერგეი ტრუბეცკოი, ნიკიტა მერავიოვი, არი ძმა — სერგეი და მათე მერავიოვი-ამოსტოლები. მათ მალე შეუერთდნენ პოლკოვნიკი მიხეილ ლენინი, კაპიტანი იაქუშკინი ივანე დიტირის ძე, გენერალი მიხეილ ორლოვი, გენერალი თ-დი ოლუბინი, სახელმწიფო მრჩეველი ნიკოლოზ ტურგენევი, თ-დი ილია დოლოვოვი, კაპიტანი ბურკევი, მერავიოვი მიხეილ ნიკოლოზის ძე, პეროესკი ლეე ალექსანდრეს ძე, პეშინი ივანე ივანეს ძე, სემიონოვი სტეფანე მიხეილის ძე, პოლკოვნიკი გლინკა თედორე ნიკოლოზის ძე, კონდინი, პოლკოვნიკი გრაბე, ტოკარევი.

ამ საზოგადოებამ პირველად სახელად დაიქვეა ხსენის ანუ სამშობლოს ერთგული შვილების საზოგადოება. შემდგომ, 1818 წელს შეიმუშავა რა წესდება, თავის თავს უწოდა საზოგადოებრივი კეთილდღეობის ანუ მწუხანე წიგნის საზოგადოება. აი როგორი იყო მისი პროგრამა: მონობის მოსპობა, მოქალაქეთა თანასწორობა კანონის წინაშე, ფინანსების საქარისობა, არაყის მონობილის გაქვეება, სამხედრო დასახლებათა გაქვეება, სამშობლოს დამცველთა ხვედრის გაუმჯობესება, შემოკრება მათი სამსახურის ვალისა, რომელიც 25 წელიწადს უდრის, ჩვენი საზღვრებლების წვერთა ხვედრის გაუმჯობესება, მშვიდობიანობის დროს ვარის რაოდენობის შემცირება.

1819 წელს ნიკოლოზ ტურგენევის თავმჯდომარეობით მოსკოვში მიწვეულ იქნა ყრილობა. დამსწრე დებუტატები იყვნენ იაქუშკინი, მშები ფონ-ვიზნენბი, მიხეილ მერავიოვი, გენერალი ორლოვი, ბურკევი, პოლკოვნიკი გრაბე, კაპიტანი, კაპიტანი ოხტნიკოვი, პოლკოვნიკი გლინკა. ამ ყრილობაზე საიდუმლო (ფარული) საზოგადოება დამოილად გამოცხადდა, მგრამ ეს მოხდა მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ იგი გარდაქმნილიყო უფრო ქმედით ორგანიზა-

1 Гласность финансов.

ციად, და უფრო მეტად კი იმისათვის, რომ საზოგადოებისთვის მოეშორებინათ უსარგებლო და უმაქნისი წევრები, რომლებიც მისში ბლომად იყვნენ. ნამდვილად საზოგადოება განავრცობდა არსებობას.

საიდუმლო საზოგადოება რეორგანიზებულ იქნა, და რომ მისი მოღვაწეობა გაფართოებული უოფილიყო, იგი ვაიყო ორად: ჩრდილოეთ და სამხრეთ საზოგადოებად.

ჩრდილოეთისაში ხელმძღვანელად დაინიშნა ნიკიტა მურავიოვი; 1823 წელს მას თანამშემუშევად მიტინინს თავადები ტრუბეცკოი და ობოლენსკი. ტრუბეცკოის კაცეში გადასვლის შემდეგ მის ნაცვლად არჩეულ იქნა კონდრატ რილევი. ამ ხანებში ჩრდილოეთის საზოგადოებას შეემატა მრავალი ახალი წევრი.

მშები ბესტუჟევი — ნიკოლოზ, ალექსანდრე და მიხეილ ალექსანდრეს ძენი (ალექსანდრე ზენს ლიტერატურაში ცნობილია მარტინსკის სახელით), მიხეილ ნაროჟინი, სტროვი, პანოვი, თ-დი ალექსანდრე ოდოევსკი, ვილჰელმ კოუხელბეკერი, ფლოტის კაპიტანი ტარსენი და ვენერაბური შტაბის ბევრი ოფიცერი, გვარდი-

ლი ეკიპაჟის ბატალიონის ოფიცერთა შთელი შემადგენლობა, მოსკოვის პოლიციის მრავალი ოფიცერი, ლეიბ-გარეინადრები, ჩხვილიძეები, ცხენოსან-გვარდიელები, თქვენსეულნი ოფიცერი კავალებრადი, არტილერიისა და შესანგრეთა გეარდიის მრავალი ოფიცერი.

ნიკიტამ რედაქცია გაუყვითა მონარქიული კონსტიტუციის პროექტს, რომელიც, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის შესავსად, ხელმწიფეს შეზღუდულ უფლებებს უტოვებდა. მანვე დაიწყო შედგენა თავისუფალი ადამიანის კატეხიზმოსი, რომელიც დაამთავრა სერგეი მურავიოვ-პოსტოლმა; ალექსანდრე ბესტუჟევი დაწერა სიმღერები, რომლებშიც შთაბეჭდილება მოახდინა; კონდრატ რილევიცა, — ამ, მგზნებარე სულის ადამიანმა. შეთხზა პოემები „უიონროფესია“ და „ნაღვთაიკოს აღსარება“, სადაც იგი წინასწარმეტყველებს თავის ხედრს და ხედრს თავისი კეთილშობილი ამხანაგებისას.

ამ პოემის სიტყვებთ ანუთა: კახაი ნალივაიკო შეუდგა რა პოლონეთა ჩაგვრისაგან უკრაინის განთავისუფლებას, თავისი განზრახვა და გეგმა გაანდო ლეთისმოსავ ჯანდევლის:

ხალხი ამოდ ვმინავს ზუნდებში.

მისი ვუღიადან იხმის მხოლოდ მუნჯი ჩივილი,

მამაო ჩემო, სიძულვილმა პალონელთადმი

ისე შემიპარო, ხულ შანოდებს; და მურა ჩემი

გახდა ველური, კუშტი, სასტიკი, სწულს ჩემი სული

მოიზნაში, რომელიც მჩაგრავს, დღით და ღამით,

მე ერთი აზრი თან მსდევს ჩრდილოეთი,

ის შე მადლელებს მამაპაის მუღდრო მინდერებში

და ხმაურთან ქარავანშიც, ფაცხელ ბაძოლაშიც

და ლოცვის ეამსაც საკურთხევლის წინ.

დროა, დრო უკვირ — ჩამჩურჩულებს ხმა იდუმალი,

მოკვდნენ შტარვალნი უკრაინისა.

ვიცი, უფსკრულის წინ დგება იგი, ვინც კი პირველად

ხალხის მჩაგრელთა წინააღმდეგ აღმართავს ხელსა.

იღბალმა სწორედ მე ამჩინია... შაგრამ შიობართო,

სადა და რომელ საუკუნეში თავისუფლების

მოპოებას ერისათვის არ მოეხოფოს მსხვერპლის გაღება.

ჩემი ქვეყნისთვის რომ მოკვდები, წინასწარ ვიცი

და ვერძნობ წინასწარ, მამაო ჩემო,

ვლოცავ ჩემს ხედრსა, რომელიც მე ბედმა მარგუნა.

კრებებზე, რომლებიც პერიოდულად იმართებოდა, ისმენდნენ მოხსენებებს საზოგადოების წარმატებებზე, თათბირობდნენ ღონისძიებებზე, რომლებიც გატარებული უნდა ყოფილიყო, ახალ წევრებზე, რომლებიც საზოგადოებაში უნდა მიეღოთ, აკეთებდნენ მოხსენებებს მთავრობის ახალ ბოროტმოქმედებათა შესახებ. ხშირად ნიკიტა მურავიოვი თავისი მეტყველი და კეთილშობილი სახით, დაღრგმილი, ნაზი დამილთით, მომხიბლავი სასაუბრო ენით არჩეულ კონსტიტუციისთვის პროექტს, ხსნიდა და განმარტავდა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული

შტატების კონსტიტუციისა. ბავშვობის ასაკიდან იგი ამღვანებდა ბრწყინვალე შიღრეკოლებებს, სწავლის სიყვარულს, თვინიერ ხასიათს, აღტაცებულ მგზნებარე მამულიშვილობას; სათნო და კეთილი დედაჩემი, მას შემდეგ, რაც გარდაგვეცვალა მამა, რომელსაც დედა აღმურთებდა, გადასახლდა მოსკოვს, რომ შთლიანად თავი მიეძღვნა მხოლოდ და მხოლოდ შვილების აღზრდისათვის. ჩემი მამა შეიღვ წლით ჩემზე უფროსი იყო. 1812 წლის საბსოვარ ზადებულს ჩვენ მოსკოვს ქვემოთ ეცხოვრობდით. ჩვენებზე შტრის გამარჯვება, იმპერიის შეიავლამდე ჩვე-

ნი არმიის უკან დახვევა სტანკაედა ჩემს ძმას. იგი ყოველდღე აწამებდა დედას — მოითხოვდა მისგან ქარში წასვლის ნებართვას. ნიკიტა დადარდნილი, მოიღუწა; ხმას არ იღებდა, დაკარგა ძილი და მოსვენება, თუმცა დედაჩემი მისი მდგომარეობით შეშფოთებული იყო, მაინც არ აძლევდა სასურველ ნებართვას ჯანმრთელობის გამო, რომელიც ზაგუშობიდანვე სუსტი ჰქონდა. დედაჩემს ვერც კი წარმოადგინა, რომ იგი გაუძლებდა მძიმე, მოქანცველ სამხედრო ლაშქრობას.

ერთხელ დილით, როცა ჩაის დასალევად სუფრას შემოავსებდით, ჩვენს შორის ჩემი ძმა არ აღმოჩნდა. დაუწყვეს ძებნა ყველგან. მთელი დღე მოუძებნებოდა და მღელვარებაში გავიდა. იგი სახლიდან ადრე დილით გასულიყო, რომ შეერთებოდა ჩვენს არმიას, რომელიც მოსკოვის გალაყანს ეხსილავდებოდა. ერთი ათეული ვერსიც არ ჰქონია გავლილი, რომ გლეხებმა და აჯაყებს უპასპორტოდ, კარგად ჩაქეული. მას უპოვეს ომის თეატრის რუკა და ქაღალდი, სადაც აღბეჭდილი იყო მეომარ არმიათა მდგომარეობა. მას ცუდად მოეპყრნენ, შებოჰეს, მოსკოვში მიიყვანეს და ქალაქის საპყრობილეში ჩაავდეს. მოსკოვის გენერალ-გუბერნატორმა გრაფმა რასკოპინმა ბრძანა პატომარ მასთან მიეყვანათ. შევიარეს. დავითხეს, ესოდენ ნორჩი ასაკის უმწიფელის მამულიშვილობით გაოცებულმა უმაღლე დედამემთან გამოგზავნა და მიულოცა მის დედობა ვაჟისა, რომელიც ესოდენი კეთილშობილური და ამაღლვებელი გრწანობით არის აღფრთოვანებული.

შე მაშინ ძალიან ნორჩი ვიყავი, მაგრამ ეს ილტვიანებული სცენა ძმის დაბრუნებისა დედის მკლავებში, დედაჩემის ცრემლები, საუღამოდ ცოცხლად დარჩა ჩემს მუხსიერებაში.

ბრწყინვალე აღზრდამ, რომელიც ჩემმა ძმამ მიიღო, გუადავდა მას შესლული ოფიცრად გენერალურ შტაბში. მან ჩინებულად ჩაატარა 1813, 1814 და 1815 წლების ლაშქრობანი. დაბრუნდა რა ოჯახს, განაახლა მეცადინეობა და შეუდგა განმარტებულ ცხოვრებას. მან აღწერა სუეორიის სიღრმეა, რომელიც გამოქვეყნდა მაშინდელ მოღერ ჟურნალში „სინ ოტეჩესტინაში“. განზრახული ჰქონდა დაეწერა ერთიკი კარაშინის ისტორიისა, მაგრამ იგი მხოლოდ შეუდგა ამ თემის დამუშავებას. პოლიტიკური მეცნიერებანი გახდა მისი ფიქრების ერთადერთი საგანი.

ნორჩი საზოგადოება განაგრძობდა არსებობას. პოლკოვნიკი პესტელი და მეორე არმიის მთავარი ინტენდანტი იუშუეკი შეთურობდნენ ტუღჩინოში დირექტორიას, რომელიც ორ ვენტად ვაიყო — ვასილიკოვის ქენტად და კამენკას ვენტად. პირველს განაგებდა და მართავდა სერგეი მურავიოვ-აპოსტოლი, რომელმაც შემდგომში შიშიაგრა მხივლ ბესტუეე-რიუმიანი;

მეორე ვენტის მართავდნენ ვასილი დავილოვი, გამოჩენილი ვენტრლის რავესკის ძმა, და დიადრი ბოლონსკი სერგეი გრიგორის ძეგრიკენსელი.

პოლკოვნიკი პესტელი და სუბკომანდირი აპოსტოლი იყვნენ ის ხელისუფალნი, რომელთა გარშემო ტრიალებდა სამხრეთელი საზოგადოების მთელი მოძრაობა. ისინი თავისკენ იზიდავდნენ მართავლ ახლადმოქცეულნი. მოქმედებდნენ მუდგრად და შეუპოვრად. საზოგადოების წევრთა დიდი ნაწილი ბრძალ ენტობოდა მათ. პესტელი გახლდათ აღიუტანტი მეორე არმიის მთავარისარდლის გრაფი ვიტენსმეტინისა, რომელიც ამ არაბეულებრივი ადამიანის გავლენას განიცდიდა.

ლიტვინანტ-პოლკოვნიკი სერგეი მურავიოვ-აპოსტოლი თავის გონებით, კეთით, გულკეთილობით, თავის მრავალმოცუნობით და ენერჯიული ხასიათით შესანიშნავი კაცი იყო, ქარისკაცები აღმერთებდნენ მას. თავს აყვარებდა ყველას, ვინც დაუახლოვებოდა. თვით საპყრობილის მსახურნიც კი მის შესახებ პატივისცემით ამბობდნენ — „მხოლოდ მან ერთმა, ყოფილი სემიონოვსკის დიდებული პოლკის გამოჩენილმა ოფიცერმა, შესწლო შეენარჩუნებინა თავისი ასტული!“

სამხრეთელი საზოგადოება იყოფოდა ორად — წევრებად და ბოიარებად. პოლკოვნიკი პესტელი რედაქციას ეყვებოდა პროექტს რესპუბლიკური კონსტიტუციისას, რომელიც „республиканская правда“-ს სახელწოდებით იყო ცნობილი.

ისე, სამხრეთელი საზოგადოება გავრთიანებული იქნა შეიარაღებული გონების და ენთუზიაზმით აღსავსე ახალგაზრდა კაცის მიერ, სერგეი მურავიოვ-აპოსტოლის უერთგულესი შეგობრის — ბესტუეე-რიუმიანის მიერ, „გავრთიანებული სლავების საზოგადოების სახელწოდებით. არტილერიის ლეიტენანტმა ბორისოვმა საგამოძიებო კომიტეტი დაარსადა, ეს საზოგადოება ჩემი თაოსნობით განარსდა. მაგრამ საზოგადოება „გავრთიანებულ სლავთა“ სახელწოდებით, ბევრი იყო.

თავასული და ძალზე ეკვიანი მთავრობის ძალმომკრობის დროს საიდუმლო საზოგადოების არსებობა მთელი რაგი წლების მანძილზე, მართლაცდა, ძალზე იშვიათს მოვლენას წარმოადგენდა. ილექსანდრეს მეფობის უკანასკნელ წლებში მისი ზეგავლენა საზოგადოებრივ აზრზე ძალზე საგრძნობი იყო. ის იდეა, რომ თვითმპყრობელობა წარმოადგენს რალც საშინელუბას, უღმერთობას, რომ მისი განმორცილებია აღუმატება ერთი ადამიანის ძალისხმეას, რომ მხოლოდ ერთადერთს ღმერთს შეუძლია იყოს ყოვლისშემძლე, რადგან მისი სიბრძნე, მისი სიმაართლიანობა, მისი გულკეთილობა უტოლდება მის ძალას, — აი ეს იდეა თანდათან ვრცელდებოდა და ფესს იკიდებდა. კონსტიტუციური

მმართველობის წესს პყავდა თავისი მომხრეები. ასეთ დიდ საქმეში დაბნეულობა და შეცდომები გარდაუვალა და ესეც ბლომად იყო. ხან საჭირო იყო მეტისმეტი აღტყინების შეკავება, ხან აღგზნება, ხან შენელება და მშფოთვარების დაშოშმინება. საიდუმლო საზოგადოებაში აღმოჩნდა ორი გამკეცი, ერთი — ინგლისელი შერეუდი, მეორე, სამუხებაროდ, რუსი მიიზობროდა, რომელიც ოფიცერ-ზაზინადრად მსახურობდა პოლკში, სადაც მეთაურად იყო პეტელი (მაიზობროვას ფული შემოფლანგვოდა), ორივემ ვასცა საზოგადოების არსებობა, მათ, ერთმაც და მეორემაც მიიღეს ჯილდო ხელშეწყობისაგან, რომელმაც ბრძანა გვირისთვის „შერეუდი“ მიემატებიათ შერქმეული საბელო „ვერნი“ (ერთაგული). მიუხედავად მისადმი მფარველის კეთილგანწყობილებასა, შერეუდი იძულებული გახდა დაეტოვებია დრაგუნთა პოლკი, რომლის ოფიცრობა უარს ამბობდა ყოლოდათ იგი ამხანაგად. შემდეგ იგი სულ გავლინარდა; არავინ იცოდა, რა დაეშარათა. მიიზობროვასაც სტანჯავდა ყველა პატიოსანი ადამიანის მხრით ზიზლი და სიძულელი. ერთი და მეორეც, ის პირები იყვნენ, რომლებმაც აღექსნადრეს გადასცეს საიდუმლო საზოგადოების წევრთა სია, აღექსნადრეს სიყვდილის შემდეგ ტავანროგში რიმ იპოვეს.

როცა ტახტი ვანთავისუფლდა, კონსტანტინეს გადადგომამ, ორმა სხვადასხვაგვარმა ნაშქარევაში ფიცა და ნაწილობრივ ედღმა აზრმა, რომელიც დიდმა მთავარმა ნიკოლოზმა თავის თავზე შექმნა, გამოიწვიეს ს. პეტერბურგში 24 დეკემბრის აქტი, ხოლო სამხრეთში — ბატალიონის აჯანყება სერგეი მურავიოვ-აპოსტროლის მეთაურობით.

დიდმა მთავარმა ნიკოლოზმა უხეში მოპყრობით თავი შეაქულა სალდათებს, რომლებსაც იგი, იყო შემოხვევები, საკუთარი ხელით სცემდა, თავის უხეშობით და ღვარჯიანობით მან იჭანა აგრეთვე ოფიცრები. მისი მამა — მიხეილა, თუმიცა უფრო ზერეულ და ფექსავატი იყო, გულით უკეთესი და ხასიათით უფრო სისამოვნო კაცი გახლდათ. ქერიცი დედოფლის — იმპერატრიცის უოველგვარი ზრუნვისა და ცდის მიუხედავად, დიდი მთავრის აღზრდა ძალიან უთავბოლოდ და დაუდევრად მიმდინარეობდა.

საიდუმლო საზოგადოების პეტერბურგელი წევრები, რომლებიც 1825 წლის 12 და 13 დეკემბრის სტრომებს ესწრებოდნენ, წინასწარ გრძნობდნენ 14 დეკემბრის წარუმატებლობას. ერთი წევრთაგანი — როსტოვეცი, პირადი მოსახრებებით ამოჩრავებული, ეახლა დიდმთავრის ნიკოლოზს, რომ გაეფრთხილებია — მხადღება 14 დეკემბერიო. ჩვენ ეს ეიცოდიოთ, მაგრამ უკვე კვი ხანი იყო, რაც საიდუმლო საზოგადოების წევრებს გუნებაში თავის სიცოცხლეს მსვერ-

ბლად ქეონდათ მიტანილი სამშობლოსათვის, მილიონენ რა დასაღუბავად, მათ შედეგობაში ქეონდათ მოეწყობა მხოლოდ საზოგადოებაში ფესტრაცა ახალრეტიმინ წინააღმდეგ და ეუწყებიათ ერისათვის, რომ მთელი რიგი წლების მანძილზე ჩვენ გექონდა მხოლოდ ერთი აზრი, ერთი სურველი, — ზვენი ქვეუნის განთავისუფლება.

1825 წლის 14 დეკემბერს, დილით, ტახტი ნიკოლოზის ასლის დღეს, სამმა გვარდიულმა პოლკმა, ზალხის მნიშვნელოვანი მასის თანხლებით, მთავრთა სენატის მოედანს, პოტოტსტის აქტი შესრულდა.

კიელი, რომელიც მას აღმობდა, ჭერ კიდეც ისმის. ასეთია ნიეთა წესრიგი, — თავისუფლება იხადება ქარიშხლებში, იგი მკეიდრდება დიდი გაბირებებით, მხოლოდ დრო ადასტურებს მის კეთილმყოფელობას.

მეტისმეტად გაზვიადებულია ის ქება, რომელიც თქვეს ნიკოლოზს მიერ იმ დღეს გამოვლენილი სიმშვიდის და თავშეკავების სადიდებლად. ხშირად მას თავგზა ებნევიოდა, და უკიდურესად გაფითრებული მისი სხე ამკეივებდა მის სულიერ მღელვარებას. ამ რეპუტაციის იგი უნდა უმადლოდეს აჯანყებულთა არასაკმაო ერთსულოვნებას, განსაკუთრებით კი თოფების და ზარბაზნების ცეცხლს, რომელიც მან, უსოკმანოდ მიმართა საკუთარ ქვეშეწერლობაში წინააღმდეგ, როსტოვეცის დავითხის შენეგ გვარდიულმა პოლკებმა ფიცი დასდეს ცალცალკე და სხვადასხვა დროს, რამაც მომართავს წართვა ერთიანობა.

1825 წლის 15 დეკემბერს დაიწყო დაბატონრებანი. რა საღებავებით არის დაბატული სამონეი სანახაობა, რასაც წარმოიღვენდა ხელმწიფე და მისი სასახლე შერისძიებისათვის განკუთვნილ საათებში. სწანდა, როგორ ცხადებოდნენ ახალი იმპერატორის წინაშე ფორმაში გამოწყობილი ოფიცრები, ზურგს უკან შებოჭილი ხელებით და ფეხებზე ხენდებდადებდნენ. იგი, ტუზზე დორბლმორბული, მექარით და ლანძღვა-გინებით ეწეოდა დავითხვას და იძუეოდა ამინსტიის დაპირებას, რომელიც შემდეგ არ შეესრულებია. სასახლის კარის მსახურთა ჩვეუი ტაშით ხედებოდა თავის ხელმწიფე-ბატონის სიტყვებს: „თქვენ არაშხადა ხართ, გარეწარის!“ გარეწოცა ძალიან შეგლოდა იმპერატორს შერისძიებაში, მხოლოდ ძალიან მკიერ რიცხვს მეფისკარის მსახურთაგან ეპირა თავი ღირსეულად, აღმოჩნდა მხოლოდ ერთადერთი პირი, რომელმაც გაბუდა მიახლოებოდა დაპატიმრებულებს იმ თანავარნობით, რომელსაც უხედურება აღძრავს სულგრძელ ადამიანის გულში. ეს პირი გახლდათ იმპერატორის აღიუტანტი გრაფი სამოილოვი.

ჩვენი დაპატიმრება

1825 წლის 19 დეკემბერს, შაბათ საღამოს, დედაჩემის სახლში, მე, 22 წლის უმწველი, დამპატიმრა ცხენოსანთა გეარდული პოლკის უფროსმა — გრაფმა სტეფანე აპარკინმა. დიდი გაჭირვებით მივიღე ნებაართვა სამუდამოდ „მშვიდობით“ მეთქვა კეთილი დედაჩემისათვის, როცა მე, ჩემი პოლკის ამხანაგებთან — ანკროვთან და არტაბაშევთან ერთად, სასახლეში მიმიყვანეს, იმპერატორმა მკლავში ხელი გავგიყვარა და დაგვიწყო დაკითხვა, ჭერ შედარებით დამწვიდებით, შერე თანდათან ხმას აუმაღლა და მუჭარით დაგვიწყო ლამარაკი. ლეი-შევს უბრძანა ჩაეწერა პასუხები კითხვებზე, რომლებსაც ჩვენ მოგვეცადა. ნახევარ საათში იმპერატორი უკან დაბრუნდა ჩვენთან და გვაჩვენა კორპუსის უფროსის ვინაოვის, გენერალური შტაბის უფროსის ნეიდსეიტის და გრაფ აპარკინის თახუასწრებით. გვიყვალა: „ბატემა და თან გვაუწყო — იქნეს-იქნეს თვენს თქვენ დაყოფთ საპატიმრო ცხებებში; ანენ-კოვი — ვიბორგში, არციბაშევი — ნარჯაში, მე — რეველიში. გენერალი და აქ მყოფი სასახლის კარის მსახურნი; შოწიწებით ხელზე ემთხვევიან იმპერატორი და გვიბრძანებს ჩვენც ასევე მოვეცეულებოდათ. იმპერატორი, დანიხა რა ჩვენი ყოყმანი, რამდენიმე ნაბიჯით დაგვეშორდა და თქვა, არაფერი საქმე აღარ შექნის თქვენს კეთილშობილებებთან. სასახლის კარის მსახურებმა უმაღლე გამოხატეს ჩვენდამი თავის აღშფოთება. დედაჩემმა შემოაწახა ტვირთ იმპერატორის მიერ გამოგზავნილი წიბრილი, სადაც ნათქვამია, რომ მე შებოძა ბატემა-აფსესი. საწყალი დედაჩემი სასტიკად შობაყუეს. იმპერატორის კაბინეტიდან რომ გამოვიდით, ჩვენ შეგვიყვანეს იმპროვიზირებულ, შიგ სასახლეში სახელდახელოდ მოწყობილ საპატიმროში. აქედან ფელდგერმა წაგვიყვანა ჩვენი დანიშნულების ადგილზე.

რეველის ციხეში დაჭრი პირველ მისამღებზე მოვალე ვარ შევასრულო გულის ვალდებულება პოლკოვნიკ შერმანის წინაშე, რომელიც პლატ-მაიორად იყო რეველიში. ეს ჩინებული აღმთანი ჩემზე ზრუნავდა, როგორც ძლიერ ნათესავი. მაქვს ვიცნობს, დამტკბებს, ერთი სიტყვით, არაფერს არ მკლავდა. მისი ღირსეული ცოლიც გვიგზავნიდა ხილულობას და გვაქვავდა ისეთ ყურადღებას, როგორც მხოლოდ ქალებს შეუძლიათ. პირველ მისს ჩემს წასაყვანად მოვიდა ფელდგერი. დღე-ღამის შემდეგ, უკვე სანკტ-პეტერბურგის ციხეში ამოვიყვით თავი. პოლკოვნიკმა შერმანმა ცხენით

რამდენიმე ვერსზე გამოაცილა. ვანშორებინას ვადევიხვიეთ და შეგობრებად დავცოდი ერთ-მანეთს. ს. პატიმარების ციხე

ს. პეტერბურგის ციხე, ხელმწიფის სასახლე-თურთ, აბსოლუტრზმის საზოხარო ძეგლი და ავბელითი ვასენება იმისა, რომ მათ არ შეუძლიათ არსებობა უერთმანეთოდ. მუდამ-დღე თვალწინ ატუხულმა საყენებმა, სადაც თვითნებობის მსხვერპლნი ვინავენ, არ შეიძლება არ ჩაახშონ აღმანაში თანავრძნობა მოყვასთა ტანყვა-წამებისადმი. დმერთო მალალო! როდის დადგება ის დღე, როცა შეიგნებენ, რომ არ შეიძლება აღმანი იყვენ სათამაშო ტყიანა რამდენიმე პრივილეგირებული ოჯახის ხელში. როცა საჯარისობის მზე! ჩვენშიც აღმობრწყინდება, მაშინ უსამართლობა, რომელსაც ეს კედლები მალავენ, შესძრავს ყველას.

საპატიმრო საყენები არ აღმოჩნდა საყმარისი დიდძალი მსხვერპლისათვის. შენობებში, რომლებიც გარნიზონის ყაზარებად იყო გამოყენებული, საყრობილედ აქირის. წუბოიანი ცარკით გაგლესილი ფანჯრის მინები არ უშვებდნენ შხის მაცოცხლებელ სხივებს. ამ ბნელ მღვიმეებში, ყაზარების გატრელ ოთახებში გათლილი ძელებისაგან ვაჭოთეს ვალიები, რომლებიც ერთმანეთს ისე დაშორებს, რომ შეუძლებელი გამხდარაყო კავშირ-ურთიერთობა. პატიმარს შეეძლო მხოლოდ ორი-სამი ნაბიჯის ვადიდება თავის სატუსალოს დიაგონალზე. ზოგიერთ ვალიაში გაყვანილი იყო რკინის მილები, მაგრამ ეს მილები იმდენად მალა არ ვადიოდნენ, რომ მოთენ მონადენი მსურვალება არ გვეგრძნო. ამ ვალიაში ყოფნა ნამდვილი წამება იყო პატიმრისათვის. ჩვენ ვადელით ციხის მიწა-ქვეშა ხილზე და შეეწერდით კომენდანტის სახლის კარების წინ.

ფელდგერმა ჩემი თავი ჩააბარა პლატ-მაიორს, რომელსაც ერთ სიტყვაც არ უთქვამს, ისე შემიყვანა ბნებურ, ნესტიან, ბნელ და ვიწრო საპატიმრო საყენში. დამტკრებული მაგიდა, უვარგისი თოფიანი, რკინის ქაჭვი, ერთი ბოლოთი კედელზე მიჭედილი, — ასეთი იყო სენაის მოათულობა. ოთხი თვის პატიმრობის შემდეგ, 360 ვერსის უკიდურესი სიჩქარით გავლამ საშინლად გამტანჯა და დამქანცა, როგორც კი პლატ-მაიორმა დამტოვა. გატხლებლი მივევდემ ამ საშინელ თოფიანზე. ვაგიგონე როგორ ამობრავდა ორივე კარის ურდული, რომლითაც ჩაკეტეს ჩემი საპატიმრო, და აი მე დაეჩრდი მარტო, ცოცხლებს მოშორებული, ნარზე მიგდებული ვატარებდი მთელ საათებს და ვეჭვობდნი დედაჩემზე, ჩემს ძმებზე, რომელიც

1 Солнце гласности.

როგორც ვაფიქვ, იმავე ციხეში იყო გამოწყვდილი, სადაც მე ვიმყოფებოდი. თვალზე ტრემლები მომადგა, ვილოცე ღმერთს წინაშე, და ლოცვამ დამამშვიდა. სიხარულის გრძნობა შემოიჭრა ჩემს სულში. ვიგრძენი სიამაყე, რომ ვიზიარებდი ჩემი ჩინებული მშის ბედს. მოვიყარე ვაკაცობა, უცებ ფეხზე წამოვდექი და ჩემს საკანში ვაფიქვ-ვაფიქვარა: ისევ მესმის ჩემს ყარებთან ურდულების ხმა-სიკვ. — ჩემ წინ ცხადდება პლაც-მაიორი, მის-მობს და მივყავარ ს-პეტერბურგის ციხის კომენდანტთან — გენერალ სუკინთან, ხნიერ ინვალიდთან, რომელსაც ვიცნობდა, ჭერ კიდევ მაშინ, როცა ბავშვი ვიყავი. მიმიღო მადიდის წინ მცდარმა და ისეთი სახე მიჩვენა, თითქოს ვერ შევარბო; მოკითხება სახეზე და გვარს, მე ვუხასუხებ, რომ ჩემი გვარი შურაფიოვია, რომ მე ცხენოსანთა გვარდიის ოფიცერი ვარ, რაზედაც თავზიანობა ჰქონდა ეხასუხა: მე ძალიან შეწყებებულ ვარ თქვენი პარტიკულ-არა მისათვის, რომელსაც თქვენი სახით ჰყავს არამზადა შეილა.

მე შემძრა მისმა ასეთმა მოპყრობამ, მაგრამ სიბრალელის გრძნობამ შემოპყრო უმა-ლდე, როცა შევხედე ამ საცილად ბერაკს, რომელიც მონერ სულისკეთებას იმდენად გამოე-თავყენებია, რომ სრულიად გულგრილი იყო ამ ადამიანების ტანყვა-წამებისადმი, რომლებიც არ იზიარებენ მის მრწამსს და მხებდნენ მისს. ამ შეხვედრის შემდეგ, დაებრუნე ჩემს სა-კანში, ამყერად ბედნიერი იმით, რომ მარტო ვიყავი.

ასე დაგრძი უძრავად ბნელ საკანში, უსმელ-უქმელი თითქმის რვა დღის განმავლობაში. დი-ლით ციხის დარაჟს, ციხის მოსამსახურის თან-სლებით, მოაქვს ჩემთვის პური და წყალი.

ერთხელ დილით ჩემი ყარები ვაიღო უჩვეუ-ლო დროს. მობრძანდა გენერალი სტრეპალოვი, რომელსაც, აგრეთვე, წინათ ვიცნობდი. მან თავი თავზიან კაცად დაიჭირა; რომ შემომხედა, ამოიოხრა, თვალზე ტრემლი მოადგა, შერე გამოკითხა ჟანმრთელობა, იმითაც დაინტერე-სდა, თუ როდის დაეტოვე რეველი, მაქვს თუ არა რაიმე ცნობა დედამისისგან და უოველივე ამის შერე, დამტოვა. იმპერატორი თვეში ერთ-ხელ პარტიკებთან გზავნიდა თავის გენერალ-ადიუტანტებს, ავალებდა მათ ერთვით პარტიკე-ბისათვის, რომ იმპერატორი ცხოველ მონაწი-ლეობას ღებულობს მათ ბედ-იღბალში. ამ საფა-რეულ ქვეშ იმალებოდა განზრახვა ვაფიქვთ პა-ტიმართა მრწამსს და შეხედულებები და იმავე დროს თვალის ახეხიათ ჩვენი საწყალი მშობლე-ბისათვის.

საქმელს გვაძლევდნენ საზოზარს. ჩვენს შე-სახსად ვაჩუთვნილ ფულს იზარავდნენ ციხის მსახურნი, ბებერი პლაც-მაიორის მეთაურობით. პარტიმართა ნაწილი ხმელ პერზე და ცარიელ

წყალზე იყო ბევრს ხელ-ფეხზე ბოტოვლენ-ელი. ეს იყო ბრძანება იმპერატორისა, რომელ-მაც საგამობიო კომიტეტის შემოქმედების მიხედვით, შემოიღო დიეტის რეგლამენტი და უარესა პარტიკების ისედაც მამივე პარტიკები.

სცადეს ჩვენი შორალური წამებაც. პარტიკე-ბი ღებულობდნენ სასოფარევეთლებით სავე წყრილებს თავიანთი უბედური მშობლებისა-გან, რომლებიც, გარეგნული მოქცევათ შორტუ-ებულნი, ხობტა-დიდებით იხსენიებდნენ ამ ადა-მიანის სულგრამლობას, რომელსაც არასოდეს არავისთვის არავითარი საამისო საფუძველი არ მიუცია. ერთ მღვდელს დაავისრეს აღერა ჩვენი გულში რელიგიური სასოება და მხენ-ობა; უფრო შერდა კი, აღსარების — ცოდვე-ბის აღიარების სერვილი. როცა ამ მღვდელმა კარვად ვაფიქვო, გამოგვიტყდა, თქვენს მიმართ შეცდომაში შემოყვანესო. სისხლმა, რომლითაც ჩვენი პროცესი დამთავრდა, ვაიოცა და აღა-მშოთა იგი. ბევრი პარტიკათაგანი დაავადმუ-ფდა, ზოგი კუთვე შეიშალა, ზოგმა სცადა თი-ვის მოკლა. პოლკოვნიკმა ბეტეროვმა შამში-ლობით შოიკლა თავი.

საბაშოში კომიტეტი

ამ კომიტეტში შედიოდნენ: საშხედრო მი-ნისტრი, გამოჩინებული ბერაკი, რომე-ლიც თავმჯდომარის საფარველზე იყდა; დიდი მთავარი მიხეილი, რომელიც ვახლდათ მსაჭე-ლი და მომასუხეც თავის საყუთარ საქმეზე, გენერალი დობინი, პრესიელი, რომელსაც ისე-ვე, როგორც ყველა სხვა უცხოელ ავანტურ-ისტს, იმპერატორი წყალობდა; გენერალი კუ-ნეცივი, ს-პეტერბურგის გენერალ-გუბერნა-ტორი; თავადი გოლიცინი, სასულიერო საქმე-თა მინისტრი; გენერლები პორტაოვი, ლევაშე-ვი და ჩერმინივი. კომიტეტის სხდომებს ესწრე-ბოდა იმპერატორის ადიუტანტი პოლკოვნიკი აბლერი, იჭერდა ყველაფერს, და უოველდე აწვდიდა ჩანაწერებს თავის ბატონს. ეს ინვე-ზიციური ტიპბუნალი იყრიბებოდა ს-პეტერ-ბურგის ციხის კომენდანტის სახლში. თავდა-ბრეველი კომიტეტის სხდომები იმართებოდა გვიან ღამით, ხოლო როცა მოითხოვეს ჩვენი საქმის დამთავრების დანჯარება, სხდომები ეწყობოდა დღისით და ღამითაც. როცა სხდო-მები ღამით იმართებოდა, მსაჭელბთან პარტი-კები მოყავდნენ, მარხვით და წამებთა შემუ-ხადებულნი. პლაც-მაიორი ან მისი ადიუტანტი შედიოდა პარტიკის საკანში და ვიდრე საკნიდან გარეთ გამოვიდოდნენ, პარტიკარს სახეზე აფა-რებდა საბურავს, ხელზე ხელს კიდებდა, საზე-იმო ცერემონიათ მყავდა დერეფნებში და ციხის ვალსახველებზე. პარტიკარს სახეზე სა-ბურავი გასწვრივდებოდა მხოლოდ ძალზე გაჩიარდ-ნებულ დარბაზში, სადაც კომიტეტის სხდომები მიმდინარეობდა; სასახლის კარის მსახურნი,

მზინავე მენდარებში, გონზე მოსვლას არ აცლიდნენ, ისე აყრიდნენ პატიმარს სამკვდრო-სასიცოცხლო კითხვებს და მოითხოვდნენ სწრაფ და კატეგორიულ პასუხებს ფაქტებზე, რომელთა შესახებ დასაკითხმა ჰაროენებამ აბსოლუტურად არაფერი იცოდა.

ასეთი რთული საქმის ხვეულებში კომიტეტის გზისგამკვლევ ძაფად ჰქონდა ორი დაბეზულება: შერჩედისა და მიიზორთდასი, აგრეთვე, ბრალდებულთა სახლებში ჩხრეკის დროს წამოღებულა ქალადლები. ამრიგად, იმათ ხელში აღმოჩნდა ჩემი ამის მიერ შედგენილი კონსტიტუციის პროექტი. უფრო აწელი შეიქნა ხელში ჩაეადლოთ კონსტიტუციის პროექტი პესტელისა, რომელმაც იმდენი სიფრთხილე გამოიჩინა, ოთხ ფაულ ადვილას შეინახა თავისი ნამუშევარი, რომელსაც რამდენიმე წელი მოანდომა, სწორედ მაიზორთდა ვაზლდათ, რომელმაც ეს ადგილი დაასახელა. სამხრეთული საზოგადოების ერთ-ერთი წევრი ლატენიკოვი, რომელმაც კონსტიტუციის პროექტი ვადაშალა, გამწესებულ იქნა ჯარისკაცად.

ეს საიდუმლო კომიტეტი, როგორც იგი თავის თავს უწოდებდა, არსებობდა წარმოადგენდა საანგეზიციო ტრიბუნალს, რომელიც არ სარგებლობდა პატივისცემით, არ გააჩნდა პეშანური გულახმჩერება, მართლმსაჯულების ნიშანწყალ, მიუყვარაობა და კანონების საფუძვლიანი ცოდნა. კომიტეტს მოსვენებას არ აძლევდა ერთადერთი აზრი—რაც შეიძლება, მალე გადაეწვიტა დაკისრებული ამოცანა; ამიტომ მტყუნა და მართალი, დამნაშავე და უდანაშაულო ერთმანეთში ატრია, რომ საქმე მალე დაეკრებოდა და საქმის დაჭარბება თავის დასახრებად ჩაეთვალა. მეფის სასახლის ვერცერთი მსახურს, რომელთა ერთადერთი მიზანი თავისი პატიონის გულის მოგება იყო, ვერ წარმოედგინა, თუ შეიძლებოდა არსებობა პოლიტიკური აზრისა, რომელიც მათი აზრისაგან განსხვავებული იქნებოდა, და ესენი იყვნენ ჩვენი მსყარმდებელნი. ჩვენდამი უსასტიკესი დამოკიდებულებით, განსაკუთრებით, გამორჩეოდნენ ჩერნიშევი და ლევაშევი: უსათიერსად ჩვენს დაკითხვას ხან ერთი ეწეოდა, ხან მეორე. მათ უველა საშუალება მისაღებად მიაჩნდით. გვემტკრებოდნენ—პირში წაგეყენებთ თანბრალდებულთ; გვიჩვენებდნენ უაღრ ჩვენებს, რომელნიც მათ არ მიუციათ. არა ერთხელ უდრათ დაერწმუნებოთ პატიმარი, რომ თქვენი უერთგულები შეგობარი უკვე გამოტყუა ყველაფერშიო, ასე დატანჯული, უმოწყალო და უბორო წამებისაგან გამოთავადებულ-გაქვავებული ბრალდებული თანმდებოდა ხელი მოეწერა ბრალდებაზე. სხდომათა დარბაზში შემოკვირდო ბრალდებულის მკვობარს არ შეეძლო კონტრხილყო და ელიარებია ის, რაც არ მომხდარა. ბრალდებულნი მებრეალედ ეხვეოდნენ

ერთმანეთს, რაც ძალიან მზიარულ გუნებაზე აყვენება კომიტეტის წევრებს. თუკი მხრელებულებს უკვე ხელი ჰქონდათ მოწინავე თავის სასიკვდილო განაჩენზე.

პატიმრობაში მორალურად წამდარი პოლიციური გვერტალური შტაბისა—ფალკენბერგი ისეთ უციოდრეს მდგომარეობამდე მიიყვანეს, რომ თავის თავს ბრალად დასდო ზრახვები, როგორც მას არასოდეს არ ჰქონია. ეს მისმა შეგობარმა, თავადმა ბარიატინსკიმ, მას სხარტი და ლოგიკური ფორმით დაუდტკიცა კომიტეტის წინაშე. კომიტეტმა მხედველობაში არ მიიღო ფალკენბერგის გონებრივი მოშლილობა, შეეპო მონანიებისათვის და დასჯის განაჩენი გამოუტანა. საზღვარსნო გვარდელი ეკიპაჟის ერთი ოფიცერი დიკოვი, რომელსაც, ის იყო, 19 წელი შეესრულდა, პატიმრობამ და სასტიკმა მოაყრობდა ისე გაამწარა, რომ თავის თავს ბრალად დასდო—საყრობილეთში მხოლოდ და მხოლოდ ერთსა და იმავე სიზმარს ვხედავ—როგორ ვუპირებ ხანჯლის ჩაეყმას იმპერატორს; კომიტეტს ვყო უსინდისობა შეეტანა ეს სიზმარი ბრალდების ერთერთ მუხლად. ეს იყო დიონისე სირაეუხელის მიერ დასჯილი მარსიასის სიზმარი, რომელიც მას დანაშაულად—მისი უდღებულესობის შეურაცხყოფად ჩაეთვალა. აქ მომყავს მხოლოდ ყველზე თვალსაჩინო ფაქტები. იყო შემთხვევები, როცა კომიტეტის წევრები გვეუბნებოდნენ თითქოსდა მიამიტრო სითამაშით: ამა, ჩქარა გამოტყუდი, ნუ გვაოდინებთ, სადილი გავგიციადებოო. უსიცხვილონი არაშალები!

კომიტეტი ყოველმხრივ ცდილობდა ჩვენ ყველას თავი გველორებია მუღის მკვლელებად, თუმცა საიდუმლო საზოგადოების არსებობის ითი წლის მანძილზე არავინ არ მომკვდარა ჩვენი ვასროლით. ეს გამოიწვევდა ვაკიცხვის ხალხის შხრით, რომელიც ისმენს, მაგრამ არ მსყელობს.

ჭკვით და ენერგიული ხასიათით ცნობილმა პოლიციემა დენინმა, რომლის მოსწრებული სიტყვა-პასუხი ხშირად კიტატებად მოყავდათ ხოლმე, როცა მას მეფის მკვლელობის ბრალდების შესახებ შეეკითხნენ, უპასუხა: „ბატონებო, საიდუმლო საზოგადოებას არასოდეს მიზნად არ დაუხახავს მეფის მოკლეა; მისი მიზანი უფრო კეთილშობილური და ამაღლებული იყო, თუმცა, როგორც თქვენი მოგვხსენებათ, ეს აბრს რუსეთში არ არის ახალი; ასეთი რამ სულ ახლა ხანს მოხდა:—კომიტეტის ორი წევრი ტატიშჩევი და კუბტუოვი, ერთი და მეორეც გარეული იყო პავლეს სისხლიან მკვლელობაში.“ პასუხი მოხდა მიზანში, და კომიტეტი შეეუბნებულა დარბაზს.

კომიტეტი გააფთრებით ცდილობდა, რათა ნიკიტა მურავიოვს ელიარებია, რომ ჩრდილოეთის საზოგადოებას სურდა რესპუბლიკის დამ-

ვარება. ნიკიტა შერაზეშვილი, რომელსაც არაქათი გადუქნა მათი დაქინებული მოთხოვნისგან, ასე უბასუხა: „კონსტიტუციის ჩემი პრაქტიკა, რომელიც ხელში ვიჭირებ, მონარქიული, მაგრამ თუ მინცდამინც განიტერგებთ, გეტყვი, რომ ამ საკითხზე მეშინება ჩემში განამტკიცა ის მიმართულება, რომელიც ჩემს პოლიტიკურ იდეებს თავიდანვე ჰქონდა და ახლა ხმაყალია ვაცხადებ, რომ საქმით და შრწამსით მე ვარ რესპუბლიკელი“. კომიტეტი მიხედვით, რომ თავისი უსარგებლოება თვითონ მან უკიდურეს სახეობაზე მიიყვანა.

როგორც კი პარტიის საკანში დაბრუნდებოდა, მის სანახავად მღვდელი მოდიოდა. კომიტეტის წევრებ სახელგადაცხილი წევრები თავს ირთობდნენ მისტიფიკაციით. სხვა ბრალდებულთა შორის იყო კაპიტანი გორსკი, როცა მას ჰქონებოდა, დაასახელები მიხეზები, რომლებმაც გაიძულათ საიდუმლო საზოგადოებაში შესვლა, მან უბასუხა: „მხოლოდ და მხოლოდ შოდის იყოლის სურვილშია ბოლოს, გათამაშდა კომიტეტი სცენებიც, ასე, მაგალითად, როცა ბრწუნივალე ქუჩის ადამიანი მთორი რავეცი გერმანულზე ლაპარაკობდა, დიხიჩი ცქმტავდა თავის საჯაროებში, ხოლო გოტი თავისი გოტეცკელი მიხვარაჰობრით ისე გაშავებებით ხტოდა რავეციის ახლოს, რომ ამ უქანსკენს ხარხარი აფერადა. თავადი შახოვეცი არაფერში არ გამოტახილა, მიხეზდავად ამისა, მას მინც გადასახლება მიუხავეს. ჩერნიშვიის შერ დაცი-თხელი პოლოცენიკი ვრახე, თავისი კეთილშობილი ხასიათით ცნობილი ოფიცერი, ჩერნიშვილიან ერთად მივიდა მოსამართლესთან და ვანუცხადა: 1812 წლის ლაშქრობის დროს ამაოდ ვარწმუნებდა ჩერნიშვიის მტერთან ერთად შეტავების დროს თავის რაზმით შემოერთებოდა ჩემს რაზმს, და რადგან ჩერნიშვილი არ მოინსურვა ჩემთან ერთად გაეზარებინა ბრძოლის სადრთხე თუ ხიფათი, მე მას უხეზად მოვეპყარი, — მევახე სიტყვებით შევაპყო.

გრადი ზაქარია ჩერნიშვილი დასავეს მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ ატარებდა იმავე ვეარს, რა ვეარსაც მისი მსაველი. ვრახ ზაქარიას პაპამ დააარსა მინშენლოვანი მთორატაკომიტეტის წევრს გენერალ ზერნიშოვეს, რომელსაც არავითარი ნათესაობა არ ჰქონია — მთორატაკი დამარტებულ მარზალთან, ვყო უნაშესობას პრეტენზია განეცხადებოდა მთორატაკე და შეეცადა დასავეთრებოდა ამ ოჯახის ქონებას, რომელიც მისთვის ყოველმხრივ უცხო ოჯახი იყო. მრავალი კომპრომენტარტებული პირისათვის, რომლებიც საიდუმლო საზოგადოების წევრები იყვნენ, არც კი დაუყოფნებოდა; დაუყოფნებოდა ღარჩინე: ვენერალი შოპოვი, პავლე პეტრელი გულითადი მეგობარი, ალექსანდრე შიშოვი, თ-დე ლოპუხინი, თ-დე ილია დოლოგორტი, რომელიც ჩრდილოეთური საზოგადოების

ხელმძღვანელი იყო, იმპერატორის იდეტანტი — გრადი ვინგენშტეინი. ვენერალე მხაველ ორლოვი, საიდუმლო საზოგადოებლის ქრთხეტი პირველი დამარტებელი, დაამატმარტეს, ს— პეტრებურჯის ცხეში ჩამაწყდიეს, ხოლო შერე განათავისუფლდა.

1825 წლის 17 დეკემბერს დანიშნული საგამოძიებო კომიტეტი დაეყოვნებოდა შეუდგა სხდომებს, რომლებიც 1826 წლის 30 მაისს დაამთავრა, და მთელი ეს საქმე ვადასა ეშალეს სასამართლოს, რომელმაც თავის მხართ საქმე დაასარტა მთელი შესალეპელი სისწრაფით, რადგან სჯიდა და განაჩენი ვამოქონდა ისე, რომ არც ერთ ჩვენთავანისთვის არ მოესმენია, არც ერთი არ უნახავს.

ჩვენი კეთილშობილი ამხანაგებიდან ხუთნი — სერგეი შერაზეშვილი-ამოსტოლი, პავლე პეტრელი, კონდრატ რილევი, მიხეილ პეტრევე-რიშმინი და კახოვეცი, რომელთაც შუის კვირით დასჯა მიუხავეს, დაილტუნენ არა შუის კვირით, არამედ თოკით ძელზე ჩამოვიდეს; ოც კატეგორიად დაყოფილ ასოცდაერთ ბრალდებულს მიუხავეს საკატორლო სამეშაოები მთელი სიცოცხლის მინძილზე ან სამუდამო ვადასახლება.

ვანჩენი შესრულდა მისი წაყოფიდან 24 საათზე ნაკლებ ვადაში.

ბანახინი

1826 წლის 12 ივლისს დილით სასახლის ექიმავებში, ოოლესსაც კავალერგარდოთა ვსკადრონი ბაღრავობდა, მივევივანეს ციხის კომენდანტის შენობაში, სადაც მოთავსებული იყო უშალესი სასამართლო. კატეგორიების მიხედვით ჩვენ სხედასახე ოთახებში მოგვთავსეს; შერე შევევივანეს გრძელ დარბაზში, სადაც ნაოსებური ფორმით მავიდეებს შუოს-სხდომოდნენ ჩვენი მსაველნი, რომლებიც ჩვენ მაშინ პირველად ეხილეთ; ეს ვახლათ ვეელებე დამალონებული შერებობა, როგორიც კი შვილებმა წარმოედგინათ, — აქ იყვნენ არტივებისკოპონები, ხნიერი სამხედრო პირები, ძველი სენატორები. სახელმწიფო მდიონმა შალელი ხმით ვანჩენი წაყოფნა, ამის შერე, ჩვენ, სალდათებით ვარემოცულნი, სავენებში მოგვთავსეს.

ბნელი ღამე ხელს უწყობს ბორბოქმედებას, — 1826 წლის 13 ივლისს ნაშუადამივის ორ საათზე ვანჩენი შესრულდა. მიხეზდავად საიდუმლოებისა, რომლითაც სურდათ იგი ვარემოცული ყოფილიყო, ვანჩენის აღსრულები-სას აფარება ხალხში შოოფარა თიკი მოედანდა.

ჩვენ კი ვექონდა ბედნიერება 24 საათის ვან-შეკობაში შეორედ გვენახა ერთმანეთი. ღმერთი მაღალი რა მღელვარება არ ვანეიცადეთ, როცა ხელახლა ვიპოვეთ, ვინ ძმა, ვინ მეგობარი და ამხანაგი, ვეხეოდით ერთმანეთს: მე მელავებში ჩავევარდი ჩემს ძმას, და მან

როცა დამინება, შემომხება: „შენც, ჩემო ძვირფასო ალექსანდრე, შენც მოგისაგეს ჩვენთან ერთად დაღუპე“, ჩვენ მიგვიყვანეს შოედანზე, რომელიც გარს ეტრია ციხეს, სადაც ოთხეულები დადგნულნი იყვნენ გვარდიული პოლკები; ერთ-ერთი ბასტიონზე მოჩანდა სახარბო-ბელა ხეთი მარჯუეთანი თოკით. ყველას, ვისაც მუნდირი ეცვა, გახადეს მუნდირი და კოცონში გადასროლეს. ჩვენს თავებს ზემოთ წუხე გადამტერიეს ხმლები, ზოლო ისინი ვისაც პოსტილით უბრალო ხალათი გვეცვა, უკანვე საკანში წავიყვანეს. სწორედ იმ წუთებში, როცა ჩვენ მოედანს ვტოვებდით, ჩამოხარჩვეს ჩვენი ზეთი წამებული ამხანავი. მათ გამოისყიდეს თვითმპყრობლობისათვის ყველაზე საძლეელი დანაშაული — ახალი იდეების აღმტრელი და გამაყრცელებელთა დანაშაული. და ისინი უსასტიკესად დასაჯეს კიდევ. ამ კეთილშობილ მსხვერპლთაგან ოროსერგეი მურავიოვი-აპოსტოლი და კონდრატ რილევო, როცა ფეხებზე ფიცარი გამოაცალეს, დიდი სიმაღლიდან ჩამოვარდნენ და კიდურები გადამტერიეს. სრულიად დასახიზრებულნი მერე ჩამოვარდნენ. იმათ, ვინც საგამოძიებო კომიტეტში შედიოდა, ფეთობით ახალი საქმეები შეადგინეს და ამისთვის ტიტულები და ქოლდობები მოიპოვეს, მოიპოვეს სისხლის ფასად. ჩვენი ზეთი წამებული ამხანავის გვაგები დარტულად დაკრძალეს წვეის ერთ-ერთ ენძელზე. სწორედ იმ წუთებში, როცა ჩვენს ამხანავებს სიყვლილით სჯიდნენ, ფედერეერი მიჭროდა ცარსკოვსკოსაყენ, სადაც ნიკოლოზი ელოდა ცნობას ამ ავბედითი აქტის განხორციელების შესახებ, რომ შემდეგ დაწოლილიყო და მშობელ ძილს მიესცოდა. ამ შავნელი დრამის ერთ-ერთი ძალზე შემაჩრუებელი მხარე ის იყო, რომ მოედანზე სასჯელს ესწრებოდა გენერალ-ადიუტანტი, რომელსაც ახლო შეგობრობა ჰქონდა პავლე პეტელოან, და შერაცცის, რომ ერთმა საწყალმა ლეიტენანტმა, უბრალო სალდათის შეილმა, რომელსაც წმ. გიორგის ქვარი ჰქონდა მიღებული, ბრძანება მიიღო მთედანზე დასასჯელად წაყვანა ზეთი სიყვლილ-მისჯილი, ამ ბრძანებაზე ამ კეთილშობილი გულის აღამიანმა უპასუხა: ამ ჩემი სიბერის წლებში ვერ გავხდები ქალთი აღამიანებისა, რომელსაც მე პატივის ვცემო, კავალერგარდის პოლკონიკმა გრაფმა ზემოემაე უარი თქვა სათავში ჩადგომოდა ესკადრონს, რომელიც დასჯა-წამებას უნდა დასწრებოდა. „ისინი ჩემი ამხანავები არიან და ვერ დავესწრებო“, — ასეთი იყო მისი პასუხი.

მოელი ძალღონით ცდილობდნენ ჩვენს დამცობას, მაგრამ ვერ შესძლეს. პოლიტიკური დასჯანი არასოდეს არ იქნება შემარცხვენილი აქტი დასჯილისათვის.

განაჩენის გამოტანის შემდეგ, მე მომათვეს

ციხის იმ ნაწილში, რომელსაც პეტრე მიტრე-ლის უხედური შვილის მოსაგონრად ალექსი რაველინი ეწოდება, ეს არის საწყუთხოველი. შენობა, ყოველი მხრიდან წყლით შემორტყმული.

დერეფნებისა და საკნებისგან შედგენილი სამკუთხედის შეაგულში გაშენებულია პატარა ბაღი, სადაც მოთავსებულია იმპერატრია ელისაბედისა და რახუშოვსკის ქალიშვილის — თავადის ქალის ტარაქანოვის სამარე. ეს ქალი ეკატერინე II მსხვერპლი გახდა: თავი დაიხრჩო თავის საკანში 1777 წლის დიდი წყალდიდობის დროს.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ციხეში მოიყვანეს ზოგიერთი ჩვენი ამხანავი, მე ისევე მომთავსეს იმპროვიზირებულ საკანში.

ბლუდოვი რომელსაც ვრადობა უბოძეს, იყო ჩვენი საქმეზე შედგენილი ანგარიშის რედაქტორი. ლიტერატურის ეს ზინებული ნიძეში, სადაც ფაქტები დამახინჯებულია, ერთადერთი მიხანს ისახავს — წარმოგვადგინოს ჩვენ ბრწყინვალე და არამზადებულ მიუხედველ დიდი გულმოდგინებისა, რომელიც მან ამ პაფლეტის რედაქტირობას მოახმარა, ბლუდოვმა ეს მარე ვერ მოახერხა.

შემდეგ იგი მრავალჯერ იქნა გამოცემული, რადგან ყველა ხარბად ეწაფებოდა ჩვენში ესოდენ უცნობი ახალი ფაქტების ვაცნობას — მთავრობა იძულებული გახდა აეკრძალა საგამოძიებო კომიტეტის მოხსენების გამოქვეყნება. რამდენიმე თვის წინ იგივე ბლუდოვი თამაშობდა ულტრალიბერალის როლს — ქალაქის სალონებში კითხულობდა პუშკინის მუხნებარე ლექსებს. სწორედ ეს ბლუდოვი დაინიშნა საგამოძიებო კომიტეტის მდივნად. მახსოვს, 14 დეკემბრამდე რამდენიმე დღით ადრე, დღემდე მემორალ იყენეს ისტორიოგრაფი კარაშინი, ვრადი პლეტერი და იგივე ბლუდოვი. ლაპარაკობდნენ დღის ახალ ამბებზე. — შებად სიოცარია, — თქვა ბლუდოვმა, — რომ უკვე ერთი თვე გავიდა, რაც ჩვენ უხელმწიფოდ ვართ და ყველაფერი სწორედ ისევე კარგად ან, ყოველ შემთხვევაში, სწორედ ისევე უტლად მიდის, როგორც წინათ, და ამასთან ბლუდოვმა დაიწყო სიცილი, როგორც ჩვეოდა მას, როცა ოხუენის როლს თამაშობდა.

გამოძიებისას გამართული კამათის დროს ზელმწიფემ რუსეთის შესახებ მოისმინა ბევრი სიმართლე და ბევრი წყაროლმანიც, რომლებიც მანამდე, როგორც ჩანს, მისთვის უცნობი რჩებოდა. საიდუმლო საზოგადოებას უნდა უმადლოდეს ჩვენი ქვეყანა, რომ გამოქვეყნდა კანონთა კრებული; რომ სალდათებს შეეძლო რღოთ სასამართლის ვადა, რომელიც მანამდე 25 წელიწადს შეადგენდა.

მეორეუნიც იცმა, რომელიც უხეად და უხომოდ ხდებოდა, ახლა უნაგარიშოდ არ ხდება. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია არ ვინანოთ, რომ

დავიდუშენით. ტანკით და განსაცდელით სა-
ესე ამ წუთისოფელში ჩვენ შევასრულეთ ჩვენი
ამოცანა. წამებულნი სასარგებლონი არიან ახა-
ლი იდეებისათვის. ყოველი დევნილი და და-
ჩაგრული ქვეშაობრებმა წარმოადგენს ძალას,
რომელიც თანდათან იზრდება და ელის ზემის,
რომელიც მზადდება.

1826 წლის 11 დეკემბერს, დამის 11 საათზე,
როცა ციხის და საკანთა კარები გამოკეტული
იყო, პლაცმითორმა და ადიუტანტმა საკომენდან-
ტო სახლის ერთ-ერთ ოთახში შეკრება ოთხი
სასჯელმისცელი პოლიტიკური დამნაშავე — ნი-
კიტა მურავიოვი, მისი ძმა ალექსანდრე მურა-
ვიოვი, ანენკოვი და ტორსონი, ჩვენ აღტაცებით
გადავხევიეთ ერთმანეთს. საკნებში ერთი წლის
პატიმრობამ იმდენად გამოგვეცვლა, რომ ვა-
მოუძინობი ვავხდით, რამდენიმე წაშლი ვაჩნდა
ძველი კომენდანტი, რომელმაც ბრაზიანი ხმით
გამოგვიცხადა — იმპერატორის ბრძანებით ხუ-
ნდებს დავადებენ და ისე ვავგზავნიან ციხი-
ბრში. კანონთა პირველ წიგნში მოთავსებული
კანონი ამბობს: ყოველი ახნაური დაუძლია
სხეულებრივი სასჯელისგან მამინაც, როცა სა-
სამართლოს პასუხისგებაში იმყოფება და სა-
სჯელის მისთვის შემდეგაც. აქრძალულია ვადასა-
ხლებამისიელი ახნაურის ვავგზავნა ბორჯილე-
ბით, რადგან ბორჯილიც შედის სხეულებრივ
სასჯელთა რიცხვში. კანონები, როგორც დავინა-
ხეთ, შეკრად სრულდებოდა ჩვენში, განსაყუ-
ბრებით იმ პირთა მიერ, რომლებიც ვალდებუ-
ლი იყვნენ თვალყური ედევნებინათ მათი შეს-
რულებისათვის. თითქმის არც ერთი დღე არ
ყოფილა ისეთი, რომ საცოდავი პოლიტიკელები
რომელიცდაწეულნი არ ვადავსახლებიათ ციხე-
ბრში. 1849 წელს ახალგაზრდები მხოლოდ
იმისთვის, რომ ვაჩრახებენ ჰქონდათ პროტესტი
ვანცხადებინათ თვითმპყრობელობის წინააღმ-
დეგ, ბორჯილებგაყრილნი ვადასახლებენ 7000 ვუ-
რსის სიმორჩეზე, სპეტერბურგიდან ნერჩინ-
სკში.

პლაცმითორმა დამინავი დამილით მოიტანა
ბორჯილებით სავსე ტომარა. ჩემი ძმა ძალზე
შეჭრწუნდა, როცა ჩემთან მოვიდნენ ბორჯილე-
ბის ვასაყრელად. საკომენდანტო სახლიდან ჩვენ
კიბზე დავეშვით ქვევით, ჩვენთვის უჩვეუ-
ლო ბორჯილთა ხმურით, ფელდეგერის და ენ-
დარმების თანხლებით. ყოველი ჩვენთავანი,
ენდარმთან ერთად, საფოსტო ფორანში ჩა-
ვდა, სწრაფად ვადავეყვეთ ქალაქი, სადაც ყო-
ველი ჩვენთავანი ღრმად დამწუხრებულ ოჯახს
სტოვებდა. დურთმა თავისი წყალობა არ მო-
კვალო, გვიბოძა ძალი და მხნეობა ვადაგვე-
ტანა ეს მძიმე განსაცდელი ღირსეულად და
გულდაშვლიდებით. ჩვენ არ ვკარგობდით არც
სიცოცხლე და არც ამ საშინელი ეკიპაჟის ბიძგებს.
რაც შეეხება ბორჯილებს, ჩვენ მათ ვატარებდით
სიამაჟის გრძნობით. მე კაბუჯი ბედნიერი ვი-

ყავი იმით, რომ ვიზიარებდი ჩემი კეთილშობი-
ლი ძმის ზედვრს.

ჩემი მდგომარეობა ისეთი ვაპლაცდა, რომ მს-
სმი იყო პოეზია. მე შეეძებლი მამს მიყენებდა
ყავი.

როცა პირველ საფოსტო სადგურს ნახვეარ
ვერსზე მივუახლოვდით, ფელდეგერის განკარ-
გულებით, ჩვენი ფორნები ვაიარეს, ხოლო
თვითონ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ვაიანდა
ფოსტის სახლისევე, საიდანაც მალე დაბრუნდა
თავისი ცხენებით.

ფელდეგერი მოქმედებდა მიღებული ბრძანე-
ბის შესაბამისად, მან გვმანით იცოდა, რომ სა-
დგურზე საცოდავი დედაჩემი ვეცილიდა, რათა
უქანასეველად გამოგვთხოვებოდა. მართლაც
საფოსტო სადგურის სახლში დავეხედნენ დედა-
ჩემი, ჩემი რძალი და მისი დაი ვრადინია სო-
ფიო ჩერნიშოვა. დედაჩემმა თავი დამიკრია და
ფელდეგერს ზეჟნა დაუწყო, ნება მომეციეთ
უქანასეველად გადავხევით შეილებსო, და ამა-
სთან საქმაოდ დიდი თანხა შესთავაზა, მაგრამ
აბაფერმა არ ვასტრა; ფელდეგერმა თქვა,
მე თვითონ ვევის თვალთ მიუტრუნენ, წესიე-
რად ვასრულებ თუ არა ზევილან მოცემულ
ბრძანებასო. მალე ფორნებში ცხენები შეაბენ.
ვანვარაქეთ ვხა. ასე ვაუუარეთ გვერდით დე-
დაჩემს, ჩემი ძმის ცოლს, და ვრადინია სო-
ფის. მათი ძახილი—მშვილობათ, მშვილობითო,
დღღბანს მომისმობდა. შემდეგ ჩვენ ენდარმი-
ბისავან შევიტყვეთ, რომ დედაჩემი, რომელიც
გვმანათ მიმხედარყო, რომ ჩვენ გვავგზავნიდნენ,
კომენდანტის სახლში მოსულა ბეკრად უფრო
ადრე, ვიდრე იქედან ჩვენი ვაპაზარება მოსდე-
ბოდა. კომენდანტს ფიციო ურწმუნებია დედა-
ჩემი, თითქმის ჩვენ უყვე ვაგავგზავრეს, მაგ-
რამ დედაჩემს ეშვი შეტრინია კომენდანტის სო-
ტყვის სიშართლეში და გამოშტრებულა პირვე-
ლი სადგურისაკენ.

იმის მიშით, რომ ჩვენს ვადასახლებას ქვეყნის
უურადლება არ მიეჭტია, პოლიტიკურ დამნა-
შავეებს ციხიბრში ვზავნიდნენ სხვადასხვა დროს
და სხვადასხვა გზით. ჩვენი ვხ ვადიოდა იარო-
სლავზე, კოსტრომანზე, ვიატკაზე, ვეატერინე-
ბურგზე, ომსკზე, კრასნოდარსკზე, ირუტსკზე.
ნება არავის ჰქონდა ჩვენთან მოსულიყო. 24
დღეს ბორჯილებით ვაიარეთ 6500 ვერსი. ვან-
კარგულემა იყო ვევიარა უციდურესი სისწრაფით,
მხედველობაში არ ყოფილა მიღებული ჩვენი
ქანმართელობის სავალალო მდგომარეობა, არც-
ერთ ჩვენთავანს გროში კაბიკი არ ვავეჩრნდა.
ხალხი ხედებოდა იმ საქმის სიდიადეს, რის-
თვისაც ჩვენ ვიტანჯებოდით, თუშეა ბორჯილე-
გაყრილები ვიყავით, ყველგან დიდი გულითა-
დობით ვავხედებოდნენ, თუკი ფელდეგერი ინე-
ბებდა, ჩვენ ვავევიადნენ მუქთად და უარს ამ-
ბობდნენ მიელით საზღაური მოთვრობის თანხი-
დან. სპეტერბურგის ახლო, ტიშინოში, წი-

ნაღმდევ ფელდეგერის განკარგულებისა, ხალხი ფეხზე მდგარი და ქუდმოსხილი გვისტრეებდა კეთილ და მშვიდობიან მგზავრობას. ასე მოხდა იაროსლავიც; ხოლო კოსტრომაში, სანამ ცხენებს გამოცვლიდნენ, ერთმა ახალგაზრდა კაცმა მისწრა-მისწრა გუშავებო, შემოიჭრა ოთახში, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, და გვიბრძანა: „ბატონებო, მომისმინეთ. თქვენ იტანჯებით უმშვენიერესი და უკეთილშობილესი საქმისათვის. თვით ციმბირშიც კი თქვენ თანავარძობით მივიღებდნენ“. ეს სიტყვები საამოდ მოგვეხვდა გულზე.

შობობებს, ნათესავებს, მეგობრებს მოწყვეტილი, ბორკილადებულნი, აჩხუბობის ყოველგვარ სიყელს და სიღამზეს მოკლებულნი, სიცივისგან გაწამებულნი, ჩქარო სვლისგან გატანჯულნი, რომლის საბოლოო მიზანი საკატარო სამუშაოები იყო, ჩვენ მაინც არ ვკარგავდით მზნეობას და ვეცაცობას. ჩვენი ყოფიპქვევა თვით ფელდეგერშიც კი იწვევდა ჩვენდამა პატრიისციემს.

საფსტრო ფორნებით ჩვენ გავიარეთ დაახლოებით 600 ვერსი. შემდეგ სამარხილვ გზა ვაიხსნა, და ჩვენც მარხილვში ჩავსვდით, როცა ომსკს მოვდღწვიეთ, ყინვამ სასტიკად მოუღიარა, რეომტრით ნულს ქვევით 40 გრადუსამდე დაიწია. სიცივისაგან განსაკუთრებით იტანჯებოდა ჩვენი იმხანაგი ანენკოვი, ქურჭი არ ჰქონდა. იგი ომსკში ვეყვიდეთ.

ჩვენი მოგზაურობის ყველა უსამოვნო ამბიდან ჩვენთვის განსაკუთრებით მძიმე ასატიანი იყო ფელდეგერის ბარბაროსობა, რომლის მოწმენი ჩვენ გავხდით. ის სასტიკად სცემდა ფოსტალიონებს და ტრანაზღებს, წვეგრებს დავაგლვ ამ არამზადებსო. თავისი ბარბაროსობის შემაერტოლებელ სანახაობას ფელდეგერი განსაკუთრებით მაშინ გვიჩვენებდა, როცა იძულებული ხდებოდა გადაეხადა საფოსტო ხარჯები. ჩვენი ჩინოვნიკების ზნისა და ჩვევების ერთგული ფელდეგერი ცდილობდა მიეთვისებია ფული, რომელიც მას საფოსტო ხარჯების დასაფარავად ეძლეოდა, თორმეტრ ცხენის შესანახი ხარჯი ს.პეტერბურგიდან ვიდრე ირუტკსამდე, საქმაოდ დარეგალებულ თამხას შეადგენდა. მთელ ამხელა გზაზე ჩვენ მხოლოდ ორჯერ შევიხვეწეთ რამდენიმე საათს, ერთი მეორის მიყოლებით, ერთხელ იმ მიზნების გამო, რომ სერიოზულად ავად გავვინდა ანენკოვი, მეორეჯერ, კი როდესაც საფსტრს მივადღწვიეთ, ჩემი ძმა უგრძნობლად დავარდა მიწაზე. ხშირად მარხილი გადაბრუნდებოდა ხოლმე და ჩვენც ბრკილებიანიად თოვლში ვკოტრილობოდით. ჩვენი იმხანა, რომ არც ერთხელ არ დავმეკებულვართ, არც დავმტრებულვართ და არც დავსამხრებულვართ ასეთი მგზავრობით. მიჩვევია საჭირო, რომ ატარო ბორკილები, ისე, რომ სხუელს ჭრილობა არ მიავენოს. ვაივდა გარკვეული დრო და ჩვენც ბორ-

კილებს ვატარებდით ელვგატრეი მოხდენილობით.

ირუტკსში მივედი და დაავადმყოფებულნი ქანცაწვევებილი და დაავადმყოფებულნი.

გზაზე ხშირად ვხვდებოდით გადასახლებულთა კოლონებს. საკატარო სამუშაოებზე ვაწესებულნი. საღდათებით გარშემორტყმულნი, მიაბეჭებდნენ ბორკილებიანი, ჩამომძინილი, ავადმყოფური სახით, გავედრებულნი. ხშირად მისცილებს უკან მიჰყვებოდა დედა საცოდავი პაწია ბავშვებით. ეს მეტად მძიმე, შემაერტუნებული სახანაობა იყო. ჩადენილ მეტწილ დანაშაულობათა სათავეა სამიკტრო, რომელიც მთავრობისთვის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. კანონი უძღვრია დაცვის უმავლედი. ეინი ბატონისა ან ხრეკი მოტრავისა, რომელიც დაინტერესებულია მოსკოვში ან პეტერბურგში მცხოვრები მებატონის მაშუღიდან გააქევის ის, ვინც მით ქურდობის და მძარცველობის მოწმე გამხდარა, — ღიბს, ეინი ბატონისა ან ხრეკი მოტრავისა სრულიად საკმაო იმისათვის, რომ ყმადლები მოსწყვეტონ დაბადების ადგილს და ყველა იმას, ვინც მას უუვარს ორ ასეთ შუმიხვევას ხშირად შეხედებით გადასახლებაში. ბატონებს ზოგჯერ საყვარლებად ჰყავთ უმა ქალები, და მათთან კავშირში შობილი ბავშვებო, კანონის ქალით, ითვლებიან ყმებად. რაგვსებო, რომელიც კომიტეტის წინაშე ამ ყმობა-მონობის იარეზზე ლაპარაკობდა, ასეთ ამბავს მოჰყვავროთმა შემამულემ, რომელიც მწვერებით ნადირობის დიდი მოყვარული იყო, თავისი სოფლის დედაყაცებს ჩამოურთავა ლეკვები, რომ მათ თავისი ძუძუს რძით გამოეკვებათ ისინი. რუსეთში მოხვედრილი ზანგი, თუ ზანგი ქალი, კანონით თავისუფალ ადამიანად არის გამოცხადებული. ამაში ნაყიდ და რუსეთში ჩამოყვანილ მამაკაცს თუ დედაყაცს კანონი თავისუფალ ადამიანად აღიარებს. კანონს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი საცოდავი თანამემამულეები ჰყავს დავიწყებული.

სავანებო აღმინისტრაციული სამმართველო (გადასახლებულთა პრიკანი), რომელიც ტობოლსკში იმყოფება, ამწესებს გადასახლებულებს ახალი მხრის სხვადასხვა ადგილებში, რომელია მკვიდრნი ისინი ხდებიან, მაგრამ სამიკტრო ხელს უშლის მათ ყეთილდღობას გადასახლებაში. მეტწილად რუსეთის საჰარობილებში ხანგრძლივი პტიმრობით დემორალიზებულნი, დანაშაულ ადგილამდე გრძელი გზის გაკლით მოქანცულნი და უოველმხრივ ილაგაწვევებილი ჩასელისთანავე იძულებული ხდებთან ესტემრონ სამიკტროს, სადაც ხვდებიან მთსაეთი გუბედურებულ ადამიანებს, რომლებიც კი თქმა უნდა, ახალ მოსულებს ვერ აყენებენ კეთილ გზაზე. ხდება ასეც: თუ ციმბირში გადასახლებულუ ყარგ ყოფიპქვივას და მტკიცე ხსისათს გამოიბენს, ყარგად მოეწყობა ხოლმე, ხოლო ზოგჯერათ

მდიდრდება კიდევ, ორივე წოდების და ორივე სქესის გადასახლებულთა რაოდენობა ყოველწლიურად 11 ათასიდან 12 ათასამდე აღწევს. ციმბირის ვრცელ ტერიტორიაზე აღრიცხულია ათასზე მეტი სულა (უცნაური სახელწოდება), რომლებიც ყმა-გლეხები არიან. ჩვენ წილად გვხვდა ბუნდოვანება გვეცხოვრა ისეთ ოლქში, სადაც ყმობა-მონობის მსენება არ იყო.

ინტანტანი

იანვრის პირველ რიცხვებში ჩვენ მივედით ირქუტსკის საპატიმროში. მას შემდეგ, რაც რამდენიმე გრძელ ეზოზე გავეტარეს, ფეხი შევდგი, ვრცელ ჩაბნელებულ და ვაბინძურებულ ოთახში, რომლის მთელი ავეჯი ერთი მაგიდონა და ერთი საწოლისაგან შედგებოდა. როცა კარების ჩასაკეტად ურდულები მისწიეს და დარაჯებით დაგვიყენეს, ღამე გავათიეთ ისე, რომ სიცვიისაგან ვჯანჯალუბდით. მეორე დღეს გენახულა საშოქალაქო გუბერნატორმა ზეიდელმა, რომელმაც პირველმა შეგვატყობინა ჩვენი ნათესაეების ამბავი, მას უკვე მიეღო მათგან წერილები, უსასტიკესი საიდუმლოებით გაჯემიხილა, რომ ჩვენ გვაგზავნიდნენ ბაიკალის გალმა.

მეორედ დასახლებულ ჩიტაში, რომელიც ირქუტსკიდან 800 ვერსის დაშორებით დ., ნერჩისკისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს, ჩვენ გვხვარალი ლიპარსკი დანიშნულმა ჩვენმა საპატიმრო საპატიმრო ციხის კომენდანტად; ომ სულ მოკლე ხანში ჩვენ გვალას ერთად მოგვიყვანინ თავს. ირქუტსკის ციხეში ყოფნის დროს ჩვენთან ყოველ დღე დადიოდა ციხის მთავარი უფროსი, მაგრამ ეს ჩვენ მდგომარეობას ვერ შევლოდა. ჩვენ გეტანჯავდა შიშნელი.

პატიმრობის დროს გარდახდილი ამბები ღრმად აღიბეჭდა მესხერებაში: არასოდეს არ დამავწყუნდება ის დღე, როცა ერთ-ერთმა ჩვენმა ყარაულმა ღრმად ამოიხზრა, რამაც საბაბი მოგვცა მასთან საუბარი გავცემა. — ეს იყო ყოფილი სემიონოვის პოლკის ვეტერანი, რომელსაც, ამ სახელოვან პოლკში მომხდარი აჯანყების გამო, მისჯილი ჰქონდა ჯარისკაცად სამსახური მთელ მის სიუცხელში. თვალეში ცრემლმორჩეული იგი გვიყვებოდა ამბებს ჩვენ ბიძაშვილ სერგეი შერაიოვ-ამოსტოლზე, რომელიც მისასეულის მეთაური იყო, აგრეთვე იმავე პოლკის სხვა ოფიცრებზე, რომლებიც ასევე საიდუმლო საზოგადოების ყოფილი წევრები იყვნენ.

კრიტიკოსის პირველი წიგნი

დღეს, როდესაც კარტველ კრიტიკოსთა ნაწერები სულ უფრო და უფრო სველტანინ კრებულებად იბეჭდება, — ამ მცირე მოცულობის, კონტად გამოცემულმა წიგნმა, შესაძლოა „მასშტაბურობით“ დაეადებულე ზოგიერთი შეიხველის ყურადღება ვერ მიიზიდოს. მაგრამ, რადგან წიგნები (ისევე როგორც ადამიანები!) მათთან შეხვედრისას კი არ ფასდებიან, არამედ დამშვიდობების შემდეგ — გვი ვარდოსანიძის წიგნს „სიტყუასა და ცხოვრებას“ არა ერთი მომხრე და დამფასებელი გამოუჩნდება.

როცა ამ მომკრო ზომის ნარკვეთა კრებულს ვადაკითხავ, ერთხელ კიდევ რწმუნდები, რომ ლიტერატურისმცოდნეობაში ზომა არა ყოფილა და ვერც იქნება ღირსების მთავარი მაჩვენებელი. გ. ვარდოსანიძის წიგნი პირველი გვერდიდან უკანასკნელამდე დაწერილია სადად, ნათლად და დამაყრებლად. ჩვენ შეძობვევითა როდი ჩამოვთვალეთ ეს თვისებები, რომლებიც ამ წიგნს ნამდვილად აქვს და რომლებიც ბოლო დროს საქმით იშვიათობად იქცა ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაში. უფრო სამწუხარო ისაა, რომ ეს ნიშნები, ბევრისთვის იმ სტერეოტიპულ ეპითეტად იქცა, რომელიც არის თუ არ არის, ეკუთვნის თუ არ ეკუთვნის, მაინც ხელგამოილად მიეწერება გასარჩევი თხზულების ავტორს.

გ. ვარდოსანიძე არ ვაგს რეცენზენტებს, რომლებიც სულ ალბან გაცნობილ საგნებზე წერენ და ვისთვისაც საგანთან ნაცნობობა მის შესახებ წერასთან ერთად იწყება. ჩანს, რომ სარეცენზიო წიგნში აღძრული ყველა საკითხი ავტორს არა მარტო საფუძვლიანად აქვს შესწავლილი, არამედ ღრმად ვანცდილი, ყოველმხრივ მოცემებული და უმრავლეს შემთხვევაში საკუთარი კუთხით დანახულიც. ეს გარემოება თავის კვალს ამჩნევს წიგნს და შემეცნებით ღირებულებასთან ერთად იმ სასურველ ღირსებებს სძენს, ურომლისოდაც ლიტერატურისმცოდნეობითი ანალიზი მოსაწყენ „იფილო-ბიფილოში“ ვადადის და უკვე თქმულის შეტაფრისტულ ვარიაციად ვაპილინება.

გვი ვარდოსანიძე. სიტყვა და ცხოვრება.
ნაკადული, 1964 წ.

ერთ-ერთი უპირველესი ღირსება, რომელიც ამ წიგნს ვაჩინია, ესაა მხატვრული ლიტერატურის ზოგადი პრობლემების, მისი საერთო კანონზომიერების სწორად გაშუქების უნარი და ცალკეული მხატვრული ნაწარმოების ან ცალკეული შემოქმედებითი პიროვნების კონკრეტული იდეურ-მხატვრული ანალიზის ჩამოყალიბებული ჩვევა. ამ ორი მხარის შერწყმა კი ყველას როდი ძალუძს; სალიტერატურო კრიტიკის ისტორიაში მრავლადაა შემთხვევა, როცა ცნობილი ლიტერატორები, კონკრეტული მასალის ჩინებულ ანალიტიკებად გვევლინებიან, მაგრამ ცალკეულ მოწამეთა განზოგადებისას, მოვლენის ზოგად კანონზომიერებათა გარკვევისას სრულ უშეწყობას იჩენენ. ხდება პირიქითაც, როცა ესთეტიკისა და ლიტერატურის თეორიის ზოგადი პრობლემებით გართულ სპეციალისტებს ერთი მოთბობის ან ღუქის მხატვრული ანალიზი უფრო უპირთ, ვიდრე ურთულეს პრობლემებზე თეორიულ მანიპულაციებზე.

ამიტომ ლიტერატურისმცოდნის უნარი, უპირველეს ყოვლისა, იმით უნდა შეფასდეს, რამდენად ძალუძს მას ამ ორი ურთიერთდაკავშირებული მხარის — ანალიზისა და სინთეზის ერთდროული წარმოება.

თეორიული პრობლემის გაშუქების კარგ ნიმუშს წარმოადგენს წიგნის პირველი, ამასთან ყველაზე უფრო ვრცელი ნარკვევი — „შეწერლობის სიცოცხლე“. მართალია, მისი სათაური ცოტა „მხატვრულია“ და არცთუ კარგად გამოხატავს განმარტავდებული ხასიათის საინტერესო თეორიული წერილის ხასიათს, მაგრამ მასში მაინც კარგადაა გადმოცემული ის მთავარი, რაც შეწერლობის სასიცოცხლო ძარღვს წარმოადგენს. აღბათ, ამიტომ უწოდა ავტორმა ამ ნარკვევს „შეწერლობის სიცოცხლე“.

ავტორი თანმიმდევრობით ახასიათებს ეროვნული ფორმის რაობას, მის სპეციფიკას და შინაარსობრივ მომენტთან მიმართებას. იგი ჩერდება მოვლენის და მის შესახებ დავროვილ ლიტერატურის არა მარტო პოზიტიურ მხარეებზე, არამედ იმ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებზე (შეათლოლოგიური, ფაქტობრივი თუ სხვა ხასიათის), რაც დამახასიათებელია საგნის კვლევის წინარე ეტაპისათვის.

ასე, მაგალითად, იგი კარგად ააშკარავებს იმ ვულგარისტატორულ შეცდომებს (და აქედან გამომდინარე შედეგებს), რომლებიც ენის, როგორც ლიტერატურის ნაციონალური ფორმის ერთ-ერთი კომპონენტის (ავტორის მის ელემენტს უწოდებს) საერთოდ, მთელ ნაციონალურ ფორმასთან გაიგივებამ გამოიწვია. წიგნის ავტორი კარგადაა ორიენტირებული საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობის უკანასკნელ მონაცემებში და დამაყრებლად ანალიზებს ცალკეული რუსი ლიტერატორების ნაშრომებს, მიძღვნილს საკვლევ პირობებში.

გ. ვარდოსანიძის მართებული შენიშვნით, „ენის განსაზღვრისათვის საკმარისი არ არის საერთო ენა. მას როგორღა შეიძლება, რომ მხოლოდ ენით განისაზღვროს ეროვნული ფორმა ლიტერატურისა, რომელიც სინამდვილის ასახვა მხატვრულ სახეებში, ვრძობად-შემცვენებით კატეგორიებში“.

ნარკვევის მომდევნო ქვეთავებში გ. ვარდოსანიძე ახერხებს მოკლედ, დაახასიათოს ნაციონალური ფორმის ის ელემენტები, რომლებიც ლიტერატურის მხატვრულ ფორმას ეროვნულ გარკვევლობას სქენენ და რომელთა შემწეობითაც ლიტერატურის ნაციონალური სპეციფიკა მკლავდება. ავტორი ამ მხრივ სავანებოდ ასხვავებს მხატვრულ ხასიათებს მხატვრული სახეებისაგან, და ეს უდაოდ სწორია.

მართალია, აღნიშნული ხასიათი იგივე მხატვრული სახეა, მაგრამ ლიტერატურისათვის, როგორც „დამიანთმკლენობისათვის“ მხატვრული ხასიათები იმდენად მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენენ, რომ სავსებით მართებულ და აქტუალურია მათი გამოყოფა-განცალკევება საერთოდ მხატვრული ხასიათთან (როგორც გვაროვნული ცნებისაგან), რომელიც თავის მხრივ შეიძლება გამოხატავდეს ორგანულ სამყაროსაც, უსულო ნივთსაც და გარკვეულ სიტუაციასაც. ვარდა ამისა მხატვრული ხასიათი ხასიათების ცალკე გამოყოფა იმ მხრივაც გამართლებელია, რომ ამით კიდევ უფრო შესტილ იყვითება ის ორი ბერკე, რომლებსაც უოველი მხატვრული ქმნილება ეყრდნობა — ხასიათები და სიტუაციები — რომელთა სიმართლე, დეტალების სიმართლესთან ერთად, ენველისეული ფორმების თანახმად, რვალიზმს განაპირობებს.

ავტორი არ იზღუდება ამ ორი კომპონენტით და ეროვნული სპეციფიკის გამოვლენების სხვა ფორმებს, საშუალებებსა და წყაროებსაც ხედავს. იგი სწორად მიუთითებს, რომ „ეროვნული სპეციფიკა ზოგჯერ ელონდება მხატვრული სახე-ხასიათის სრულიად შეუნიშნავ ნიუანსში, ფაქტურად წერილობრივ, სრულიად უნიშვნელო დეტალებშიც“.

ავტორი აქვს და შემდეგშიც არ ცალკობის საკვლევი ობიექტისადმი ისტორიკულ-მეტაფორის პრინციპს და ყოველთვის მხარს უჭერს მხატვრულ მოვლენას, როგორც ისტორიული კატეგორია, ნათელეს მისი შინაგანი გეოლოგიისა და ამ ხერხით სავანი გვიანების მის რველტურ ვანეთაარებაში, ე. ა. დიალექტიკურად. ყოველზე ამის საფუძველზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ავტორი მტკიცედ ღვას სოციოლიტური რეალიზმის, როგორც მხატვრული ლიტერატურისა და სალიტერატურო კრიტიკის შემოქმედებითი მეთოდის მკვიდრ საფუძველზე და იყენებს ამ მეთოდის სახელმძღვანელო პრინციპებს კონკრეტული ანალიზის უველა შემთხვევაში.

სავსებით მართალია გ. ვარდოსანიძე, როცა ლიტერატურის ეროვნული სპეციფიკის გაღწევა-გამოვლიდრებას ერთერთი უმნიშვნელოვანეს ფაქტორად სხვდასხვა ხალხთა ურთიერთ დაახლოება და მათი კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობანი მიაჩნია. მართლაც, ლიტერატურული ურთიერთშემოქმედება და ურთიერთგავლენა (და არა ცალმხრივი „გავლენა“, როგორცად არასწორად მიაჩნია ზოგიერთს) ის მძლავრი და ქმედითი საშუალებაა, რომელიც ყოველი ხალხის ლიტერატურას მსოფლიო მხატვრული აზროვნების სიახლეს აზიარებს და ამით კიდევ უფრო ავლიდრებს მის შემოქმედებით სავანერსაც, მხატვრულ ასახველობით ხერხების არსენალსაც და სტილურ-ენობრივ რესურსებსაც. ამ მხრივ ავტორის დაკვირვებანი უთუოდ სწორია.

კონკრეტული მასლის განხილვისას ავტორი გვიჩვენებს არა მარტო რუსულ ლიტერატურისთან კავშირის კეთილსმყოფელ მნიშვნელობას ქართული მწერლობისათვის, არამედ პირველ, ქართული კულტურის (როგორც მხატვრული, ისე სულიერის) როლს რუსული ლიტერატურის განვითარებისათვის.

წიგნში კარგადაა გამოქვეყნული ბერკუზაიული (და საერთოდ ელსობრივ) საზოგადოებაში ორი კულტურის არსებობის საკითხი და კულტურის გარდელად შეზღუდულობა „ბერკუზაიულ საზოგადოებაში, — წერს გ. ვარდოსანიძე, — ერი ქმნის ორ კულტურას: ბერკუზაიულს და პარალელურს, სოციალისტურს. ორივე ამ კულტურის ფორმები ეროვნულია, მაგრამ თვითველ მათგანს გააჩნია შინაარსის შესატყვისი თავისებურება. უფრო მეტიც, ეროვნული ფორმები ეხამებთან შინაარსს, დგებიან მის საშასატურს, მიგვიოთებენ შინაარსის ხასიათზე“.

ამ მართებულ თეზისში განსაკუთრებით საინტერესოდ ეღერს „ორი კულტურის“ შიერ ეროვნულ ფორმათა უტილიტარული გამოყენების პირობებმა, რის შედეგადაც ნაციონა-

ღუჩო ფორმა და მისი კომპონენტები — „უხამებთან შინაარსს, დეკლარაციას მის სამსახურში“.

აქვე გვინდა გამოვთქვათ სურვილი, რომ ეს თეზისი უფრო უკეთ განივრცოს და, მაშასადამე, დასაბუთდეს კონკრეტული მაგალითებით, რათა მდიდარმა საილუსტრაციო მასალამ უფრო ღრმად ჩაგვახედოს ამ საინტერესო მოვლენის ფარულ შექანინებში — ეროვნული ფორმების ელასობრივ ანოცანათა სამსახურში ჩადგომის პროცესში, რაც ჯერ კიდევ ვერა და ზენი ლიტერატურისმცოდნეობის შიგნით სრულიად ნიუტონური იყო. ერთი ანდაზისა არ იყოს — „ძმით შეშინებული დოს უბრაუდლო“ — ჩვენც ასე დავგეგმართავთ: ვუღვარავთ სოციოლოგიასთან ბრძოლამ ისე გავგვარავთ, რომ თითქმის მთლიანად ავჯავებინა ხელი სოციოლოგიაზე საერთოდ, რის გამოც ზოგიერთი ზენი ლიტერატურისმცოდნე მეორე უკიდურესობაში გადავარდა და არსებითად, ე. წ. „ერთიანი ნავადის“ პოზიციებზე აღმოჩნდა. ვფიქრობთ, რომ გ. ვარდოსანიძის შიგნით ამ საინტერესო საკითხის ასეთი კუთხითი გაშუქება ზენი შეუწყობს ანტიკონსტრუქციულ საზოგადოებათა ლიტერატურის შესწავლისას (ასეთია კერძოდ, რევოლუციამდელი ქართული და სხვა მოძვე ხალხთა შექრობა), ელასობრივი და ეროვნული მომენტების ურთიერთმიმართების საკითხებისადმი ინტერესის ზედალმა გაღვიძებამ.

შეპირისპირების გზით ავტორი ცხადყოფს სოციალისტური კულტურის სრულ განსხვავებულობას ბერძენაზიელისაგან. უნდა ითქვას, რომ გ. ვარდოსანიძის წიგნის ერთი ღირსება ისაა, რომ, ეთანხმები თუ არ ეთანხმები მასში გამოთქმულ დებულებას, იგი უკიდურესი გასაგებობით გამოირჩევა, და ეს სტრუქტურის სინათლე ყველა შემთხვევაში ვიადვილებს გარკვევას იმისას, თუ რაში ეთანხმები და რაში არ ეთანხმები ავტორს.

აი, მაგალითად, რა გასაგებად სვამს ავტორი რთულ კითხვას და რა გარკვეულობით პასუხობს მასზე: „...რათი ლიტერატურისა და ზელოვნების შინაარსი ეროვნულია, ნიშნავს თუ არა ეს, რომ საბჭოთა ლიტერატურის და ზელოვნების ქმნილებებში აღარ რჩება ადგილი სოციალისტური შინაარსისათვის?“

პასუხი: „ეროვნული და სოციალისტური შინაარსი არ შეიძლება გავიგოთ როგორც ერთმანეთისადმი დაპირისპირებული. სოციალისტური შინაარსი თავის თავში ითავსებს ეროვნულ შინაარსს. ეროვნული და სოციალისტური შინაარსის ერთობაშია საბჭოთა კულტურის ძალა და ცხოველყოფილობა“. შესაძლოა, ავტორის ეს ან სხვა რომელიმე დებულება ვინმესთვის მოლიანდ თუ ნაწილობრივ სადავო, ან საჭოჭმანო იყოს (ასეთია, მაგალითად, აზრი, ვითომც ეროვნული კულტურის გათიშულობის პირო-

ბებში შეუძლებელი ხდება საერთო მარხების, ამოცანების და შინაარსის არსებობა, გვერდობით, რომ ზოგიერთ მომენტზე, მაგალითად, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პირობებში ერთი ერთი „ორი კულტურა“ ხშირად სოლიდარული ხდება და თმცა დროებით, მაგრამ მაინც ერთი მიზნისკენ ისწრაფვის), მაგრამ ზოგიერთ ავტორისაგან განსხვავებით, რომელთა ნაწერებიდან ვერ ვაიგებთ რას ამბობენ, რისკენ ისწრაფვიან, ან რას ამტკიცებენ, ე. ვარდოსანიძე ნათლად გამოდგვეს თავის შეხედულებაში.

ზოგადი პრობლემატიკისადმი მიძღვნილი წერილებიდან არა ნაკლებ საინტერესოა ნაშრომი „სინამდვილე და ნარკვევი“. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ლიტერატურა ნარკვევს უაღრესად ბასრ და ქმედით იარაღად თვლის, საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობამ ჯერაც ვერ მოგვცა ამ აქტუალური თანხის სრული განსაზღვრა-დახასიათება, მისი ნიშანთვისებების ღრმა ჩვენება, მისი ქანრული სპეციფიკის დადგენა.

ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში თითქმის არა გვაქვს სერიოზული შრომები ნარკვევის თეორიის და პრაქტიკის შესახებ. ამიტომ გ. ვარდოსანიძის საინტერესო, კვლევითი ხასიათის ნაშრომი საყურადღებოა და რაც შეეძლება გვექნება ასეთი დაკვირვებული მსჯელოა ნარკვევზე, მის როლსა და სპეციფიკაზე, დანიშნულებასა და მხატვრულ რაობაზე. მით უფრო სასარგებლო იქნება ეს საქმისათვის.

უდავოდ შართალია გ. ვარდოსანიძე, როცა წერს: „საზიანოა მწერალთა ერთი აწილის აღმაცერია დამოკიდებულება ნარკვევისადმი. ნარკვევს ჩვენში დღემდე არ თვლიან სრულფასოვან მხატვრულ ქანრად. საყენებით მცდარად და საზიანოდ ხშირად მას ინფორმაციისა და ილუსტრაციის როლს ავიხრებენ“. ავტორი მოკლედ ეხება იმ საკითხებს, რომელნიც ნარკვევის ილუერ-შინაარსობრივ ტყუადობას და მხატვრულ ზარისხს განაპირობებენ (კონფლიქტების ჩვენების საჭიროება, ტიპიზაცია, კომპოზიცია, ფაქტოლოგია და სხვა). იგი განსაკუთრებით ზერდება ტიპიზაციის პრობლემაზე ნარკვევში და ასეთ აზრს გამოთქვამს: „ხელოვნება სრულიადც არ არის ისეთი ისარე, რომელშიც უცვლელად და უკვლევად ითავსება მის წინ მდგომი ყველა სავანი. რეალისტურ ხელოვნებაში მხატვრული განზოგადება მოთავარი მოთხოვნაა. მწერლის ძალა და ტალანტი არსებითად ტიპიზაციაში მდლანდება. ეს მოთხოვნები ნარკვევისათვისაც სავალდებულოა“.

წიგნის ამ ქვეთავთან დაკავშირებით გვინდა გამოვთქვათ სურვილი, რომ სტრ-

ღერი თვალსაზრისით კიდევ უფრო დაიხვეწოს დებულება, რომელიც ტიპიზაციას შეეხება, რათა მან არავითარი უხუსტობა არ გამოიწვიოს. კიდევ უფრო მეტთრად უნდა ითქვას, რომ მხატვრული განზოგადება, ჭერ კიდევ არ ნიშნავს ტიპიზაციას, ტიპიზაცია ორ მხარეს მოიცავს — მხატვრულ განზოგადებას და ინდივიდუალიზაციას. ეს ორი მომენტი ტიპიზირების დროს განუყრელია. მხოლოდ მათი ერთობლიობა და მთლიანობა იძლევა მხატვრულად ტიპიზირებად სურათს სინამდვილისას.

როგორც აღვნიშნეთ, სარეცენზო წიგნი შეიცავს არა მარტო თეორიულ ხასიათის წერილებს, არამედ კრიტიკულ ნარკვევებსაც. ისინი ეძლეება თანამედროვე ქართული მწერლობის ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებს, როგორც არიან ი. გრიშაშვილი, ირ. აბაშიძე, ს. ჩაქოვანი, ალ. შირცხელავა, კ. კვახაძე. ავტორი თავს არ იზღუდევს მხოლოდ ქართული ლიტერატურის წარმომადგენლებით და გეთავაზობს სტატიებს საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებლის მ. გორკის და ცნობილი რუსი საბჭოთა პროზაიკოსის ბ. გორბატოვის შესახებაც. ყო-

ველივე ეს მისი ლიტერატურული კრიტიკების სიღარბოვეზე მეტყველებს. **სარეცენზო** კრიტიკული ნარკვევები **შ. მამუკაშვილის** საგნის სიყვარულით. ამასთან, ავტორი მარტო პოზიტური მხარით როდია გატაცებული, საჭირო შემთხვევაში იგი მხაველ კრიტიკულ შენიშვნებსაც აკეთებს. გ. ვარდოსანიძის კრიტიკული წერილები, უმრავლეს შემთხვევაში, მოკლე, მაგრამ სხარტი და კონდენსირებულია. ისინი გაკვიანრებისა და მრავალსიტყვაობის გარეშე ახასიათებენ მოვლენას, წიგნს, მწერალს.

მართალია, წიგნში შეტანილი ვველი კრიტიკული წერილი არაა თანაბრადღმასოცანი, ერთნაირად პრობლემურია (ისინი მოცულობითაც საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან) და ორიოდე მათგანი, თუმცა კარგად დაწერილი, მაგრამ მაინც საგაზეთო რეცენზიის შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ უმრავლესობა სტატიებისა დასაბუთებულ კრიტიკულ ნარკვევებს წარმოადგენს.

გიორგი ციციშვილი

ივანე თარბას ახალი ლექსები

იფხავ პოეტებთან შეხვედრა ყოველთვის სასიხარულოა ქართველი მკითხველისათვის. და ეს იმიტომ, რომ საქართველოს ამ უღამაზესი კუთხის მკითხველს მკითხველისათვის მუდამ აქვთ რაღაც ახალი და საინტერესო. ამ პოეტების ხმა ყოველთვის გამოირჩევა განსაკუთრებული კოლორიტით და ისინი, როგორც წესი, მიჰყვებიან თავიანთი ხალხის თავისებურ და რომანტიკულ ტრადიციებს.

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ ახლახან გამოსცა შესანიშნავი იფხავი პოეტის ივანე თარბას ლექსების წიგნი „მთიდან მთაზე“. რა თქმა უნდა, უფრო ადვილია ისეთ კრებულზე საუბარი, რომელიც ცალკეული ციკლისაგან შედგება, ან რომელშიც ერთი რომელიმე თემა ჰარბობს. ეს კრებული მრავალფეროვანია თემატიკურად, შემადგენლობით.

კრებული იხსნება ლექსით „ბედაური“ (ინებო, ტრადიციამ და არაა შემთხვევითი, რომ იგი წიგნის პირველსავე გვერდზეა დაბეჭდილი)

არ აღავმო ბედაური
და არც ურჩად ათავხედო,
არ შევაზმო იგი ისე,
რომ თვალეში არ ჩახედო!
არ დაეთმო საჩირითოდ

ივანე თარბა, „მთიდან მთაზე“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1965.

უცხო მხედარს ურა ცხენი, —
უცებ უნდა გამოიცილოს
მან თავისი მხედრის ხელი!

იქა ბედაურის მოვლის წესიც და მხედრის ეთიკაც, ქროლვეც და ბნელი ღამეც, სიყვარულიც და შეტაკებაც. და რა სასიამოვნოა, რომ ასეთი გატაცების ლექსის გვერდით ვხვდებით აზრითა და ასოციაციებით დატვირთულ სტრიქონებს („მე დღესაც დარჩა“).

ამ ორ ლექსში ორი სხვადასხვა ტიპია, ორი სხვადასხვა ტემპერამენტი, ორი სხვადასხვაგვარი პოეტეცია. — პოეტი ამ ლექსში ამბობს, თუ ყოველი ვანვლილი დღე როგორ ტოვებს ჩვენში კვალს. ეს დღე სამაზსოვრო, შთამბეჭდავი რომ არ იყოს, შეზღუდული მინც დაემჩნევა, და ამ დღეს კაცი ვერასოდეს გეღარ შეხვედბა (ყოველივე ეს ლექსში უფრო ორიგინალურ სახეებშია გადმოცემული). ჩვენ აღვნიშნეთ ამ ლექსის საგულისხმო განსხვავება „ბედაურისაგან“, საილუსტრაციოდ მოიყვანათ ნაწივეტს:

ვეღარასოდეს ვეღარ შევხვდებით...
სამარადისოდ დამშორდა იგი,
სამარადისოდ... თუკი შემთხვევით
არ გამაზხვინებს ლექსი ან ღიქრი.
და მინდა ეკითხო, სანამ წასულა, —
რა შიაკვს ჩემგან, კარგი ან ცუდი.
და თუ კითხვაზე არ მიპასუხებს,
ეს ჩემთვის ხაზის გაღასმას უღრბს.

დღეა მსგელობას არა აქვს ფასი და ფასი მაშინ ეძლევა მხოლოდ, როცა ყელამდე საქმით ხარ სავსე და როცა ნამდვილ ცხოვრებით ცხოვრობ.

ეს ლექსი ნამდვილი საბჭოთა, ინტელიგენციის მორალია, რთული და თავისებური. მისი შედარება „ბედადური“ წევრ გვაძლევს პოეტის შემოქმედების ერთგვარ ვასალებს. „ბედადური“ უფრო ტემპერამენტია, ვაკეცური საწყისებიდან მომდინარე. ზემოთ ციტირებულ ლექსს კი უფრო ვაჩვენებ, ინტელექტი. — იგი ხაზს უსვამს ივანე თარბას პოეზიის უთუოდ სიახლით აღზვეული სხვა სათავეებს.

მაინც რა შეიძლება, რომ ამ კრებულის ძირითად მოტივად დავასახელოთ? წვენი აზრით, ამ ხასიათის წიგნში ასეთი მოტივის ძებნა ბელოვნიერი იქნება. აღმზიანის ცხოვრება ხომ მხოლოდ ერთი მოტივით არ ვაჩინავდნენ? პოეტის გველამარაყვება არა თავის ცალკეულ მიზანსწარადგენზე, ცალკეულ მიდრეკილებებზე, არამედ თავის თავზე საერთოდ. აქაა ცელი, როგორცაა შეუძლია თქვას:

ცას,
როგორც ზღაპრულ ტელესკოპს ვუშვებ.
წუხრი მიფრინავს
ფრთების სავსებით, —
და როგორც დევკვირს,
სამშობლოს გულზე
გაბრწყინებია ცისკრის ვარსკვლავი

იგივე კაცი სიხარულით გვიამბობს კორეული მითოლოგიის ჯადოსნურ რამზე, ერთგვარი იუმორით ჰაეუბა თავის ქორზე და შექმნებზე. წიგნში პოეტი ლაბირაუბს მათზე, ვინც „შრომაში იწვის ნიადაგ, თვითველ თავთავს თავზე გვლენა“; და იმათზეც, ვისაც „საყინებ ვაჭხსნა და სხვისი დაყინება ეხალსება“ ასეთი დამპირისპირების დროს პოეტი უღმობელია და პათეტიკური:

წვენი ძარღვი სისხლი ჩქეფს ვაკეცური,
შრომითვე ვიწროობთ ვაკეცურ იერს
ხოლო თუ სადმე არის აქსელი,
დე, მიწა ქამოს, პურის მავიერი!

პოეტი სამაგალითო მოქალაქეა და თუკი მას არ შეუძლია, გულგრილი დარჩეს თავისი მხარის მშვენიერი ვახაფხულის მიმართ, თუკი არ შეუძლია არ შეეხებუროს ახლად მოფრინალ მერცხალს, ასევე გვერდს ვერ იტყვის, ვერ უჩქმდება სხვადასხვა ხასიათის მავნი მოვლენებს, ავკაცობას, თაღლითობას, უსაქმრობას. ამ ხასიათის ლექსები კრებულში საკმაოდია („უსახელი მკრებელები“, „შეშეშვედრია ქვეყნად აგრადეა“, „შეილი კისერზე შეაქდა შამას“, „რატომ ვაერბი შობლიურ სოფელს“, „პური“, „დედა ავიდ არის ასე“).

„ზნითული კაბუკი“ ბალადაა, მასში პოეტი გვიამბობს პარტიზანებთან ვადასული მწყემსის ამბავს. კაბუკი მწყემსი მოქცეა ისე, რომ ვერ გვჩვენა იმ საქმის სიტუაციის მართა, რომლისთვისაც იბრძოდა და რომლისთვისაც ვასწირა თავი.

ეს ერთხელ დამით ვანგებია ტყვიამ, ზილიდან მოწყედა, როგორც შინარე, და შევერთოდა ზეობის წყვდიადს და სამუდამოდ ჩანთქა მდინარემ.

დაღუპული მწყემსის სახელიც კი არავინ იცის. ეს უთუთქავს გულს პოეტს და უსახტოდ დეკარგული გმირის ამბავს კითხულობს.

სად იყო უცნობ გმირის კერია?
სად დაიბადა, ნეტა, ვინ იცის?!
მისი სახელი არსად სწერია,
არსად დაუღვამო ქველი იმისი.

მდინარე ზნითა კაბუკის საუკუნო აყვანი და რომცისაც მზე „ჩახუდავს ზნითის ტალღების სარეცა“:

კალმახები წყალს იღმა ასპირან
გაუტეხელი სულის ვეუთებო,
და ქერეკეზე თითქოს აზნით
კაბუკი გმირის სისხლის წვეთები.

ესაა მშვენიერი ელგია, ისეთივე მოკრძალებული, რდვირიც საწყალი მწყემსის ცხოვრება იყო.

კრებულში ბევრია ისეთი ლექსი, რომელიც მკითხველს გულს მოსტაცებს თავის აღმზიანობით. აშკარად ჩანს, რომ იგი თარბა იმ პოეტთა რიცხვს არ ეკუთვნის, რომელთაც მხოლოდ ერთი მიზანი აქვთ — უტრიალონ თავის თავს, თავის ვაშოსახულებას, გააზნდეთ სხვებისათვის გაუგებელი — საუთარი სიმპათი-ანტიპათიები. იგი თარბა რეალისტი პოეტია და იმ ლექსებითაც კი, რომლებშიც მხოლოდ თავის სიტკივარს ამბობს, ერთგვარად აზლიდრებს მკითხველის შეშეცნებას. ზოგიერთი დაბლა აყუნებს ამა თუ იმ პოეტის შემკვიდრობას მხოლოდ იმიტომ, რომ ამ პოეტის შემოქმედებაში ახალთა ცხოვრების ყველა მოვლენა — ისეთებიც, რომლებშიც ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი არაა პოეტური აღმადრენისათვის (ეს რომ ასე არაა, ამას ამტკიცებს მთელი თაობები პოეტებისა).

ქვეყანაში, სადაც იგი თარბა ცხოვრობს, ხალხი პოეტს თვალს ადევნებს, როგორც იდეალურ აღმზიანს, მოქალაქეს. მას უნდა პოეტის ლექსებში ამოკითხოს თავისი ფიქრები; — იგი უფრო უფლებს პოეტს, რომ რაიმე ახალი ვაიკოს ცხოვრებაზე, ასეთი ხალხი მომბოვნიცა და დამჭერიც, და ვინა შეიძლება გულგრილად მოეყიდო მის ზრახვებს?



ივ. თარბა ჰუმანიტარული მამულიშვილია — მას არ შეუძლია გულწრფელად არ მიმართოს აღმამანებს:

იყავი მუდამ მიწასთან ახლო,
ის სამშვიდობოდ არის გაშლილი.
იყავი ფხიზლად, მსოფლიო ხალხო,
და გაუფრთხილდი მიწას ბავშვივით!

ივ. თარბას ამ კრებულში, ისევე, როგორც მთელ მის პოეზიაში, დიდი ადგილი აქვს დათმობილი ჩვენი ცხოვრების ძირითად სპირიტუალურ სკანდალს. რატომ წერს იგი მკუდრულზე, ჩაბეჭვზე, რატომ ეყამება სულმოკლე და უხელო აღმამანებს, რატომ იხსენებს ბზოფელ ქაბუცს? — ივანე თარბასათვის ყოველივე ეს სისხლბორცეულია, და განა ამისთვის არ ჰქვია მას პოეტი? განა შეიძლება ოსტატობა იყოს იქ, სადაც არაა სიმატლე, ცხოვრების კანონების ახსნის ცდა? სწორედ სიმატლე ხდის ეფემერულ ნაწარმოებად ივ. თარბას „ჩაბეჭვი“. იგონებს რა ფილმს ლეგენდარულ გმირზე, პოეტი ამბობს:

და მასსოც: ფილმის გმირებივით მტერს მიეკიდით,
გმირებთან ერთად გამარჯვების ზართა მრეკავი

და დარბაზიდან
ეკრანებზე ვადავლიოდით,
რადგან ცხოვრება იყო ეკრანი.

გვებჭინებოდა სული ყელში დიდებს თუ ბაღლებს
გვიხმობდა ფილმი სინამდვილედ
გადაქცეულ-
ისევ ებრძოდა ჩაბეჭვი ურალის ტალღებს
და ისევ ისე ეწეოდა ტყვია წყურული.

ამის შემდეგ პოეტი პათეტურად განაგრძობს:

ასე დაეცა ჩაბეჭვი გმირის სიკვდილით,
მაგრამ სიუცხლეს იწყებს თავიდან,
ურალი რაა, ვადალახა თვითონ სიკვდილიც
და უკვდავების შორ ნაპირზე ბრძოლით ივიდა.

...და ახლა პოეტს ახსენდება მუხომლის ბიჭი, რომელიც „იპირებოდა და დიდიდან კონოში იქდა“. ჩაბეჭვის სიკვდილი თითქოს არც სჭეროდა ბიჭს, მაგრამ ცრემლები მაინც ჩამოსდოდა თვალებიდან. ლექსის ბოლო სტროფში პოეტი ამბობს:

შინდა ისეთი ძალის იყოს ოსტატის წიგნი,
სიკვდილს თრეუნავდეს სიმატლით და
და როგორც ფილმმა მერხმლის სიკვდილს
ისეთი ცეცხლით აათრთოლოს ჩვენი გულები.

ივანე თარბას გულუბრყვილოდ როდი სცერა ცხოვრების სიყვითისა. მან იცის, რომ ყოველი აღმამანის ბედი ბრძოლაში იქედება:

მაკური კანონი ცხოვრებისა ვის ათამაშებს,
რომ შენ გუფეროს, დედასავით
მოგესათუთოს?
მამ, მედგარად დახვდი მოზღვაებულ დღეობა
ქარავნებს,
გაიხანგრძლივე ვაჟაკობით შენი საწუთრო.

ასე ეუბნება პოეტი მკითხველს და ეს სიმატრევის ფილოსოფია როდია; ეს არის მოძრაობისკენ, აქტიური არსებობისკენ მოწოდება. და მართლაც, აღმამანი ვუვლანე უფრო ლამაზი ბრძოლაგადახდლია. ცხოვრების პასიური მკერტეული არა თუ ვერ იქნება იდეალური აღმამანი, იგი ვერასოდეს განასახიერებს საზოგადოების ეთიკურ ნორმებს. ივ. თარბას პუბლიცისტიკა თქვას ეს სიმატლე. პოეტს აქვს ჩამოყალიბებული და მკვეთრად გამოკვეთილი „შე“. ეს „შე“, ჩვენი აზრით, უფრო სრულყოფილად მოჩანს ლექსებში „ბედაური“, „ამ დღესაც დარჩა“, „სიტყვა“, „ეს ცა“, „გზაზე ხელხელი“, „ხალხი“, „ზღვას“, „ჩაბეჭვი“, „სტუმრად რასულთან“, „ჭირი“, „შე შეშველური ქვეყნად იგრედაც“, „ბზოფელი ქაბუცი“, „პერი“, „პოეზია“.

თარგმნილი ლექსების შეფასებისას აღმამანი ადვილად შეიძლება შეცდეს. ზოგჯერ დედანია უკეთესი, ზოგჯერ მთარგმნელები „აქეთებენ“ — არც დაკლება და მიმატებაა გამორიცხული. (ვატყობთ, ერთი ნაბიჯი დაგვრჩა რომ ვაგონსენით ძველთა ძველი მისაზრება ლექსის თარგმნის სიმძლეზე). სწორედ ამიტომ იყო, რომ ჩვენ უფრო კრებულის იდეურ, შინაარსობრივ მხარეზე ვილაპარაკეთ და არც ერთი სიტყვა არ გვითქვამს ლექსების გარკვეულ ნიშნებზე.

ჩვენის აზრით, ამ თარგმანებმა გააკეთა მტრად კარგი საქმე. კრებულმა კიდევ ერთხელ წარმოგვიდგინა ჩვენი ნაცნობი პოეტი და ამ კარგად, შინაარსიანი ლექსების იქით შეიხვედნადიანება სიმშაითური, ალალი და დაფიქრებელი პიროვნება.

ბ. წიკლაშვილი

თურქული ქრესტომათია



ახლან გამოვიდა პროფ. სერგი ჭიჭინაძის მიერ შედგენილი „თურქული ქრესტომათია“. სახელმძღვანელო გამომწველია სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმასვლელთა მომზადების დაეუბრების თურქული ფილოლოგიისა და ისტორიის სპეციალობის სტუდენტებისათვის, საქართველოს ისტორიასა და ეთნოგრაფიაში მომუშავე ასპირანტებისა და მეცნიერთათვის. ამით განისაზღვრება ქრესტომათიაში შერჩეული ტექსტების ხასიათიც. აქ თავმოყრილი მასალა ხელს უწყობს მკითხველს გაერკვეს თურქული ენის საფუძვლებში, ამავე დროს აცნობს თურქეთის ტრადიციული ყოფიერებასა და ევლტურას. სახელმძღვანელო ამთავითვე აწვდის სტუდენტს ყველა იმ ენების ტექსტს, რომელიც კი შეიძლება შეხედეს მას ენის მეცნიერული თუ პრაქტიკული მიზნით გამოყენებისას. წიგნი ერთმანეთს მოსდევს ანდაზა და გამოცანა, ანეკდოტი და იგავი, ხალხური ლექსი და ზღაპარი, პაროზა და პოეზია, მოკლე საგაზეთო ქრონიკა და ვრცელი სტატია თანამედროვე ცნობილი თურქი ფილოლოგებისა და ისტორიკოსების შრომებიდან. ტექსტები შინაარსით დაკავშირებულია იმ საკითხებთან, რომელსაც სწავლობენ თურქული ფილოლოგიისა და თურქეთის ისტორიის განყოფილების სტუდენტები და ასპირანტები.

მარტივიდან რთულსაკენ, ადვილიდან ძნელსაკენ, — ის, ის ძირითადი მეთოდური ხაზი, რომლითაც შედგენილია ეს სახელმძღვანელო.

წიგნს უძღვის პროფ. სერგი ჭიჭინაძე ვრცელი წინასიტყვაობა, რომელშიც აღსაჩაქია ქრესტომათიის შედგენის მიზანზე, აღწერილია თურქული ენის განვითარების თანამედროვე ეტაპი, მითითებულია ყველა ის წყარო, საიდანაც არის ამოიღებული სახელმძღვანელოში დაბეჭდილი ტექსტები.

პირველ განყოფილებაში მოთავსებულია დამწერებისათვის შედარებით იოლი და გასაგები ტექსტები, ანდაზები, გამოცანები, ხალხური ლექსები და ზღაპრები, მათი ენა სადაა და მარტივი. მას მოსდევს იგავ-არაქები შინაარსით ძალზე საინტერესო და დიდაქტიურია; ენობრივად კი, როგორც ავტორი შენიშნავს, ერთგვარი საფუძვრია შედარებით ძნელი ტექსტების კითხვებზე გადასასვლელად.

მესამე და მეოთხე განყოფილებაში მოცემულია სტატეები თურქული ეურნალ-გაზეთებიდან. კერძოდ, მესამე განყოფილებაში მოტანილია ოცდაათიანი წლების თურქული საგაზეთო ქრონიკა, მეოთხე განყოფილებაში კი

არის ვრცელი სტატეები, რომლებშიც მკითხველს თის კულტურულ-ისტორიულ საკითხებზე, თურქ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებზე. ეს წერილები ეყრდნობის ცნობილ თურქ მეცნიერებს ფ. ქოფრულუს, ალი ჩანბის და სხვ. აქვეა მცირე ცნობები თურქეთის ეროვნულ-განმათავისებლებელ მოძრაობაზე (ქვემოთ ათი თურქის ანატოლიაში შესვლა), ცნობები ზოგიერთ რელიგიურ რიტუალზე (ჩამაზანი), თურქეთის ცნობილი კერობრის იალოვას აღწერა და სხვა. ამ განყოფილებაში დიდი ადგილი აქვს დამოხიზილი ენათმეცნიერული შინაარსის ტექსტებს.

ცნობილია, რომ საუკუნეთა მანძილზე თურქული სალიტერატურო ენის ძირითად მასალას სპარსულ-არაბული ლექსიკური ერთეულები და ფორმები შეადგენდა. ამიტომაც ლიტერატურული ენა სრულიად გაუგებარი რჩებოდა მოსახლეობის დაბალი ფენისათვის ე. ი. უმარაგელობისათვის. მდგომარეობის შესაყველად რეალური ნაბიჯი გადაიდგა მხოლოდ 1932 წელს, როცა შეიქმნა თურქული საენათმეცნიერო საზოგადოება „თურქ დილ კურუმი“. საზოგადოება დიდ მუშაობას ეწევა მშობლიური ენის გამარტივებისა და სპარსულ-არაბული ლექსიკისაგან მისი გაწმენდისათვის. ნაციონალური თურქული ლექსიკის შესაქმნელად, ერთი მხრით ფიქსირდება ხალხური მეტყველების ნიმუშები, მეორე მხრით კი ძველი ლიტერატურული ძეგლებიდან იყრებდა, სპარსულ-არაბული სიტყვების მიერ ხმარებიდან განდევნილი, ოდინდელი თურქული სიტყვები. საზოგადოების აქვს თავისი ყოველთვიური ეურნალი „თურქ დილი“. ეურნალში იბეჭდება თურქი და უცხოელი ენათმეცნიერების სტატეები თურქული სალიტერატურო ენის გამარტივებისა და მისი სელაპარაქო ენასთან დაახლოების, თურქული ენის არაბულ-სპარსულ ლექსიკურ-გრამატიკული ელემენტებისაგან გაწმენდის, ორთოგრაფიული წესების დადგენის შესახებ და სხვ.

სახელმძღვანელოში შესულია თურქი ენათმეცნიერებისა და ეურნალისტების იბრაჰიმ ნეჯმის, აჰმედ ალიოლუსს, აჰმედ ყვეათისა და სხვათა წერილები. აქვეა გადმობეჭდილი თურქეთის VIII საენათმეცნიერო კონგრესზე და მუშაებზელი მასალები, პროფ. თამსინ ბანგუოლუსს, პროფ. ილჰამი ჭიჯიოლუსს, აჰამ სირრი ლევანდის და სხვათა გამოხატულები. ამ ტექსტებზე ვარჯიშით სტუდენტი უშუალოდ იცნობა თურქული ენის საკითხებზე აღძრულ კამათსა და აზრთა სხვადასხვაობას, ეს რამდენიმე ათეული წელი რომ გრძელდება; ეცნობა იმ შეთოდებსა და პრინციპებს, რომელთა მიხედვით

სერგი ჭიჭინა, თურქული ქრესტომათია. ნაკვეთი I, განათლება, 1965.

ხდება თურქული ეროვნული ლექსიკის აღდგენა თუ შექმნა.

პროფ. ს. ჭიქიას მიერ შედგენილი თურქული ქრესტომათია ამავე დროს არის საკითხავი წიგნი ახალ თურქულ ლიტერატურაში. წიგნის V განყოფილებაში თავმოყრილია ახალი და თანამედროვე თურქული ლიტერატურის ბევრი ნიმუში. სახელმძღვანელოში შეტანილია სხვადასხვა ენისა და მიმართულების 37 თურქი მწერალი, მათ შორის, რეალური პალით ვარაჟი, გურფინარ პესენ რაჰმი, აჰმედ რაჰიმი, ჰალიდე ვედიჟ ადვიარი, მეჰმედ ემინ აეოდაკული, გუნთაქინ რეჰად ნური, კარა ოსმანოღლუ აკუტე კადრი, საბაჰათინ ალი, უსთუნგალი, ორჰან ქემალი, ორჰან ჰანგერლიოღლუ, აზიზ ნესინი, ადუნეს ემრე, თეფიქ ფაქრეთი, ნაზიმ ჰიქმეთი, ორჰან ველი და სხვები. წარმოდგენილი მასალა შესანიშნავი წყაროა ახალი და უახლესი თურქული ლიტერატურის ისტორიის შემსწავლელთათვის.

ბუნებრივია, ქრესტომათიაში შეტანილ მწერალთა უმეტესობის ენა არ არის უახლესი თურქული — „მოღერან თურქიე უურქჩესი“, რომელიც უკიდურესად პურისტულია და ძალიან განსხვავდება, განსაკუთრებით ლექსიკით, მეცხრამეტე და თუნდაც, მეოცე საუკუნის 20-იანი წლების ლიტერატურული ენისაგან. სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ნაწარმოებთა უმრავლესობის ენა ძირითადად ახალი თურქულია (თანმიმართის შემდეგ დასავლეთის კულტურის ზეგავლენით შექმნილი ლიტერატურული ენა), თურქული ენის ისტორიაში „იენი ოსმანლიჯა“-დ რომ იწოდება.

მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები წიგნში დალაგებულია, როგორც ქრონოლოგიურად, ასევე ენობრივად (პროზა, დრამა, პოეზია). ამიტომაც ზოგიერთი მწერალი წარმოდგენილია ორგზის, მაგ. მეჰმედ ემინ ადრადაკული (იხ. გვ. 170—173 და 296—299).

ოთხთველ მწერალს თურქულ ენაზევე ახლავს მოკლე ბიოგრაფიული ცნობები, ამოტრეხილი ძირითადად თურქული ენციკლოპედიური ლექსიკონებიდან, საშუაზაროდ, ზოგჯერ ეს ცნობები იმდენად ძუნწია, რომ მწერლის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღს ვეამცნობს მხოლოდ.

ქრესტომათიის VI განყოფილებაში შეტანილია ტექსტები, როგორც ოსმალეთის, ასევე თურქეთის ახალი ისტორიიდან. აქვეა თურქულ ისტორიულ ტერმინთა განმარტებები, რომლებიც

შიც ამოღებულია ოსმალეთის ისტორიული ენციკლოპედიიდან. ტექსტები საგანგებოდ არის შერჩეული თურქეთის ისტორიის სპეციალისტების კართიული სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის. მათი შესწავლით სტუდენტი ერთი მხრით იცნობა მისთვის საჭირო და საინტერესო ისტორიულ ფაქტებს, მეორე მხრით აქედანვე ეჩვენება სპეციალურ ლიტერატურაზე შემოიხილას.

ქრესტომათიას, ტექნიკური მიზეზების გამო, არ დაერთო ლექსიკონი, მაგრამ ეს სიტყვები თუ იდიომური თქმები, რომლებიც განმარტებული არ არის მსმენელთათვის ხელმისაწვდომ ლექსიკონებში, სქოლიოშია ჩამოტანილი და ახსნილია თურქულადვე. ასე რომ სკოლითაც კი ენაში სავარჯიშოდაა გამოიწველი.

ტექსტები, ძირითადად, თანამედროვე ორთოგრაფიული წესების დაკვირვება მოტანილი, ზნობრივ შენარჩუნებულად დღენისეული ორთოგრაფიაც.

როგორც აღრე იყო შენიშნული, თურქული ლიტერატურული ენის ისტორიაში ახლა არის მკვეთრი გარდატეხის პერიოდი. თურქული ენის განვითარების არაბუნებრივი, მაგრამ მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის შტონე გზა სრულად შებრუნდა ჰარსულ-არაბული ენებიდან. ეს არის თურქული ეროვნული ლექსიკის შექმნისა და დამკვიდრების, გრამატიკული ფორმების გამარტივების, ერთი სიტყვით, — თანამედროვე თურქეთის ნაციონალური ენის — „მოღერან თურქიე უურქჩესი“-ს ჩამოყალიბების ხანა ცხადია, ასეთ დროს თურქული ქრესტომათიის გამოცემა ღიდ სიფრთხილეს მოითხოვდა. მეცნიერის სწორედ ეს პედაგოგიური სიფრთხილე, ზომიერება მასალის შერჩევაში, თანმიმდევრობა მის დალაგებაში, ხდის პროფ. ს. ჭიქიას მიერ შედგენილ თურქულ ქრესტომათიის დღემდე არსებულ თურქულ ქრესტომათიათა (რომელთა რიცხვი რუსულ და ევროპულ ენებზე საკმაოდ დიდია) შორის სანიშნოდ. წინამდებარე ქრესტომათიაში ტექსტები ისეა შერჩეული და განაწილებული, რომ წიგნი ერთსა და იმავე დროს თურქული ენის, ახალი თურქული ლიტერატურისა და ისტორიის ქრესტომათიის წარმოდგენს. ამიტომაც იგი წლების განმავლობაში თურქული ენის ყველა შემსწავლელის განუერგევი მეგზურია იქნება.

ცინანა აპულაძე

0-752
8560 80 333.


ИНДЕКС
7 6 1 2 8

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“